

62852



იურისტის ბიბლიოთეკა

მერაბ ტურავა

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილის მიმოხილვა

თანდართული ტესტების
ნიშუებითა და
კაზუსის ამოხსნის მეთოდის
გამოყენებით

მერვე გამოცემა

თბილისი

ББК 67.99(2)8

УДК 343 (479.22)

ტ 92

სამართლის სისტემის -
საქართველოს

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტები.

გაშუქებული საკითხები და მათთან დაკავშირებით მოყვანილი მაგალითები, აგრეთვე თანდართული ტესტების ნიმუშები პრობლემაში უკეთ გარკვევის შესაძლებლობას იძლევა. იგი წარმოადგენს წიგნის შევსებულ და გადამუშავებულ გამოცემას. ავტორი იყენებს კაზუსის ამონხნის მეთოდს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საუნივერსიტეტო იურიდიული სწავლების პროცესში. ამ გამოცემაში ავტორი ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში პირველად იხილავს რისკის ამაღლების თეორიასა და პროდუქციისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

ნაშრომის მიზანია, დახმარება გაუწიოს პრაქტიკოს მუშაკებს პროფესიულ საქმიანობაში და თანამედროვე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საფუძვლიანად დაუფლებაში. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე მეცნიერ-მუშაკებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და დოქტორანტებს.

რედაქტორი: ზაზა ნანობაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის სისხლის სამართლის დოქტორანტი



გამომცემელი: იურიდიული ფირმა

“ბონა კაუზა”

თბილისი, 2010 წელი

© “ბონა კაუზა”

© მერაბ ტურაია

ISBN 99928-808-6-4

შ ი ნ ა რ ს ი

წიგნში გამოყენებული შემოკლებანი.....	XI
ავტორისაზან.....	1
დანაშაულის სისხლმა დოქტორ მ. ტურავას ნაშრომის „სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა)“ მიხედვით.....	5
1 საქართველოს სისხლის სამართლის კანონი და სისხლის სამართლის ამოცანა.....	11
1.1 მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა.....	11
1.2 მატერიალური სისხლის სამართლის ამოცანა და მიზანი.....	16
2 საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები.....	18
3 საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები.....	24
3.1 დანაშაულის ჩადენის დრო.....	24
3.2 სისხლის სამართლის საბარანტიო ფუნქცია, კანონის უკუქალა და ანალოგია, კანონის ინტერპრეტაცია.....	25
3.2.1 კანონის უკუქალით გამოყენების საკითხი.....	25
3.2.2 ანალოგიის გამოყენების საკითხი.....	35
3.2.3 ჩვეულებითი სამართლის გამოყენების საკითხი.....	38
3.2.4 ნორმის განუსაზღვრელობის საკითხი.....	38
3.2.5 ნორმის ნებადართული ინტერპრეტაცია თუ სისხლის სამართლის საბარანტიო ფუნქციის იგნორირება?.....	39
3.3 კანონიერების პრინციპი საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით.....	39
3.4 დანაშაულის ჩადენის ადგილი.....	41
3.5 საქართველოს საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები.....	43
3.5.1 ტერიტორიულობის პრინციპი.....	44
3.5.2 აქტიური პერსონალურობის ანუ მოქალაქეობის პრინციპი.....	45
3.5.3 დაცვის პრინციპი.....	48
3.5.4 უნივერსალურობის პრინციპი.....	49
3.5.5 მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი.....	53
4 დანაშაული, დანაშაულის ცნება, სისხლმა და კატაგორიები.....	55
4.1 დანაშაულის ცნება და სისხლმა ზოგადად.....	55
4.2 დანაშაულის სამსაფეხურიანი სისხლის განვითარების ისტორია.....	58
4.2.1 კლასიკური სისხლმა.....	60

4.2.2 ნეოკლასიკური სისტემა.....	62
4.2.3 უინალური სისტემა.....	64
4.2.4 თელეოლოგიურ-სოციალური სისტემა.....	68
4.2.5 უუნქციონალური (მიზანრაციონალური) სისტემები.....	69
4.3 სისხლისსამართლებრივი კანონისმგებლობის საფუძველი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.....	70
4.4 ქმედების მცირე მნიშვნელობა და დანაშაულის სისტემა.....	70
4.5 დანაშაულის სისტემის ცალკეული ელემენტების ზოგადი მიმოხილვა ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.....	72
4.6 დანაშაულის კატეგორიები.....	75
4.6.1 კლასიფიკაცია დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.....	75
4.6.2 დანაშაულის კატეგორიები ჩაღმის ფორმის მიხედვით.....	76
5 ქმედების შემაღბნელობა.....	82
5.1 ქმედების ობიექტური შემაღბნელობა.....	82
5.1.1 ობიექტური შემაღბნელობა ზოგადად.....	82
5.1.2 მოქმედება. მოქმედების თეორიები.....	84
5.1.2.1 მოქმედების კანონიერი თეორია.....	84
5.1.2.2 მოქმედების უინალური თეორია.....	86
5.1.2.3 მოქმედების სოციალური თეორია.....	86
5.1.3 შედეგი.....	87
5.1.4 მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა.....	88
5.1.4.1 მიზეზობრივი კავშირი.....	88
5.1.4.2 ობიექტური შერაცხვა.....	89
5.1.5 მიზეზობრივი კავშირის თეორიები.....	92
5.1.5.1 ეკვივალენტობის (პირობათა) თეორია.....	92
5.1.5.2 მოქმედება კანონიერი პირობის შესახებ.....	93
5.1.5.3 აღუკვეთლობის თეორია.....	94
5.1.5.4 რელევანტობის თეორია.....	95
5.1.5.5 ბენერალური მიზეზობრიობის თეორია.....	96
5.1.6 მიზეზობრიობის სახეები.....	99
5.1.6.1 ალტერნატიული, ანუ ორმაგი მიზეზობრიობა.....	99
5.1.6.2 კუმულაციური მიზეზობრიობა.....	101
5.1.6.3 პიპოთეტიური და სხვა მსგავსი მიზეზობრიობები.....	102
5.1.7 შედეგის ობიექტური შერაცხვა.....	104
5.1.7.1 შედეგის ობიექტური შერაცხვის მნიშვნელობა.....	104
5.1.7.2 შედეგის ობიექტური შერაცხვის პრობლემატური შემთხვევები.....	106
5.1.7.3 ობიექტური შერაცხვის ცალკეული პრობლემები.....	107
(1) რისკის თეორია.....	107
(2) რისკის შემცირება.....	109

(3) რისკის ამაღლება.....	111
(4) მიზანთა სამართლებრივი ურთიერთკავშირი.....	113
(5) მიზანობრივი კავშირის ატიპიური ბანკითარება.....	114
(6) ნორმის დაცვის მიზნის თეორია.....	114
(7) დახარალებულის პირადი პასუხისმგებლობით ბამოწვეული საფრთხე.....	115
(8) თვითმკვლელ(ობა)ში (სუიციდში) ატიპური თანამონაწილეობა.....	117
(9) თვითმკვლელ(ობა)ში (სუიციდში) კასიური თანამონაწილეობა.....	118
(10) პასუხისმგებლობა ქმედებაზე გატარებისათვის თუ მსხვერპლის პირადი პასუხისმგებლობა?.....	118
(11) უმოქმედობა მოქმედებით.....	119
(12) აღამიანის ნებისთან დამოუკიდებლად ბანკითარებული ატიპიური მიზანობრიობა.....	119
(13) მიზანობრივი კავშირის სავარაუდო ბანკითარების შესახებ დაშვებული შეცდომა.....	120
(14) რებრესის აკრძალვის თეორია.....	121
5.1.7.4 შედეგის ობიექტური შერაცხვის მოქმედების ბანკითარებისათვის.....	123
5.2 ქმედების სუბიექტური შემაღბენლობა.....	124
5.2.1 ბანზრახვა, გაუშროთხილებლობა და ბანზრახვი დანაშაულის სხვა სუბიექტური ნიშნები.....	124
5.2.2 ბანზრახვა.....	126
5.2.3 ევენტუალური ბანზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა.....	132
5.2.4 თეორიები ევენტუალური ბანზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთბამიჯვნის შესახებ.....	138
5.2.5 ალტირნატიული ბანზრახვა.....	142
5.2.6 კუმულაციული ბანზრახვა.....	144
5.2.7 ბენერალური ბანზრახვა.....	144
5.2.8 მოქმედებით ჩადენილი შედეგიანი ბანზრახვი დამთავრებული დანაშაულის კანსის ამოხსნის სქემა.....	145
5.3 ქმედების შემაღბენლობის შეცდომა.....	147
5.3.1 უაქტობრივი შეცდომა.....	148
5.3.2 შეცდომა მიზანობრივი კავშირის ბანკითარებაში.....	149
5.3.3 შეცდომა პიროვნებასა და ობიექტში.....	151
5.3.4 შეცდომა ქმედების შემაღბენლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებში.....	152
5.3.5 „ადენილი ისრის“ თეორია, ანუ მოქმედება, რაც გამოიხატა მიზნის ადენასა და გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფაში.....	153

5.4	ბაუფროთხილმეგობობა.....	157
5.4.1	ბაუფროთხილმეგობობის სახეები.....	157
5.4.2	მოქმედებით ჩაღწეილი შედეგისანი ბაუფროთხილმეგობობითი დანაშაულის სისტემა.....	162
5.5	თანამდები 'მედებით კვალიფიციტრეგული ბანზრახი დანაშაული.....	167
5.6	უმოქმედობის დასჯაღობა და მისი წინაპირებები.....	168
5.6.1	უმოქმედობის დასჯაღობის თავისებურებანი.....	168
5.6.2	უმოქმედობით ჩაღწეილი ბანზრახი დამთავრებული დანაშაულის სისტემა.....	175
6. მართლწინააღმდეგობა. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ბარემოებები.....		
	6.1 ზოგადი დებულებები.....	177
	6.2 მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ბარემოების სტრუქტურა.....	182
	6.3 მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ბარემოებების კლასიფიკაცია.....	184
	6.4 პანუსისმგებლობის გამომრიცხველი ბარემოებები სამართლისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით.....	186
	6.5 აუცილებელი მოგერიება.....	187
	6.5.1 აუცილებელი მოგერიების უფლების სამართლებრივი საფუძველი.....	187
	6.5.2 აუცილებელი მოგერიების სტრუქტურა და წინაარსი.....	188
	6.5.3 ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლება აუცილებელი მოგერიების დროს.....	197
	6.5.4 საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების შეზღუდვა.....	199
	6.5.5 აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეტიკური 'შეზღუდვა'.....	201
	6.5.6 Actio illicita in causa ?.....	203
	6.6 უკიდურესი აუცილებლობა.....	205
	6.7 დამნაშავის შეწყობა.....	209
	6.8 მართლზომიერი რისკი.....	212
	6.9 მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური ბარემოებანი.....	213
7. ინდივიდუალური ბრალი.....		
	7.1 ბრალის ცნება და თქორიები.....	216
	7.2 ბრალის სტრუქტურა.....	220
	7.3 ბრალუნარიანობა და მისი გამომრიცხველი (და შემაგსუბშეგებული) ბარემოებები.....	221

7.3.1	შეურაცხარება.....	221
7.3.1.1	შეურაცხარება ახაკის ბაშო.....	222
7.3.1.2	შეურაცხარება უსიძოკური დანაშაულის ბაშო.....	225
7.3.2	შეზღუდული შერაცხარება.....	226
7.3.3	Actio libera in causa.....	227
7.4	ბრალის გამოცხადებით სავატივები გარემოებები.....	229
7.4.1	შეცდომა აკრძალვაში.....	229
7.4.2	მოხუცებითი მოგერიება (ბოროტი განზრახვა).....	232
7.4.3	ბრძანების ან განკარგულების შესრულება.....	236
7.4.4	აუცილებელი მოგერიების ექცენი.....	240
7.4.5	ტრაგიკული კოლიზია.....	243
7.4.5.1	სავატივები უკიდურესი აუცილებლობა.....	243
	(1) სავატივები უკიდურესი აუცილებლობა ვიწრო გაბეგით.....	245
	(2) იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა, როგორც სავატივები უკიდურესი აუცილებლობის სპეციალური შემთხვევა.....	248
	(3) სავატივები უკიდურესი აუცილებლობა უართო გაბეგით.....	250
7.4.5.2	შეცდომა ბრალის გამოცხადებულ სავატივებზე გარემოებებთან დაკავშირებით.....	252
8	დაუმთავრებელი დანაშაული.....	254
8.1	ზოგადი დებულებანი.....	254
8.2	დანაშაულის ჩაღების სტადიები, დანაშაულის მომზადება და მცდელობა.....	255
8.3	დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.....	259
8.4	მოქმედებით ჩაღინილი განზრახვი დანაშაულის მცდელობის სქემა.....	264
9	დანაშაულის ამხრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა.....	265
9.1	დანაშაულის მონაწილეთა დამოყის დულისტური სისტემა.....	265
9.2	დანაშაულის ამხრულებლობა და შეალოებითი ამხრულებლობა.....	266
9.3	დანაშაულში თანამონაწილეობა.....	268
9.4	დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილის მიერ.....	276
9.5	ამხრულებლის ექცენი.....	278
9.6	ჯგუფური დანაშაული.....	279
9.7	ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და თანამონაწილეობის დასჯალება სამართლებრივ სისხლის სამართლის მიხედვით.....	280
10	ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე.....	282
10.1	ერთიანი დანაშაული.....	282

10.2	დანაშაულის სიმრავლე.....	282
11	სასჯელი.....	286
11.1	სასჯელის ცნება.....	286
11.2	სასჯელის მიზნები.....	287
11.3	სასჯელის თეორიები.....	287
11.4	სასჯელთა სისტემა.....	289
11.4.1	სიკვდილით დასჯის გაუქმება.....	289
11.4.2	სასჯელთა ცალკეული სახეები.....	290
11.5	სასჯელის დანიშვნა პირებითი მსჯავრი.....	294
11.6	სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს.....	297
11.7	სასჯელითა სავსებების სისხლის სამართლის მიხედვით.....	298
11.8	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება.....	299
11.9	ბრალდებულის საბამოძიებო ორბანოებთან თანამშრომლობა.....	301
11.10	ხანდაზმულობის ვადების გამოყენებლობა.....	303
11.11	არასრულწლოვან დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი.....	304
12	კავუსის ამოხსნისა და დამუშავების მეთოდი სისხლის სამართალში.....	306
12.1	დასკვნის სტილი.....	306
12.1.1	საქმის ფაბულა.....	306
12.1.2	დასკვნის შედგენა.....	307
12.1.3	ჰიკოტიუზა (მთავარი წინადადება).....	310
12.1.4	სუბსუმცია.....	311
12.1.5	ქმედების შემაღბენლობის ცალკეული ნიშნების სუბსუმცია.....	311
12.1.6	სუბსუმცია და სამართლებრივი პრობლემა.....	313
12.1.7	კავუსის ამოხსნის გასათვალისწინებელი საკითხები.....	314
12.1.8	დასკვნის ჩამოყალიბების (აბეზის) ტიპები.....	317
12.2	კავუსის ამოხსნის ნიმუშები.....	318
13	ტექსტების ნიმუშები სისხლის სამართალში.....	333
1.	სისხლის სამართლის კანონი.....	333
2.	დანაშაული.....	338
3.	სასჯელი.....	400
	ტექსტების სწორი პასუხები.....	405
	ანბანურ-საბნობრივი საკითხები.....	406
	წიგნში გამოყენებულ უცხო სიტყვათა საკითხები.....	422

წიგნში გამოყენებული უმეოკლებანი

ევროპული კონვენცია	- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენცია
ზოგადი ნაწილი	- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი
მსუ	- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კერძო ნაწილი	- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი
რემის სტატუტი	- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 1998 წლის წესდება
საერთაშორისო პაქტი	- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი
საერთაშორისო სასამართლო	- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
საკონსტიტუციო სასამართლო	- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
სსპ	- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
უზენაესი სასამართლო	- საქართველოს უზენაესი სასამართლო
AT (Allgemeiner Teil)	- გერმანიის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი
BGH (Bundesgerichtshof)	- გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო
BGHSt (Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen)	- გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე
BVerfG (Bundesverfassungsgericht)	- გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო
BVerfGE (Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts)	- გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

GA - (Goldammer's Archiv für Strafrecht)	- თეოდორ გოლტდამის სისხლის სამართლის არქივი
Human Rights Act	- ადამიანის უფლებათა 1998 წლის აქტი გაერთიანებულ სამეფოში
ICC (International Criminal Court)	- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
ICJ (International Court of Justice)	- საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლო
IPBPR - (Internationaler Pakt über bürgerliche und politische Rechte)	- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი
JuS (Juristische Schulung)	- იურიდიული განათლების ჟურნალი
JZ - (Juristenzeitung)	- იურისტთა გაზეთი
MRK - (Europäische Konvention zum Schutze der Menschenrechte und Grundfreiheiten)	- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენცია
NJW - (Neue Juristische Wochenschrift)	- ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი
NStZ - (Neue Zeitschrift für Strafrecht)	- ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისათვის
RGSt - (Entscheidungen des Reichsgerichts in Strafsachen)	- გერმანიის რაიხის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე
StGB (Strafgesetzbuch)	- გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი
StPO (Strafprozeßordnung)	- გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო წესები
ZRP (Zeitschrift für Rechtspolitik)	- სისხლის სამართლის პოლიტიკის ჟურნალი
ZStW (Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft)	- სისხლის სამართლის მეცნიერებათა ჟურნალი

ავტორისაბან

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს და ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისს.

საკანონმდებლო ნოვაციები სისხლის სამართლის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო იმ ცვლილებებით, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოხდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად, რამაც საფუძველი ჩაუყარა სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ტრანსფორმაციის პროცესს.

ახალი ქართული სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს მთელ რიგ სიახლეებს. უპირველეს ყოვლისა, იგი აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე, რომელიც სათავეს მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანულ სისხლის სამართლის კლასიკურ სისტემაში (*ლისტი, ბინდინგი, ბელინგი*) იღებს. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იგი განვითარებას ნეოკლასიკურ სისტემაში პოულობს. ამ სისტემის ცნობილი წარმომადგენლები არიან *მეცკერი, ბაუმანი, ვებერი*. 50-იანი წლებიდან ვითარდება სისხლის სამართლის ფინალური სკოლა, რომლის ფუძემდებელია ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში კარგად ცნობილი *ჰანს ველცელი*. ამ სისტემის დამსახურებაა ბრალის ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიის განვითარება. კლასიკური სისტემის ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორია ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში *რაინჰარდ ფრანკმა* ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორიით შეცვალა, რომელსაც მოგვიანებით ბრალის წმინდა ნორმატიული თეორიის განვითარება მოჰყვა.

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება, განსაკუთრებით თინათინ წერეთლისა და ოთარ გამყრელიძის ნაშრომები, ორიენტირებულია გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაზე. ჩემი დასკვნით, ისინი თავიანთ ნაშრომებში წარმოადგენენ დანაშაულის ნეოკლასიკურ სისტემას.

გერმანული სისხლის სამართლის იდეებმა თავისი ასახვა პპოვეს ახალ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც შემუშავა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელმა ქვეკომისიამ პროფესორ *გიორგი ტყეშელაძის* ხელმძღვანელობით.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართულმა სისხლის სამართალმა განიცადა არსებითი ცვლილებები სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული 2006 წლის 28 აპრილისა და სხვა შემდგომი კანონები შეეხო საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებსაც: კერძოდ, გაფართოვდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის, შე-

იცვალა სასჯელის ცალკეული სახეების, ასევე პირობითი მსჯავრისა და სხვა ინსტიტუტების შინაარსი და მათი დანიშვნის წესი. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ შეცვალა სასჯელის მიზნების კონცეფცია არა მარტო კანონის გამოყენების, არამედ ასევე საკანონმდებლო დონეზე.

სასჯელისაგან განსხვავებით, ახალი სისხლის სამართლის პოლიტიკა ნაკლებად შეეხო დანაშაულის სისტემასა და მისი გამოვლენის განსაკუთრებულ შემთხვევებს. იგი კვლავ გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის ზეგავლენით ვითარდება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენას განიცდის არა მარტო არაერთი ნაციონალური სამართლებრივი სისტემა მთელ მსოფლიოში, არამედ ასევე საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართალი. ამის მაგალითია თუნდაც საერთაშორისო სისხლის სამართალში ამსრულებლის დასჯადობა ე.წ. *ქმედებაზე ბატონობის თეორიის* მიხედვით, რომლის ავტორია ცნობილი გერმანელი პროფესორი *ელაუს როქსინი*.

წარმოდგენილი ლექციების კურსი, რომელიც ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, მხარს უჭერს ნეოკლასიკურ-ფინალური სისტემების თანამედროვე სინთეზის (ნეოფინალიზმის) განვითარებას ქართულ სისხლის სამართალში, დღეს მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების ინტერპრეტაციას ახდენს თელეოლოგიურ-სოციალური სისტემის დებულებების მიხედვით. იგი წარმოადგენს ქართული სისხლის სამართლის თეორიის, განსაკუთრებით, *თინათინ წერეთლისა* და *ოთარ გამყრელიძის* ტრადიციების გაგრძელებას. ისევე, როგორც გერმანული სისხლის სამართლის განვითარება არ დამთავრებულა *ბინდინგის*, *ბელინგის*, *ლისტის*, *მაიერის* მიერ დანაშაულის შესახებ მოძღვრების ჩამოყალიბებით, ასევე არც ქართული სისხლის სამართალი შეიძლება გაჩერდეს *თინათინ წერეთლის* შეხედულებებზე, არამედ უნდა განვითარდეს თანამედროვე სისხლის სამართლის მიღწევების ზეგავლენით.

დღეს სისხლის სამართალი გახდა უფრო შეფასებითი და პრაგმატული. ამის შედეგია სისხლის სამართლის ნორმატივიზაციის პროცესის გადრმავება. პრაგმატიზმის გამოხატულება კი, არის ის, რომ 2006 წელს ქართულ სისხლის სამართალში შემოღებულ იქნა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელსაც, კრიტიკის მიუხედავად, გარდა ანგლო-ამერიკულისა, კონტინენტალური ევროპის არაერთ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია) აქვს ანალოგი.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დაინერგა ამერიკული სამართლიდან გადმოდებული ე.წ. სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადადებები (*sentencing guidelines*), რომელიც თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 13 იანვრის ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ *Booker*-ის საქმეზე, მკვეთრი კრიტიკის საგანი გახდა, რომელმაც ასეთი წინადადებების სამართლებრივად სავალდებულო ხასიათი ამერიკის კონსტიტუციის მე-6 შესწორებასთან შეუსაბამოდ გამოაცხადა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, ხელი შეუწყოს დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის, მოქმედების სოციალური ცნების, შედეგის ობიექტური შერაცხვის მოძღვრების, ბრალის ნორმატიული თეორიის განვითარებას ქართულ სისხლის სამართალში. მისთვის დამახასიათებელია ქმედების შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების აღიარება, განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის ორმაგი ფუნქციის მინიჭება ქმედების შემადგენლობისა და ბრალის ეტაპზე: განზრახვა განიხილება არაბოროტი და ბოროტი განზრახვის, ხოლო გაუფრთხილებლობა - ობიექტური და ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის სახით. იგი ბრალის ცნებას წარმოადგენს, როგორც შეფასებით (ნორმატიულ) კატეგორიას, შეცდომას მართლწინააღმდეგობის გამოძრვიცხველი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ განიხილავს ბრალის ეტაპზე ე.წ. შეხლუდული ბრალის თეორიის მიხედვით.

ნაშრომის ორიგინალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის დანაშაულის სისტემას წარმოგიდგენს, მართალია, სამსაფეხურიან სისტემად, მაგრამ განზრახვის ერთიან, სამკომპონენტო ცნებას, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხელში, დოგმატიკურად ყოფს ორ ნაწილად. მის ორ კომპონენტს (ცოდნა და ნებელობა) ადგენს ქმედების შემადგენლობის, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნებას - ბრალის ეტაპზე. ამასთან, განზრახვის ამ მესამე კომპონენტში გულისხმობს მართლწინააღმდეგობის შეგნებას ფართო გაგებით (მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიების დროს), ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნების სამართლებრივი მხარე (შეცდომა აკრძალვაში), რომელიც მოცემულია ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხელში, რჩება ბრალის ცალკე დამოუკიდებელ კომპონენტად.

ნაშრომი აღიარებს არა მხოლოდ განზრახი დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას, როგორც ეს მოცემულია თანამედროვე ავტორთა ნაშრომებში, არამედ ემხრობა უმცირესობის (მაგალითად, *კლავს როქსინი*) იმ პოზიციას, რომელიც ქართულ სისხლის სამართალს მიესადაგება: ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არსებობს თვითიმედოვნების დროსაც, ხოლო დაუდევრობის შემთხვევაში უნდა ვადიაროთ მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის არსებობა. ამით, არ არის გაზიარებული ფინალისტების პოზიცია გაუფრთხილებლობის ყველა შემთხვევაში ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არსებობის შესახებ.

წარმოდგენილი მიმოხილვის წინა, მე-7 გამოცემაში, პირველად ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მოხდა *მიზეზობრიობის* განვრცობა *ობიექტური შერაცხვის* დამოუკიდებელი კატეგორიით. წიგნის ეს გამოცემაც ორივე ამ კატეგორიას განიხილავს, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის *ორ* დამოუკიდებელ ინსტანციას. შესაბამისად, გადაიდვა კიდევ ერთი ნაბიჯი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნატურალისტური მოძღვრებიდან შეფასებით სისტემაზე გადასასვლელად. ამით შევეცადე, *თინათინ წერეთლის* კაუზალობის თეორია

თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის მიღწევებთან ყოფილ-
ყო შესაბამისობაში მოყვანილი.

წიგნის წინამდებარე გამოცემაში პირველად იქნება განხილული
ე.წ. რისკის ამაღლების თეორია, ასევე მოძღვრება გენერალური
მიზეზობრიობის შესახებ. ორივე ეს საკითხი მეტად საკამათოა, რის
გამოც, ვფიქრობ, ცხოველ დისკუსიას გამოიწვევს ქართულ სისხლის
სამართალში.

თანდართული ტესტების ნიმუშები, ასევე კაზუსის ამოსხნის მეთო-
დიკა, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის
სწორად გაგებას, მის ერთგვაროვან სწავლებასა და გამოყენებას, რაც
სამსახურს გაუწევს პრაქტიკოს იურისტებს, სტუდენტებსა და დოქტორან-
ტებს კი დაეხმარება სისხლის სამართლის საგნის დაუფლებაში.

ამ გამოცემაში ასევე მოკლედ გადმოცემულია საერთაშორისო მა-
ტერიალური სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებთან საქართვე-
ლოს მატერიალური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ცალკეუ-
ლი ინსტიტუტების შესაბამისობის მიმოხილვა. ეს სტილიც წარმოად-
გენს ორიგინალურს. ამ მხრივ იგი განსხვავდება სხვა სახელმძღვანე-
ლოებისაგან. რომის სტატუტი, გენოციდისა და ჯენოციდის კონვენციებთან
და მათ დამატებით ოქმებთან ერთად, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს
საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებას, საერთაშორისო სისხ-
ლისსამართლებრივი ვალდებულებებით, რომლებიც აისახა ახალ სისხ-
ლის სამართლის კოდექსში.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ, მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი
მადლიერება ყველა იმ ქართველი და უცხოელი კოლეგის მიმართ, ვინც
თავისი მხარდაჭერითა და სამეცნიერო დისკუსიებით ხელი შეუწყო ამ
წიგნის სრულყოფასა და გამოცემას, მომავალშიც გულდასმით წაი-
კითხავს მას და გამოთქვამს თავის ჯანსაღ კრიტიკულ შენიშვნებსა და
წინადადებებს წიგნში განხილულ საკითხთა გარშემო. სახელდებით
მინდა მოვიხსენიო ასისტენტ-პროფესორები *დავრენტი ძაღლიაკელიძე*
და *თემურ ცქიტიშვილი* წიგნის გამოსაცემად მომზადებისა და ანბანურ-
საგნობრივი საძიებლის შედგენისას გაწეული დახმარებისათვის, ასევე
ირაკლი დვალაძე და *ანრი ოხანაშვილი* მიმოხილვის წინა გამოცემის
გულდასმით წაკითხვისა და აზრთა გაზიარებისათვის.

მმრავ ტურავა

*სამართლის დოქტორი (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი),
საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი,
აღექსანდრე ჰუმბოლდტის სამეცნიერო სტიპენდიანტი,
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის ყოფილი მოსამართლე და თავმჯდომარე*

თბილისი, 2010 წლის მარტი

დანაშაულის სისტემა დოქტორ მ. ტურავას
ნაშრომის „სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის
მიმოხილვა)“ მიხედვით

(ამ წიგნის მე-2 გამოცემის გამო)

განსახილველი ნაშრომი, ძირითადად ეთმობა რა საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლების მიმოხილვას, შესაძლებლობას გვაძლევს იმავდროულად სათანადოდ გავერკვეთ თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიის არაერთ მნიშვნელოვან მიღწევაში, რაც ქართულ სისხლის სამართალში დღემდე არავითარ ასახვას არ პოუვებდა და, რაც ამ უკანასკნელის პროგრესული განვითარების თვალსაზრისით, უადრესად მნიშვნელოვანია.

ასე მაგალითად, მთელ რიგ სიახლეებს ვხვდებით როგორც ზოგადად დანაშაულის სისტემის აგების, ისე დანაშაულის სისტემის ცალკეულ ელემენტთა განსაზღვრის თვალსაზრისით. დანაშაულის ცნება აქ უკვე არის არა ორნიშნა, როგორც ამას ადრე მოქმედი კოდექსისა და (ქართულ) სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული მოძღვრების მიხედვით ჰქონდა ადგილი, არამედ შედგება სამი დამოუკიდებელი ელემენტისაგან: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

იმთავითვე გასაგებია, რომ რადგანაც ბრალი წარმოდგენილია დანაშაულის სისტემის დამოუკიდებელ ელემენტად და, მაშასადამე, არ არის მოცული ქმედების შემადგენლობის ცნებით, ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით ვერ გაიგივდება ქართულ სისხლის სამართალში ადრე მიღებულ დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან, რომელიც, როგორც ცნობილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძვლადაც კი წარმოგვიდგებოდა.

არანაკლებ მნიშვნელოვან სიახლეს ვხვდებით მართლწინააღმდეგობის ცნებასთან მიმართებაში. აქ მართლწინააღმდეგობა გაიგება არა როგორც სისხლისსამართლებრივი აკრძალვის და არც ზოგადად სამართლებრივი იმპერატივების დარღვევა, არამედ როგორც „პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი“. აღსანიშნავია, რომ მოცემული თვალსაზრისი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აქტიურად ვითარდებოდა გერმანულ დოგმატიკაში და ამჯერად ის უკვე გაბატონებულ კონცეფციად გვევლინება.

არსებითი სახის ცვლილებებთან გვაქვს საქმე აგრეთვე ბრალის ცნებასთან მიმართებაში. განსახილველ ნაშრომში თანაბრად უარიყოფა როგორც წმინდად ფსიქოლოგიური, ისე ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია და ბრალი განიმარტება როგორც „მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვამის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის“. როგორც ვხედავთ, აქ ბრალის აღწერილობით და კომპლექსურ ანუ აღწერი-

ღობით-შეფასებით ცნებათა უარყოფის შედეგად ბრალის წმინდა შეფასებით ცნებას ვღებულობთ, რომელიც ჩამოყალიბდა და ვითარდება ფინალური მოძღვრების ფარგლებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსახილველ ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ბრალის ფინალურ მოდელს აღიარებს. მართალია, ამის შესახებ მოქმედ კოდექსში არაერთი პირდაპირ მითითებას არ ვხვდებით, მაგრამ თუნდაც ის, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა მასში არც ბრალის ფორმებად და არც ბრალის ელემენტებად განისაზღვრება, უთუოდ ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ აქ აღგილი აქვს ბრალის ფინალური მოდელის აღიარებას.

განზრახვის ცნებას განსახილველი ნაშრომის მიხედვით ქმედების შემადგენლობაში ვხვდებით. ქმედების შემადგენლობა კი, თავის მხრივ, იყოფა ორ სახედ: ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებად. პირველს განეკუთვნება ქმედების სუბიექტი, ქმედების ობიექტი, ქმედება და შედეგი, მიზეზობრიობა, შედეგის ობიექტური შერაცხვა და სხვა ობიექტური ელემენტები (დრო, ვითარება, საშუალება). ხოლო მეორე, გარდა განზრახვისა, მოიცავს მიზანს, მოტივს, ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს და ა.შ.

აღნიშნულ ელემენტთაგან მრავალი, ქართული სისხლის სამართლის გადასახედიდან, მეტად ორიგინალურ ასახვას პოვებს.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას კვლავ განზრახვის ცნება იპყრობს. აქ მოცემული ცნება და მასთან ერთად გაუფრთხილებლობაც სრულიად როდია მოწყვეტილი ბრალის ცნებას, არამედ მათ ამოსავალი მნიშვნელობა ენიჭება ბრალის განსაზღვრის თვალსაზრისით. მაგრამ განზრახვა და გაუფრთხილებლობა მოცემულ შემთხვევაში ბრალის არც ფორმას განსაზღვრავს, როგორც ამას ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში შქონდა აღგილი და არც შინაარსს, როგორც ამას ბრალის კლასიკურ ნორმატივისტულ თეორიაში ვხვდებით, არამედ სწორედ ხარისხს, რაც იმანენტურია ფინალური მოძღვრებისათვის ზოგადად.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ კონკრეტულად რა სახით არის წარმოდგენილი თვით განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შინაარსი, უკანასკნელი დასკვნით საბოლოო ჯამში მაინც ვერ შემოვიფარგლებით.

განზრახვა, განსახილველი ნაშრომის მიხედვით, მხოლოდ საკუთრივ ქმედების შემადგენლობაში როდია მოცემული, არამედ წარმოდგენილია აგრეთვე ბრალის სფეროში, სადაც ის მართლწინააღმდეგობის შეგნების მომცველ ცნებად გვევლინება. არსებითად ჩვენს წინაშეა განზრახვის ორი სახე: „ბუნებრივი“, რომელიც წარმოდგენილია ქმედების შემადგენლობის ფარგლებში და „ბოროტი“, რომელიც ბრალის შინაარსის განმსაზღვრელ ელემენტად წარმოგვიდგება.

ამასთანავე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კომპონენტზე მოდის პირითადი აქცენტი - ვოლუნტატურზე თუ კოგნიტიურზე, ავტორი პირდაპირი განზრახვის ორ ხარისხს განასხვავებს. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს ამოსავალ მომენტს საზიანო შედეგის სურვილი შეადგენს, ხოლო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის განმსაზღვრელ კრიტერიუმად საზიანო შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება გვევლინება.

სსკ-ის ზოგად ნაწილში წარმოდგენილი პირდაპირი განზრახვის სტრუქტურის ამგვარი ინტერპრეტირება (ანუ პირდაპირი განზრახვის ცალკეულ ხარისხებად გრადირება და არა უბრალოდ ქცევის სხვადასხვა დამოუკიდებელ სახეებად დაყოფა) მეტად ორიგინალურ თვალსაზრისად უნდა განიხილებოდეს და, რაც მთავარია, მოცემული თვალსაზრისის ფარგლებში ავტორი სრულიად სამართლიანად გამოკვეთს ნებელობითი ასპექტის პრიმატს ინტელექტუალურთან მიმართებაში.

ტრადიციული ქართული სისხლისსამართლებრივი აზროვნების თვალსაზრისით, არანაკლებ საგულისხმო სიახლეებთან გვაქვს საქმე გაუფრთხილებლობის პრობლემის შემთხვევაშიც.

ასე მაგალითად, თვითიმედოვნების დასჯადობის საფუძველს ავტორი ხედავს იმაში, რომ „სუბიექტი სწადის გასაკიცხ ქმედებას, რომელიც აკრძალულია წინდახედულობის ნორმებით და ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს“. აქედან, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობის საკითხთან ნაშრომში წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე, ავტორი განავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის ნორმა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ზოგადად კულტურის ნორმებს. ამ თვალთახედვას, თავის მხრივ, ერთობ საგულისხმო დასკვნებამდე მიყვავართ ნორმის უცოდინარობისა და ბრალის ურთიერთობის თვალსაზრისით, კერძოდ კი, ნორმის უცოდინარობა განსახილველი კონცეფციის ფარგლებში ყოველთვის უნდა განიხილებოდეს არა უბრალოდ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად, როგორც ამას ტრადიციულ ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში ჰქონდა ადგილი, არამედ უკვე როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება, ვინაიდან თვით ფაქტი, რომ სუბიექტისთვის უცხო იყო სისხლის სამართლის კანონის ამა თუ იმ ნორმის მოთხოვნა, მიგვითითებს იმაზე, რომ მოცემულ ნორმაში აღწერილი მოთხოვნა თავისი არსით ეწინააღმდეგება ზოგადად კულტურის ნორმებში გამოხატულ მოთხოვნებს და ეს კი, ზემოთწარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, შეუძლებელს ხდის მსგავს შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტორი არავითარ ეჭვს ქვეშ არ აყენებს დაუდევრობის დასჯადობის მიზანშეწონილებას. მიუხედავად თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში დასახული ტენდენციისა, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად დაუდევრობის დასჯა-

დობის უარყოფამდე მიყვავართ, განსახილველ ნაშრომში სრულიად სამართლიანად არის განვითარებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, დაუღვერობის თანამედროვე კონსტრუქცია სავსებით ქმნის დასჯადობის საფუძველს.

როგორც მართებულად შეინიშნება განსახილველ ნაშრომში, „თუ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის დასჯადობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ასეთი ქმედება არ შეიძლება დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, მაგრამ პირიქით, თუ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა სისხლის სამართლის წესით დასჯადია, ხოლო თუ იგივე ქმედების განზრახ ჩადენის დასჯადობას სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს, ეს იქნება საკანონმდებლო ტექნიკის ხარვეზი...“. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა გავიგოთ იმგვარად, თითქოს ავტორი სრულიად უარყოფდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ისეთ ქმედებათა მოცემულობას, რომელთა ჩადენა შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებლობით. ზემოთწარმოდგენილ დებულებაში ნაგულისხმევია მხოლოდ იმ სახის ქმედებები, რომელთა განხორციელება შესაძლოა როგორც გაუფრთხილებლობით, ისე განზრახაც. ამის გათვალისწინებით, ზემოთმოტანილი თეზისის მართებულობა, ვფიქრობთ, ყოველად ეჭვშეუვალია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის დამახინჯებულ ინტერპრეტირებას. უკანასკნელი პუნქტის არსიდან გამომდინარე, გაუფრთხილებლობა სისხლისსამართლებრივად მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ქმნის დასჯადობის საფუძველს, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ დანაშაული, როგორც წესი, ხორციელდება განზრახ. ამიტომაც გაუფრთხილებლობა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, საზოგადოდ ხასითდება არა დამოუკიდებელი, არამედ მხოლოდ განზრახვის დოგმატური ფუნქციიდან წარმოებადი თეორიული მნიშვნელობით. შესაბამისად, ისეთი ქმედების მხოლოდ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში დასჯადად გამოცხადება, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია როგორც გაუფრთხილებლობით, ისე განზრახ, გამართლებული ვერ იქნება, რაც განსახილველ ნაშრომში წარმოდგენილი უკანასკნელი დებულების მართებულობას მოწმობს.

ასევე საგულისხმოა ნაშრომში განხილული მიზეზობრიობის პრობლემა. ავტორი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და სახიანო შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის სამ ძირითად სახეს განასხვავებს: *ალტერნატიულს* ანუ ორმაგს, *კუმულაციურს* და *პიპოთეტურს*.

ალტერნატიული (ორმაგი) მიზეზობრიობის შემთხვევაში ანუ როდესაც „შედეგი გამოიწვია ორმა ან მეტმა ქმედებამ (პირობამ), მაშინ როდესაც ერთი ამ პირობათაგანი სავსებით საკმარისი იყო შედეგის დადგომისათვის“, ნაშრომში წარმოდგენილი თვალთახედ-

ვის მიხედვით, ორივე სუბიექტი უნდა დაისაჯოს დამთავრებული დანაშაულისთვის. ამის ძირითად არგუმენტად კი წარმოდგენილია ის გარემოება, რომ „ორივეს მოქმედება, ცალკე აღებულ, სავსებით საკმარისი იყო შედეგის დასადგომად“. ვფიქრობთ, აქ არაფერი შეიძლება იყოს სადავო.

რაც შეეხება კუმულაციურ მიზეზობრიობას ანუ მიზეზობრიობას, რომლის დროსაც „შედეგი გამოიწვია ორმა (ან მეტმა) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელმა ქმედებამ ანუ ქმედებათა ჯამმა“, ნაშრომში განვითარებული მოსაზრების მიხედვით, თითოეული სუბიექტი პასუხს უნდა აკებდეს მხოლოდ დანაშაულის მცდელობისთვის. ხვენი აზრით, ვერც მოცემული თვალსაზრისი მოიხსნევს სადავოდ, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით სუბიექტისთვის ისეთი შედეგის შერაცხვას, რომელიც კონკრეტულად მისი ინდივიდუალური ქმედებით (იგულისხმება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მახასიათებლები) არ ყოფილა გამოწვეული. ეს კი თეორიულად სრულიად მიღებელია.

განსახილველ ნაშრომში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არც ჰიპოთეტური მიზეზობრიობის დროს წყდება ნეგატიურად. მიზეზობრიობის უკანასკნელი სახე მოცემულია მაშინ, როდესაც „ქმედებამ დააჩქარა შედეგი, რომელიც მაინც დადგებოდა“. სისხლის სამართლის თეორიაში მოცემულ პრობლემასთან დამართებაში რადიკალურად ურთიერთგანსხვავებული შეხედულებებია წარმოდგენილი. ავტორთა გარკვეული ჯგუფის თანახმად, ჰიპოთეტური მიზეზობრიობის შემთხვევაში სუბიექტი საერთოდ არ უნდა აკებდეს პასუხს. ხოლო, სხვათა მიხედვით, ჰიპოთეტურმა მიზეზობრიობამ მხოლოდ განზრახვასთან კავშირში შეიძლება დააფუძნოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რა დროსაც მესამე პოზიციის ფარგლებში აღვიღო აქვს იმის მტკიცებას, რომ ჰიპოთეტური მიზეზობრიობის დროს გაუფრთხილებლობაც ასევე შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. აღსანიშნავია, რომ განსახილველ ნაშრომში სწორედ უკანასკნელი თვალსაზრისი აისახება.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე ნაშრომში წარმოებული უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემის ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, ერთი მხრივ, საუბარია იმაზე, რომ მიზეზობრიობა უმოქმედობის დროს წარმოგვიდგება როგორც შეფასებითი კატეგორია, ხოლო, მეორე მხრივ, გამოიყოფა ე.წ. შერეული ანუ არანამდვილი უმოქმედობის ცნება. უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში უკანასკნელი ცნების აღიარების პირველი შემთხვევაა.

უმოქმედობის მიზეზობრიობის ანალიზის დროს ავტორი წარმოგვიდგენს მორიგ თეორიულ სიახლეს (ქართული სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის ფარგლებში), რომელიც „სამართლებრივი

გარანტის” ცნების დამკვიდრებაში გამოიხატება. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია მოქმედების შესაძლებლობასა და დელიქტური შედეგის აცილებადობასთან ერთად უმოქმედობის მიზეზობრიობის აუცილებელ პირობად განიხილება. აღსანიშნავია, რომ მოცემული ცნების დამკვიდრება ფორმალურ ხასიათს არ ატარებს და მას, შესაბამისად, მნიშვნელოვანი თეორიული შედეგები უკავშირდება. კერძოდ კი, სამართლებრივი გარანტის ანუ მოქმედების სპეციალური მოვალეობის ცნება, გვევლინება რა დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული სახის განსაზღვრის კრიტერიუმად, არსებითად ზემოქმედებს ქმედების დანაშაულად კვალიფიცირების პროცესზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ჩვენ შევნიშნავდით აგრეთვე იმას, რომ დოქტ. მ. ტურავას განსახილველი ნაშრომი არაერთ საგულისხმო სიახლეს შეიცავს საკუთრივ დანაშაულის სისტემის პრობლემის ფარგლებს მიღმაც. მოცემულ სიახლეთა თეორიული მნიშვნელობა კი უეჭველად წარმოშობს იმის მტკიცების საფუძველს, რომ განსახილველი ნაშრომი ერთობ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მართებული გაგებისათვის, არამედ ზოგადად ქართული სისხლისსამართლებრივი აზრის პროგრესული განვითარების თვალსაზრისითაც.

ლავა-ბიორბი კუტალია

სამართლის დოქტორი

საქართველოს იურისტთა კავშირის
ჟურნალი „სამართალი“,
2001 წლის № 1-2, გვ. 36-39

1 საქართველოს სისხლის სამართლის კანონი და სისხლის სამართლის ამოცანა

1.1 მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა

საქართველოს მატერიალურ სისხლის სამართლის კანონს წარმოადგენს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსი. ამით ის განსხვავდება იმ ევროპული ქვეყნებისაგან, სადაც კოდექსთან ერთად არსებობს მრავალი ე.წ. დამატებითი სისხლის სამართლის კანონი (მაგალითად, იხ. *G Erbs/M. Kohlhaas, Strafrechtliche Nebengesetze, Kommentar*, გერმანული დამატებითი სისხლის სამართლებრივი კანონების კომენტარი 4 ტომად, რომელიც, ისევე როგორც წიგნში მითითებული სხვა უცხოენოვანი ლიტერატურა, ხელმისაწვდომია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასემინარო ბიბლიოთეკაში).

საქართველოსაგან განსხვავებით, ევროპის ქვეყნებში სამეურნეო და სხვა კანონები (მაგალითად: კანონი სასაქონლო ნიშნის შესახებ, სამეწარმეო საქმიანობის შესახებ და ა.შ.) ბოლო თავში შეიცავენ სისხლის სამართლებრივ ნორმებს შესაბამისი შემადგენლობებითა და სანქციებით. ესე იგი, სისხლის სამართლის ნორმა და მისი ბლანკეტური შინაარსი ერთ კანონშია მოცემული, რაც აადვილებს მისი შინაარსის გაგებას. ეს არის საკანონმდებლო ტექნიკის საკითხი, რომლის თაობაზე იყო მსჯელობა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების წინ სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელ ქვეკომისიაში. საბოლოოდ გადაწყდა, რომ იმ ეტაპზე ყველა მატერიალურ-სისხლის სამართლებრივი ნორმა ერთ კოდექსში ყოფილიყო თავმოყრილი, რასაც აქვს თავისი უპირატესობა, რადგან ადვილია გამოსაყენებელი სისხლის სამართლის ნორმის მოძებნა, მაგრამ ასევე ახასიათებს ნაკლოვანება, რადგან ძნელია ზედმეტად აბსტრაქტული ნორმების შინაარსის გარკვევა, მაგალითად, თუ რომელი კონკრეტული ქმედება წარმოადგენს სამეურნეო ან სამოხელეო დანაშაულს. ძნელია, ნორმის ადრესატმა ან გამომყენებელმა ზუსტად განსაზღვროს, თუ რომელი ქცევა წარმოადგენს „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას“ (სსკ-ის 332-ე მუხლი), ან „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას“ (სსკ-ის 333-ე მუხლი). სწორედ ამიტომ, არსებობს თვით სამართალდამცავი ორგანოების მიერ ზედმეტად აბსტრაქტული ნორმის არასწორად გამოყენების საშიშროება. თუ გადავხედავთ ქართულ სასამართლო პრაქტიკას, ვნახავთ, რომ სამოხელეო დანაშაულის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები იმდენად მრავალფეროვან, განსხვავებულ სფეროებს მოიცავენ, რომ მათი ერთი საერთო ქოლგის ქვეშ მოთავსება ძნელია.

არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მომავალში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროში საკანონმდებლო ტექნიკამ ცვლილება განიცადოს. შედეგად შეიძლება მივიღოთ მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსი (ე.წ. ძირითადი სისხლის სამართალი) და სხვა კანონები სისხლისსამართლებრივი ნორმებით (ე.წ. დამატებითი სისხლის სამართალი).

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველო შეუერთდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და აიღო ვალდებულებები მათი მოთხოვნების შესასრულებლად. საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისს, ძირითადად ასახვა პოვნეს ამ საერთაშორისო აქტების მოთხოვნებმა.

სსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

1999 წლის 27 აპრილს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო, ხოლო იმავე წლის 20 მაისიდან საქართველოში ამოქმედდა ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენცია, როგორც მოქმედი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლში მოცემული „აუცილებელი მოგერიების“ მართლზომიერების ფარგლები შეზღუდულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით („სიცოცხლის უფლება“). ასევე, მაგალითად, იმავე კონვენციის მე-7 მუხლი („არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“) ადგენს სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქციის ევროპულ სტანდარტს.

როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტატუსი ნორმატიული აქტების იერარქიაში? (ამის შესახებ იხ. A. Peters, Einführung in die Europäische Menschenrechtskonvention, 2003, გვ. 2)

ამ საკითხზე არსებობს სახელმწიფოთა ოთხგვარი მიდგომა, ხოლო გაერთიანებულ სამეფოს გააჩნია განსაკუთრებული პოზიცია:

(1) ე.წ. მკაცრად მონისტური სისტემის მიხედვით, ნიდერლანდებში, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და შვეიცარიაში იგი ნაციონალურ კონსტიტუციებზე მაღლა დგას;

(2) ავსტრიაში ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას აქვს **კონსტიტუციური რანგი**;

(3) საფრანგეთში მას უჭირავს **შუალედური კოზონია კონსტიტუციასა და კანონს შორის**;

(4) განსხვავებით ამ მიდგომებისა, გერმანიაში, იტალიასა და საბერძნეთში მას ფორმალურად გააჩნია **ჩვეულებრივი კანონის რანგი**, სინამდვილეში კი, ასეთი მიდგომა, მაგალითად, გერმანიაში, არის წმინდა თეორიული, რადგან კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ მიღებული კანონები ინტერპრეტირებულ უნდა იქნენ კონვენციის შესაბამისად. თვით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც კონსტიტუციას კონვენციის შესაბამისად უკეთებს ინტერპრეტაციას;

(5) გაერთიანებული სამეფო ქმნის განსაკუთრებულ შემთხვევას, სადაც ნაციონალური სამართლისა და საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის მიმართება **დუალისტურია**: საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და, ამით, საგარეო ურთიერთობებში არის სავალდებულო. ამ გაგებით, გაერთიანებულმა სამეფომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა ჯერ კიდევ 1951 წელს. შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობაში ყველა მატერიალურ-სამართლებრივად მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც საერთო სამართალს ცვლის, მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონით ხდება ინგლისური სამართლის შემადგენელი ნაწილი. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი ინგლისური სასამართლოებისათვის უშუალოდ გამოყენებადი (იხ. *I. Brownlie, Principles of Public International Law*, მე-5 გამოცემა, 1998, გვ. 46). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ასეთი ინკორპორაცია გაერთიანებულ სამეფოში მოხდა მხოლოდ 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტით (**Human Rights Act**), რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 2 ოქტომბერს. იგი აღგენს ყველა ნაციონალური სამართლებრივი ნორმის კონვენციის შესაბამის ინტერპრეტაციას. სასამართლოებს არ შეუძლიათ კონვენციის საწინააღმდეგო კანონი მოქმედების ძალის არმქონედ გამოაცხადონ, არამედ შეუძლიათ მისი მხოლოდ კონვენციასთან შესაბამისობის დადგენა, რაზედაც მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები. 2000 წლის ოქტომბრამდე კონვენცია გამოიყენებოდა არა უშუალოდ, არამედ მხოლოდ შუალობითად, როგორც ინტერპრეტაციისა და შეფასების სახელმძღვანელო. საგარეო ურთიერთობაში კონვენციის დარღვევა ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა 1998 წლის აქტის ძალაში შესვლამდე წარმოადგენდა საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის დარღვევას და სარჩელის შეტანა შეიძლებოდა პირდაპირ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ საკონტროლო ორგანოებში.

რაც შეეხება საქართველოს, იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებას, სამოსამართლო სამართალგამოყენების პროცესში ამ უკანასკნელს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმასთან შედარებით. ეს დებულება მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში, ისევე როგორც „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-20 მუხლში. ამ კანონის მე-19 მუხლში, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილი იერარქიიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მაგალითად, გაეროს 1968 წლის 26 ნოემბრის კონვენციით დადგენილ დებულებას იმის შესახებ, რომ ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მიმართ არ ვრცელდება როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები, აქვს პირდაპირი გამოყენება იმისდა მიუხედავად, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს თუ არა მსგავს დებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ ეს შემადგენლობები არ აისახა შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კოდექსში და არ აღიჭურვა სათანადო სანქციით. მაგალითისათვის ავიღოთ ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის დამატებითი ოქმები. მათში მოცემულია ომის დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები.

საქართველოს სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა გაითვალისწინა ომის დანაშაულთა სპეციალური შემადგენლობები (სსკ-ის მუხ. 411-413). ამ კოდექსის ამოქმედებამდე ჟენევის კონვენციებში მოცემული შემადგენლობების პირდაპირი გამოყენება არ ხდებოდა. საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევისათვის პირის დასჯა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი ქმედების დასჯადობა თავსდებოდა კოდექსის ზოგადი ნორმის ფარგლებში, მაგალითად, მკვლელობის, სხეულის დაზიანების შემადგენლობა და ა.შ. თუმცა, დღეს აღიარებული წესის თანახმად, შესაძლებელია, პირი დაისაჯოს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის არ წარმოადგენდა დანაშაულს ნაციონალური სისხლის სამართლის მიხედვით, მაგრამ დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად (ე.წ. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი), როგორც ეს მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 აბზაცში,

ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის მე-2 აბზაცში.

ამდენად, საერთაშორისო ხელშეკრულებაში მოცემულია სისხლისსამართლებრივ ნორმათა ორი კატეგორია:

(1) ნორმები, რომელთა გამოყენება სისხლის სამართლის კოდექსში იმპლემენტაციის გარეშე პირდაპირ არის შესაძლებელი;

2) ნორმები, რომელთაც აუცილებლად სჭირდებათ სისხლის სამართლის კანონში იმპლემენტაცია.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. მათ შორისაა: 1966 წლის პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მისი ფაკულტატიური ოქმები, ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები, რომლებშიც მოცემულია საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები სისხლის სამართლის სფეროში.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველო თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების მონაწილეა. საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 1998 წლის 17 ივნისის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების“ (რომის სტატუტის) რატიფიკაცია.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაში უნდა იყოს უმნიშვნელოვანეს ევროპულ და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან, რომლებშიც მოცემულია საერთაშორისო სამართლის არაერთი იმპერატიული ნორმა (ბუნებითი სამართლის ნორმები, ე.წ. ზეკანონური სამართალი). არსებობს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსისა და სისხლის სამართლის პროფესორის *გუსტავ რადბრუხის* 1946 წლით დათარიღებული ცნობილი ფორმულა: „კანონიერი უსამართლობა და ზეკანონური სამართალი“ (იხ. *G. Radbruch, Rechtsphilosophie*, მე-8 გამოცემა, 1973, გვ. 339).

სწორედ ამ იდეის გამოხატულებაა ის, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილში ჩაიწერა: „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.“

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი შედგება **ზოგადი და კერძო ნაწილები**საგან. როგორც ცნობილია, ასეთი დაყოფა კონტინენტალური ევროპის სისხლის სამართალში, რომლის ნაწილიცაა ქართული სისხლის სამართალი, სათავეს იღებს 1794 წელს პრუსიის კანონმდებლობიდან.

ზოგადი ნაწილი შეიცავს სისხლის სამართლებრივი დასჯადობის საფუძვლებისა და სამართლებრივი შედეგების შესახებ ზოგად წესებს (1-ლი-107¹-ე მუხლები), ხოლო კერძო ნაწილში აღწერილია დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები (108-413-ე მუხლები). ზოგადი

ნაწილის დებულებები, ძირითადად, საერთოა კერძო ნაწილში მოცემული ყველა დელიქტისათვის.

სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენის დროს გამოიყენება „პატიმრობის შესახებ“ 1999 წლის 22 ივლისის კანონის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სასჯელადსრულების დაწესებულებათა რეჟიმის სახეებს.

1.2 მატერიალური სისხლის სამართლის ამოცანა და მიზანი

სისხლის სამართლის ამოცანაა **სამართლებრივ სიკეთეთა დაცვა**. სამართლებრივი სიკეთის ცნება კი, ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ჩამოყალიბებული. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეფინიციის მიხედვით, რომლის ავტორია ცნობილი გერმანელი მეცნიერი *ფრანც ფონ ლისტი*, სამართლებრივი სიკეთე (*Rechtsgut*) განმარტებულია, როგორც *სამართლებრივად დაცული ინტერესი*. (სამართლებრივი სიკეთის ცნებაზე იხ. ასევე, *C. Roxin, Strafrecht, AT I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 16).

სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს იდეური ღირებულებები. მასზე ქმედების შემადგენლობაში ყოველთვის არ არის კონკრეტულად მითითებული, თუმცა, კონკრეტული შემადგენლობები კერძო ნაწილის თავებში სწორედ ამ ნიშნით არის განაწილებული.

სისხლის სამართალში განასხვავებენ სამართლებრივ სიკეთეთა ორ ჯგუფს: **ინდივიდუალური** (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება და ა.შ.) და **შინძირსალური, ანუ საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, საყოველთაო მშვიდობა და ა.შ.** სამართლებრივი სიკეთე. იგი უნდა განვასხვაოთ ქმედების ობიექტისაგან, რომელსაც წარმოადგენს, მაგალითად, „აღამიანი“ სსკ-ის 108-ე მუხლში, „ნივთი“ სსკ-ის 177-ე მუხლში, „დოკუმენტი“ სსკ-ის 362-ე მუხლში და ა.შ.

ქმედების შემადგენლობის მოთავსება კერძო ნაწილის ამა თუ იმ თავში ყოველთვის არ არის უნაკლო. ქმედების კრიმინალიზაციისა და სისხლის სამართლის კანონის თელეოლოგიური ახსნა-განმარტების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ იმის დადგენას, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვას ისახავს მიზნად სისხლის სამართლის კანონის ესა თუ ის ნორმა. მაგალითად, დაზარალებულთან შერიგება (სსკ-ის 69-ე მუხლი), როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, მოქმედებს მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის, მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების (სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილი), დროს. იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საყოველთაო სამართლებრივი

სიკეთის ხელყოფისას (მაგალითად, ხულიგნობა, სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სისხლის სამართლის მიზანია **დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა** (სსკ-ის პირველი მუხლის მე-3 ნაწილი).

სისხლის სამართალი წარმოადგენს სოციალური წესრიგის დაცვის უკანასკნელ საშუალებას (*ultima ratio*). იგი არის ხელისუფლების ყველაზე ბასრი ინსტრუმენტი. სახელმწიფოს მიერ სხვა უფრო მსუბუქი საშუალებების გამოყენების პრიორიტეტულობა გამომდინარეობს ე.წ. **თანაზომიერების პრინციპიდან** (*Verhältnismäßigkeit*), რომელიც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს უფუძნება. თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარეობს სისხლის სამართლის **სუბსიდიარულობა**: მისი ამოცანაა მხოლოდ სოციალურად განსაკუთრებით საშიში ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების წესებს უხეშად ხელყოფს. ამიტომ, დანაშაულის **მატერიალურ ცნებასთან დაკავშირებით** საუბარია „**სამართლებრივი სიკეთის სუბსიდიარულ დაცვასა**“ (*subsidiärer Rechtsgüterschutz*, იხ. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 13-14) და **სისხლის სამართლის ფრაგმენტარულ ხასიათზე** (*fragmentarischer Charakter des Strafrechts*). სწორედ ქმედების **სოციალური საშიშროება** წარმოადგენს მისი კრიმინალიზაციის საფუძველს, მაგრამ იგი **არ არის** დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანი, რომელსაც მოსამართლე ადგენს.

სამოქალაქო სამართლის, და არა სისხლის სამართლის, ამოცანას წარმოადგენს ხელშეკრულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესება. ასევე, წვრილმანი ხულიგნობა არ მოითხოვს სისხლისსამართლებრივ დასჯას, არამედ საკმარისია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სახდელის გამოყენება. ქმედების მცირე მნიშვნელობა (სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი) გამორიცხავს ქმედების დასჯადობას მატერიალური სისხლის სამართლის წესით.

მაშასადამე, ის, რომ სისხლის სამართლის ამოცანაა სამართლებრივი სიკეთის დაცვა, ნიშნავს, რომ არ შეიძლება ქმედების კრიმინალიზაცია მხოლოდ მისი ამორალური ხასიათის გამო, როგორცაა, მაგალითად, ცოლქმრული ღალატი და სხვა ისეთი საფუძველით, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვის კონცეფციას არ ეფუძნება (შეად. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 18-29).

2 საქრთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები

თანამედროვე სისხლის სამართლის განვითარებას, მის ინტერნაციონალიზაციას ხელი შეუწყო საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მეცნიერების მიღწევებმა (იხ.: *A. Cassese, International Criminal Law*, მე-2 გამოცემა, 2008; *G. Werle, Principles of International Criminal Law*, მე-2 გამოცემა, 2009; *G. Werle, Völkerstrafrecht*, მე-2 გამოცემა, 2007; *H. Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht*, მე-3 გამოცემა, 2009; *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008). იგი უკანასკნელ წლებში შედარებით სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბდა. ეს დარგი განსაკუთრებით განვითარდა მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა *ექს-იუგოსლავიისა და რუანდის* სისხლის სამართლის დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალები და შეიქმნა მათი სასამართლო პრეცედენტები. 1998 წლის იენის-ივლისში კი, რომში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, ჩატარდა სახელმწიფოთა სრულყოფილებიანი წარმომადგენლების დიპლომატიური კონფერენცია, რომელმაც რეალურად ხორცი შეასხა მსოფლიო საზოგადოების ერთსაუკუნოვან მისწრაფებას სისხლის სამართლის *მუდმივმოქმედი* საერთაშორისო სასამართლოს (*ICC*) დაარსების შესახებ. ჯერ კიდევ 1989 წლის 4 დეკემბრის № 44/39 რეზოლუციით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დააგადა საერთაშორისო სამართლის კომისიას, ემუშავა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საკითხზე. რომის კონფერენციაზე სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის საქართველომ, მხარი დაუჭირა ამ სასამართლოს წესდებას – რომის სტატუტს, რომელიც შეიცავს მატერიალური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის არაერთ ნორმას და წარმოადგენს ერთგვარ კომპრომისულ სამართლებრივ აქტს. სტატუტის ხელმოწერ 139 სახელმწიფოს შორის არის საქართველოც. (ამ უკანასკნელმა ხელი მოაწერა 1998 წლის 18 ივლისს). მართალია, საქართველო ვერ აღმოჩნდა იმ პირველ 60 სახელმწიფოს შორის, რომლებმაც დააფუძნეს სასამართლო, მაგრამ, ტაჯიკეთთან ერთად, დსთ-ს სივრცეში იყო ის სახელმწიფო, რომელიც თავიდანვე მხარს უჭერდა მსოფლიო საზოგადოების ერთსაუკუნოვან მისწრაფებას ზესახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც *ექს-იუგოსლავიისა და რუანდის ad-hoc* ტრიბუნალებისაგან განსხვავებით, იქნებოდა სრულიად ახალი ტიპის მუდმივმოქმედი და დამოუკიდებელი საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანო, შექმნილი სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ. დსთ-ს ქვეყნებიდან მხოლოდ ამ ორმა სახელმწიფომ – ტაჯიკეთმა და საქართველომ მოახდინეს სტატუტის რატიფიკაცია. საქართველო იყო 92-ე ქვეყანა, რომელმაც სტატუტის რატიფიკაციით თავის სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღიარა სისხ-

ლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა რომის სტატუტი. (სარატიფიკაციო დოკუმენტის დეპონირება მოხდა 2003 წლის 5 სექტემბერს, რომლის მე-60 დღის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ რიცხვს, ე.ი. 2003 წლის 1 დეკემბრიდან, სტატუტის 126-ე მუხლის მე-2 პუნტის თანახმად, იგი საქართველოსათვის ძალაში შევიდა).

სტატუტის რატიფიკაციას საქართველოსათვის შედეგად მოჰყვა ის, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სტატუტთან. კერძოდ, მოქმედ კანონმდებლობაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, ასევე საქართველოს პარლამენტმა 2003 წლის 14 აგვისტოს მიიღო სპეციალური კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, რათა სახელმწიფოს, ერთი მხრივ, ჰქონოდა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა დასჯალობაც შედის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში, მეორე მხრივ, საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას საქართველოს ტერიტორიაზე არ ჰქონოდა პრობლემები. სტატუტმა პირველად მსოფლიო ისტორიაში შექმნა სამართლებრივი საფუძველი მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომლის ადგილმდებარეობაც არის პააგაში, უფლებამოსილია, განახორციელოს მართლმსაჯულება მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ. იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საფრანგეთის კომპრომისულმა წინადადებამ რომის კონფერენციაზე ვერ გაიმარჯვა (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 132).

რომის სტატუტიდან გამომდინარე, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, აღკვეთოს საერთაშორისო დანაშაულები. საერთაშორისო სასამართლოსათვის საქმის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა ან სურვილი, შეასრულოს სტატუტიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულება, კერძოდ, მის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი ქვემოთ დასახელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ, თავისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, განახორციელოს ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება (ე.წ. კომპლემენტარულობის პრინციპი).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზანი როდია, შეცვალოს შიდასახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების ორგანოები, იგი არც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ხემდგო-

მი ინსტანციას, რის გამოც იგი სახელმწიფოში დადგენილი სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების საერთაშორისო შემოწმებას არ ახდენს.

ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, სურს თვითონ განახორციელოს თავისი სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, თუ საქმე განსახილველად გადასცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. სტატუტის რატიფიკაციის შემთხვევაში, თუ სახელმწიფო თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას შესაბამისობაში არ მოიყვანს რომის სტატუტის ნორმებთან, მაშინ არ ექნება ასეთი არჩევანის შესაძლებლობა.

საერთაშორისო სასამართლოს არსებობის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს „დამატებითი იურისდიქციის“ პრინციპი. იგი განსხვავდება „პრიორიტეტული იურისდიქციის“ პრინციპისაგან, რომელიც გამოიყენება ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საქმეებზე შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებისათვის. თუ ამ სასამართლოების ბრალმდებელს სურს, საქმე განიხილოს სპეციალურმა სასამართლომ, მაშინ არ ხდება იმის გარკვევა, ხომ არ იყო არასაკმარისი მცდელობა მართლმსაჯულების ეროვნულ დონეზე განსახორციელებლად. „დამატებითი მართლმსაჯულების“ პრინციპმა ასახვა ჰპოვა სტატუტის მე-17 მუხლში.

რომის სტატუტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებს. სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება მხოლოდ ყველაზე სერიოზული დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ჩადენა იწვევს მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის აღშფოთებას. იგი იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს მხოლოდ შემდეგი კატეგორიის დანაშაულებზე: (1) გენოციდი, (2) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და (3) ომის დანაშაული, ხოლო (4) აგრესიის დანაშაულის შემადგენლობა ჯერ არ არის განსაზღვრული.

ეროვნული სასამართლო სისტემის პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველა ამ დანაშაულის ჩადენისათვის შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და ომის დანაშაულების შემადგენლობები მოცემულია როგორც რომის სტატუტში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. მართალია, რომის სტატუტი ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს არ აკისრებს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ პირდაპირ ვალდებულებას, შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახოს დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რაც ჩამოთვლილია სტატუტის მე-5 მუხლში, მაგრამ ეს ვალდებულება გამომდინარეობს სხვა საერთაშორისო აქტებიდან (მაგალითად, უენევის 1949 წლის კონვენციებიდან და მათი

დამატებითი ოქმებიდან). ამასთან, კომპლემენტარულობის პრინციპის ლოგიკიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი სისხლის სამართლის იმ ზოგად პრინციპებთან, რაც მოცემულია სტატუტში. ესენია: კანონიერება, უნივერსალური იურისდიქცია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია, მეთაურის პასუხისმგებლობა (განზრახი, შეგნებული ან დაუღვევარი) უმოქმედობის დროს, დანაშაულის ჩადენა არამართლზომიერი ბრძანების შესრულებით და ა.შ. შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კოდექსი არა მარტო უნდა ასახავდეს რომის სტატუტში მოცემულ დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობებს, არამედ ასევე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მასში მოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრინციპებს.

მაგალითად, ევენეის კონვენციებში მოცემული საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ვალდებულებების სრული ასახვა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ასახული იქნება ომის ყველა იმ დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არის მოქცეული. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ იქნება დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან, განსაკუთრებით ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან და ომის დანაშაულებთან მიმართებაში სტატუტში მოცემულ საკითხთა წრე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

საქართველოს სისხლის სამართლის სარეფორმო კომისიამ, მთელი რიგი ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებით, ახალ სისხლის სამართლის კოდექსში, 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევებს, ასევე რომის სტატუტით გათვალისწინებულ დანაშაულის სხვა შემადგენლობებს, მიუძღვნა სპეციალური შემადგენლობები, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მთელი რიგი მუხლები შესაბამისობაში მოიყვანა საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებთან.

საერთაშორისო სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესახებ არ შეიცავდა სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს, იგი მხოლოდ მიუთითებდა გამოსაყენებელი სამართლის წყაროებზე: სტატუტი, გამოსაყენებელი ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები და, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სამართლის ნორმები (პროექტის 33-ე მუხლი). ეს უბრალო მითითება ბევრმა ქვეყანამ ჩათვალა ხარვეზიანად. მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, მათი არგუმენტაციით, უნდა ფლობდეს სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს, რომ ამით სრულყო-

ოფილად პასუხობდეს ლეგალურობის პრინციპს: „*nullum crimen sine lege*“. საერთაშორისო სასამართლომ, უნივერსალურობის პრეტენზიით, სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციების მიღწევებს.

საკითხი ეხება იმას, რომ სტატუტში პასუხი გასცემოდა ზოგიერთ ისეთ საკითხს, რაც ეროვნული სისხლის სამართლის კანონის ზოგად ნაწილში არის მოწესრიგებული. ეს საკითხებია: კანონიერების პრინციპი, თანამონაწილეობის ფორმების აღწერა, როგორცაა: წამქეხებლობა და დახმარება, უშუალო ამსრულებლობა, შუალობითი ამსრულებლობა, თანაამსრულებლობა და კოლექტიურ ქმედებაში სხვაგვარი წვლილის შეტანა (JCE), მცდელობის, შეცდომის დეფინიცია ან იმ საფუძვლების ჩამოთვლა, რაც ცალკეულ შემთხვევებში წარმოადგენენ დასჯადობის გამომრიცხველ გარემოებებს.

იმის მცდელობა, რომ სისხლის სამართლის ასეთი ზოგადი პრინციპები საერთაშორისო დონეზე იქნეს ფორმულირებული, არის რთული.

დისკუსიების შედეგად ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ „ზოგადი პრინციპების“ შესახებ ჩამოყალიბებულ დებულებებს მხოლოდ სტატუტში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობებისა და საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩატარებული პროცესის მიმართ ჰქონოდა მოქმედება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რომელსაც ექნებოდა უნივერსალური გამოყენება, რაც სახელმწიფოების მიერ სავალდებულოდ იქნებოდა გამოსაყენებადი. კონკრეტულად რომ ითქვას, სტატუტში მოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებები, როგორც წესი, არ არის სავალდებულო იმისათვის, რომ აისახოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მომენტზე, რომ შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სტატუტის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, კომპლემენტარულობის პრინციპის ქვეშ იმყოფება, რის გამოც აუცილებელია, რომ სტატუტის ზოგადი ნაწილის დებულებებს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ისე არ ეწინააღმდეგებოდეს, რომ საჭირო გახდეს ამ პრინციპის ამოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში არ უნდა იყოს დასჯადობის ხარვეზები ან პასუხისმგებლობის ისეთი მიუღებელი გამომრიცხველი გარემოებები, რაც აუცილებელს გახდის სასამართლოს მიერ სტატუტის მე-17 მუხლის ამოქმედებას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს „არ სურს“ ან „არა აქვს უნარი“, სათანადო სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს.

სტატუტში მოცემულია ისეთი ზოგადი პრინციპები, როგორცაა: „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“ (მუხ. 22),

„არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“ (მუხ. 23), უკუძალის აკრძალვა (მუხ. 24) და ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობა (მუხ. 29), მოწესრიგებულია ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმები (მუხ. 25), სამხედრო მეთაურებისა და სხვა უფროსების პასუხისმგებლობა (მუხ. 28), ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები (მუხ. 30), დასჯადობის გამომრიცხველი გარემოებანი (მუხ. 31), ფაქტობრივი და იურიდიული შეცდომა (მუხ. 32) და მოქმედება ბრძანების ან სამართლის ნორმის საფუძველზე (მუხ. 33). 26-ე მუხლი გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ბავშვების და 18 წლამდე არასრულწლოვნების მიმართ. მნიშვნელოვანია სტატუტის 27-ე მუხლი, რომლის თანახმად, იმუნიტეტი, ისევე როგორც სპეციალური ეროვნული თუ საერთაშორისო პროცესუალური ნორმები, რაც დაკავშირებულია პირის ოფიციალურ ფუნქციასთან, არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებას.

3 საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მოქმედების უარბლები

3.1 დანაშაულის ჩადენის დრო

ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებში ასახვა პირობა *ანხელმ ფოიერბახის* სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულმა კანონიერების პრინციპმა, რომელიც ევროპული სისხლის სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს: „*nulla poena, nullum crimen sine lege*” („არ არსებობს სასჯელი, არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“).

დანაშაულის ჩადენის დროა ქმედების ჩადენის დრო (ანუ დანაშაულებრივი ნების გამოვლინება). შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, დანაშაულის ჩადენის დროა აგრეთვე თანამონაწილის მოქმედების დრო. უმოქმედობის დროს, დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როცა პირს უნდა ემოქმედა.

მაგალითად, დანაშაულის მსხვერპლს საწამლავი დააღვეინეს შაბათს, მოკვდა ორშაბათს, დანაშაულის ჩადენის დროა შაბათი.

მცდელობის დროს გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადების დროს, რომელიც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენის დროა დანაშაულის მოსამზადებელი ქმედების ჩადენის დრო.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, 2000 წლის 1 ივნისამდე ჩადენილ ქმედებათა კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი ძველი კოდექსის შესაბამისი მუხლით, იმ პირობით, რომ ახალი კოდექსი არ აუქმებს ქმედების დასჯადობას ან არ ამსუბუქებს სასჯელს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ქმედების კვალიფიკაცია, მოქმედი კოდექსის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ახალი კოდექსის შესაბამისი მუხლით. მართალია, მოქმედი კოდექსის 415-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ 2000 წლის 1 ივნისიდან ჩადენილ ქმედებებს. მანამდე ჩადენილი ქმედებების მიმართ ძველი კოდექსის ნორმები კვლავაც გამოიყენება, გარდა ახალი კანონის პირის მიმართ სასიკეთოდ შებრუნების შემთხვევებისა.

3.2 სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია.

კანონის უკუშალა და ანალოგია.

კანონის ინტერპრეტაცია

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში, ისევე როგორც სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლში, მოცემული კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია. კანონიერების პრინციპი კრძალავს ბრალდებულის (განსასჯელის) საზიანოდ შემდეგი *თხზი* ძირითადი აკრძალვითი დებულების გამოყენებას:

(1) კანონის უკუშალის აკრძალვა (*lex praevia*);

(2) ანალოგიის აკრძალვა (*lex stricta*);

(3) დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის გამოყენების აკრძალვა (*lex scripta*);

(4) ნორმის განუსაზღვრელობის აკრძალვა (*lex certa*).

(შეად.: *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 141-143; R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 17*).

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსი არის დამნაშავეისათვის „*Magna Charta*“ (*ღობი*), რომელიც უკავშირდება 1215 წლის ცნობილი ინგლისური თავისუფლების ქარტიის - *Magna Charta Libertatum* სახელწოდებას.

კანონიერების პრინციპის ქვაკუთხედს წარმოადგენს „*nullum crimen sine lege*“, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში: ევროპული კონვენციის) მე-7 მუხლის პირველ აბზაცსა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში: საერთაშორისო პაქტის) მე-15 მუხლის პირველ აბზაცში. იგი განვრცობილია პრინციპით: „*nulla poena sine lege*“.

„*Nullum crimen*“-პრინციპის აღიარების მიუხედავად, ნაციონალური კანონმდებლობა ხელშეუხებელს ტოვებს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებულ დასჯადობას, როცა ამ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ნაციონალური კანონმდებლობით (ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 აბზაცი და საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის მე-2 აბზაცი).

3.2.1 კანონის უკუშალით გამოყენების საკითხი

სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუშალა. ვთქვათ, ახალმა კანონმა გააუქმა ქმედების დასჯადობა. მაგალითად, 2004 წლის 24

ივნისის კანონით, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 148-ე მუხლი („ცილისწამება“), რითაც მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია, რასაც უკუქცევითი ძალა აქვს. თუ ახალ კოდექსში, (განსხვავებით მისი წინამორბედისაგან), არ გვხვდება ესა თუ ის შემადგენლობა, ეს არ ნიშნავს ყოველთვის იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი. მაგალითად, ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლი ითვალისწინებდა ასეთ შემადგენლობას: ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით. ახალი კოდექსი არ შეიცავს ამგვარ სპეციალურ შემადგენლობას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია მოხდა. ახალი კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ითვალისწინებს 143-ე მუხლი: თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ძველი კოდექსის 247-ე მუხლი ითვალისწინებდა სამხედრო პირის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების გადამტეგების ან სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულების დასჯადობას. ახალი კოდექსის სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ასეთი შემადგენლობა არ არის მოცემული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ დანაშაულმა დეკრიმინალიზაცია განიცადა. მოქმედ კოდექსში ამ შემადგენლობის ანალოგი მოცემულია 332-ე, 333-ე და 342-ე მუხლებში. მოქმედი კოდექსი ასევე არ ითვალისწინებს სპეციალურ შემადგენლობას „სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის“, რაც მოცემული იყო ძველი კოდექსის 96¹-ე მუხლში, ვინაიდან მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. იგივე ქმედების დასჯადობას, დაუფლების ხერხის მიხედვით, ითვალისწინებს მოქმედი კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი: ქურდობა დიდი ოდენობით; 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი: ძარცვა დიდი ოდენობით და სხვა მუხლები.

2004 წლის 11 ნოემბრის კანონით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 182¹-ე მუხლი („შავი და ფერადი ლითონების ან მათი შემცველი ნაკეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“). კანონმდებლის ეს ნაბიჯი არ ნიშნავს ასეთი ქმედების დეკრიმინალიზაციას, არამედ სპეციალური შემადგენლობის ამოღებით მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია. შავი და ფერადი ლითონის დატაცება კვალიფიცირდება დატაცების ხერხის მიხედვით, როგორც ქურდობა (სს.კ-ის 177-ე მუხლი), ძარცვა (სს.კ-ის 178-ე მუხლი).

თუ სისხლის სამართლის კანონი აწესებს ქმედების დასჯადობას (ე.წ. ქმედების კრიმინალიზაცია) ან ამკაცრებს სასჯელს (ე.წ. ქმედების პენალიზაცია), მას უკუძალა არა აქვს.

დანაშაულის ჩადენის დროის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს კანონის უკუძალის საკითხის გადასაწყვეტად. მაგალითად, თუ ე.წ. „დისტანციურ დელიქტებში“ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილ იქნა 2000 წლის 15 მაისს, ე.ი. ახალი კოდექსის ძალაში შესვლამდე, ხოლო შედეგი დადგა 15 ივნისს, ე.ი. ახალი კოდექსის ძალაში შესვლის

შემდეგ, სახეზე გვაქვს განსხვავებული სამართლებრივი შედეგები: თუ ახალი კოდექსი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, მას უკუძალა ექნება. სხვა შემთხვევაში კი, თუ ახალი კანონი აწესებს ქმედების დასჯადობას ან ამკაცრებს სასჯელს, მას უკუძალა არ ექნება. ახალ კოდექსს დანაშაულის ჩადენის დროდ შედეგის დადგომის დრო რომ დაედგინა, მაშინ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ახალი კანონი გამოიყენებოდა.

თუ ახალი კანონი სხვაგვარად აუმჯობესებს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას, მაშინ ახალ კანონს უკუძალა ექნება. ამასთან, მდგომარეობის გაუარესება დაკავშირებული არ უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ან კერძო ნაწილით (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ქმედების დასჯადობის დაწესებასთან ან სასჯელის გამკაცრებასთან.

მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებით შემოღებულ იქნა მძიმე დანაშაულის მომზადების დასჯადობა (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი). ეს არის სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში ქმედების დანაშაულებრიობის დაწესება, რადგან ამ კანონის ამოქმედებამდე ისჯებოდა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება.

ა.-მ 2005 წლის დეკემბერში ჩაიდინა ბინაში შეღწევით ქურდობის მომზადება, რომელიც იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარმოადგენდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს (თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თორმეტი წლამდე). 2006 წლის 28 აპრილის კანონით იგი გახდა მძიმე დანაშაული (ამ ცვლილებით სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი: ქურდობა ბინაში შეღწევით - ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე). მძიმე დანაშაულის მომზადების ჩადენა ამ დროს არ წარმოადგენდა დასჯად ქმედებას, ვიდრე 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით არ შეიცვალა სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და არ დაწესდა განსაკუთრებით მძიმესთან ერთად მძიმე დანაშაულის დასჯადობაც.

ასეთ შემთხვევაში, ა.-ს მიმართ არ შეიძლება უკუძალით იქნეს გამოყენებული ზოგადი ნაწილის ის მუხლი, რომელმაც დააწესა მძიმე დანაშაულის მომზადების დასჯადობა, რადგან გამოიყენება 2006 წლის 28 აპრილის ე.წ. **შუალედური კანონი**, რომელიც აუქმებს მის მიერ ჩადენილი ქმედების დასჯადობას.

სასჯელის გამკაცრებას (არაპირდაპირ) წარმოადგენს ქმედებისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება მისი ჩადენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ პირობითი მსჯავრი არ არის გათვალისწინებული სასჯელთა სისტემაში (სსკ-ის მე-40 მუხლი). ამ დროს სასჯელი მკაცრდება იმ მხრივ, რომ თუ მსჯავრდებულს იგი ადრე შეეძლო მოეხადა თავისუფლებაში, ამ ცვლილების შემდეგ მისი მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის პირობებში მოხდა შეუძლია.

სწორედ ამიტომ, არასწორია 2006 წლის 28 აპრილის კანონის მიღების შემდეგ არაერთ ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულის მიმართ თითქოს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირობითი მსჯავრი, თუ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონი ამ ქმედების ჩადენისათვის ითვალისწინებდა პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ შემდეგ მიღებული ახალი კანონით ამის შესაძლებლობა მოისპო. ახალ კანონს ასეთ შემთხვევაში უკუძალა არა აქვს და მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე იმ მოტივით უარის თქმა, რომ ახალი კანონი არ ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას, არასწორია.

ანალოგიური პოზიციაა გამოხატული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში (№1/1/428,447,459) საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. დავის საგანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით. ამ გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში მითითებულია: „სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება მისი ჩადენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის გათვალისწინებული სასჯელთა სისტემაში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირობითი მსჯავრი არაპირდაპირ სასჯელთა სისტემის სივრცეშია. ის აქცესორული ხასიათისაა, ვინაიდან არ არსებობს პირობითი მსჯავრი სასჯელის გარეშე და ამ აზრით სასჯელის ერთგვარი თანამგზავრია“.

თუ ახალმა კანონმა დააწესა ხანდაზმულობის ან ნასამართლობის გაქარწყლების ახალი ვადები ან განსხვავებული წესი, ახალ ნორმას ექნება უკუძალა, მიუხედავად იმისა, იგი აუმჯობესებს თუ აუარესებს პირის მდგომარეობას. ეს წესი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო და ევროპულ აქტებს (იხ. საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლი, ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი), ასევე შეესაბამება ხანდაზმულობის ვადების გამოყენებლობის შესახებ 1968 წლის გაეროს კონვენციის სულისკვეთებას. დანაშაულის ჩამდენ პირს, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონი აძლევს გარანტიას მხოლოდ ორ საკითხზე:

(1) ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებას ქმედების ჩადენის შემდეგ არა აქვს უკუძალა;

(2) ქმედების დასჯადობის გამკაცრებას ქმედების ჩადენის შემდეგ არა აქვს უკუძალა.

ყველა სხვა შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონს უკუძალა შეიძლება მიეცეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის („არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“) კომენტარებში ვკითხულობთ, რომ ახალ კანონს, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული ახალი კანონით ზრდის, აქვს უკუძალა. იქვე მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები (2000 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ცოემე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ“ და სხვ.). საკითხს იმის შესახებ, მოქმედებს თუ არა იგივე წესი იმ შემთხვევაში, როცა ასეთი კანონი მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ქმედების ჩადენის დროს მოქმედი ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო, სტრასბურგის სასამართლო ღიად ტოვებს (იხ. *W. Gollwitzer, Menschenrechte im Strafverfahren. MRK und IPBPR. Kommentar, 2005, გვ. 441*).

მიუხედავად საკითხისადმი საერთაშორისო დონეზე ასეთი მიდგომისა, სადავო გახდა საქართველოში ამ პოზიციის კონსტიტუციურობა (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებაში). სწორედ ამიტომ, საქართველოს უახლოეს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. ასე, მაგალითად, კონსტიტუციურ ნორმაზე დაყრდნობით ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვიტა საკითხი საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ერთ-ერთ განზრახ მკვლელობის საქმეზე და პირი გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან ხანდაზმულობის თავდაპირველი ვადების გასვლის გამო, მაშინ როდესაც ახალი კოდექსით დაწესებული ხანდაზმულობის ვადები ჯერ კიდევ არ იყო გასული.

სხვა ანალოგიურ შემთხვევაში კი, პირი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დაისაჯა თავისუფლების აღკვეთით, მაშინ, როდესაც პასუხისმგებაში მიცემის დროს ხანდაზმულობის თავდაპირველი ვადა უკვე გასული იყო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ აღნიშნულ საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივარი არ მიიჩნია დასაშვებად და თავი აარიდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი განმარტების გაკეთებას, რის გამოც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დებულებას ხანდაზმულობის ვადების შესახებ ასეთი ინტერპრეტაცია. კონსტიტუციის ამ ნორმის მიხედვით, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

ასეთ შემთხვევაში, უკუძალის აკრძალვის მომხრეთა არგუმენტაცია არის ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლს, რომელიც ეძღვნება ხანდაზმულობის ვადებს, აქვს სახელწოდება:

„სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო“.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: თუ ამ ვადის გაზრდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან ნასამართლობის გაქარწყლების შემდეგ მოხდა, ასეთ შემთხვევაში ახალ კანონს არ უნდა ჰქონდეს უკუძალა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაუარესება მანამდე მოხდა, მაშინ გამოიყენება თუ არა ახალი კანონი, ამ საკითხზე გადაწყვეტია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის ზემოდასახელებული გადაწყვეტილება (№1/1/428,447,459) საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ჩვენი პოზიცია, რომელიც ადრე იქნა გამოთქმული: „თუ კანონმა დააწესა ხანდაზმულობის ... ახალი ვადები, გამოიყენება ახალი კანონი, მაშინაც კი, თუ ის აუარესებს პირის მდგომარეობას. იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს კონსტიტუციის დარღვევას, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მომენტი: თუ პირის მდგომარეობის ასეთი გაუარესება ხანდაზმულობის ვადის გასვლის... შემდეგ მოხდა, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ახალ კანონს არ ექნება უკუძალა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაუარესება მანამდე მოხდა, მაშინ გამოიყენება ახალი კანონი“ (იხ. *ნ. გვერეტაძე, მ. ტურავა, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია*, 2005, გვ. 17).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ეყრდნობა რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, 2009 წლის 13 მაისის ზემოდასახელებული გადაწყვეტილების 25-ე პუნქტში მიუთითებს: „როცა კანონმდებელი ისე ზრდის ხანდაზმულობის ვადებს, როდესაც ჯერ არ ამოწურულა ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობა, ეს შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციის დარღვევად. იგი არ მოდის წინააღმდეგობაში კანონის უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპთან და, შესაბამისად, არც სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში არ მოიაზრება. მართალია, ამ შემთხვევაშიც პირის უფლებრივი სფერო განიცდის გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას იმით, რომ მის მიმართ ხანგრძლივდება სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ ეს ნორმატიული სინამდვილე მართლდება სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებით. კანონმდებელი ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის არ არის საკმარისი ძველი კანონით დადგენილი ვადები. ვინაიდან სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვს ხანდაზმულობის განსაზღვრულ ვადებს, შეუძლებელია პირის პა-

სუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მარტოდენ იმ საფუძვლით, რომ ძველი კანონით სხვა ვადა იყო დადგენილი. ვიდრე არ დასრულებულა ხანდაზმულობის ვადა, მანამ სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს არ წარმოეშობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მატერიალური უფლება. პირს ვერ ექნება იმისი კანონიერი მოლოდინი, რომ სახელმწიფო არ ან ვერ განახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე, პირს ვერ ექნება ლეგიტიმური მოლოდინი, რომ ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ვადის ამოწურვამდე, ხანდაზმულობის გაგრძელება არ ხელყოფს პირის შესაძლებლობას, წინასწარ განჭვრიტოს მისი ქმედების სამართლებრივი შედეგი”.

საკონსტიტუციო სასამართლო იქვე განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქციის ფარგლებს: „სისხლის სამართალი პირის უფლების დასაცავად იძლევა იმდენ გარანტიას, რამდენიც აუცილებელი და შესაძლებელია”.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების 28-ე პუნქტში კი, ვკითხულობთ: „როდესაც გასულია ხანდაზმულობის ვადა დამნაშავეს დასჯა აღარ არის საჭირო, იგულისხმება, რომ დროის გასვლის შემდეგ ქმედების დანაშაულებრიობა უქმდება. ამიტომაც მისი რეტროაქტიულად გამოყენება არღვევს კანონიერების პრინციპს”. იქვე მითითებულია უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ანალოგიურ შემთხვევაში კანონის რეტროაქტიულობის აკრძალვის პრინციპის გამოყენების შესახებ. ასევე, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პრეცედენტი (*სტოგნერი* კალიფორნიის წინააღმდეგ), რომლის თანახმად, კალიფორნიის კანონი, რომელიც ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აახლებდა სისხლისსამართლებრივ დევნას, ჩაითვალა აშშ-ს კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-9 პარაგრაფის დარღვევად, რომელიც კრძალავდა *ex post facto* კანონმდებლობის მიღებას. ამერიკულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ რადგანაც ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პირს აღარ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ხოლო ახალი კანონით მოხდა მისი დაკისრება, ეს ვითარება ტოლფასია იმ სიტუაციისა, როდესაც კონკრეტული ქმედება არ არის დასჯადი, ხოლო ახალი კანონით იგივე ქმედება ხდება დასჯადი.

(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის ზემოდასახელებული გადაწყვეტილების მიღების დროს მოსამართლეთა მიერ გამოთქმული იქნა განსხვავებული საგულისხმო მოსაზრებები, რომელთა ნახევარ შემსაძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე).

ხანდაზმულობის ვადების უკუძალის საკითხი გერმანიაში განსაკუთრებით სადისკუსიო გახდა ნაციონალ-სოციალისტების მიერ

ჩადენილ მკვლევლობებთან დაკავშირებით. მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში გერმანიაში დღეისათვის არ ექვემდებარება ხანდაზმულობას (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე II პარაგრაფი). ნაციონალურ-სოციალისტურ გერმანიაში ამ დანაშაულზე მოქმედებდა 20-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. მაშასადამე, მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი მკვლევლობების ხანდაზმულობის ვადა გავიდა 1965 წელს, მაშინ როდესაც არაერთი დამნაშავე ჯერ კიდევ არ იყო გასამართლებული. ასეთ ვითარებაში მათ მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა იყო კრიმინალ-პოლიტიკურად არასასურველი. კანონმდებელმა 1969 წელს მკვლევლობის კვალიფიციურ შემადგენლობაზე ხანდაზმულობის ვადა 30 წლამდე გაზარდა, ხოლო საბოლოოდ 1979 წელს მთლიანად უარი თქვა ამ დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადების გამოყენებაზე (იხ. *J. Baumann, ZRP 1979, 150*). ეს პრობლემატიკა გერმანიის გაერთიანების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ისევ გახდა აქტუალური, როცა ხანდაზმულობის ვადები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულისათვის უკუძალით ფაქტობრივად გაგრძელდა (იხ. *R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 20*).

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და გაბატონებული შეხედულება ავითარებს თვალსაზრისს, რომ ნებადართულია ხანდაზმულობის ვადების უკუძალით გაგრძელება, თუ ვადა ჯერ კიდევ არ იყო გასული. ამ პოზიციას არაერთი ავტორი უჭერს მხარ, რადგან მიაჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადების შესახებ ნორმა საპროცესო-სამართლებრივი ხასიათისაა, რომელიც გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე II მუხლის დაცვის ქვეშ არ ექცევა. ითვლება, რომ ხანდაზმულობა ეხება დევნას და არა დასჯადობას. დაუშვებლად მიიჩნევა გაზრდილი ხანდაზმულობის ვადებისათვის უკუძალის მინიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოხდა ქმედების ჩადენის დროს მოქმედი ხანდაზმულობის ვადების გასვლის შემდეგ (იხ.: *BVerfGE 25, 269, 284; BVerfG NJW 1995, 1145; NStZ 2000, 251; C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 167-168; R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 21*).

თუ ახალმა კანონმა დააწესა ნასამართლობის გაქარწყლების ახალი ვადები ან განსხვავებული წესი, მაშინ მოქმედებს შემდეგი დებულება: თუ ნასამართლობა არის ქმედების შემადგენლობის მაკვალიფიციური გარემოება, ასეთ შემთხვევაში ნასამართლობის ვადების გაზრდას უკუძალა არა აქვს.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს სისხლის სამართლის კანონს აქვს უკუძალა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი აუშჯობესებს პირის მდგომარეობას.

მოქმედი კოდექსის 72-ე მუხლი აწესებს სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების სხვადასხვა ვადებს დანაშაულის სიმძიმის მიხედვით: სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის (ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის), არანაკლებ ორი მესამედის (მძიმე დანა-

შაულისათვის) და არანაკლებ სამი მეოთხედის (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის) მოხდას.

ძველი კოდექსის 54-ე და 54¹-ე მუხლებისაგან განსხვავებით, ახალი კოდექსის 72-ე მუხლი რიგ შემთხვევებში აუმჯობესებს მსჯავრდებულის მდგომარეობას, რა დროსაც ახალ კოდექსს უკუძალა აქვს, ხოლო ზოგ შემთხვევაში აუარესებს მის მდგომარეობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ახალ კანონს არა აქვს უკუძალა.

ისეთი გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, როგორცაა, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ძველი კოდექსი ითვალისწინებდა სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას სასჯელის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ, ხოლო მოქმედი კოდექსით ეს დანაშაული (სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი) მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ამ დანაშაულისათვის სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება გათვალისწინებულია სასჯელის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადრინდელი პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში კანონს არ მიენიჭა უკუძალა. 2000 წლის 1 ივნისამდე ჩადენილი ასეთი დანაშაულებისათვის გამოყენებულ იქნა ძველი კოდექსის 54-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული მოიხდიდა დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარს. ერთ-ერთ განჩინებაში, 2000 წელს, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენს (არაპირდაპირ) სასჯელის გამკაცრებას, რის გამოც არასწორად მიიჩნია ახალი კოდექსის 72-ე მუხლისათვის უკუძალის მინიჭება იმ შემთხვევაში, როცა იგი აუარესებს მსჯავრდებულის მდგომარეობას.

შემადგენლობის სახელწოდების შეცვლა ან შემადგენლობათა გაერთიანება არ ნიშნავს ქმედების დასჯადობის გაუქმებას. ეს არის საკანონმდებლო ტექნიკის საკითხი. მაგალითად, ძველი კოდექსით დასჯადი იყო „კონტრაბანდა“ (სსკ-ის 79-ე მუხლი), მოქმედი კოდექსით კი - „საბაჟო წესის დარღვევა“ (სსკ-ის 214-ე მუხლი).

თუ ახალი კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, იგი უნდა შემცირდეს ახალი კანონის სანქციის ფარგლებში.

რაც შეეხება კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, მისი გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-601-ე მუხლებში გათვალისწინებული წესით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი ახლად გამოვლენილ სამართლებრივ გარემოებად მიუთითებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწ-

ყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღებას, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგალითად, ძველი კანონი დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ათ წლამდე, ხოლო ახალი კოდექსით იმავე ქმედებისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა შვიდ წლამდე. ახალი კანონი უფრო მსუბუქია. მიუხედავად ამისა, თუ პირს შეფარდებული ჰქონდა ხუთი წელი, მის მიმართ დადგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, როგორც წესი, შეიძლება არ დაექვემდებაროს გადასინჯვას, ვინაიდან დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია. იმ შემთხვევაში კი, როცა პირს შეფარდებული ჰქონდა რვა წელი, ესე იგი ახალი კანონის მაქსიმუმზე მეტი, მაშინ მას სასჯელი უნდა შეუმცირდეს, როგორც წესი, შვიდ წლამდე, ესე იგი, ახალი კანონის მაქსიმუმამდე, ვინაიდან ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, როგორც წესი, არ უნდა განსაზღვროს დამნაშავის ბრალის ხარისხი, მან მხოლოდ უნდა შეამციროს სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებში.

ევროპული ქვეყნების პრაქტიკა განსხვავებულია ამ საკითხში, სადაც ახალი კანონის მიღება არ იწვევს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვას.

თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ ძალაში შესული კანონი ამსუბუქებს პირის მდგომარეობას, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ უფრო მსუბუქი კანონი, ხოლო თუ ახალი კანონი ამძიმებს პირის მდგომარეობას, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები ქმედების დანაშაულებრიობისა და სანქციის ნაწილში იყენებენ ძველ კანონს, ხოლო სასჯელის მოხდის რეჟიმის ნაწილში გამოიყენება ახალი კანონი, მიუხედავად რეჟიმის შეცვლისა.

აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, რაც მოცემულია მოქმედი კოდექსის 90-96-ე მუხლებში, წარმოადგენენ არა სასჯელს, არამედ სოციალური დაცვის ღონისძიებებს. ამიტომ ისინი გამოიყენება იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის განხილვის და არა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს.

სადავოა, აქვს თუ არა უკუძალა ნორმის ინტერპრეტაციისა და, შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის შეცვლას იმ ვითარებაში, როცა კანონი არ შეცვლილა. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში კანონის უკუძალის აკრძალვა არ მოქმედებს, ვინაიდან კანონი ბრალდებულის (განსახჯელის, მსჯავრდებულის) საზიანოდ არ შეცვლილა. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს შეცდომას აკრძალვაში,

რომელიც შეიძლება, თავიდან აუცილებადი იყოს (ანალოგიური პოზიცია იხ. *R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 19-20*).

კანონის უკუპაღის აკრძალვა ასევე არ მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.

ხანდაზმულობის ვადის საკითხთან დაკავშირებით, გაბატონებულია პოზიცია, რომ იგი წარმოადგენს პროცესუალურ-სამართლებრივი ბუნების ინსტიტუტს, რომელიც მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არის მოთავსებული მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. მაშასადამე, ამ შეხედულების მიხედვით, მის მიმართ არ მოქმედებს კანონის უკუპაღის აკრძალვის პრინციპი.

3.2.2 ანალოგიის გამოყენების საკითხი

სისხლის სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, ხოლო უშვებს მას პიროვნების სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი კი, გამოხატულებას პოულობს სამოსამართლო სამართალშემოქმედებაში. პიროვნების სასარგებლოდ ანალოგიის დაშვების გამოხატულებაა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიერ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებებისა (მუხლი 32-ე) და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების (მუხლი 38-ე) შემოღება.

პიროვნების საზიანოდ, მაშასადამე, დაუშვებელი ანალოგიის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: ქურდობა წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ელექტროენერგია (დენი) არ წარმოადგენს სხეულებრივ საგანს. მაშასადამე, იგი არ არის ნივთი, ამიტომ ელექტროენერგიის დატაცება (დენის მოპარვა) არ წარმოადგენს ქურდობას ქართული სსკ-ის 177-ე მუხლის მიხედვით. (ანალოგიური პოზიცია ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ გერმანიის რაიხის სასამართლოს მიერ, რომელსაც მხარს უჭერს გაბატონებული შეხედულებაც. შეად.: *RGSt 29, 111; 32, 165; R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 24*). ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია ანალოგიის გამოყენება და დენის დამტაცებლის მიერ ქურდობის ჩადენის დასაბუთება იმ არგუმენტზე მითითებით, რომ თითქოს იგი წარმოადგენს ნივთის მოპარვის ანალოგიურ შემთხვევას. დასჯადობის ხარვეზი რომ აღმოიფხვრას, საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსებში სპეციალური ნორმის არსებობა (ასეთ სპეციალურ ნორმას, მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში წარმოადგენს 248-ე ე პარაგრაფი).

ანალოგიისაგან უნდა განვასხვაოთ კანონის ახსნა-განმარტება. (ამ საკითხზე იხ. *R. Zippelius, Juristische Methodenlehre, მე-10 გამოცემა*,

2006, გვ. 42-85. არსებობს ამ წიგნის ქართული თარგმანი, რომელიც შეასრულა ლევან თოთლაძემ (სამართლის ასესორი), სამეცნიერო რედაქტორი პროფესორი მერაბ ტურავა).

ცნობილია სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტების *ოთხი* ძირითადი სახე: 1) ბრამატიკული (ანუ სიტყვა-სიტყვითი); 2) სისტემური; 3) ისტორიული; 4) ობიექტურ-თელეოლოგიური (ratio legis). ინტერპრეტაციის ეს კლასიკური სახეები უკავშირდება ფრიდრიხ კარლ საეინის (1779-1861) სახელს.

სამოსამართლო სამართალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი, რომელიც კანონის ინტერპრეტაციას ახდენს ნორმის არსიდან და მიზნიდან გამომდინარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ახსნა-განმარტების ხერხების იერარქია სამოსამართლო სამართალგამოყენებაში არ არსებობს, არამედ იგი ხორციელდება „მეთოდური პლურალიზმის“ საფუძველზე. ისინი ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ (ამის შესახებ იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, 2004, გვ. 160).

სისხლის სამართლის თეორიაში კანონის ახსნა-განმარტების ხერხებთან დაკავშირებით განასხვავებენ სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს. სუბიექტური თეორია ემყარება კანონმდებლის ისტორიულ ნებას. ამ თეორიის მიხედვით, კანონის განმარტების დროს უნდა დადგინდეს სწორედ კანონმდებლის ისტორიული ნება, რის გამოც, სამართლის შემფარდებელი შებოჭილი უნდა იყოს ამ ნებით. დღეს სუბიექტური თეორია არ არის გაბატონებული, ვინაიდან ობიექტურ თეორიას ჰყავს ბევრი მხარდამჭერი. იგი კანონს განმარტავს არა კანონმდებლის სუბიექტური ნების, არამედ კანონის ობიექტურ-თელეოლოგიური არსიდან გამომდინარე. კანონის მიღების შემდეგ მას არანაირი კავშირი არა აქვს კანონმდებელთან. მას გააჩნია „საკუთარი ცხოვრება“ და იგი ხშირად უფრო „ჭკვიანია“, ვიდრე კანონმდებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადრინდელ პრაქტიკაში, 1999-2005 წლებში, ჩემს მიერ არაერთხელ იქნა გამოყენებული სწორედ კანონის განმარტების ობიექტურ-თელეოლოგიური თეორია.

სისხლის სამართალში გამოიყენება ინტერპრეტაციის სხვა თანამედროვე მეთოდებიც (ამის შესახებ იხ. R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ.31-33). ესენია: კონსტიტუციის შესაბამისი ახსნა-განმარტება; ევროგაერთიანების სამართლის შესაბამისი ახსნა-განმარტება; თელეოლოგიური რამდენიმე და „argumentum a fortiori“.

კონსტიტუციის შესაბამისი ინტერპრეტაციის მეთოდი განიხილება ასევე თელეოლოგიური ან სისტემური ახსნა-განმარტების ნაირსახეობად. არ შეიძლება სისხლის სამართლის კანონის ნორმა ისე იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდეს.

ევროპის კავშირის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. ნაციონალური სამართლის ბაქარტიანების სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ევროპის სამართლის უპირატეს გამოყენებას (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 442). იგი აიძულებს წევრ სახელმწიფოებს, მოახდინონ ნაციონალური (სისხლის) სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაცია. ასეთი ინტერპრეტაციის სავალდებულო ხასიათი გამომდინარეობს ე.წ. *ლოიალურობის* პრინციპიდან (იხ. *K. Tiedemann, ZStW*, 116 (2004), 950). ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს არა მარტო მატერიალური სამართალი. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (იხ. *Pyrolyse-Entscheidung*, BGHSt 37, 333) სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე პარაგრაფის („სახიფათო ნარჩენებთან უნებართვო მოპყრობა“) პირველი აბზაცის ერთ-ერთი ცნების ინტერპრეტაციისათვის გამოიყენა ევროპული ნორმები და ამით გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის დებულება გაერთიანების სექუნდერულ სამართალთან შესაბამისობით ახსნა. ამასთან დაკავშირებით გამოიყენება ტერმინი „ევროპის სამართლის აქცესორულობა“. ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ნაციონალური სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციის მეთოდს არა აქვს აბსოლუტური პრიორიტეტულობა. იგი ნაციონალური სამართლის ინტერპრეტაციის კლასიკური მეთოდების თანაბარი რანგის მქონეა (იხ. *B. Hecker, Europäisches Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 357), თუმცა მას, როგორც *primus inter pares* (ლათ. ნიშნავს: პირველი თანაბართა შორის), რელატიური უპირატესობა ახასიათებს (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 445).

თელეოლოგიური რეღუმცია. ამ დროს, კანონის მიზნიდან გამომდინარე, ხდება ნორმის თელეოლოგიურ-შეზღუდვითი განმარტება. იგი მოითხოვს განსაკუთრებულ დეგიტიმაციას, რადგან ამ დროს ხდება მოსამართლის მიერ კანონის სიტყვასიტყვითი მოთხოვნის იგნორირება (ამის შესახებ იხ. *გ. ხუბუა*, სამართლის თეორია, 2004, გვ. 157-158). ამ შემთხვევაში დომინირებს თელეოლოგიური ასპექტები.

„argumentum a fortiori“, ერთი მხრივ, გამოიხატება ფორმულით: „argumentum a maiore ad minus“. იგი გულისხმობს, რომ უფრო დიდიდან კეთდება დასკვნა პატარაზე. მაგალითად, თუ დანაშაულს წარმოადგენს სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, როცა ნივთის ღირებულება 150 ლარს აღემატება (სსკ-ის 187-ე მუხლი), იგულისხმება, რომ 150 ლარის ღირებულების ნივთის დაზიანება ან განადგურება დანაშაულს არ წარმოადგენს. ასევე, თუ ორ ან მეტ ამსრულებელს შეუძლია ჩაიდინოს ჯგუფური დანაშაული (სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი), იგულისხმება რომ ერთი ამსრულებელი არ არის საკმარისი ჯგუფურობის დასადგენად. მეორე მხრივ, იგი გამოიხატება ფორმულით: „argumentum a minore ad maius“, რომელიც გულისხმობს,

რომ, პირიქით, უფრო პატივრიდანი კეთდება დასკვნა დიდზე. მაგალითად, თუ დანაშაულს წარმოადგენს პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შექმნა, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ (სსკ-ის 273-ე მუხლი), ამავე მუხლით მით უფრო დასჯადია დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნისათვის ნასამართლევი პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შექმნა. ამ ნორმაში სიტყვები: „ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი“ უნდა განიმარტოს არა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ ე.წ. თელეოლოგიური ექსტენსიის (განვრცობის) მეთოდით.

3.2.3 ჩვეულებითი სამართლის გამოყენების საკითხი

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია ქმედების დასჯადობის განსაზღვრა ან სასჯელის დამძიმება დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ პოზიტიური (დაწერილი) სამართლის ნორმის საფუძველზე (*nullum crimen sine lege scripta*). ბრალდებულის (განსასჯელის, მსჯავრდებულის) სასარგებლოდ ჩვეულებითი სამართლის გამოყენება შეზღუდული ზომით ნებადართულია. მაგალითად, მშობლების ან სხვა აღმზრდელების მიერ მოზარდის მიმართ აღმზრდელობითი მიზნით გამოყენებული ცემა ითვლებოდა დაუწერელი ხასიათის ჩვეულებით ნორმად, რომელიც გამოიყენებოდა, როგორც დასჯადობის გამომრიცხველი გარემოება. საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე მან (თითქმის) დაკარგა ასეთი მნიშვნელობა.

პიროვნების სასარგებლოდ შესაძლებელია ჩვეულებითი სამართლის ნორმის გამოყენება, მაგალითად, საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა.

3.2.4 ნორმის განუსაზღვრელობის საკითხი

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ სისხლის სამართლის ნორმა, რომლის საფუძველზეც ხდება პირის დასჯა, უნდა იყოს მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული, რომ ნორმის ადრესატს შეეძლოს მისი შინაარსის გაგება, რათა მას ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება. მას უნდა შეეძლოს, იცოდეს, თუ რომელი ქმედებაა დასჯადი და რა სახისა და ზომის სასჯელია მისი ჩადენისთვის გათვალისწინებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის შემადგენლობა უნდა იყოს კაზუსტური ან შეიცავდეს მხოლოდ აღწერილობით ნიშნებს, არამედ ნორმა უნდა იყოს ზოგადი ქცევის წესი, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს დანაშაულის შემადგენლობის შე-

ფასებით ანუ ნორმატიულ ნიშნებს, რომლებიც მოითხოვენ ინტერპრეტაციას. სამართალი, მათ შორის სისხლის სამართალი, არის სწორედ ნორმატიული ანუ შეფასებითი მეცნიერება, რომელიც, ინტერპრეტაციის გარეშე, მხოლოდ აღწერილობითი ნიშნებით კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში ვერ გადმოიცემა.

აქედან გამომდინარე, ე.წ. „რეზინის“ ნორმა, რომელიც ნებისმიერ სიტუაციას მოერგება და ნორმის აღრესატს არ აძლევს მისი ზუსტი შინაარსის გაგების შესაძლებლობას, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის საწინააღმდეგოა.

3.2.5 ნორმის ნებადართული ინტერპრეტაცია თუ სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის იგნორირება?

სსკ-ის მე-3 მუხლში მოცემული სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვისა და, მისგან გამომდინარე, ასევე სისხლისამართლებრივი ანალოგიის აკრძალვის პრინციპის მიხედვით, მოსამართლეს უფლება არა აქვს განსახიჯელის საზიანოდ („*in malam partem*“) დანაშაულის ახალი შემადგენლობა შექმნას ან არსებული გააფართოოს, თუ ჩადენილ ქმედებას არსობრივად არ მოიცავს არსებული საკანონმდებლო ნორმის შინაარსი.

ყოველ კონკრეტულ სადავო შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ადგილი ჰქონდა ნებადართულ ინტერპრეტაციას, თუ სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის იგნორირებას. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსიდან 2007 წლის 23 მაისის კანონით ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი („ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე“). ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები დღეისათვის კვალიფიცირდება, როგორც ქურდობა (სსკ-ის 177-ე მუხლი), მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიხედვით, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, 2008, გვ. 129-132).

3.3 კანონიერების პრინციპი საქართველოს მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით

თანამედროვე საერთაშორისო მატერიალურ სისხლის სამართალში მოქმედებს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია „*nullum crimen*“-პრინციპის გამოვლენის ოთხივე შემთხვევით და იგი, ძირითადად, რეგლამენტირებულია რომის სტატუტის 22-24-ე მუხლებში:

(1) ქმედება დასჯადი უნდა იყოს მისი ჩადენის დროს (*lex scripta*). სტატუტის 22-ე მუხლი განსაზღვრავს კანონიერების პრინ-

ციპის არსს, კერძოდ, პირი არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ჩადენილი ქმედება მისი ჩადენის მომენტში არ წარმოადგენს დანაშაულს, რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია;

(2) ქმედება ჩადენილ უნდა იქნეს სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ (*lex praevia*). სტატუტის მე-11 მუხლში მითითებულია, რომ სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ იმ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია მისი ძალაში შესვლის შემდეგ;

(3) მნიშვნელობა ენიჭება ნორმის განსაზღვრულობას (*lex certa*). პრობლემას წარმოადგენს სტატუტით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობათა დაუწერელი (მაგალითად, მიზეზობრივი კავშირი) და ნორმატიული (შეფასებითი) ნიშნები;

(4) ანალოგიის აკრძალვა (*lex stricta*). რომის სტატუტის მიხედვით, ნორმის შინაარსის არაერთგვაროვანი გაგების შემთხვევაში უპირატესობა აქვს ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლო ინტერპრეტაციას.

რომის სტატუტის 22-ე მუხლში ჩადებულია კანონიერების პრინციპის ისეთი ფუნდამენტური დებულება, როგორცაა *nullum crimen sine lege* (არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე), ხოლო 23-ე მუხლი ადგენს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს: *nulla poena sine lege* (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე). ამ უკანასკნელი პრინციპის არსი განმარტებულია შემდეგნაირად: პირი, რომელსაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს ბრალეულად, შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ სტატუტის დებულებების შესაბამისად.

დანაშაულის შემადგენლობა ზუსტად უნდა აისხნას და იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული ანალოგიით პიროვნების საზიანოდ. თუ ნორმის ინტერპრეტაციის დროს წარმოიშვა ეჭვი, ნორმა ინტერპრეტირებული უნდა იქნეს ბრალდებულის სასარგებლოდ (რომის სტატუტის 22-ე მუხლის მე-2 აბზაცი). ამით საერთაშორისო სისხლის სამართალი განსხვავდება ნაციონალური სისხლის სამართლისაგან, სადაც ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის (*in dubio pro reo*) პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში და არა მატერიალური ნორმის სამართლებრივი ინტერპრეტაციის დროს. ნაციონალურ სამართალში არ არსებობს ინტერპრეტაციის წესი, რომელიც მოსამართლეს დაავალდებულებდა, რომ განაჩენის გამოტანის დროს აუცილებლად ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასარგებლო ინტერპრეტაცია გამოეყენებინა (შეად. R. Rengier, *Strafrecht*, AT, 2009, გვ. 27). განაჩენის გამოტანამდე ნორმის 'მეცვლის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უკეთეს ნორმას (*lex mitior*).

სტატუტი, მართალია, კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, მაგრამ იგი ანალოგიის პიროვნების სასარგებლოდ გამოყენებას არ

გამორიცხავს. მაგალითად, სტატუტის 31-ე მუხლზე („სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველები“) დაყრდნობით პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნაციონალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ე.წ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების საფუძველზე. ე.ი. იმ გარემოებების არსებობისას, რომლებიც, მართალია, სახელდებით არ არის მოხსენიებული ამ სტატუტში, მაგრამ ქმედება ჩადენილია ისეთ ვითარებაში, რომელიც საკვებით აკმაყოფილებს ქმედების მართლზომიერების ან პირის არაბრალეულობის პირობებს. საერთაშორისო სასამართლოს მიერ ნაციონალური სამართლის დებულებების გამოყენების შესაძლებლობა პირდაპირ არის მითითებული რომის სტატუტის 21-ე მუხლის („სამართლის წყაროები“) პირველ აბზაცში. სწორედ ამიტომ არის წარმოდგენილ ნაშრომში ნაციონალური და საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტების ურთიერთკავშირი დახასიათებული.

სტატუტის 24-ე მუხლი ეძღვნება კანონის უკუძალის საკითხს. პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ სტატუტით იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია მის ძალაში შესვლამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, შესაძლებელია კანონისათვის უკუძალის მინიჭება მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ.

რომის სტატუტის 22-ე მუხლის მე-3 აბზაცი ხელშეუხებელს ტოვებს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებულ დასჯადობას, მაგრამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არ შეუძლია ასეთი დაუწერელი ქმედების შემადგენლობებით დასაჯოს პირი (სტატუტის 22-ე მუხლის პირველი აბზაცი). *Nulla poena*-პრინციპი (სტატუტის 23-ე მუხლი) კრძალავს გამოყენებულ იქნეს სასჯელი, რომელიც სტატუტით არ არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტატუტი ითვალისწინებს აბსტრაქტულ სანქციას: თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადას (30 წელი) და უვადო თავისუფლების აღკვეთას (სტატუტის 77-ე მუხლი). ასევე შესაძლებელია ჯარიმისა და ქონების კონფისკაციის დაკისრება. მაშასადამე, სასჯელის ფარგლები კონკრეტული შემადგენლობებისათვის ზუსტად არ არის განსაზღვრული, რაც, ვფიქრობ, წარმოადგენს გარკვეულ პრობლემას სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის თვალსაზრისით.

3.4 დანაშაულის ჩადენის აღბოლო

სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენის დროისაგან განსხვავებით, დანაშაულის ჩადენის ადგილი განისაზღვრება არა მხოლოდ ქმედების ჩადენის ადგილით.

არამედ ორივე - როგორც ქმედების ჩადენის, ისე შედეგის დადგომის ადგილით. (დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნების შესახებ იხ. *ლ. გამყრელიძე*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 189-200). ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრის დროს აღიარებს ე.წ. „სუპრველბანოზის“ (ანუ „საყოველთაოზის“) თეორიას (*Ubiquitätstheorie*, ამის შესახებ იხ. *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა 1996, გვ. 177-178).

ამ თეორიის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის ადგილია როგორც ქმედების ჩადენის ადგილი, სადაც პირმა თავისი დანაშაულებრივი ნება გამოავლინა, ასევე შედეგის დადგომის ადგილიც. მაგალითად პირს საწამლაკი დაალევიანეს საქართველოში, იგი მეორე დღეს ან მოწამელისაგან გარდაიცვალა სომხეთში. დანაშაულის ჩადენის ადგილია ორივე სახელმწიფოს ტერიტორია - როგორც საქართველო ისევე სომხეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფო თანაბრად აუფლებამოსილი, ამ პირის მიმართ განახორციელოს თავისი სისხლის სამართლის იურისდიქცია, ე.წ. ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე. ამ ორი სახელმწიფოდან გაასამართლებს ის სახელმწიფო, რომლის ხელშიც აღმოჩნდება დანაშაულები და მას, როგორც წესი, დანაშაულის გადაცემის სამართლებრივი ვალდებულება არ წარმოეშობა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობების არსებობისას, ქმედების ადგილს ენიჭება უპირატესობა შედეგის ადგილთან შედარებით (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 79).

უმოქმედობის დროს დანაშაულის ჩადენის ადგილია ის, სადაც უნდა ემოქმედა პირს, ასევე სადაც უმოქმედობის შედეგი დადგა ან პირის წარმოდგენით უნდა დამდგარიყო.

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული ამ თანამონაწილისათვის ჩადენილია როგორც ამსრულებლის მიერ ქმედების ჩადენისა და შედეგის დადგომის ადგილას, აგრეთვე იქ, სადაც თანამონაწილე მოქმედებდა და უმოქმედების შემთხვევაში უნდა ემოქმედა ასევე, სადაც, მისი წარმოდგენით, დანაშაული უნდა ჩადენილიყო. თუ უცხოეთში ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილე საქართველოში ჩადენს ქმედებას, იგი დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, მაშინაც, როცა ეს ქმედება დანაშაულის ჩადენის ადგილას დასჯადი არ არის.

მაშასადამე, მაშინ, როდესაც თანამონაწილისათვის დანაშაული ჩადენის ადგილი არის აგრეთვე ამსრულებლის მიერ დანაშაული ჩადენის ადგილი, ამსრულებლისათვის - პირიქით, დანაშაულის ჩადენის ადგილია არა თანამონაწილის ქმედების ადგილი, არამედ მიმერ დანაშაულის ჩადენის ადგილი, რადგანაც თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილი

პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, მაშინ, როდესაც ამსრულებლის პასუხისმგებლობა თანამონაწილის პასუხისმგებლობისაგან დამოუკიდებელია.

როგორც ცნობილია, ე.წ. „სუყველგანობის“ (ანუ „საყოველთაობის“) თეორიას ისტორიულად წინ უძღოდა „მოქმედების“ თეორია (ფრანკი), რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილად აცხადებდა მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ადგილს. მისი წინამორბედი ახევე ე.წ. „შედეგის“ თეორია (ლისტი). ორივე ეს თეორია გარკვეულწილად ზღუდავს სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის ფარგლებს, რის გამოც აუცილებელი გახდა ორივე მათგანის შეერთება. ამ ახალი სინთეზური თეორიის მიხედვით, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში, საქართველოში ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა (ე.წ. მოქმედების თეორია) ან დამთავრდა (ე.წ. შედეგის თეორია) მის ტერიტორიაზე. ეს ნორმა მთლიანობაში წარმოადგენს ე.წ. „სუყველგანობის“ თეორიის საკანონმდებლო რეგლამენტაციას.

3.5 საქართველოს საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავში, კერძოდ, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებში, რომლებიც ეძღვნება ქართული სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს, მოცემულია ნაციონალურ სისხლის სამართლის კანონში ასახული საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები (ასეთი ტერმინოლოგია: „საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები“ იხ. წიგნში: *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 167; ასევე: *D. Oehler, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 1983, გვ. 130).

ამ პრინციპების ჩამოყალიბებისას სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი ქვეკომისია ძირითადად ეყრდნობოდა კონტინენტალური ევროპის სისხლის სამართლის კანონისა და დოგმატიკის პოზიციებს.

სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისა და სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელებასთან დაკავშირებით, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარეობს ხუთი პრინციპი.

კონტინენტალური ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საერთო სამართლის ქვეყნებში არ არის პრინციპთა მრავალფეროვნება და იქ, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (*cross-frontier offences*), უპირატესობა ენიჭება ე.წ. ტერიტორიულობის პრინციპს (იხ. *M. Mansdörfer (Hg.), Die allgemeine Straftatlehre des common law*, 2005, გვ. 220).

3.5.1 ტერიტორიულობის პრინციპი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

დანაშაული საქართველოშია ჩადენილი, თუ იგი დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოში. სუვერენიტეტის პრინციპით, დანაშაული საქართველოშია ჩადენილი, თუ ქმედება საქართველოში იქნა ჩადენილი, ან შედეგი აქ დადგა.

ტერიტორიულობის პრინციპით იურისდიქციის გავრცელების დროს გამოჩნდის ე.წ. **მსტერიტორიულობის წესი**. ამ წესიდან გამომდინარე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ, თუ მას იმუნიტეტი არ მოეხსნა, არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს იურისდიქცია.

რომის სტატუტის 27-ე მუხლის თანახმად, არც შიდასახელმწიფოებრივი და არც დიპლომატიური იმუნიტეტი არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს შემდეგი ოთხი სახის დანაშაული, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ამავე სტატუტის მე-5 მუხლში: 1. გენოციდი; 2. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ; 3. ომის დანაშაული; 4. აგრესია. (ამ მეოთხე დანაშაულის შემადგენლობა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, მაშასადამე, მასზე ჯერჯერობით ვერ ხორციელდება სასამართლოს ფაქტიური იურისდიქცია).

იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს (საზღვაო ან საჰაერო) ხომალდზე ან ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, რომელიც უფლებამოსილია, ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

ე.წ. „**ალმის პრინციპი**“ აქვს საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარება (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 32).

ხომალდი ითვლება საქართველოს მცურავ ან მფრინავ ტერიტორიად. მოქმედი ქართული კოდექსი, (განსხვავებით ძველისაგან), ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სამოქალაქო და სამხედრო ხომალდებს. ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. სუვერენიტეტის პრინციპი. ასე, მაგალითად, თუ ქართული გემი იმყოფება თურქეთის ნავსადგურში და მასზე მოხდა დანაშაული, ამ ქმედების მიმართ გავრცელდება როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის იურისდიქცია. დამნაშავეს თავისი სისხლის სამართლის კანონის გამოყენებით გაასამართლებს ის სახელმწიფო, რომლის ხელშიც აღმოჩნდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით უცხოეთის ტერიტორიაზე მყოფ ხომალდზე ვრცელდება როგორც ჩვენი, ასევე იმ ქვეყნის იურისდიქცია, რომლის ტერიტორიაზეც ის იმყოფება. ასევე, პირიქით, იგივე წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუკი თურქეთის გემი ჩვენს ნავსადგურშია.

ანალოგიურად წყდება საკითხი, თუ დანაშაული მოხდა საელჩოს ტერიტორიაზე. აქ ჩადენილ დანაშაულზე ვრცელდება ორივე ქვეყნის იურისდიქცია. მაგალითად, საქართველოს მოქალაქის მიერ უცხოეთში საქართველოს საელჩოს ტერიტორიაზე შეღწევა, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ამა თუ იმ ნივთის გატაცების მიზნით, რაც გამოიხატა სიგნალიზაციის სისტემის გაფუჭებით შენობაში შეღწევა და დაცვის თანამშრომლის მკვლელობაში, საელჩოს ადგილმდებარეობის ქვეყნის კანონით შეიძლება დაისაჯოს როგორც მკვლელობა, ქონების განადგურება და ა.შ., ხოლო სათანადო პირობების არსებობისას, ასევე, საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლით, როგორც, მაგალითად, ჯაშუშობა.

მაშასადამე, ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველო ახორციელებს თავის სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას მის ტერიტორიაზე ჩადენილ ნებისმიერ დასჯად ქმედებათა მიმართ, ვინც არ უნდა ჩაიდინოს იგი, იქნება ეს საქართველოს მოქალაქე, უცხოელი თუ მოქალაქეობის არმქონე პირი. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ საერთო წესიდან გამონაკლისია დიპლომატიური იმუნიტეტით აღჭურვილი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.

დასკვნის სახით შეიძლება კიდევ ერთხელ საზვასმით აღინიშნოს, რომ ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრის დროს საქართველოს სისხლის სამართლის კანონი აღიარებს ე.წ. „საყოველთაობის“ ანუ „სუვერენიტეტის“ პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება როგორც მაშინ, როცა დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასევე მაშინ, როცა აქ მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგი დადგა, ხოლო დანაშაულებრივი ქმედება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იქნა შესრულებული.

3.5.2 აქტიური პერსონალურობის ანუ მოქალაქეობის პრინციპი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, საქართველო თავის სისხლის სამართლის იურისდიქციას ახორციელებს ნებისმიერი იმ დასჯადი ქმედების მიმართ, რომელიც საკუთარი მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ იქნება ჩადენილი საზღვარგარეთ.

საკუთარი მოქალაქის დასჯის პრინციპი ამ შემთხვევაში გაფართოებულია დანაშაულის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მომენტზე მითითებით. ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული აქტიური პერსონალურობის პრინციპის ასეთი გაფართოება (ე.წ. *Domizilprinzip*) აღიარებულია საერთაშორისო სისხლის სამართალშიც (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 37-38).

აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირმა უცხოეთში ჩაიდინა დანაშაული, ხოლო ამის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 და სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, საქართველო არ გადასცემს ამ პიროვნებას უცხო სახელმწიფოს და მის მიმართ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას თვითონ განახორციელებს.

საქართველოს მოქალაქის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებს რომის სტატუტის 103-ე მუხლი, ისიც მხოლოდ ე.წ. *კომპლემენტარულობის* პრინციპის დაცვის პირობით (რომის სტატუტის მე-17 მუხლი).

ამრიგად, საქართველოს მოქალაქე (ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი), სადაც არ უნდა ჩაიდინოს მან დანაშაული, შეიძლება გასამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. მოქმედი კოდექსი არ აკეთებს დათქმას: თუ ისინი მსჯავრდებული არ ყოფილან სხვა სახელმწიფოში.

ერთი და იგივე ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპი: *ne bis in idem* (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი) მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით, ხოლო სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და *ad hoc* ტრიბუნალებთან, თუ სისხლის სამართლის მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში მოქმედებს სპეციალური წესები (იხ., მაგალითად, რომის სტატუტის მე-20 მუხლი).

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი აწესრიგებს *ne bis in idem*-ის (ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა) პრინციპთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს: „დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე იქნა საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად“.

ევროპის კავშირის სისხლის სამართალში თავისი განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა *ne bis in idem*-ის პრინციპმა. 1995 წლიდან მოქმედი *შენგენის შეთანხმების* 54-ე მუხლის მიხედვით, იმ პირის

მიმართ, ვინც ამ შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ უკვე გასამართლებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, არ შეიძლება ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის მიერ იგივე ქმედებისათვის მოექცეს ხელახალი დევნის ქვეშ, იმ პირობით, რომ გამოყენებული სანქცია უკვე აღსრულებულია, აღსრულების პროცესშია ან განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს სამართლით უკვე აღსრულებას არ ექვემდებარება.

ხელშეკრულებით გასამართლების ან დასჯის ამკრძალველი ეს ევროპული ნორმა აყენებს სამ წინაპირობას: (1) პირი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ხელშეკრულების მონაწილე ევროკავშირის წევრი ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს უკვე გასამართლებული; (2) უნდა შეეხებოდეს იგივე ქმედებისათვის ხელახლა გასამართლებას და (3) უნდა არსებობდეს აღსრულების ელემენტი (იხ. *H. Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht*, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 180).

„ევროპის კავშირის ძირითად უშვებათა მართია“, რომელზეც მითითებას აკეთებს ევროპის კავშირის ლისაბონის ხელშეკრულების (ამოქმედდა 2009 წლის 1 დეკემბერს) მე-6 მუხლი, იუსტიციურ უფლებათა თავში ეხება *ne bis in idem*-ის პრინციპს (მუხლი 50). იგი შენგენის შეთანხმების 54-ე მუხლისაგან განსხვავებით, კმაყოფილდება ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის არსებობის ფაქტით და არ მოითხოვს აღსრულების ელემენტის არსებობას. აღნიშნული ამარტივებს ამ პრინციპის გამოყენების პრაქტიკას ევროკავშირის ფარგლებში.

Ne bis in idem-ის პრინციპისადმი ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ფარგლებში განსხვავებული მიდგომა იმის მაჩვენებელია, რომ სამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობის ნდობის ხარისხი ევროპის კავშირის ფარგლებში გაცილებით უფრო მაღალია, რის გამოც იგი იქცა ტრანსნაციონალურ პრინციპად.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მიხედვით აქტიური პერსონალურობის პრინციპის გამოყენების მაგალითები:

საქართველოს მოქალაქემ დანაშაული ჩაიდინა რუსეთში. ჩადენილი ქმედება იქ დასჯადია, ჩვენთან - არა. საქართველო ვერ დასჯის და ვერც გადასცემს უცხო სახელმწიფოს თავის მოქალაქეს.

საქართველოს მოქალაქემ დანაშაული ჩაიდინა რუსეთში. ქმედება ორივე სახელმწიფოში დასჯადია. იგი დაისჯება ჩვენი კანონით, რუსეთისათვის გადაცემის გარეშე, თუმცა ამ ქმედებაზე ე.წ. ტერიტორიალურობის პრინციპით ვრცელდება რუსეთის იურისდიქციაც.

საქართველოს მოქალაქემ დანაშაული ჩაიდინა რუსეთში. ჩვენი კანონით დასჯადია, რუსეთში - არა. იგი დაისჯება ჩვენი კანონით მხოლოდ მაშინ, თუ პირი ამ ქმედების ჩადენის დროს მოქმედებდა საქართველოს (სახელმწიფოს ან მოქალაქის) ინტერესების წინააღმდეგ, ამასთან, ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე.

3.5.3 ღაცვის პრინციპი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოს იურისდიქცია, გამომდინარე ღაცვის პრინციპიდან, ვრცელდება ყველა იმ უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირის მოქმედებაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გარეთ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ჩაიდენს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ. ამ ინტერესების ხელყოფაში იგულისხმება არა მხოლოდ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის, არამედ აგრეთვე ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი პირი ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადობას, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავის მოქალაქეობისა (ე.წ. პასიური პრინციპის პრინციპი). საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია ვრცელდება აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა მიმართ, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავის მოქალაქეობისა (ე.წ. რეალური პრინციპი).

ამრიგად, თუ უცხოელმა უცხოეთში ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ქმედების ჩადენის ქვეყანაში დასჯადია, პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს კოდექსით, თუ ჩადენილი ქმედება არის საქართველოს (სახელმწიფოს ან მოქალაქის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის) ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

მაგალითად, თუ უკრაინის მოქალაქემ კიევში ჩაიდინა საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა (საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი), მისი ძარცვა (საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილი), თაღლითობა (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი) და ა.შ., იგი არ დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კანონით, ვინაიდან მის მიერ საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, მაგრამ საქართველოს მოქალაქის განზრახი მკვლელობის (სსკ-ის 108-ე მუხლი), დამამძიმებელ გარემოებებში თაღლითობის (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები) და ა.შ. ჩადენის შემთხვევაში, იგი ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციას, ვინაიდან სახეზე გვაქვს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

თუ უცხოელმა უცხოეთში ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილის კანონით დასჯადი არ არის, ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხ-

ლის სამართლის კოდექსით, თუ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ (მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულს, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე თავით გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

3.5.4 უნივერსალურობის პრინციპი

ამ პრინციპის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია ვრცელდება იმ ქმედებათა დასჯადობაზე, რომელთა დანაშაულებრივი ხასიათი გამომდინარეობს თვით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, მაგალითად, 1948 წლის გენოციდის კონვენციიდან, 1949 წლის ქენევის კონვენციებიდან და მათი 1977 წლის დამატებითი ოქმებიდან. ამ პრინციპის მიხედვით, უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის ჩადენის ადგილს და დამნაშავის მოქალაქეობას. თუ პირმა საზღვარგარეთ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, ჩვენი კანონით პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მხოლოდ მაშინ, თუ იგი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია (ე.წ. დაცვის პრინციპი), არამედ მაშინაც, თუ პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით (ე.წ. უნივერსალურობის პრინციპი).

საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით, ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დასჯადობის შემთხვევაში, არა აქვს მნიშვნელობა, სად იქნა ჩადენილი დანაშაული, ვინ იყო მისი ჩამდენი ან დანაშაულის მსხვერპლი.

სახელმწიფოთა საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებისადმი ფართო და ვიწრო მიდგომა.

ფართო ანუ აბსოლუტური უნივერსალური იურისდიქციის მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია გააგრძელოს თავისი იურისდიქცია იმის მიუხედავად, პირი იმყოფება თუ არა მის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. სახელმწიფოთა უფრო დიდი მხარდაჭერით სარგებლობს უნივერსალური იურისდიქციისადმი ვიწრო ანუ კონდიციური მიდგომა, რომლის მიხედვით, ამ პრინციპით იურისდიქციის გაგრძელების უფლებამოსილება აქვს სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული იმყოფება მის ტერიტორიაზე. სწორედ ასე მიუღწევენ საკითხს გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ევროპული

ქვეყნების სასამართლოები ექს-იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში, თუმცა საპირისპირო პოზიცია გამოხატა პოლანდიაში, როდესაც ჩათვალა, რომ უნივერსალური იურისდიქციის განსახორციელებლად არ იყო აუცილებელი ბრალდებულის მის ტერიტორიაზე ყოფნა.

უნივერსალური იურისდიქცია ვრცელდება დანაშაულთა მხოლოდ შეზღუდული წრის მიმართ. აღიარებულია, რომ საერთაშორისო და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებიდან იგი ვრცელდება ყველა იმ დანაშაულის შემადგენლობაზე, რომელიც ეკუთვნის კატეგორიას: *jus cogens* (საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმები), ხოლო სხვა დანარჩენი დანაშაულების თაობაზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები (იხ. *Ch. Bassiouni, Introduction to international criminal law, 2003*, გვ. 698).

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დანაშაულის შემადგენლობებს აქვთ *jus cogens*-ის სტატუსი, უნივერსალურობის პრინციპი დღეისათვის მაინც არ არის აღიარებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად, არამედ წარმოადგენს ჩვეულებრივ კონვენციურ ნორმას.

როგორია უნივერსალური იურისდიქციის ფარგლები, მაგალითად, შენევის კონვენციებისა და რომის სტატუტის მიხედვით?

შენევის კონვენციებიდან და მათი პირველი დამატებითი ოქმიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობას შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოებისათვის. უნივერსალური იურისდიქცია ეფუძნება დებულებას: *aut judicare aut dedere* (ან გადაეცი ან დასაჯე). სახელმწიფოს უფლებამოსილება, განახორციელოს უნივერსალური იურისდიქცია, გამომდინარეობს შენევის პირველი კონვენციის 49-ე, მე-2 კონვენციის 50-ე, მე-3 კონვენციის 129-ე, მე-4 კონვენციის 146-ე და პირველი დამატებითი ოქმის 85-ე მუხლებიდან.

ამ პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ან უბრძანა სხვას ჩაედინა ომის დანაშაული და, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, გაასამართლოს იგი საკუთარი სასამართლო ორგანოების მეშვეობით ან გადასცეს სხვა ქვეყანას იმ პირობით, რომ ამ სახელმწიფოს აქვს საკმაო საფუძველი პირის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. საერთაშორისო ხელშეკრულების თითოეული მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია განახორციელოს უნივერსალურობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა, ისევე, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის თუ მსხვერპლის სახელმწიფოსადმი კუთვნილებისა.

1998 წლის იენის-ივლისში, რომში ჩატარებულ დიპლომატიურ კონფერენციაზე, სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა იმ დებულებას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მისცემოდა ისეთივე უნივერსალური იურისდიქცია გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის მიმართ, როგორსაც თვითონ ფლობენ, თუმცა, ბოლო მომენტში, რათა დაერწმუნებინათ ზოგიერთი სახელმწიფო, არ გამოსულიყო სასამართლოს შექმნის იდეის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა კომპრომისული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რომის სტატუტიდან გამოირიცხა ასეთი იურისდიქცია იმ შემთხვევებში, როცა ბრალმდებელი მოქმედებს სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, გარდა უშიშროების საბჭოსგან მიღებული ინფორმაციისა.

რომის სტატუტის მე-12 მუხლი ზღუდავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დანაშაულებით, რომლებიც მოხდა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან გემზე ან მფრინავ აპარატზე და დანაშაულებით, რომლებიც ჩაიდინეს მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეებმა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა სახელმწიფო, რომელიც არ არის სტატუტის მონაწილე, ამ მუხლის შესაბამისად, სპეციალური განცხადების საშუალებით აღიარებს საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას მის ტერიტორიაზე, გემზე ან მფრინავ აპარატზე ჩადენილ დანაშაულთა მიმართ, ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.

უშიშროების საბჭო, გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ან აღდგენის მიზნით ან აგრესიის შემთხვევაში, უფლებამოსილია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განსახილველად გადასცეს იმ დანაშაულებთან დაკავშირებული საქმე, რომლებიც ჩადენილია სტატუტის არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში, სასამართლოს იურისდიქცია გაეროცელდება სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია მოცემულ სიტუაციაში.

თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია უნივერსალურობის პრინციპის შინაარსი. ასე, მაგალითად, საყურადღებოა ბელგიის ეროვნული სასამართლოების უნივერსალური იურისდიქცია, რადგან მის მიერ აბსოლუტური უნივერსალურობის პრინციპის შემოღების გამო მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან შევიდა დაზარალებულთა განაცხადები ბელგიის სასამართლოებში სხვადასხვა სახელმწიფოების რამდენიმე ათეულ მაღალი თანამდებობის პირთა ბრალდების მოთხოვნით.

თავის დროზე ბელგიამ აირჩია გზა, რომლის მიხედვით, დაშვებულ იქნა პირის გასამართლება იმის მიუხედავად, იმყოფებოდა თუ არა იგი ბელგიის ტერიტორიაზე. კერძოდ, 1993 წელს ბელგიაში მიღებული იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც, ბელგიის სასამართლოს

შეუძლია დასაჯოს დამნაშავეები, მიუხედავად იმისა, თუ სად, როდის და ვის მიერ იქნა ჩადენილი ეს დანაშაული. მისი იურისდიქცია ვრცელდება ჟენევის სამართლით გათვალისწინებულ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევაზე. ყოველივე ეს ხდება ე.წ. უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბელგიის სამართლის მიხედვით, არა მარტო კანონით არის განსაზღვრული, არამედ რეალურადაც ხორციელდება უცხოელთა მიმართ უცხოეთში ჩადენილი დანაშაულებისათვის.

ძირითადად, საქმე ეხება ადამიანის უფლებათა დამრღვევ ყოფილ დიქტატორებსა და სახელმწიფოთა მაღალი თანამდებობის პირებს. ბელგიის კანონმდებლობის მიერ თავდაპირველად აბსოლუტური უნივერსალური იურისდიქციის აღიარებამ შექმნა გარკვეული პრობლემები სამართალწარმოების პროცესში. ასე, მაგალითად, ბელგიის იურისდიქცია გავრცელდა ჩადის ყოფილ დიქტატორზე, ირანის ყოფილ პრეზიდენტზე, გენერლებზე და სხვა პირებზე გუატემალადან, კამბოჯადან, რუანდიდან, მაგრამ როდესაც საქმე შეეხო ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონს, კერძოდ, 1982 წლის სექტემბერში მისი თავდაცვის მინისტრობისას ლიბანის ტერიტორიაზე ლტოლვილთა ბანაკებზე პალესტინელების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის დროს დაახლოებით 2500 ადამიანის უმოწყალოდ ამოხოცვის ფაქტს, რის გამოც, სხვებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის „Amnesty International“-ის 2002 წლის 14 მაისის მოხსენებით, იგი ომის დანაშაულის ჩამდენად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ბელგიის სასამართლომ შეგნებულად გააჭიანურა გადაწყვეტილების მიღება.

2002 წლის 14 თებერვალს საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ (ICJ) ჰააგაში მიიღო ნაციონალური სასამართლოების მიერ უნივერსალურობის პრინციპის გამოყენებით იურისდიქციის განხორციელების შემზღუდავი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, სახელმწიფოთა ახლანდელი და ყოფილი მთავრობის წევრები მათი დიპლომატიური იმუნიტეტის გამო ომის დანაშაულის ჩადენისათვის სხვა ქვეყანაში არ შეიძლება სასამართლოს წინაშე იქნენ წარდგენილი და ისინი შეიძლება მხოლოდ მათ ქვეყანაში გასამართლდნენ. ამით შარონის გასამართლება ბელგიის სასამართლოს მიერ არ მოხდა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების მიერ მათი წესდებებიდან გამომდინარე იურისდიქციის გამოყენებაზე.

ასეთია ბელგიის ე.წ. უნივერსალური იურისდიქციის შინაარსი. ის რეალურად ასამართლებს ადამიანებს უცხოეთში ჩადენილი ისეთი საერთაშორისო დანაშაულებისათვის, რომლებსაც ბელგიასთან არავითარი შემხებლობა არა აქვთ, მაგრამ მათი დასაჯადობა გამომდინარეობს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან. ეს არ არის საერთაშორისო სასამართლო, არამედ - ეროვნული, რომელიც საერთაშორისო დანაშაულებზე ავრცელებს ნაციონალურ იურისდიქციას.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დანაშაულის შემადგენლობებს აქვთ *jus cogens*-ის სტატუსი, უნივერსალურობის პრინციპი დღეისათვის მაინც არ არის აღიარებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად, არამედ ცალკეული სახელმწიფოების მიერ მისი გამოყენება ხდება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

3.5.5 მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის შესაბამისად, აღიარებულია პოლიტიკური თავშესაფრის უფლება უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად.

იმ შემთხვევაში, როცა დადგინდება, რომ პირის გადაცემას მომთხოვნი მხარისათვის მოჰყვება მის მიმართ არაობიექტური და მიკერძოებული მართლმსაჯულების განხორციელება და მოხდება მასთან პოლიტიკური ანგარიშსწორება, მაშინ მისი გადაცემა ამ ქვეყნისათვის დაუშვებელია და დანაშაულის ჩამდენი პირი ე.წ. მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპით დაექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას. ამ პრინციპმა შემდეგი სიტყვა-სიტყვითი ასახვა პპოვა სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში: „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.“

დანაშაულის ჩამდენი უცხოელი, რომელიც საქართველოში იმყოფება, საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად (თუ არის ასეთი) ან კეთილი ნების საფუძველზე, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს.

სსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს:

ა) შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის;

ბ) ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება;

გ) თუ სხვა სახელმწიფოში სიკვდილით დასჯაა დაწესებული ამ დანაშაულისათვის.

ასეთ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით. საერთაშორისო

სისხლის სამართალი ასეთ წესად ითვალისწინებს ე. წ. მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპს.

შეიძლება, პირს არ მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდი-სათვის, რომ მას ჩადენილი აქვს საერთაშორისო დანაშაული, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება არ გადაეცეს სხვა სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, თუ დადგინდება, რომ ამ პირის მიმართ გადაცემის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტანჯვას, წამებას, არაადამიანურ ან ღირსების დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელის გამოყენებას.

მაშასადამე, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს 1951 წლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ უკანასკნელს. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეკედენტული სამართლის მიხედვით, ექსტრადიციის პროცესში უფლებათა დარღვევა სასამართლოს მიერ შეიძლება შეფასდეს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების ხელყოფად (ამის შესახებ იხ. *A. Peters, Einführung in die Europäische Menschenrechtskonvention, 2003, გვ. 52-57*).

ამრიგად, საერთაშორისო სისხლის სამართლის ზემოთ განხილული ხუთი პრინციპის შინაარსი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ მის ტერიტორიაზე ან მხოლოდ მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ ქმედებათა დასჯადობით, არამედ ამ იურისდიქციის ფარგლები გაცილებით ფართოა.

ამ ხუთი პრინციპის არსში სრულყოფილად წვდომა იმიტომ არის აუცილებელი, რომ უცხოური ელემენტით ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის წარმოება უნდა დაიწყოს სწორედ იმ საკითხის შემოწმებით, აქვს თუ არა საქართველოს ამ ხუთი პრინციპიდან ერთერთით მაინც შემხებლობა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან. თუ ამ ხუთი პრინციპიდან სახეზე არა გვაქვს თუნდაც ერთი, მაშინ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, გააერცვლოს თავისი იურისდიქცია. ამ ხუთი პრინციპიდან მხოლოდ ერთი - ე.წ. აქტიური პერსონალურობის პრინციპი უკრძალავს საქართველოს პირის გადაცემას უცხო სახელმწიფოსათვის, ხოლო სხვა პრინციპები მას, თავისი შეხედულებისამებრ, აძლევენ როგორც გადაცემის, ასევე გასამართლების უფლებას. მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე კი, არ შეიძლება პირის გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის იმ შემთხვევაში, თუ ამით შეილახება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ადამიანის უფლებები, რაც, აქტიური პერსონალურობის პრინციპისგან განსხვავებით, მოითხოვს შეფასებას.

4 დანაშაული. დანაშაულის ცნება, სისტიმა და კატეგორიები

4.1 დანაშაულის ცნება და სისტიმა ზოგადად

დანაშაულის სისტიმა, რომელიც ეფუძნება დანაშაულის ზოგად მოძღვრებას, სისხლის სამართლის საუნივერსიტეტო სწავლების პროცესის ქვაკუთხედიანია. იგი სტუდენტს ეხმარება შემთხვევის (კაზუსის) სწორად ამოხსნასა და დასაბუთებაში (ე.წ. დასკვნის სტილი), ხოლო შემდეგ პრაქტიკოს იურისტს - სისხლის სამართლის ნორმის რაციონალურად გამოყენებაში.

დასკვნის სტილი განსხვავდება ე.წ. განაჩენის სტილისაგან. განაჩენში თავდაპირველად ყალიბდება მოსამართლის მიერ სასამართლო გამოძიების შედეგად უკვე მოპოვებული შედეგი. იგი ყოველთვის წინ უძღვის დასაბუთების პროცესს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს დასაბუთების ჩამოყალიბება. განაჩენისაგან განსხვავებით, დასკვნაში ავტორი თავდაპირველად აყენებს ჰიპოთეზას და სუბსუმციის გზით, კაზუსის ამოხსნის სქემის გამოყენებით, ასაბუთებს ან უარყოფს ჰიპოთეზის სისწორეს, რის შედეგადაც აკეთებს დასკვნას.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, არსებობს დანაშაულის ჩადენის *ექვსი* სხვადასხვა შესაძლო შემთხვევა, შესაბამისად, შემთხვევის (კაზუსის) ამოხსნის ექვსი სხვადასხვა სქემა. ეს შემთხვევებია:

- მოქმედებით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაული;
- მოქმედებით ჩადენილი განზრახი დაუმთავრებელი დანაშაული;
- მოქმედებით ჩადენილი გაუფრთხილებლობითი დანაშაული;
- უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაული;
- უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დაუმთავრებელი დანაშაული;
- უმოქმედობით ჩადენილი გაუფრთხილებლობითი დანაშაული.

მაშასადამე, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, არსებობს დანაშაულის ჩადენის ეს ექვსი სხვადასხვა შემთხვევა.

დანაშაულის ცნება. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გავამახვილებ დანაშაულის ცნების შესახებ. საქართველოს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა, 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, ახლებურად ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვე-

ლის შინაარსი. კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დანაშაული წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას.

მოძღვრება დანაშაულზე შეისწავლის ქმედების დასჯადობის სამართლებრივ საფუძველს. დანაშაულის ზოგადი მოძღვრება განსაზღვრავს იმ ელემენტებსა და მის შემადგენელ ნიშნებს, რომლებიც საერთოა ყველა დანაშაულისათვის, რის გამოც ისინი წარმოადგენენ დანაშაულის სისტემის აგებულების ნაწილებს.

მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ეყრდნობა გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკიდან მომდინარე დანაშაულის სამსაშინააღმდეგო სისტემას. ამ სისტემის მიხედვით, დანაშაულის ელემენტებია:

1. **ქმედების შემადგენლობა**, ე.ი. პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ქმედების შემადგენლობა არ არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი. იგი განსხვავდება ქართულ სისხლის სამართალში მანამდე არსებული ე.წ. დანაშაულის შემადგენლობის ძველი კონსტრუქციისაგან (ობიექტი; ობიექტური მხარე; სუბიექტი; სუბიექტური მხარე), რომელიც თავის თავში მოიცავდა დანაშაულის ყველა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანს;

2. **მართლწინააღმდეგობა**, ე.ი. პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი და არა ვიწროდ გაგებული სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა;

3. **ბრალი**, ე.ი. მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარე, გაბატონებული იყო ადრეულ ევროპულ და ასევე საბჭოურ სისხლის სამართლის დოქტრინაში.

გარდა ამისა, ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა გერმანული სისხლის სამართლიდან გადმოიღო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიანი სისტემა - მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი (და შემამსუბუქებელი) გარემოებების სახით.

საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს როგორც მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა შორის განსხვავება, ასევე გამართლებისა და პატიების ზეკანონური გარემოებების (სსკ-ის 32-ე და 38-ე მუხლები) საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

ასევე, არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები (სსკ-ის მე-4 კარი), რომლებიც, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, წარმოადგენენ მის მიმართ პროცესის წარმოების დამაბრკოლებელ გარემოებებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ პირი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმის გამო, რომ მისი მოქმედება მართლზომიერია (მაგალითად, სიცოცხლე მოუსპო მოძალადეს თავისი ან სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას აუცილებელი მოგერიების ვითარებაში), თუ უბრალოდ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, რადგან გავიდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა (სსკ-ის 71-ე მუხლი). მართალია, საბოლოო შედეგი ერთი და იგივეა, მაგრამ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, თუ რა საფუძველით მოხდა პირის გათავისუფლება. გარდა ამისა, ამ განსხვავებას აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა რეაბილიტაციის საკითხის გადაწყვეტისათვის.

ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართლის მოძღვრებაში (*common law*) განვითარებული დანაშაულის სისტემა განსხვავდება ქართული, შესაბამისად, ასევე გერმანული დანაშაულის სისტემისაგან. როგორც ცნობილია, ანგლო-ამერიკული პრეცედენტული სამართალი ძირითადად ორიენტირებულია სასამართლო პროცესზე, ამიტომ მატერიალური სისხლის სამართალიც, უხეშად რომ ითქვას, სასამართლო პროცესზეა მიორგებული. ამ სისტემის მიხედვით, მთავარია, სასამართლოზე მხარეთა შეჯიბრობითობის გზით, მტკიცებულებათა წარმოდგენისა თუ ამ მტკიცებულებათა გაბათილებით, მიღებულ იქნეს სწორი გადაწყვეტილება (იხ. *H. Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht*, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 256).

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალი დანაშაულის ორკვალიან სისტემას ეფუძნება:

1. გარემოებები, რომლებიც პასუხისმგებლობას აფუძნებენ (*offences*);
2. გარემოებები, რომლებიც პასუხისმგებლობას გამორიცხავენ (*defences*).

პირველში თავმოყრილია ქმედების როგორც ობიექტური (*actus reus*), ისე ქმედების სუბიექტური ნიშნები (*mens rea*), ხოლო მეორეში, დიფერენციაციის გარეშე, მოცემულია როგორც მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამოძრიცხველი, ისე სხვა გარემოებები, მაგალითად, ხანდაზმულობა, თუმცა ასეთი დიფერენციაცია მოცემულია ზოგიერთ სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიაში, რომლებიც ანგლო-ამერიკული მატერიალური სისხლის სამართლის ანალიზს ახდენენ თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის გამოყენებით (იხ. *Markus. D. Dubber, Einführung in das US-amerikanische Strafrecht*, 2005, გვ. 139, 178).

საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის დანაშაულის სისტემა, შეიძლება ითქვას, რომ ფორმით უფრო მეტად ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში მოცემული დანაშაულის ორსაფეხურიანი სისტემის მსგავსია. აღნიშნული განპირობებულია არა მარტო პოლიტიკური, არამედ ასევე ისტორიული ფაქტორით. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გაეროს მიერ დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლოები – ექს-იუგოსლავიისა და რუანდის *ad-hoc* ტრიბუნალები მკვეთრად ორიენტირებულია ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართლის სისტემაზე. რომის სტატუტმა, მართალია, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ სფეროში მნიშვნელოვნად შეცვალა პოზიცია, მაგრამ დანაშაულის სისტემის ორწევრიანი დაყოფა მაინც შეინარჩუნა.

უკანასკნელი წლების მოვლენებმა ცხადყო, რომ სისხლის სამართლის დოგმატიკა ხდება უფრო ინტერნაციონალური, ვიდრე ადრეულ პერიოდში. კონტინენტალურ-ევროპული სისხლის სამართლის იდეები ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე. საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართალი, მართალია, ფორმით უფრო ანგლო-ამერიკულია, (მაგალითად, დანაშაულის ორსაფეხურიანი სისტემა), მაგრამ ბევრ საკითხში შინაარსით – კონტინენტალურ-ევროპული. მაგალითად, ექს-იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ *Stakic*-ის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს (იხ. *Prosecutor v. Stakic, Judgement 31. 7. 2003*) ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნისას გამოყენებულ იქნა გერმანელი პროფესორის *კლაუს როქსინის* ე.წ. „ქმედებაზე ბატონობის თეორია“ (იხ. *C. Roxin, Täterschaft und Tatherrschaft, მე-8 გამოცემა, 2006*). მიუხედავად იმისა, რომ ექს-იუგოსლავიის ტრიბუნალის სააკველაციო პალატა და ზოგიერთი ავტორი შეეცადა, მისი, როგორც „*German doctrine*“, დოგმატიკური და ტრანსნაციონალური მნიშვნელობა შეესუსტებინა, საერთაშორისო სისხლის სამართლის მნიშვნელოვან გამოკვლევებსა და ICC-ის მიერ *Lubanga*-ს საქმეზე გაკეთებულ შეფასებებში კვლავ მოხდა ამ თეორიის ტრანსნაციონალური მნიშვნელობის აღიარება (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 136*).

4.2 დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ბანჭოთარების ისტორია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ავითარებს იმ შეხედულებას, რომ დანაშაულის სისტემა არის სამსაფეხურიანი, მაგრამ როგორც მე-19 საუკუნის ბოლოდან დაწყებული დანაშაულის ზოგადი მოძღვრების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, დანაშაულის სამსაფეხურიანი აგება შეიძლება სხვადასხვა სისტემაში გამოიხატოს. (შეად. *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 199-211*. ქართულ

ენაზე იხ. *ო. გამყრელიძე*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1989, გვ. 138-155. იხ. აგრეთვე: *M. Turawa*, Straftatsysteme in rechtsvergleichender Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbegriffs. Ein Beitrag zur Entwicklung eines rechtsstaatlichen Strafrechts in Georgien, დისერტაცია, 1998, გვ. 13-51).

დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა არის ფილოსოფიურ-დოგმატიკური განვითარების შედეგი. იგი წარმოადგენს მატერიალური სისხლის სამართლის იმ ნაწილს, რომლის შინაარსიც კონკრეტულად არ არის დარეგულირებული სისხლის სამართლის კანონში. იგი სათავეს იღებს დანაშაულის კლასიკურ სისტემაში. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა *ერნსტ ბელინგმა* (იხ. *E. Beling*, Die Lehre vom Verbrechen, 1906) ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნება იმგვარად, როგორც ეს მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დანაშაულის ეს სისტემა გაიზარდა შინაარსობრივად, მაგრამ არა გარეგნულად.

ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთობლიობა ამ სისტემაში წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, რომელიც ბრალთან ერთად ქმნის დანაშაულის ცნებას.

მართლწინააღმდეგობას, უმართლობისაგან განსხვავებით, არ გააჩნია ხარისხები. იგი ან არსებობს, ან არ არსებობს. არ შეიძლება ერთი ქმედება მეორე ქმედებაზე მეტი მართლწინააღმდეგობის შემცველი იყოს. უმართლობა კი, განსაზღვრავს ქმედებისა და შედეგის სამართლებრივ უღირსობას. (ქართული ტერმინი: ქმედების უღირსობა (*Handlungsunwert*) და შედეგის უღირსობა (*Erfolgusunwert*) იხ. *წიგნში: ო. გამყრელიძე*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1989, გვ. 148).

სისხლისსამართლებრივი უმართლობა შეიძლება სამართლებრივი სიკეთის, ჩადენილი ქმედების ხასიათის, მიყენებული ზიანისა და სხვა გარემოებების მიხედვით მეტი ან ნაკლები იყოს. მაშასადამე, არსებობს უმართლობის ხარისხები. ასე, მაგალითად, მკვლელობის უმართლობა უფრო დიდია, ვიდრე ჯანმრთელობის დაზიანების.

კლასიკური სისტემიდან თანამედროვე ფუნქციონალურ სისტემამდე, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, სისხლის სამართლის მეცნიერებამ გაიარა დანაშაულის სისტემის განვითარების სხვადასხვა ეტაპები.

ლისტისა და *ბელინგის* მიერ ჩამოყალიბებულმა დანაშაულის კლასიკურმა სისტემამ განვითარება ჰპოვა *ფიშერის* მიერ დაფუძნებულ და განსაკუთრებით *ჰეგლერის*, *ნაგლერის*, *მეცკერის*, *ბაუმანის*, *ვებერის* მიერ განვითარებულ ნეოკლასიკურ სისტემაში. დანაშაულის ფინალურ სისტემას სათავე დაუდო *ველცელმა* და მას ჰყავს არაერთი ცნობილი წარმომადგენელი *მაურახის*, *შტრატენვერტის*, *პირშისა* და სხვათა სახით.

ზოგადი ნაწილის წარმოდგენილი მიმოხილვა აგრძელებს *თინათინ წერეთლისა* და *ოთარ გამყრელიძის* ნეოკლასიკურ ტრადიციებს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ეფუძნება დანაშაულის ფინალურ სისტემას იმ ნაწილში, რომელიც ქმედების შემადგენლობას ყოფს ორ ნაწილად: ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებად, ასევე ითვალისწინებს *გალახის* მიერ დაფუძნებული და *იეშეკის*, *ვესელისისა* და სხვათა მიერ განვითარებული თელეოლოგიურ-სოციალური მოძღვრების მიერ ფინალური სისტემის მოდერნიზაციას, რომელსაც დანაშაულის სისტემის ნეოკლასიკურ-ფინალური სინთეზი ეწოდება. ქმედების შემადგენლობის დაყოფას ობიექტურ და სუბიექტურ ნაწილებად თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში მხარდაჭერა აქვს. წარმოდგენილი მიმოხილვის თავისებურება მდგომარეობს დანაშაულის სისტემაში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ორმაგი ფუნქციის აღიარებაში.

არსებობს ასევე *როქსინის*, *იაკობისისა* და სხვების მიერ ჩამოყალიბებული ფუნქციონალური სისტემები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაბატონებულ შეხედულებებს და ქართულ სისხლის სამართალშიც მხოლოდ მეცნიერული დისკუსიის სფეროს შეიძლება წარმოადგენდნენ.

4.2.1 კლასიკური სისტემა

კლასიკური სისტემა წარმოადგენს დანაშაულის განსაკუთრებით ნათელ და მარტივ მოძღვრებას (კლასიკური სისტემის თანამედროვე მოძღვრების შესახებ იხ. *W. Naucke, Strafrecht*, მე-10 გამოცემა, 2002, გვ. 231-326). იგი ეფუძნება იურიდიული აზროვნების ისეთ მეცნიერულ სისტემას, როგორცაა პოზიტივიზმი. იგი მე-19 საუკუნის ფილოსოფიური ნატურალიზმის ზეგავლენას განიცდის. სისხლის სამართალიც უნდა ყოფილიყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სიზუსტის იდეალს დაქვემდებარებული. ამიტომ სისხლის სამართალიც უნდა გამხდარიყო ემპირიულად მტკიცებადი რეალობის ასახვა. მოსამართლის ფუნქცია უნდა ყოფილიყო მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასება და სასჯელის შეფარდება და არა სამართალშემოქმედება.

კლასიკური სისტემის ატრიბუტებია: დანაშაულის *კაუზალური* და ბრალის *ფსიქოლოგიური* ცნებები. ამ სისტემის მიხედვით, უმართლობა განიხილება, როგორც დანაშაულის გარეგანი, ხოლო ბრალი - შინაგანი მხარე. ამ სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის ობიექტური მხარე, ე.ი. დასჯადობის ყველა ობიექტური წანამძღვარი ეკუთვნის ქმედების შემადგენლობასა და მართლწინააღმდეგობას, რომელიც უმართლობის ცნების ობიექტურ-კაუზალურ სურათს წარმოადგენს. ქმედების შემადგენლობა გაგებულია, როგორც ქმედების განხორციელების წმინდა გარეგანი აღწერა ყოველგვარი შეფასების გარეშე (მაგალითად, ჯარისკაცის მიერ ადამიანის მოკვ-

ლა ომში, რომელიც მართლწინააღმდეგობის ეტაპზე შეიძლება მართლზომიერად შეფასდეს). ამ ქმედების იურიდიული შეფასება ხდება მართლწინააღმდეგობის ეტაპზე და ისიც წმინდა ობიექტური კრიტიკრიუმებით.

კლასიკური სისტემით, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი უმართლობა მხოლოდ გარეგანი, ობიექტური ნიშნებისაგან შედგება, ყველა სუბიექტურ-სულიერი ელემენტი განიხილება ბრალის შემადგენელ ნაწილებად, რომელშიც ქმედების სუბიექტური შერაცხვის დამახასიათებელი ნიშნები არის გაერთიანებული. ამიტომ, ბრალი წარმოადგენს დანაშაულის ყველა სუბიექტური ელემენტის გვარეობით ცნებას.

ასე წარმოიშვა ადამიანის ქცევის დამახასიათებელი განსაკუთრებით ფორმალური სურათი, რომელიც განასხეავებს ნატურალისტურად გაგებულ მოქმედებას, ობიექტურ-დესკრიფციულად ჩამოყალიბებულ ქმედების შემადგენლობას, ობიექტურ-ნორმატიულად განსაზღვრულ მართლწინააღმდეგობასა და სუბიექტურ-დესკრიფციულად გაგებულ ბრალს.

მართლწინააღმდეგობასა და ბრალს შორის გამიჯვნა ობიექტურისა და სუბიექტურის გაგებით პირველად მოხდა *ფრანც ფონ ლისტის* სახელმძღვანელოს მე-2 გამოცემაში (1884). ბრალის ეტაპზე შერაცხადობა წარმოდგენილ იქნა, როგორც ბრალის აუცილებელი წინაპირობა, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა - როგორც ბრალის ფორმები. მართლწინააღმდეგობის შეგნება, როგორც ბრალის ნიშანი, აღიარებულ იქნა *ბელინგის* მიერ, მაშინ როდესაც *ლისტი* მას უარყოფდა.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დანაშაულის კლასიკური სისტემა განიცდის კრიტიკას. მისი შეცვლა ნეოკლასიკური სისტემით იყო ლოგიკური. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ფარგლებში მისი ცალკეული ელემენტების გადაჯგუფება გამოწვეული იყო იმ მოსაზრებით, რომ უმართლობა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ობიექტური ნიშნებით და ასევე ბრალიც ყოველთვის მხოლოდ წმინდა სუბიექტური ელემენტებისაგან არ შედგება. მაგალითად შეიძლება დასახელდეს ქურდობის შემადგენლობა, რომელიც მხოლოდ ობიექტურად სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში არ გამოიხატება, არამედ სუბიექტურად აუცილებელია, არსებობდეს მითვისების მიზანი, რომელიც მას განასხეავებს მითვისების მიზნის გარეშე იგივე მოქმედებისაგან, რომელიც სისხლისსამართლებრივად, როგორც წესი, ირელევანტურია. მითვისების სუბიექტური ნიშანი უნდა იყოს სახეზე, რათა ქურდობის ქმედებისა და მისი უმართლობის სურათი სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი. ასევე ბრალი საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის დროს დამოკიდებულია ობიექტურ გარემოებებზე, ხოლო „შეუგნებელი გაუფრთხილებლობის“ (დაუდევრობა) დროს მოქმედებაში საერთოდ არ არის ნებელობითი ელემენტი.

კლასიკურ სისტემას პრობლემა აქვს უმოქმედობის დასჯადობის დროსაც, რომელიც სისხლის სამართალში მოქმედების ცნებასთან ერთად ქმედების ერთიან ცნებაში უნდა გაერთიანდეს, რაც კაუზალურ ცნებაში ვერ მოხდება, ვინაიდან უმოქმედობა არ არის სხეულის მოძრაობა, არამედ მისი საწინააღმდეგო მოვლენაა. სწორედ *ლიბტი* იყო ის, ვინც პირველმა დაინახა უმოქმედობის არსი არა სხეულებრივ ქცევაში, არამედ მოვლენის სოციალურ არსში. ამით იგი ითვლება მოქმედების ნატურალისტური ცნების წინააღმდეგობის გადამლაზველად.

ყველა დანარჩენი მომდევნო სისტემა სათავეს იღებს სწორედ კლასიკური სისტემიდან, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მისი როლი დანაშაულის სისტემის განვითარებაში. თუმცა არსებობს სხვა სისტემების ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებიც აუცილებელს ხდის მათთვის უპირატესობის მინიჭებას კლასიკურ სისტემასთან შედარებით დანაშაულის სისტემის აღიარების დროს. ესენია: მოძღვრება ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნებისა და უმართლობის სუბიექტური ელემენტების შესახებ, ბრალის ნორმატიული თეორია, ისევე როგორც განზრახვისა და გაუფროთხილებლობის ორმაგი ფუნქცია უმართლობისა და ბრალის ეტაპზე.

4.2.2 ნეოკლასიკური სისტემა

პოზიტივიზმითა და ნატურალიზმით დეტერმინირებული კლასიკური სისტემა უნდა შეცვლილიყო თელეოლოგიურ-შეფასებითი სისტემით, რომელიც კაუზალურ აზროვნების სისტემას მოწყდებოდა და სოციალ-ეთიკურ ღირებულებით წარმოდგენებსა და კრიმინალ-პოლიტიკურ მიზანდასახულობებს დაეფუძნებოდა.

კატეგორიულიდან თელეოლოგიურ სისტემატიკაზე გადასვლა იყო სისხლისსამართლებრივი აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი პროგრესი, რომელიც განახორციელა დანაშაულის ნეოკლასიკურმა სისტემამ. იგი მეთოდოლოგიურად ეფუძნება გასული საუკუნის დასაწყისში განვითარებულ ნეოკანტიანურ ღირებულებათა თეორიას (*ვინდელბანდი, რიკერტი, ლასკი*).

ნეოკლასიკური სისტემის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა აღარ წარმოადგენს წმინდა ობიექტურ-ფორმალური კრიტერიუმებით განსაზღვრულ კატეგორიებს. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია კი, შეიცვალა ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიით. ამ სისტემის სამართლებრივ-დოგმატიკური არსი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ქმედების შემადგენლობის კლასიფიკაცია მოხდა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებად, ასევე აღიარებულ იქნა სუბიექტური მომენტი მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, ასევე ის, რომ გარკვეულ შემთხვევაში ბრალი ობიექტურ მომენტებს დაეფუძნა.

ნეოკლასიკური სისტემის ნოვაციური მნიშვნელობა, რაც მდგომარეობს უმართლობის სუბიექტური ელემენტების შესახებ მოძღვრების განვითარებაში, სხვა სისტემებში შემდგომში უფრო განავითარეს და სრულყვეს.

დღეს თითქმის ერთხმად არის აღიარებული, რომ უმართლობა არა მხოლოდ ობიექტური, არამედ ასევე სუბიექტური მომენტებისაგან შედგება (მაგალითად, მითვისების მიზანი ქურდობის დროს, თავდაცვის მიზანი აუცილებელი მოგერიებისას). ასევე თავიდან აუცილებელია ბრალის ობიექტური ელემენტების აღიარება, რომლებიც განსაკუთრებულ ობიექტურ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნებიან (ე.წ. ბრალის ობიექტური ნიშნები). მაგალითად, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით წარმოადგენს მკვლელობის პრივილეგიურ შემადგენლობას, თუ მას ადგილი ექნება „მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ“. ამ შემთხვევაში ბრალის ეტაპზე ყურადღება ექცევა დედის განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობას. ბრალის შემამსუბუქებელი ეს გარემოება აღწერილია ობიექტური და აღწერილობითი (დესკრიფციული) ნიშნებით, სუბიექტური განსაკუთრებული სიტუაცია არ საჭიროებს სპეციალურად დადგენას, იგი უდავოდ ივარაუდება, თუ სახეზეა აღნიშნული ობიექტური ფაქტობრივი გარემოებები.

ნეოკლასიკური სისტემის მიხედვით, არსებობს ქმედების შემადგენლობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ელემენტები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ უმართლობას აფუძნებენ. დღეს უკვე აღიარებულია, რომ უმართლობის ელემენტებია: სუბიექტის მიზანი, მოტივი, ემოცია. განსაკუთრებულ როლს ასრულებს უმართლობის სუბიექტური ელემენტები მცდელობის დასჯადობის დროს. ასევე, თუ სუბიექტმა აუცილებელი მოგერიების დროს არ იცის, რომ ობიექტურად იმყოფება მოგერიების მდგომარეობაში და ამიტომ არა აქვს თავდაცვის მიზანი. ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის იგი დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის ან მეორე განსხვავებული შეხედულებით - დანაშაულის მცდელობისათვის და მისი რეალურად თავდაცვითი მოქმედება არ შეფასდება აუცილებელ მოგერიებად.

ეს სუბიექტური ელემენტები ამ სისტემის მიხედვით ეკუთვნის არა ბრალს, არამედ მათ აქვთ უმართლობის დამაფუძნებელი მნიშვნელობა, მაგრამ სუბიექტური ნიშნებისათვის უმართლობის ეტაპზე ასეთი მნიშვნელობის მინიჭება ითვლება გამონაკლისად და ამ სისტემის წარმომადგენლებს არ უნდათ, რომ იგი გადაიქცეს წესად, რომ ამით უმართლობის სუბიექტური ელემენტების მნიშვნელობა გადაჭარბებულად არ იქნეს წარმოდგენილი.

ფინალისტთა კრიტიკის მიხედვით, სისხლის სამართლის ნეოკლასიკური დოგმატიკა „ნახევარ გზაზე გაჩერდა“, რადგან ამ სისტემამ მხოლოდ განსაკუთრებული მიზნები და სუბიექტური ტენ-

დენციები, მაგრამ არა ზოგადად, ასევე, დამნაშავის განზრახვა უმართლობის სუბიექტურ ელემენტად აღიარა, როგორც ეს მოგვიანებით ფინალურმა სისტემამ გააკეთა. ნეოკლასიკური სისტემისათვის კი, პირიქით, მიუღებელია, რომ ფინალურმა მოძღვრებამ განზრახვაც უმართლობის სუბიექტურ ელემენტად გამოაცხადა. ამ სისტემის წარმომადგენლების აზრით, ეს არის გამონაკლისის წესად გადაქცევა. ნეოკლასიკური სისტემის მიხედვით, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე უნდა დომინირებდნენ ობიექტური ელემენტები და, ამდენად, ამ სისტემის წარმომადგენლები უმართლობის ეტაპზე სუბიექტის შინაგან წარმოდგენასა და ნების მიმართულებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

უმართლობის ნორმატიული და სუბიექტური ნიშნებისა და ბრალის კომპლექსურ-ნორმატიული მოძღვრების აღიარება არის წინადადგემული ნაბიჯი სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებაში, მაგრამ მიმაჩნია, რომ, მართლაც, ეს არის ნახევარ გზაზე გაჩერება, როგორც ამაზე ფიქრობენ ფინალისტები, რადგან, ასევე, განზრახვაც უნდა იქნეს აღიარებული უმართლობის სუბიექტურ ნიშნად. ვფიქრობ, რომ ფინალურმა მოძღვრებამ ბოლომდე სწორად მიიყვანა სისხლისსამართლებრივი უმართლობის სუბიექტივიზაციისა და ბრალის ცნების ნორმატივიზაციის ნეოკლასიკური სისტემის მიერ დაწყებული პროცესი.

4.2.3 ფინალური სისტემა

ფინალურმა სისტემამ ასევე შეინარჩუნა მე-19 საუკუნის ბოლოდან მომდინარე სისხლისსამართლებრივი აზროვნების სქემა – დანაშაულო, როგორც ქმედების შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, მაგრამ დანაშაულის სისტემის ცალკეული ეტაპების აღწერა გვიჩვენებს, რომ დანაშაულის მოძღვრების საფუძვლად აღებულმა ფინალურად განსაზღვრულმა მოქმედების ცნებამ მთლიანი სისტემა სრულიად შეცვალა, რაც მოცემულია *ჰანს ველცელის* სახელმძღვანელოში, რომლის ბოლო გამოცემა 1969 გამოვიდა (იხ. *H. Welzel, Das Deutsche Strafrecht*, მე-11 გამოცემა, 1969) ასევე სხვა ავტორებთან (მაგალითად, *მაურახი, ციპფი, შტრატენვერტი, ებერტი*).

ფინალიზმის ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური საფუძვლები აღწერილია *ველცელის* ცნობილ ნაშრომში: „სისხლის სამართლის სისტემის ახალი სურათი“ (იხ. *H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems*, 1961), რომელიც 1961 წლით თარიღდება.

ველცელის მიერ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაფუძნებული ფინალური მოძღვრება, რომელიც გასული პერიოდის ფორმალისტური და რელატივისტური სისტემებისაგან განსხვავებულია, შეეცადა, ფენომენოლოგიის აზროვნების სტილზე დაყრდნობით, რომელიც ადამიანის მიზნით დეტერმინირებულ ქმედებას დანაშაუ-

ლის მოძღვრების ცენტრალურ ცნებად აცხადებს, დანაშაულის ახალი სისტემა ონთოლოგიურად დაასაბუთოს. იგი ეფუძნება ფენომენოლოგიურ-ონთოლოგიურ მოძღვრებებს. თავისი მოქმედების ფინალური თეორიით *ველცელი* შეეცადა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაკეთებულ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს დაჟრდნობოდა, განსაკუთრებით გამოიყენა ის ანალიზები, რომლებიც *ნიკოლაი პარტმანზ* გააკეთა. მან თავისი მოძღვრების ცენტრში დააყენა მოქმედების ონთოლოგიური სტრუქტურა. მოქმედების ფინალური მოძღვრების ამოსავალი პუნქტია *პარტმანის* თეზა.

თავის სახელმძღვანელოში *ველცელი* ეხება მოქმედების შესახებ მოძღვრების ისტორიულ ტრადიციას, რომელიც ჯერ კიდევ *სამუელ პუფენდორფმა* (1636-1694) განავითარა და სათავეს *არისტოტელესთან* იღებს. ბუნებით სამართალში განვითარებულ შერაცხვის თეორიაში ჩამოყალიბებული მოქმედების ეს ცნება *ბიოჰუმერმა* (1704-1772) გადმოიტანა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. *ჰეგელი* და სხვა *ჰეგელიანერები* (განსაკუთრებით *აბეგი*, *ბერნერი*, *კოსლინი*) განსაზღვრავდნენ მოქმედებას, როგორც შერაცხვაუნარიანი სუბიექტის მიერ განხორციელებულ თავისუფალ ნებას. მოქმედების ასეთი ცნება იყო აბსოლუტურად გაბატონებული მანამ, სანამ *ლისტისა* (1884) და *ბელინგის* (1902) მიერ არ ჩამოყალიბდა მოქმედების ახალი კაუხალური ცნება. *ველცელი* სწორედ ამ წინანატურალისტურ ტრადიციებს დაეფუძნა და შექმნა მოქმედების ფინალური ცნება, რომელმაც გამოიწვია მთელი სისხლის სამართლის სისტემის ძირფესვიანი რესტრუქტურისაცია.

მოქმედების ფინალური თეორიის აღწერის დროს მოგვიანებით *როქსინი* (იხ. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 244) მიუთითებს ამ მსგავსებაზე, როცა ის წერს, რომ მოქმედების ფინალური მოძღვრების მსგავსება *ჰეგელის* მოქმედების ცნებასთან თვალშისაცემია. *როქსინის* შეფასებით, ფინალიზმმა გადმოიღო ეს სტრუქტურა, მაგრამ უმართლობა და ბრალი, რომლებიც *ჰეგელთან* ჯერ კიდევ მოქმედების ცნებაშია ინტეგრირებული, გამოტანილია მოქმედების ცნებიდან და წარმოადგენენ თანამედროვე სისტემის დამოუკიდებელ კომპონენტებს.

ფინალიზმის მიხედვით, ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა წარმოადგენენ ე.წ. უმართლობის პერსონალურ ცნებას, ხოლო ბრალი წარმოადგენს წმინდა ნორმატიულ კატეგორიას *გასაკაცხობის* სახით.

ჯერ კიდევ ნეოკლასიკური სისტემა გახდა იძულებული, დანაშაულის მცდელობის შემთხვევებში ეღიარებინა, რომ განზრახვა უმართლობის სუბიექტური ელემენტია. ასევე, ფინალიზმის მიხედვით შეუძლებელია, მცდელობის დროს წმინდა ობიექტურად, პირის სუბიექტური მიზანდასახულობის გარეშე დადგინდეს, რომელი შემადგენლობა იქნა განხორციელებული. როცა ერთი პირი მეორეს ესვრის,

შეიძლება ეს გარეგანი კაუზალური ქცევა მკველლობის მცდელობა, ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა ან სხვა ქმედება იყოს, იმის და მიხედვით, თუ რა განიზრახა პირმა. განზრახვა მცდელობის დროს გარკვევით არის ქმედების შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი, რომლის გარეშე გარეგანი (ობიექტური) ქცევის ქმედების შემადგენლობასთან შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია. დანაშაულის მცდელობის დროს ნეოკლასიკური სისტემის მიხედვით თუ განზრახვა უმართლობის ერთ-ერთი სუბიექტური ელემენტი, მაშინ ამ წანამძღვრიდან *ველცელს* გამოჰყავს ლოგიკური შედეგი, რომ განზრახვა, რომელიც მცდელობის დროს ქმედების შემადგენლობას და არა ბრალს ეკუთვნის, იგივე ფუნქციას ინარჩუნებს მცდელობიდან დელიქტის დამთავრების სტადიაზე გადასვლის შემთხვევაშიც. დამაჯერებელია ამასთან დაკავშირებით *ველცელის* მტკიცება, რომ განზრახვა ყოველთვის წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელ კატეგორიას: განზრახვა წარმოადგენს არა ბრალის, არამედ უფრო ადრეულ სტადიაზე ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელ ელემენტს. *ველცელის* მიხედვით, დანაშაულის მოძღვრება ლოგიკური აუსცილებლობით იძულებულია, რომ განზრახვა უმართლობის სუბიექტურ ელემენტად აღიაროს ყველა განზრახვი ქმედების შემადგენლობისათვის. აქედან გამომდინარე, არა კაუზალური, არამედ მოქმედების ფინალური ცნება წარმოადგენს უმართლობის ცნების არსებით ელემენტს.

განზრახვის გადატანა ბრალის ეტაპიდან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე იწვევს ასევე ბრალის ცნების სტრუქტურის შეცვლას, რაც გამოიხატა ბრალის ფსიქოლოგიური ცნებიდან ნორმატიულ ცნებაზე გადასვლაში.

იეშეკი (იხ. *H.-H. Jescheck, ZStW 93 (1981), გვ. 16*) მიუთითებს ფინალიზმის შემდეგ სამ თვისებაზე:

-ქმედება ვიწრო და შეზღუდული გაგებით არის ადამიანური მიზანმიმართული საქმიანობა;

-განზრახვა ეკუთვნის არა ბრალს, არამედ ქმედებას;

-განზრახვი და გაუფრთხილებლობითი დელიქტები შეიძლება ერთმანეთისაგან გაიმიჯნონ უკვე უმართლობის შემადგენლობის ეტაპზევე.

როქსინმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში (იხ. *C. Roxin, Zur Kritik der finalen Handlungslehre, ZStW 74 (1964), გვ. 515*), ისევე, როგორც თავის სახელმძღვანელოში (იხ. *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 243-248*), ჩამოაყალიბა მოქმედების ფინალური მოძღვრების კრიტიკა. კრიტიკის მთავარი პუნქტი არის ის, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, უმოქმედობით ჩადენილი დელიქტებისათვის არ არის ადეკვატური, ვინაიდან პირი, რომელიც არ მოქმედებს, შედეგისათვის არ არის კაუზალური, მას არ შეუძლია, ასევე ფინალურად მოქმედებდეს, რადგან ის მიზეზობრივი ჯაჭვის განვითარებაზე არ

ზემოქმედებს. ასევე, მოქმედებით ჩადენილი დელიქტებისათვის არის პრობლემური, რომ ფინალურობის ცნებამ მათთვის საერთო საფუძველი შექმნას. ეს საერთო საფუძველი რომ დაესაბუთებინა, *ველცელმა* თავდაპირველად ე.წ. „შეუგნებელი გაუფრთხილებლობა“ (დაუდევრობა), რომლის დროსაც შედეგი არა ფინალურად, არამედ „ბრმად კაუზალურად“ დგება, დაახასიათა როგორც ადამიანური ქცევის „გაუპუღმართებული ფორმა“. ის, რაც ორივე, როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებელ მოქმედებას ერთი გვარეობითი ცნების ქვეშ ათავსებს, არის ფინალურობის მომენტი, რომელიც განზრახი მოქმედების დროს, როგორც ნამდვილი მიზანმიმართული ქცევა, რეალურად არსებული ფაქტორის სახით არსებობს (აქტიური ფინალურობა), ხოლო გაუფრთხილებელი მოქმედების დროს იგი მხოლოდ როგორც შესაძლებელი მიზანმიმართული ქცევა (პოტენციური ფინალურობა, მაგალითად, *როქსინის* კრიტიკული შეხედულებით, რეალურად არ არსებობს, შესაბამისად, არ არსებობს გვარეობითი ცნებაც, რის გამოც გაუფრთხილებელი ქმედება არც ფინალურია და არც საერთოდ მოქმედება ფინალური თვალსაზრისით.

ასევე იეშეკი (იხ. *H.-H. Jescheck / T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 221-222*) ხედავს მოქმედების ფინალური მოძღვრების სპეციფიკურ სისუსტეს გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. მოქმედების დამახასიათებელი მომენტი ამ შემთხვევაში მდგომარეობს არა ნამდვილ (რეალურ), არამედ მხოლოდ შესაძლებელ ფინალურ ურთიერთობაში.

განა შესაძლებელია ყველა ქმედების ფინალური მართვა? - დასმულია შეკითხვა ბაუმან, ვებერ, მიჩის სახელმძღვანელოში (იხ. *J. Baumann / U. Weber/ W. Mitsch, Strafrecht, AT, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 218*). ამ მოძღვრების მიხედვით, ძალზე საეჭვოა, რომ ნებისმიერი ადამიანური ქცევა შეგნებულად ფინალურად იყოს მართული. სირთულეს წარმოადგენს გაუფრთხილებლობა, ევენტუალური განზრახვა, უმოქმედობა, რომლებიც მოქმედების მიზანმიმართულ ფინალურ ცნებაში ვერ თავსდებიან. სწორედ ამიტომ, გაბატონებულია შეხედულება, რომელიც სისხლისსამართლებრივი მოქმედების ონთოლოგიურად დასაბუთებას უარყოფს, რის გამოც დღის წესრიგში დადგა მოქმედების ახალი სამართლებრივ-სოციალური ცნების ჩამოყალიბება. ამის შედეგად, ისევე როგორც მოქმედების ფინალური მოძღვრება ქმედების შემადგენლობის ფინალურ მოძღვრებაში გადაიზარდა, ასევე მოქმედების ფინალურობის ონთოლოგიური ცნება სამართლებრივ-სოციალური ფინალურობის ცნებით შეიცვალა (*როქსინი; იეშეკი*).

დღეისათვის, მართალია, მოქმედების ფინალურმა ცნებამ მისი ასეთი დიდი მნიშვნელობა დაკარგა. ამასთან უდიდესია დანაშაულის ფინალური მოძღვრების მნიშვნელობა სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებისათვის. *როქსინმა*, ფინალური სისტემის ერთ-ერთმა

კრიტიკოსმა, მართალია, აღნიშნა, რომ მოქმედების ფინალური ცნება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დანაშაულის ზოგად მოძღვრებას, მაგრამ ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელიც ფინალიზმმა შემოიტანა უმართლობის ცნების განვითარებაში.

ასევე იეშეკი ჯერ კიდევ 1961 წელს (იხ. *H.-H. Jescheck, ZStW 73 (1961), გვ. 205*) აღნიშნავდა, რომ შეცდომას უშვებს ის, ვისაც უნდა, რომ ფინალური სკოლის მნიშვნელობა მხოლოდ მოქმედების ცნებით შეაფასოს. მისი აზრით, (იხ. *H.-H. Jescheck, (ZStW) 93 (1981), გვ. 17*), ფინალიზმის მნიშვნელოვანი ეპოქალური დამსახურება მდგომარეობს შემდეგში:

- ქმედების უღირსობისა და შედეგის უღირსობის თანაბარმნიშვნელობის დადგენა მატერიალური უმართლობის ცნებაში;
- ბრალის ცნების სრული ნორმატივიზაცია ქმედების შემადგენლობაში განზრახვის გადატანით;
- დიფერენციაცია ქმედების შემადგენლობისა და სამართლებრივი აკრძალვის შესახებ შეცდომაში;
- თანამონაწილეობის მოძღვრების ახლებურად ჩამოყალიბება „ქმედებაზე ბატონობის თეორიის“ მიხედვით.

ფინალური მოძღვრების მნიშვნელოვანი დებულებები, მათ შორის პერსონალური უმართლობის ცნება, შენარჩუნებულ და გამოყენებულ იქნა გაბატონებული თელეოლოგიურ-სოციალური სისტემის მიერ, რომლის ძირითადი ელემენტია მოქმედების სოციალური ცნება.

4.2.4 თელეოლოგიურ-სოციალური სისტემა

თელეოლოგიურ-სოციალური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ნეოკლასიკურ-ფინალურ სინთეზს, არის დანაშაულის მოძღვრების განვითარების ახალი ეტაპი. მოქმედების ფინალური ცნების კრიტიკის პარალელურად, ეს თანამედროვე გაბატონებული სისტემა განავითარეს *გალასმა* და *ბოკელმანმა*, რომლის მიმდევრები არიან, ასევე, *იეშეკი* და *ვაიგენდი* (იხ. *H.-H. Jescheck/T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996*), *ვესელსი* და *ბოილკე* (იხ. *J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 2008*), თავიანთი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ცნობილი სახელმძღვანელოებით.

ამ თანამედროვე თელეოლოგიური სისტემის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას დანაშაულის სისტემაში **ორმაბი ვუნძცნია** ეკისრებათ, როგორც უმართლობის (ქცევის ფორმა), ასევე ბრალის (ბრალის ფორმა) ეტაპზე. შემდეგი მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ამ სისტემას საფუძვლად უდევს მოქმედების სოციალური მოძღვრება, რომელსაც მოქმედების ცნებაში ქცევის სოციალური მნიშვნელობა შემოაქვს.

დოგმატიკური თვალსაზრისით, თელეოლოგიურ-სოციალური მოძღვრება წარმოადგენს უმართლობის პერსონალური და ბრალის ნორმატიული ცნებების მიხედვით აგებულ სისტემას.

თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში უმართლობის სუბიექტური ელემენტების არსებობა საყოველთაოდ არის აღიარებული. წარმოდგენილი მიმოხილვა ცდილობს, ხელი შეუწყოს ამ მოძღვრების განვითარებას ქართულ სისხლის სამართალშიც. ასეთს წარმოადგენენ: განზრახვა და სხვა ისეთი სუბიექტური ელემენტები, როგორცაა, მაგალითად, მითვისების მიზანი ქურდობის დროს, ხოლო სუბიექტური ქვენაგრძნობა, როგორცაა, მაგალითად, ანგარება, წარმოადგენს ბრალის ელემენტს.

ქმედების შემაღგენლობის განზრახვა არის სუბიექტის ფაქტობრივ გარემოებებთან ფსიქიკური ურთიერთობა (ქმედების ობიექტური შემაღგენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა), რომელიც ქმედების სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს. ფინალური სისტემისაგან განსხვავებით, უმართლობის სუბიექტური შემაღგენლობისადმი განზრახვის მიკუთვნება არ ნიშნავს, რომ განზრახვა ბრალის ეტაპზე ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, არამედ მას დანაშაულის სისტემაში *ორმაგი* ფუნქცია შეიძლება მივაკუთვნოთ.

არა მარტო უმართლობის შინაარსისათვის, არამედ ბრალის ხარისხის განსაზღვრისთვისაც მნიშვნელოვანია განსხვავება, ჩადენილია ესა თუ ის ქმედება განზრახ თუ გაუფრთხილებლობით და რა სუბიექტური ქვენაგრძნობები ამოძრავებდა ქმედების ჩამდენს?

განზრახვის ორმაგ ბუნებას შეესაბამება ასევე, გაუფრთხილებლობის ორმაგი ხასიათი და ადგილი, რომელიც მას უმართლობისა და ბრალის ეტაპზე გააჩნია (ობიექტური გაუფრთხილებლობისა და ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის სახით).

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, განზრახ დანაშაულს გააჩნია ქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემაღგენლობები, ხოლო გაუფრთხილებელ დანაშაულს – მხოლოდ ობიექტური შემაღგენლობა.

წარმოდგენილი მიმოხილვა ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ თვითიმედოვნების დროსაც არსებობს ქმედების სუბიექტური შემაღგენლობა.

4.2.5 ფუნქციონალური (მიზანრაცინონალური) სისტემები

თანამედროვე სისხლის სამართალში არსებობს ასევე „ფუნქციონალური“, „მიზანრაცინონალური“ მოძღვრებები, რომლებიც წარმოადგენენ ნეოკლასიკურ-ფინალური სისტემის შემდგომ განვითარებას და ავითარებენ ტრადიციულ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკას. ამ სისტემების წარმომადგენლები არიან გერმანელი *კლაუს როქი-*

ნი („თელეოლოგიურ-კრიმინალპოლიტიკური სისტემის პროექტი“ იხ. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 123-133), *გიუნთერ იაკობსი* (იხ. G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-2 გამოცემა, 1993) და სხვ.

ეს მოძღვრება წარმოადგენს განვითარების ახალ ეტაპს სისხლის სამართლის დოგმატიკაში, მათი ავტორების ნააზრევი არ წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას, რის გამოც, მისი განხილვა სცილდება წარმოდგენილი მიმოხილვის ფარგლებს.

4.3 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. დანაშაულის ცნება კი, აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე. დანაშაულის სისტემის ელემენტებია: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ამასთან, ძველი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი განსხვავებულად აყალიბებს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის შინაარსს. კერძოდ, მართლწინააღმდეგობა უნდა გავიგოთ როგორც წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი, ხოლო ბრალი - როგორც ნორმატიული (შეფასებითი) კატეგორია.

მიუხედავად ბრალის საკანონმდებლო დეფინიციის არარსებობისა, რაც არც არის საჭირო, შეიძლება ითქვას, რომ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა უარყო ბრალის გაბატონებული ფსიქოლოგიური თეორია და აღიარა ბრალის შეფასებითი ანუ ნორმატიული თეორია. ამის დამადასტურებელია თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 თავში მოცემული ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

4.4 ქმედების მცირე მნიშვნელობა და დანაშაულის სისტემა

პრობლემაზე მსჯელობას დავიწყებ ერთ-ერთი მაგალითით ქართული სასამართლო პრაქტიკიდან: ა.-მ ბაზრობაზე მოიპარა ყვავილების თაიგული, რომლის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 10 ლარს. პოლიციამ იგი შემთხვევის ადგილზევე დააკავა. ჩაიდინა თუ არა ა.-მ დანაშაული?

საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თემცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებ-

ული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას.

კანონის ეს ნორმა შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს სოციალური ადეკვატურობის თეორიის მიხედვით (Die Lehre von der sozialen Adäquanz, იხ. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 178-181), რომელსაც ჯერ კიდევ 1939 წელს დაუდო სათავე *ჰანს ველცელმა* და შემდგომ პერიოდში სხვა ავტორებთან პოეზა განვითარება.

სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, შესაძლებელია ქმედების მცირე მნიშვნელობის სამგვარი გაგება: (1) იგი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებას; (2) მიუხედავად დანაშაულის ჩადენისა, იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ მატერიალურ-სამართლებრივ გარემოებას; (3) იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელ პროცესუალურ-სამართლებრივ გარემოებას.

სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ქმედების მცირე მნიშვნელობა გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას, მაგრამ იგი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ *ნიშანს*, რომლის არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობა არ არსებობს, არამედ - *ინტერპრეტაციის პრინციპს*, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, სოციალურად საყოველთაოდ ტოლფერირებული (ტოლერანტობა - ლათ. tolerantia: მოთმინება, შეგუებულობა) მცირე მნიშვნელობის ქმედებები შეფასდეს, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი. *როქსინი* ჯერ კიდევ 1964 წელს წერდა „მცირე მნიშვნელობის პრინციპზე“, როგორც ქმედების შემადგენლობის ინტერპრეტაციის მაქსიმალურ (იხ.: C. Roxin, JuS 1964, გვ. 376; C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 181).

მაშასადამე, ქმედების მცირე მნიშვნელობის დროს სწორი გადაწყვეტილების მიღება ხდება ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე ორიენტირებული შეზღუდული ინტერპრეტაციის გზით. არის თუ არა ასეთი ინტერპრეტაცია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის კანონის სიტყვა-სიტყვით ტექსტთან შესაბამისი, თუ იგი წარმოადგენს კანონის ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის „თელეოლოგიურ რედუქციას“, არ არის მნიშვნელოვანი, რადგან სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქცია არ გამორიცხავს ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ „თელეოლოგიური რედუქციის“ მეთოდის გამოყენებას (ამის შესახებ იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, 2004, გვ. 157-158).

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ქმედების მცირე მნიშვნელობა ზოგჯერ თვით კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის კანონის ტექსტში არის მოცემული, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი. მაგალითად, სხვისი ნივთის დაზიანება

ან განადგურება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს დანაშაულს, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 187-ე მუხლი). ამასთან, თვით კანონმდებელმა განსაზღვრა ასეთი ზიანის თანხობრივი ოდენობა – ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 შენიშვნა). მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება წარმოადგენს დანაშაულს (სსკ-ის 340-ე მუხლი). აკრძალული საჩუქრის ღირებულება კი, განსაზღვრულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით.

ევროპულ ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, ქმედების მცირე მნიშვნელობა წვრილმანი დანაშაულების (ე.წ. პაგატელდელიქტების) დროს არ გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას და წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ სისხლის სამართლის გერმანული საპროცესო წესები (§153: *Strafprozeßordnung*) ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის შესაძლებლობას, თუ ჩადენილი ქმედება უმნიშვნელოა, ხოლო მისი ჩამდენი პირის გასაკიცხაობის (ბრალის) ხარისხი - დაბალი და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი (იხ. C. Roxin / B. Schünemann, *Strafverfahrensrecht*, 26-ე გამოცემა, 2009, გვ. 71-72).

ასეთი მიდგომისაგან განსხვავებით, ქართულ სისხლის სამართალში ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს არა პროცესუალურ-სამართლებრივ, არამედ მატერიალურ-სამართლებრივ პრობლემას. ასე, მაგალითად, მცირე მნიშვნელობის ქურდობა გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას. ქმედების მცირე მნიშვნელობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები კი, არ არის მოცემული კანონში და იგი უნდა განისაზღვროს სამართალწარმოების პროცესში.

4.5 დანაშაულის სისხლის ცალკეული ელემენტების ზოგადი მიმოხილვა ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

ქართული სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარე, შედეგად, დამთავრებული განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტი უნდა დადგინდეს შემდეგი სქემით:

(1) ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა:

ა) ქმედების სუბიექტი (ქმედება ჩადენილია ფიზიკური პირის მიერ. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შემოღებულ იქნა 2006 წლის 25 ივლისის კანონით – სსკ-ის მე-6¹ კარი);

- ბ) ქმედების ობიექტი (ქმედების შედეგად ზიანი მიადგა სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს);
- გ) ქმედება და შედეგი;
- დ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის (მიზეზობრიობის პირობათა თეორია);
- ე) შედეგის ობიექტური შერაცხვა;
- ვ) ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ელემენტები: დრო, ვითარება, საშუალება (მაგალითად, სსკ-ის 410-ე მუხლით დასჯადია დაქირავებულის გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში; სსკ-ის 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლებით დასჯადია საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს; სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის “გ” ქვეპუნქტით დასჯადია მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) და ა.შ.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა:

- ა) განზრახვა (ე.წ. არაბოროტი განზრახვა), მართლწინააღმდეგობის შეგნების გარეშე ფართო გაგებით. ეს იმას ნიშნავს, რომ განზრახ მოქმედებს არა მარტო ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ აგრეთვე ის, ვინც აუცილებელი მოტერიების მდგომარეობაში იმყოფება. აქედან გამომდინარე, ქმედების შემადგენლობის ელემენტი – განზრახვა (ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და ნებელობა) ბოროტ განზრახვად (*dolus malus*) იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრალის ეტაპზე დადგინდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების შეგნება სსკ-ის 36-ე მუხლის ანალოგიით;
- ბ) ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ელემენტები: მიზანი (მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლით დასჯადია ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რითაც იგი განსხვავდება სხვისი ნივთის დროებითი სარგებლობის მიზნით დაუფლებისაგან, რაც არ გვაძლევს ქურდობის ან სხვა ხერხით გატაცების შემადგენლობას. დროებითი სარგებლობის მიზნით სხვისი ნივთის წაღება ან საერთოდ არ გვაძლევს ქმედების შემადგენლობას, ან შეიძლება სპეციალური მუხლით დაისაჯოს. მაგალითად, სსკ-ის 184-ე მუხლით, ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მისაკუთრების მიზნის გარეშე დაუფლების შემთხვევა დასჯადი იყო სისხლის სამართლის წესით 2007 წლის 23 მაისის კანონის ძალაში შესვლამდე) და ა.შ.;

გ) აქვე უნდა შემოწმდეს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები.

(2) მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებია:

1. აუცილებელი მოგერიება;
2. დამნაშავის შეპყრობა;
3. უკიდურესი აუცილებლობა;
4. მართლზომიერი რისკი;
5. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი (დაზარალებულის თანხმობა, დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა, მოვალეობათა კოლიზია და ა.შ.).

(3) ბრალი

ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებებია:

1. ბრალუწარობა (შეურაცხაობა):
 - (ა) ასაკის გამო (14 წელს მიუღწევლობა);
 - (ბ) ფსიქიკური მდგომარეობის გამო (ფსიქიკის დროებითი აშლილობა ან ქრონიკული ფსიქიკური დაავადება).
2. შემცირებული ბრალუწარობა (შეზღუდული შეურაცხადობა). იგი ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა.
3. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა *ვიწრო* გაგებით - სამართლებრივი შეცდომა (შეცდომა აკრძალვაში, როცა პირმა არ იცის ბლანკეტური ნორმის შინაარსი, ე.ი. მის ქმედებაში შემაღვენლობის ნიშნების არსებობა ან შეცდომას უშვებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სამართლებრივ მხარეზე, როცა მას ჰგონია, რომ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, რომელიც მის მიერ განხორციელებულ ქმედების შემაღვენლობას გამართლებულად მიიჩნევს).
4. განზრახვის *dolus malus* ელემენტის: მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა *ფართო* გაგებით (შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ფაქტობრივ მხარეზე, მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიების დროს, როცა პირს ჰგონია, რომ იგერიებს რეალურ თავდასხმას, სინამდვილეში კი, ასეთს ადგილი არა აქვს).
4. ბრძანების ან განკარგულების შესრულება, თუ არსებობს გარკვეული პირობები (ე.წ. პირობათა თეორია).
5. ბრალის გამომრიცხველი სხვა ზეკანონური გარემოებები (ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების *მოთხოვნის* შეუძლებლობა: ტრაგიკული კოლიზია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობაში, მოვალეობათა

შესრულების შეუძლებლობასა და სხვა მსგავსი შინაარსის გარემოებებში).

4.6 დანაშაულის კატეგორიები

საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნით. მათგან უმეტესობა არ წარმოადგენს საკანონმდებლო კლასიფიკაციას, არამედ სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარების შედეგია.

4.6.1 კლასიფიკაცია დანაშაულის სიმძიმის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი, სიმძიმის მიხედვით, დანაშაულს ყოფს სამ კატეგორიად.

საკითხი იმის შესახებ, თუ დანაშაულის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტული შემადგენლობა, განისაზღვრება მხოლოდ აბსტრაქტული სასჯელის მიხედვით (ე.წ. აბსტრაქტულ-ბენეფიციური მიდგომა). არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სასჯელი დაენიშნება დამნაშავეს კონკრეტულად. თუ ნორმა ითვალისწინებს რამდენიმე ძირითად სასჯელს ალტერნატიულად, მაშინ დანაშაულის კატეგორია განისაზღვრება იმ ყველაზე მკაცრი სასჯელის მიხედვით, რომელიც უმაღლესი აბსტრაქტული სასჯელის სახით გათვალისწინებულია ამ ქმედებისათვის.

ამ დაყოფას არა აქვს მხოლოდ აკადემიური ხასიათი. დანაშაულის კატეგორია მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის მომზადების დასჯადობისათვის (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი).

თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით, მოქმედი კოდექსი (სსკ-ის მუხ. მე-12) ითვალისწინებს დანაშაულის შემდეგ სამ კატეგორიას:

1. ნაკლებად მძიმე (განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, სანქციით ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით);

2. მძიმე (განზრახი დანაშაული ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული სანქციით ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით);

3. განსაკუთრებით მძიმე (განზრახი დანაშაული სანქციით 10 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით).

მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობის პირველი და მე-2 ნაწილები მიეკუთვნებიან ნაკლებად მძიმე, ხოლო მე-3 და მე-4 ნაწილები - მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. სსკ-ის 108-ე მუხლი („განზრახ მკვლელობა“) მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

განსაკუთრებით მძიმედ ითვლება მხოლოდ განზრახი დანაშაული, ხოლო გაუფრთხილებლობითი - არა, თუნდაც იგი ითვალისწინებდეს 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას (მაგალითად, სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

დანაშაულის კატეგორიას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს სასჯელის აღსრულების რეჟიმის განსაზღვრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების, ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის, ნასამართლობის გაქარწყლების, პირობითი მსჯავრის შეფარდებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით, დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების მიხედვით, გათვალისწინებულია სასჯელის აღსრულების შემდეგი რეჟიმები: საერთო რეჟიმი, მკაცრი რეჟიმი და საპრობილუ.

4.6.2 დანაშაულის კატეგორიები ჩადენის ფორმის მიხედვით

ჩადენის ფორმის მიხედვით არსებობს დანაშაულის რამდენიმე კატეგორია.

(1) **შეღებბარეში** (ე.წ. **ფორმალური**) **დელიქტი** დამთავრებულიად ითვლება აქტიური მოქმედების ჩადენის, (მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემა – სსკ-ის 370-ე მუხლი), ან შესაძლებელი მოქმედების შეუსრულებლობის მომენტიდან, (მაგალითად, გადასახადისაგან თავის არიდება – სსკ-ის 218-ე მუხლი), მიუხედავად შედეგის დადგომისა.

(2) **შეღებიანი** (ე.წ. **მატერიალური**) **დელიქტი** მოითხოვს ობიექტური შედეგის დადგომას. იგი შეიძლება გამოიხატოს სამართლებრივი სიკეთის განადგურებაში (მაგალითად, მკვლელობა – სსკ-ის 108-ე მუხლი) ან დაზიანებაში (მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება – სსკ-ის 117-ე მუხლი) ან დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნაში, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (მაგალითად, აფეთქება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი – სსკ-ის 229-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

თინათინ წერეთელი არ ეთანხმება დანაშაულთა დაყოფას ე.წ. ფორმალურ და მატერიალურ დელიქტებად, რადგან, მისი აზრით, ეს ტერმინები ვერ გამოხატავენ საქმის არსს. მისი პოზიცია გამომდინარეობს გერმანულ ლიტერატურაში მიღებული დაყოფიდან: „*Erfolgsverbrechen*“ (შედეგაანი დანაშაული) და „*Begehungsverbrechen*“ (მოქმედებითი დანაშაული) და არ ეთანხმება დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ შემადგენლობებად კლასიფიკაციას (იხ. *თ. წერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 415 სქოლიოში).

(3) ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ **კონკრეტული**, **აბსტრაქტული** და **აბსტრაქტულ-კონკრეტული** საფრთხის დელიქტები.

თუ კანონი მოითხოვს კონკრეტული საფრთხის სიტუაციას, ადგილი აქვს კონკრეტული საფრთხის დელიქტს (მაგალითად, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება – სსკ-ის 127-ე მუხლი). თუ კანონი სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის არსებობის დადგენას არ მოითხოვს, მაშინ სახეზეა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი (მაგალითად, ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა – სსკ-ის 280-ე მუხლის პირველი ნაწილი). აბსტრაქტულისაგან განსხვავებით, აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მოსამართლეს უწევს იმის შემოწმება, კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხეს შეექძლო თუ არა გამოეწვია მძიმე შედეგი. (მაგალითად, სსკ-ის 288-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს იმის დადგენას, გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი მოპყრობის წესის დარღვევას შეექძლო თუ არა ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. ასევე 242-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია აფეთქებასაშიშ საწარმოში საწარმოო ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეექძლო გამოეწვია მძიმე შედეგი.

(4) **წმინდა უმოქმედობით** ჩადენილი დელიქტი არის ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენა შეიძლება მხოლოდ უმოქმედობით (მაგალითად, დანაშაულის შეუტყობინებლობა – სსკ-ის 376-ე მუხლი; დაუხმარებლობა – სსკ-ის 129-ე მუხლი). **შერეული უმოქმედობით** ჩადენილია დელიქტი, რომლის შემადგენლობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია აქტიური მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ იმავე შემადგენლობით კვალიფიცირდება უმოქმედობაც (მაგალითად, უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობა – სსკ-ის 108-ე მუხლი), თუ არსებობს სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, უმოქმედობის დასჯადობის სხვა ორ პირობასთან – (1) მოქმედების შესაძლებლობასა და (2) შედეგის თავიდან აცილებადობასთან ერთად, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

(5) შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ძირითად, კვალიფიციურ ან პრივილეგიურ შემადგენლობაში.

ქმედების ძირითადი შემადგენლობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი უმართლობის ტიპიზირებულ ფორმას (მაგალითად, განზრახი მკვლელობა – სსკ-ის 108-ე მუხლი). კვალიფიციური შემადგენლობა (მაგალითად, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში – სსკ-ის 109-ე მუხლი) უმართლობის ხარისხს ამადლებს, ხოლო პრივილეგიური (მაგალითად, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით – სსკ-ის 110-ე მუხლი) – ამცირებს.

ქმედების კვალიფიკაციის დროს კვალიფიციურ ან პრივილეგიურ შემადგენლობას ყოველთვის უპირატესი ძალა აქვს ძირითად შემად-

გენლობასთან მიმართებაში, ხოლო თუ ერთდროულად არსებობს ერთი და იმავე დანაშაულის კვალიფიციური და პრივილეგიური შემადგენლობები, უპირატესობა ენიჭება პრივილეგიურ შემადგენლობას (შედარებით მსუბუქი პრივილეგიური შემადგენლობის მიერ უფრო მძიმე კვალიფიციური შემადგენლობის ე.წ. დაბლოკვის ძალა).

(6) დანაშაულის ჩადენის „ნორმალურ შემთხვევაში“ წარმოადგენს ე.წ. **დამთავრებული დანაშაული**. ეს ის შემთხვევაა, როცა დანაშაულის შემადგენლობის ყველა ობიექტური და სუბიექტური ელემენტი სახეზეა. თუ შემადგენლობა მოლიანად არ არის განხორციელებული, მაშინ დანაშაული არ არის დამთავრებული (ე.წ. **დაუმთავრებელი დანაშაული**). გაუფრთხილებლობით დანაშაულს არა აქვს დასჯადი სტადიები, ხოლო შედეგიანი განზრახი დანაშაული გაივლის მომზადებისა და მცდელობის სტადიებს. დასჯადია მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და ზოგიერთი ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაულის მომზადება (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი). რაც შეეხება დანაშაულის მცდელობას, საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულის კატეგორიას არ ექცევა ყურადღება, არამედ კატეგორიის მიუხედავად, განზრახი დანაშაულის მცდელობა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმის საფუძველზე, კერძო ნაწილის მუხლში სპეციალური მითითების გარეშე.

მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩხუბის დროს, გაბრალებულმა ა.-მ თავში რკინის ჯოხის ჩარტყმით ბ.-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

ამ კაზუსის ამოხსნა თავდაპირველად იწყება მოქმედებით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაულის სქემით:

ჰიპოთეზა: ა.-მ რკინის ჯოხის ჩარტყმით შესაძლებელია, ჩაიდინა ბ.-ს ჯანმრთელობის განზრახი მძიმე დაზიანება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

თუ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე დადგინდა, რომ ა. მოქმედებდა ბ.-ს სიცოცხლის მოსპობის განზრახვით, ასეთ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს დანასაკვი (კონკლუზია), რომ არ შესრულებულა ჰიპოთეზაში დაყენებული ვარაუდი. მიზანშეწონილი არ არის დანასაკეში მოხდეს გადასვლა განზრახი მკვლელობის მცდელობაზე, არამედ პირველი ჰიპოთეზის უარყოფის შემდეგ ხელახლა უნდა მოხდეს ახალი ჰიპოთეზის დაყენება განზრახი მკვლელობის მცდელობის ჩადენის შესახებ, რა დროსაც ობიექტურზე ადრე ჯერ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა უნდა შემოწმდეს.

მცდელობის ობიექტური შემადგენლობა განსხვავდება დამთავრებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობისაგან. სსკ-ის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, უნდა შემოწმდეს, პირმა მისი წარმოდგენით ჩაიდინა თუ არა ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩადენისაკენ, თუ მან მხოლოდ შექმნა პირობები დანა-

შაულის ჩასადენად. მომზადებასა და მცდელობას შორის ზღერის გავლება ცალკეულ შემთხვევებში ძალზე ძნელია, რის გამოც არსებობს სხვადასხვა თეორიები.

მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნა ხდება ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე, რადგან სუბიექტურ სფეროში მათ შორის არ არის განსხვავება.

(7) შიკვინილი დელოქტი. ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს განზრახი დანაშაულის შემადგენლობებს, რომლებიც უკვე მომზადების ან მცდელობის სტადიაზე წარმოადგენენ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დამთავრებულ დანაშაულს. ასე, მაგალითად, დამთავრებული დანაშაულია აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება (სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი), ბანდიტური თავდასხმის მომზადება, რაც გამოიხატა მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნაში, პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით (სსკ-ის 224-ე მუხლის პირველი ნაწილი). რაც შეეხება ყაჩაღობის (სსკ-ის 179-ე მუხლი) მცდელობას, სისხლის სამართლის კოდექსით იგი არ არის ცალკე სტადიად გამოყოფილი, რადგან ყაჩაღობა დამთავრებულია მცდელობის ეტაპზე, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში თავდასხმის მომენტიდან, რაც მიზნად ისახავდა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას.

(8) დენადი, ბანბრძობადი და არაპრთბზისი დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა დანაშაულთა ამ სახეების საკანონმდებლო დეფინიციას.

სსკ-ის მე-13 მუხლის მიხედვით, დენადია სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და შემდეგ უწყვეტად ხორციელდება, ვიდრე არ მოხდება მისი აღკვეთა თვით დამნაშავის ან სხვა პირის, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების მიერ. მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სსკ-ის 143-ე მუხლი).

განგრძობადი დანაშაული (სსკ-ის მე-14 მუხლი) შედგება ორი ან მეტი დანაშაულებრივი აქტისაგან, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლის ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს. მისი დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ორი ან მეტი ქმედების ჩადენა ხდება ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით. იგი დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან, ხოლო ყველა ჩადენილი აქტი ერთობლიობაში განიხილება ერთ დანაშაულად.

მაგალითად, ა-მ განიზრახა ქურდობა, ხოლო ნაქურდალი ნივთები ეტაპობრივად, ერთი კვირის განმავლობაში, დამდამობით, ფარულად წაიღო სამშენებლო მოედნიდან. მიყენებული ზიანი მთლიანობაში აღემატება 10 000 ლარს, რის გამოც მისი ერთიანი განზრახვით ჩად-

ენილი რამდენიმე აქტისაგან შემდგარი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ქურდობა, ჩადენილი დიდი ოდენობით (სსკ-ის 177-ე მუხლი მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

რაც შეეხება არაერთგზის დანაშაულს, მისი საკანონმდებლო დეფინიცია შეიცვალა 2007 წლის 4 ივლისის საქართველოს კანონით. სსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად, არაერთგზისი დანაშაულის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ წინათ ნასამართლევი პირის მიერ, ამ ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე, ხდება იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში (ამის მაგალითია, სსკ-ის 177-ე მუხლის „აქურდობა“) მე-2 შენიშვნა).

სავალდებულოა, თუ არა, რომ პირი ახალი დანაშაულის ჩადენამდე მაინც და მაინც იგივე მუხლით იყოს გასამართლებული, თუ საკმარისია იგივე სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელება, ამ კითხვაზე კოდექსში არ არის პირდაპირ პასუხი გაცემული და წარმოადგენს ნორმის ინტერპრეტაციის საგანს. მართალია, სისხლის სამართალში ინტერპრეტაცია კეთდება კანონის სიტყვითი უღერადობიდან გამომდინარე, მაგრამ ეს არ არის ნორმის ერთადერთი სავალდებულო ახსნა-განმარტება. არ შეიძლება წინასწარ ზუსტად განისაზღვროს, ნორმა შეზღუდულად (რესტრიქციულად), თუ ფართოდ (ექსტენსიურად) უნდა იქნეს ინტერპრეტირებული. ამ საქმეში ინტერპრეტატორს ეხმარება სამართლის მეთოდების მოძღვრება, რომელიც კანონით წინასწარ ნორმატიულად არ არის დადგენილი. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება კანონის სიტყვასიტყვითი უღერადობის ფარგლებს გარეთ („*praeter verba legis*“) უნდა იქნეს მიღებული.

(9) ზოგადი და სპეციალური დელიქტები.

(ა) სუბიექტის მიხედვით, ზოგადია ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენა შეიძლება ნებისმიერი პირის მიერ. სპეციალური დელიქტის დროს დამნაშავეთა წრე შეზღუდულია იმ პირებით, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური თვისება, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ადამიანებისაგან (მაგალითად, სამოხელეო დანაშაულები). ამ სრულებლისაგან განსხვავებით, სპეციალური დანაშაულის თანამონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი.

სუბიექტის მიხედვით არსებობს ნამდვილი და არანამდვილი სპეციალური დელიქტები.

თუ სუბიექტის სპეციალური თვისება აფუძნებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, ასეთი დანაშაული წარმოადგენს ნამდვილ სპეციალურ დელიქტს, მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი). იმ შემთხვევაში კი, როცა დანაშაულის ჩადენა მის ძირითად ფორმაში შეუ-

ძლია ნებისმიერ პირს, ხოლო სუბიექტის სპეციალური თვისება მოქმედებს მხოლოდ, როგორც დამამძიმებელი გარემოება, სახეზე გვაქვს არანამდვილი (მოჩვენებითი) სპეციალური დელიქტები.

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, შერეული (არანამდვილი) უმოქმედობით ჩადენილი დელიქტები წარმოადგენენ სპეციალურ დელიქტებს, რადგან სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია წარმოადგენს კონკრეტული დამნაშავისათვის დამახასიათებელ თვისებას.

(ბ) ქმედების შინაარსის მიხედვით არსებობს ზოგადი და სპეციალური დელიქტები, რომელთაგან კვალიფიკაციის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალურს. მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი) წარმოადგენს სპეციალურ ნორმას სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობასთან მიმართებაში (სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

(10) დანაშაულის ჩადენაში ორი ან მეტი პირის მონაწილეობის შემთხვევაში არსებობს **თანაამსრულებლობით, შუალობითი ამსრულებლობითა და თანამონაწილეობით** ჩადენილი დანაშაულები.

დანაშაულის ჩადენის „ნორმალური შემთხვევა“ ინდივიდუალური ამსრულებლობა. თანაამსრულებლობის დროს აუცილებელი არ არის, რომ ყველა მათგანმა შეასრულოს ქმედების შემადგენლობის მთლიანი მოცულობა, საკმარისია, რომ ყველა მათგანმა ობიექტური შემადგენლობა ერთობლიობაში განახორციელოს (ე.წ. თანამიზეზობრიობა). მაგალითად, ა.-მ და ბ.-მ ავტომანქანიდან მოიპარეს მაგნიტოფონი. ა.-მ ჩაამტვრია საქარე მინა, ხოლო ბ.-მ მაგნიტოფონი გამოიტანა ფანჯრიდან. ნაქურდალი ნივთი მათ გაყიდეს და ფული გაინაწილეს. სუბიექტური შემადგენლობა (განზრახვა და მისაკუთრების მიზანი) თითოეული ამ ამსრულებლისათვის უნდა დადგინდეს ცალ-ცალკე.

თანაამსრულებლობა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი ამსრულებელი ასრულებს ქმედების შემადგენლობის ყველა ობიექტურ ნიშანს, ხოლო მეორე – არცერთს, მაგრამ ფუნქციონალურად არის დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის პროცესთან (ე.წ. თანაამსრულებლობის ფუნქციონალური თეორია). მაგალითად, ყაჩაღობის ან ქურდობის დროს ერთ-ერთი პირი, უსაფრთხოების მიზნით, რჩება გარეთ, ხოლო ორი შედის ბინაში და ახორციელებს ყაჩაღურ თავდასხმას ან ფარულად გამოაქვს ნივთი. თანამონაწილეობის დროს დანაშაულის ჩადენა ხდება როლების განაწილებით. ამ დროს ამსრულებელთან ერთად არსებობს თანამონაწილე (ორგანიზატორი; წამქეზებელი; დამხმარე). შეალობითი ამსრულებლობის დროს კი, ამსრულებელი დანაშაულს ჩადის ე.წ. ცოცხალი იარაღის გამოყენებით.

5 ქმედების შემადგენლობა

დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ანუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ქმედების შემადგენლობა, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა და ბრალი, დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია.

ქმედების შემადგენლობა შედგება *ორი* ნაწილისაგან: **ქმედების ობიექტური** და **ქმედების სუბიექტური შემადგენლობებისაგან.**

5.1 ქმედების ობიექტური შემადგენლობა

5.1.1 ობიექტური შემადგენლობა ზოგადად

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ახდენს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების, გარესამყაროში მომხდარი ადამიანური ქცევების უმართლობად ტიპიზირებას. ქმედების შემადგენლობის ობიექტური (გარეგანი) ნიშნები არის არსობრივად აღქმადი საგნები და მოვლენები. ქმედების შემადგენლობის ეს ნიშნები, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად: ქმედების შემადგენლობის **დესკრიფციულ (აღწერილობით)** და **ნორმატიულ (შეფასებით)** ნიშნებად. აღწერილობითი ნიშნებია, მაგალითად, ადამიანი, ნიუთი, ხოლო შეფასებითი – მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკე. აღსანიშნავია, რომ შემადგენლობის აღწერილობითი ნიშნებიც სისხლის სამართალში ყოველ-თვის გარკვეულ შეფასებას მოითხოვს, მაგალითად, ადამიანის მკვლელობის შემადგენლობაში. იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ როდის არის ადამიანი სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, უნდა დადგინდეს მისი სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული. არსებობს პოზიცია, რომ სისხლის სამართალში ქმედების შემადგენლობები მხოლოდ შეფასებითი ნიშნებისაგან შედგება და არ არსებობს წმინდა აღწერილობითი ნიშნები, გარდა ციფრებისა და რიცხვებისა.

ქმედების შემადგენლობის განხორციელების აუცილებელი პირობაა ქმედების ჩადენა, ანუ **ფიზიკური პირის მიერ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა.**

2006 წლის 25 ივლისის საქართველოს კანონით სისხლის სამართლის კოდექსმა შემოიღო იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის მე-6¹ კარი). იურიდიული პირი, ბუნებრივია, უშუალოდ ვერ ჩაიდენს დანაშაულს. მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ დანაშაულისათვის,

რომელიც ჩადენილია ფიზიკური პირის მიერ (სსკ-ის 107¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე არის ორი სახის: ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე (სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ა.შ.) და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე (სახელმწიფოს კონსტიტუციური წეს-წყობილება, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი და ა.შ.).

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ქმედება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაში ან უმოქმედობაში.

მაგალითად:

თ.-მ მოკლა ბ. თავში აგურის ჩარტყმით. - ქმედების შემადგენლობა განხორციელდა მოქმედებით.

თ.-მ ცეცხლმოკიდებული სახლიდან არ გამოიყვანა ბ. - ქმედების შემადგენლობა განხორციელდა უმოქმედობით.

არსებობს ორი სახის უმოქმედობა: წმინდა უმოქმედობა და შერეული უმოქმედობა. წმინდა უმოქმედობის მაგალითია: განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის მუხ. 128-ე), დაუხმარებლობა (სსკ-ის მუხ. 129-ე) და ა.შ. შერეული უმოქმედობის მაგალითია: დედის მიერ მცირეწლოვანი შვილის სასიკვდილო შედეგის დადგომის სურვილით განზრახ საკვების გარეშე ოთახში ჩაკეტვა, რასაც შედეგი რეალურად მოჰყვა (უმოქმედობით მკვლელობა: სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი), ან მეხანძრის მიერ პირის შურისძიების მოტივით ცეცხლმოკიდებულ სახლში დატოვება, რა დროსაც მსხვერპლის სიკვდილი დადგა, თუ შესრულებულია კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის (უმოქმედობის დასჯადობის სამი პირობა) და მე-9 მუხლის (განზრახვის სამი კომპონენტი) პირობები. დასჯადია როგორც განზრახვი, ასევე გაუფრთხილებლობითი (სსკ-ის მე-10 მუხლი) უმოქმედობა.

ე.წ. შედეგიან დანაშაულებში (მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ.) აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის დადგომა. თუ ასეთი შედეგი არ დადგა, განზრახვის არსებობის შემთხვევაში შეიძლება საუბარი მხოლოდ დანაშაულის მცდელობაზე. ამგვარ დანაშაულებში აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ასეთი კავშირის დადგენის გარეშე პირს არ შეიძლება შედეგი შეერაცხოს ობიექტურად. დასჯადია როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით ჩადენილი განზრახვი დანაშაულის მცდელობა.

სისხლის სამართლებრივად რელევანტურ ქმედებას არ ჩადის პირი, და, მაშასადამე, არა გვაქვს ქმედების შემადგენლობა, როცა იგი ქმედებას ჩადის ძილში, რეფლექსური მოქმედებებით, ასევე, თუ იგი იმყოფება გადაულახავი წინააღმდეგობის მდგომარეობაში (*vis absoluta*). მაგალითად, ყანაღებმა დედას შეუკრეს ხელ-ფეხი და ჩაკეტეს სარდაფში. მას არა აქვს შესაძლებლობა, დახმარება აღმოუჩინოს

განსაცდელში მყოფ მცირეწლოვან შვილს, რომელიც მეორე სართულის საძინებელ ოთახშია. ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო, მიუხედავად მძიმე შედეგის დადგომისა, იგი არ დაისჯება.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც შეუძლია ნებელობითი ქმედების განხორციელება. მისი ასაკი და ფსიქიკური მდგომარეობა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ირელევანტურია. ამ მომენტს ყურადღება ექცევა ბრალის დადგენის დროს რაც შეეხება ზოგიერთ შემადგენლობას, იგი შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სპეციალურმა სუბიექტმა (მაგალითად, სსკ-ის 332-ე მუხლში: მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი). თუ პირს არ გააჩნია სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი თვისება, მაგალითად, არ არის მოხელე ან მასთან გათანაბრებული, მას, როგორც ამსრულებელს, არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო. ასეთი პირის თანამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობაც გამორიცხებულია. თანამონაწილეებს კი, ასეთი სპეციალური სუბიექტის თვისება არ სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, სპეციალური სუბიექტი, თუ მან წააქეზა არასპეციალური სუბიექტი და მისი ხელით ჩაიდინა სამსახურებრივი სიყაღბე (სსკ-ის მუხლი 341-ე), შეიძლება დაისაჯოს, როგორც შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ამსრულებელი, რადგან მას არ გააჩნია სპეციალური სუბიექტის თვისება, შეიძლება იყოს დამხმარე.

5.1.2 მოქმედება. მოქმედების თეორია

სისხლისსამართლებრივი განსჯის საგანია არა უბრალოდ ადამიანის აზრი, სურვილი, ხასიათი ან ცხოვრების წესი, არამედ კონკრეტული ქმედება, რომელიც ზიანის მიყენების ან საფრთხის შექმნისაკენ არის მიმართული. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი (სსკ-ის 108-ე-413-ე მუხლები) დანაშაულად აცხადებს მხოლოდ კონკრეტულ მოქმედებებს და უმოქმედობებს. სწორედ ამიტომ, მოქმედება და უმოქმედობა წარმოადგენს დანაშაულის სისტემის პირველ მნიშვნელოვან ელემენტს. ქმედების შემადგენლობა ზუსტად უნდა იყოს აღწერილი კანონში, რომ ამით განხორციელდეს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია.

სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს მოქმედების სხვადასხვა თეორიები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს *საძი.* მოქმედების *კაუზალური თეორია*, მოქმედების *ვინააღური თეორია* და მოქმედების *სოციალური თეორია*.

5.1.2.1 მოქმედების კაუზალური თეორია

მოქმედების კაუზალური ცნება, ძირითადად, უკავშირდება *ლიბცახს* (იხ. *F. v. Liszt, Lehrbuch des deutschen Strafrechts*, მე-4 გამოცემა, 1891, გვ. 128)

და ბელინგის (იხ. E. Beling, Die Lehre vom Verbrechen, 1906, გვ. 14-17) სხელებს, ხოლო მის სათავეებთან დგანან ბარი და ბური. ბელინგი და ლისტი კი, თავის მხრივ, ითვლებიან დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ფუძემდებლებად, რომლებმაც მოქმედების კაუზალური თეორიის ბაზაზე შექმნეს დანაშაულის სისტემა, რომელიც სამი ნიშნისაგან შედგება: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

კლასიკური სისტემის მოქმედების კაუზალური ცნება ბელინგთან და ლისტთან განმარტებულია წმინდა ნატურალისტურად, როგორც სხეულის მოძრაობა (მოქმედება ვიწრო გაგებით) და ცვლილება გარე სამყაროში (შედეგი), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მიზეზობრიობის ჯაჭვით. ლისტი მოქმედებას განმარტავდა, როგორც გარე სამყაროში ცვლილების თვითნებურ გამოწვევას, როგორც წმინდა მიზეზობრივ კავშირს, რომელიც ემყარება ნების გამოვლენას.

სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი მოქმედების ცნება დაკავშირებულია მიზეზობრიობის პრობლემასთან და განმარტებულია, როგორც ადამიანის ქცევით გამოწვეული ცვლილება გარესამყაროში.

მოქმედების კაუზალური თეორია მოქმედებას განმარტავს არა, როგორც ნორმატიულად გაგებულ მოქმედების თავისუფლებას, არამედ როგორც ნების გამოვლენის არსებობას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სხეულის მოძრაობას. ეს არის ადამიანის, როგორც ინდივიდის, შესახებ ექსტრემალურად ნატურალისტური წარმოდგენა. ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება ამის მიხედვით არის მხოლოდ ნერვული იმპულსების გამოვლენა, კუნთების დაძაბვა და, აქედან გამომდინარე, ცვლილება გარესამყაროში. ქმედების შემადგენლობა ამ გაგებით იყო სრულიად თავისუფალი შეფასებისაგან. სამართლებრივი შეფასება ხდებოდა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე. სუბიექტური ელემენტები არ წარმოადგენდნენ ქმედების შემადგენლობის შემადგენელ ნაწილს, არამედ ეკუთვნოდნენ ბრალს (ბრალის ფსიქოლოგიური თეორია). ბრალის ფსიქოლოგიური თეორია დღესაც გამოიყენება ნაწილობრივ.

მოქმედების კაუზალური თეორია გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან მასიური კრიტიკის საგანი გახდა. კრიტიკა ძირითადად შეეხებოდა ორ, მოქმედების კაუზალური თეორიის მიერ გადაუწყვეტელ პრობლემას:

(1) უმოქმედობის ობიექტური შერაცხვა არ იყო შესაძლებელი, რადგან ამ დროს არ ხდება სხეულებრივი მოძრაობა და გადაადგილება გარესამყაროში. უმოქმედობა კაუზალურად არაფერს არ წარმოადგენს.

(2) უყურადღებოდ დარჩა ადამიანური მოქმედების ყოველგვარი მიზანმიმართულება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა განსხვავებას გარე სამყაროში მიმდინარე სხვა კაუზალური მიზეზობრიობებისაგან.

5.1.2.2 მოქმედების ფინალური თეორია

ველცელი მოქმედების ცნებას ახასიათებს, როგორც ფინალურ მოვლენას: „ადამიანური ქმედება არის მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელება“ (იხ. *H. Welzel, Das Deutsche Strafrecht*, მე-11 გამოცემა, 1969, გვ. 33). შესაბამისად, იგი ფინალურობას ხატოვნად ახასიათებს, როგორც „თვალხილულს“ (*sehend*), ხოლო კაუზალობას, როგორც „ბრმას“ (*blind*). შესაბამისად, მოქმედების ფინალური წარმართვა ხორციელდება ორ საფეხურად:

1. პირველი საფეხური წარმოადგენს მთლიანად ადამიანის აზრობრივ სფეროს (მიზნის დასახვა, რომელსაც პირს უნდა რომ მიადწიოს, მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოქმედების საშუალებების არჩევა და თანმდევი დამატებითი შედეგების გათვალისწინება);

2. მეორე საფეხურზე მოქმედება ხორციელდება რეალურ სამყაროში (მოქმედების რეალიზაცია წინასწარ არჩეული კაუზალური ფაქტორების გეგმაზომიერი გამოყენებით, რომლის შედეგია წინასწარ დასახული მიზანი თანმდევი მოვლენების ჩათვლით).

ფინალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის უმართლობის სუბიექტური მოძღვრება, რომელიც მოქმედების სურვილს წარმოგვიდგენს, როგორც მართლწინააღმდეგობის შეფასების საგანს. აქედან გამომდინარეობს ფუძემდებლური შედეგი, რომ განხრახვა, როგორც „მოქმედების ბუნებრივი თვისება“, უმართლობის ზოგად სუბიექტურ ელემენტად უნდა იქნეს განხილული და იგი ბრალის ელემენტს არ წარმოადგენს, არამედ დასჯადი ქმედების შემადგენლობას ეკუთვნის, რადგან ქმედების შემადგენლობის ამოცანას წარმოადგენს, რომ მოქმედება დაახასიათოს ყველა თავისი დასჯადობისათვის მნიშვნელოვანი უმართლობის ნიშნებით.

მოქმედების კაუზალური თეორიისაგან განსხვავებით, მოქმედების ფინალურმა თეორიამ უდავოდ კარგად ჩამოაყალიბა და დაასაბუთა ადამიანური მოქმედების ბუნება, მაგრამ მას არ ახასიათებს არავითარი პროგრესი უმოქმედობის, როგორც დანაშაულის, დასასაბუთებლად, რადგან პასიურობა ვერ ასაბუთებს უმოქმედობის დასჯადობას ფინალურად. ამასთან, გაუფრთხილებელი ქმედება არ არის „მოქმედება“ ფინალიზმის კონცეფციის მიხედვით, რადგან პირი ფიქრობს, რომ შედეგი არ დადგება, ამიტომ იგი არ ასრულებს მიზანმიმართულ მოქმედებას.

5.1.2.3 მოქმედების სოციალური თეორია

მოქმედების სოციალური თეორია წარმოადგენს მოქმედების მოძღვრების შემდგომ განვითარებას. იგი წარმოადგენს შუალედურ რგოლს წმინდა ონთოლოგიურ და ნორმატიულ მოძღვრებას შორის. იგი ახასიათებს ადამიანურ ქცევას სოციალური სინამდვილის ყველა

პერსონალური, ფინალური, კაუზალური და ნორმატიული ასპექტებით. მოქმედების სოციალური მოძღვრება იმდენად ფუნქციურობის უნარის მატარებელია, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სისხლისსამართლებრივად რელევანტური ადამიანური ქცევის ყოველგვარი გამოვლენის ფორმის საერთო საფუძველი და, იმავდროულად, შესაძლებელია, ისეთი ქცევები გამორიცხოს, რომლებიც არ არის ადამიანის ნების ბატონობის ქვეშ.

ამ თეორიას დღეს ბევრი წარმომადგენელი ჰყავს. მასში არა ადამიანის მიზანმიმართულება, არამედ მოქმედების სოციალური არსი არის ყურადღების ცენტრში, რომელსაც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ქმედებას *იეშეკი* და *ვაიგენდი* (იხ. *H.-H. Jescheck/T.Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 223) განმარტავენ, როგორც სოციალურად მნიშვნელოვან ადამიანურ ძველებს, ხოლო *ვესელსი* და *ბოილკე* (იხ. *J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT*, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 32) - როგორც ადამიანის ნების ბატონობის ძველ მოქმედებებს. სოციალურად მნიშვნელოვან ძველებს.

მოქმედების სოციალური თეორიით დასაბუთებულია როგორც უმოქმედობით ჩადენილი, ასევე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის არსი. გაუფრთხილებლობის დროს მოქმედების არსი მდგომარეობს სოციალური, ინტერსუბიექტური წინდახედულობის ნორმის დარღვევაში, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც დანაშაული, თუ ის იწვევს სოციალურად რელევანტურ ცვლილებას გარესამყაროში. იგი შეიცავს მოქმედების როგორც კაუზალური, ისე ფინალური მოძღვრების ელემენტებს და თავისი შინაარსით არის ნორმატიული.

თანამედროვე გერმანული სისხლის სამართალი, საიდანაც იღებს სათავეს ქართული მატერიალური სისხლის სამართლის დოგმატიკა, იცნობს ასევე მოქმედების სხვა თეორიებს. ასე, მაგალითად, *როქსინის* (იხ. *C. Roxin, Strafrecht, AT I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 256-271) მიერ ჩამოყალიბებული თელეოლოგიურ-კრიმინალ-პოლიტიკური სისტემა ეფუძნება მოქმედების პერსონალურ თეორიას. ამ და სხვა თეორიების შინაარსის განხილვა სცილდება ჩვენი მიმოხილვის ფარგლებს.

5.1.3 შედეგი

მოქმედებისაგან განსხვავებით, შედეგი არის ქმედების შემადგენლობის ფაკულტატიური ელემენტი მოქმედებით ჩადენილი განზრახი დანაშაულებისათვის. მისი დადგენა არ არის საჭირო ე.წ. შედეგგარეშე ანუ ფორმალური შემადგენლობებისათვის (მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემა), ხოლო ე.წ. შედეგიან განზრახ დელიქტებში შედეგის გარეშე არ არსებობს დამთავრებული დანაშაული და პირი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ განზრახი დანაშაულის მცდელობისათვის ან მომზადებისათვის, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე, მძიმე ან

ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაული (სსკ-ის მე-18 მუხლი). გაუფრთხილებელი დანაშაულების შემთხვევაში აუცილებელია შედეგის დადგომა. თუ შედეგი არ დადგა, პირი არ დაისჯება სისხლის სამართლის წესით, რადგან არ არსებობს გაუფრთხილებელი დანაშაულის მცდელობა. მაგალითად, თუ მონადირეს გაუვარდა ტყვია და იგი აცდა მეორე მონადირეს, იგი არ დაისჯება, ხოლო თუ მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება, პასუხისმგებლობა დადგება კონკრეტულად დამდგარი გაუფრთხილებელი შედეგისათვის.

თინათინ წერეთლის აზრით, სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შედეგის ცნებას *ორი* ფართო და ვიწრო მნიშვნელობით იხილავს. ფართო მნიშვნელობით შედეგი ყოველი დანაშაულის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს, ხოლო შედეგი ვიწრო მნიშვნელობით მხოლოდ ზოგიერთ დანაშაულს ახასიათებს, რომელსაც ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ჩვეულებრივად „მატერიალური“ დელიქტი ან შედეგიანი დანაშაული ეწოდება (იხ. *თ. წერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 406-415). გარდა ამისა, მისი აზრით, შედეგიან დანაშაულს უნდა მიეკუთვნოს არა მარტო ის დანაშაული, რომლის საკანონმდებლო კონსტრუქცია მოითხოვს რეალური ზიანის მიყენებას, არამედ ისიც, რომლის შემადგენლობა მხოლოდ ზიანის განხორციელების საფრთხეზე მიუთითებს. მისი გაგებით, შედეგის დადგომის საფრთხეც, სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით, დანაშაულის შედეგს წარმოადგენს (იხ. *თ. წერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 419).

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისი შედეგის მნიშვნელობის ასეთ განვრცობას არ უჭერს მხარს.

5.1.4 მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა

5.1.4.1 მიზეზობრივი კავშირი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი არეგულირებს მიზეზობრივი კავშირის პრობლემას.

შედეგიან (ანუ მატერიალურ) დანაშაულებში, რამაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი გამოიწვია, ან ასეთი შედეგის საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს, ან შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. ე.ი. მიზეზობრივი კავშირის დადგენა გვჭირდება მხოლოდ შედეგიან დანაშაულებში ან კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის დროს. (სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში არასწორადაა მითითებული *შედეგის მართლწინააღმდეგობა ზე*, რადგან ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში,

მიზეზობრივი კავშირის დადგენის ეტაპზე, შედეგის *მართლწინააღმდეგობა* ჯერ კიდევ არ არის რელევანტური).

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენდა დამდგარი შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი).

მაგალითად, ა-მ ბ-ს თავში ნაჯახის ჩარტყმით მოუსპო სიცოცხლე.

ამ კაზუსის მიხედვით, ქმედების ობიექტური შემადგენლობის შემდეგი სამი ნიშნის: ოქმედების, შედეგისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა არ არის სადავო და, შესაბამისად, შედეგის ობიექტური შერაცხვა ეჭვს არ იწვევს. თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც შერაცხვის ეს მარტივი კლასიკური სქემა არ არის გამოსადევი, რის გამოც შედეგის ობიექტური შერაცხვის დროს ხდება სხვადასხვა ნორმატიული ასპექტების გათვალისწინება, მაგალითად, დაზარალებულის მიერ თვითსაფრთხის შექმნა, ნორმის დაცვის მიზანი და სხვ. გარემოებები.

მაშასადამე, მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს ობიექტური შერაცხვის აუცილებელ ნიშანს. არაერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსისა და განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი არეგულირებს მიზეზობრივი კავშირის პრობლემას მიზეზობრიობის პირობათა თეორიის მიხედვით (*condition-sine-qua-non*-ფორმულა). შესაბამისად, მიზეზობრივი კავშირი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით წარმოადგენს დანაშაულის დაწერილ ნიშანს. დოგმატურად შეიძლება დავადგინოთ, რომ ეს საკანონმდებლო ფორმულა წარმოადგენს შედეგის ობიექტური შერაცხვის მხოლოდ პირველ აუცილებელ დაწერილ პირობას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს „კანონზომიერი პირობის“ დაუწერელი ფორმულით და განვირცოვო დანაშაულის დაუწერელი ნიშნით – ობიექტური შერაცხვის კატეგორიით, რომ ამით შესაძლებლობა მოგვეცეს შედეგის ობიექტური შერაცხვის პრობლემა სამართლიანად იქნეს გადაწყვეტილი. ის, რომ პირობათა თეორიით განსაზღვრული „ბუნებრივი მიზეზობრიობა“ არ არის საკმარისი შედეგის ობიექტური შერაცხვისათვის, დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული. სწორედ ამიტომ შეიქმნა ე.წ. სამართლებრივი მიზეზობრიობის სხვადასხვა თეორიები არა მარტო კონტინენტალური ევროპის, არამედ ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში (*causation in law*).

5.1.4.2 ობიექტური შერაცხვა

ობიექტური შერაცხვის მოძღვრება ქართულ სისხლის სამართალში ნაკლებად არის ცნობილი. იგი განვითარდა უკანასკნელი

ათწლეულების გერმანულ სისხლის სამართლის თეორიაში და 80-იანი წლების შუა პერიოდიდან გაბატონდა გერმანულენოვან სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ასევე, განსაკუთრებით ავსტრიულ სასამართლო პრაქტიკაში კპოვა ფართო გამოყენება. ამ თეორიამ დიდი რეზონანსი მოიპოვა ესპანეთში, ლათინურ ამერიკასა და პოლონეთში (შეად. *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 372, 374*), ასევე, მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართალშიც (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 127*).

ობიექტური შერაცხვის სისხლისსამართლებრივი კატეგორიის მიხედვით, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე შერაცხვის პრობლემები ნორმატიულად წყდება. მიუხედავად ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისა, პიროვნებას შეიძლება ობიექტურად მაინც არ შეერაცხოს დამდგარი შედეგი, მაშინ, როდესაც მიზეზობრივი კავშირის ე.წ. პირობათა ოცორით დადგენის გარეშე შედეგის ობიექტური შერაცხვა ვერ მოხდება.

ქართულ სისხლის სამართალში დღემდე არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე შედეგის ობიექტური შერაცხვის საკითხები ტრადიციულად ძირითადად მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში წყდება. ამასთან, არაერთი საკითხი, რომელიც მიმოხილვაში ობიექტური შერაცხვის პრობლემად იქნება წარმოდგენილი, უმეტესწილად განზრახვის (ბრალის) ან საზოგადოებრივი საშიშროების (მატერიალური მართლწინააღმდეგობის) პრობლემებად არის მიჩნეული (იხ. *თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, 1969, გვ. 207-316*).

ადრეული გერმანული კლასიკური სისხლის სამართლის დოგმატიკა, ასევე ფინალისში, მიიჩნევს, რომ მიზეზობრივი კავშირის არსებობა საკმარისი პირობაა ქმედების ობიექტური შემადგენლობის დასადგენად, ხოლო ობიექტური შერაცხვის არაერთი თანამედროვე პრობლემა მიიჩნევა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის პრობლემად (იხ. *E. Struensee, GA 1987, 97*). ამ შეხედულების მიხედვით, განზრახვა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს მნიშვნელოვან გადახრას პირის წარმოდგენაში არსებულ და რეალურად განვითარებულ მიზეზობრიობას შორის. ასევე, სრულიად ატიპიური მიზეზობრიობის შემთხვევაში, *პანს კელცელის* შეხედულებით, თუ შედეგი მართლაც დადგება, მიზეზობრიობა სახეხვა, მაგრამ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე მკვლელობის განზრახვა გამოირიცხება, რადგან პირს არა აქვს „მკვლელობის ნებელობა“, რადგან მას არ გააჩნია მოვლენათა განვითარებაზე რეალური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა (იხ. *H. Welzel, Das Deutsche Strafrecht, მე-9 გამოცემა, 1965, გვ. 60*). ასევე არაერთი სხვა ავტორიც ასეთ შემთხვევაში გამოირიცხავდა განზრახვას (იხ. მაგალითად, *E. Beling, Grundzüge des Strafrecht, 1925, გვ. 49; E. Metzger, Strafrecht, მე-3 გამოცემა, 1949, გვ. 127*).

ზოგიერთი ავტორი ასეთ ატიპიურ შემთხვევას მიზეზობრივი კავშირის *condition-sine-qua-non*-ფორმულიდან გამონაკლისად მიიჩნევს. მათი აზრით, ყოველგვარი გონივრული ვარაუდის მიღმა მდგომი შედეგის შემთხვევაში არ არსებობს მიზეზობრიობა (იხ. *J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, AT, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 244*). განსხვავებით ამ პოზიციებისაგან, ზოგიერთი ავტორი ასეთ დროს ახდენს მართლწინააღმდეგობის გამორიცხვას (იხ. *M. L. Müller, Die Bedeutung des Kausalzusammenhangs im Straf- und Schadensersatzrecht, 1912, გვ. 37*).

შუალედური პოზიციის მიხედვით, შედეგის ობიექტური შერაცხვა უნდა მოხდეს მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში, ხოლო ობიექტური შერაცხვის ცალკე გამოყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ პრობლემატურ შემთხვევებში. მაშასადამე, ამ შეხედულებით, მიზეზობრივი კავშირი ყოველთვის არ უნდა განივრცოს ობიექტური შერაცხვის კატეგორიით. ამ პოზიციის მიმდევრები ობიექტური შერაცხვის მოძღვრების საჭიროებას გაუფრთხილებლობით დანაშაულებში აღიარებენ, ხოლო განზრახ დანაშაულებში მის მნიშვნელობას სადავოდ მიიჩნევენ (იხ. *I. Puppe, Strafrecht Allgemeiner Teil im Spiegel der Rechtsprechung, Band 1, 2002, გვ. 80*).

სისხლის სამართალში ასევე განვითარდა თანამედროვე მიმდინარეობა, რომელიც ბუნებრივ მიზეზობრიობას ყველა შემთხვევაში მიიჩნევს ობიექტური შერაცხვის აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობად. ამ შეხედულების მიმდევრები მიზეზობრიობას, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანს, ობიექტური შერაცხვის თანამედროვე დამოუკიდებელი კატეგორიით განაგრცობენ. ობიექტური შერაცხვის ამ ორსაფეხურიან მოძღვრებას (მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა) დღეს არაერთი ცნობილი გერმანელი მეცნიერი უჭერს მხარს (მაგალითად, იხ.: *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 371-373; H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 277-278; J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 53; K. Kühl, Strafrecht, AT, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 18; W. Gropp, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 2001, გვ. 145; B. Heinrich, Strafrecht – AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 90*).

სისხლის სამართლის დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს მიზეზობრივი კავშირისა და ობიექტური შერაცხვის შესახებ სხვადასხვა შეხედულებებს, რომელთაგან აღსანიშნავია ეკვივალენტურობის, (ბუნებრივი) კანონზომიერი პირობის, ადეკვატურობის, რელევანტურობის, რისკის ამაღლების, რეგრესის აკრძალვის, მიზეზთა სამართლებრივი ურთიერთკავშირისა და სხვა თეორიები.

თეორიათა მრავალფეროვნება გვიჩვენებს, რომ, ისევე როგორც მოქმედების ცნებამ, მიზეზობრიობის თეორიამაც განიცადა განვითარება. თუ თავდაპირველად სახეზე იყო წმინდა ნატურალისტური სურათი, რომელსაც შეესაბამებოდა მოქმედების კაუზალური ცნება

და მიზეზობრიობის ექვივალენტურობის თეორია, სისხლის სამართლის ნორმატიული შინაარსის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა ობიექტური შერაცხვის თანამედროვე მოძღვრება თავისი ნორმატიული ასპექტებით.

ქვემოთ განხილული იქნება საკითხი, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, თუ რომელი ნორმატიული კრიტერიუმებით უნდა მოხდეს შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვა.

5.1.5 მიზეზობრივი კავშირის თეორიები

მოქმედებით ჩადენილ განზრახ დანაშაულებში დგინდება მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილ დელიქტებში - წინდახედულობის ნორმით დადგენილ მოვალეობათა დარღვევის კავშირი დამდგარ შედეგთან.

ქვემოთ თავდაპირველად წარმოგიდგენთ მიზეზობრივი კავშირის ეკვივალენტურობის, კანონზომიერი პირობის, ადეკვატურობისა და რელევანტურობის თეორიებს, ხოლო შემდეგ - გენერალური მიზეზობრიობის თეორიას.

5.1.5.1 ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორია

სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია მოქმედების მიზეზობრიობა ე.წ. ეკვივალენტურობის, ანუ პირობათა თეორიის მიხედვით.

ამ თეორიის მიხედვით, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს („ექვივალენტურს“) წარმოადგენს, თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (*conditio sine qua non*).

ნებისმიერი პირობა თანაბარმნიშვნელოვანია. ამ თეორიის შედეგად მიზეზობრიობის წრე ძალზე ფართოვდება და, ამიტომ, ძალზე ატიპური პირობებიც შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია. აქედან გამომდინარე, ტაქსის მძლოლის მოქმედება, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მიიყვანა მკვლელი, ისე, რომ მისთვის დახმარების განზრახვა არ ჰქონია, ყოველთვის მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან. ასევე, მაგალითად, თუ ა.-მ სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიყენა ბ.-ს და იგი შემთხვევით მოვლენათა გამო, ექიმის საბედისწერო შეცდომით მოკვდება საავადმყოფოში, ა.-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირში იქნება შედეგთან.

მარტო პირობათა თეორიას არ შეუძლია, რომ სამართლიანი ობიექტური შერაცხვა უზრუნველყოს, რადგან ამ დროს შეიძლება მნიშვნელოვანი ნორმატიული ასპექტები დარჩეს უყურადღებოდ.

მიზეზობრივი კავშირის დადგენა პირობათა თეორიის მიხედვით არის შედეგის ობიექტური შერაცხვის აუცილებელი წინაპირობა, რომელიც კანონით არის აღიარებული, მაგრამ, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ქართულ სისხლის სამართალშიც შეიძლება ვადაართ შედეგის ობიექტური შერაცხვის სხვა დაუწერელი პირობები. მიზეზობრივი კავშირის არსებობა როდი ნიშნავს იმას, რომ შედეგი ყოველთვის ობიექტურად, სუბიექტურად და ინდივიდუალურად უნდა შეერაცხოს პირს. მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ შედეგის შერაცხვა უნდა მოხდეს *სამ* ეტაპად:

ა) ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე შედეგის ობიექტური შერაცხვა;

ბ) ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე (განზრახი) შედეგის სუბიექტური შერაცხვა; (გაუფრთხილებელ დანაშაულს არა აქვს სუბიექტური შემადგენლობა.

გ) ბრალის ეტაპზე შედეგის ინდივიდუალური შერაცხვა.

კლასიკური გაგებით, თავდაპირველად ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორიით, ხოლო შემდეგ შედეგის ობიექტური შერაცხვა ასევე მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინაიდან პირობათა თეორიით მიზეზობრიობის წრე ძალზე ფართოა, მიზეზობრიობის ფარგლებშივე სამართალგამოყენების პროცესში ხდება მისი კორექტურა ადეკვატურობის ან რელევანტურობის თეორიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზეზობრიობის პირობებიდან ხდება „აუცილებელი“, „უშუალო“ ან „რელევანტური“ პირობების გამოყოფა. იგი მიზეზობრიობის ჯაჭვში პირობათა უსასრულობაში სამართლებრივი შეფასებებით დგინდება. მიმოხილვაში წარმოდგენილი თანამედროვე გაგებით კი, ობიექტური შერაცხვის პროცესი გატანილია მიზეზობრიობიდან ქმედების ობიექტური შემადგენლობის ცალკე დამოუკიდებელ ინსტანციად.

მეორე ეტაპზე, ანუ სუბიექტურ სფეროში, ხდება (განზრახი) შედეგის სუბიექტური შერაცხვა, ხოლო საბოლოოდ ობიექტური მიზეზობრიობით დაწყებული შერაცხვის პროცესი ინდივიდუალური ბრალეული შერაცხვით გვირგვინდება.

5.1.5.2 მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ

დღეისათვის ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორიას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, არამედ განვითარდა თანამედროვე მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ, რომელიც, ისევე როგორც *conditio-sine-qua-non*-ფორმულა, ამ თეორიას ეფუძნება (იხ.: *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 283; C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 355; K. Kühl, Strafrecht, AT, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 29; B. Heinrich, Strafrecht - AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 81-82).*

ამ თეორიის მიხედვით, პირობა სისხლის სამართლის თვალსაზრისით არის მიზეზობრივი, თუ ის წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც კონკრეტულ შედეგში ფაქტიურად იქნა რეალიზებული. ამ პროცესში დგინდება, მოქმედება და შედეგი არის თუ არა ბუნებრივი კანონზომიერებით ერთმანეთთან დაკავშირებული. ამასთან, ისევე როგორც ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორიის დროს, ყველა პირობა არის თანაბარმნიშვნელოვანი. ეს თეორია იმით საბუთდება, რომ მიზეზობრიობის შეფასების დროს იმაზე უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული მოქმედება და შედეგი ჩვეულებისამებრ ერთმანეთთან კანონზომიერ ურთიერთობაში არის თუ არა, რადგან მიზეზობრივი კავშირი კონკრეტულ შემთხვევაში ხშირად ძნელი დასამტკიცებელია. თუ ამ შეხედულებას მიჰყვები, მაშინ ყველა ცალკეულ შემთხვევაში კანონზომიერი კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის უნდა დასაბუთდეს კონკრეტული კაუზალობის დამტკიცება არ არის ამით აუცილებელი. ამ შეხედულების მიმართაც არის გამოთქმული კრიტიკა, რომ იგი თითქოს კანონზომიერი პირობის დადგენის დროს ძალზე რთული და ხელოვნურია. ხშირად შეუძლებელია ზუსტად იმის დადგენა, თუ როდის არის სახეზე „კანონზომიერი კავშირი“ მოქმედებასა და შედეგს შორის. საბოლოო შედეგით იგი თითქმის არ განსხვავდება ეკვივალენტურობის თეორიისაგან, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იგი კარგად გამოიყენება, მაგალითად, ალტერნატიული მიზეზობრიობის დროს, ასევე კოლექტიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგთან მიზეზობრივი კავშირის დასაბუთებისას.

5.1.5.3 ადეკვატურობის თეორია

ადეკვატურობის თეორია შეეცადა ეკვივალენტურობის თეორიის უსაზღვროდ ფართო ფარგლებში მიზეზობრიობის ეტაპზე შეესაბამებოდა. მიზეზობრივი შეიძლება იყოს მხოლოდ ქმედების შემადგენლობის ადეკვატური პირობა. ადეკვატურობის თეორიით მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს ის მომენტი, რომ ამა თუ იმ ქმედების ჩადენის დროს დამდგარი შედეგის გამოწვევა გარკვეულწილად საკარაუდებელი იყო თუ არა. ამ მომენტის დასაბუთება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართალში ხდება იმით, რომ ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შედეგის ადეკვატურ პირობად, თუ მისმა ჩადენამ შედეგის დადგომის ობიექტური შესაძლებლობა ზოგადად, გენერალიზებულად, ე.ი. საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, არაუმნიშვნელოდ აამაღლა. ამ თეორიით, იმ მიზეზობრივი კავშირების შემთხვევებში, რომლებიც ემყარება მოვლენათა განვითარების სრულიად ატიპიურ დამთხვევას, რომელთა განჭვრეტა ყოველდღიური ცხოვრებისეული

გამოცდილებით არ არის შესაძლებელი, ობიექტური შერაცხვა შესაძლებელია უკვე მიზეზობრიობის ეტაპზე იქნეს გამორიცხული. ასე, მაგალითად, მშობლის მიერ ბავშვის გაჩენა საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებით არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ წინასწარ განჭვრეტილ იქნეს ამ ბავშვის მიერ რამდენიმე წლის შემდეგ მკვლელობის ან სხვა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. თუმცა ე.წ. ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორიის მიხედვით ასეთი გარემოება (მშობლის მიერ ბავშვის გაჩენა, რომელმაც შემდეგ დანაშაული ჩაიდინა) მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. იგივე მდგომარეობაა მდიდარი სიდედრის შორეულ მოგზაურობაში თვითმფრინავით გაგზავნის დროს, როცა შემთხვევით გარემოებათა გამო მოხდება ავიაკატასტროფა. ამ შემთხვევაშიც, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მსგავსი ვითარებისათვის არ არის ტიპურად დამახასიათებელი ანალოგიური შედეგის დადგომა, არამედ ასეთი შედეგის დადგომა ძირითადად უკავშირდება შემთხვევით გარემოებებს. ატიპური მიზეზობრიობები ამ თეორიის მიხედვით გამორიცხავენ მიზეზობრიობას. ეს თეორია უმეტესად ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო სამართალში, ხოლო სისხლის სამართალში მას ნაკლები მხარდაჭერა აქვს.

5.1.5.4 რელევანტურობის თეორია

რელევანტურობის თეორიაც დამდგარი შედეგის ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობის უარყოფას ცდილობს მიზეზობრიობის ეტაპზე. იგი ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორიას იმეორებს და კუმულაციურად მას უმატებს კიდევ ერთ პირობას, რომ ქმედება სისხლისსამართლებრივი კრიტერიუმებით აგრეთვე რელევანტური უნდა იყოს, რომ მოხდეს მისი ობიექტურად შერაცხვა. ამ თეორიის მიხედვით, ყოველი პირობა, რომელმაც გამოიწვია შედეგი, არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად რელევანტურს, რადგან ობიექტური შერაცხვა, გარდა შედეგის გამოწვევისა, სხვა კრიტერიუმებსაც ეფუძნება, რადროსაც მხედველობაში მიიღება როგორც ნორმის დაცვის მიზანი, ასევე ცალკეული შემადგენლობების თავისებურებანი. ამდენად, იგი წარმოადგენს ეკვივალენტურობისა და ადეკვატურობის თეორიების ერთგვარ კომბინაციას. საბოლოო შედეგით იგი ასევე შეესაბამება დღეისათვის განვითარებულ ობიექტური შერაცხვის თეორიასაც. განსხვავებით ამ თეორიისაგან, რელევანტურობის თეორიის მიხედვით, „შერაცხვა“ არის მიზეზობრიობის ქვეყნქტი და არ წარმოადგენს კაუზალობისაგან დამოუკიდებელ შეფასების მასშტაბს. დღეისათვის უფრო დასაბუთებულად მიმაჩნია ის თეორია, რომელიც შერაცხვის ნორმატიულ კრიტერიუმებს არა მიზეზობრიობის ეტაპზე იყენებს, არამედ მიზეზობრიობისაგან დამოუკიდებელ ობიექტური შერაცხვის ეტაპზე წარმოგვიდგენს.

5.1.5.5 ბენერალური მიზეზობრიობის თეორია

თანამედროვე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში სირთულეები წარმოიშობა მიზეზობრივი კავშირის დადგენისას ე.წ. პროდუქციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის („strafrechtliche Produkthaftung“) სფეროში (იხ.: *H. Achenbach, A. Ransieck, Handbuch Wirtschaftsstrafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 41-69; *K. Kühl, Strafrecht, AT*, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 19-20; *K. Tiedemann, Wirtschaftsstrafrecht, Einführung und AT*, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 94-97; *W. Hassemer, Produktverantwortung im modernen Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 1996).

არის შემთხვევები, როცა პროდუქციის გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, მედიკამენტები, კვების პროდუქტები ან სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, ასევე შენობა-ნაგებობები იწვევენ ჯანმრთელობის დაზიანებებს ან სასიკვდილო შედეგებს. ამ შემთხვევაში, საჭიროა იმის დადგენა, არის თუ არა დამდგარი ზიანი მომხმარებლის მიერ კონკრეტული პროდუქტის მიღების (გამოყენების) შედეგი, ე.ი. არსებობს თუ არა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესაძლებლობებით ამის დადგენა ბევრჯერ ვერ ხერხდება. ამ სირთულეთა გათვალისწინებით, არაერთ ქვეყანაში სასამართლო პრაქტიკამ ასეთ შემთხვევებში მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის მოთხოვნები შეამსუბუქა და შეიმუშავა ე.წ. გენერალური მიზეზობრიობის ფორმულა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი ჯერჯერობით არ არის დაყენებული და დამუშავებული, ამიტომ ქართული სისხლის სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში უცხოური გამოცდილების შესწავლა. გენერალური მიზეზობრიობის თეორია ქართულ სისხლის სამართალში შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს იურიდიული პირებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს, რის გამოც, მიზანშეწონილია ამ საკითხზე სამეცნიერო დისკუსია.

უცხოურ, მაგალითად, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში განვითარებული ე.წ. გენერალური კაუზალობის თეორიის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირის არსებობა საბუთდება იმ შემთხვევაშიც, როცა ბუნების კანონებით მოვლენათა ურთიერთკავშირი კონკრეტულად არ არის ახსნილი ან ახსნადი. დღემდე სადავოდ რჩება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში აახენის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ე.წ. კონტერგანის პროცესში (*Contergan-Verfahren*). სადავო გახდა მედიკამენტ თალიდომიდის მიზეზობრიობა ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ემბრიონალურ სტადიაზე (იხ.: *K. Tiedemann, Wirtschaftsstrafrecht, Einführung und AT*, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 95; *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 283).

ე.წ. „კონკრეტანის სკანდალი“ არის სამედიცინო სფეროში მედიკამენტთან დაკავშირებული ერთ-ერთი გახმაურებული ისტორია. მედიკამენტი 50-იანი წლებიდან გამოიყენებოდა ორსული ქალების მიერ, ვიდრე 60-იანი წლების დასაწყისში არ იქნა დადგენილი მისი მავნე ზეგავლენა ფეხმძიმე ქალის ჯანმრთელობასა და ჩანასახის განვითარებაზე. სასამართლო გადაწყვეტილებაში გამოხატული პოზიციის მიხედვით, კაუზალობა გაგებულ უნდა იქნეს არა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თვალთახედვით, არამედ – ნორმატიულად. ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ყველა შემთხვევაში კაუზალობას ბუნებისმეტყველების კანონების თვალსაზრისითაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ კონკრეტულად ვერ დაასაბუთა იგი.

ამის შემდეგ, გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ (BGH) კიდევ ორჯერ მიიღო გახმაურებული გადაწყვეტილება კაუზალობის პრობლემატიკაზე პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის სფეროში: პირველი გახლავთ ე.წ. „ტყავის საწმენდი სითხის შემთხვევა“ (*Lederspray-Fall*; ამის შესახებ იხ. BGHSt 37, 106), მეორე შეეხება ე.წ. „ხის დამცავი საშუალების შემთხვევა“ (*Holzschutzmittel-Fall*; იხ. BGHSt 41, 206). ლიტერატურაში ორივე შემთხვევა არის დისკუსიის საგანი. (ორივე ეს გადაწყვეტილება განხილულია ბონის უნივერსიტეტის პროფესორის ინგებორგ პუპეს მიერ სასამართლო პრაქტიკის ანალიზისადმი მიძღვნილ სახელმძღვანელოში. იხ. *I. Puppe, Strafrecht, Allgemeiner Teil im Spiegel der Rechtsprechung*, I, 2002, გვ. 45-54).

პირველ შემთხვევაში სირთულეს ქმნიდა ის გარემოება, რომ სითხის მოქმედებასა და ჯანმრთელობის დამდგარ დაზიანებებს შორის კონკრეტული მიზეზობრივი კავშირის კატეგორიულად დადგენა ვერ მოხერხდა. ზოგიერთი დასკვნა დადგენილად მიიჩნეოდა კაუზალობის არსებობას, ზოგიერთი კი, უარყოფდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ზიანის გამომწვევი კონკრეტული ტოქსიკური ნივთიერება და კაუზალობა ვერ იქნა უდავოდ დადგენილი, ფედერალური უზენაესი სასამართლო დაკმაყოფილდა იმით, რომ საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის მიერ გამორიცხული იქნა ზიანის გამომწვევი ყველა სხვა შესაძლო დამატებითი ან სარეზერვო გარემოების არსებობა (ე.წ. გამორიცხვის პრინციპი). ამასთან, მიიჩნია, რომ შესაძლებელი იყო იმ საკითხის ღიად დატოვება, ტყავის საწმენდი სითხის თუ რომელი შემადგენელი ნივთიერება იყო მომხმარებელთა დაზიანების უშუალოდ გამომწვევი.

მეორე შემთხვევაში, ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიერ კაუზალობა იმ შემთხვევაშიც კი იქნა დადგენილად მიჩნეული, როცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ექსპერტებს შორის არ არსებობდა ერთიანი აზრი იმის შესახებ, ხის დამცავმა საშუალებამ მართლა გამოიწვია თუ არა და როგორი პროცესით წარიმართა მომხმარებელთა სრულიად სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის დაზიანებების გამოწვევა. სხვა მიზეზების გამორიცხვა შესაძლებლად იქნა მიჩნეუ-

ლი იმით, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში არსებული ცოდნა-გამოცდილებისა და სხვა ინდივიუალური (სავარაუდო) ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლივი შეფასებით ხის დამცავი საშუალების მიერ – მინიმუმ – მომხმარებელთათვის თანადაზიანების მიყენება უდავოდ იქნა მიჩნეული (ე.წ. თანამიზეზობრიობა, *Mitursächlichkeit*).

ასეთ შემთხვევებში, ითვლება, რომ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს მიზეზობრიობა გენერალურად, რომელიც განსხვავდება მიზეზობრიობაზე არსებული კლასიკური წარმოდგენებისაგან.

„პროდუქციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის“ პრობლემატიკა ცნობილია, ასევე, სხვა ქვეყნების პრაქტიკიდანაც. ასე, მაგალითად, გერმანული ე.წ. „ტყავის საწმენდი სითხის შემთხვევის“ ანალოგს წარმოადგენს ესპანეთის უხენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ე.წ. „რაპსის ზეთის“ („*Colzaöl*“) საქმეზე. (ეს გადაწყვეტილება (*Rapsöl-Entscheidung*) გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულია: NStZ 1994, 730), რომელიც გერმანული სასამართლო პრაქტიკის პოზიციებს იზიარებს.

მაშასადამე, კაუზალობის კონტექსტში დღის წესრიგში დგება არა საკითხი იმის თაობაზე, მოვლენათა განვითარების სურათის მიხედვით, შედეგი კონკრეტული მოქმედების გარეშეც დადგებოდა თუ არა, არამედ მოქმედებისათვის შედეგის პირობის ხარისხის მისანიჭებლად საკმარისად მიიჩნევა, რომ ემპირიული ცოდნის მიხედვით დავადგინოთ, მოქმედებამ, მიზეზობრიობის კანონის შესაბამისად, შედეგი ნამდვილად გამოიწვია თუ არა (ე.წ. კანონზომიერი პირობის ფორმულა).

მართლაც, სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა კანონზომიერი კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის სამეცნიერო თვალსაზრისით, თუმცა, ალბათობის მაღალი ხარისხით ხასიათდება, მაგრამ აბსოლუტური დარწმუნებით არ შეიძლება იქნეს დადგენილი, მაშინ, როდესაც სხვა მიზეზების არსებობა, გარდა ამ კონკრეტული მოქმედებისა, შეიძლება გამოირიცხოს. ასეთ შემთხვევებში, მიზეზობრივი კავშირის დასადგენად ალბათობის მაღალი ხარისხით უნდა დაკმაყოფილდეთ (იხ. *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 283*).

განსხვავებით ამ შემთხვევისაგან, საეჭვოდ უნდა იქნეს მიჩნეული მიზეზობრივი კავშირის დადგენის შესაძლებლობა, როცა მიზეზობრიობის კანონი მოქმედებასა და შედეგს შორის კავშირის ასახვად არ არის დამტკიცებული და მიზეზობრივი კავშირი მხოლოდ იმით არის დასაბუთებული, რომ სხვა არცერთი მიზეზი ქმედების შესაბამისი შედეგის დასადგომად არ არის სახეზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანული ე.წ. „ტყავის საწმენდი სითხის შემთხვევაში“ ფილტვების დაავადების გაჩენის ან ესპანური ე.წ. „რაპსის

ზეთის შემთხვევაში“ ადამიანთა სიკვდილის გამოწვევის დროს. ლიტერატურაში სწორად არის მიჩნეული, რომ ე.წ. კანონზომიერი პირობის დადგენა ალტერნატიული მიზეზების გამორიცხვის გზით სადავოა, მაგრამ დასაშვებია, როცა სხვა ალტერნატიული მიზეზები გონივრულად იქნებიან გამორიცხული. (იხ. *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 283, ასევე: W. Hassemer, Produktverantwortung im modernen Strafrecht, მე-2 გამოცემა, 1996, გვ. 33*).

მაშასადამე, გენერალური კაუზალობის თეორია იყენებს ე.წ. კუმულაციური მიზეზობრიობის წესებს, როცა საკმარისად მიიჩნევა, რომ სადავო პროდუქტი შეიძლება იყოს მავნე შედეგის გამომწვევი მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი პირობა. ამით, სასამართლო პრაქტიკა ახდენს კაუზალობის დამტკიცების პროცესის გამარტივებას, რაც გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს და სამართლიანად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას სისხლის სამართლის დოგმატიკაში. იგი ასევე შეიძლება სპეკულაციების წყარო გახდეს სასამართლო პრაქტიკაში, რადგან აადვილებს სისხლის სამართლის პროცესების წარმართვას ამა თუ იმ პროდუქტის მავნებლობის ბრალდებით, რის გამოც გარკვეული რისკის მატარებელია.

5.1.6 მიზეზობრიობის სახეები

სისხლის სამართლის დოგმატიკა განასხვავებს მიზეზობრიობის სხვადასხვა სახეებს.

5.1.6.1 ალტერნატიული, ანუ ორმაგი მიზეზობრიობა

ალტერნატიული მიზეზობრიობა სახეობა იმ შემთხვევაში, როცა შედეგი გამოიწვია ორმა ან მეტმა ქმედებამ (პირობამ), მაშინ, როდესაც თითოეული ამ პირობათაგანი სავსებით საკმარისი იყო შედეგის დადგომისათვის. მაგალითად, თ.-მ და ბ.-მ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ისე, რომ არ იცოდნენ ერთმანეთის განზრახვის შესახებ, გადაწყვიტეს დ.-ს მოწამვლა. მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაყარეს სასმელში სა-წამლაფი. დ. გარდაიცვალა. ვინაიდან ორივეს მოქმედება, ცალკე აღებულთ, სავსებით საკმარისი იყო შედეგის დასადგომად, ასეთ შემთხვევაში ორივეს ჩადენილი აქვს დამთავრებული დანა-შაული.

ალტერნატიული მიზეზობრიობის შემთხვევაში დამთავრებული დანაშაულისათვის დასჯადობის დასაბუთება, ერთი შეხედვით, არ გამოძინარეობს მიზეზობრიობის ე.წ. ეკვივალენტურობის, ანუ პირობათა თეორიიდან, რადგან, თუ ერთობლიობაში შევაფასებთ ვითარებას, როგორც ერთი, ისე მეორე პირობის არსებობის გარეშე, ერთ-ერთი მოქმედების შესრულების შემთხვევაში, შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით მაინც დადგებოდა. თ.-ს რომ არ ემოქმედა, შედეგი მაინც დადგებოდა, ამიტომ რატომ უნდა შეერაცხოს მას ობიექტურად

შედეგი და, პირიქით, იგივე შეიძლება ითქვას ბ.-ს მოქმედებაზე. ამიტომ, წესით, ორივე უნდა დაისაჯოს განზრახ მკვლევლობის მცდელობისათვის, რაც არ იქნებოდა სწორი. სწორედ ამიტომ, გაბატონებულია ის მოსაზრება, რომელიც ახდენს მიზეზობრიობის პირობათა თეორიის ფორმულის მოდიფიკაციას: ვინაიდან ალტერნატიული მიზეზობრიობის დროს ორივე პირობა არა ერთდროულად, არამედ ცალცალკე აღებული, მეორე პირობისაგან დამოუკიდებლად, განიხილება, კაზუსის ამოხსნისა თუ პრაქტიკაში გამოყენების დროს ორივეს დამთავრებული შედეგი უნდა შეერაცხოს ობიექტურად.

ანალოგიურია მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემა პირობათა თეორიის მიხედვით კოლექტიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. მაგალითად, ერთ-ერთი კერძო სამართლის იურიდიული პირის გამგეობამ ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე განხორციელდა ისეთი მოქმედება, რამაც ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანება და მსხვერპლი გამოიწვია. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, თუმცა საკმარისი იყო ხმების უმრავლესობა. ნებისმიერმა ცალკე აღებულმა გამგეობის წევრმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მის მიერ ხმის მიუცემლობის შემთხვევაშიც გადაწყვეტილება მაინც იქნებოდა მიღებული და შედეგი დადგებოდა. ასეთ ვითარებაში დოგმატურად სახეზე გვაქვს ალტერნატიული მიზეზობრიობა, რომლის დასაბუთება პირობათა თეორიით ძნელია. ამ შემთხვევაშიც უნდა მოვახდინოთ *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მოდიფიკაცია: გამგეობის წევრების მოქმედება არა ერთდროულად, არამედ ცალცალკე აღებული, სხვათა მოქმედებებისაგან დამოუკიდებლად, უნდა განვიხილოთ და დავადგინოთ, რომ ეს იყო მოქმედება, რომელმაც შედეგი გამოიწვია, რის გამოც კოლექტიური ორგანოს გადაწყვეტილების მიმღებ ყველა წევრს შეიძლება შეერაცხოს შედეგი ობიექტურად. ამ შემთხვევაში ობიექტური შერაცხვის დროს გვანტერესებს არა იმდენად ის, სხვისი მოქმედებით შედეგი მაინც დადგებოდა თუ არა, არამედ ის, რომ ეს შედეგი რეალურად დადგა იმ პირის მოქმედებით, რომელსაც შედეგი ობიექტურად უნდა შეერაცხოს. მაშასადამე, შედეგი წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ ბუნებრივ შედეგს (მოძღვრება ე.წ. კანონზომიერი პირობის შესახებ).

ალტერნატიული მიზეზობრიობა განსხვავდება იმ შემთხვევებისაგან, როცა უტყუარად ვერ დგინდება, ორი ან მეტი პირობიდან უშუალოდ თუ რომელმა გამოიწვია სასიკვდილო შედეგი. მაგალითად, ვერ დადგინდა, თუ რომელი ტყვია მოხვდა მსხვერპლს ან მოხვედრილი ტყვიებიდან რომელი იყო სასიკვდილო შედეგის გამომწვევი. ასეთ შემთხვევაში, ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპიდან („*in dubio pro reo*”) გამომდინარე, შედეგი არცერთს არ შეერაცხება ობიექტურად. მიუხედავად შედეგის დადგომისა, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ დანაშაულის მცდელობა ყველა

იმ პირის მიმართ, ვინც მოკვლის განზრახვით გაისროლა მსხვერპლის მისამართით.

ამ უკანასკნელი შემთხვევისაგან განსხვავებით, ალტერნატიული მიზეზობრიობა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უტყუარად დადგინდება, რომ ორი ან მეტი ქმედებიდან თითოეული მათგანი ცალკე აღებული სახეებით საკმარისი პირობა იქნებოდა შედეგისათვის.

5.1.6.2 კუმულაციური მიზეზობრიობა

კუმულაციური მიზეზობრიობა არსებობს იმ შემთხვევაში, როცა შედეგი გამოიწვია ორმა (ან მეტმა) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელმა ქმედებამ, ანუ ქმედებათა ჯამმა, მაგრამ თითოეული ქმედების ჩამდენი პირის წარმოდგენით მის მიერ შესრულებული ქმედება სავსებით საკმარისი იყო შედეგის დასადგომად. ამასთან, მათ არ იცოდნენ ერთმანეთის მოქმედებისა და განზრახვის შესახებ. მაგალითად, თ.-მ და ბ.-მ ჩაუყარეს საწამლავი დ.-ს. დ. გარდაიცვალა. თითოეული მათგანის მიერ ჩაყრილი საწამლავი შედეგის დასადგომად საკმარისი არ იქნებოდა, ამიტომ, მიუხედავად შედეგის დადგომისა და მათი განზრახვისა, თითოეული მათგანი პასუხს აგებს მხოლოდ მცდელობისათვის. რატომ? იმიტომ, რომ, მართალია, მიზეზობრივი კავშირი არსებობს, მაგრამ ვინაიდან შედეგი მხოლოდ ერთობლივი ქმედების შედეგად დადგა ერთიანი განზრახვის გარეშე, პირს არ შეიძლება ობიექტურად შეერაცხოს შედეგი, რომლის ავტორიც იგი ვერ იქნებოდა, თუ არა მეორე პირის მოქმედება და არც ითვალისწინებდა მიზეზობრიობის ჯაჭვის ამგვარ განვითარებას. თუმცა მიზეზობრიობის ეკვივალენტურობის თეორიით, ორივე პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, ვინაიდან ამ პირობათა გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა.

როგორც ვხედავთ, ე.წ. კუმულაციური, ანუ ატიპიური, მიზეზობრიობის დროს არ არის მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემა, რადგან ორივე მოქმედების კაუზალობა უდავოა, ვინაიდან მათ გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. თუ მიზეზობრიობა სახეზეა, შესაბამისად, ორივეს დასჯადობა უნდა მოხდეს დამთავრებული დანაშაულისათვის, მაგრამ ვინაიდან შედეგის ობიექტური შერაცხვა ვერ მოხდება, ამიტომ სწორია კაუზუსის ამოხსნის დროს, ასევე პრაქტიკაში შედეგის შერაცხვაზე მსჯელობის ობიექტური შერაცხვის ეტაპზე გადატანა, ასეთი შერაცხვის უარყოფა და ორივე პირის დანაშაულის მცდელობისათვის დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა.

კუმულაციური მიზეზობრიობა არის ის შემთხვევა, როცა ობიექტური შერაცხვის თეორია გამოიყენება, რათა, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, ქმედების ობიექტური შემაღგენლობის

ეტაპზევე დამთავრებული დანაშაულისათვის დასჯადობა იქნეს უარყოფილი (ობიექტური შერაცხვის თეორიის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

კუმულაციური მიზეზობრიობის დროს ნაკლებ დამაჯერებელია, პრობლემის გადატანა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე და მისი იქ გადაწვევა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის ფარგლებში, როგორც ამას ადგილი პქონდა ადრე, ობიექტური შერაცხვის მოძღვრების ჩამოყალიბებამდე.

5.1.6.3 ჰიპოთეტური და სხვა მსბამსი მიზეზობრიობები

ჰიპოთეტური მიზეზობრიობა არსებობს იმ შემთხვევაში, როცა ქმედებამ გამოიწვია (დააჩქარა) შედეგი, რომელიც მოგვიანებით სხვა მიზეზით, რომელიც მესამე პირის მიერ არ იყო შექმნილი, მაინც დადგებოდა. მაგალითები:

- თ.-მ მოწამლა ლ., რასაც მოჰყვა მისი სიკვდილი, მაგრამ დადგინდა, რომ ლ. ავად იყო და მაინც მოკვდებოდა დროის მცირე მონაკვეთში. მიუხედავად ამისა, თ. აგებს პასუხს დამთავრებული დანაშაულისათვის, ვინაიდან მან ლ.-ს ბუნებრივი სიკვდილი თუნდაც დროის მცირე მონაკვეთით დააჩქარა. მას შედეგი ობიექტურად შეერაცხება.

- თ.-მ თბილისის აეროპორტში მოკლა ლ., რომელიც მიფრინავდა პარიზში. თვითმფრინავი, რომლითაც ლ. უნდა გაფრენილიყო, რამდენიმე წუთში ავიაკატასტროფის შედეგად ჩამოვარდა, რასაც მზავრთა დაღუპვა მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ლ.-ს სიკვდილი გარდაუვლად დადგებოდა, აქაც თ.-ს ობიექტურად შეერაცხება შედეგი და პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის.

ის არგუმენტი, რომ მსხვერპლი მაინც მოკვდებოდა, არ არის საკმარისი სხვაგვარი დასკვნის გასაკეთებლად. ჰიპოთეტური მიზეზობრიობის დროს შედეგი ყოველთვის ობიექტურად შეერაცხება იმ პირს, ვინც თავისი მოქმედებით შედეგის დადგომა გამოიწვია (დააჩქარა). სწორედ ამიტომ არის, რომ ე.წ. აქტიური ევთანაზიის შემთხვევები (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით), როცა მომაკვდავი მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა ხდება მისი დაუინებელი თხოვნითა და ნამდვილი ნების შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით დასჯადია და აქ არგუმენტი, მსხვერპლი მაინც მოკვდებოდა, შედეგის ობიექტურ შერაცხვას არ გამორიცხავს.

ე.წ. „რეგრესის აკრძალვის“ თეორიასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ცალკე გამოყოფილი ე.წ. „გაწვევითი მიზეზობრიობა“ იმით განსხვავდება ჰიპოთეტური მიზეზობრიობის მოყვანილი მაგალითისაგან, რომ ჩადენილი ქმედებაც აუცილებლად გამოიწვევდა შედეგს, მაგრამ შედეგის დადგომამდე ჩადენილ იქნა სხვა ახალი მოქმედება, რომელმაც შედეგი მანამდე უშუალოდ გამოიწვია.

ასეთ შემთხვევაში არ არსებობს პირველი მოქმედების მიზეზობრივი კავშირი შედეგთან, რადგან იგი გაწკადა.

- თ.-მ მოწამლა ლ. სანამ ეს უკანასკნელი მოკვდებოდა, ლ.-ს თავს დაესხა შეიარაღებული ბ., რომელმაც მოკლა პისტოლეტით. შედეგი (სიკვდილი) დადგებოდა იმისდა მიუხედავად, თ. მოწამლავედა თუ არა მანამდე ლ.-ს, ესე იგი ბ.-ს მოქმედების შედეგი არ იყო დამოკიდებული თ.-ს ქმედებაზე. ამიტომ, თ.-ს მოქმედება არ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან და პასუხს აგებს მცდელობისათვის, ხოლო ბ. - დამთავრებული დანაშაულისათვის. არგუმენტაცია მდგომარეობს იმაში, რომ თ.-ს რომ არ მოეწამლა, ლ.-ს მაინც მოკლავედა ბ.

ასევე ცალკე გამოიყოფა მიზეზობრიობის შემთხვევათა ისეთი ჯგუფი, რომელსაც პირობითად „გამსწრები“ ან სხვანაირად „მრავალსაფეხურიანი მიზეზობრიობა“ ეწოდება. ამ შემთხვევაშიც, მართალია, უშუალო შედეგი ახალმა მოქმედებამ გამოიწვია, მაგრამ თავდაპირველი მოქმედების გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა, ე.ი. პირველი მოქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, რის გამოც შედეგი ობიექტურად მასაც შეეარაცხება და არა მარტო იმას, ვინც ასეთი შედეგი უშუალოდ გამოიწვია.

- თ.-მ მოწამლა ლ., ისე, რომ ამ ქმედებას მისი სიკვდილი უნდა მოჰყოლოდა, თუმცა უცბად კი არ მოკვდა, არამედ დაძაბუნდა. სასიკვდილო შედეგის დადგომამდე ლ.-ს თავს დაესხა ბ. და მოახერხა მისი მოკვლა, ვინაიდან ლ. დაძაბუნებული იყო და სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია თავდამსხმელს.

ორივე დამნაშავეს ობიექტურად შეეარაცხება შედეგი და პასუხს აგებენ დამთავრებული დანაშაულისათვის. თ.-ს რომ არ მოეწამლა, ლ. თავის დაცვას მოახერხებდა და შედეგი ამ ფორმით არ დადგებოდა, თუმცა უფრო გვიან ამ მოქმედების შედეგად მოკვდებოდა. თუმცა არსებობს შესაძლებლობა, ისევე როგორც კუმულაციური მიზეზობრიობის დროს, საკითხი სხვაგვარად იქნეს გადაწყვეტილი, კერძოდ, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, ქმედების ობიექტური შემაღენლობის ეტაპზე დამთავრებული დანაშაულისათვის დასჯადობა იქნეს უარყოფილი შედეგის თ.-სათვის ობიექტური შეარაცხვის გამორიცხვის გზით, რის შესახებაც ყურადღება გამახვილდება ე.წ. რეგრესის აკრძალვის თეორიის განხილვის დროსაც. ამასთან, შედეგის ობიექტური შეარაცხვის შემთხვევაში, ქმედების სუბიექტური შემაღენლობის ეტაპზე შეიძლება დამატებით შემოწმდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში არსებით გადახრას, რომელმაც, შედეგის ობიექტური შეარაცხვის მიუხედავად, განზრახვის გამორიცხვა შეიძლება გამოიწვიოს.

5.1.7 შედეგის ობიექტური შერაცხვა

5.1.7.1 შედეგის ობიექტური შერაცხვის მნიშვნელობა

ობიექტური შერაცხვის კატეგორია, ისევე როგორც კაუზალობა (მიზეზობრივი კავშირი), წარმოადგენს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნაწილს. თუ მიზეზობრივი კავშირი ან ობიექტური შერაცხვა არა გვაქვს, არ არის შესრულებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა. მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, ზოგჯერ შეიძლება პირს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხოს, ხოლო ობიექტური შერაცხვის კატეგორიაზე მხოლოდ კაუზალობის დადგენის შემდეგ ვსაუბრობთ. მიზეზობრივი კავშირისა და ობიექტური შერაცხვის არარსებობის შემთხვევაში განზრახი შედეგიანი დელიქტებისათვის, როგორც მოქმედების, ასევე უმოქმედობის დროს უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის ჩადენილი ამ დანაშაულის მცდელობა ან (მძიმე, განსაკუთრებით მძიმე ან ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში) მომზადება. ასეთ შემთხვევაში, განზრახი დანაშაულის შედეგად გარეშე (ფორმალური) შემადგენლობის დროს შეიძლება ჩადენილი იყოს დამთავრებული დანაშაული.

ობიექტური შერაცხვის კატეგორია უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო სისხლის სამართალში. იგი, ისევე როგორც მიზეზობრივი კავშირი, წარმოადგენს დანაშაულის სისტემის დაუწერელ ნიშანს. ქართულ სისხლის სამართალში ობიექტური შერაცხვა სისხლის სამართლის კანონით არ არის დარეგულირებული, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, მიზეზობრიობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ერთ-ერთი ინსტიტუტია (სსკ-ის მე-8 მუხლი).

ობიექტური შერაცხვა სისხლის სამართლის დოგმატიკის შედარებით ახალი ინსტიტუტია. მისი ისტორია იწყება გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან. იგი ქართულ სისხლის სამართალში არ არის სათანადოდ განვითარებული, მათ შორის *თინათინ წერეთლის* ნაწერებშიც კი, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში მიზეზობრივი კავშირის პრობლემას სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა (იხ. *T. V. Церетели, Причинная связь в уголовном праве, 1963*).

მიზეზობრივი კავშირის განვითარების ჯაჭვიდან გადახრა ხშირ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივად ირელევანტურია. პირი პასუხს აგებს დამდგარი შედეგის მიხედვით. მაგალითად, ა.-მ გადააგდო ბ. მაღალი ხიდიდან ღრმა მდინარეში, რათა იგი წყალში დაიხრჩოს. ბ.-მ ცურვა არ იცის, რის გამოც იგი დაიხრჩობოდა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მან თავი დაარტყა რკინაბეტონს, რის შედეგადაც მოკვდა. ა.-ს, მიუხედავად მიზეზობრივი კავშირის სხვაგვარი განვითარებისა,

ვიდრე ეს მას წარმოედგინა, შედეგი ობიექტურად შეერაცხება, რის გამოც, მან პასუხი უნდა აგოს დამთავრებული მკვლევლობისათვის.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი მიზეზობრივი კავშირის განვითარების ჯაჭვიდან არსებითი გადახრის დროს. მაგალითად, ა.-მ ბ.-ს, მოკვლის განზრახვით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება, რომელიც არ იყო სასიკვდილო. საავადმყოფოში გადაყვანის დროს გზაში ავტოავარიის შედეგად იგი დაიღუპა. შეერაცხება თუ არა ა.-ს დამდგარი შედეგი ობიექტურად, თუ მიზეზობრივი კავშირის ატიპიური განვითარება ასეთ შერაცხვას გამოორიცხავს?

ამ შემთხვევაში იკვეთება ორი მომენტი: ატიპიური მიზეზობრიობა და ნორმის დაცვის მიზნიდან გადახრა (სიცოცხლის უფლების დაცვა, ანუ ადამიანის მოკვლის აკრძალვა), რაც საბოლოო ჯამში, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, შედეგის ობიექტურ შერაცხვას გამოორიცხავს.

ა.-მ და ბ.-მ ერთ-ერთ სოფელში მ.-სგან იყიდეს არაყი, რომელიც საღამოს ზედმეტი ოდენობით მიიღეს. აღნიშნულმა გამოიწვია ა.-ს ალკოჰოლური მოწამელა, რის გამოც იგი გარდაიცვალა. ამ შემთხვევაშიც, მ.-ს მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს, მაგრამ მას შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, რადგან ა.-მ თავისი მოქმედებით თვითონ ჩაიყენა თავი საფრთხის მდგომარეობაში (თვითსაფრთხის მდგომარეობით გამოწვეული შედეგი).

სისხლის სამართლის დოგმატიკაში ცნობილი კლასიკური მიდგომით, რომელიც არ იცნობდა მიზეზობრიობისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ შერაცხვის კატეგორიას, სხვაგვარად წყდებოდა საკითხი მიზეზობრიობის განვითარების ჯაჭვიდან არსებითი გადახრების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევებში მიიჩნეოდა, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობა განხორციელებული იყო და მხოლოდ დამდგარი შედეგისადმი განზრახვის არარსებობის გამო არ ხდებოდა გაუთვალისწინებელი შედეგისათვის დასჯადობა. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო გაუფრთხილებლობის არსებობის შემოწმება, მაგრამ მიზეზობრიობაში მნიშვნელოვანი გადახრის გამო გაუფრთხილებლობაც გამოირიცხებოდა, რადგან ადგილი არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმის დარღვევას, რომლის წინასწარ განჭკვრეტა ატიპიურობისა გამო შესაძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, არსებობდა შეხედულება, რომელიც მიმოხილვაში წარმოდგენილ ობიექტური შერაცხვის პრობლემას ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე განიხილავდა.

განსხვავებით ამ შეხედულებისაგან, დღეს გაბატონებულია ობიექტური შერაცხვის ორკვალიანი სისტემა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში, რასაც ასევე მხარს უჭერს წარმოდგენილი მიმოხილვა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ობიექტური შერაცხვის თეორია გაუფრთხილებლობითი დანაშაულების დროს ფართო მხარდაჭერას იმსახურებს, მაშინ როდესაც განზრახი დანაშაულების ძირითად არაპრობლემატურ შემთხვევებში მისი პრაქტიკული მნიშვნელობა შედარებით დაბალია.

მაშასადამე, ობიექტური შერაცხვის თეორია გამოიყენება პრობლემატურ შემთხვევებში. იმ შემთხვევაში კი, როცა არა გვაქვს ასეთი მდგომარეობა, საკმარისია ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის სუბსუმცია ასეთ შემთხვევაში კახუსის ამოხსნის დროს მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ საკმარისია ერთი წინადადების დაწერა, რომ პირს შედეგი ობიექტურად უნდა შეერაცხოს, რადგან არ არსებობს გარემოება, რომელიც ასეთ შერაცხვას გამოირიცხავდა.

სისხლის სამართალში არსებობს შემთხვევები, როცა მიზეზობრივი კავშირი ნაკლებად პრობლემატურია. ამასთან, ჩემი დაკვირვებითა და ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების მიხედვით არსებობს ტიპური შემთხვევები, რომელთა დროსაც, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, ობიექტური შერაცხვის საკითხი ძალზე საკამათოა.

5.1.7.2 შედეგის ობიექტური შერაცხვის პრობლემატური შემთხვევები

ქვემოთ გამახვილდება ყურადღება იმ შემთხვევებზე, როცა, მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, შედეგის ამ მოქმედების ჩამდენისათვის ობიექტურად შერაცხვერ მოხდება. სისხლის სამართალში გამოიყოფა ობიექტური შერაცხვის რამდენიმე ასეთი პრობლემატური შემთხვევა.

გაბატონებულ შეხედულებაზე დაყრდნობით, აქვე შეიძლება გამოიყოს ქვემოთ განხილული რამდენიმე ასეთი შემთხვევა. (ობიექტური შერაცხვის პრობლემატური შემთხვევები *ექვს* ჯგუფად არის დაყოფილი, მაგალითად, *პოლვერ მატის* მიერ: იხ. *H. Matt, Strafrecht, AT I, 1996*, გვ. 69. ანალოგიურ პრობლემატურ შემთხვევათა *შვიდ* ჯგუფზე მითითებულია *წიგნში: J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა 2008*, გვ. 61).

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, შედეგის ობიექტური შერაცხვა უნდა გამოირიცხოს, თუ:

- შედეგის გამომწვევი ქმედება არის რისკის შემამცირებელი;
- მოქმედებასა და შედეგს შორის არსებობს მოველენათა ატიპური განვითარებით გამოწვეული კავშირი;
- შედეგი დგას დარღვეული ნორმის დაცვის მიზნის სფერო გარეთ;

– შედეგი წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესაბამისი ალტერნატიული მოქმედების შესრულების დროსაც დადგებოდა;

– შედეგი დადგა დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით გამოწვეული თვითსაფრთხის ან თვითდაზიანების შედეგად;

– შედეგი დადგა ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად განვიარებული მიზეზობრიობის შედეგად;

– პირველ მოქმედებასა და შედეგს შორის განხორციელდა დაზარალებულის (მსხვერპლის), მესამე პირის, ბუნების ძალის ან თვითადამნაშავის ნებელობითი მეორე მოქმედება, რომლითაც ახალი დამატებითი საფრთხე წარმოიშვა.

ობიექტური შერაცხვის ეს პრობლემები მჭიდროდ არის ერთნათთან დაკავშირებული. ზოგჯერ ძნელია მათი ერთმანეთისაგან გამოჯენა და ხშირად ალტერნატიულადაც კი შეიძლება გამოვიყენოთ. ქვემოთ განხილული იქნება შედეგის ობიექტური შერაცხვის ზოგიერთ პრობლემატური შემთხვევა, რომელიც საკმარისი იქნება ართული სისხლის სამართლის მიხედვით ამ ახალ საკითხზე წაროდგენის შესაქმნელად.

5.1.7.3 ობიექტური შერაცხვის ცალკეული პრობლემები

(1) რისკის თეორია

დღეს აღიარებული რისკის თეორიის მიხედვით, დამდგარი შედეგი შორის მხოლოდ მაშინ შეიძლება შეერაცხოს ობიექტურად, თუ მან თავისი ქმედებით, რომელიც შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია, სასართლებრივად დასაძრახი, აკრძალული რისკის (საფრთხის) მდგოსარეობა შექმნა (ან აამაღლა), რომელმაც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული კონკრეტული შედეგი გამოიწვია.

ობიექტური შერაცხვის ეს ძირითადი ფორმულა, სხვადასხვა დიფერენციალური მანერა მსგავსი შინაარსით, მოცემულია არაერთ ავტორთან. (იხ., მაგალითად, გერმანულ სამართალში: *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 287; *J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT*, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 61; *K. Kühl, Strafrecht, AT*, მე-5 გამოცემა, 2008, გვ. 38; შვეიცარიულში: *Stratenwerth, Günter: Schweizerisches Strafrecht, AT I: Die Straftat*, მე-3 გამოცემა, 2005, გვ. 158; ავსტრიულში: *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I*, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 98).

სისხლის სამართალში განვითარებული შედეგის ობიექტური შერაცხვის ეს ძირითადი ფორმულა ცნობილია ე.წ. საფრთხის (რისკის) შემქმნის ან ამაღლების თეორიის სახელით.

ობიექტური შერაცხვის ძირითადი ფორმულის ჩამოყალიბების დროს ზოგიერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ რისკ-

ის (საფრთხის) მდგომარეობის შექმნაზე და არ უთითებს მის ამად
ლებაზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ რისკის ამადლების თეორია
(„Risikoerhöhungstheorie“), რომლის ავტორია *კლაუს როქსინი*, ობიექტური
შერაცხვის თეორიის მიმდევრებს შორის ჰყავს როგორც მო
მხრეები, ისე მოწინააღმდეგეები (იხ. *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა*
2006, გვ. 392-393. იქვე, 188-ე სქოლიოში, მითითებულია ამ თეორიის
მომხრეები, ხოლო 190-ე სქოლიოში - მოწინააღმდეგეები).

შედგის ობიექტური შერაცხვის თეორიის გაგებით, სამართლებრივად
დასაძრახი რისკის მდგომარეობას ქმნის ასევე ის პიროვნება, ვინც
მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში (შეად. *R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 90*; ასევე: *T. Lenckner, J. Eisele*, წიგნში: *A. Schönke*
H. Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 27-ე გამოცემა, 2006, გვ. 191).

რისკის შექმნის თეორიასთან დაკავშირებით ლიტერატურაში
მოყვანილია არაერთი მაგალითი. ერთ-ერთი ასეთი კაზუსის მიხედვით,
იმ შემთხვევაში, როცა სიძე სიდედრს გააგზავნის დასასვენებლად,
რა დროსაც იგი ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპება, მართალია,
იქმნება ფაქტობრივი, მაგრამ არა სამართლებრივად დასაძრახი
რისკის მდგომარეობა, რის გამოც მას, თუნდაც სასურველი, შედეგობრივად
არ შეერაცხება.

ასევე შედეგის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც,
როცა ა.-მ ბ.-ს ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენა დაზიანება, მაგრამ
იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა ავტოავარიის
შედეგად. ამ შემთხვევაში, ა.-მ, მართალია, შექმნა სამართლებრივად
დასაძრახი რისკის მდგომარეობა, მაგრამ ეს რისკი (იარაღით დაზიანებით
სიკვდილის გამოწვევა) კონკრეტულ შედეგში არ იქნა რეალიზებული
(სიკვდილი დადგა ავტოავარიის შედეგად).

მაშასადამე, რისკის თეორიის მიხედვით, ობიექტური შერაცხვის
ეტაპზე *სამი* მომენტი უნდა დადგინდეს:

(1) პირმა თავისი მოქმედებით შექმნა თუ არა რისკის მდგომარეობა;

(2) იყო თუ არა ეს რისკი სამართლებრივად დასაძრახი და

(3) მოხდა თუ არა ამ რისკით კონკრეტული შედეგის გამოწვევა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ობიექტური
შერაცხვის ეტაპზე ირელევანტურია იმის დადგენა, პირი მოქმედება
განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით.

ნებადართული რისკის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებით
გამოწვეული შედეგი პირს ობიექტურად არ შეერაცხება და გამორიცხავს
ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, რადგან იგი ხორციელდება
საზოგადოების მიერ ტოლერირებული ან ნებადართული ცხოვრებისეული
რისკის ფარგლებში, რის გამოც, იგი განიხილება, როგორც სოციალურად
ადეკვატური. მაგალითად, ავტომანქანის ტარება

ან თვითმფრინავით გადაადგილება ყოველთვის არის რისკის მატარებელი მოქმედება, მაგრამ სამართლებრივად არ არის დასაძრახი. ასევე, ნორმის ადრესატს ობიექტურად არ შეიძლება შეერაცხოს ისეთი ქცევით გამოწვეული შედეგი, რომელიც მისი „ბატონობის ქვეშ“ არ არის. მაგალითად, მივლინებით თანამშრომლის გაგზავნა, როცა ამ დროს იგი სასტუმროს კედლის ჩამონგრევის შედეგად დაიღუპება, მიუხედავად მიზეზობრივი კავშირის არსებობისა, არ იწვევს მივლინებაში გამგზავნისათვის შედეგის ობიექტურად შერაცხვას.

თინათინ წურეთელი საფრთხის (რისკის) შექმნის არაერთ ანალოგიურ შემთხვევაში სწორად არ ეთანხმებოდა საბჭოთა სისხლის სამართალში გაბატონებულ მიდგომას მიზეზობრივი კავშირის უარყოფის შესახებ და ასეთ შემთხვევებში ავითარებდა ე.წ. საშიშროების ან განზრახვის უარყოფის თეორიას (იხ. თ. წურეთელი, *გ. ტყეშელიძე*, მოძღვრება დანაშაულზე, 1969, გვ. 207-316). მიუხედავად ამისა, თუ ვერ ჩაითვლება ობიექტური შერაცხვის შესახებ თეორიის მიმდევრად, რადგან შედეგის ობიექტური შერაცხვის არაერთ პრობლემას ქმედების შემადგენლობის გარეთ – საზოგადოებრივი საშიშროების (მატერიალური მართლწინააღმდეგობის) ან ბრალის (განზრახვის) ეტაპზე განიხილავდა.

(2) რისკის შემცირება

ობიექტური შერაცხვის მოძღვრება ავითარებს ე.წ. რისკის შემცირების თეორიას (იხ.: *C. Roxin*, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 375-376; *K. Kühl*, Strafrecht, AT, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 43-44; *B. Heinrich*, Strafrecht – AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 92-93). ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული პოზიციები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ან ქმედების შემადგენლობის (ობიექტური შერაცხვა) ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებად (დაზარალებულის თანხმობა; დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა ან უკიდურესი აუცილებლობა) განიხილება.

ზოგიერთი ავტორი, რომელიც მხარს უჭერს ობიექტური შერაცხვის თეორიის გამოყენებას სისხლის სამართალში, არ იზიარებს რისკის შემცირების დროს შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვას, არამედ ასეთ შემთხვევაში აღიარებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობას. (იხ., მაგალითად, *R. Rengier*, Strafrecht, AT, 2009, გვ. 93. ასევე, სხვა ცნობილ ავტორებთანაც ეს პრობლემა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე განიხილება, კერძოდ, ე.წ. დაზარალებულის სავარაუდო თანხმობის სახით: იხ. *J. Baumann*, *U. Weber*, *W. Mitsch*, Strafrecht, AT, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 250-251. ანალოგიური პოზიცია არის განვითარებული ჩემი წიგნის ადრეულ გამოცემებში: იხ. *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2006, მე-6 გამოცემა, გვ. 212-213, სადაც მოცემული 141-ე კაზუსი სწორედ

ე.წ. რისკის შემცირების დროს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის არსებობას უჭერს მხარს. განსხვავებული პოზიცია („შედგვის ობიექტური შერაცხვა რისკის შემცირების გამო უნდა გამოირიცხოს“) არის ჩამოყალიბებული ჩემი წიგნის მე-7 გამოცემაში (2008, გვ. 116), რომელიც ამ გამოცემაშიც არის განვითარებული.

რისკის შემცირების თეორიის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა, მართალია, თავისი მოქმედებით შექმნა რისკი, რომელმაც გამოიწვია სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, მაგრამ ამით მან იმავდროულად თავიდან აიცილა ამ სამართლებრივი სიკეთისათვის უფრო დიდი ზიანის მიყენების საფრთხე. მაგალითად, ა.-მ ბ. გადაარჩინა სიკვდილს, მაგრამ ამ დროს თავიდან ვერ აიცილა და თავისი მოქმედებით გამოიწვია მისთვის ჯანმრთელობის დაზიანება. კერძოდ, საყოფაცხოვრებო კონფლიქტის ნიადაგზე ჩხუბის დროს ი.-მ აიღო ნაჯახი და მოკვლის განზრახვით მოუჭნია ბ.-ს. ამ დროს მეზობელმა ა.-მ თავისი მოქმედებით ხელი შეუშალა ი.-ს, რის გამოც მოქმეული ნაჯახი ბ.-ს მოხვდა მხარში და მიიღო მხოლოდ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. მართალია, ა.-მ თავისი მოქმედებით შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით (ჯანმრთელობის დაზიანება) მიზნობრივად გამოიწვია: ის რომ არ ჩარეულიყო, ეს კონკრეტული შედეგი არ დადგებოდა, მაგრამ თავისი მოქმედებით მას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის დაზიანების სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე, არამედ, პირიქით, სამართლებრივი სიკეთის უფრო დიდი დაზიანება აიცილა თავიდან.

სხვა კაზუსის მიხედვით, ერთ-ერთ სუფრაზე ჩხუბის დროს ა.-მ გადაწყვიტა ბ.-ს მოკვლა შურისძიების ნიადაგზე. ვინაიდან სხვაგვარად შედეგს ვერ აიცილებდა, ე.-მ გადაარწმუნა იგი, მოეკლა ბ. და დაარწმუნა, რომ ცემა და ჯანმრთელობის დაზიანების მიყენება საკმარისი იქნებოდა, რომ მას „ჭკუა ესწავლა“. ა.-მ მართლაც გადაიფიქრა და დაკმაყოფილდა ცემით, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. ამ შემთხვევაშიც შედეგის ობიექტური შერაცხვა რისკის შემცირების გამო უნდა გამოირიცხოს. (რისკის შემცირების დროს შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვას მხარს უჭერს არაერთი ავტორი, მათ შორის: *C. Roxin, Strafrecht, AT I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 375-376; *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 287; *J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT*, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 69; *B. Heinrich, Strafrecht – AT I*, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 92).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზიანის ყოველგვარი შემცირება როდი იწვევს ქმედების ობიექტური შემადგენლობის არარსებობას. რისკის შემცირება მხოლოდ მაშინ გამორიცხავს ობიექტურ შერაცხვას, როცა ქმედება არსებულ მიზეზობრივ კავშირს დაასუსტებს, დაამუხრუჭებს. იგი არ გამოირიცხება ისეთ შემთხვევებში, როცა საფრთხის ამცილებლის მიერ ახალი, დამოუკიდებელი და,

თავის მხრივ, სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე შეიქმნება, რითაც უფრო ნაკლები ზიანი დადგება, ვიდრე თავდაპირველი. ასეთი ზიანი, უფრო დიდი საფრთხის თავიდან აცილების მიუხედავად, ობიექტურად შეერაცხება პირს.

მაგალითად: ა.-მ ცეცხლმოკიდებული სახლის ფანჯრიდან გადააგდო საბანში გახვეული ბავშვი, ვინაიდან მისი სიცოცხლის სხვაგვარად გადარჩენა არ შეეძლო. მან იცოდა, რომ ბავშვს შეიძლებოდა მიეღო დაზიანებები. მართლაც, ბავშვი გადარჩა, მაგრამ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ა.-ს შედეგი ობიექტურად შეერაცხება, ვინაიდან მან თავისი მოქმედებით ახალი საფრთხე შექმნა. ასეთ შემთხვევაში, გამოირიცხება მართლწინააღმდეგობა: ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის მიხედვით, – მართლზომიერი რისკის, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით კი, – დაზარალებულის სავარაუდო თანხმობის ან უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე. (ამის შესახებ იხ.: *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 376, 773; H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 287-288; J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 69; K. Kühl, Strafrecht, AT, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 44; B. Heinrich, Strafrecht – AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 92-93; ასევე: T. Lenckner, J. Eisele, წიგნში: A. Schönke, H. Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 27-ე გამოცემა, 2006, გვ. 193).*

ობიექტური შერაცხვა არ გამოირიცხება ისეთ შემთხვევაშიც, როცა საფრთხის აცილების შემდეგ ახალი, უფრო ნაკლები ზიანის მიმყენებელი სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე შეიქმნება, ვიდრე თავდაპირველი. მაგალითად, ა.-მ სიკვდილს გადაარჩინა ბ. და მისცა თავშესაფარი, მაგრამ თავის მხრივ ისარგებლა შემთხვევით და დაამყარა მასთან იძულებითი სქესობრივი კავშირი. ასეთ შემთხვევაში შედეგის ობიექტური შერაცხვა მოხდება ჩვეულებრივად.

შედეგის ობიექტურ შერაცხვას არ გამოირიცხავს, მაგალითად, მატარებლის მისრის ისეთი მოქმედება, რომელმაც მრავალი მგზავრის სიცოცხლე გადაარჩინა რკინიგზის სადგურის ერთი ან რამდენიმე თანამშრომლის სიცოცხლის მოსპობის ხარჯზე. მართალია, ამ და მსგავს შემთხვევებში ადგილი აქვს ზიანის კვანტიტატიურ (რაოდენობრივ) შემცირებას, მაგრამ ე.წ. კვანტიტატიური უკიდურესობა არ არის ობიექტური შერაცხვის პრობლემა. იგი მხოლოდ ბრალის ეტაპზე შეიძლება განხილულ იქნეს საპატიებელ გარემოებად, თანაც ვაბატონებული შეხედულებით არც ბრალს გამოირიცხავს.

(3) რისკის ამაღლება

„რისკის ამაღლების თეორიის“ დამფუძნებელია *კლაუს როქსინი* (იხ. *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 392-399*). მან ეს თეორია ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ თავის ადრეულ ნაშრომებში (იხ.: *C. Roxin,*

ZStW 74 (1962), 411; C. Roxin, ZStW 78 (1966), 214), რომელსაც არაერთმა ავტორმა დაუჭირა მხარი. (მათ შორისაა: H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 584-586; I. Puppe, Strafrecht Allgemeiner Teil im Spiegel der Rechtsprechung, Band 1, 2002, გვ. 99-104).

სისხლის სამართლის დოგმატიკაში რისკის თეორიასთან დაკავშირებით დისკუსიას იწვევს საკითხი, გაუფრთხილებლობის შემთხვევაში პირს შეერაცხება თუ არა მისი ქმედებით გამოწვეული შედეგი, როცა უტყუარად არ არის დადგენილი, არამედ მხოლოდ სავარაუდოდ ან შესაძლებლად მიიხსენება, რომ მის მიერ მართლზომიერი ალტერნატიული ქმედების განხორციელების შემთხვევაში შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

მაგალითად, ტ.-მ სატვირთო ავტომანქანით გაუსწრო ველოსიპედით მიმავალ ო.-ს, რა დროსაც არ დაიცვა დადგენილი დისტანცია. ველოსიპედისტი ჩაუვარდა ავტომანქანას და ადგილზევე გარდაიცვალა. ო. ისეთი მთვრალი იყო, რომ მძღოლის მიერ წინდახედულობის ნორმის დაცვის შემთხვევაშიც სავარაუდოდ მაინც ამ ავტომანქანის ბორბლებს ქვეშ აღმოჩნდებოდა. შეერაცხება თუ არა ტ.-ს დამდგარი გაუფრთხილებელი შედეგი ობიექტურად? (ამ შემთხვევაში შედეგის ობიექტური შეერაცხვა რისკის ამაღლების თეორიით დასაბუთებულია როქსინის მიერ. იხ.: C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 392; T. Hillenkamp, 32 Probleme aus dem Strafrecht, AT, მე-10 გამოცემა, 2001, გვ. 197).

იმ შემთხვევაში, როცა დადგენილია, რომ მართლზომიერი ალტერნატიული მოქმედება უტყუარად იგივე შედეგს გამოიწვევდა, შედეგის ობიექტური შეერაცხვა გამოირიცხება. პრობლემურია და აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა იმ დროს, როცა კონკრეტული ქმედება თუმცა არა უტყუარად, მაგრამ შესაძლებელია, კონკრეტული დამდგარი შედეგის თავიდან ამცილებელი ყოფილიყო. მაშასადამე, როქსინის აზრით, თუ ნებადართული რისკის ფარგლების გადაცილებამ სასიკვდილო შედეგის დადგომის შანსი სამართლებრივად რელევანტურად აამაღლა, ასეთ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომ პირს რისკის ამაღლებისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისროს (იხ. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 392).

როქსინის რისკის ამაღლების თეორია, რომელსაც ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა, არ გაიზიარა გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ (იხ. BGHSt 11, 1), რომელმაც მიიჩნია, რომ საზიანო შედეგისათვის შეიძლება მოძრაობის დადგენილი წესების საწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვალოს კაუზალურად, როცა უტყუარად დადგენილია, რომ მოძრაობის წესების დაცვის შემთხვევაში ეს შედეგი არ დადგებოდა. ასეთ შემთხვევაში როქსინი, ისევე როგორც ამ თეორიის სხვა მიმდევრები, მხარს არ უჭერენ *in dubio pro reo*-ს პრინციპის გამოყენებას, რადგან მიაჩნიათ, რომ რისკის ამაღ-

ლებსათვის პასუხისმგებლობა არის არა პროცესუალურ-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი პრობლემა.

რისკის ამაღლების თეორიის საწინააღმდეგოდ გამოთქმულია კრიტიკა, რომ იგი თითქოს შედეგიან დელიქტებს კანონსაწინააღმდეგოდ საფრთხის შემქმნელ დელიქტებად აქცევს და, ამასთან, ეწინააღმდეგება ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპს. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, მოწინააღმდეგეთა აზრით, შედეგის ობიექტურად შერაცხვა მხოლოდ მაშინ მიიჩნევა შესაძლებლად, როცა უტყუარად დადგინდება, რომ წინდახედულობის ნორმის დაცვის შემთხვევაში ეს შედეგი არ დადგებოდა, ხოლო ეჭვის შემთხვევაში შედეგის ობიექტური შერაცხვა უნდა გამოირიცხოს.

როქსინის რისკის ამაღლების თეორიის საწინააღმდეგოდ პოზიციას ავითარებს არაერთი ავტორი. (მათ შორისაა: *G. Jakobs, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 235-237; W. Gropp, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 2001, გვ. 427-429*). მათი პოზიცია, საყურადღებო არგუმენტების მიუხედავად, არ არის გასაზიარებელი. კანონი მოითხოვს წინდახედულობის ნორმის დაცვას მაშინაც, როცა მისი შესრულება სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის შანსს, მართალია, მნიშვნელოვნად ამაღლებს, მაგრამ აბსოლუტური უტყუარობით ვერ უზრუნველყოფს. გასაზიარებელია ამ პოზიციის გასამყარებლად ჰელმუტ ფუქსის მიერ მოყვანილი მაგალითის მისეული სამართლებრივი შეფასება. კერძოდ, თუ ექიმი ოპერაციის გაკეთების დროს დაუშვებს შეცდომას, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, იგი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის პასუხს აგებს მაშინაც, როცა არ არის გამოირიცხული იმის ალბათობა, რომ ექიმის მიერ წინდახედულობის ნორმის დაცვის შემთხვევაშიც პაციენტის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. (იხ. *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 104-105*).

(4) მიზნობრივი სამართლებრივი ურთიერთკავშირი

რისკის ამაღლების შემთხვევებისაგან განსხვავებით, პირს ობიექტურად არ შეიძლება შეერაცხოს შედეგი, რომელიც, მართალია, წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობათა დარღვევით იყო გამოწვეული, თუ იგი იმ შემთხვევაშიც დადგებოდა, თუ პირი წინდახედულობის ნორმის შესაბამისად იმოქმედებდა. შემთხვევათა ეს ჯგუფიც მნიშვნელოვანია გაუფრთხილებლობითი და ასევე უმოქმედობითი ჩადენილი დანაშაულებისათვის.

ა. მართავდა ავტომანქანას დასახლებულ პუნქტში ნასვამ მდგომარეობაში და 100 კმ. სიჩქარით საათში, მაშინ როდესაც დაშვებული იყო 60 კმ. საათში სიჩქარით სიარული. იგი დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. პროცესზე დადგინდა, რომ

იგი ფხიზელ მდგომარეობასა და დაშვებული სინქარით მოძრაობის შემთხვევაშიც შედეგს თავიდან ვერ აიცილებდა.

კანონზომიერი პირობის თეორიით, მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან სახეზეა. ასევე ავტომატური საჭესთან მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა და დადგენილი სინქარის გადაჭარბებით მოძრაობა წარმოადგენს წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობათა დარღვევას. ნორმის დაცვის მიზანიც, რომელიც მდგომარეობს ასეთი ქცევით (სიმთვრალე და გადაჭარბებული სინქარით მოძრაობა) გამოწვეული საშიშროებების აღკვეთაში, სახეზეა. მიუხედავად ამისა, ა.-ს შედეგი ობიექტურად მაინც ვერ შეერაცხება, რადგან ეს შედეგი წინდახედულობის ნორმის შესაბამისი მოქმედების დროსაც დადგებოდა.

(5) მიზეზობრივი კავშირის ატიპიური ბანკოთარება

ატიპიური მიზეზობრიობის შემთხვევები, მიუხედავად მიზეზობრივი კავშირის უდავოდ არსებობისა, შედეგის ობიექტურ შერაცხვას გამორიცხავს. სწორედ ამიტომ, კუმულაციური მიზეზობრიობა არის ატიპიური მიზეზობრიობის ერთ-ერთი შემთხვევა.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ატიპიური არის გარემოებათა ნებისმიერი ისეთი განვითარება, რომელიც მოვლენათა ჩვეულებრივი მიმდინარეობისა და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, არ არის მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში შედეგი არის არა შესაძლებლობა, არამედ შემთხვევითობა. ამიტომ მიზეზობრიობის ატიპიური განვითარების დროს უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის კონკრეტული შემთხვევის შედეგი საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებს გარეთ? ასეთი ვითარების შემთხვევაში, შედეგის ობიექტურად შერაცხვა არ მოხდება.

(6) ნორმის დაცვის მიზნის თეორია

ობიექტურად არ არის შერაცხადი ისეთი ქცევით გამოწვეული შედეგი, რომელიც, მართალია, წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობათა დარღვევას წარმოადგენდა, მაგრამ ეს ნორმა მიზნად ისახავდა სულ სხვა ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის აღკვეთას, ვიდრე იმას, რაც რეალურად დადგა. შემთხვევათა ეს ჯგუფი, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გაუფრთხილებლობითი დანაშაულებისათვის.

მაგალითად, ბნელ ღამეში სოფლის გზაზე, ყოველგვარი განათების გარეშე, ორი ადამიანი მიდიოდა ველოსიპედით. მათი შემჩნევა ავტომატურად მძღოლისათვის იყო ძალზე ძნელი. ა. დაეჯახა ერთ-ერთ მათგან მ.-ს, რის შედეგადაც მ. გარდაიცვალა. მეორე კ.-ს ველოსიპედს მაინც რომ ჰქონოდა რაიმე განათება, მძღოლი ორივე მათ-

განს შეამჩნევდა და შედეგი არ დადგებოდა. შეერაცხება თუ არა კ.-ს დამდგარი შედეგი ობიექტურად?

კ.-ს მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევა იყო დამდგარ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში. მას რომ განათება გამოეყენებინა, ავტომანქანის მძღოლი ორივე ველოსიპედს შეამჩნევდა და სასიკვდილო შედეგი არ დადგებოდა. საავტომობილო ბნელ გზაზე ველოსიპედით დამით განათების გარეშე მოძრაობა წარმოადგენს წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებული მოვალეობის დარღვევას, რომელიც ქმნის სამართლებრივად დასაძრახ რისკს. ეს რისკი კი, მდგომარეობს იმაში, რომ თუ განათების გარეშე ივლი, თვითონ ველოსიპედის მძღოლს დაემუქრება ის საფრთხე, რომ მას ვერ შეამჩნევს ავტომანქანის მძღოლი და ამით შეიძლება დადგეს უბედური შემთხვევა. ვალდებულება, სიბნელეში მხოლოდ განათებული ველოსიპედით უნდა იარო, არ შეიძლება იმ მიზანს ემსახურებოდეს, რომ სხვებიც გაანათო, რომ ისინი უბედურ შემთხვევაში არ აღმოჩნდნენ. სწორედ ამიტომ, კ. გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის არ დაისჯება, რადგან მას დარღვეული ნორმით დაცული მიზნის გარეთ მდგომი შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება.

(7) დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით ბამოწვეული საფრთხე

დაზარალებულის მიერ პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებული ქმედებით საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა, მიუხედავად სხვა პირის მიერ ჩადენილ მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისა, ამ უკანასკნელისათვის შედეგის ობიექტურ შეერაცხვას გამორიცხავს.

მაგალითად, ა. და ბ. არიან მეგობრები. ა.-ს აქვს პერონი, ხოლო ბ.-მ შეიძინა ორი ერთჯერადი შპრიცი. ისინი შევიდნენ საერთო საცხოვრებლის საპირფარეშოში. ბ.-მ მოამზადა მასალა და მოათავსა იგი მის მიერ მოტანილ ორივე შპრიცში. ამის შემდეგ ორივემ ცალცალკე თვითონ გაიკეთა ნარკოტიკი. ინექციის შედეგად მალე ორივე უფრო მდგომარეობაში ჩავარდა. რამდენიმე წუთში თვითმხილველებმა გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. მიუხედავად ამისა, ექიმებმა ვერ შეძლეს ა.-ს გადარჩენა. შეერაცხება თუ არა ბ.-ს ობიექტურად დამდგარი მძიმე შედეგი? (ანალოგიური შემთხვევა იხ. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებების კრებულში: BGHSt 32, 262 (პერონის შემთხვევა). იხ.: *Roxin, Claus: Höchststrichterliche Rechtsprechung zum Allgemeinen Teil des Strafrechts*, 1998, გვ. 3-4; *H. Matt, Strafrecht, AT I*, 1996, გვ. 69).

ა.-ს მიერ პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებული ქმედებით საკუთარი სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის გამო, ბ.-ს მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევით სიცოცხლის მოსპობის

ობიექტური შემადგენლობა არ არის განხორციელებული, ვინაიდან ბ.-ს მისი მოქმედებით (შპრიცის შექმნა, მასალის მომზადება და შპრიც-ში ჩასხმა) გამოწვეული შედეგის (ა.-ს სიკვდილი) მიუხედავად, ეს შედეგი არ შეიძლება ობიექტურად შეერაცხოს. ადრე გერმანული სასამართლო პრაქტიკა (იხ. BGHSt 7, 112; 17, 359) ანალოგიურ შემთხვევებში არ აღიარებდა დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით გამოწვეული საფრთხის მნიშვნელობას ობიექტური შერაცხვისათვის და პირის დასჯას ახდენდა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის. (იხ. *Roxin, Claus: Strafrecht, AT I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 404). ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკის შედეგად (იხ. *Schünemann, Bernd, NStZ 1982, 60*) შეიცვალა სასამართლო პრაქტიკა, რის შედეგადაც ასეთ შემთხვევებში სასიკვდილო შედეგის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება (იხ. BGHSt 32, 262; 36, 1; 37, 179; ასევე: *C. Roxin, NStZ 1984, 411*).

ე.წ. მსხვერპლის პირადი პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ მას წინ უნდა უძღოდეს ნების თავისუფლება და მოქმედების შეგნებულობა. აღნიშნული არ არის სახეზე, როცა მსხვერპლს შეურაცხაობის ან სხვა გარემოების (მაგალითად, შეცდომაში შეყვანა) გამო არა აქვს თავისი ნების შესაბამისი თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების უნარი.

პირის მოქმედება მსხვერპლის მიმართ შეიძლება იყოს განზრახვი ან გაუფრთხილებლობითი. არც ერთ შემთხვევაში ამ პირის პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მსხვერპლმა საფრთხით შექმნილი რისკის თვითრეალიზაცია შეგნებულად მოახდინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის (ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი) სასამართლო პრაქტიკა, უზენაეს სასამართლოში ჩემი სამოსამართლო გამოცდილებიდან: ერთ-ერთმა პოლიციელმა მაგიდაზე უყურადღებოდ დატოვა პისტოლეტი, რომლის ტარების უფლებაც მას ჰქონდა. მეგობარმა გოგონამ, რომელიც იყო სრულწლოვანი და ფსიქიკურად ჯანმრთელი, თავი მოიკლა ამ იარაღით. ვინაიდან ქართულ სისხლის სამართალში, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკაში, დღემდე განვითარებული არ არის ობიექტური შერაცხვის თეორია, პოლიციელი დაისაჯა ამ დანაშაულისათვის სსკ-ის 238-ე მუხლით. ობიექტური შერაცხვის თეორიის აღიარების შემთხვევაში, შედეგის ობიექტური შერაცხვა უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან ადგილი ჰქონდა დაზარალებულის თავისუფალი ნების საფუძველზე განხორციელებულ თვითმკვლელობას. განსხვავებული შედეგი გვექნება იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული იქნებოდა შეურაცხადი პირი (სსკ-ის 33-ე ან 34-ე მუხლი), რომელიც ამ იარაღით მოიკლავდა თავს. ასეთ შემთხვევაში პოლიციელისათვის შედეგის ობიექტური შერაცხვა მოხდებოდა ჩვეუ-

ლებრივი წესით. (ანალოგიური კაზუსი მოცემულია გერმანულ ლიტერატურაშიც, სადაც საკითხი ამ პოზიციის ანალოგიურად არის გადაწყვეტილი. იხ., მაგალითად, წიგნში: *R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 100*, სადაც მითითებულია, რომ პოლიციელი არ უნდა დაისჯოს).

(8) თვითმკვლელობაში (სუიციდში) აქტიური თანამონაწილეობა

მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა არ არის განხორციელებული, თუ ჩადენილია მსხვერპლის პირადი პასუხისმგებლობით გამოწვეული თვითმკვლელობა (სუიციდი).

მაგალითად, პეტრიაშვილმა იცის, რომ მის მეგობარს გადაწყვეტილი აქვს თვითმკვლელობა. მან მეგობარს მისცა იარაღი ან საწამლავი.

არის თუ არა პეტრიაშვილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში შედეგთან და შეერაცხება თუ არა მას, როგორც დამხმარეს, შედეგი ობიექტურად?

ვინაიდან თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა ამ მაგალითში წარმოდგენილი შინაარსით არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ამიტომ მას არ ჰყავს ამსრულებელი. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, რაც ნიშნავს თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, არც დამხმარე დაისჯება სისხლის სამართლის წესით სუიციდში თანამონაწილეობისათვის. (ანალოგიური პოზიცია იხ., მაგალითად, წიგნებში: *C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 402; R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 99*).

ე.წ. მსხვერპლის საკუთარი პასუხისმგებლობა აქაც გულისხმობს, რომ მას წინ უნდა უძღოდეს ნების თავისუფლება და მოქმედების შეგნებულობა. აღნიშნული არ არის სახეზე, როცა მსხვერპლს შეურაცხაობის ან სხვა გარემოების (მაგალითად, შეცდომაში შეყვანა) გამო არა აქვს თავისი ნების შესაბამისი თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების უნარი. ამასთან, შემოწმებას მოითხოვს, ხომ არა აქვს ადგილი ე.წ. შუალობით ამსრულებლობას, როცა პირმა მსხვერპლის ნების დეფექტის შესახებ იცის და მას ბოროტად იყენებს, თრგუნავს? მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როცა მსხვერპლი, მართალია, შერაცხადია, მაგრამ მისი ნება დათრგუნულია სიკვდილის შემდეგ რეინკარნაციის შედეგად სხვა პლანეტაზე მარადიული სიცოცხლის მოლოდინში (იხ. *C. Roxin, Höchststrichterliche Rechtsprechung zum Allgemeinen Teil des Strafrechts, 1998, გვ. 119-120*). არსებობს მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებელი მსხვერპლს იყენებს, როგორც ე.წ. „ცოცხალ იარაღს“ საკუთარი თავის წინააღმდეგ.

ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, საკამათოა, გამომდინარეობს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში

მოცემული „შუალობითი ამსრულებლობის“ ცნებიდან შერაცხადი პირის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის დროს სხვა პირისათვის შუალობითი ამსრულებლობის ფორმით შედეგის ობიექტური შერაცხვა.

(9) თვითმკვლელობაში (სუიციდში) პასიური თანამონაწილეობა

სამართლებრივმა გარანტმა, გამოიჩინა რა პასიურობა, არ განახორციელა აქტიური მოქმედება, რითაც შეეძლო დახმარება აღმოეჩინა იმ პირისათვის, რომელმაც თვითმკვლელობა გადაწყვიტა. იმ დროს, როცა მსხვერპლი თვითმკვლელობისაკენ მიმართული თავისი მოქმედებით გონებადაკარგულია, სამართლებრივი გარანტი არ ახორციელებს მისი გადარჩენის ღონისძიებებს იმ მოსაზრებით, რომ პატივი სცეს მსხვერპლის საკუთარი პასუხისმგებლობით მიღებულ თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას.

უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა არ არის განხორციელებული, თუ, მაგალითად, ექიმი ან ახლო ნათესავი არ შეასრულებს სამართლებრივი გარანტის ფუნქციას მსხვერპლის გადასარჩენად, თუ იგი ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით გამოწვეულ თვითმკვლელობას. ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი გარანტის მოვალეობა არ არის დარღვეული.

(10) პასუხისმგებლობა ქმედებაზე ბატონობისათვის თუ მსხვერპლის პირადი პასუხისმგებლობა?

ლოგინად ჩავარდნილმა ბაბუამ გადაწყვიტა, თავი მოეკლა. მან თავის შვილიშვილს სთხოვა, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ამ საქმეში, თუ იგი სასურველ შედეგს მარტო ვერ მიაღწევდა. რამდენიმე დღეში ბაბუამ გაიკეთა სასიკვდილო ინექცია, რომელმაც უცხად კი არ გამოიწვია შედეგი, არამედ ჯერ ღრმად დააძინა. იმაზე ფიქრით, რომ შეიძლება ინექციამ დიდხანს არ გამოიწვიოს თვით მსხვერპლისათვის სასურველი შედეგი, შვილიშვილმა ბაბუას ღრმა ძილის მდგომარეობაში გაუკეთა მეორე სასიკვდილო ნემსი, რათა მსხვერპლის ნება დროულად ასრულებულიყო. ბაბუა შვილიშვილის მოქმედების გარეშეც პირველი ინექციითაც მოკვდებოდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში რამდენიმე საათით გვიან.

განზრახი მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა შვილიშვილის სასიკვდილო ქმედების შედეგად სახეზეა. მან მინიმუმ რამდენიმე საათით დააჩქარა შედეგი, რომელიც მსხვერპლის მოქმედებით მოგვიანებით ისედაც აუცილებლად დადგებოდა. მაშასადამე, მან გამოიწვია მსხვერპლის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლება. მსხვერპლის საკუთარი პასუხისმგებლობით გამოწვეული თვითსაფრთხე

სუიციდის მიზნით არ გამორიცხავს შვილიშვილისთვის შედეგის ობიექტურად შერაცხვას, ვინაიდან ამ ქმედების გარეშე ეს შედეგი ამ დროს არ დადგებოდა.

ბაბუის მიერ ვითარების შეუგნებლობის მდგომარეობაში ქმედებაზე ბატონობის შესაძლებლობა მთლიანად გადავიდა ბაბუიდან შვილიშვილზე. ქმედებაზე ბატონობა კი იყო უკანასკნელი პირობა, რომელმაც გამოიწვია შედეგი.

არსებობს საწინააღმდეგო პოზიციაც (*როქსინი*), რომელიც სიტუაციიდან გამომდინარე, რაც მდგომარეობს სუიციდის დროს მსხვერპლის საკუთარი პასუხისმგებლობის თავისებურებებიდან, მთლიანი ვითარებისათვის ნორმატიულ პასუხისმგებლობას მთლიანად მსხვერპლს აკისრებს. ამ პოზიციის მომხრეთა აზრით, მთავარი არ არის ე.წ. „ბოლო პირობა“, რის გამოც, ასეთი შემთხვევა არ მიიჩნევა დასჯადად. (იხ. *C. Roxin, NSTZ 1987, გვ. 345-346*).

(11) უმოქმედობა მოქმედებით

მაგალითად, ექიმმა ა.-მ გამორთო სიცოცხლის გამახანგრძლივებელი რენიმატორი და ამით გამოიწვია პაციენტის სიკვდილი. ექიმმა იცის პაციენტის ნება, რომ მას არ სურს ხელოვნურად სიცოცხლის გახანგრძლივება და უნდა სიკვდილი, რადგან არა აქვს გამოჯანმრთელების არავითარი შანსი. ექიმი სამართლებრივადაც არ არის ვალდებული, პაციენტის ნების საწინააღმდეგოდ ამყოფოს იგი იძულებით მკურნალობაში. ექიმს არა აქვს პაციენტის ნების საწინააღმდეგოდ მისი შემდგომი მკურნალობის არავითარი სამართლებრივი ვალდებულება. არის თუ არა ასეთ დროს ექიმის მოქმედება დასჯადი?

ვფიქრობ, განზრახი მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა არ არის განხორციელებული. ექიმს, მისი მოქმედების (სიცოცხლის გამახანგრძლივებელი აპარატურის გამორთვა) კაუზალობის მიუხედავად შედეგთან (პაციენტის სიკვდილი), ეს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება. მისი ქმედება წარმოადგენს მკურნალობის შემდგომ შესწერებას იმ ვითარებაში, როცა ასეთი მკურნალობის სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობს. ტერმინი: „უმოქმედობა მოქმედებით“ (იხ. წიგნში: *H. Matt, Strafrecht, AT I, 1996, გვ. 74*) მომდინარეობს იქიდან, რომ შემდგომი მკურნალობის განხორციელების შეწყვეტა (უმოქმედობა) მოხდა აპარატურის გამორთვით (მოქმედება).

(12) ალაშიანის ნებისგან დამოუკიდებლად განვიითარებული ატიპიური მიზანუბრიობა

მაგალითად, ა.-მ თავისი სიდედრი თვითმფრინავით დასასვენებლად გააგზავნა კანარის კუნძულებზე. იგი უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად სიდედრი მოკვდებოდა.

სიდედრი თვითმფრინავის შემთხვევით ჩამოვარდნის შედეგად მარ-
თლაც დაიღუპა. შეერაცხება თუ არა სიძეს შედეგი ობიექტურად?

ი.-ს შვილმა 20 წლის ასაკში ჩაიდინა მკვლელობა. შეერაცხება
თუ არა მშობელს შედეგი ობიექტურად?

ამ შემთხვევებში განზრახი მკვლელობის ობიექტური შემად-
გენლობა არ არის განხორციელებული, ვინაიდან ა.-სა და ი.-ს მოვ-
ლენათა განვითარებაზე რაიმე ობიექტური ზეგავლენა არ მოუხდუ-
ნიათ, რათა დამდგარიყო შედეგი (მსხვერპლის სიკვდილი). ასე, რომ,
მათ, მიუხედავად პირობათა თეორიის მიხედვით მიზეზობრივი კავ-
შირის არსებობისა, შედეგი არ შეიძლება ობიექტურად შეერაცხოს.
ასეთ შემთხვევებში პირს ქმედებაზე არავითარი ფაქტიური ბატონო-
ბის განხორციელება არ შეუძლია. ორივე შემთხვევაში სიდედრი და
შვილი მოქმედებდნენ საკუთარი პასუხისმგებლობით. პირველ მა-
გალითში მსხვერპლი - სიდედრი მოქმედებდა საკუთარი პასუხისმგე-
ბლობით თვითმფრინავის ჩამოვარდნის ყოველდღიურ რისკთან მი-
მართებაში. მეორე მაგალითში შვილი მოქმედებდა, როგორც დამნა-
შავე საკუთარი პასუხისმგებლობით, ხოლო მშობელს არ გააჩნდა
ფაქტიური ბატონობა მოვლენათა მიმდინარეობაზე.

საკუთარი პასუხისმგებლობა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა,
ქმედებაზე ბატონობას. არც ერთი პიროვნება არ შეიძლება მოქმედებ-
დეს საკუთარი პასუხისმგებლობით, როცა არა მას, არამედ სხვა პირს
აქვს ქმედებაზე რეალური ბატონობა.

(13) მიზეზობრივი კავშირის სავარაუდო ბანკითარების შესახებ დაშვებული შეცდომა

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მიზეზობრივი კავშირის განვი-
თარება წარმართება არა ატიპიურად და ადამიანის ნებას დაუქვემ-
დებარებლად, არამედ დამნაშავეს მიზეზობრიობის განვითარების
სრულიად სხვაგვარი სურათი ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ მოვ-
ლენათა განვითარება სხვაგვარად მოხდა (შეცდომა მიზეზობრივი
კავშირის განვითარებაში). ადრე ასეთი ტიპური შემთხვევები ქმედ-
ბის სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე განიხილებოდა

მაგალითად, ა.-ს უნდოდა ბ.-ს მოკვლა ანგარებით, მაგრამ სრო-
ლის შედეგად მიაყენა მას მხოლოდ ისეთი დაზიანება, რომელიც არ
იყო სასიკვდილო. საავადმყოფოსაკენ მიმავალ გზაზე სასწრაფო
დახმარების მანქანას დაეჯახა სატვირთო ავტომანქანა. ავტოავარიის
შედეგად მძღოლი და ავადმყოფი დაიღუპნენ. დაისჯება თუ არა ა.
დამთავრებული მკვლელობისათვის, ე.ი. შეერაცხება თუ არა შედეგი
ობიექტურად?

ბ.-ს სიკვდილი ა.-ს ობიექტურად არ შეერაცხება, მიუხედავად
მიზეზობრივი კავშირის არსებობისა, ვინაიდან ა.-ს არა აქვს სასწრაფო
დახმარების ტრანსპორტის მიმართ მომხდარი მოვლენის თაობაზე

არავითარი ბატონობა. შედეგი მას ობიექტურად არ შეერაცხება, რის გამოც, მიუხედავად მისთვის სასურველი შედეგის მის მიერ ჩადენილი მოქმედებით გამოწვევისა, მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის.

აღრუული თეორია და სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობა სახეზეა, რადგან შედეგის ობიექტური შეერაცხვის კატეგორია ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული.

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში დაშვებული შეცდომის პრობლემატიკა სწორედ ობიექტური შეერაცხვის თეორიით უნდა გადაწყდეს. ამით მხარს ეუჭერ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოძღვრებას და ამ საკითხზე არ ვეთანხმები ფინალიზმის წარმომადგენლების პოზიციას იმის შესახებ, რომ ობიექტური შეერაცხვის პრობლემატიკა შესაძლებელია მთლიანად განზრახვის ეტაპზე იქნეს გადაწყვეტილი.

(14) რეგრესის აკრძალვის თეორია

ე.წ. რეგრესის აკრძალვის თეორია უკავშირდება რაინჰარდ ფრანკის სახელს (იხ. *R. Frank, Das Strafgesetzbuch für das Deutsche Reich*, მე-18 გამოცემა, 1931, §1 III). იგი თავდაპირველად ჩამოყალიბდა, როგორც მიზეზობრივი კავშირის თეორია (იხ. *J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, AT*, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 240-241), რომელიც შემდგომ ობიექტური შეერაცხვის თეორიად იქცა. ამ თეორიას, მოწინააღმდეგეებთან ერთად, შემდგომში მომხრეებიც გამოუჩნდნენ (იხ., მაგალითად, *W. Naucke, ZStW 76 (1964), 409; G. Jakobs, ZStW 89 (1977), 1*; ასევე: *G. Jakobs, Strafrecht, AT*, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 214, 696).

თავდაპირველი ქმედების ჩამდენს ობიექტურად არ შეიძლება შეერაცხოს ისეთი მოქმედებით გამოწვეული შედეგი, რომელმაც, მართალია, შექმნა სამართლებრივად რელევანტური რისკი, მაგრამ კონკრეტული შედეგი მხოლოდ იმის შედეგად დადგა, რომ შესამე პირმა სრული პასუხისმგებლობის მდგომარეობაში, თავდაპირველ მოქმედებასთან კავშირში მყოფი, მაგრამ შედეგის გამომწვევი ახალი დამოუკიდებელი საფრთხე დააფუძნა, რომელიც კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. აქ ადგილი აქვს პასუხისმგებლობის სფეროების გამიჯვნას: თითოეულმა პასუხი უნდა აგოს საკუთარი ქმედებისათვის.

ერთ-ერთი მაგალითის მიხედვით, თუ მონადირის მიერ გარდერობზე დაკიდებულ იარაღს შესამე პირი აიღებს და ჩაიღენს სხვა პირის მკვლელობას, ფრანკის რეგრესის აკრძალვის თეორიის მიხედვით, მონადირე არ აგებს პასუხს დამდგარი შედეგისათვის, რადგან არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის: განზრახი მკვლელობის ჩამდენი მონადირის მიერ შექმნილ

პირობასა და დამდგარ შედეგს შორის მესამე პირი ჩადგა (იხ. *J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, AT*, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 240). პასუხისმგებლობის დაკისრების შეხლუდვა მოქმედებს მესამე პირის მიერ არა მხოლოდ განზრახი, არამედ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის დროსაც, ასევე მაშინ, როცა მესამე პირი და დაზარალებული ერთი და იგივე პიროვნებაა (იხ. *G. Jakobs, Strafrecht, AT*, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 214).

სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილია ლიტერატურაში მითითებული ე.წ. არქიტექტორის შემთხვევა, რომელმაც სახლი ისე ააშენა, რომ ხანძრის შემთხვევაში ზედა სართულზე მაცხოვრებლებს არ ჰქონდათ შენობიდან საავარიო გასასვლელი. მესამე პირმა სახლს განზრახ ცეცხლი წაუკიდა, რამაც ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია. ფრანკის თეორიის მიხედვით, არქიტექტორი არ უნდა დაისაჯოს გაუფრთხილებელი შედეგისათვის იმის გამო, რომ მესამე პირი განზრახ ჩაერთო მოვლენათა განვითარებაში, რის გამოც, მისი შეხედულებით, გამოირიცხება თავდაპირველი ქმედების ჩამდენის მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან. რეგრესის აკრძალვის თეორიის მოწინააღმდეგეთა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევის გამო, არქიტექტორი უნდა დაისაჯოს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის. (ასეთი პოზიცია, გერმანიის რაიხის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (RGSt 62,320) მითითებით, იხ. წიგნში: *J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, AT*, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 240).

ზოგადად, პირველი მოქმედების ჩამდენის პასუხისმგებლობის ყველა შემთხვევაში გამორიცხვა დღეისათვის არ არის აღიარებული. ობიექტური შერაცხვის თეორიის მიხედვით, უნდა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა ქმედება ჯერ კიდევ როგორც პირველი მოქმედების ჩამდენის „ქმნილება“ იქნეს მიჩნეული, თუ იგი მთლიანად მესამე პირის „პასუხისმგებლობის სფეროში“ მოექცა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხდა თუ არა შედეგში თავდაპირველი საფრთხის რეალიზაცია, თუ სხვა, ახალი საფრთხე დაფუძნდა. (ასეთი პოზიცია იხ. წიგნში: *R. Rengier, Strafrecht, AT*, 2009, გვ. 102).

გარდა ამისა, არ შეიძლება საფრთხის გამომწვევ და ზიანის მიმყენებელ პირს ობიექტურად შეერაცხოს მსხვერპლის სიკვდილი, თუ ეს უკანასკნელი უარს ამბობს მისთვის სიცოცხლის გადამრჩენი ოპერაციის ჩატარებაზე (შეად. *C. Roxin, Strafrecht, AT I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 408).

მართალია, ე.წ. რეგრესის აკრძალვის თეორია თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც მიზეზობრიობის თეორია, მაგრამ მის იდეას, რომ ახალი მოქმედების საფუძველზე სრულიად ახალი მიზეზობრიობის ჯაჭვი იწყება, დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. თავდაპირველ მოქმედებასა და შედეგს შორის განხორციელებული სხვა პირის „ქმედებაზე ბატონობა“ ამ თეორიის მიხედვით იწვევს

თავდაპირველი ქმედების ჩამდენი პირის პასუხისმგებლობის სრულ გამორიცხვას. „რეგრესის აკრძალვის“ თეორია ასეთ შემთხვევებში მიზეზობრიობას მთლიანად გამორიცხავს.

მაგალითად, ა.-მ ბ.-ს საჭმელში ჩაუყარა საწამლაკი. სანამ საწამლაკი იმოქმედებდა, იგი, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მოკლა მ.-მ ეს არის ე.წ. „გაწვევტილი მიზეზობრიობის“ შემთხვევა, რომლის დროსაც სასიკვდილო შედეგთან დაკავშირებით ა.-ს მოქმედების მიზეზობრივი კავშირი გამოირიცხება.

„გამსწრები მიზეზობრიობის“ დროს შეიძლება ვამტკიცოთ, რომ, მართალია, უშუალო შედეგი ახალმა მიზეზმა გამოიწვია, მაგრამ თავდაპირველი მოქმედების გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა, რის გამოც პირველი მოქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან. მიუხედავად ამისა, ე.წ. რეგრესის აკრძალვის თეორიით, თავდაპირველი მოქმედების ჩამდენისათვის შედეგის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება.

5.1.7.4 შედეგის ობიექტური შერაცხვის მოკლვრების ბანვითარებისათვის

ყურადღება გამახვილდა შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვის იმ შემთხვევებზე, როცა, მიუხედავად ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისა, შედეგის ამ ქმედების ჩამდენისათვის ობიექტურად შერაცხვა ვერ მოხდება. ამასთან დაკავშირებით, სანიმუშოდ განხილულ იქნა სისხლის სამართალში შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვის რამდენიმე პრობლემატური შემთხვევა.

თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარების შედეგად, შედეგიან დელიქტებში მოქმედებასა და შედეგს შორის კავშირი ორ საფეხურად უნდა დადგინდეს: პირველ საფეხურზე უნდა შემოწმდეს კაუზალობა ქმედებასა და შედეგს შორის, ხოლო მხოლოდ ამის შემდეგ, მეორე ეტაპზე, უნდა გაირკვეს, პირის ქმედებისაგან დამდგარი შედეგი მას ობიექტურადაც უნდა შეერაცხოს თუ არა. მაშინ, როდესაც კაუზალობის დადგენა სპეციალურ სამართლებრივ ცოდნას არ მოითხოვს, რადგან იგი წარმოადგენს სპეციალისტის პროფესიულ შეფასებას და ემპირიული დაკვირვებითა და ბუნების კანონების გამოყენებით შეიძლება დადგინდეს, მისგან განსხვავებით, ობიექტური შერაცხვა წარმოადგენს წმინდა შეფასებით-სამართლებრივ კატეგორიას. შედეგის ობიექტური შერაცხვა ნიშნავს იმას, რომ პირს თავისი ქცევით გამოწვეული შედეგი ასევე ნორმატიულადაც, როგორც „საკუთარი ქმნილება“, ე.ი. როგორც პერსონალური უმართლობა უნდა შეერაცხოს.

წარმოდგენილი თვალსაზრისი გვიჩვენებს, რომ მიზეზობრივი კავშირის განვრცობა ობიექტური შერაცხვის შესახებ ახალი, დამოუკიდებელი კატეგორიით წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს

სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარების საქმეში. ბევრი პრობლემა, რომელიც აქამდე მიზეზობრივი კავშირის, განზრახვის, მართლწინააღმდეგობისა თუ ბრალის ეტაპზე წყდებოდა, ამ ახალი მოძღვრების მიხედვით ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე ნორმატიულად შეიძლება გადაწყდეს. ობიექტური შერაცხვა ხდება შეფასებითი კრიტერიუმებით, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დანაშაულის სისტემის ობიექტური მხარის ნორმატივიზაციისათვის.

ვფიქრობ, მიმოხილვაში მოცემული დებულებები ობიექტური შერაცხვის თაობაზე განაპირობებს ქართულ სისხლის სამართალში ამ საკითხით დაინტერესებას და ხელს შეუწყობს ამ პრობლემის თაობაზე მეცნიერული დისკუსიის შედგად საუნივერსიტეტო სწავლებასა და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში მის განვითარებასა და დანერგვას.

5.2 ძმადების სუბიექტური შემადგენლობა

5.2.1 განზრახვა, გაუფრთხილებლობა და განზრახი დანაშაულის სხვა სუბიექტური ნიშნები

მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებიდან გამომდინარე, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით. მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დასჯადია მხოლოდ განზრახი ქმედება, თუ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების დასჯადობა პირდაპირ არ არის მითითებული კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში.

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა გულისხმობს არა მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას, არამედ არსებობს ასევე განზრახი დანაშაულის ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რომელიც თავის თავში მოიცავს განზრახვას და განზრახი დანაშაულის სხვა სუბიექტურ ნიშნებს. განზრახვასთან ერთად, თუ რომელი კონკრეტული სუბიექტური ნიშნები წარმოადგენენ ქმედების შემადგენლობის, ხოლო რომელი – ბრალის ნიშნებს, იწვევს ახრთა სხვადასხვაობას.

განზრახი დანაშაულის ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს ყველა შემთხვევაში წარმოადგენს: სპეციალური მიზანი (მაგალითად, მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზანი ქურდობის დროს, სსკ-ის 177-ე მუხლი; ეროვნული, ეთნიკური ან სხვ. ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივი მოსპობის მიზანი გენოციდის დროს, სსკ-ის 407-ე მუხლი), სპეციალური ცოდნა (ქალის ორსულობის შეგნებულობა განზრახი მკვლელობის დროს, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწ-

ილის „ა“ ქვეპუნქტი) და უმართლობის დამაფუძნებელი სხვა მოტივები, მაშინ როდესაც ანგარება, ხულიგნური და სხვა დაბალი ქვენაგონობები, როგორც პერსონალური ნიშანი, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, როგორც ბრალის ნიშანი, შეერაცხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც უშუალოდ ახასიათებს იგი.

მაშასადამე, ნებისმიერი განზრახი დანაშაულის შემთხვევაში აუცილებელია, შემოწმდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

კახუსის ამოხსნის დროს არაპრობლემატურ შემთხვევებშიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პირი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშნის მიმართ მოქმედებდა თუ არა განზრახვით.

წარმოდგენილი მიმოხილვა ემიჯნება დანაშაულის კლასიკურ სისტემას, რომელიც უარყოფს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არსებობას და განზრახვასა და გაუფრთხილებლობას მიიჩნევს ბრალის ფორმებად. ასევე არასაკმარისად მიაჩნია ნეოკლასიკური სისტემის მიერ ქმედების შემადგენლობის სუბიექტივიზაცია „*მინის*“ შემადგენლობის ნიშნად აღიარებით, რადგან ასევე განზრახვა და სხვა სუბიექტური ნიშნები ქმედების სუბიექტური შემადგენლობის კომპონენტებია.

მიმოხილვა ასევე არ იზიარებს გაბატონებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, გაუფრთხილებლობით დანაშაულს არა აქვს სუბიექტური შემადგენლობა, არამედ არსებობს გაუფრთხილებლობით დანაშაულის ქმედების *მხოლოდ* ობიექტური შემადგენლობა, ხოლო ყოველგვარი სუბიექტური გაუფრთხილებლობის დროს განიხილება ბრალის ეტაპზე (იხ. *K. Kühl, Strafrecht, AT, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 523-524*). ამასთან, გაბატონებული შეხედულება დიფერენციაციას თვითიმედოვნებასა და დაუდევრობას შორის არ ანიჭებს არავითარ მნიშვნელობას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე და მას მხოლოდ სასჯელის შეფარდების დროს ითვალისწინებს (იხ. *B. Heinrich, Strafrecht – AT II, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 73-74*).

წარმოდგენილი მიმოხილვა წინდახედულობის ნორმის დარღვევის ინდივიდუალურ გათვალისწინებულობასა და მის ინდივიდუალურ აცილებადობას განიხილავს ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის, როგორც ბრალის ნიშნის, კომპონენტებად. ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ თვითიმედოვნების (ანუ შეგნებული გაუფრთხილებლობის) დროს არსებობს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რაც გამოიხატება დამნაშავის მიერ ქმედების შემადგენლობის იმ ობიექტური გარემოებების ცოდნაში, რომლებიც მის ქცევას წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებული მოვალეობის დარღვევად აქცევენ. რაც შეეხება დაუდევრობას, ამ შემთხვევაში არსებობს ქმედების არა სუბიექტური, არამედ მხოლოდ ობიექტური შემადგენლობა. ასევე *როქსინი* აღიარებს თვითიმედოვნების (შეგნებული გაუფრთხილე-

ბლობის) სუბიექტურ შემადგენლობას, რაც გამოიხატება ქმედების შემადგენლობის ყველა ფაქტობრივი გარემოების, როგორც არანებადართული საფრთხის, წარმოსახვასა და იმის წარმოდგენაში, რომ ქმედების შემადგენლობა არ შესრულდება. ამასთან, იგი უარყოფს დაუდევრობის სუბიექტური შემადგენლობის არსებობას, რადგან პირს ობიექტური შემადგენლობის ნიშნები და წინაპირობები თავის წარმოსახვაში არა აქვს. (იხ. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1089-1090). ეს პოზიცია ეწინააღმდეგება ფინალური მოძღვრების იმ დებულებას, რომლის მიხედვით, დაუდევრობის დროსაც არსებობს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა (იხ. E. Struensee, JZ 1987, 60-62).

მაშასადამე, განზრახი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა შეიცავს განზრახვას ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშნის მიმართ და ასევე ქმედების შემადგენლობის სხვა წმინდა სუბიექტურ ნიშნებს. თვითიმედოვნების სუბიექტური შემადგენლობა შეიცავს ქმედების შემადგენლობის ობიექტური გარემოებების ცოდნას. რაც შეეხება დაუდევრობას, მას ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არ გააჩნია და, ამდენად, შემადგენლობის ეტაპზე მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების დადგენა უნდა მოხდეს.

ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა და თვითიმედოვნება დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და ნებულობის სახით, ხოლო რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას ფართო გაგებით (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ფაქტობრივ მხარესთან დაკავშირებით), დგინდება ბრალის ეტაპზე.

მაშასადამე, ფინალური სისტემისაგან განსხვავებით, ბრალის ეტაპზე განზრახვა და გაუფრთხილებლობა როდი კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, მაგრამ ასევე, კლასიკური სისტემისაგან განსხვავებით, ისინი ბრალის ეტაპზე წარმოდგენენ არა ფსიქიკური დამოკიდებულების ფორმებს, არამედ მხოლოდ ინდივიდუალური გაკიცხვის კრიტერიუმებს. (განზრახვა უფრო იკიცხება, ვიდრე გაუფრთხილებლობა) და, შესაბამისად, განსაზღვრავენ ბრალის ხარისხს. რაც შეეხება შეცდომას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით (მაგალითად, მოხვეწებითი მოგერიება), იგი ბოროტ განზრახვას გამომრიცხავს სწორედ ბრალის ეტაპზე სსკ-ის 36-ე მუხლის ანალოგიით, რომელიც წმინდა სამართლებრივ შეცდომას არეგულირებს.

5.2.2 ბანზრახვა

განზრახი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა შედგება ბანზრახვისა (*dolus*) და სხვა სუბიექტური ნიშნებისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პასუხისმგებლობას განზრახი ქმედებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაუფრთხ-

იღებელი ქმედების დასჯადობაზე სპეციალურად არის მითითებული კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი). მაგალითად, სსკ-ის 187-ე მუხლით დასჯადია „სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება“. იგულისხმება განზრახი ქმედება, რადგან გაუფრთხილებლობაზე მითითებული არ არის. სსკ-ის 188-ე მუხლით კი, დასჯადია „სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით“. გაუფრთხილებლობაზე ამ მუხლში პირდაპირ არის მითითებული.

სსკ-ის მე-9 მუხლი საკანონმდებლო დონეზე ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახვის ორ სახეს: პირდაპირ და არაპირდაპირ ბანზრახვას.

ამ მუხლის მიხედვით, განზრახვა სამკომპონენტია, რომელიც ზოგადად შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოიხატოს: ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, ნებულა იმისა, რასაც ვაკეთებ და მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა.

არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო დეფინიციაში, მართალია, პირდაპირ არის მითითებული, რომ პირს არ სურდა დამდგარი შედეგი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნებულობის ხარისხი ამ შემთხვევაში ნულის ტოლია, არამედ იგულისხმება მხოლოდ ის, რომ იგი არ მოქმედებს მიზნით დეტერმინირებული ნებულობით. ის, ვინც ახორციელებს განზრახი ქმედების შემადგენლობას, თუნდაც არაპირდაპირი განზრახვით, თავისი შეგნებული ქცევით ყოველთვის მოქმედებს შედეგისადმი ნებულობის გრძნობით, რითაც მისი მოქმედება განსხვავდება თვითიმედოვნებისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენს შეგნებულ ქმედებას.

განზრახვის ცნების საკანონმდებლო ნორმაში (სსკ-ის მე-9 მუხლი) მოცემულ დეფინიციაში „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ არ მოიაზრება წმინდა სამართლებრივი შეცდომის სახით, ანუ ის არ წარმოადგენს შეცდომას აკრძალვაში, რომელიც განზრახვისაგან დამოუკიდებელი ბრალის ცალკე კომპონენტია (სსკ-ის 36-ე მუხლი), არამედ განზრახვის მესამე კომპონენტია მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით - მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ფაქტობრივი მხარის ცოდნა. მაგალითად, სანაძეს, ჰგონია რა, რომ მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებში, არ იცის, რომ იმყოფება მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში და, მისდა სამწუხაროდ, შეცდომით კლავს მეგობარს, რომელიც რეალური თავდაპყრობის ჰგონია.

განზრახვის საში კომპონენტიდან პირველი ორი დგინდება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, რადგან ცოდნა და ნებულობა ფაქტობრივი გარემოებებისადმი აქვს არა მარტო დამნაშავეს, არამედ მასაც, ვინც მოქმედებს მართლზომიერად, მაგალითად, ვინც იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია ის, რომ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას (სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი). არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას (სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი).

მაგალითი: ა.-მ ააფეთქა თავისი სუპერმარკეტი სადაზღვევო კომპანიისაგან თანხის მიღების მიზნით. მაღაზიის ზედა სართულზე ცხოვრობს ლ. ა.-ს არ სურდა ლ.-ს სიკვდილი, რადგან მისი ახლობელი იყო, მაგრამ ანგარების მოტივით (დაზღვევის თანხის მისაღებად) მან ჩაიდინა ასეთი ქმედება. ამასთან, ა. დარწმუნებული იყო შედეგის დადგომის გარდაუვალობაში. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ა.-ს არ სურდა ლ.-ს სიკვდილი, მაინც იგი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ვინაიდან შეგნებული ჰქონდა შედეგის დადგომის გარდაუვალობა.

სხვა კაზუსის მიხედვით, ა.-მ თავისი მაღაზიის საკუჭნაოს ცეცხლი წაუკიდა სადაზღვევო თანხის მიღების მიზნით. ზედა სართულზე ცხოვრობდა ლოგინად ჩავარდნილი ლ. ა. ფიქრობდა, რომ იგი შეიძლებოდა მეხანძრეებს გადაერჩინათ. ა.-ს არ სურდა ლ.-ს სიკვდილი, მაგრამ შეგნებულად დაუშვა მისი დადგომის შესაძლებლობა. სახეზე გვაქვს არაპირდაპირი განზრახვა. ამ დროს, თუ შედეგი დადგა, ქმედება უნდა შეფასდეს როგორც დამთავრებული დანაშაული, ხოლო თუ შედეგი არ დადგა, გვექნება ვენტურული განზრახვით მკვლელობის მცდელობა.

გარდა განზრახვის ორ ფორმად: პირდაპირ და არაპირდაპირ (ვენტურულ) განზრახვად დაყოფისა, არსებობს მისი სხვაგვარი დაყოფაც. კერძოდ, პირდაპირი განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს პირი მოქმედებს გამიზნულად. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ინტენსიურია ვოლუნტატიური ელემენტი: მიზანმიმართული სურვილი, ხოლო კოგნიტიური ელემენტი - ცოდნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც მხოლოდ შესაძლებელი და არ არის აუცილებელი, რომ იგი წარმოდგენილი იყოს, როგორც გარდაუვალი.

მაგალითი: ა. ესერის ბ.-ს მისი მოკვლის მიზანმიმართული სურვილით (ვოლუნტატიური ელემენტი). მიუხედავად იმისა, იგი შედეგის დადგომას გარდაუვლად თუ შესაძლებლად მიიჩნევს (კოგნიტიური ელემენტი), სახეზე გვაქვს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა გვაქვს მაშინ, როცა პირს გამიზნულად არ სურს, მაგრამ გარდაუვლად მიიჩნევს

შედგის დადგომას, როცა შედეგი სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა. იგი ხასიათდება კოგნიტიური ელემენტის განსაკუთრებული ინტენსივობით. აქედან გამომდინარეობს ვოლუნტატიური ელემენტიც, ვინაიდან, ვინც დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდაუვალობაში, მას აქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობაც, მაშინაც კი, როცა ეს მისთვის არასასურველია.

მაგალითი: ა.-მ ცეცხლი წაუკიდა სახლს, რათა სადაზღვევო კომპანიისაგან მიიღოს თანხა. ამასთან მან იცის, რომ სახლში იმყოფება ლოგინად ჩავარდნილი ბ., რომელიც ამ ხანძრისაგან აუცილებლად დაიღუპება. მას, მართალია, შინაგანად არ უნდა ბ.-ს სიკვდილი, მაგრამ მას განიხილავს, როგორც სხვა მიზნის (თანხის მიღების) მიღწევის საშუალებად. ამ შემთხვევაში, რადგან ა. დარწმუნებულია სასიკვდილო შედეგის დადგომაში, მან პასუხი უნდა აგოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი განზრახვი მკვლევლობისათვის (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა).

განზრახვის მეორე და რთული ფორმაა არაპირდაპირი ანუ ევენტუალური განზრახვა. იგი, პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, როგორც ცოდნის, ასევე ნებელობის დაბალი ხარისხით ხასიათდება.

ევენტუალური განზრახვით მოქმედებს პირი, ვინც ქმედების შემადგენლობის განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნევს (კოგნიტიური ელემენტი) და შეგნებულად უშეკებს მას ან გულგრილად ეკიდება (ვოლუნტატიური ელემენტი).

წინა მაგალითში, თუ ა.-ს შედეგის დადგომა მხოლოდ შესაძლებლად მიაჩნია, რადგან იგი ფიქრობს, რომ ავადმყოფი შეიძლება მესობელმა ან მეხანძრეებმა გადაარჩინონ, სახეზე გვექნება ევენტუალური განზრახვა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ა. ფიქრობს, რომ ბ.-ს მესობლები (ან მეხანძრეები) გადაარჩენენ, მაგრამ შედეგი მაინც დადგა, ვინაიდან იგი შეცდა, სახეზეა თვითიმედოვნება (შეგნებული გაუფრთხილებლობა).

ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების კოგნიტიური ელემენტი (ცოდნა) ემთხვევა ერთმანეთს. მათ შორის განსხვავება არსებობს ვოლუნტატიურ სფეროში (ნებელობა). ის, ვინც შედეგის დადგომის შესაძლებლობას უშეკებს, მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, ხოლო ვინც შედეგის დადგომის შესაძლებლობას გამორიცხავს, მოქმედებს თვითიმედოვნებით. მაგალითად, სხვისი ქონების დაუფლების გაადვილების მიზნით, ა.-მ დარაჯს თავზე ტომარა წამოაცვა და კუთხეში მიაგდო, რის შედეგად იგი დაიხრჩო. თუ ა. უშეგნდა ან გულგრილად ეკიდებოდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლევლობა. იმ შემთხვევაში კი, როცა პირი ფიქრობდა, რომ ასეთი შედეგი არ დადგებოდა, რადგან ეგონა, რომ დარაჯი მალევე შეძლებდა ტომარის გახსნას და

თავის გათავისუფლებას, სინამდვილეში კი, მისი ვარაუდი უსაფუძვლო გამოდგა, სახეზე გვექნება თვითიმედოვნება.

(პირველი ხარისხის) პირდაპირი განზრახვა, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი, შედგება ორი კომპონენტისაგან:

1) ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების ცოდნა;

2) ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების სურვილი.

მაშასადამე, (პირველი ხარისხის) პირდაპირი განზრახვა არის ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და სურვილი. განზრახვის სხვა სახეებში კი, სურვილი იცვლება ნებელობით, რომელიც სურვილზე უფრო ფართო ცნებაა.

ცოდნა არის განზრახვის კოგნიტიური (ინტელექტუალური), ხოლო ნებელობა - ვოლუნტატიური ელემენტი.

განზრახვის არსი მდგომარეობს შემდეგში:

ა) იგი, ბრალისაგან განსხვავებით, არის ფსიქიკური და არა შეფასებითი კატეგორია;

ბ) იგი არის შინაარსობრივად შეფასებისგან თავისუფალი ფსიქოლოგიური კატეგორია. სწორედ ამიტომ, მისი, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნის, კომპონენტი არ არის მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომელიც ბრალის ეტაპზე განიხილება.

განზრახი ქმედების დასჯადობის აუცილებელი მომენტია ის, რომ პირს განზრახვა ქმედების ჩადენის დროს ჰქონდეს. არ არის საკმარისი ისეთი განზრახვა, რომელიც ქმედების ჩადენას წინ უსწრებს ე.წ. წინმსწრები განზრახვა (*dolus antecedens*) ან რომელიც პირს ქმედების ჩადენის შემდეგ გაუხნდება ე.წ. შემდგომი განზრახვა (*dolus subsequens*).

მაგალითად, ა.-მ გადაწყვიტა შურისძიების ნიადაგზე მოეკლა თავისი მეზობელი თოფით, მაგრამ, როცა მას გაუარა შურისძიების გრძნობამ, იარაღი, რომელსაც წმენდდა, მისდამი დაუდევარი მოპყრობით შემთხვევით გაუვარდა და ეს მეზობელი მოკლა.

ა. არ დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის ე.წ. წინმსწრები განზრახვის გამო (*dolus antecedens*), არამედ მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, რადგან მას წინდახედულობის ნორმის დარღვევის დროს, რასაც შედეგი მოჰყვა, არ ჰქონია განზრახვა.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ ბრალდებულს და დანაშაულის მსხვერპლს წარსულში ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ეს მომენტი ყოველთვის არ გულისხმობს მკვლელობის განზრახვის არსებობას, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება პირი განზრახვის გარეშე მოქმედებდეს. მაგალითი: ა.-ს თავის მეზობელ მ.-სთან ჰქონდა კონფლიქტური სიტუაცია და რამდენიმე დღეში მის მოკვლას ფიქრობდა. ამ დროს ა.-მ ნადირობის დროს შემთხვევით, თოფიდან გასრო-

ლილი ტყვიით, სიცოცხლე მოუსპო მ.-ს. მიუხედავად ამ სიტუაციისა, ა.-მ ჩაიდინა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა.

ა.-მ ავტოავარიის შედეგად, გაუფრთხილებლობით სიცოცხლე მოუსპო ბ.-ს. მას შემდეგ, რაც თავისი მსხვერპლი ნახა, კმაყოფილი დარჩა, რადგან მისი სიკვდილით მემკვიდრეობას ღებულობდა. ა. არ დაისჯება მკვლელობისათვის ე.წ. შემდგომი განზრახვის გამო, რომელიც მას წარმოეშვა წინდახედულობის ნორმის დარღვევის შემდეგ, რამაც შედეგი გამოიწვია (*dolus subsequens*).

არის შემთხვევა, როცა პირს განზრახვა მოქმედების ჩადენასა და შედეგის დადგომას შორის პერიოდში გაუქრება. მაგალითად, ა.-მ ბ.-ს ჩხუბის ნიადაგზე მოკვლის განზრახვით მიაყენა რამდენიმე დაზიანება, რის შემდეგაც დაზარალებული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მოათავსეს რეანიმაციის განყოფილებაში. ა.-ს, რომელსაც გაუჩნდა სინანულის გრძნობა, ყველა საშუალებით ცდილობდა და ფიქრობდა, რომ დაზარალებულის სიკვდილი არ დამდგარიყო. მიუხედავად მისი სურვილისა და მონდომებისა, სასიკვდილო შედეგი მაინც დადგა. ა. დაისჯება განზრახი დამთავრებული მკვლელობისათვის.

ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივად არ არის რელევანტური ის, რომ პირს შედეგის დადგომის დროს არ ჰქონდა განზრახვა, პირიქით, ნანობდა კიდევ და ნატრობდა შედეგის თავიდან აცილებას. იგი დაისჯება დამთავრებული განზრახი მკვლელობისათვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა განზრახვის კოგნიტიური ელემენტის შინაარსი, კერძოდ, ცოდნის ინტენსიურობასა და კონკრეტულობასთან მიმართებაში.

ცოდნის ინტენსიურობასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებებს:

ა) აუცილებელი არ არის, რომ პირი ქმედების შემადგენლობის აუცილებელ განხორციელებაში დარწმუნებული იყოს, არამედ განზრახი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობისთვის საკმარისია, რომ მას ქმედების შემადგენლობის განხორციელება შესაძლებლად, სავარაუდოდ მიაჩნდეს (*dolus eventualis*).

ბ) აუცილებელი არ არის, რომ ქმედების შემადგენლობის მაკვალ-ფიციირებელი ნიშნით განხორციელების დროს პირს გამოიწვეული ჰქონდეს ქმედების შემადგენლობის განხორციელება. საკმარისია ამ მაკვალფიციირებელი გარემოების ცოდნა.

მაგალითად, ა.-მ მოკლა ბ. ორსულობის მეშვიდე თვეს. აუცილებელი არ არის, რომ ეს მკვლელობა ჩადენილი იყოს ორსულობასთან დაკავშირებით, არამედ საკმარისია პირის მიერ იმის ცოდნა, რომ ქალი, რომელსაც ის კლავს, ორსულია.

ცოდნის კონკრეტულობა უკავშირდება დანაშაულის ობიექტს და მიზეზობრივ კავშირს.

განზრახ დანაშაულში დანაშაულის ობიექტი პირს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს არა ინდივიდუალიზირებულად, არამედ საკმარისია მისი გვარობითი კუთვნილების წარმოდგენა.

მაგალითად, ა.-მ ბომბი დააგდო ხალხმრავალ ბაზრობაზე. ბ. და გ. ამის შედეგად მოკედნენ. მოკვლის განზრახვა ბ. და გ.-ს მიმართ სახეზე გვაქვს მაშინაც კი, როცა ა.-მ ისინი ინდივიდუალიზირებულად კი არ წარმოიდგინა, არამედ მას ზოგადად ადამიანების მოკვლა უნდოდა ან შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში, როცა პირმა თავის მსხვერპლად ინდივიდუალიზებული მსხვერპლი წარმოიდგინა, განზრახვა პრობლემურია, როდესაც ქმედების შემადგენლობა ამ პირის ნაცვლად სხვა პირზე იგივე გვარობითი ჯგუფიდან განხორციელდება. მაგალითად, ა.-ს უნდა ბ.-ს მოკვლა, რის გამოც ესროლა მას ტყვია, რომელიც აცდა და მოხვდა მის გვერდით მდგომ გ.-ს. ეს მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც ბ.-ს განზრახვი მკვლელობის მცდელობა, ხოლო გ.-ს სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

სხვაგვარად დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევა, როცა პირი შეცდომას უშვებს მსხვერპლის პიროვნებაში (*error in persona*).

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა მოიცავს მიზეზობრივი კავშირის განვითარების ცოდნას, მაგრამ არა მის ცალკეულ დეტალებში, არამედ ზოგადად. სწორედ ამიტომ არის, რომ შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, როგორც წესი, არ გამოირიცხავს განზრახვას, რადგან იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში უმნიშვნელო გადახრასთან გვაქვს საქმე. მნიშვნელოვანი გადახრის დროს გამოირიცხება არა განზრახვა, არამედ შედეგის ობიექტური შერაცხვა და ამით დამთავრებული განზრახვი დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობა.

5.2.3 ემენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარე, მცდელობა შეიძლება არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის შემთხვევაშიც. ამ საკითხზე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს სხვა მოსაზრება, რომელიც დანაშაულის მცდელობას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის არსებობის შემთხვევაში (იხ., მაგალითად, *თინათინ წერეთლის* შეხედულება წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, რედ.: თ. წერეთელი და გ. ტყეშელაძე, 1976, გვ. 115).

დღეს მეცნიერ-იურისტთა ის ნაწილი, ვინც მხარს უჭერს ამ მოსაზრებას, თვლის, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის

ადიარების შემთხვევაში თითქოს არ იარსებებს ქმედების კვალი-
ფიკაციის შესაძლებლობა სსკ-ის 117-ე მუხლით - ჯანმრთელობის
განზრახ მძიმე დაზიანება, ვინაიდან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე
დაზიანება არის სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა
სიცოცხლისათვის. სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების მიყ-
ვნების დროს პირი თითქოს ყოველთვის უშვებს იმას, რომ მის ქმედე-
ბას შეიძლება მოჰყვეს სასიკვდილო შედეგი (არაპირდაპირი გან-
ზრახვა). მათი აზრით, არაპირდაპირი განზრახვით მკვლევლობის მცდე-
ლობის ჩადენის შესაძლებლობის ადიარების შემთხვევაში, ეს უკა-
ნასკნელი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც განზრახ მკვ-
ლელობის მცდელობა და არა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და-
ზიანება.

ამ არგუმენტით უარს ვერ ვიტყვით ევენტუალური განზრახვით
დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობაზე. ჯანმრთელობის გან-
ზრახ მძიმე დაზიანების დროს, რომელიც სახიფათოა სიცოცხლი-
სათვის (სსკ-ის 117-ე მუხლი), პირი ჯანმრთელობის დაზიანების მიმა-
რთ მოქმედებს განზრახ, ხოლო სასიკვდილო შედეგთან მიმართებაში
- თვითიმედოვნებით (შეგნებული გაუფრთხილებლობით). ამ დროს
პირს, მართალია, შეგნებული აქვს სიცოცხლისათვის საფრთხის მდგო-
მარეობა, მაგრამ ფიქრობს, რომ სასიკვდილო შედეგი არ დადგება.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის მი-
უხედავად, არის სხვა მაგალითიც, რომელიც პრაქტიკაში უპრობლემ-
ოდ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლით, როგორც
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი. სხეულის დაზიანება,
რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. ეს არის მკვლევლობის გან-
ზრახვის დროს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის ალება-
ის შემთხვევა (სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი), როცა პირის მიერ
ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება წარმოადგენს სიცოცხლისათვის
სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, ხოლო სასიკვდილო
შედეგის თავიდან აცდენა მოხდება მის მიერ დანაშაულის დამთავრე-
ბაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ ხელის ალებით.

ქართველ მეცნიერ-იურისტთა აზრით, საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსიდან არ გამომდინარეობს არაპირდაპირი გან-
ზრახვით მკვლევლობის ჩადენის შესაძლებლობა, ვინაიდან სსკ-ის 127-
ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლო-
ბას შემდეგი შემადგენლობისათვის: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგო-
მარეობაში ჩაყენება“, ხოლო სსკ-ის 128-ე მუხლი - „განსაცდელში
მიტოვებისათვის“. კანონმდებელმა თითქოს ეს მუხლები იმიტომ შეიტ-
ანა კოდექსში, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა არ შეი-
ძლება. *ო. გამყრელიძის* აზრით, „127-ე და 128-ე მუხლები ავსებენ იმ
ხარვეზს, რასაც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის
შეუძლებლობა ქმნის“ (იხ. *ო. გამყრელიძე*, საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 163).

ქართველი მეცნიერ-იურისტების პოზიციას ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობისა და სსკ-ის 127-ე (და 128-ე) მუხლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით აქვს თეორიული დასაბუთება, მაგრამ დოგმატურად და პრაგმატულად უფრო მისაღებია ის პოზიცია, რომელიც კონტინენტალური ევროპის არაერთი ქვეყნის სისხლის სამართალში არის გაბატონებული. როგორც ცნობილია, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება“ თავის დროზე, ჯერ კიდევ თინათინ წერეთლის სიცოცხლეში, გადმოღებულ იქნა შევიცარიის სისხლის სამართლის კოდექსიდან, რასაც ხაზგასმით აღნიშნავენ ჩვენი მეცნიერ-იურისტები. (ზუსტად ამ მუხლის ანალოგიურ ნორმას არ შეიცავს გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ აქაც დასჯადია განსაცდელში ჩაყენება და მიტოვება, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე პარაგრაფი). ამ ნორმის სამშობლოში, შევიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური 129-ე მუხლის კომენტარებში, რომლის ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები, აღნიშნულია, რომ პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება უნდა მოხდეს *პირდაპირი განზრახვით*, მაგრამ შედეგის მიმართ არ უნდა არსებობდეს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა, არამედ პირი უნდა ფიქრობდეს, რომ საშიშროებას *შედეგი არ მოჰყვება*. თუ პირი უშვებს მსხვერპლის სიკვდილს და შედეგი არ დადგა, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობის მცდელობად, ხოლო თუ შედეგი დადგა - ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობად (იხ. *G. Stratenwerth, W. Wohlers, Schweizerisches Strafgesetzbuch. Handkommentar*, 2007, გვ. 388; აგრეთვე: *A. Donatsch (Hrsg.), Schweizerisches Strafgesetzbuch*, 2006, გვ. 218).

ანალოგიურად უნდა გავიგოთ ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლის შინაარსი და, შესაბამისად, საგნის ბუნებიდან გამომდინარე უნდა მოვახდინოთ მისი ინტერპრეტაცია, თუ რას ნიშნავს „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება“. ქართული ნორმის მიხედვითაც, ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახ, ხოლო შედეგისადმი პირს უნდა ჰქონდეს თვითიმედოვნება. იგივე ინტერპრეტაცია გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლის შინაარსიდანაც.

დღეს ევროპის ქვეყნების სისხლის სამართალში (გერმანია, შევიცარია, ავსტრია), სადაც ქართული სისხლის სამართლის ანალოგიურად განზრახვის დაყოფა ხდება პირდაპირ და ევენტუალურ განზრახვად, (თითქმის) არავითარ დავას არ იწვევს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა.

ვერ დავეთანხმები *ო. გამყრელიძის* პოზიციას იმის შესახებ, რომ თითქოს „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება“

არსებითად მცდელობის სტადიაა, მაგრამ ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა პასუხისმგებლობას არ იწვევს, თითქოს კანონმდებელმა ეს ხარვეზი შეავსო საფრთხის შემქმნელი დელიქტით” (იხ. *ო. გამყრელიძე*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 162).

არ ვეთანხმები თავის დროზე ამ მუხლის კომენტარებისას *გ. მკვაშვილის* მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თითქოს „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების” დროს დაზარალებულის სიკვდილის მიმართ სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით (იხ. *ვლადიმერ მკვაშვილის* შეხედულება წიგნში: *გ. მკვაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი, 1980, გვ. 140). ამ პოზიციის ზეგავლენას ნაწილობრივ განიცდის ჩემი ამ მიმოხილვის მე-6 გამოცემა (იხ. გვ. 56-57).

მცდელობის შესაძლებლობა ევენტუალური განზრახვით *ო. გამყრელიძეს* მიაჩნია დაუსაბუთებლად. მას აინტერესებს კოდექსის თუ რომელი მუხლიდან გამომდინარეობს ასეთ შემთხვევაში მცდელობის შესაძლებლობა? ამ კითხვაზე პასუხი იქნება: სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან, რადგან ეს მუხლი არ აკეთებს არავითარ შეზღუდვას იმასთან დაკავშირებით, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენა არ შეიძლება. ქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული კი, შეიძლება იყოს განზრახვის ორივე ფორმის დროს, რადგან პირს ორივე შემთხვევაში აქვს ქმედებისა და შედეგის ნებელობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეს მოქმედი კოდექსის თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც თავის დროზე სარეფორმო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტს წარედგინა, სპეციალური დათქმა არსებობდა, რომელიც მიუთითებდა დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს. მოქმედი კოდექსის მიღების დროს ეს დათქმა ამოღებულ იქნა პროექტის ტექსტიდან. მაშასადამე, უნდა ჩაითვალოს, რომ ამ მოქმედებით კანონმდებლის ისტორიული ნება გამოიხატა იმაში, რომ მან მცდელობისათვის დასჯადობის ასეთი შეზღუდვა არ ჩათვალა მიზანშეწონილად, რადგან მიიჩნია, რომ მცდელობისათვის საკმარისია პირის ნებელობა მოქმედებისა და შედეგისადმი, რომელიც არსებობს როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური განზრახვის დროს.

ოთარ გამყრელიძის მიერ დასმული შეკითხვის საპირისპირო შეკითხვა შეიძლება დაისვას ოპონენტების მისამართითაც, თუ კოდექსის რომელი მუხლიდან გამომდინარეობს აზრი იმის შესახებ, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა არ შეიძლება?

გერ დავეთანხმები თინათინ წერეთლის პოზიციას, რომელსაც მხარს უჭერს ოთარ გამყრელიძეც, იმის შესახებ, რომ მცდელობის

დეფინიციაში მოცემული სიტყვები: „უშუალოდ მიმართული“ თითქოს მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობდეს. თ. წერეთლის არგუმენტაცია არის ის, რომ „ამ შემთხვევაში დანაშაულის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე“ (იხ. *თინათინ წერეთლის შეხედულება წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები*, რედ.: თ. წერეთელი და გ. ტყეშელაძე, 1976, გვ. 119).

ძნელია იმის დასაბუთება, რომ ევენტუალური განზრახვის დროს ქმედება უშუალოდ მიმართული არ არის დანაშაულის ჩასადენად. ფიქრობ, რომ, ამ მხრივ, პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის დროს არ არსებობს განსხვავება, რადგან ორივე შემთხვევაში ქმედება და შედეგი არის ნებულობითი. ამდენად, ამ არგუმენტით ვერ დავეთანხმები პოზიციას იმის შესახებ, რომ მცდელობა გამორიცხველი იყოს არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს.

აქედან გამომდინარე, არ არის დამაჯერებელი ოპონენტთა აზრი იმის შესახებ, რომ თუ პირის ქმედებამ არაპირდაპირი განზრახვის დროს სასიკვდილო შედეგი არ გამოიწვია, მაშინ ჩადენილი ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა, არამედ დაზიანების ხარისხის მიხედვით ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებად, ხოლო დაზიანების არარსებობის შემთხვევაში სსკ-ის 127-ე მუხლით („სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება“).

არაპირდაპირი განზრახვის დროს ასეთი კვალიფიკაცია არასწორია. თუ შედეგის დადგომის დროს ქმედება ევენტუალურ განზრახ მკვლელობად კვალიფიცირდება, მაშინ ობიექტურ შემადგენლობას მიწევს შედეგი რატომ გადააქცევს მას სხვა უმართლობად? ვინც განიზრახა და შედეგს ვერ მიაღწია, უდავოდ პქონდა ამ შედეგის მიღწევის მცდელობა. ასეთი ინტერპრეტაცია გამომდინარეობს საგნის ბუნებიდანაც და იგი ევროპული სისხლის სამართლის დოგმატიკისათვის არ არის ახალი და ორიგინალური, რომელიც უნდა იწვევდეს დისკუსიას. რაც შეეხება სსკ-ის 127-ე მუხლის არსებობას, მას აქვს სხვა დანიშნულება და იგი გულისხმობს შედეგისადმი გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებას.

სსკ-ის 127-ე მუხლით შეიძლება დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევებიც, როცა შედეგის დადგომის საფრთხე არსებობს, მაგრამ იგი არ არის იმწუთიერი, არამედ შესაძლებელია, დროში გაიწელოს. ეს ის შემთხვევაა, როცა საფრთხის შემქმნელ ქმედების ჩადენასა და შესაძლებელ შედეგს შორის დროის გარკვეული ინტერვალია და ქმედების ჩამდენი ფიქრობს, რომ მის ქმედებას სასიკვდილო შედეგი არ მოჰყვება. მაგალითად, დედამ ახალშობილი მიატოვა იმ შეგნებით, რომ მოვიდოდა ბავშვის მამა ან სხვა ვინმე აღმოუჩენდა მას დახმარებას, თუმცა ფიქრობდა იმასაც, რომ გარკვეული დროის გავლის შემდეგ, ასეთ უმოქმედობას, თუ მამა დაიგვიანებდა, შეიძლებოდა

სასიკვდილო შედეგი მოჰყოლოდა. სავარაუდოა, რომ მოველენათა განვითარების პროცესში, სასიკვდილო შედეგის დადგომამდე, ბავშვი შიმშილისაგან ჯერ მიიღებს მსუბუქ ნაკლებად მიძიმე, მიძიმე დაზიანებას, ამასთან ბავშვი ისეთ მდგომარეობაში არის დატოვებული, რომ ასეთი შედეგის დადგომა დედის მიერ უსაფუძვლოდ მიიჩნევა ნაკლებად სავარაუდოდ. ასეთ შემთხვევაში, დედის მიერ თუნდაც არაიმწუთიერი სასიკვდილო შედეგის დადგომის შეგნებულობა არის საფრთხის შემქმნელი ამ დელიქტის დამაფუძნებელი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შედეგი დადგება, შედეგის დადგომამდე მოსალოდნელ მესამე პირთა შუალედური მოქმედებების შეუსრულებლობის გამო. ასეთ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ-ის 127-ე მუხლით, შედეგის დადგომის გამო დედის მიერ სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობასთან (სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი) ერთობლიობაში. დედამ დაარღვია წინდახედულობის ნორმა -- გაცნობიერებული ჰქონდა რა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იყო სხვათა იმედად, რომ ეს შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობის ჩადენის შესაძლებლობის აღიარებამ არ უნდა გამოიწვიოს ისეთი მდგომარეობა, რომ პრაქტიკაში მოხდეს ქმედების არასწორი კვალიფიკაცია. ამ თეორიის გამოყენებით, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ რამდენიმე პირის ქმედებას აკვალიფიცირებენ ევენტუალური განზრახვით ჩადენილ განზრახი მკვლელობის მცდელობად, როცა დადგენილი არ არის, თუ რომელი მათგანის მიერ გასროლილმა ტყვიამ გამოიწვია სასიკვდილო შედეგი. ეს არის მეორე უკიდურესობა, ვინაიდან გამოძიებას უუსტად არა აქვს დადგენილი, თუ რომელი მათგანი ისროდა ჰაერში და რომელი მოკვლის განზრახვით.

საგულსხმოა, რომ განზრახვის დროს ადვილი არ არის პირის ნამდვილი ნების დადგენა, იყო იგი პირდაპირი თუ ევენტუალური, რის გამოც, პრაგმატული თვალსაზრისითაც, აქ განვითარებული პოზიცია იმსახურებს მხარდაჭერას. ქართული საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაც მიჰყვება ამ გზას, როცა სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში მიყენებულ ყოველგვარ დაზიანებას განზრახ მკვლელობის მცდელობად მიიჩნევენ, ისე, რომ არ ახდენს დიფერენციაციას პირდაპირსა და ევენტუალურს შორის. უცხოური სასამართლო პრაქტიკაც იგივე ფორმულას იყენებს, როცა ამბობს, რომ მცდელობის დასჯადობისათვის ევენტუალური განზრახვის დადგენა საკმარისია. მცდელობის ევენტუალური განზრახვით შესაძლებლობის დადგენაში დოგმატიკური თვალსაზრისითაც ვერ ვხედავ პრობლემას იმის

გამო, რომ ქმედებისა და შედეგისადმი პირის ნებისმიერი ნებელობითი დამოკიდებულება საკმარისია მცდელობის დასადაგენად. როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვის დროს, პირს ასეთი *ნებელობა* ნამდვილად გააჩნია. ვფიქრობ, სწორედ ნებელობის მომენტზე უნდა დავაფუძნოთ ევენტუალური განზრახვის დროს მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთება.

5.2.4 თეორიები ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის შესახებ

სისხლის სამართლის დოგმატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის პრობლემას. ამ საკითხზე შეიქმნა სხვადასხვა თეორიები (იხ. *T. Hillenkamp*, 32 Probleme aus dem Strafrecht, AT, მე-10 გამოცემა, 2001, გვ. 1-11), რომელთაც ქვემოთ განვიხილავ.

კაზუსის ამოხსნის სქემები ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების (შეგნებული გაუფრთხილებლობის) შემთხვევებში განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მეთოდურად, იმ შემთხვევაში, როცა დასკვნაში დასაბუთდება ევენტუალური განზრახვის არარსებობა, ამის შემდეგ შესაძლებელია თვითიმედოვნების შესახებ ახალი ჰიპოთეზის დაყენება, რომელიც შესაძლებელია გაუფრთხილებლობის უარყოფით ან, პირიქით, მისი არსებობის დადასტურებით დამთავრდეს.

სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ევენტუალური განზრახვის ორ შემთხვევას, როცა:

(1) პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ *შეგნებულად უშვებდა* მის დადგომას;

(2) პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ *გულგრილად ეკიდებოდა* მის დადგომას.

ევენტუალური განზრახვა შედგება *ორი* შემეცნებისა და ნებელობის კომპონენტებისაგან.

(ა) **შემეცნების კომპონენტი**: როგორც ევენტუალური განზრახვის, ასევე თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მას არ შეიძლება შეერაცხოს ევენტუალური განზრახვა, თუ ქმედების ჩადენის დროს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ხაფრთხე სერიოზულად არ ჰქონდა მიჩნეული, როგორც რეალურად შესაძლებელ კონკრეტულ შედეგში რეალიზებადი. ასეთ შემთხვევაში, თუ არ გვეჩქება არაპირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი, პირს შეიძლება მხოლოდ თვითიმედოვნება შეერაცხოს.

სწორედ კონკრეტული შედეგის დადგომის შეგნებულად დაშვება არის საზღვარი თვითიმედოვნებასთან. ასეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, ზოგადად, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების აბსტრაქტული შესაძლებლობის შეგნებულობა, რომელსაც მისი წარმოდგენით კონკრეტულ შემთხვევაში შედეგი არ მოჰყვება, არ წარმოადგენს ევენტუალურ განზრახვას და მაქსიმუმ შესაძლებელია, თვითიმედოვნებას წარმოადგენდეს. ვინც სამართლებრივი სიკეთის დაზიანების რისკს არასწორად აღიქვამს ან მხოლოდ მცირედ მიიჩნევს და ამიტომ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება, მოქმედებს თვითიმედოვნებით.

(ბ) ნებელობის კომპონენტი: ნებელობის კომპონენტით დაფუძნებული ევენტუალური განზრახვის დროს პირი შედეგის დადგომას, მართალია, სერიოზულად, როგორც შესაძლებელს მიიჩნევს, მაგრამ მაინც *ფიქრობს*, რომ შედეგი შეიძლება არ დადგეს. ასეთ შემთხვევაში მისი ნება არ არის დეტერმინირებული შედეგის დადგომის სურვილით, მაგრამ სულერთია, შედეგი დადგება თუ არა და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში ამ შედეგისადმი შემრიგებლურია. შემეცნების (ცოდნის) კომპონენტი ევენტუალური განზრახვის დროს არსებობს, მაგრამ არ არსებობს სურვილის კომპონენტი, მაგრამ არ არის გამორიცხული ნებელობა.

ჯერ კიდევ *რაინჰარდ ფრანკმა* დააყენა ასეთი გამიჯვნის ფორმულა, რომელიც შემდგომში განვითარდა სხვადასხვა თეორიებში. თვითიმედოვნების დროს პირი ამბობს: *არაფერი არ მოხდება, არამედ ყველაფერი კარგად იქნება*, მაშინ როდესაც ევენტუალური განზრახვის დროს ამბობს: *შეიძლება ასე ან სხვაგვარად მოხდეს, ყველა შემთხვევაში მე ამას გავაკეთებ და თუ მოხდება, არა უშავს*.

ისმის კითხვა: მოქმედებს თუ არა განზრახ ის, ვისთვისაც თავისი მოქმედებით გამოწვეული შედეგი, რომელსაც იგი შესაძლებლად მიიჩნევს, ძალზე არასასურველია?

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იყო ერთი ასეთი შემთხვევა: ა.-მ და ბ.-მ გადაწყვიტეს შოკოლადის ქარხანაში ჩადენიანთ ყაჩაღობა. ისინი თავს დაესხნენ დარაჯს, შეუკრეს ხელ-ფეხი და თავზე წამოაცვეს ტომარა. მათ იცოდნენ, რომ ასეთ ვითარებაში შესაძლებელი იყო დარაჯი გაგუდულიყო და მომკვდარიყო, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ ასეთი შედეგი არ დადგებოდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ დარაჯი რამდენიმე ხანში შეძლებდა თავი დაეღწია განსაცდელისაგან. ამასთან, მათთვის შედეგის დადგომა ძალზე არასასურველი იყო. დარაჯი გარდაიცვალა ჰაერის უკმარისობის შედეგად.

დაისჯებიან თუ არა ა. და ბ. ჯგუფურად ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის (სსკ-ის 109-ე მუხლი მე-2 ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტი)?

ა. და ბ. ითვალისწინებდნენ მათი მსხვერპლის სიკვდილის შესაძლებლობას, რითაც სახეზეა როგორც ევენტუალური განზრახვის, ასევე თვითიმედოვნებისათვის საერთო მინიმალური მოთხოვნა, მა-

გრამ საკითხავია, ჩადენილია განზრახი მკვლევლობა, თუ მხოლოდ სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა?

განზრახვის არსებობის დასაბუთების არგუმენტი იმის, რომ მათ მსხვერპლის სიკვდილის შესაძლებლობა კონკრეტულად თვალწინ ედგათ, ხოლო განზრახვის დასაბუთების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, რომ მათ მსხვერპლის სიკვდილი ნამდვილად არ სურდათ. გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე, განზრახვის დადგენისათვის საკმარისად მივიჩნევთ ქმედების შემადგენლობის განხორციელების თაობაზე კონკრეტული შესაძლებლობის წარმოდგენას და მოვითხოვთ მოსალოდნელ საფრთხეზე კვალიფიციურ ცოდნას, როგორც ეს მოცემულია ე.წ. შემეცნების (წარმოსახვის) თეორიებში, თუ ნებულობის მომენტიზე გადავიტანთ მთავარ აქცენტს, როგორც ევენტუალური განზრახვის აუცილებელ კომპონენტზე - ე.წ. ნებულობის თეორიები.

I. შემეცნების თეორიების (Wissenstheorien) ან, როგორც მას სხვანაირად ასევე უწოდებენ, წარმოსახვის თეორიების (Vorstellungstheorien) მიხედვით, ევენტუალური განზრახვის არსებობის აუცილებელი წინაპირობაა პირის გარკვეული წარმოდგენა ქმედების შემადგენლობის განხორციელების საფრთხის შესახებ, ხოლო ნებულობითი მომენტი არ მოითხოვება. ევენტუალური განზრახვა და (შეგნებულ) გაუფრთხილებლობა ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნის სფეროში.

სისხლის სამართალში განვითარდა სხვადასხვა თეორიები, რომელთა სხვადასხვაგვარი დაყოფა პირობითად ხდება კლასიკურ და თანამედროვე თეორიებად. შემეცნების (წარმოსახვის) თეორიის ვარიანტებია:

(1) **შესაძლებლობის თეორია (Möglichkeitstheorie)**, რომლის მიხედვითაც, არ არის ვოლუნტარული ელემენტის (ნებულობის) არსებობა საჭირო, არამედ საკმარისია პირის მიერ კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობის გაცნობიერება და, მიუხედავად ამისა, ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებაზე დარჩენა. შესაძლებლობის თეორია ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ერთ-ერთგამიჯვნის დროს შემოიფარგლება ინტელექტუალური მხარით: თუ პირს შეცნობილი ჰქონდა ქმედების შემადგენლობის განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობა, იგი მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, ხოლო თუ იგი მხოლოდ აბსტრაქტულ საფრთხეს ხედავს და არა კონკრეტულს ან საფრთხეზე საერთოდ არ უფიქრია. იგი მოქმედებს გაუფრთხილებლობით (თვითიმედოვნებით).

(2) **აღბათობის თეორია (Wahrscheinlichkeitstheorie)** აღიარებს შედეგის დადგომის მოსალოდნელობის შეცნობადობას, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე უბრალო შესაძლებლობა. აქაც არ არის ვოლუნტარული ელემენტის (ნებულობის) დადგენა აუცილებელი.

როგორც შესაძლებლობის, ასევე ალბათობის თეორია ევენტუალურ განზრახვას განსაზღვრავს მხოლოდ შემეცნების ელემენტით და ყურადღებას არ აქცევს ნებელობის მომენტს, რის გამოც, ძნელია მისი გამოიჯვნა ე.წ. შეგნებული გაუფრთხილებლობისაგან (თვითიმედოვნებისაგან).

(3) **რისკის თეორიების (Risikotheorien)** მიხედვით, განზრახ მოქმედებს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არანებადართულ, მართლწესრიგის მიერ შეუწყნარებელ კონკრეტული რისკის მდგომარეობას შეგნებულად შექმნის, რომელსაც გამოიწვევს მის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელება და, მიუხედავად რისკის ფაქტორის არსებობისა, ასეთი მოქმედების ჩადენაზე უარს არ ამბობს. ამ თეორიის მიხედვით, საკმარისია, რომ პირმა მხოლოდ საფრთხის, რისკის შესახებ იცოდეს ან მას სერიოზულად აღიქვამდეს, ვოლუნტატიური მომენტის დადგენის გარეშე. მთავარია, რომ პირი მოქმედებს იმის შეგნებით, რომ მისი ქმედება თავისი შეფასებით (სუბიექტური მხარე) და ობიექტური კრიტერიუმებით (ობიექტური მხარე) დაუშვებელი რისკის მდგომარეობას წარმოშობს.

ირელევანტური (უმნიშვნელო) რისკის მდგომარეობა გამორიცხავს განზრახვას. ამ თეორიის მიხედვით, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გამოიჯვნა შეიძლება მოხდეს უკვე ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე. განზრახვა ამ შეხედულების მიხედვით არსებობს იმ შემთხვევაში, როცა პირი შეგნებულად რისკზე წავიდა, ვოლუნტატიური მომენტის დადგენის გარეშე.

II. ნებელობის თეორიების (Willenstheorien) მიხედვით, ევენტუალურ განზრახვას აქვს ორი დამოუკიდებელი ნიშანი: ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნება. პირდაპირი განზრახვისაგან იგი განსხვავდება არა ძირითადი სტრუქტურით, არამედ ამ ორივე კომპონენტის შინაარსით, ხოლო შეგნებული გაუფრთხილებლობისაგან (თვითიმედოვნებისაგან) - ნებელობის ელემენტის არსებობით. განზრახვა არის ქმედების მთლიანი შემადგენლობის ნებელობით, ხოლო გაუფრთხილებლობა - ნების გარეშე განხორციელება.

არსებობს ნებელობის თეორიის სხვადასხვა სახეები:

(1) **შედეგის მოწონების თეორიის (Billigungstheorie)** მიხედვით, განზრახ მოქმედებს ის, ვინც შედეგის დადგომას შესაძლებლად მიიჩნევს და შედეგს შინაგანად იწონებს, მისი დადგომის თანახმად, მას შეგნებულად უშვებს. ვინც შედეგს შინაგანად უარყოფს და შედეგის არდადგომას იმედოვნებს, მოქმედებს განზრახვის გარეშე.

(2) **თანაბარმნიშვნელობის თეორიის (Gleichgültigkeitstheorie)** მიხედვით, სულერთია, დადგება თუ არა შედეგი. ამ შემთხვევაშიც პირი შედეგის გამოიწვევას შესაძლებლად მიიჩნევს და გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

(3) **შედეგის თავიდან აცილების თეორიის** (*Vermeidungstheorie*) მიხედვით, განზრახ მოქმედებს ის, ვისაც მისი მოქმედებით გამოწვეული მისთვის არასასურველი შედეგი შესაძლებლად მიიჩნია, მაგრამ მისი ნება არის მისი თავიდან აცილებისაკენ მიმართული. მაგალითად, შიდსით დაავადებულმა იცის, რომ სქესობრივი ურთიერთობით შეიძლება მის პარტნიორს ავადმყოფობა გადაეღოს, მაგრამ იყენებს საშუალებას, რომლითაც ცდილობს, თავიდან აიცილოს ეს შედეგი, მაგრამ უშედეგოდ.

(4) **შედეგის დაღბომის რეალურობის აღქმის თეორიის** (*Ernstnahmetheorie*) მიხედვით, ევენტუალური განზრახვა სახეზეა მაშინ, როდესაც პირს სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა სერიოზულად მიიჩნია და ამ ფაქტთან შეგუებულია. ვინც პირიქით ფიქრობს, მოქმედებს გაუფრთხილებლობით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თეორიათა პირველი ჯგუფის მიხედვით, რომელიც შემეცნების ან წარმოსახვის თეორიების სახელითაა ცნობილი, ძნელია, გამიჯნო ერთმანეთისაგან ევენტუალური განზრახვა და თვითიმედოვნება. ასე, მაგალითად, ეს თეორიები, ვინაიდან ყურადღებას არ ამახვილებს ვოლუნტატიურ ელემენტზე, ანუ ნებელობის მომენტზე, იძლევა შესაძლებლობას, სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები (სატრანსპორტო დანაშაული) შეფასდეს, როგორც ევენტუალური განზრახვით ჩადენილი, რაც სამართლებრივად არასწორი იქნებოდა. სწორედ ამის გამო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებში მოცემული ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების დეფინიციებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გამიჯვნისათვის აუცილებელია ნებელობით მომენტზე (ვოლუნტატიურ ელემენტზე) დაყრდნობა, რომელსაც ახდენს თეორიათა მეორე ჯგუფი, ე.წ. ნებელობის თეორიები, რომლებიც, ჩემი აზრით, ქართული სისხლის სამართლისათვის კანონშესაბამისია.

5.2.5 ალტერნატიული განზრახვა

ალტერნატიული განზრახვის (*dolus alternativus*) დროს ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთიდან პირს განზრახული აქვს ერთ-ერთის ხელყოფა, მაგრამ მისთვის სულერთია, მისი ქმედებით თუ რომელი მათგანი იქნება ხელყოფილი.

მაგალითი: ა. ტყვიას ისვრის იმ მიზნით, რომ მოკლას დ. ან დ. თუ ტყვია მოხვდება ორივეს და ორივე მათგანი მოკვდება, გვექნება ერთი პირის მიმართ განზრახი დანაშაული, მეორის მიმართ კი - გაუფრთხილებლობა, ვინაიდან ა.-ს განზრახვა ჰქონდა, მოეკლა მხოლოდ ერთი, ხოლო მეორის სიკვდილის შემთხვევაში, მის მიმართ ჩადენილი ქმედება იქნება სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ალტერნატიული განზრახვის დროს მნიშვნელოვანია საფრთხის ქვეშ მყოფ სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება.

თანაბარი ღირებულების სამართლებრივი სიკეთეების დროს, როცა პირს განზრახული აქვს ერთ-ერთი მათგანის ხელყოფა, ოღონდ სულერთია, რომელი მათგანი იქნება ხელყოფილი, ჩადენილი ქმედება, რასაც ერთ-ერთი მათგანის დაზიანება ან განადგურება მოჰყვება, შეფასდება, როგორც დამთავრებული განზრახი დანაშაული, სხვა თანაბარი ღირებულების სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის მცდელობაზე მითითების გარეშე. მაგალითად, ხალხმრავალ ადგილას ა.-მ ჩაიდინა მოქმედება, რომელსაც შეეძლო რამდენიმე ადამიანიდან მხოლოდ ერთ-ერთის მოკვლა. მიუხედავად იმისა, თუ რომელი მათგანი აღმოჩნდება ამ ქმედების მსხვერპლი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამთავრებული განზრახი მკვლევლობა, სხვა ადამიანების განზრახ მკვლევლობის მცდელობაზე მითითების გარეშე.

იმ შემთხვევაში კი, როცა სამართლებრივი სიკეთეები არ არიან თანაბარი ღირებულების მატარებელი (მაგალითად, ადამიანი და ცხენი), ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასება ხდება დიფერენცირებულიად: თუ პირმა რეალურად ხელყო უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთე (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე), ხოლო უფრო ნაკლები ღირებულების სამართლებრივი სიკეთე (მაგალითად, ცხენი) დარჩა ხელშეუხებელი, ასეთ შემთხვევაში, ალტერნატიული განზრახვის თეორიით, მთლიანი სამართლებრივი შეფასება მოხდება, როგორც დამთავრებული განზრახი მკვლევლობა, სხვისი ნიუთის განზრახ განადგურების ან დაზიანების მცდელობაზე მითითების გარეშე. უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთე გადაფარავს უფრო მცირეს. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი, თუ ალტერნატიული მიზეზობრიობის დროს მოკვდა ცხენი და გადარჩა ადამიანი, სამართლებრივი შეფასება მოხდება შემდეგნაირად: სხვისი ნიუთის განადგურება ან დაზიანება, როგორც დამთავრებული დანაშაული და განზრახი მკვლევლობის მცდელობა.

ალტერნატიული განზრახვის დროს, თუ არცერთი სამართლებრივი სიკეთე არ იქნა დაზიანებული ან განადგურებული, მაგალითად, ტყვია აცდა როგორც ადამიანს, ასევე ნიუთს, ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მცდელობა.

ალტერნატიული განზრახვის დროს ასეთ პოზიციას მხარს უჭერს მეცნიერთა უმრავლესობა, რომლებიც თვლიან, რომ ყოველთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის უპირატესი დაცვის პრინციპი.

აქვე უნდა აღინიშნოს ალტერნატიული განზრახვის დროს უმცირესობის სხვადასხვა პოზიციების შესახებ, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი დასაბუთება:

(1) არსებობს აზრი, რომლის თანახმად, შეფასება ყოველთვის უნდა მოხდეს ქმედებათა ერთობლიობით და გათვალისწინებული უნდა იქნეს თითოეული სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენების ან საფრთხის შექმნის მდგომარეობა.

(2) ასევე არსებობს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, შეფასება ყოველთვის უნდა მოხდეს უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, მის მიმართ ჩადენილია დამთავრებული დანაშაული თუ დანაშაულის მცდელობა.

(3) არსებობს ასევე სხვა შეხედულებაც, რომელიც მიიჩნევს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს სამართლებრივი შედეგის ღირებულებას, არამედ – კონკრეტულად დამდგარ შედეგს, რის გამოც მთლიანი შეფასება ყოველთვის უნდა მოხდეს მხოლოდ, როგორც დამთავრებული განზრახი დანაშაული, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთე იქნა ხელყოფილი - უფრო მნიშვნელოვანი, თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი. მაგალითად, ა.-მ ტყვეა ისროლა იმ ალტერნატიული განზრახვით, რომ შედეგად დადგებოდა ან ადამიანის სიკვდილი ან ცხენის სიკვდილი, რომელზეც იგი იყო ამხედრებული. მოქმედების შედეგად ადამიანის სიკვდილი არ დადგა, ხოლო ტყვეა მოხვდა და მოკვდა ცხენი. ამ თეორიით, ეს შემთხვევა უნდა შეფასდეს, როგორც სხვისი ნივთის განზრახ განადგურება, განზრახი მკვლელობის მცდელობაზე მითითების გარეშე.

უმცირესობის ეს პოზიციები ალტერნატიული განზრახვის დროს დასჯადობის თაობაზე არგუმენტირებულია და იმსახურებს ყურადღებას.

5.2.6 კუმულაციური განზრახვა

კუმულაციური განზრახვა (*dolus cumulativus*) განსხვავდება ალტერნატიულისაგან იმით, რომ ამ დროს პირს განზრახული აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

მაგალითი: ა. მოქმედებს იმ მიზნით, რომ თავისი ქმედებით გამოიწვიოს ლ.-ს სიკვდილი და მისი ავტომანქანის განადგურება. თუ ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთე გადარჩა, გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთის მიმართ გვექნება განზრახი დანაშაულის მცდელობა, ხოლო მეორე სამართლებრივი სიკეთის მიმართ – დამთავრებული განზრახი დანაშაული, ვინაიდან ა. ორივე სამართლებრივი სიკეთის მიმართ მოქმედებდა განზრახვით.

5.2.7 ბენერალური განზრახვა

ბენერალური განზრახვის (*dolus generalis*) ცნება აღრე ჩამოყალიბდა და დღეისათვის, ამ პრობლემის მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის სახით გადაწყვეტის მიუხედავად, ისევ გამოიყენება

სისხლის სამართლის დოგმატიკაში. იგი გულისხმობს იმ შემთხვევას, როცა პირის მიერ განზრახული ქმედებით გამოწვეული ნებელობითი შედეგი დგება არა პირველი მოქმედებით, როგორც ეს მას წარმოუდგენია, არამედ შეუგნებლად მისი შემდეგი მოქმედებით.

მაგალითად, ა.-მ ბ.-ს მოკვლის განზრახვით თავში ნაჯახის ჩარტყმით მიაყენა დაზიანება, რის შედეგადაც იგი მისი წარმოდგენით მოკვდა. ამის შემდეგ მან ბ. ჩადო მანქანის საბარგულში და რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, გვამის მოშორების მიზნით, გადაადგო მდინარეში. მალე მისი გვამი აღმოაჩინეს მეთევზეებმა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო არა თავში ნაჯახის ჩარტყმა, არამედ იგი წყალში დახრჩობის შედეგად გარდაიცვალა.

გენერალური განზრახვის ადრეული თეორიის მიხედვით, რომელსაც დღეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ა.-ს, ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე, ობიექტურად უნდა შეერაცხოს შედეგი და დაისაჯოს დამთავრებული განზრახვი მკვლელობისათვის, რადგან განზრახვა, პირის გენერალური ნებიდან გამომდინარე, მოიცავს მთლიანად ქმედებათა მთელ პროცესს სასურველი შედეგის დადგომამდე და არა მარტო პირველ ქმედებას, რომელსაც შედეგი არ გამოუწვევია.

მოწინააღმდეგეთა აზრით, პირის დანაშაულის შეფასება უნდა მოხდეს ორ ეტაპად: პირველი ქმედება წარმოადგენს განზრახვი მკვლელობის მცდელობას, რადგან მას შედეგი არ გამოუწვევია, ხოლო რაც შეეხება მეორე ეტაპს, განზრახვის დამთავრების შემდეგ იწყება მიზეზობრიობის ახალი ჯაჭვის განვითარება, რასაც გაუფრთხილებლობით სიკვდილი მოჰყვა.

დღეს გაბატონებული შეხედულების მიხედვით, პრობლემა უნდა გადაწყდეს დიფერენცირებულად. მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს შეცდომას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. გადამწყვეტია იმის დადგენა, თუ რამდენად არსებითია გადახრა მიზეზობრიობის ჯაჭვის განვითარებაში. თუ ასეთი გადახრა უმნიშვნელოა, მაშინ შეცდომა ირელევანტურია და შედეგის შერაცხვა ხდება ჩვეულებრივ, თავდაპირველი განზრახვით, როგორც დამთავრებული განზრახვი დანაშაულის ჩადენა, ისე, როგორც ადრე მოყვანილ კაზუსში, რომელიც ესებოდა მდინარეში ბავშვის გადაგდებას, რომელიც, პირის წარმოდგენით, წყალში დაიხრჩობოდა, სინამდვილეში კი, წყალში ჩავარდნამდე რკინის ბოძზე თავის დაარტყმით მოკვდება. მიზეზობრიობის განვითარებაში მნიშვნელოვანი გადახრის დროს კი, პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა მოხდეს დიფერენცირებულად, ორმაგი კვალიფიკაციით, როგორც განზრახვი მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

5.2.8 მოქმედებით ჩადენილი შედეგიანი განზრახვი დამთავრებული დანაშაულის კაზუსის ამოხსნის სქემა

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, წარმოვადგინო მოქმედებით ჩადენილი შედეგიანი განზრახვი დამთავრებული დანაშაულის სტრუქტურა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს კაზუსის ამოხსნის დროს:

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

(შემადგენლობის დაწერილი და დაუწერელი ნიშნები)

- ქმედების სუბიექტი

(მნიშვნელოვანია, მაგალითად, სამოხელეო დანაშაულის დროს)

- ქმედების ობიექტი

- ქმედება

შედეგიან დელიქტებში ასევე:

- ქმედების შედეგი

- მიზეზობრივი კავშირი

- ობიექტური შერაცხვა

ზოგიერთ შემთხვევაში ასევე:

- ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ნიშნები

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა (არაბოროტი განზრახვა)

ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიმართ

(აქვე უნდა გადაწყდეს ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი შეცდომის საკითხი)

ზოგიერთ შემთხვევაში ასევე:

- სხვა სუბიექტური ელემენტები

(მაგალითად, მითვისების მიზანი ქურდობის დროს ან გენოციდის მიზანი)

II მართლწინააღმდეგობა

(მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების არ არსებობის შემთხვევაში ქმედება მართლსაწინააღმდეგოა)

1. ობიექტური ნიშნები

2. სუბიექტური ნიშნები

III ბრალი

1. ბრალუნარიანობა

(არ არსებობს შეურაცხაობის შემთხვევაში)

2. ბრალის სპეციალური ნიშნები

3. მართლწინააღმდეგობის უზენაესი ვიწრო გაგებით

(შეცდომა აკრძალვაში: უმართლობის აქტუალური ან პოტენციური შეგნება)

4. მართლწინააღმდეგობის უზენაესი ფართო გაგებით

(განზრახვის ბრალი: ბოროტი განზრახვა (*dolus malus*), რომელიც წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვითარების არ არსებობის ცოდნას. ბოროტი განზრახვა არ არსებობს, მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიების დროს, როცა პირი შეცდომას უშეუბნებლად ასეთი ვითარების ფაქტობრივი გარემოების არსებობის თაობაზე.)

5. ბრალის გამომრიცხველი სხვა საპატიოებელი გარემოებანი

5.3 ქმედების შემადგენლობის შეცდომა

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ შეცდომის ორ ძირითად სახეს, რომელთაგან პირველი დაკავშირებულია ფაქტობრივ გარემოებებთან (ე.წ. ფაქტობრივი შეცდომა), ხოლო მეორე – სამართლებრივ საკითხებთან (ე.წ. სამართლებრივი შეცდომა).

შეცდომა შეიძლება დაკავშირებული იყოს დანაშაულის სისტემის ნებისმიერ ელემენტთან, როგორც ქმედების შემადგენლობასთან, ასევე მართლწინააღმდეგობასა და ბრალთან. მიუხედავად ამისა, არსებული კლასიფიკაციით, სისხლის სამართალში არსებობს შეცდომის ორი ჯგუფი დანაშაულის სისტემაში პრობლემის განხილვის ადგილის მიხედვით. პირველი წარმოადგენს შეცდომის იმ სახეებს, რომლებიც ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვასთან კავშირში განიხილება, ხოლო მეორე ჯგუფში მოცემული შეცდომის შემთხვევები განიხილება ბრალის ეტაპზე. პირველ ჯგუფში, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, განიხილება წმინდა ფაქტობრივი ხასიათის გარემოებები, ხოლო მეორე, ბრალის ეტაპი, მოიცავს ორივე: (1) წმინდა სამართლებრივი ხასიათის შეცდომებსა და (2) შეცდომებს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოების არსებობასთან დაკავშირებით (ე.წ. მოჩვენებითი მოგერიება და სხვა ანალოგიური შემთხვევები). შეცდომის ეს ორი შემთხვევა

განხილული იქნება ცალკე, ბრალთან მიმართებაში, ხოლო ამ ეტაპზე განვიხილავ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე რელევანტურ შეცდომის სახეებს.

პირმა ფაქტობრივი ან სამართლებრივი ხასიათის შეცდომა შეიძლება დაუშვას, როგორც თავის სასარგებლოდ, ისე საზიანოდ. მაგალითად, ზოგჯერ პირი არ ფიქრობს, რომ აზიანებს სისხლის სამართლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ან არ იცის მისი სამართლებრივი ბუნების შესახებ, რომ ასეთი ქმედების ჩადენა დასჯადია, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე არ იმოქმედებდა. ასეთ შემთხვევებში, ძირითადად, გამოირიცხება განზრახვა, ხოლო გაუფრთხილებლობისათვის დასჯადობა დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, იყო თუ არა შეცდომა თავიდან აცილებადი. სხვანაირად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ პირი შეცდომას უშვებს თავის საზიანოდ, კერძოდ, ფიქრობს, რომ არსებობს ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც მისთვის მდგომარეობის დამამძიმებელია, ან აკეთებს ისეთ სამართლებრივ შეფასებას, რომელიც მისი საზიანოა, მაშინ როდესაც ასეთს სინამდვილეში ადგილი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში, ძირითადად, საქმე გვაქვს მცდელობასთან, როცა საქმე ეხება ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა პირი სამართლებრივ შეფასებებში ცდება მის საზიანოდ, გვაქვს მოჩვენებითი დელიქტი, რისთვისაც პირი არ დაისჯება.

5.3.1 ფაქტობრივი შეცდომა

უპირველეს ყოვლისა, შევხები შეცდომას, რომელიც განხილულია ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვასთან კავშირში.

ქმედების შემადგენლობის შეცდომა ნიშნავს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს, რომლებიც შეიძლება პირმა დაუშვას ქმედების ობიექტური შემადგენლობის დესკრიფციულ (აღწერილობით) და ნორმატიულ (შეფასებით) ნიშნებთან მიმართებაში. იგი არის განზრახვის ერთ-ერთი - ცოდნის ელემენტის მთავარი პრობლემა და ნიშნავს პირის მცდარ წარმოდგენას ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე. იგი შედეგად იწვევს განზრახვის გამოირიცხვას, მიუხედავად იმისა, ეს შეცდომა თავიდან აცილებადი იყო თუ არა. მთავარია, რომ პირს არ ჰქონდა ფაქტობრივი გარემოების ცოდნა. არ არის სავალდებულო, რომ პირს ჰქონდეს ქმედების შემადგენლობის ამა თუ იმ გარემოების იურიდიული მნიშვნელობის შინაარსის ცოდნა. მაგალითად, ქურდობის დროს არ არის სავალდებულო, რომ პირს შეეძლოს „სხვისი მოძრავი ნივთის“ სამოქალაქო-სამართლებრივი კატეგორიის შინაარსის ახსნა, საკმარისია, რომ მან იცის, რომ, მაგალითად, ძროხა (ნივთი) სხვისია და რა ბუნებრივი თვისებების მატარებელია იგი. არ არის სავალდებულო, რომ მან იცოდეს, რა არის მოძრავი ნივთი იურიდიულად და

რითი განსხვავდება იგი უძრავი ნივთისაგან. ქმედების შემადგენლობის ეტაპზე საკმარისია ფაქტების ცოდნა, მისი ბუნებრივი არსის შეცნობა, ხოლო ე.წ. „სუბსუმციის შეცდომა“ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ამ ფაქტების იურიდიული (სამართლებრივი) ბუნების შესახებ შეცდომა განიხილება ბრალის ეტაპზე, სსკ-ის 36-ე მუხლის ფარგლებში და, შესაბამისად, შეიძლება გახდეს აკრძალვაში შეცდომის შემთხვევა.

მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის შეცდომასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლების (განზრახვისა და გაუფრთხილებლობის) ფარგლებში.

მოვიყვანოთ ფაქტობრივი შეცდომის შემდეგი მაგალითი:

- მონადირეს ჰგონია, რომ კლავს დათვს, სინამდვილეში ტყვია ესროლა მეორე მონადირეს და მოკლა. ეს არის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით ან გაუფრთხილებლობაც გამოირიცხება (სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი შეცდომა).

ფაქტობრივი შეცდომა გამორიცხავს განზრახი დანაშაულის ქმედების შემადგენლობას და პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო გარკვეული პირობების არსებობისას შეიძლება გამოირიცხოს გაუფრთხილებლობაც.

5.3.2 შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში

შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში განიხილება შეცდომის ერთ-ერთ სახედ. იგი მდგომარეობს იმაში, რომ შედეგი დადგა მიზეზობრიობის ჯაჭვის არა იმგვარად განვითარებით, როგორც ეს წარმოუდგენია დამნაშავეს, არამედ მოვლენათა განვითარებაში მოხდა ცვლილება. ასეთ შეცდომას ყოველთვის არა აქვს მნიშვნელობა და არ იწვევს ცვლილებას სისხლისსამართლებრივ შეფასებებში, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა მიზეზობრივი კავშირის განვითარების პროცესში „არსებით გადახრას“ წინასწარ განსაზღვრული განვითარებისაგან. „არსებითი გადახრა“ ნიშნავს წინასწარ განსაზღვრულისაგან განსხვავებით მოვლენათა ისეთ განვითარებას, რომლის დამნაშავეისათვის წინასწარ განჭვრეტა, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, არ იყო შესაძლებელი.

მაგალითად, ა.-მ ბ.-ს ესროლა ტყვია, ბ.-ს ასცდა, მოხვდა ბენზინის ცისტერნას, რომელიც აფეთქდა და ბ. დაიწვა. მიუხედავად იმისა, რომ პირმა შეცდომა დაუშვა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, არის განზრახი მკვლელობა, რადგან არ მომხდარა არსებითი გადახრა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის განვითარებაში.

ბევრი პრობლემა, რომელიც ჩემს მიერ განხილულ იქნა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე, როგორც ე.წ. ობიექტური შერაცხვის პრობლემა, ადრე განიხილებოდა, როგორც შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. ობიექტური შერაცხვის კატეგორიამ, ვფიქრობ, ბევრი პრობლემა სისტემურად უკეთესად დაასაბუთა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ერთმა ადამიანმა მეორე დანით დაჭრა, რის შემდეგაც იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის ავტოვარიის შედეგად გზაში დაიღუპა, მიუხედავად მიზეზობრივი კავშირის არსებობისა, მისი ატიპურობის გამო, სასიკვდილო შედეგის დანით დამზიანებლისათვის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება. თუ ობიექტური შერაცხვის კატეგორიას უარყოფ, მაშინ უნდა დაადგინო, იყო თუ არა დაზიანება სასიკვდილო და ჰქონდა თუ არა პირს მოკვლის განზრახვა, რის შემდეგად უნდა გადაწყდეს დამთავრებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი.

ჩემს მიერ ზემოთ დახასიათებული ე.წ. გენერალური განზრახვის თეორია განიხილება სწორედ შეცდომასთან მიმართებაში. გაბატონებული შეხედულებით, აქაც ადგილი აქვს შეცდომას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, როცა პირი ფიქრობს, რომ შედეგს პირველი მოქმედებით მიაღწია, სინამდვილეში კი იგი დადგა მეორე მოქმედების შედეგად. მაგალითად, ა.-ს ეგონა, რომ მოწამვლით მოკლა ბ., რის შემდეგაც სახლს წაუკიდა ცეცხლი. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იგი სინამდვილეში გაიგუდა ცეცხლის წაკიდების შემდეგ გაჩენილი ხანძრის დროს ჰაერის უკმარისობის შედეგად.

ეს არის ე.წ. ორაქტიანი დანაშაული, როდესაც ბ.-ს მკვლელობის განზრახვა ე.წ. გენერალური განზრახვის თეორიით მეორე აქტის დამთავრებამდე გენერალურად აგრძელებს მოქმედებას (ასე ფიქრობს, მაგალითად, *ჰანს ველცელი* თავის ცნობილ სახელმძღვანელოში, იხ. *H. Welzel, Das Deutsche Strafrecht*, მე-11 გამოცემა, 1969, გვ. 74). მაშასადამე, გენერალური განზრახვის თეორიით, ა. დაისჯება ბ.-ს დამთავრებული განზრახვი მკვლელობისათვის.

იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა მეორე, განსხვავებული შეხედულებაც, რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს. ამ შეხედულებით, რომელიც ცნობილია ე.წ. განცალკევების თეორიით, ა.-ს განზრახვა მეორე დანაშაულებრივი აქტის ჩადენის დროს უკვე აღარ არსებობდა, რის გამოც, ორივე მოქმედება უნდა განვიხილოთ ცალკე დამოუკიდებლად. საბოლოო ჯამში პირის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს განზრახვი მკვლელობის მცდელობისათვის (პირველი მოქმედება), სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობასთან ერთობლიობაში (მეორე მოქმედება).

ზოგიერთი ავტორი მხარს უჭერს ე.წ. ერთიანი განზრახვის თეორიას, რომლის თანახმად, მნიშვნელოვანია ის მომენტი, ჰქონდა თუ არა ორივე მოქმედების ჩადენის განზრახვა პირს თავიდანვე, თუ მეორე მოქმედების შესრულება მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა პირვე-

ლი მოქმედება განახორციელა. ორივე მოქმედების ერთიანი განზრახვით შესრულების დროს პირი პასუხს აგებს დამთავრებული განზრახვი მკვლევლობისათვის, ხოლო ამ მოქმედებათა არაერთიანი განზრახვით შესრულების შემთხვევაში, ქმედებათა კვალიფიკაცია ხდება ცალ-ცალკე – მკვლევლობისა და გაუფრთხილებლობის ერთობლიობით.

არსებობს ე.წ. ეფექტის გვიან გამოწვევის თეორია, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელოვანია, პირველი მოქმედება სასურველ შედეგს გამოიღებდა თუ არა, მეორე მოქმედება რომ არ შესრულებულიყო, ე.ი. იყო თუ არა იგი შედეგის გამომწვევი საკმარისი პირობა? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ შედეგი აუცილებლობით, თუნდაც დროში უფრო გვიან, დადგებოდა, მთლიანი სიტუაცია შეფასდება ერთიანად, როგორც დამთავრებული განზრახვი დანაშაული.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად, შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში გამორიცხავს დასჯადობას დამთავრებული განზრახვი დანაშაულისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს არსებით გადახრას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, რაც შეფასებითი კატეგორიაა და ხდება ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე.

5.3.3 შეცდომა პიროვნებასა და ობიექტში

შეცდომა პიროვნებაში (*error in persona*), შესაბამისად, შეცდომა ობიექტში (*error in obiecto*) შეცდომის მნიშვნელოვანი მსგავსი სახეებია. ასეთი შეცდომა, როგორც წესი, კვალიფიკაციისათვის სისხლისმართლებრივად ირელევანტურია და ზეგავლენას არ ახდენს საბოლოო შეფასებაზე, რადგან საქმე გვაქვს თანაბარ სამართლებრივ სიკეთებთან. პასუხისმგებლობა დგება ე.წ. თანაბარღირებულების თეორიით.

მაგალითად, ნ., რომელსაც უნდოდა შური ეძია მოსამართლეზე, რომელმაც მისი შეილის მიმართ დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი, შევიდა მოსამართლის ეზოში. მან სიბნელეში ფანჯრის მიღმა მდგომი ადამიანის სილუეტი დაინახა. ვინაიდან მოსამართლე მარტო ცხოვრობდა, ეგონა, რომ სახლში მარტო იქნებოდა. ნ.-მ ესროლა ადამიანის სილუეტს, მისი წარმოდგენით მოსამართლეს, რომელიც სინამდვილეში მოსამართლის მეგობარი ქალი აღმოჩნდა, მოკვლის განზრახვით, რომელსაც მოხვდა ტყვია და ამის შედეგად გარდაიცვალა. მოსამართლე კი ამ დროს სახლში საერთოდ არ იყო.

მიუხედავად შეცდომისა და არასასურველი პირის მოკვლისა, ჩადენილი ქმედება შეფასდება, როგორც განზრახ მკვლევლობა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

იგივე მდგომარეობაა იმ შემთხვევაში, როცა ა-მ ანგარების მოტივით, მოკვლის განზრახვით ესროლა მისი წარმოდგენით ბიზნესმენს, რომლის მოკვლის სანაცვლოდაც მას უხდიდნენ 20 000 ამერიკულ დოლარს. სიბნელეში მას შეეშალა და ესროლა გარაკიდან გამოსულ ბიზნესმენის ძმას, რის გამოც მან შეპირებული თანხა ვერ მიიღო.

ამ მაგალითის მიხედვითაც, მიუხედავად შეცდომისა, ა-მ ჩაიდინა დამთავრებული განზრახი მკვლელობა ანგარებით (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ანგარებითი მკვლელობისთვის აუცილებელი არ არის, რომ მკვლელმა მიიღოს შეპირებული მატერიალური სარგებელი, მთავარია, რომ იგი მოქმედებდეს ანგარების მოტივით.

პიროვნებაში შეცდომისა და ობიექტში შეცდომის დროს გადამწყვეტი მნიშველობა აქვს იმას, რეალურად ხელყოფილი და ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის ხელყოფაც იყო განზრახული, წარმოადგენენ თუ არა თანაბარი სამართლებრივი ღირებულების მქონე სამართლებრივ სიკეთეებს.

თუ ორივე ობიექტს თანაბარი სამართლებრივი ღირებულება აქვს (მაგალითად, დაშვებული იქნა შეცდომა პიროვნებაში, რის გამოც ერთი პირის სიცოცხლის ნაცვლად მოხდა სხვა პირის სიცოცხლის მოსპობა), ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს, როგორც დამთავრებული განზრახი მკვლელობა.

დებულება იმის შესახებ, რომ შეცდომა მოკლულის პიროვნებაში (*error in persona*) ზეგავლენას ვერ მოახდენს პასუხისმგებლობაზე, ვინაიდან ერთი ადამიანის სიცოცხლე სამართლებრივი თვალსაზრისით იმავე ღირებულებას წარმოადგენს, რასაც მეორე ადამიანის სიცოცხლე, აღიარებულია ქართულ სისხლის სამართალში (იხ. *თინათინ წერეთლის* შეხედულება წიგნში: *გ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 1980, გვ. 12-13).

სხვადასხვა ღირებულების სამართლებრივი სიკეთეების შემთხვევაში, როცა, მაგალითად, ტყვია აცდება ადამიანს და გაანადგურებს ან დააზიანებს ძვირადღირებულ ნივთს, ასეთ შემთხვევაში შეცდომას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, გვექნება განზრახი დანაშაულის მცდელობა (იმ ობიექტთან მიმართებაში, რომლის ხელყოფაც იყო განზრახული) და გაუფრთხილებელი დანაშაული (იმ ობიექტთან მიმართებაში, რომელიც იქნა რეალურად ხელყოფილი), თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა დასჯადია.

5.3.4 შეცდომა ძმების შემადგენლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებში

სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს ქმედების შემადგენლობის არაერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, მაგალითად, არსე-

ბითი ზიანი, ასევე სხვა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. დამამძიმებელი გარემოებებია, მაგალითად, მსხვერპლის ორსულობა, განსაკუთრებული სისასტიკე, ანგარება (სსკ-ის 109-ე მუხლი), ხოლო შემამსუბუქებელი გარემოება, მაგალითად, უეცარი, ძლიერი სულიერი ავღელვება (სსკ-ის 111-ე მუხლი), წარმოადგენს პრივილეგიურ გარემოებას.

ესა თუ ის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოება წარმოადგენს ქმედების ობიექტური ან სუბიექტური შემადგენლობის ან ბრალის ნიშანს.

ობიექტურ შემადგენლობაში შემავალი მაკვალიფიცირებელი გარემოების შესახებ შეცდომა, როგორც წესი, იწვევს კვალიფიკაციას დანაშაულის მცდელობით, ხოლო თუ მაკვალიფიცირებელი გარემოება სუბიექტური შემადგენლობის ან ბრალის ნიშანს წარმოადგენს, მაშინ მის მიმართ შეცდომა კვალიფიკაციისათვის ირელევანტურია. ასევე, სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია და კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არ ახდენს პრივილეგიური გარემოების შესახებ შეცდომა.

5.3.5 „აცდენილი ისრის“ თეორია, ანუ მოქმედება, რაც გამოიხატა მიზნის აცდენასა და გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფაში

Aberratio ictus - ეს არის შეცდომის ის შემთხვევა, როცა პირი გადაწვევტს, ხელყოფს მის მიერ ინდივიდუალურად იდენტიფიცირებული სამართლებრივი სიკეთე, მაგრამ ქმედება მიზანს აცდება (განზრახი დანაშაულის მცდელობა) და სხვა გაუთვალისწინებელ ობიექტს ხელყოფს (გაუფრთხილებელი დანაშაული), რომლის დაზიანება ან განადგურება მას არ განუზრახავს.

Aberratio ictus-ის შემთხვევა არ მიიხსნება პიროვნებაში ან ობიექტში შეცდომის (*error in persona vel obiecto*) ერთ-ერთ სახედ. იგი არც მიზნობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის სახეს წარმოადგენს.

ქართულ სისხლის სამართალში აღიარებულია ასეთ შემთხვევაში ორმაგი კვალიფიკაცია, კერძოდ, თუ ვინმეს გადაწვევტილი ჰქონდა განსაზღვრული პირის მოკვლა, მაგრამ მის მიერ გამოყენებული იარაღი ან საშუალება ამ პირს ასცდა და სხვა ადამიანს მოუსპო სიცოცხლე, პირის ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულის იდეალური ერთობლიობის წესით – ერთი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა და მეორე პირის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა (იხ. *თინათინ წერეთლის* შეხედულება წიგნში: *ე. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულძე*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი, 1980, გვ. 13).

მაშასადამე, გაბატონებული შეხედულებით, *aberratio ictus*-ის შემთხვევაში გვექნება ორმაგი კვალიფიკაცია, მაგალითად, განზრახი

მკვლევლობის მცდელობა და სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, ხოლო იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მცდელობა კომბინაციაში იყოს ევენტუალურ განზრახვასთან, როცა პირი იმ ობიექტის მიმართ, რომელსაც დაუმიზნა, მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ხოლო მეორე ობიექტის მიმართ, რომელიც რეალურად იქნა ხელყოფილი – ევენტუალური განზრახვით.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მკვლევლობის დროს, როცა პირი ერთი ადამიანის მიმართ, რომელსაც ტყვეა აცდა, მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ხოლო მეორის მიმართ, რომელიც მოკვდა – ევენტუალური განზრახვით, თუ იგი უშვებდა ერთდროულად ორივე ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას, გვექნება ორი ან მეტი პირის განზრახი მკვლევლობის მცდელობა (სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), რადგან ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობისათვის საკმარისია ევენტუალური განზრახვის არსებობა.

ასეთი ორმაგი განზრახვის შემთხვევაში, თუ პირი ფიქრობდა, რომ მათგან მხოლოდ ერთ-ერთი ადამიანი მოკვდებოდა ან შეიძლებოდა მომკვდარიყო, მაშინ გვექნება მხოლოდ ერთი დამთავრებული განზრახი მკვლევლობის კვალიფიკაცია და იმავდროულად მცდელობის კვალიფიკაციის გაკეთება იქნებოდა სამართლებრივად არასწორი.

მაშასადამე, *aberratio ictus*-ის დროს პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ე.წ. სამართლებრივ სიკეთეთა კონკრეტიზაციის თეორიის მიხედვით. არ არის სწორი შეცდომის ამ სახის პიროვნებაში შეცდომასთან (ობიექტში შეცდომასთან) გათანაბრება და პასუხისმგებლობის საკითხის ე.წ. სამართლებრივ სიკეთეთა თანაბარღირებულების თეორიით გადაწყვეტა, რომელიც შეცდომას სისხლისსამართლებრივად ირველევანტურად მიიჩნევს. ასევე არ შეიძლება დაეთანხმო ასეთ შემთხვევაში ე.წ. მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის წესების გამოყენებას.

მაგალითად, ა.-მ ესროლა ბ.-ს. ტყვეა, რომელიც შემთხვევით მოხვდა მის გვერდით მდგომ ც.-ს. ბ.-ს მიმართ იქნება განზრახი მკვლევლობის მცდელობა, ხოლო ც.-ს მიმართ – სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ანალოგიურ კვალიფიკაციასთან გვაქვს საქმე შემდეგ შემთხვევაში: ჩანტლაძეს შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა თავისი ყოფილი თანაკურსელის ლელაძის მიმართ, რომელმაც იგი სტუდენტობის წლებში მოატყუა, შეჰპირდა ცოლად წაყვანას და დაამყარა მასთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი. ჩანტლაძემ ფული გადაუხადა ნიორაძეს ლელაძის მკვლევლობისათვის. იგი თავს დაესხა ლელაძეს მოკვლის განზრახვით, ესროლა, მაგრამ ვერ მოუხსო სიცოცხლე, რადგან მიზანს აცდენილი ტყვეა ლელაძის მძღოლს მოხვდა და გარდაიცვალა. ნიორაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება მოხდება *aberratio ictus*-ის წესებით.

ზოგჯერ შეიძლება დაზიანებული და გადარჩენილი სამართ-
ლებრივი სიკეთე იყოს სხვადასხვა სამართლებრივი ღირებულების
მატარებელი. მაგალითად, აბაზაძეს თავის ცოლის ძმასთან კქონდა
გაუთავებელი ჩხუბი. იმ მიზნით, რომ ნათესავებს შორის უბედური
შემთხვევა არ დატრიალებულიყო, ცოლმა ქმრის პისტოლეტიდან ამ-
თიღო ტყვიები, რის შესახებაც ქმარმა არაფერი იცოდა, მაგრამ იცო-
და ცოლის ძმამ. ჩხუბის დროს გაბრაზებულმა აბაზაძემ რევოლვერი
შუბლზე დაადო ცოლისძმას და მოკვლის განზრახვით გამოსწია
პისტოლეტის სასხლეტი. სიბნელეში ცოლისძმამ, თავის მხრივ, მოკე-
ვლის განზრახვით ლითონის ჯოხი მოუქნია აბაზაძეს და შემთხ-
ვევით ძლიერად ჩაარტყა თავის დას თავში, რომელიც მოულოდ-
ნელად წინ აეფარა ქმარს და მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე და-
ზიანება.

ცოლის ძმის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება ე.წ.
კონკრეტიზაციის თეორიით, კერძოდ, როგორც განზრახ მკვლელობის
მცდელობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლო-
ბით.

არსებობს ისეთი შემთხვევები, რომლებიც განსხვავდება *aberra-
tio ictus*-ის ნორმალური შემთხვევისაგან იმით, რომ ადგილი აქვს
სხვადასხვა სახის შეცდომათა კომბინაციას, მაგრამ საბოლოო ჯამში
პირის მიერ დასახული მიზანი შეცდომით მაინც დგება.

მაგალითად, ნ., რომელსაც უნდოდა შური ეძია მეზობელზე, შეე-
იდა მის ეზოში. მან სიბნელეში ფანჯრის მიღმა მდგომი ადამიანის
ფიგურა დაინახა. ვინაიდან მეზობელი მარტო ცხოვრობდა, ეგონა,
რომ სახლში მარტო იქნებოდა. ნ.-მ ესროლა ადამიანის სილუეტს,
მისი წარმოდგენით მეზობელს, რომელიც სინამდვილეში მისი მე-
გობარი ქალი აღმოჩნდა, მოკვლის განზრახვით, რომელსაც შემთხ-
ვევით აცდა ტყვია და მოხვდა მეზობელს, რომელიც შემთხვევით ამ
დროს გამოვიდა სამზარეულოდან. ამის შედეგად მეზობელი ადგ-
ილზევე გარდაიცვალა.

ამ კაზუსში, ერთი მხრივ, გვაქვს შეცდომა პიროვნებაში, რადგან
პირს სიბნელეში მეზობელი მის მეგობარ ქალში შეეშალა, ხოლო,
მეორე მხრივ, მიზნის აცდენასთან გვაქვს საქმე, რადგან ტყვია აცდა
იმას, ვიზედაც დამიზნებული იყო იგი. პრობლემა წარმოიშობა იმის
გამო, რომ თავდაპირველ მიზანს – მეზობლის მოკვლას პირმა შემთხ-
ვევით მაინც მიაღწია. სწორედ ამ მომენტის გამო, თითქოს შეიძლება
ჩაითვალოს, რომ პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ე.წ. თანაბარღირე-
ბულების თეორიით და ეს შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს,
როგორც დამთავრებული განზრახი მკვლელობა. (ასეთ პოზიციას
აეითარებს, მაგალითად, *I. Puppe*, GA 1981, 8), რაც არ იქნებოდა სწორი.
პირის დასჯა უნდა მოხდეს ე.წ. კონკრეტიზაციის თეორიით, როგორც
ნორმალური *aberratio ictus*-ის შემთხვევებში, მაშასადამე, როგორც
დამთავრებული განზრახი მკვლელობის მცდელობა სიცოცხლის

გაუფრთხილებლობით მოსპობასთან კომბინაციაში. ამ პოზიციას, რომელსაც არ შეიძლება არ დაეთანხმო, ჰყავს არაერთი მხარდამჭერი (იხ., მაგალითად, *J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, AT, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 502; J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, გვ. 91-92; B. Heinrich, Strafrecht – AT II, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 121*).

ანალოგიურ მაგალითში, ა.-ს შეუქვეყნეს ბ.-ს მოკვლა, რისთვისაც გადაუხადეს გარკვეული საფასური. ა.-მ დაინახა მანქანიდან გადმოსული და ერთად მდგომი ბ. და ც. მას ც. ეგონა ბ., ესროლა ც.-ს, მაგრამ სრულიად შემთხვევით ტყვია მოახვედრა ბ.-ს, რომელიც ამის შედეგად გარდაიცვალა. ამ შემთხვევაშიც გვექნება ც.-ს მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა ანგარებით, ხოლო ბ.-ს მიმართ – სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მისი მოკვლა ჰქონდა დავალებული და მიაღწია კიდევ სასურველ შედეგს, რისთვისაც თანხაც გადაუხადეს.

ზოგჯერ ძნელია იმის დადგენა, ესა თუ ის ქმედება წარმოადგენს შეცდომას პიროვნებაში თუ *aberratio ictus*-ის შემთხვევას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირის დასჯადობისათვის. მაგალითად, ა.-მ მაცოცხარში ჩადგა მოწამლული წვენი, რათა დაეღია და მომკვლარიყო დირექტორი. წვენი დაღია დამლაგებელმა ქალმა, რომელიც მოიწამლა და მოკვდა.

სხვა მაგალითში, პაპიძემ და ნიორაძემ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შურისძიების გრძნობით, მოკვლის განზრახვით პოლიციის უფროსს, მის მიერ შესრულებული კანონიერი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით განაწყენებულებმა, სასმელში ჩაუსხეს საწამლაი. ამასთან, მათ არ იცოდნენ ერთმანეთის განზრახვის შესახებ. თითოეულს ეგონა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება საესებით საკმარისი იყო დანაშაულებრივი შედეგის გამოსაწვევად, მაგრამ ცდებოდნენ, თუმცა ერთობლიობაში მათ მიერ ცალ-ცალკე ჩაყრილი საწამლაი საკმარისი აღმოჩნდა სასიკვდილო შედეგის დასადგომად, რომელიც შემთხვევით დაღია პოლიციის უფროსის მდივანმა და მოკვდა.

სახეზე გვაქვს ე.წ. კუმულაციური მიზეზობრიობა შეცდომის პრობლემასთან ერთობლიობაში. თუ აღნიშნულ შემთხვევას ჩავთვლით შეცდომად პიროვნებაში (ანალოგიურ შემთხვევაში ასეთი პოზიცია აქვთ *გიუნტერ იაკობსს*: იხ. *G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 303-304; ქრისტიან ქიულს*: იხ. *K. Kühl, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 394-395*), მაშინ ორივე პირი დაისჯება მდივნის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. საწინააღმდეგო პოზიციის დროს, თუ მას ჩავთვლით *aberratio ictus*-ის შემთხვევად (ანალოგიურ შემთხვევაში ასეთი პოზიციაა განვითარებული *ჰანს-ჰაინრიხ იეშეკისა და თომას ვაიგენდის* წიგნში (იხ. *H.-H. Jescheck/T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 313-314*), ასევე *ბერნდ ჰაინრიხთან* (იხ. *B. Heinrich, Strafrecht - AT II, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 121-122*), მაშინ გვექნება პოლიციის უფროსის გან-

ზრას მკვლევლობის მცდელობა, ხოლო მდივნის გაუფრთხილებელი სასიკვდილო შედეგის ვერცერთი პირისათვის ობიექტურად შერაცხვა ვერ მოხდება, ვინაიდან იგი გამოწვეულია კუმულაციური მიზეზობრიობის შედეგად, რომელიც, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, შედეგის ობიექტურ შერაცხვას გამორიცხავს.

შემდეგი მაგალითი: ექიმმა კონკრეტული პაციენტისათვის სიცოცხლის მოსპობის განზრახვით მისცა თავის ასისტენტს შპრიცი საწამლავით. შეცდომით ასისტენტმა ნემსი გაუკეთა სხვა პაციენტს, რომელიც ამის შედეგად გარდაიცვალა. როგორ უნდა გადაწყდეს ექიმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

Aberratio ictus-ის მიხედვით, ექიმი დაიხჯებოდა ერთი პაციენტის განზრახ მკვლევლობის მცდელობისა და მეორის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის. სწორი იქნება დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა პიროვნებაში შეცდომის წესებით, რომლის თანახმად, ექიმი იქნება განზრახი მკვლევლობის შუაღობითი ამსრულებელი.

ლიტერატურაში (იხ. *B. Heinrich, Strafrecht - AT II*, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 121-122) მოყვანილია ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც მიიწვევს, როგორც *aberratio ictus*-ის შემთხვევა: ა.-მ გადაწვიტა ბ.-ს მოკვლა. მან ამ მიზნით ავტომანქანის ქვეშ, რომელიც ბ.-ს სახლის წინ იდგა, დაამონტაჟა ავტობომბი. მას შეეშალა ავტომანქანა, რის გამოც იმავე საღამოს აფეთქების შედეგად რ.-ს სიკვდილი დადგა.

ვერ დავეთანხმები *ჰაინრიხის* პოზიციას, თითქოს ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდეს მიზნის აცდენას *aberratio ictus*-ის სახით. ამ შემთხვევაში, უფრო დასაბუთებულია იმ ავტორთა პოზიცია (მაგალითად, *კლაუს როქხონი*), რომლებიც ასეთ შემთხვევას პიროვნებაში შეცდომად მიიხევენ (იხ. *C. Roxin, Strafrecht, AT I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 532).

5.4 ბაუფრთხილებლობა

5.4.1 ბაუფრთხილებლობის სახეები

გაუფრთხილებლობითი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთება სისხლის სამართლის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იგი სპეციალური კვლევის საგანი იყო ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც (იხ.: *В. Г. Макашвили*, Уголовная ответственность за неосторожность, 1957; *М. Г. Угрехелидзе*, Проблема неосторожной вины в уголовном праве, 1976).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, გაუფრთხილებლობა ორი სახისაა: თვითიმედოვნება (*luxuria*) და დაუდევრობა (*negligencia*).

(1) **თვითიმედოვნება** - ესაა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერებული დარღვევა. ეს აკრძალვა შეიძლება იყოს დაწერილი ან დაუწერიელი. იგი მოცემულია არა მხოლოდ პოზიტიური სამართლის ნორმებში, არამედ კულტურის ნორმებშიც. მაგალითად, აკრძალულია საცხოვრებელი ბინის ფანჯრიდან საყოფაცხოვრებო ნივთის გადაგდება, სამშენებლო ობიექტიდან სამშენებლო ნარჩენის გადაყრა და ა.შ., ვინაიდან ამან შეიძლება დაახიანოს გამგლეული.

თვითიმედოვნების დროს პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს (დარწმუნებულია), რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს. სწორედ ამიტომ ეწოდება თვითიმედოვნებას შეგნებული ანუ გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა.

მაგალითად: ა.-მ ფანჯრიდან გაფუჭებული უთო გადააგდო, რომელიც თავზე დაეცა ბ.-ს და მოკლა. ა.-მ დაარღვია წინდახედულობის ნორმა. ამასთან, იგი მოქმედებდა არა განზრახვით, არამედ თვითიმედოვნებით. ამ დროს პირმა იცის, რომ სჩადის დასაძრახ ქმედებას, რომელიც აკრძალულია წინდახედულობის ნორმით და თავისი მოქმედებით ეწინააღმდეგება სოციალური თანაცხოვრების კულტურის ნორმებს. ამასთან, თვითიმედოვნების დროს პირმა იცის, რომ მიუხედავად ქმედების გასაკიცხაობისა ზოგადად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა აბსოლუტურად გამორიცხებულია, მაგრამ პირის დარწმუნებულობა იმის შესახებ, რომ შედეგი არ დადგება, არის უსაფუძვლო. იმ შემთხვევაში კი, როცა პირი უშეგებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას, გვექნება არა თვითიმედოვნება, არამედ არაპირდაპირი განზრახვა. ამ უკანასკნელი შემთხვევის დროს პირი უშეგებს, რომ შედეგი ან დადგება ან არა.

(2) **დაუღმვრობა** - იგი სხვანაირად შეიძლება იწოდოს როგორც გაუცნობიერებელი, ანუ შეუგნებელი გაუფრთხილებლობა.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიზისი სწორედ დაუღმვრობას უკავშირდება. დაუღმვრობის დროს არ არსებობს ფსიქიკური კავშირი მოქმედებასა და დაძვარ შედეგს შორის. ამის გამო, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიით შეიცვალა, რომლის მიხედვითაც, ბრალი არის გასაკიცხაობა. დაუღმვრობის დროს პირის ბრალი შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ გაიცხვის მომენტი და არა ფსიქიკური კავშირით, ვინაიდან დაუღმვრობის დროს პირს გაცნობიერებული არა აქვს, რომ სჩადის წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას, არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას, ობიექტური გარემოებებიდან და თავისი პერსონალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეეძლო და ევალებოდა კიდევ. დაუღმვრობის შემთხვევაში სახეზე არ არის არც ინტელექტუალური და არც ვოლუნტატიური ელემენტი.

მაგალითები:

ა-მ სამსახურში, სამუშაო ოთახში, ანთო სანთელი, შემდეგ დაავიწყდა, გავიდა ოთახიდან, დარჩა ანთებული სანთელი და წავიდა შინ, რის შედეგადაც გაჩნდა ხანძარი. სახეზეა დაუდევრობა. პირი სხადის ობიექტურად დასაძრახ და ინდივიდუალურად გასაკიცხ ქმედებას, ვინაიდან იგი თავისი უყურადღებობით არ ითვალისწინებს ხანძრის გაჩენის შესაძლებლობას, მაგრამ შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა.

ა-მ ოთახში ანთო სანთელი და დატოვა ანთებული, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ დამლაგებელი ჩააქრობდა. სინამდვილეში დამლაგებელი არ მოვიდა. გაჩნდა ხანძარი. ესაა თვითიმედოვნება, ე.ი. პირმა დაარღვია წინდახედულობის ნორმის მოთხოვნა. მისი ვარაუდი იმის შესახებ, რომ სხვა ჩააქრობდა მის მიერ ანთებულ სანთელს, იყო უსაფუძვლო.

დედამ ბინაში მარტო დატოვა მძინარე ბავშვი და წავიდა მშობლებთან. იგი ფიქრობდა, რომ სანამ ბავშვი გაიღვიძებდა, მამა დაბრუნდებოდა სამსახურიდან. სინამდვილეში, მამა იმ ხალამოს საერთოდ არ დაბრუნდა სახლში. ბავშვს გაეღვიძა და ტირილისაგან დაიხრჩო. დედის მხრიდან სახეზეა თვითიმედოვნება სასიკვდილო შედეგისადმი. თუ დედა უშვებს იმას, რომ მამა შეიძლება დროულად არ დაბრუნდეს სამსახურიდან და უბედური შემთხვევა შეიძლება მოხდეს, ამ შემთხვევაში დედის მხრიდან სასიკვდილო შედეგისადმი სახეზე გვექნება არაპირდაპირი განზრახვა.

ამრიგად, თუ ა-მ ოთახში ანთო სანთელი და დატოვა, ამასთან, თუ ითვალისწინებდა ხანძრით ქონების განადგურების გარდაუვალობას, არის პირდაპირი განზრახვა. იმავე მაგალითში, თუ პირს სურს ხანძრის გაჩენა, მაგრამ არ არის შედეგის დადგომის გარდაუვალობაში დარწმუნებული, ასევე პირდაპირი განზრახვაა; თუ პირს არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას, არის არაპირდაპირი განზრახვა; თუ პირი უსაფუძვლოდ იმედოვნებს შედეგის თავიდან აცილებას, გვექნება თვითიმედოვნება. იმავე მაგალითში, როცა პირი არ ითვალისწინებს შედეგის დადგომას, თუმცა მას შეუძლია და ევალება ამის გათვალისწინება, არის დაუდევრობა.

საუურადღებოა სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის დებულება: გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული კერძო ნაწილის მუხლში.

თუ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის დასჯადობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ასეთი ქმედება არ შეიძლება დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, მაგრამ, პირიქით, თუ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა სისხლის სამართლის წესით დასჯადია, ხოლო იგივე ქმედების განზრახ ჩადენის დასჯადობას სისხლის

სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს, ეს იქნება საკანონმდებლო ტექნიკის ხარვეზი, რადგან განზრახი ქმედების ბრალის ხარისხი უფრო მაღალია იმავე შინაარსის გაუფრთხილებლობითი ქმედების ბრალის ხარისხზე.

სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებაზე და არაფერს ამბობს გაუფრთხილებლობით დამდგარ შედეგზე. მიუხედავად ამისა, კანონმდებელმა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში თანამდევით შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულების შემადგენლობებში თავდაპირველად ყველგან მიუთითა შედეგის გაუფრთხილებლობაზე (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია), თუმცა მე-11 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გაუფრთხილებლობით შედეგზე მითითება არ იყო აუცილებელი, რადგან თავისთავად იგულისხმებოდა. მაგალითად, სსკ-ის 119-ე მუხლში მითითებული იყო, რომ ქმედების შემადგენლობას გვაძლევს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ასევე კერძო ნაწილის ბევრი სხვა ნორმა მიუთითებდა შედეგის გაუფრთხილებლობით გამოწვევაზე (მაგალითისათვის იხ. გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, თავი 36-ე, მუხ. 287-306-ე). ამან ბევრი გაუგებრობა გამოიწვია სისხლის სამართლის კანონის გამოყენების თვალსაზრისით, რის გამოც კანონმდებელმა 2000 წლის 30 ივნისის ცვლილება შეიტანა კოდექსის ყველა იმ მუხლში, რომელშიც მოცემული იყო თანამდევით შედეგით კვალიფიცირებული განზრახი ქმედების შემადგენლობა. კერძოდ, კოდექსის 119-ე მუხლიდან (შემდგომი ცვლილებით კოდექსიდან ამოღებულ იქნა ეს მუხლი და იმავე ქმედებებისათვის, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, დასჯადობა დაწესებულ იქნა სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლებით), 130-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და ა.შ. ამოიღო სიტყვა „გაუფრთხილებლობა“. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილში მოცემული კანონმდებლის სუბიექტური ნება მდგომარეობს იმაში, რომ დასჯადია განზრახი ქმედებით შედეგის მინიმუმ გაუფრთხილებლობით გამოწვევა, რაც თავისთავად გულისხმობს განზრახი შედეგის იმავე ნორმის ფარგლებში დასჯადობასაც, თუ კანონმდებელს განზრახი დანაშაულისათვის სხვა სპეციალური ნორმა არა აქვს შექმნილი.

საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით, დასჯადია როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით ჩადენილი გაუფრთხილებლობა. ამასთან, გაუფრთხილებლობითი უმოქმედობა შეიძლება გამოიხატოს როგორც თვითიმედოვნებაში, ასევე დაუღვერობაში. მაგალითად, დედა ფიქრობს, რომ ბავშვს ძინავს და ყურადღებას არ აქცევს მას, სინამდვილეში კი, მას გაეღვიძა, გავიდა აივანზე და გადავარდა მერვე სართულიდან (თვითიმედოვნება). ტყეში შესულ დედას დაავიწყდა ტბის სანაპიროზე დატოვებული ბავშვი, რომელიც წყალში ჩავარდა და დაიხრჩო (დაუღვერობა).

არ არსებობს, შესაბამისად, არ არის დასჯადი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის არც მომზადება და არც მცდელობა, ასევე არ არსებობს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დასჯადი თანამონაწილეობა, რადგან თანამონაწილეობის სამივე ფორმა (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) მოითხოვს ამსრულებლის მიერ განზრახ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (განზრახ უმართლობას), ისევე როგორც არ არის შესაძლებელი განზრახ დანაშაულში გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა. ყველა დასახელებული შემთხვევა მოითხოვს განზრახვის არსებობას.

მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ პირი თავისი წამქეზებლური გაუფრთხილებლობითი მოქმედებით ჩაადენინებს ამსრულებელს განზრახ მკვლელობას, იგი, თავის მხრივ, არ დაისჯება, როგორც ამ დანაშაულის წამქეზებელი, არამედ, როგორც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის დამოუკიდებელი ამსრულებელი. მაშასადამე, ფაქტობრივად გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა სისხლის სამართალში იურიდიულად წარმოადგენს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ამსრულებლობას, რადგან ამ დროს იმ პირის მიერ, რომელმაც გაუფრთხილებლობით სხვას ჩაადენინა დანაშაული, ადგილი აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების ჩადენას, რამაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია.

გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ორი ან მეტი პირის მიერ წინდახედულობის ნორმის ერთობლივად დარღვევა არ წარმოადგენს გაუფრთხილებლობით თანამსრულებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ამან მიზეზობრივად ერთობლივად გამოიწვია შედეგი, რადგან ისინი არ მოქმედებდნენ ქმედების ჩადენის ერთიანი გადაწყვეტილებით. (ასეთ თვალსაზრისს ავითარებს და, შესაბამისად, მხოლოდ განზრახი დანაშაულის თანამსრულებლობას აღიარებს, მაგალითად: *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 676; J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, AT, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 549, 691; B. Heinrich, Strafrecht-AT II, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 67*). ასევე, *ოთარ გამყრელიძეს* გაუფრთხილებლობითი თანამსრულებლობის კონსტრუქცია სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია: „თანამსრულებლობა თავისი ბუნებით განზრახი მოქმედებაა. ამიტომ თანამსრულებლობის სუბიექტური მხარე მხოლოდ განზრახვის ფარგლებში უნდა ვიკვლიოთ” (*ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალაობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, 1974, გვ. 142*).

საპირისპირო პოზიციის მიხედვით, თანამონაწილეობისაგან განსხვავებით, თანამსრულებლობა შეიძლება გამოიხატოს გაუფრთხილებლობის ფორმითაც, როცა ორი ან მეტი ამსრულებელი ერთობლივად არღვევს წინდახედულობის ნორმას. სსკ-ის 22-ე მუხლი არ მიუთითებს თანამსრულებლობის მხოლოდ განზრახ ჩადენის შესაძლებლობაზე, მაშინ, როდესაც თანამონაწილეობის საკანონმდებლო დეფინიციის მიუთითებელია ამის შესახებ (სსკ-ის 23-ე მუხლი).

სისხლის სამართალში აღიარებულია გაუფრთხილებლობით დანაშაულის ე.წ. პარალელური ამსრულებლობა (Nebentäterschaft), ამასთან, განსხვავებით თანაამსრულებლობით ჩადენილი დანაშაულისაგან, მათ შეეკრაცხებათ მხოლოდ საკუთარი ქმედება. მაგალითად, მონადირემ, რომელსაც მოეხვენა, რომ მას კარავში დათვი დაესხა თავს, გაადვიდა მეორე მონადირე, რომელმაც თოფი აიღო და ისროლა მისი წარმოდგენით დათვის მიმართულებით, რომელიც სინამდვილეში ადამიანი აღმოჩნდა და მოკლა იგი.

მონადირე, რომელმაც ისროლა, შეიძლება დაისაჯოს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის. ასევე იმავე დანაშაულისათვის შეიძლება დაისაჯოს მეორე მონადირეც, რომელმაც გაადვიდა იგი, მიუხედავად იმისა, რომ მას უშუალოდ გასროლა მსხვერპლის მისამართით არ განუხორციელებია. ეს პოზიცია შეიძლება იმით დასაბუთდეს, რომ მანაც ჩაიდინა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, რომელიც მიუხეობრივ კავშირშია ქმედების შემადგენლობის შესაბამის დამდგარ შედეგთან.

არსებობს გაუფრთხილებლობითი ალტერნატიული ამსრულებლობა და გაუფრთხილებლობითი კუმულაციური ამსრულებლობა.

მაგალითად, ორი პირი მოქმედებდა წინდახედულობის ნორმის დარღვევით და სროლაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ამ დროს მათი გასროლილი მხოლოდ ერთი ტყვია მოხვდა მსხვერპლს გაუფრთხილებლობით, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია, მაგრამ ვერ დადგინდა, თუ რომელი მათგანის ნასროლი იყო სასიკვდილო ტყვია. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს *in dubio pro reo*-ს პრინციპი და ყველა ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ, რის გამოც, ვერც ერთ მათგანს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა დამდგარი სასიკვდილო შედეგისათვის (იხ. *B. Heinrich, Strafrecht - Allgemeiner Teil II*, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 68).

ამ მაგალითის გამო გერმანულ და შვეიცარიულ სისხლის სამართალში გამოითქვა აზრი, რომ იგი ჩაითვალოს გაუფრთხილებლობით თანაამსრულებლობად, რათა ამით აღმოფხვრას დაუსჯელობის ხარვეზი. *ჰაინრიხი*ც ეთანხმება ამ პოზიციას (იხ. *B. Heinrich*, იქვე), რაც არ მიმანია დასაბუთებულად (ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ. *W. Mitsch, JuS 1994, 105*).

5.4.2 მოქმედებით ჩადენილი შედეგიანო გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სისტიმა

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემთხვევაშიც, ისევე, როგორც განზრახვის დროს, დანაშაულის სისტიმა სამსაფეხურიანია. ეს საფეხურებია: ქმედების შემადგენლობა; მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ამ სისტიმის შიგნით გაუფრთხილებლობის ცალკეული კომპონენტების განლაგება იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. გაბატონებული შეხედ-

ულების მიხედვით, არ არსებობს ქმედების შემადგენლობის დიფერენციაცია ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებად, არამედ ქმედების შემადგენლობის შიგნით არსებობს მხოლოდ ობიექტური გაუფრთხილებლობა, როგორც წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა. ბრალის ეტაპზე კი, დგინდება სუბიექტური გაუფრთხილებლობა, როგორც წინდახედულობის ნორმის დარღვევის თავიდან აცილების ინდივიდუალური შესაძლებლობა, როცა პირი, მიუხედავად თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა, წინდახედულობის ნორმის დაცვის ობიექტურ მოთხოვნებს არ ასრულებს.

მიმოხილვაში წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, არსებობს თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის განსხვავებული სქემები: თვითიმედოვნების დროს, ისევე როგორც ევენტუალური განზრახვისას, ქმედების შემადგენლობა იყოფა ორ ნაწილად: ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებად, რადგან პირის მიერ წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერება და მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და ასეთი შედეგის თავიდან აცილების უსაფუძვლოდ იმედოვნება არის შეგნებული მოქმედება, რომელიც ქმნის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შინაარსს.

მოქმედებით ჩაღენილი შედეგისანი გაუფრთხილებლობითი ღანაშაულის სქემა თვითიმედოვნების შემთხვევაში, რომელიც დაუდევრობის სქემისაგან იმით განსხვავდება, რომ გააჩნია ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, შეიძლება შემდგენაირად წარმოვადგინოთ:

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

(1) პირის მოქმედება, რაც გამოიხატა წინდახედულობის ნორმის დარღვევაში

(2) ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომა

(3) მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი (მიზეზობრიობის პირობათა თეორიის მიხედვით)

(4) ობიექტური გაუფრთხილებლობა

- შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა

- შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა

(5) შედეგის ობიექტური შერაცხვა

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა (თვითიმედოვნების დროს)

- სუბიექტური გაუფრთხილებლობა
(ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებების ცოდნა, რომლებიც მის ქმედებას ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევს, ამასთან, იმისი რწმენა, რომ ამ ქმედებით შედეგი არ დადგება)

II მართლწინააღმდეგობა

(როგორც განზრახი დანაშაულის დროს)

III ბრალი

1. ბრალუნარიანობა (შერაცხადლობა)
2. მართლწინააღმდეგობის შეგნება
3. ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა, რაც გამოიხატება წინდახედულობის ნორმის დარღვევის პერსონალურ აცილებადობაში
 - ა) წინდახედულობის ნორმის დაცვის სუბიექტური შესაძლებლობა
 - ბ) შედეგის დადგომის გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობა
4. ბრალის გამომრიცხველი სხვა საპატიებელი გარემოებების არარსებობა

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

მოქმედებით ჩადენილი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ქმედების შემადგენლობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პირის მოქმედებაში, რომელმაც გამოიწვია ქმედების შესაბამისი შედეგის დადგომა, მაგალითად, მსხვერპლის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება.

შემდეგ ეტაპზე დასადგენია, არის თუ არა ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება დამდგარ კონკრეტულ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში. გაუფრთხილებლობის დროს მიზეზობრივი კავშირის დადგენა არის განზრახი დანაშაულის დროს მიზეზობრიობის დადგენის იდენტური. კაზუსის ამოსხნის დროს უნდა დადგინდეს, იყო თუ არა ჩადენილი მოქმედება დამდგარი შედეგის *conditio sine qua non*, რაც აუცილებელი წინაპირობაა შედეგის ობიექტური შერაცხვის განსახორციელებლად.

წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა გაუფრთხილებლობისათვის დამახასიათებელი თვისებაა. ის გარემოება,

რთაც იგი განსხვავდება განზრახი დანაშაულისაგან, არის ის, რომ პირის მოქმედება უნდა წარმოადგენდეს ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგო მოქმედებას. ობიექტურად წინდახედულობის საწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც ისეთ დაწერილ ან დაუწერიელ ქცევის წესს არღვევს, რომლის შესრულების ვალდებულება მას კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე აქვს.

წინდახედულობის ვალდებულება ნიშნავს, რომ პირი მოვალეა, კონკრეტული ურთიერთობიდან წარმოშობილი საფრთხე, რომელიც ემუქრება სისხლის სამართლით დაცულ სიკეთეს, შეიცნოს და მასთან მიმართებაში სწორად იმოქმედოს. ის ვალდებულია, საკმარისი უსაფრთხოების ღონისძიებები გაატაროს ან სახიფათო მოქმედების შესრულებაზე უარი თქვას.

კონკრეტული წინდახედულობის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას სპეციალური სამართლებრივი დებულებებიდან, მაგალითად, მოძრაობის უსაფრთხოების წესებიდან, უბედური შემთხვევის აღკვეთის წესებიდან, სამშენებლო, საშიში ნივთიერებებისა და საშუალებების მოვლის, სამეწარმეო, პოლიციური წესებიდან და ა.შ. ასევე იგი შეიძლება მომდინარეობდეს სოციალური თანაცხოვრების წესებისა და ჩვეულებებისაგან, მაშასადამე, იმ ნორმებიდან, რომლებიც მოქმედებს ამ პირის სოციალური წრის წარმომადგენლებისათვის ან იგი იმ საქმიანობის ნაწილია, რომელსაც პირი ასრულებს. ასეთია, მაგალითად, სპორტული, ნადირობის, მკურნალობის და ა.შ. წესები.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე არ არის დასადგენი პირის ინდივიდუალური შესაძლებლობები. თუმცა, გასათვალისწინებელია პირის სპეციალური ცოდნა და განსაკუთრებული შესაძლებლობები, სამსახურებრივი მოვალეობები, მისი სოციალური სტატუსი და ა.შ., რომლებიც განსაზღვრავს წინდახედულობის ნორმის დაცვის ობიექტურ ვალდებულებას.

გაუფრთხილებლობის დროს შესაძლებელი უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირის განვითარებისა და შედეგის დადგომის ობიექტური გათვალისწინება.

ობიექტური შერაცხვის საკითხი, განზრახვისაგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობითი დანაშაულების დროს ხშირად ძალზე პრობლემურია, რის გამოც მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კახუსის ამოხსნისას.

მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ, ამ ეტაპზე დამატებით დგინდება ურთიერთკავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის. იგი გამოირიცხება მაშინ, თუ შედეგი წინდახედულობის ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების დროსაც დადგებოდა.

მოძღვრება ობიექტური შერაცხვის შესახებ მიმოხილვაში განხილულ იქნა განზრახ დანაშაულთან მიმართებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იქ განხილული ობიექტური შერაცხვის პრობლემა-

ტური შემთხვევები, რომლებიც გაუფრთხილებლობის შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქენს. მაგალითად, იქ განხილული ე.წ. რისკის ამაღლების თეორია გამოიყენება გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც დადგინდება მიზეზობრივი ურთიერთკავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის, შედეგის ობიექტური შერაცხვის საკითხის გადაწყვეტამდე ყურადღება უნდა მიექცეს ორ მომენტს. ესაა:

(ა) შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა და

(ბ) შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.

შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როცა, მართალია, წინდახედულობის ნორმის დამრღვევმა ვერ გაითვალისწინა, რომ შედეგი დადგებოდა, მაგრამ იგივე სიტუაციაში სხვა ადამიანები მისი სოციალური წრიდან, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, შედეგის დადგომის შესაძლებლობას გაითვალისწინებდნენ.

შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა გულისხმობს, რომ თუ დადგინდება კონკრეტულ სიტუაციაში ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შეუძლებლობა, გამოირიცხება ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობა.

ბრალის ეტაპზე კი, დგინდება ამ ორი მომენტის პერსონალური აცილებადობა (ე.წ. ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა).

2. ქმედების სუბიექტური შემაღვენლობა

ძალზე მცირეა იმ ავტორთა რიცხვი, რომლებიც ქმედების სუბიექტური შემაღვენლობის არსებობას აღიარებენ გაუფრთხილებელი დანაშაულის ორივე შემთხვევისათვის, როგორც თვითიმედოვნების, ასევე დაუდევრობის დროს. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საერთოდ არ არსებობს გაუფრთხილებელი დანაშაულის ქმედების სუბიექტური შემაღვენლობა. ისინი თვლიან, რომ გაუფრთხილებლობის დიფერენციაციას თვითიმედოვნებად და დაუდევრობად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის სისტემის აგებისათვის, არამედ მხოლოდ სასჯელის დანიშნვის დროს აქცევენ ყურადღებას. უფრო დასაბუთებულად მიმაჩნია იმ ავტორთა პოზიცია (მაგალითად, *კლაუს როქსინი*), რომლებიც აღიარებენ ქმედების სუბიექტური შემაღვენლობის არსებობას თვითიმედოვნების დროს და ასეთის არსებობას უარყოფენ დაუდევრობის შემთხვევაში (შეად. *C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1089-1091).

თვითიმედოვნების დროს ქმედების სუბიექტური შემაღვენლობის შინაარსს განსაზღვრავს პირის მიერ ქმედების ობიექტური შე-

მადგენლობის გარემოებების ცოდნა, რომლებიც მის ქმედებას ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევენ.

II მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის პრობლემა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს წარმოადგენს დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის მეორე - მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დასადგენ საკითხს.

III ბრალი

ინდივიდუალური ბრალის დახასიათება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს ეკუთვნის დანაშაულის სისტემის მესამე - ბრალის ეტაპს.

5.5 თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული ბანზრახი დანაშაული

სსკ-ის მე-11 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზოგად წესს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის. ასეთ შემადგენლობებში შედეგის მიმართ პირს უნდა ჰქონდეს გაუფრთხილებლობა მაინც. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქ იგულისხმება შედეგის გაუფრთხილებლობით გამოწვევა, ვინაიდან თუ შედეგის მიმართ პირს განზრახვა აქვს, მაშინ გვექნება განზრახი მკვლელობა. სხვა მდგომარეობაა სსკ-ის 303-ე მუხლის პირველ ნაწილში - ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ამ ნორმაში იგულისხმება როგორც გაუფრთხილებლობითი, ასევე განზრახი შედეგი.

მთლიანობაში ასეთი დანაშაულები ითვლება განზრახ დანაშაულად, რასაც მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კატეგორიებისადმი მიკუთვნების, დანაშაულის რეციდივისათვის და სხვა შემთხვევებში.

თუ განზრახ ქმედებას შედეგი მოჰყვა არატიპურად, შემთხვევით მომხდარ გარემოებათა გამო, იმ ვითარებაში, როცა პირი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მას არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს ასეთი შედეგი.

მაგალითები:

ა-მ ც-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (დაჭრა არა მოკვლის, არამედ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიზნით). ც-მანქანით მიჰყავთ საავადმყოფოში. გზაზე მოხდა ავარია და ც-მ ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა. ამ შემთხვევაში ა. პასუხს აგებს მხოლოდ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, ვინაიდან შედეგი ატიპურად დადგა (ე.წ. რეგრესის აკრძალვა).

ა.-მ ც.-ს მიაყენა განზრახ დაზიანება - დაჭრა მოკვლის მიზნით. ც. მანქანით მიჰყავთ საავადმყოფოში. გზაზე მოხდა ავარია და ც. გარდაიცვალა. ჭრილობა აუცილებლად სასიკვდილო იყო, მაგრამ სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო ავარია. ა. დასჯება განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის (ე.წ. რეგრესის აკრძალვა), თუმცა ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება ამ ქმედების დამთავრებულ დანაშაულად დაკვალიფიცირების თაობაზე.

ა.-მ ც.-ს მიაყენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება. ა.-მ იგი დაჭრა არა მოკვლის განზრახვით, ამასთან დაზიანება არ იყო სასიკვდილო. საავადმყოფოში მიყვანილი ც. არასწორი მკურნალობის შედეგად გარდაიცვალა. ა. პასუხს აგებს მხოლოდ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თუ ეკოლოგიურ დანაშაულთა (სსკ-ის მუხ. 287-ე-306-ე) და კოდექსის სხვა თავებში ქმედების ამა თუ იმ კონკრეტულ შემადგენლობაში მითითებულია განზრახი ქმედებით გამოწვეულ შედეგზე, შედეგის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში აუცილებელია იმის დადგენა, კოდექსში მოცემული სხვა შემადგენლობა ხომ არ ითვალისწინებს განზრახი შედეგის დასჯადობას და თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ ამ შედეგით დამძიმებული შემადგენლობით უნდა მოხდეს განზრახი შედეგის შემთხვევის კვალიფიკაციაც (*Argumentum a fortiori*, შესაბამისად, *argumentum a maiore ad minus*).

ე.წ. განზრახი დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობაში დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, როცა ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა. მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლში მოცემული ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშნები, როგორცაა ქალის ორსულობა, განსაკუთრებული სისასტიკე და ა.შ. უნდა იყოს სუბიექტის წარმოდგენაში.

5.6 უმოქმედობის დასჯადობა და მისი წინაპირობები

5.6.1 უმოქმედობის დასჯადობის თავისებურება

უმოქმედობის დასჯადობის სამართლებრივი რეგლამენტაცია მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში. ასეთი დასჯადობის საფუძვლები რადიკალურად განსხვავდება მოქმედების დასჯადობის საფუძვლებისაგან.

უმოქმედობის მიზეზობრიობა სისხლის სამართლის სპეციალური ინსტიტუტია და წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ე.წ. წმინდა უმოქმედობის შემადგენლობები, როგორცაა: განსაცდელში მიტოვება (მუხ. 128-ე), დაუხმარებლობა (მუხ. 129-ე), ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (მუხ. 130-ე), დანაშაულის შეუტყობინებლობა (მუხ. 376-ე) და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი შექმნილი არის არა ამ ე.წ. „წმინდა უმოქმედობის“, არამედ ე.წ. „შერეული უმოქმედობის“ შემადგენლობებისათვის. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების და სხვა შემადგენლობები (სსკ-ის 108-ე, 109-ე, 117-ე და სხვ. მუხლები) შექმნილია მოქმედებით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებისათვის, მაგრამ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულ პირობათა არსებობისას, ამ მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს უმოქმედობით ჩადენილი ქმედებებიც.

შერეული უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც თანაამსრულებლობით, ასევე თანამონაწილეობით.

უმოქმედობით ჩადენილი თანაამსრულებლობის მაგალითია, როცა მამა და დედა განზრახ არ ასრულებენ სამართლებრივი გარანტის ფუნქციას, რასაც მოჰყვება შვილის სიკვდილი. ისინი დაისჯებიან უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის (თანაამსრულებლობა უმოქმედობით).

სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით, უმოქმედობა მხოლოდ მაშინაა მიზეზობრივ კავშირში მართლსაწინააღმდეგო შედეგთან ან კონკრეტული საფრთხის შექმნასთან, როცა სახეზეა უმოქმედობის დასჯადობის შემდეგი საში პირობა:

1. როცა პირს ჰქონდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ე.წ. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია;
2. როცა პირს ჰქონდა მოქმედების შესაძლებლობა;
3. როცა სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი (რეალობასთან ახლოს მდგომი აღბათობის მაღალი ხარისხით) თავიდან იქნებოდა აცილებული.

პირის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ე.წ. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან, ახლო ნათესაური ურთიერთობიდან, ასევე პოლიციელის, მეხანძრის, ექიმისა და სხვა სპეციალობის ადამიანთა პროფესიული მოვალეობიდან, დახმარება აღმოუჩინოს განსაცდელში მყოფ პიროვნებას, ან ხელშეკრულებიდან (პირმა ხელშეკრულებით აიღო ვალდებულება, მოუაროს ინვალიდს, მოხუცს, ავადმყოფს, ბავშვს და ა.შ.), ან წინარე მოქმედებიდან (პირმა წყალში შეიყვანა მეორე პირი ცურვის სასწავლებლად და მიატოვა, ავტოავარიის შედეგად მძღოლმა განსაცდელში მიატოვა დაზარალებული და ა.შ.).

მაგალითი: ა. მანქანით დაეჯახა ლ.-ს. იგი გადმოვიდა მანქანიდან და ნახა, რომ დაზარალებულის მიმართ მას პირადი ინტერესი ჰქონდა. იცოდა რა, რომ თავისი მოქმედებით მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, შეგნებულად დატოვა იგი სიცოცხლისათვის სახიფ-

ათო მდგომარეობაში და წავიდა. ლ. დროული დახმარების აღმოუჩენლობის გამო დაიღუპა.

ა.-ს რომ ლ. არ მიეტოვებინა და დახმარება აღმოეჩინა, ლ. გადარჩებოდა. ამ შემთხვევაში გვექნება არა განსაცდელში მიტოვება (სს.კ-ის 128-ე მუხლი), არამედ უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობა უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ (სს.კ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), ვინაიდან სახეზეა უმოქმედობის დასჯადობის სამივე პირობა: მოქმედების სპეციალური მოვალეობა (ანუ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია); მოქმედების შესაძლებლობა და ამ მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა (აცილებადობა).

მოყვანილ მაგალითში თუ დადგინდა, რომ მიუხედავად სამართლებრივი გარანტიის (მძღოლის) მონღოებისა, ლ. მაინც დაიღუპებოდა, გვექნება უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის მცდელობა, ვინაიდან უმოქმედობა (დახმარების აღმოუჩენლობა) არ იყო მართლსაწინააღმდეგო შედეგის აუცილებელი პირობა, რადგან სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან მაინც ვერ იქნებოდა აცილებული. აღნიშნულ შემთხვევაში არა გვაქვს მიზეზობრივი კავშირი, კერძოდ, უმოქმედობის დასჯადობის მესამე პირობა. მიზეზობრიობის დადგენა კი, დამთავრებული დანაშაულისათვის აუცილებელია, მაშინ, როდესაც მცდელობის დროს მიზეზობრივ კავშირს არ ვაღგენთ.

იმავე მაგალითში, თუ ვერ დადგინდა ლ.-ს დაღუპვის გარდაუვალობა (სამედციინო დასკვნის მიხედვით, იგი ან დაიღუპებოდა, ან არა), ე.ი. როცა სავარაუდოა და უმოქმედობის მიზეზობრივი კავშირი უტყუარად ვერ დგინდება, პირი აქაც პასუხს აგებს განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის. მოქმედობის მცდელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია განზრახვის არსებობა, მაგრამ ვინაიდან შედეგთან პირის მიზეზობრიობა ვერ დგინდება, მან არ შეიძლება პასუხი აგოს დამდგარი შედეგისათვის.

მეორე მაგალითი: იმავე ვითარებაში ა.-მ ლ. მიატოვა განსაცდელში მისი სიკვდილის განზრახვით, მაგრამ სიკვდილი არ დადგა შემთხვევით გარემოებათა გამო. ა.-საგან მოულოდნელად, დაზარალებულს დახმარება აღმოუჩინა შემთხვევით გამვლულმა მგზავრმა. ამ შემთხვევაში გვექნება უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა.

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ. წარმოეშობა თუ არა პირს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, ანუ მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა აუცილებელი მოგერიების შედეგად?

მაგალითად, ა.-მ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიების დროს, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებში ბ.-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. როცა თავდასხმის რეალურმა საფრთხემ გაიარა, ა.-მ ბ.-ს არ აღმოუჩინა გადაუდებელი

და შესაძლებელი დახმარება, რის შედეგადაც, ბ. დაიღუპა. დაისჯება თუ არა ა. უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის, ანუ ა.-ს თავისი წინარე მოქმედებით გაუჩნდა თუ არა ბ.-ს მიმართ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, ე.ი. მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა?

გაბატონებული შეხედულებით - არა, რის გამოც, ა.-მ პასუხი შეიძლება აგოს მხოლოდ დაუხმარებლობისათვის (სსკ-ის მუხ. 129-ე).

როგორც აღვნიშნე, მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, ხელშეკრულებიდან, წინარე მოქმედებიდან ან ახლო სოციალური ცხოვრებისეული ურთიერთობებიდან.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა ე.წ. ფუნქციონალური მოძღვრება, რომელიც „სამართლებრივი გარანტიის“ ფუნქციას ორ დიდ ჯგუფად ყოფს. ამის მიხედვით არსებობს:

ა) განსაცდელში მყოფი პირის დაცვის მოვალეობა იმ პირის მხრიდან, ვისაც აქვს ასეთი დაცვის მოვალეობა;

ბ) საფრთხის წყაროს მხრიდან მომდინარე საფრთხის აღკვეთის მოვალეობა იმ პირის მხრიდან, ვისაც ევალება ამ საფრთხის თავიდან აცილება.

მაგალითად, მამა არის გარანტი თავის 10 წლის ბიჭის მიმართ. ერთი მხრივ, მას აკისრია მოვალეობა, დაიცვას თავისი შვილი განსაცდელისაგან. ამასთან, მას აქვს მოვალეობა, თავისი შვილისაგან დაიცვას სხვები, როცა ხელავს, რომ იგი სხვებს უქმნის საფრთხეს, ე.ი. წარმოადგენს საფრთხის წყაროს. მაგალითად, თუ იგი მეზობელს ფანჯრებს უმტვრევს ან მოხუცს აყენებს სხეულის დაზიანებას.

ამრიგად, მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა გულისხმობს არა მხოლოდ განსაცდელში მყოფის მიმართ სამართლებრივი გარანტიის მოვალეობის წარმოშობას, არამედ აგრეთვე საფრთხის წყაროს მიმართ ასეთი მოვალეობის არსებობას.

მაგალითად, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ზედამხედველი ვალდებულია, დაიცვას არა მარტო ფსიქიკურად ავადმყოფი, არამედ აგრეთვე ფსიქიკური ავადმყოფისაგან სხვა პირები და სისხლის სამართლით დაცული სხვა სამართლებრივი სიკეთეები.

ოჯახურ ურთიერთობებში გარანტიის ფუნქცია შეიძლება გამომდინარეობდეს სამოქალაქო კოდექსიდან, აგრეთვე ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობებიდან, როგორცაა ურთიერთობა ახლო ნათესავენს შორის.

მაგალითად, როცა მამა და შვილი მდინარეში ერთად ბანაობენ, მათ აქვთ ურთიერთდახმარების მოვალეობა. ამგვარი მოვალეობის არსებობა საკამათოა მაშინ, როცა ახლო ნათესავენს შორის აშკარად გამოკვეთილად არ არის კეთილგანწყობილი ურთიერთობა, რის საილუსტრაციოდაც გამოდგება ასეთი მაგალითი:

მამა და შვილი არიან სერიოზულად წახსუბებული და ერთად არ ცხოვრობენ უკვე ათი წელია. შვილი ხედავს, რომ მამა ზღვაში იხრჩობა და არ უწევს დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია განსაცდელში მყოფის გადარჩენა.

სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულებით, ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია.

თუ მეუღლეებს ოჯახურ ურთიერთობაში ცუდი დამოკიდებულება აქვთ, ეს არ უხსნის მათ სამართლებრივი გარანტის ფუნქციას. იმ შემთხვევაში კი, როცა ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ, აქვთ თუ არა მათ ურთიერთის მიმართ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, საკამათოა. სისხლის სამართლის თეორიაში ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები.

არსებობს ადამიანთა გარკვეული სოციალური ჯგუფები, რომელთაც განსაცდელის დროს უნდებათ ურთიერთდახმარების ვალდებულება, მაგალითად, მთამსვლელები.

ერთად ცხოვრება საერთო საცხოვრებელში ან საბინაო კოოპერატივში არ წარმოშობს სამართლებრივი გარანტის ფუნქციას განსაცდელში ყოფნის დროს.

გარანტის ფუნქცია შეიძლება პირმა შეიძინოს ხელშეკრულებიდან ან ფაქტობრივი ვითარებიდან.

მაგალითად, ბავშვის მომვლელი კისრულობს მოვალეობას, მშობლების თეატრიდან დაბრუნებამდე მოუაროს ბავშვს. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ბავშვის მოვლა 20 საათამდე, მაგრამ ამ დროს მშობლები ვერ ან არ დაბრუნდნენ სახლში, მას უფლება არა აქვს, უმეთვალყურეოდ დატოვოს ბავშვი. ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, მან უნდა გააგრძელოს ბავშვის მოვლა. ბავშვის დატოვების შემთხვევაში, თუ ამას მძიმე შედეგი მოჰყვა, იგი დაისჯება შერეული უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისათვის. იგი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ბრალის არარსებობის გამო, თუ აღმოჩნდა ე.წ. მოვალეობათა კოლიზიაში. ამ შემთხვევაში მის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა, სსკ-ის 38-ე მუხლიდან გამომდინარე, მისატყვებელ (საპატიებელ) გარემოებად იქნება მიჩნეული.

პირის წინარე მოქმედება აკისრებს მას სამართლებრივი გარანტის ფუნქციას. მაგალითად, მძღოლმა ავტოავარიის შედეგად დაახიანა ქვეითად მოსიარულე, რომელიც, პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, განსაცდელში მიატოვა, მაშინ, როდესაც თავისი მოქმედებით შეეძლო მსხვერპლის სიკვდილი თავიდან აეცილებინა. ავტოავარიის შედეგად ქვეითად მოსიარულე დაიღუპა. თუმცა ნებისმიერი წინარე მოქმედება როდი წარმოშობს ასეთ ვალდებულებას. მაგალითად, ა.-მ თავისი კომერციული პარტნიორი ბ. დაპატიჟა რესტორანში, რომელსაც ცეცხლი მოეკიდა. მართალია, ბ. თავისი

პრტნიორის მოწვევით აღმოჩნდა სახიფათო ადგილას, მაგრამ ა. არ არის განსაცდელში მყოფი ბ.-ს სამართლებრივი გარანტი.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარებული შეხედულების მიხედვით, სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის წარმოშობისათვის მთავარია, რომ პირმა თავისი წინარე მოქმედებით გამოიწვია საფრთხე. არა აქვს მნიშვნელობა, ეს წინარე მოქმედება იყო მართლზომიერი თუ მართლსაწინააღმდეგო, ასევე წინდახედულობის ნორმის დარღვევით თუ მისი დაცვით შესრულებული. ამ შეხედულების მომხრეთა უმრავლესობა გამონაკლისს უშვებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების - აუცილებელი მოგერიების არსებობისას, თუმცა არის საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომელიც ნებისმიერი წინარე საქმიანობიდან, მათ შორის ნებისმიერი მართლზომიერი წინარე მოქმედების დროს, ასაბუთებს სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის წარმოშობას.

ვფიქრობ, აუცილებელი მოგერიების შემდეგ, როცა წინარე მოქმედება მართლზომიერია, არ შეიძლება მომგერიებელს იმაზე მეტად მოეთხოვოს პასუხი, ვიდრე დაუხმარებლობისათვის.

სხვა მდგომარეობაა აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს, მას შემდეგ, რაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობამ გაიარა. ამ შემთხვევაში პირს წარმოეშობა სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია მისი წინარე მოქმედებიდან გამომდინარე.

შერეული უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დანაშაულის დროს პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანი, განსაკუთრებით მას შეგნებული უნდა ჰქონდეს თავისი სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, რომ იგი არ ასრულებს თავის სამართლებრივ მოვალეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძლება დაისაჯოს განზრახვისათვის.

მაგალითად, ა.-ს ზღვის სანაპიროზე ესმის ადამიანის ხმა, რომელიც შეელას ითხოვს, მაგრამ არ უწყევს დახმარებას, თუმცა შეეძლო მისთვის დახმარება. მან გვიან გაიგო, რომ მისი შვილი ითხოვდა დახმარებას, რომელიც დაიხრჩო. მართალია, ა. არის თავისი შვილის სამართლებრივი გარანტი, მაგრამ არ იცოდა, რომ შვილი იხრჩობოდა. მას არ ჰქონდა შეგნებული, რომ არ ასრულებდა სამართლებრივი გარანტიის ფუნქციას, ამიტომ არ შეიძლება დაისაჯოს უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის.

სადავოა საკითხი, თუ როგორ უნდა გადაწყდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მოვალეობათა ისეთი კოლიზიის დროს, როცა გარანტი გადაწყვეტს, არ შეასრულოს გარანტიის ფუნქცია (მაგალითად, არ გადაურჩინოს სიცოცხლე განსაცდელში მყოფ მკვლელს) და ამის სანაცვლოდ შეასრულოს თავისი ე.წ. სოლიდარული მოვალეობა - სიცოცხლე გადაურჩინოს უცნობს, რომელიც იხრჩობა.

ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, ასეთი ქმედება მართლზომიერია, თუმცა არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით ასეთი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, ვინაიდან პირმა მოვალეობათა ასეთი კოლიზიის დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეასრულოს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, რომელსაც პრიორიტეტი ენიჭება სოლიდარულ მოვალეობასთან შედარებით.

როგორია პასუხისმგებლობა მეთაურისა და სხვა უფროსის უმოქმედობისათვის საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით?

უენევის კონვენციების 1-ლი დამატებითი ოქმის 86(2)-ე მუხლიდან გამომდინარე, მეთაურს ეკისრება უმოქმედობისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან იცოდა ან შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მისი ხელქვეითი ჩაიდენდა ომის დანაშაულს.

რომის სტატუტის 28-ე მუხლი ითვალისწინებს მეთაურისა და სხვა უფროსის პასუხისმგებლობას. სტატუტი ერთმანეთისაგან ასხვავებს სამხედრო მეთაურს და სხვა სახის უფროსს. პირველმა მათგანმა იცის ან შექმნილ ვითარებაში უნდა სცოდნოდა (შეიძლებოდა სცოდნოდა) დანაშაულის შესახებ და არ მიიღო გონივრული ზომები მათ აღსაკვეთად ან ამ საქმის გამოსაძიებლად გადასაცემად. სამოქალაქო უფროსებისათვის დაწესებულია უფრო მაღალი სტანდარტი. უფროსმა უნდა განახორციელოს ფექტური ძალაუფლება და კონტროლი იმ პირის მიმართ, ვინც ჩადის დანაშაულებრივ ქმედებას, ამასთან იცოდა ან შეგნებულად იგნორირება გაუკეთა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ხელქვეითებმა ჩაიდინეს ან განზრახული ჰქონდათ ჩაეიდინათ დანაშაული და არ მიიღო ზომები მათ აღსაკვეთად.

ამდენად, რომის სტატუტის მოთხოვნაა, სახელმწიფომ დააწესოს პასუხისმგებლობა მეთაურის და სხვა უფროსის უმოქმედობისათვის, რათა შესაძლებელი იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა საერთაშორისო დანაშაულებისათვის.

მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, 413-ე მუხლის შენიშვნა ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას მეთაურის პასუხისმგებლობის შესახებ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის. ასევე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებებიდან გამომდინარე, რომელიც მოცემულია მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში, მეთაურს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ პირობით, რომ მას ჰქონდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

სსკ-ის 413-ე მუხლის სპეციალური შენიშვნა, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე თავით („დანაშაული კაცობრიობის მშვი-

დობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ”) გათვალისწინებული დანაშაულისათვის შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე შეიარაღებული ძალების ან მათი ქვედანაყოფების მეთაურის და სხვა უფროსის განზრახი დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის, სრულად არ შეესაბამება ქენევის კონვენციების 1-ლი დამატებითი ოქმით და რომის სტატუტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. იგი დასჯადად აცხადებს მხოლოდ განზრახ უმოქმედობას და, ამგვარად, არასრულია 1-ლი დამატებითი ოქმით, ასევე რომის სტატუტით გათვალისწინებული მოთხოვნების თვალსაზრისით.

5.6.2 უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დამთავრებაული დანაშაულის სისტემა

უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დამთავრებაული დანაშაულის შემთხვევაში კაზუსის ამოხსნის სქემას მოქმედებით ჩადენილი იგივე დანაშაულის სქემისაგან განასხვავებს შემდეგი თავისებურებები:

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ქმედების სუბიექტი (სუბიექტის გარანტის ფუნქცია კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან წინარე მოქმედებიდან გამომდინარე)
- ქმედების ობიექტი
- ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების შეუსრულებლობა
- ქმედების შედეგი
- მიზეზობრივი კავშირი (უმოქმედობის პიპოტეტური მიზეზობრიობა, რომელიც არსებობს იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული)
- ობიექტური შერაცხვა
- ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ნიშნები

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა (არაბოროტი განზრახვა) (ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიმართ, მათ შორის სამართლებრივი გარანტის ფუნქციასთან მიმართებაში)
- სხვა სუბიექტური ნიშნები

II მართლწინააღმდეგობა

ობიექტური და სუბიექტური ნიშნები
(განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოვადეობათა კოლიზია)

III ბრალი

(მოქმედებით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაულის ანალოგიურად).

შერეული უმოქმედობით შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი დანაშაული.

6. მართლწინააღმდეგობა. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ბარემოებები

6.1 ზოგადი დებულებები

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების ან უმოქმედობის დანაშაულებრივი ხასიათის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიან სისტემას. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 თავი ეძღვნება „მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს“, ხოლო მე-9 თავი - „ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს“.

ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის გამომრიცხველ გარემოებათა ასეთ დაყოფას არ იცნობდა არც ძველი კოდექსი და არც ქართული სისხლის სამართლის თეორია. მოქმედი კოდექსის ამოქმედებამდე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს ეწოდებოდათ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი (იხ. თ. შავულოძე, ლ. ხურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1988), ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი კი, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის პირობებში, ბრალის შესახებ ნორმატიული მოძღვრების არარსებობის ვითარებაში, ქართულ სისხლის სამართალში დღეს წარმოდგენილი სახით არ არსებობდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს *ოთარ გამყრელიძემ* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების დროს წარმოადგინა ზოგადი ნაწილის ალტერნატიული პროექტი (იხ. თ. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 267-284), რომელშიც, გერმანელი სისხლის სამართლის ანალოგიურად, ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემოგვთავაზა ასეთი ორკვალიანი დაყოფა, რაც აისახა კიდევ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. იგივე პოზიციას გამოხატავს ჩემი დისერტაცია (იხ. M. Turava, Straftatsysteme in rechtsvergleichender Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbegriffs, 1998, გვ. 258).

არსებობს ორი სახის მართლწინააღმდეგობა: **ფორმალური** და **მატერიალური**.

სახელმწიფოში მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებელი ადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის სავალდებულო წესებს. ზოგიერთი მათგანი არის ამკრძალავი (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის აკრძალვა მკვლელობის შემადგენლობაში, სსკ-ის 108-ე მუხლი) ან მავალდებულო (მაგალითად, გადაუდებელი დახმარების გაწევის ვალდებულება დაუხმარებლობის შემადგენლობაში, სსკ-ის 129-ე მუხლი). ეს აკრძალვები და ვალდებულებები

ბი ქმედების შემადგენლობათა ფორმით მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. სწორედ ამ შემადგენლობათა განხორციელება, მაშასადამე, მათი შესაბამისი ქმედების შესრულება წარმოადგენს ფორმალურ მართლწინააღმდეგობას.

ფორმალურად მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა იმავდროულად ყოველთვის არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მართლწესრიგის ხელყოფად (ე.წ. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები).

ვინც ადამიანს განზრახ სიცოცხლეს მოუსპობს, მოქმედებს ფორმალურად მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ თუ ეს ქმედება განხორციელდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, როცა პირი თავს იცავდა ყაჩაღური თავდასხმისაგან, იგი უნდა ჩაითვალოს მართლწესრიგად. ყაჩაღობის მსხვერპლი არ მოქმედებს მატერიალურად მართლსაწინააღმდეგოდ. ქმედება მხოლოდ მაშინ არის მატერიალურად მართლსაწინააღმდეგო, როცა იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოებით არ შეიძლება იქნეს გამართლებული. სისხლისსამართლებრივი უმართლობა არსებობს სწორედ მხოლოდ მატერიალური მართლწინააღმდეგობის განხორციელების შემთხვევაში.

მაშასადამე, დანაშაულის ორი ნიშნის - ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის - არსებობა ერთობლიობაში ნიშნავს **სისხლისსამართლებრივი უმართლობის** განხორციელებას. (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნებაზე იხ. *ო. გამყრელიძე*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1989, გვ. 124-138).

განზრახი მკვლელობის ყველა შემადგენლობას, როგორც ძირითადს (სსკ-ის 108-ე მუხლი), ასევე კვალიფიციურსა (სსკ-ის 109-ე მუხლი) და პრივილეგიურს (სსკ-ის 110-114 მუხლები), აერთიანებთ ერთი საერთო - მკვლელობის უმართლობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით არის გათვალისწინებული.

უმართლობის საკითხის გარკვევას მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, თანამონაწილის (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) დასჯადობისათვის, რადგან **თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია** თანამონაწილის მიერ ამსრულებელთან ერთად **მრთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის** შესრულება. თანამონაწილე შეიძლება დაისაჯოს სხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით, ვიდრე ამსრულებელი, მაგრამ აუცილებლად მხოლოდ ამსრულებელთან ერთიანი უმართლობისათვის. ასე, მაგალითად, დედა,

რომელმაც მოკლა თავისი ახალშობილი მშობიარობისას, შეიძლება დაისჯოს სსკ-ის 112-ე მუხლით, როგორც ამსრულებელი („დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა“), ხოლო მისი და, რომელმაც დედას აღუძრა შვილის მოკვლის განზრახვა, - როგორც წამქეზებელი, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის - „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში“, კერძოდ, დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ.

მართლსაწინააღმდეგო შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის ქცევა. ცხოველებისა და ბუნების მოვლენებისაგან მომდინარე საფრთხე, რომელმაც ადამიანის ნების ან წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოწვეული დაუდევრობის გარეშე გამოიწვია სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, არ შეიძლება წარმოადგენდეს მართლსაწინააღმდეგოს.

ქმედების მართლწინააღმდეგობა აუცილებლად ობიექტურად უნდა არსებობდეს. თუ პირი მხოლოდ მის წარმოდგენაში ფიქრობს, რომ ის მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, სინამდვილეში კი, მისი ქმედება რეალურად ასეთს არ წარმოადგენს, ის ჩადის მხოლოდ მოჩვენებით დანაშაულს, რისთვისაც იგი საერთოდ არ დაისჯება.

ზოგჯერ შეიძლება პირმა დაარღვიოს კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი და, მიუხედავად ამისა, მისი მოქმედება მაინც ჩაითვალოს მართლზომიერად. მაგალითად, ა.-მ დაარღვია ცეცხლსასროლი იარაღის ტარების წესები და მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში თავი დაიცვა ისეთი იარაღით, რომლის ტარების უფლებაც მას არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მისი მოქმედება თავდაცვის ნაწილში მართლზომიერია. მას შეიძლება მხოლოდ იარაღის უკანონო ტარებისათვის დაეკისროს პასუხისმგებლობა (სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების საფუძველზე პირის გათავისუფლება ნიშნავს მის გამართლებას, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 504-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის არარსებობა გამამართლებელი განაჩენის დადგენის საფუძველია, ხოლო ბრალის გამომრიცხველი გარემოების საფუძველზე პირის გათავისუფლება ნიშნავს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პატიებას. ბრალის არარსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება, ხოლო დაწყებული შეწყდება არამარეაბილიტირებელი საფუძველით. ეს ეხება როგორც ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებას, როგორიცაა შეურაცხაობა ასაკისა გამო, ასევე სსკ-ის 36-38-ე მუხლებით გათვალისწინებულ გარემოებებს.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ფსიქიკურად ავადმყოფი პირის მიმართ გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, მაგრამ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ იგი უკვე აღარ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ იძულებით ღონისძიებას. ამ კანონით, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა მთლიანი მე-6 კარი („სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების საფუძველი და წესი“).

ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ სახეზე არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე აღიარებული გარემოება. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი კანონისმიერი გარემოებებია: აუცილებელი მოგერიება (სსკ-ის 28-ე მუხლი), დამნაშავის შეპყრობა (სსკ-ის 29-ე მუხლი), უკიდურესი აუცილებლობა (სსკ-ის 30-ე მუხლი), მართლზომიერი რისკი (სსკ-ის 31-ე მუხლი), ხოლო სსკ-ის 32-ე მუხლი ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს.

ქმედების შემადგენლობის განხორციელება, როგორც წესი, გულისხმობს ქმედების მართლწინააღმდეგობას, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება, მიუხედავად ქმედების შემადგენლობის განხორციელებისა, ქმედება მართლზომიერია.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობა ნიშნავს:

(ა) *ქმედების ჩამდენი პირისათვის*: მას არ ეკისრება როგორც სასჯელი, ასევე სხვა სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება, ვინაიდან სასჯელისაგან განსხვავებით, ამ ღონისძიებების დაკისრებისათვის აუცილებელია მინიმუმ ქმედების შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელება. აღნიშნული ყოველთვის არ გამორიცხავს ზიანის მართლზომიერად მიმყენებლისათვის სამოქალაქო სამართალწარმოების გზით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ასე, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში დამდგარი ზიანი, კერძოდ, ხელმოყოფისათვის მიყენებული დაზიანება არ ანაზღაურდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლი), ხოლო აგრესიული ანუ თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება ზიანის მიმყენებლისათვის ნებადართულია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი);

(ბ) *თანამონაწილისათვის*: იგი არ შეიძლება დაისაჯოს, რადგან დასჯადი თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში (თანამონაწილეობის ე.წ. აქტივობის სორული თეორია);

(გ) დაზარალებულისათვის: მას არა აქვს მართლზომიერი ქმედების მიმართ აუცილებელი მოგერიების უფლება. თვით დაზარალებულის მოქმედება იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუ ის მართლზომიერი ქმედებისაგან დაიცავს თავს და ამით სამართლებრივ სიკეთეს დააზიანებს.

მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველ გარემოებებთან შედარებით ბრალის გამოძრიცხველი გარემოებების არსებობის დროს გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა:

(1) მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არაბრალეულად მოქმედი პირის მიმართ შეიძლება იძულებითი ღონისძიების გამოყენება, ვინაიდან მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ არ შეიძლება სასჯელის გამოყენება;

(2) არაბრალეული ქმედების ჩადენაში თანამონაწილეობა დასჯადია (თანამონაწილეობის ე.წ. *ლიმიტირებული აქცესორულობა*). თანამონაწილეობის დასჯადობისათვის აუცილებელი და საკმარისია ქმედების შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ამსრულებლის მიერ. თუ არ არის ჩადენილი ძირითადი ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ, მაშინ არც ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე დაისჯებიან, ხოლო ამსრულებლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების, თუნდაც არაბრალეულად, ჩადენის შემთხვევაში თითოეული მონაწილე (ამსრულებელი და თანამონაწილე) პასუხს აგებს საკუთარი ინდივიდუალური ბრალისათვის.

(3) არაბრალეულად მოქმედი პირის (მაგალითად, სულით აყადმყოფის) თავდასხმის მოგერიება აუცილებელი მოგერიებით დასაშვებია. იძულებითი საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა, მართალია, გამორიცხავს ბრალს (სსკ-ის 38-ე მუხლი) და არა მართლწინააღმდეგობას, მაგრამ აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია იძულებით მოქმედი პირის აშკარა არაბრალეულობის შემთხვევაში. მაგალითად, ა. სიცოცხლის მოსპობის რეალური მუქარით აიძულებს ბ.-ს, მოკლას გ. ორივე, როგორც ა., ასევე ბ., მოქმედებენ არამართლზომიერად, რის გამოც წარმოიშობა მათ მიმართ აუცილებელი მოგერიების უფლება. ამასთან, შესაძლებელია, ბ.-ს მოქმედება გარკვეულ შემთხვევაში ჩაითვალოს საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად (სსკ-ის 38-ე მუხლი). მართალია, ასეთი მდგომარეობა არ გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების უფლებას, რადგან თვით იძულებით მოქმედი არის საფრთხის წყარო, მაგრამ თუ ეს შესაძლებელი და ეფექტურია თავდაცვის მიზნის მისაღწევად, აუცილებელი მოგერიების უფლება უნდა განხორციელდეს არა ბ.-ს, არამედ ა.-ს მიმართ. ამ შემთხვევაში არსებობს აუცილებელი მოგერიების უფლების შეზღუდვის სოციალურ-ეთიკური ფარგლები.

თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დელიქტის დროს (სსკ-ის მე-11 მუხლი), სადაც ქმედება განზრახ ხორციელდება,

ხოლო შედეგი გაუფრთხილებლობით დგება, განხრახი ქმედების მართლზომიერების დროს გაუფრთხილებელი შედეგიც მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს. ეს საკითხი აქტუალურია არა მარტო აუცილებელი მოგერიების, არამედ ასევე სხვა გარემოებებისთვისაც (მაგალითად, დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, როცა ოპერაციის დროს გაუფრთხილებლობით პაციენტის სიკვდილი დადგება).

6.2 მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ბარემოების სტრუქტურა

მართლწინააღმდეგობა ობიექტური კატეგორიაა, რომელიც პირს სუბიექტურადაც უნდა ჰქონდეს შეცნობილი. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების დროს თავდასხმა უნდა იყოს ობიექტურად, რეალურად საშიში და, ამასთან, მომგერიებელს სუბიექტურად უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი. ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთობლიობა განსაზღვრავს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა გარემოებათა შინაარსსაც, რის გამოც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ყველა გარემოებას აქვს ერთნაირი ძირითადი სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობას.

ძველი კლასიკური სისტემითა და უმცირესობის პოზიციით, არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების სუბიექტური ელემენტები. ამ თეორიით, მაგალითად, თუ პირი ობიექტურად თავს იცავს რეალური ხელყოფისაგან, იგი იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, მას სუბიექტურად შეცნობილი აქვს თუ არა მისი ეს მდგომარეობა.

ამ პოზიციას არ შეიძლება დაეთანხმო, რადგან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სუბიექტური ნიშნის არსებობის გარეშე არ არსებობს გამართლება.

ერთი შეხედულებით, იმ შემთხვევაში, როცა პირთვინებას სუბიექტურად არა აქვს შეცნობილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვითარების არსებობა, იგი დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის, ხოლო მეორე შეხედულებით, რომელსაც არაერთი მეცნიერი უჭერს მხარს, ამ შემთხვევაში ობიექტურად არსებული მართლზომიერი ვითარებისა გამო, უნდა მოხდეს მცდელობის ანალოგიის გამოყენება. ამ უკანასკნელ პოზიციას მხარს უჭერენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა, მაგალითად, *ჰანს-ჰაინრიხ იეშეკი, თომას ვაიგენდი* (იხ. *H.-H. Jescheck / T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 329-330), *გიუნთერ აკობსი* (იხ. *G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil*, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 361) და სხვები.

ამ პოზიციისაგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ მართლზომიერების ვითარების სუბიექტურად შეცნობის გარეშე არ არის შესრულებული გამართლებისათვის აუცილებელი წინაპირობები, რადგან პირი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარების ცოდნისა და თავდაცვის მიზნის გარეშე, რის გამოც დამთავრებული დანაშაულის მართლწინააღმდეგობა სახეხეა.

მოწინააღმდეგე პოზიციის მიმდევრები სუბიექტური ელემენტის კომპენსაციას ნაწილობრივ მართლზომიერების ობიექტური მდგომარეობით ახდენენ, რის გამოც ანალოგიით მცდელობის კონსტრუქციას იყენებენ, რის შედეგადაც, შედეგის ობიექტურ შერაცხვას არ ახდენენ. ასეთ სისხლისსამართლებრივ ფიქციას არ ვეთანხმები და თეორიულად უფრო დასაბუთებულად მიმაჩნია პირველი პოზიციის წარმომადგენლების აზრი.

ვინც პირველ პოზიციას უჭერს მხარს, კაზუსის ამოხსნის დროს უნდა გამოიყენოს დამთავრებული განზრახი დანაშაულის ამოხსნის ძირითადი სქემა, ხოლო მეორე პოზიციის მიმდევრებმა კაზუსის ამოხსნა უნდა დაიწკონ ძირითადი სქემით, ხოლო შემდეგ, როცა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაადგენენ სუბიექტური ელემენტის არარსებობას, უნდა გადავიდნენ მცდელობის დასაბუთებაზე.

ისმის კითხვა: როგორია თვით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სუბიექტური ელემენტის სტრუქტურა, მაგალითად, საკმარისია მხოლოდ იმის ცოდნა, რომ არსებობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, თუ ასევე საჭიროა თავდაცვის სურვილი?

ავტორთა დიდი ნაწილი საკმარისად მიიჩნევს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ობიექტური სიტუაციის მხოლოდ ცოდნას (იხ. K. Kühl, Strafrecht, AT, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 110). ავტორთა მეორე ჯგუფი სამართლიანად არ ეთანხმება ამ პოზიციას და კოგნიტიურ ელემენტთან (ცოდნა) ერთად აუცილებლად მიიჩნევს ვოლუნტატიური ელემენტის (ნებელობა: თავდაცვის სურვილი) არსებობას. მაშასადამე, ამ შეხედულებით, განზრახვის ანალოგიურ სტრუქტურასთან გეაქვს საქმე (იხ. J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 97).

არ არსებობს გამართლება არა მარტო გამართლების სუბიექტური ელემენტის არარსებობის, არამედ ასევე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ობიექტური შემაღველობის არსებობის გარეშე. თუ, მაგალითად, პირი ფიქრობს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების სიტუაციაში და იგერიებს თავდამსხმელს, რომელიც მისი წარმოდგენით საფრთხეს უქმნის მის ან სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, სინამდვილეში კი, არ არსებობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა ან აუცილებელი მდგომარეობით გამოწვეული მოქმედება, აუცილებელი მოგერიება გამოირიცხება. ასეთი ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო. ასეთ შემთხვევაში ბრალის ეტაპზე უნდა შემოწ-

მდგს ე.წ. შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ვითარების ფაქტობრივ მხარესთან დაკავშირებით (მაგალითად, ე.წ. მოჩვენებითი მოგერიების დროს).

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, აღნიშნულის შემოწმება უნდა მოხდეს არა ე.წ. განზრახვის თეორიის, არამედ - ბრალის თეორიის საფუძველზე, რის შესახებაც საუბარი იქნება ბრალის ეტაპზე შეცდომის პრობლემატიკის განხილვის დროს.

6.3 მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ბარემოებების კლასიფიკაცია

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, უპირველეს ყოვლისა, მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში და წარმოადგენს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი სიკეთის ობიექტური, რეალური დაცვისაკენ.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

(1) უკიდურესი მდგომარეობით გამოწვეული ბარემოებები:

- ა) აუცილებელი თვითდაცვა აუცილებელი მოგერიების დროს;
- ბ) აუცილებელი დახმარება აუცილებელი მოგერიების დროს;
- გ) დეფენზიური უკიდურესი აუცილებლობა;
- დ) აგრესიული უკიდურესი აუცილებლობა.

(2) ღირებულებათა კოლიზია ინტერესთა კოლიზიის ბარემოები:

- ა) დაზარალებულის თანხმობა;
- ბ) დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა;
- გ) სამედიცინო სამკურნალო ხელყოფა;
- დ) აღმზრდელობითი ხასიათის ხელყოფა.

(3) მოვალეობათა კოლიზია;

(4) სამოხელეო და სხვა სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულება;

(5) დამნაშავის და სხვა პირთა შეწყობა (დაკავება), დაკავშირება.

(არა იდენტიური, მაგრამ ანალოგიური კლასიფიკაცია იხ. წიგნში: *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 123*).

მართლსაწინააღმდეგო ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ პოზიტიური სამართლის (კანონის) ნორმებს, არამედ კულტურისა და ზნეობის ნორმებს, ანუ ცივილიზებული საზოგადოების გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებებს.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები მოცემულია არა მხოლოდ სისხლის სამართალში ან დაწერილ პოზიტიურ სამართალში.

თუკი ამა თუ იმ ქმედებას საკონსტიტუციო, საპროცესო, ადმინ-სტრაციული ან კერძო სამართალი მართლწომიერად აცხადებს, არ შეიძლება იგივე ქმედება სისხლის სამართლის თვალსაზრისით მარ-ილსაწინააღმდეგო იყოს.

არასისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის გამომ-რიცხველი გარემოებების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის დიარება გამომდინარეობს სამართლებრივი სისტემის ერთიანობის პრინციპიდან, რასაც ასევე შეესაბამება მართლწინააღმდეგობის არა იწრო, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის სახით, რამედ ზოგადსამართლებრივი კატეგორიის სახით წარმოდგენა.

პრობლემური და საკამათოა საკითხი იმის შესახებ, სისხლისსა-მართლებრივი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებ-ა და სისხლისსამართლებრივ გამართლებას აქვთ თუ არა იგივე მნიშვნელობა სამართლის სხვა დარგებში, მაგალითად, ადმინისტრაცი-ულ სამართალში.

გარდა დაწერილი სამართლისა, მართლწინააღმდეგობის გამომ-რიცხველი გარემოებები შეიძლება გვექონდეს ადათობრივი (ჩვეულები-თი) სამართლის სახით, რასაც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელო-ბა აქვს. მაგალითად, დაზარალებულის თანხმობა, ასევე მასწავლე-ბლისა და აღმზრდელის აღსაზრდელისადმი პედაგოგიურ-აღმზრდე-ლობითი თვალსაზრისით ზემოქმედება ცემის, თავისუფალი გადა-ადგილების უფლების შეზღუდვის და ა.შ. სახით.

ამ უკანასკნელმა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველმა ადათობრივ-სამართლებრივმა გარემოებამ ათწლეულების მანძილზე საზოგადოების განვითარებასთან ერთად განიცადა ევოლუცია.

თუ პირი ცდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარე-მოების არსებობასთან დაკავშირებით, იგი შეიძლება დაისაჯოს მხ-ლოდ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის, მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიების დროს.

ზოგიერთი დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქციაში მოხ-სენიებულია სიტყვა: მართლწინააღმდეგობა. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლში „ქურდობა“ განმარტებულია, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება *მართლსაწინააღმდეგო* მისაკუთრების მიზნით. ისმის კითხვა: სიტყვა „მართლწინააღმდეგობა“ ასეთ შემად-გენლობებში წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანს, თუ ამ ნიშანზე მინიშნება არის კანონმდებლის ზოგადი მითითება, რომელსაც ქმედების შემადგენლობის დადგენისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? ვფიქრობ, ეს უკანასკნელი პოზიცია არის სწორი, რის გამოც ასეთ შემადგენლობებში, მიუხედავად კერძო ნაწ-ილის კონკრეტულ ნორმაში მითითებისა, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე არ უნდა მოხდეს მართლწინააღმდეგობის შემოწმება.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს შორის არსებობს რანგირება. აუცილებელი მოგერიება არის სპეციალური

უკიდურეს აუცილებლობასთან შედარებით. უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებში მართლზომიერ მოვალეობათა კოლიზიას აქვს უპირატესობა, ვიდრე მართლზომიერ უკიდურეს აუცილებლობას.

6.4 პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მისხედვით

როგორია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმთავისუფლებელი გარემოებები საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით?

საერთაშორისო სისხლის სამართალში ასეთ გარემოებათა შემოღება მოხდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით. ამასთან, იგი არ ახდენს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა დაყოფას მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებად.

რომის სტატუტის 31-ე მუხლი ეძღვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში. სტატუტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განმთავისუფლებელ გარემოებათა დიდი უმრავლესობა ასევე აღიარებულია უმრავლეს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში, ასევე ადრეულ საერთაშორისო სისხლის სამართალში. ამასთან, სახელმწიფოებს შეუძლიათ, სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი კანონმდებლობა რომის სტატუტის დებულებებთან, თუმცა სტატუტი ამ ვალდებულებას არ აკისრებს სახელმწიფოებს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართალწარმოების უნიფიკაციის მიზნით. ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები პირს არ უნდა აძლევდნენ საშუალებას, თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით დანაშაულად არის გამოცხადებული.

პირის დახჯადობის გამომრიცხველი გარემოებები მოცემულია რომის სტატუტის 26-ე, 27-ე, 29-ე და 31-ე-33-ე მუხლებში.

სტატუტი, ერთი მხრივ, ადგენს, რომ სასამართლოს არა აქვს არავითარი იურისდიქცია იმ პირის მიმართ, ვინც ქმედების ჩადენის დროს 18 წლის ასაკს არ იყო მიღწეული (განსჯადობა ბრალუნარიანობიდან გამომდინარე, 26-ე მუხლი). მეორე მხრივ, გამართლებისა და პატიების გარემოებების სახით, სტატუტის 31-ე-33-ე მუხლებში, ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე, მოცემულია აუცილებელი მოგერიების (31-ე მუხლის I აბზაცის „c“ ქვეპუნქტი), იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის (31-ე მუხლის I აბზაცის „d“ ქვეპუნქტი), სულიერი ავადმყოფობისა და სიმთვრალისა გამო არაბრალუნარი-

ანობის (31-ე მუხლის I აბზაცის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები), ფაქტობრივი და სამართლებრივი შეცდომის (32-ე მუხლი), ბრძანების შესრულების (33-ე მუხლი) სამართლებრივი შედეგები. ამასთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადების გამოყენების პრინციპი (მუხლი 29-ე), ასევე არავითარი სამსახურებრივი მდგომარეობა ან იმუნიტეტი არ ათავისუფლებს პირს ამ სასამართლოს იურისდიქციისაგან (მუხლი 27-ე).

სტატუტის 31-ე მუხლის მე-3 აბზაცი ვურადლებას ამხვილებს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ე.წ. ზესტატუტურ გარემოებებზე, მართალია, არ ახდენს დიფერენციაციას მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს შორის, მაგრამ უთითებს სტატუტის 21-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ სტატუტთან ერთად გამოიყენება ეროვნული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემებიდან აღებული სამართლის ზოგადი პრინციპები. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიანი დაყოფა ცნობილია კონტინენტალური ევროპის არაერთი ქვეყნის, მათ შორის - ქართული სისხლის სამართლისთვის. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფლებამოსილია, პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით, სწორედ რომის სტატუტის 21-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენოს ნაციონალური სისხლის სამართლის სისტემებით გათვალისწინებული ეს გარემოებები.

6.5 აუცილებელი მოგერიება

6.5.1 აუცილებელი მოგერიების უფლების სამართლებრივი საფუძველი

აუცილებელი მოგერიების უფლება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების ორ სახეს: აუცილებელი თვითდაცვა და აუცილებელი დახმარება. კანონმდებელი მათ შორის არ აკეთებს სისხლისსამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით დიდ განსხვავებას. თვითდაცვისაგან განსხვავებით, აუცილებელი დახმარება არის აუცილებელი მოგერიება სხვა პირის დასაცავად.

ორივე შემთხვევას საფუძვლად უდევს ე.წ. დუალისტური პრინციპი, რაც ნიშნავს ინდივიდუალური და ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის მართლზომიერებას. იგი განსხვავდება აუცილებელი მოგერიების ე.წ. მონისტური თეორიისაგან, რომელიც აღიარებს მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის შესაძლებლობას აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. (შეად. *K. Kühl, Strafrecht, AT*, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 113, 115).

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით შეიძლება საფრთხე შეექმნას არა მარტო ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს, არამედ ასევე საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი მართლწესრიგის არსებობის საფუძველს, რის გამოც, ვფიქრობ, აუცილებელი მოგერიების მართლწომიერების ფარგლებში შეიძლება წარმოიშვას სწორედ ასეთი საყოველთაო სამართლებრივი სიკეთეების დაცვის აუცილებლობა და უფლება.

თვითდაცვის პრინციპი, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური დაცვის საშუალებას, გულისხმობს, რომ ხელყოფილ ინდივიდს აუცილებელი მოგერიების მართლწომიერების პირობებში თავისი ხელყოფილი სიკეთეები შეუძლია თვითონ დაიცვას.

საყოველთაო (არაინდივიდუალური) სამართლებრივი სიკეთეების დაცვის დროს აუცილებელი მოგერიება მიზნად ისახავს დაიცვას სამართალი უმართლობის წინააღმდეგ.

აუცილებელი მოგერიების დროს პირი აზიანებს ხელმყოფს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა განახორციელა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად. თავდაცვის მიზანია მომგერიებლის ან სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის დაცვა. მომგერიებელს უფლება აქვს, დააზიანოს ხელმყოფი იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას სხვაგვარად აიცილოს ხელყოფა.

6.5.2 აუცილებელი მოგერიების სტრუქტურა და შინაარსი

აუცილებელი მოგერიების სტრუქტურა ასეთია: იგი შედგება სამი ნიშნისაგან: უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება და თავდაცვის სურვილი. ზოგჯერ არსებობს აუცილებელი მოგერიების მეოთხე პირობაც. იგი მდგომარეობს გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკურ შეზღუდვაში (მაგალითად, ხელყოფის მცირე მნიშვნელობის დროს – ხეხილის ბაღში ვაშლის მოპარვა).

1. აუცილებელი მოგერიების პირველი ნიშანია: უკიდურესი მდგომარეობა, რომელიც შედგება სამი კომპონენტისაგან:

- (1) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა;
- (2) ხელყოფის იმწუთიერობა;
- (3) ხელყოფის მართლწინააღმდეგობა, რაც, შესაბამისად, გულისხმობს ხელყოფის რეალურ (ობიექტურ) ხასიათს.

განვიხილოთ ეს კომპონენტები ცალ-ცალკე:

(1) აუცილებელი მოგერიების დროს ყოველთვის სახეზეა სამართლებრივად დაცული სიკეთის ან ინტერესის ხელყოფა, რომელიც ადამიანის აქტიური ან (მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოხატული) პასიური ქცევით – მოქმედებით ან უმოქმედობით არის გამოწვეული. ასევე შესაძლებელია აუცილებელი მოგერიება „გაუფრთხილებე-

ლი" ხელყოფის წინააღმდეგ. უვარგისი მცდელობა არ წარმოადგენს ხელყოფას და არ წარმოშობს აუცილებელი მოგერიების უფლებას, რადგან სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფა ობიექტურად არ ემუქრება.

შესაძლებელია, ხელყოფა არ წარმოადგენდეს დანაშაულს ან მოგერიების ეტაპზე ჯერ კიდევ არ წარმოადგენდეს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას, მაგრამ მისი მოგერიება მაინც ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად. მაგალითად, დანაშაულს არ წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის ზიანი (სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი) ან არ არის დასჯადი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება. პირს ასეთ შემთხვევებშიც წარმოეშობა თანაზომიერი აუცილებელი მოგერიების უფლება, ამასთან, დაცული უნდა იყოს მისი სოციალურ-ეთიკური შეხლუდეები. მაგალითად, სსკ-ის 160-ე მუხლით გათვალისწინებული ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის მომზადება, ჩადენილი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას, მაგრამ ვინაიდან მართლწინააღმდეგობა გაგებულ იქნა იქნეს არა როგორც ვიწროდ გაგებულ სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა, არამედ იგი მართლწინააღმდეგობის ერთიანობიდან გამომდინარე. მოიცავს მთლიან მართლწესრიგს. ასეთ შემთხვევაშიც არა ყოველთვის, მაგრამ კონკრეტული საფრთხის არსებობის შემთხვევაში აუცილებელი მოგერიების უფლება წარმოიშობა და მართლზომიერია. მაგალითად, სადავოა, კიბის მიღმა ბინაში ან სხვა მფლობელობაში შესასვლელად, რათა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ დაესწრო იქ მიმდინარე ღონისძიებას, წარმოადგენს დანაშაულის მომზადებას თუ მცდელობას. ორივე შემთხვევაში წარმოიშობა აუცილებელი მოგერიების უფლება მართლზომიერების სხვა პირობების დაცვით.

(2) ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი, მაშასადამე, უშუალოდ დაწყების პროცესში, უკვე დაწყებული ან ჯერ კიდევ მიმდინარე. ეს ნიშნავს იმას, რომ ე.წ. პრევენციული აუცილებელი მოგერიება არ არის ნებადართული, რადგან ხელყოფა არ არის იმწუთიერი. ასევე იმწუთიერი არ არის დამთავრებული ხელყოფა. სადავოა, დამთავრებულია თუ არა ხელყოფა და, შესაბამისად, არსებობს თუ არა აუცილებელი მოგერიების უფლება დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის შესრულების შემდეგ.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა გრძელდება და აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს მანამ, სანამ, მიუხედავად დანაშაულის იურიდიულად დამთავრებისა (თავდასხმა ყანალობის მიზნით, სსკ-ის 179-ე მუხლი), სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ჯერ კიდევ შეიძლება გადრმავედეს. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის იურიდიული დამთავრება და რეალური დასრულება არ ემთხვევა ერთმანეთს, რის გამოც აუცილებელი მოგერიების უფლება დანაშაულის რეალურად დასრულებამდე არსებობს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლება. მაგალითად, ცხელ კვალზე დამნაშაის დევნა ნივთის დასაბრუნებლად ხელყოფა ასევე წარმოადგენს იმწუთიერს მისი განგრძობადობის დროს, თუ არსებობს დაზიანების მიმყენებელი ქმედების მაშინვე კვლავ განმეორების რეალური საშიშროება.

(3) ხელყოფა ასევე უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, რომელიც გულისხმობს, რომ იგი ეწინააღმდეგება ცივილიზებულ სახელმწიფოთა კულტურის ნორმებით დადგენილ მართლწესრიგს. იგი უნდა იყოს ობიექტური (რეალური) და არა მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებული. ხელყოფის მართლწინააღმდეგობა, ბუნებრივია, გულისხმობს მის ობიექტურ (რეალურ) ხასიათს, მაგრამ ამ უკანასკნელზე ხაზგასმით მითითება იმ მიზანს ემსახურება, რომ მოხდეს აუცილებელი მოგერიების მოჩვენებითი მოგერიებისაგან გამიჯვნა, როგორც მისგან განსხვავებული მოვლენა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლი, რომელიც ეძღვნება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებულ ზიანს, მე-2 ნაწილში აუცილებელ მოგერიებას განსაზღვრავს სწორედ როგორც თავდაცვას რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად, ე.ი. ერთდროულად კუმულაციურად ცალ-ცალკე ასახელებს თავდასხმის რეალურობასა და მართლწინააღმდეგობას.

ხელყოფის მართლწინააღმდეგობა შეიძლება განხილულ იქნეს ორი სხვადასხვა: ხელმყოფის ან ხელყოფის მომგერიებლის პოზიციიდან. ავტორთა ერთი ჯგუფი მხარს უჭერს უფრო თანამედროვე პირველ პოზიციას, თუმცა მეორე პოზიციასაც ჰყავს ავტორიტეტული მიმდებრები, მაგალითად, *ჰანს-ჰაინრიხ იეშეკი*. (აუცილებელი მოგერიების ცნების შესახებ შეად. *H.-H. Jescheck. T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 338-344).

პირველი პოზიციის მიხედვით, ყოველი ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა, თუ იგი არღვევს ნებისმიერ სამართლებრივ ნორმას და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე ნორმით არ არის გაბათილებული. ხელმყოფი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ მას სამართლებრივად არა აქვს ამ ქმედების ჩადენის უფლებამოსილება.

ამის საწინააღმდეგოდ, უფრო ადრეული მოძღვრება ქმედების მართლწინააღმდეგობას განიხილავდა ხელყოფის მომგერიებლის პოზიციიდან და ამბობდა, რომ ხელმყოფი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ ხელყოფის მომგერიებელს არა აქვს ხელყოფის თმენის ვალდებულება.

II. აუცილებელი მოგერიების მეორე ნიშანი: უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება, გულისხმობს, რომ იგი უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისათვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვით საშუალებას. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის არსებობის მოთხოვნა, მაგრამ თავდაცვა არ არის მართლზომიერი სამართლებრივ სიკეთეთა შორის აშკარა შეუსაბამობის დროს. არ შეიძლება, მაგალითად, ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით.

არის თუ არა უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება ხელყოფის მოგერიებისათვის გათვალისწინებული აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, უნდა განისაზღვროს ორი კრიტერიუმით: ერთი მხრივ, დაცვის საშუალება უნდა იყოს მოწოდებული, ხელყოფა მყისიერად და, შეძლებისდაგვარად, საბოლოოდ აღკვეთოს ან მინიმუმ შეასუსტოს. მეორე მხრივ, თავდამცველი უფლებამოსილია, აირჩიოს დაცვის ეფექტური საშუალება, ე.ი. მას შეუძლია მისთვის საიმედო ყველაზე ნაკლებად საშიში საშუალება გამოიყენოს. ნაკლებად საშიში დაცვის საშუალებით მოგერიების ეფექტურობასთან დაკავშირებით ობიექტური ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში ნებადართულია უფრო მკაცრი საშუალების გამოყენება. ხელყოფის მომგერიებელს არავითარ შემთხვევაში არ ევალება რისკზე წასვლა თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის მართლზომიერი დაცვის დროს.

თუ მომგერიებელი ხელყოფისაგან თავდაცვის დროს თანაბრად ეფექტური საშუალებებიდან აირჩევს არა შედარებით მსუბუქ, არამედ - შეგნებულად საშიშ საშუალებას, ასეთ შემთხვევაში არ არსებობს არჩეული დაცვის საშუალების აუცილებლობა. ამ დროს, სსკ-ის 28-ე მუხლიდან გამომდინარე, გამართლება არ იქნება შესაძლებელი. ეს შემთხვევა ცნობილია ე.წ. აუცილებელი მოგერიების „ინტენსიური ექსცესის“ სახელწოდებით. ასეთ შემთხვევაში პირმა მოახდინა აუცილებელი მოგერიების „ინტენსივირება“, მისი ფარგლების გადაცილება. სსკ-ის 113-ე მუხლით, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი ქმედება გვაძლევს მკვლელობის პრივილეგიურ შემადგენლობას. აქ უნდა ვიგულისხმოთ შიშით, დაბნეულობით ან სხვა ანალოგიურ სიტუაციაში მოქმედება. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, იგი ამცირებს პასუხისმგებლობას, მაგრამ არ გამორიცხავს მას მართლწინააღმდეგობის ეტაპზე. (აუცილებელი მოგერიების ექსცესის მნიშვნელობის შესახებ იხ. ქვემოთ ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებებთან დაკავშირებით).

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში აუცილებელი მოგერიების ინტენსიური ექსცესი, რაც გამოწვეული იყო შიშით, დაბნეულობით ან სხვა ანალოგიურ ვითარებაში, გათვალ-

ისწინებული იყო, როგორც ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება, რომელიც კანონმდებელმა არ გაითვალისწინა.

შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც ცნობილია ე.წ. მოჩვენებითი (პუტატიური) მოგერიების სახელწოდებით, ისევე როგორც შეცდომა ხელყოფის იმწუთიერობასთან დაკავშირებით, რომელიც ცნობილია ე.წ. ექსტენსიური აუცილებელი მოგერიების ექსცესის სახელით, შესაძლებელია, გახდეს ბრალის ეტაპზე ე.წ. ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება (ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებების შესახებ იხ. ქვემოთ).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პირს აუცილებელი მოგერიების უფლებას არ უსპობს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შეუძლია გაქცევით ან სხვა მისი პიროვნული ღირსების დამამცირებელი ქცევით თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას. კანონი არ ავალდებულებს მართლზომიერად მოქმედ პირს, რომ დაუთმოს მართლწესრიგის ხელმყოფს. სამართალს არ მოეთხოვება თავი დახაროს უმართლობის წინაშე.

აუცილებელი მოგერიების დროს უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება არ შეიძლება მიმართული იყოს მესამე პირის წინააღმდეგ, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხის უშუალო წყაროს. მაგალითად, თუ პირი თავს დაიცავს მესამე პირის ნივთის დაზიანებით, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხის წყაროს, მაშინ ერთდროულად იქნება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ორი გარემოება: თავდამსხმელის მიმართ აღგილი ექნება აუცილებელ მოგერიებას, ხოლო ქონების დაზიანების მიმართ – აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობას, რაზედაც საუბარი იქნება ქვემოთ.

გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება აუცილებელი მოგერიების დროს ზიანი მიადგეს მესამე პირთა სამართლებრივ სიკეთეს, როცა მას თავდამსხმელი იყენებს, რადგან ის არის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შემადგენელი ნაწილი.

III. შემდგომ, მესამე, ეტაპად უნდა დადგინდეს აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტის არსებობა, კერძოდ, მომგერიებლის მიერ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამაფუძნებელი გარემოებების ცოდნა და, შესაბამისად, თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი.

აუცილებელი მოგერიების სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით არსებობს სამი შეხედულება:

პირველი მათგანი მნიშვნელოვნად და აუცილებლად არ მიიჩნევს გამართლების სუბიექტური ელემენტის არსებობას;

მეორე პოზიცია საკმარისად მიიჩნევს აუცილებელი მოგერიების სიტუაციის ცოდნას;

მესამე, გაბატონებული პოზიცია, პრინციპულად მოითხოვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სუბიექტური ელ-

ემენტის ორივე კომპონენტის (ცოდნა და ნებელობა) ერთდროულად არსებობას. ამასთან, აუცილებელი მოგერიების ობიექტური მდგომარეობის ცოდნა წარმოადგენს თავდაცვის სურვილის წინაპირობას.

კანონმდებლის პოზიციიდან გამომდინარე, აუცილებელი მოგერიების ორი სახე: აუცილებელი თვითდაცვა და აუცილებელი დახმარება თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან, გარდა სწორედ სუბიექტური ელემენტის შინაარსისა. სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა ე.წ. „თავდაცვის ორმაგი ნების“ თეორია. მისი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებელი მოგერიების დროს, თუ იგი ხორციელდება აუცილებელი დახმარების ფორმით, ხელყოფის უშუალო მომგერიებელს უნდა ჰქონდეს სხვა პირის დაცვის სურვილი და იგი იმავდროულად არ უნდა მოქმედებდეს იმ სხვა პირის ნამდვილი ნების საწინააღმდეგოდ, რომელსაც უშუალოდ შეეხება ხელყოფა. საკმარისია მისი სავარაუდო თანხმობის არსებობა და არ არის აუცილებელი, დახმარების სურვილი სიტყვით ან მოქმედებით იქნეს გამოხატული.

აუცილებელი მოგერიების ორი კომპონენტის - ობიექტურისა და სუბიექტურის ერთობლიობას აქვს თავისი სამართლებრივი შედეგები. აუცილებელი მოგერიების დროს ობიექტურად უნდა არსებობდეს თავდასხმა და სუბიექტურად პირს უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი.

მაგალითად, ა.-ს მოკვლის განზრახვით მიუახლოვდა ბ. ამის შესახებ ა.-მ არ იცოდა და ბ.-ს ხულიგნური ქვენაგრძნობით მოკლავს. ობიექტურად სახეზე გვაქვს თავდასხმის მოგერიება, მაგრამ სუბიექტურად ა.-ს არ ჰქონდა თავდაცვის მიზანი. ამიტომ, ეს შემთხვევა წარმოადგენს არა აუცილებელ მოგერიებას, არამედ განზრახ მკვლელობას ხულიგნური ქვენაგრძნობით, რადგან სახეზე არ არის აუცილებელი მოგერიების ორივე კომპონენტი, კერძოდ, პირს არ ჰქონდა თავდაცვის მიზანი.

როგორც ზემოთ, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების სუბიექტური მხარის დახასიათებისას აღინიშნა, კონკრეტულად, აუცილებელი მოგერიების დროსაც სუბიექტური ელემენტის არსებობის გარეშე არ არსებობს მართლზომიერება. იმ შემთხვევაში, როცა პირს სუბიექტურად არა აქვს შეცნობილი აუცილებელი მოგერიების ვითარების არსებობა, იგი დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის. ამით გამოვხატავ იმ შეხედულების საწინააღმდეგო პოზიციას, რომლის მიხედვითაც, ობიექტურად არსებული აუცილებელი მოგერიების ვითარების შემთხვევაში უნდა მოხდეს ჩადენილი ქმედების მცდელობის ანალოგიით კვალიფიკაცია (იხ.: *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 329-330; ასევე: *G. Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil*, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 361 და სხვ.).

მიმაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში არ არის შესრულებული გამართლებისათვის აუცილებელი წინაპირობები, რადგან პირი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარების ცოდნისა და თავდაცვის მიზნის გარეშე, რის გამოც დამთავრებული დანაშაულის მართლწინააღმდეგობა სახეზეა. ჩემი აზრით, არ იქნება სწორი აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტის ობიექტური მდგომარეობით კომპენსაცია, რის გამოც არ უნდა იქნეს ანალოგიით გამოყენებული მცდელობის კონსტრუქცია.

კლასიკური სისტემისაგან განსხვავებით, ნეოკლასიკური სისტემიდან მომდინარე, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დასადგენად, ობიექტურის გარდა, მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ ფაქტორსაც. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმით რომ დგინდებოდეს, ქმედებას ვერ მიეცემდით სწორ კვალიფიკაციას. სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ქმედების ჩამდენი პირის მიზნის დადგენა. კერძოდ, ფანჯრის ჩამტვრევა ბინის გაქურდვის მიზნით მართლსაწინააღმდეგოა, ხოლო ხანძრის შემთხვევაში, ბავშვის გადარჩენის მიზნით - მართლზომიერი ქმედება.

მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებია:

1. ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაშასადამე, რეალური. (ამით შეგნებულად ხაზს ვუსვამ თავდასხმის რეალურობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას);

2. ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი;

3. ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი;

4. ხელყოფა უნდა იყოს სუბიექტურად სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.

მოვიყვანოთ ამ პირობათა არსებობის საილუსტრაციო მაგალითები:

ა. თავს ესხმის ც.-ს მოსაკლავად. ც.-მ დაასწრო და მოკლა იგი. ასეთი თავდაცვითი მოქმედება აუცილებელი მოგერიებაა. სახე-ზეა მართლზომიერების ყველა ჩამოთვლილი პირობა ერთობლივად.

შეურაცხადი ა. თავს ესხმის ც.-ს. ც.-მ დაასწრო და მოკლა შეურაცხადი პირი. ადამიანისაგან, თუნდაც იგი ასაკის ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო იყოს შეურაცხადი, მომდინარე თავდასხმა შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო და ამიტომ მისი მოგერიება შეიძლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით იქნეს გამართლებული. თუ პირს ცხოველი დაესხმება თავს, მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება იქნება უკიდურესი აუცილებლობა, ვინაიდან ის არაა ადამიანი და, ამდენად, არც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის ავტორი შეიძლება იყოს.

აუცილებელი მოგერიების დროს ზიანი შეიძლება მიაღვეს მხოლოდ საფრთხის წყაროს. მაგალითად, რესტორანში თავდასხმის

დროს, თუ მომგერიებელი გამოიყენებს რესტორნის ჭურჭელს, რითაც იგი მიაყენებს ზიანს მესამე პირს, რასაც შედეგად მოჰყვა ქონების განადგურება ან დაზიანება, მომგერიებელი ქონებასთან მიმართებაში შეიძლება გამართლდეს არა აუცილებელი მოგერიების, არამედ - უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით.

ხელყოფის რეალურობის მაგალითი: ა.-მ მოკლა ც., რომელსაც უნდოდა ა.-ს მხოლოდ შეშინება, თუმცა მომგერიებლის წარმოდგენით იგი რეალურ თავდასხმას ახორციელებდა (ე.წ. მოჩვენებითი მოგერიება).

ასეთი შემთხვევა არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას, ვინაიდან თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური, არამედ მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა. მოჩვენებითი თავდასხმის მომგერიებელი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ მისი ბრალი არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა იყო მისატყვებელი. თუ შეცდომა მიუტყვებელია, მაშინ იგი დაისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო, თუ შეცდომას არ უშვებს და იცის, რომ ც. ხუმრობით ან შეშინების მიზნით დაესხა თავს, მაგრამ ასეთ სიტუაციას იყენებს თავის სასარგებლოდ, ა.-ს ქმედებაში იქნება განზრახი მკვლელობის ნიშნები.

ეს დებულება აღიარებულია ქართულ, ისევე, როგორც გერმანულ, სისხლის სამართალში. კერძოდ, თუ პირი შეცდომით ფიქრობს, რომ არსებობს მისი მოქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება (მაგალითად, მას ჰგონია, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში), განზრახ მკვლელობა გამომრიცხულია და მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის (იხ. *თინათინ წერეთლის შეხედულება წიგნში: ე. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი*, 1980, გვ. 13).

მეორე პირობის - ხელყოფის იმწუთიერობის მაგალითი: ა. თავს დაესხა ც.-ს. ც.-მ მოიგერია, ხოლო შემდეგ, როცა საფრთხე უკვე აღარ არსებობდა, შურისძიებით მოკლა ა. ეს შემთხვევა არ შეფასდება აუცილებელ მოგერიებად, ვინაიდან ც.-ს მიერ ა.-ს მოკვლა არ მომხდარა იმწუთიერი ხელყოფის აღსაკვეთად. თუ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობამ გადაიარა და მერე მოხდა მკვლელობა, ეს იქნება მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე (სსკ-ის 108-ე მუხლი). ასევე, თუ პირმა წინასწარ მოკლა პირი, რომელიც, მისი წარმოდგენით, მომავალში მოკვლას უპირებდა, მაშინ, როდესაც მას ჰქონდა სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობა, არ ჩაითვლება იმწუთიერ თავდასხმად. მომავალი რეალური საფრთხის წინასწარ აღკვეთა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება (ე.წ. *ოჯახის ტირანის შემთხვევა*, როცა იგი არაიმწუთიერ საფრთხეს უქმნის ოჯახის სხვა წევრს და საფრთხის თავიდან აცილება სხვა გზით შეუძლებელია).

აუცილებელი მოგერიების ექსცესი გვექნება იმ შემთხვევაში, თუ მომგერიებელი ვერ მოზომავს მოგერიების ფარგლებს და მას გადააცილებს. მაგალითად, სსკ-ის 113-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლები შეიძლება გადააცილოს შიშით, დაბნეულობით ან სხვა ექსტრემალური სიტუაციის გამო. თუ პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს ასეთი გარემოებების გარეშე პირდაპირი განზრახვით გადააცილა, გვექნება განზრახი მკვლელობა (აუცილებელი მოგერიების ექსცესის შესახებ იხ. ქვემოთ ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებებთან დაკავშირებით).

იმ შემთხვევაში, როცა ქურდი გარბის მოპარული ნივთით, ქურდობა, მართალია, იურიდიულად დამთავრებულია, მაგრამ თავდასხმა ჯერ კიდევ იმწუთიერია. ამდენად, ჯერ კიდევ არსებობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა მანამ, სანამ ქონების დაუყოვლებლი უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლება. თუ მოგვიანებით პატრონმა მიაგნო მოპარულ ნივთს, მას უფლება აქვს, მიიღოს ზომები ამ ნივთის უკან დასაბრუნებლად, მათ შორის - ძალის გამოყენებით, მაგრამ მისი მოქმედება არ იქნება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით გამართლებული, თუმცა, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, მისი მოქმედება ჩაითვლება მართლზომიერად (სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი).

მესამე პირობის - ხელყოფის რელევანტურობის მაგალითია: ა. გადაძვრა ბ.-ს ბაღში ვაშლის მოსაპარად. ბ.-მ მოკლა ა. ასეთ შემთხვევაში ბ. დაიხჯება, ვინაიდან ა.-ს მოქმედება (ვაშლის მოპარვა) წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას, მაგრამ არ იყო რელევანტური, ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხელყოფა.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს ობიექტურად მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე განხორციელებულ თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, თუმცა სუბიექტურად მომგერიებლის წარმოდგენაში თავდაცვის ასეთი აშკარა შეუსაბამობა არ არსებობს.

დაცული სამართლებრივი სიკეთე შესაძლებელია, ცოლფასი ან თუნდაც ნაკლები იყოს ხელმყოფის მიერ დაზიანებულ სიკეთესთან შედარებით, მაგრამ არ უნდა იყოს აშკარა შეუსაბამობა ხელყოფისა და დაცვის ობიექტებს შორის.

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების მაგალითები სამართლებრივი სიკეთეების აშკარა შეუსაბამისობის არარსებობის გამო, როცა მართლზომიერების სხვა პირობები სახეზეა:

ა. თავს ესხმის ბ.-ს სხეულის მძიმე დაზიანების მიზნით. ბ. კლავს ა.-ს. ასეთ შემთხვევაში ბ.-ს მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან სამართლებრივ სიკეთეთა შორის აშკარა შეუსაბამობა არა გვაქვს.

ა. თავს ესხმის ც.-ს გაუპატიურების მიზნით. ა.-ს კლავს ც. ან მის დასახმარებლად მოსული ბ. აქაც მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან აშკარა შეუსაბამობა არა გვაქვს.

ა.-მ უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება ც.-ს. ც. აღმოჩნდა მძიმე პირობებში და თავის დახსნის მიზნით მოკლა ა. მოქმედება აქაც მართლზომიერია, მაგრამ თუ პირი ოთახში ჩაკეტეს მცირე ხნით, სადაც აუტანელი პირობები არ არის, მაშინ მოკვლა არ იქნება მართლზომიერი. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შევაფასოთ, ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე განხორციელებულ თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

ა.-ს გაუვიდა პატიმრობის ვადა. ციხის უფროსმა ბ.-მ იგი შეგნებულად არ გაათავისუფლა. ა.-მ დააზიანა გუშაგი, რომელიც შეგნებულად ასრულებდა ციხის უფროსის უკანონო ბრძანებას და გაიქცა ციხიდან. ა.-ს მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან ამ შემთხვევაში აშკარა შეუსაბამობა არა გვაქვს.

ა.-ს სასამართლომ უკანონოდ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა. მან მოკლა გუშაგი ბ. და გაიქცა ციხიდან. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება განზრახ მკვლელობას, ვინაიდან ბ. არ არის ხელმყოფი, ვინაიდან იგი არ აყენებს ა.-ს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას. ამ შემთხვევაში აუცილებელ მოგერიებაზე და არც მის გადაცილებაზე საუბარი არ შეიძლება.

როგორც ვხედავთ, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა აუცილებელი მოგერიების დროს შეიძლება გამოიხატოს არა მარტო აქტიურ თავდასხმაში, არამედ უმოქმედობაშიც. მაგალითად, ზოგჯერ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მოგერიება.

ნამდვილი უმოქმედობის დროს ხელყოფა შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობაში, რისი მოგერიების უფლებაც პირს წარმოეშობა.

სხვა დანარჩენ ნიშნებთან ერთად, გარკვეულ შემთხვევებში ცალკე უნდა შემოწმდეს: აუცილებელი მოგერიების ნებადართულობა, მაგალითად, უმნიშვნელო ზიანის დროს. (აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალ-ეტიკური შეხედულების შესახებ იხ. ქვემოთ).

6.5.3 ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლება აუცილებელი მოგერიების დროს

აუცილებელი მოგერიების დროს სამართლებრივი დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც პიროვნება, ასევე ქონებრივი სიკეთე. როცა თავდასხმა ხდება ქონებრივ (მატერიალურ) სიკეთეზე, აუცილებელი მოგერიების ფარგლები შეზღუდულია ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 2(ა) აბზაცით. (აუცილებელი მოგერიებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ურთიერთმიმართების შესახებ იხ. *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 349-350*).

ეს ნორმა კრძალავს მატერიალური სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზნით გამიზნულ მკვლელობას.

უფიქრობ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლიდან გამომდინარეობს კონვენციის ამ ნორმის ისეთი ინტერპრეტაცია, რომ იგი იცავს სიცოცხლის უფლებას და მის დაცვას სახელმწიფოს ავალდებულებს. ამიტომ, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ პირის გამიზნული განზრახვი მკვლელობა ქონების გადარჩენის მიზნით, წარმოადგენს კონვენციით დაცული სიცოცხლის უფლების ხელყოფას.

არგუნენტაცია შეიძლება ორი სხვადასხვა პოზიციიდან:

(1) **საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების სფეროს მიხედვით**, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არეგულირებს მხოლოდ ურთიერთობას სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის და, შესაბამისად, კრძალავს ადამიანის მოკვლას მხოლოდ ამ ურთიერთობებში და არა ფიზიკურ პირთა ურთიერთობებში;

(2) **შინაარსის მიხედვით**, ადამიანის მოკვლა ქონების გადარჩენის მიზნით სოციალ-ეთიკური თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს აშკარად ურთიერთშეუსაბამოდ.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, შვეიცარიაში, განვითარებული დოქტრინა უფრო შორს მიდის და არამართლზომიერად მიიჩნევენ განზრახვი სიცოცხლის ყოველგვარ მოსპობას აუცილებელი მოგერიების დროს ქონებრივი (მატერიალური) სამართლებრივი სიკეთის გადარჩენად, მათ შორის – ფიზიკური პირის მხრიდან საკუთარი ქონების დაცვის მიზნით. გერმანული დოქტრინა შესაძლებლად მიიჩნევენ ფიზიკური პირის მიერ აუცილებელი მოგერიების დროს ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზნით თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობას, რადგან მიიჩნევენ, რომ კონვენციის მე-2 მუხლით შებოჭილი არიან მხოლოდ სახელმწიფოს სახელით მოქმედი საჯარო მოხელეები და მოსამსახურეები და არა ჩვეულებრივი ფიზიკური პირები.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა *სამი* განსხვავებული თეორია (იხ. *B. Heinrich, Strafrecht - AT I*, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 147-150):

(1) **აბსოლუტური თეორიის (absolute Theorie)** მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2(a) აბზაცი მოქმედებს აბსოლუტურად და ნებისმიერი პირისათვის და კრძალავს ადამიანის მოკვლას მატერიალური სამართლებრივი სიკეთის დასაცავად;

(2) **დაცვის უფლების თეორიით (Schutzrechtstheorie)**, რომელიც წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას, ეს ნორმა მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობაში, რის გამოც, სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ცალკეული ფიზიკური პირებისათვის აუცილებელი მოგერიების უფლება არ არის წარმეული და მათ აქვთ სიცოცხლის მოსპობით ქონების დაცვის უფლებაც;

(3) **თანხვედრის თეორიის (Übereinstimmungstheorie)** მიხედვით, ორივე შემთხვევაში მოქმედებს ერთი და იგივე წესი და კონვენცია არ კრძალავს ადამიანის მოკვდინებას მატერიალური სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად. თუმცა, როგორც მეორე, ასევე ამ თეორიის მიხედვითაც, განზრახ სიცოცხლის მოსპობის დროს მოქმედებს აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვები.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი („აუცილებელი მოგერიება“) პირდაპირ არ პასუხობს კითხვაზე, თუ რომელი თეორიით უნდა განისაზღვროს ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლების შინაარსი აუცილებელი მოგერიების დროს. ნორმის ინტერპრეტაციის შედეგად მივიღებთ დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მივიანიჭოთ და ქართული სისხლის სამართლისათვის კანონშესაბამისად უნდა მივიჩნიოთ დაცვის უფლების თეორია.

6.5.4 საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლების გამომყენების შეზღუდვა

ტრადიციულად, სისხლის სამართალში საკამათოა საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, მაგალითად, პოლიციელს, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების ზოგადი უფლება, თუ მისი მოქმედების მართლზომიერების შეფასება ყოველთვის უნდა მოხდეს პოლიციის შესახებ საჯარო-სამართლებრივ კანონმდებლობაში მოცემული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სპეციალური გარემოებებით, რომლებიც უშუალოდ *თანაზომიერების* პრინციპს ეფუძნებიან (შეად. *K. Hoffmann-Holland, Strafrecht, AT, 2007, გვ. 74*).

ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში არსებობს პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა გზები (იხ. *B. Heinrich, Strafrecht - AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 165-167*; იხ. აგრეთვე *H. Matt, Strafrecht, AT I, 1996, გვ. 149-150*).

(1) პრობლემის სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტა (ე.წ. **წმინდა სისხლისსამართლებრივი თეორია (როქსინი, ქიული, ვესელსი/ბოილეკე) - rein strafrechtliche Theorie**), რომელიც წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას, მიიჩნევს, რომ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, მაგალითად, პოლიციელს, ისევე როგორც ყველა სხვა პირს, აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება, ვინაიდან ის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის მოგერიების დროს თავდამსხმელის მოგერიების მართლზომიერების პირობებით იმაზე მეტად არ შეიძლება იყოს შეზღუდული, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. დასაბუთებებში

ხშირად აღნიშნავენ, რომ პოლიციელი უფლებამოსილია, მოქმედებდეს, როგორც კერძო ფიზიკური პირი, როცა იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მართლზომიერად იცავს თავის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს.

(2) პრობლემის პოლიციურ-სამართლებრივი გადაწყვეტის მიხედვით (ე.წ. **წმინდა საჯაროსამართლებრივი თეორია** (*იაკობსი, ბლანი, ზელმანი*) - *rein öffentlich-rechtliche Theorie*), ყველა საჯაროსამართლებრივ იძულებით დონისძიებას აქვს მკაცრად განსაზღვრული პრიორიტეტი სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებთან შედარებით. საჯარო სამსახურში მყოფ პირს სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროს არ შეუძლია იმოქმედოს აუცილებელი მოგერიებით, ისე, როგორც კერძო ფიზიკურმა პირმა.

(3) პრობლემის გადაწყვეტის **ღიშვანციონიანი თეორიის** (*Trennungstheorie*) მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით განხორციელებული უფლებამოსილებები და ზოგადი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. თუ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მოქმედებს აუცილებელი მოგერიების ზოგადი უფლებით, ასეთ შემთხვევაში იგი მოქმედებს არა როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი, არამედ, როგორც კერძო ფიზიკური პირი. თვითდაცვის უფლება არ შეიძლება ვინმეს წაერთვას. იგივე წესი მოქმედებს აუცილებელი დახმარების დროსაც, რომელიც წარმოადგენს კერძო სოლიდარობის აქტს. ასეთ ურთიერთობებში არ მოქმედებს პროპორციულობის პრინციპის შეზღუდვები. სისხლის სამართალი და საპოლიციო სამართალი წარმოადგენენ ერთმანეთისაგან სრულიად გამიჯნულ სამართლებრივ მასალას საკუთარი უფლებებითა და მოვალეობებით.

(4) პრობლემის შეზღუდული სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტა (ე.წ. **თვითდაცვის თეორია** (*ამელუნგი, შუნემანი, პირში*) - *Selbstverteidigungstheorie*) ასეთია: თავისი უფლებამოსილებების განხორციელების დროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი მოქმედებს საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში, რომელიც ეფუძნება თანაზომიერების პრინციპს. ერთადერთ გამონაკლისს მხოლოდ ის შემთხვევა წარმოადგენს, როცა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი აუცილებელი მოგერიების უფლებას მართლზომიერად იყენებს საკუთარი სამართლებრივი სიკეთის თვითდაცვის მიზნით. ყველა სხვა სპეციფიკური პოლიციურ-სამართლებრივი ამოცანები უნდა განხორციელდეს პოლიციის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით. შესაბამისად, თვითდაცვისაგან განსხვავებით, აუცილებელი დახმარება, რომელიც ასევე წარმოად-

გენს აუცილებელ მოგერიებას, უნდა განხორციელდეს სწორედ პოლიციის შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში. ასეთი განსხვავებული მიდგომის დასაბუთება მდგომარეობს იმაში, რომ საჯაროსამართლებრივმა კანონმდებლობამ, თუ პოლიციელის ან საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი სხვა პირის მიმართ ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, არ შეიძლება, წაართვას მას ბუნებითი სამართლიდან მომდინარე თვითდაცვის უფლება. მაშასადამე, ამ პოზიციის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების დროს აუცილებელი თვითდაცვისა და სხვისთვის აუცილებელი დახმარების შემთხვევები სხვადასხვანაირად განიხილება. ასეთ განსხვავებულ მიდგომას ზოგიერთი ავტორი ხელოვნიურად და კანონშეუსაბამოდ მიიჩნევს, თუმცა უნდა აღინიშნოს ასეთი დეფერენციაციის დასაბუთებულობის დამაჯერებლობა. ამასთან, პოლიციური მოქმედებები დამნაშავეობასთან ბრძოლაში ყოველთვის წარმოადგენენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს და უნდა განხორციელდნენ პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე.

6.5.5 აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვები

გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია სოციალ-ეთიკური მომენტებით (იხ.: *J. Wessels, W. Beulke, Strafrech. AT*, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 118-122; *H. Matt, Strafrecht, Allgemeiner Teil I*, 1996, გვ. 136-143; *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I*, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 145-148; *G. Stratenwerth, Schweizerisches Strafrecht, AT I: Die Straftat*, მე-3 გამოცემა, 2005, გვ. 242-244).

მთლიანობაში შეიძლება გამოიყოს *ხუთი* სხვადასხვა ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულად, მაგრამ საბოლოო ჯამში შინაარსობრივად შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

(1) უმნიშვნელო ხელყოფა, ისევე როგორც თავდაცვისა და თავდასხმის ხასიათისა და საშიშროების ასევე ურთიერთშეუსაბამობა, მაქსიმალურად ზღუდავს ან საერთოდ გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების უფლებას. ამ დროს ხელყოფა უნდა იქნეს მოთმენილი ან „პატარა“ ხელყოფაზე უმნიშვნელოდ, სამართლებრივი სიკეთის არსებითი დაზიანების გარეშე, რეაგირებული;

(2) არაბრალუნარიანი, შეურაცხადი, პირის მხრიდან ხელყოფის დროს აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია. პირი ასეთ თავდასხმას შეძლებისდაგვარად შეგნებულად უნდა განერიდოს, ამასთან, ხელმყოფის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მეტი დეფენზიური (თავდაცვითი), ვიდრე აგრესიული (ზიანის მიმყენებელი) მოქმედებები. ამ ჯგუფში უნდა მოვიპოვოთ ბავშვის, ფსიქიკურად ავადმყოფის ან მთვრალი ადამიანის მოქმედება, რომელიც არის შეურაცხად ან შეზღუდული შერაცხადლობის მდგომარეობის.

მარეობაში. აქვე შეიძლება განვიხილოთ ე.წ. იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას.

ვენის უნივერსიტეტის პროფესორი *ჰელმუტ ფუქსი* თავის სახელმძღვანელოში (იხ. *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 148*) სწორად მიუთითებს იმის შესახებ, რომ ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, მისი მხრიდან ხელყოფის განხორციელების დროს, აუცილებელი მოგერიების უფლება არ უნდა შეიზღუდოს. დასაბუთება არის ის, რომ ასეთი პირი კანონის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ არ იმყოფება, რადგან იგი სწადის სოციალურად საზიანო ქმედებას.

(3) როცა ხელყოფა ხდება ახლო სოციალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანის მიერ, ოჯახურ და ახლობლურ სფეროში და ადგილი აქვს მსუბუქ დაზიანებებს, აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია. ამ შემთხვევაშიც პირი მოგერიებას ახლობლისათვის ზიანის მიყენების გზით უნდა მოერიდოს და უნდა მიმართოს უფრო თავდაცვით საშუალებებს.

ამ შემთხვევაშიც, *ფუქსი* (იხ. *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 148*) ოჯახურ წრეში აუცილებელი მოგერიების უფლების შეზღუდვას სამართლიანად არ ეთანხმება და კითხულობს: რატომ არ უნდა ჰქონდეს ცოლს უფლება, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოიგერიოს მთავარი მეუღლის მხრიდან ხელყოფა, რომელიც მას ისეთ ცემას უპირებს, რომ შესაძლებელია, „საავადმყოფოში გაამწესოს“?

(4) გაბატონებული შეხედულების მიხედვით, აუცილებელი მოგერიების გამიზნული და განზრახი, სოფ შემთხვევაში კი, შეგნებულ პროვოკაცია არ იძლევა აუცილებელი მოგერიების უფლებას. საკმარისია, რომ ასეთი პროვოკაცია გამოიხატოს სოციალ-ეთიკურად გასაკიცხ ქმედებაში და არ არის სავალდებულო, რომ წარმოადგენდეს მართლსაწინააღმდეგოს. თუ წინარე მოქმედება არ არის გასაკიცხი, მაშინ არ არსებობს აუცილებელი მოგერიების უფლების შეზღუდვის საფუძველიც. (შეად. *R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 167-169*).

(5) აუცილებელი მოგერიების არაგანზრახი, განსაკუთრებით არაშეგნებული (დაუდევარი), ბრალეული პროვოკაციის დროს აუცილებელი მოგერიების უფლება გაბატონებული შეხედულებით არსებობს მხოლოდ შეზღუდულად. პირველ ეტაპზე პირი უნდა შეეცადოს ხელმყოფისათვის თავის არიდებას ან საშეველად უნდა უხმოს სხვა მესამე პირს. მეორე ეტაპზე იგი უნდა შეეცადოს მოგერიებას მხოლოდ თავდაცვითი საშუალებებით და მხოლოდ ამის შემდეგ, მესამე ეტაპზე, შეუძლია მოგერიება ხელმყოფის სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გზით. (შეად. *R. Rengier, Strafrecht, AT, 2009, გვ. 164-167*).

6.5.6 *Actio illicita in causa* ?

თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ცალკე მინდა გამოყოფილი აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის საკითხი.

(1) გაბატონებული შეხედულების მიხედვით (იხ.: *C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 687-688; *J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT*, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 119-121), თუ მომგერიებელმა თავდასხმის განზრახი პროვოკაცია მოახდინა, რათა თავდამსხმელი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოექცა (ე.წ. განზრახი ან გამიზნული პროვოკაცია), მისი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად. იგი უნდა დაისაჯოს განზრახი დანაშაულისათვის (ე.წ. სამართლის ბოროტად გამოყენების თეორია).

(2) თუ პირმა თავდასხმა, მართალია, არა განზრახ, მაგრამ წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოიწვია (ე.წ. გაუფრთხილებლობითი პროვოკაცია), მაშინ აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ შეზღუდულად არსებობს.

ეს ორი გაბატონებული დებულება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ქართული სისხლის სამართლის კოდექსით, არამედ წარმოადგენს ე.წ. დაუწერელ ნორმას და ინტერპრეტაციის გზით შეიძლება აუცილებელი მოგერიების უფლების ამგვარი სოციალურ-ეთიკური შეზღუდვა, თუმცა არსებობს სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც.

ეკრძოდ, ამ პოზიციისგან განსხვავებით, ზოგიერთი ავტორი აყენებს საყურადღებო თეორიას: იმ პირს, ვინც მასზე ან სხვაზე განხორციელებული ხელყოფა (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) გამოიწვია, ან ვისაც შეეძლო თავიდან აეცილებინა აუცილებელი მოგერიების სიტუაციაში ჩავარდნა, სრულად აქვს მოგერიების უფლება, როცა სამართლებრივი სიკეთე ფაქტობრივად მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მდგომარეობაში აღმოჩნდება (იხ. *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I*, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 146).

მართლაც, ვინც გვიან საღამოს ლისის ტბის ტერიტორიაზე სეირნობს მეგობარ გოგონასთან ერთად, თუმცა იცის, რომ შესაძლებელია, ამ დროს მათზე განხორციელდეს თავდასხმა, უფლება აქვს, ჩვეულებრივად გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება, თუ მათზე რეალურად განხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. ასეთ დროს, მით უმეტეს, გაუფრთხილებლობითი პროვოკაციის შემთხვევაში, მას არ მოეთხოვება, ეცადოს, რომ შედეგი თავიდან სხვაგვარად აიცილოს. არც გამიზნული პროვოკაციის დროს არსებობს ისეთი სიტუაციის თავიდან აცილების ვალდებულება, რომელშიც მოსალოდნელია მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა. მაშასადამე, განზრახ პროვოცირებული მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის დროსაც პირს უნარჩუნდება აუცილებელი მოგერიების სრული უფლება. ამასთან დაკავშირებით ფუქსი აყენებს კაზუსს და ცდილობს, აუცი-

ლებელი მოგერიების პროვოკაციის დროს დაასაბუთოს აუცილებელი მოგერიების უფლების არსებობა:

ვინც გვიან ღამით ქალაქგარეთ მეტროთი შეგნებულად მგზავრობს, რათა ბოროტმოქმედები დაესხნენ თავს, ამასთან, მის შესაძლებლობებზე დაყრდნობით, ფიქრობს, თავდამსხმელი აუცილებელი თავდაცვის უფლებით მოიგერიოს, მართალია, აუცილებელი მოგერიების სიტუაციას უკეთებს პროვოკაციას, მაგრამ სანამ თავდამცველი მეტს არ გააკეთებს, ვიდრე მისი თავდაცვისათვის აუცილებელია, არ არსებობს კანონიერი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით თავის გამართლება (იხ. *H. Fuchs*, იქვე, გვ. 147).

მაშასადამე, უმცირესობის პოზიციით, პროვოკაციული წინარე მოქმედება არ გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების უფლებას და ეს უფლება შეიძლება რეალიზებულ იქნეს ჩვეულებრივი წესით.

მართლაც, მიუხედავად პროვოკაციისა, თავდამსხმელის ხელყოფა წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოს, ხოლო მოგერიება ხორციელდება თავდაცვის მიზნით. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები სახეზეა, რის გამოც პირს მოგერიების უფლება არ უნდა წაერთვას. თუ პირს ასეთი უფლება მოესპობა, მაშინ სამართალი უმართლობის წინაშე აღმოჩნდება თავდახრილი.

თუ აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის დროს პირს არ ექნება მოგერიების უფლება, მაშინ დგება საკითხი, თუ როგორ უნდა დასაბუთდეს მომგერიებლის პასუხისმგებლობა?

სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა სამართლებრივი ინსტიტუტი: *actio illicita in causa* (მოქმედება, რომელიც საწყისში არ არის ნებადართული), რომელიც ცდილობს დაასაბუთოს იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც გასაკიცხი ფორმით, ე.ი. გამიზნულად ან სხვაგვარად გასაკიცხად, აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას გამოიწვევს. ამ თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის შემოწმების დროს მნიშვნელოვანია არა უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება, არამედ პროვოცირებული წინარე მოქმედება; სიტუაციის პროვოკაციის გამო თავდამცველი შეიძლება დაისაჯოს პროვოკაციული ქმედებისათვის *actio illicita in causa*-ს წესების მიხედვით, რადგან მისი მოქმედება იყო მიზეზი არა მარტო თავდასხმის განხორციელებისათვის, არამედ ასევე თავდამსხმელის დაზიანებისათვის.

ეს თეორია უარყოფილ უნდა იქნეს, რადგან არ შეიძლება, ის, ვინც თუნდაც სოციალ-ეთიკურად გასაკიცხად გამოწვეულ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ნებადართულ მოგერიებით მოქმედებას განახორციელებს, წინარე მოქმედებით გამოწვეული ქმედებისათვის დაისაჯოს.

6.6 უკიდურესი აუცილებლობა

აუცილებელი მოგერიების შემდეგ უკიდურესი აუცილებლობა მარტლწინააღმდეგობის გამომრიცხველი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსში 30-ე მუხლი ეძღვნება.

ამ მუხლის მიხედვით, უკიდურესი აუცილებლობა ნიშნავს სხვის (ხელმოყოფის ან სხვა პირის) დაზიანებას იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და დაზიანებული სიკეთე გადარჩენილზე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო.

აუცილებელი მოგერიების დროს უკიდურესი მდგომარეობის არსებობის კრიტერიუმი, რომელიც წარმოშობს მოგერიების უფლებას, მეტად მკაცრია. იგი მოითხოვს იმწუთიერი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ვითარებას. უკიდურესი აუცილებლობის დროს კი, უკიდურესი მდგომარეობის გამოსახატავად საკმარისია მოსალოდნელი საფრთხის არსებობა, რომელიც, როგორც წესი, არ უნდა მომდინარეობდეს ადამიანის მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან. შესაბამისად, შედარებით შეზღუდულია უკიდურესი აუცილებლობის დროს ნებადართული მოგერიებითი მოქმედებების შესრულების ფარგლები, რადგან, აუცილებელი მოგერიებისაგან განსხვავებით, უკიდურესი აუცილებლობის დროს ყოველთვის უნდა შემოწმდეს სამართლებრივ სიკეთეთა და მოსალოდნელი საფრთხის ხარისხის თანაზომიერების (შესაბამისობა) გამოყენებული საშუალების ეფექტურობის ხარისხთან. აუცილებელი მოგერიების დროს კი, როგორც წესი, ძირითადად არ ხდება სამართლებრივ სიკეთეთა თანაზომიერების დადგენა, რადგან შესაძლებელია, უფრო ნაკლები ღირებულების სამართლებრივი სიკეთის, (მაგალითად, ჯანმრთელობა), გადარჩენა უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის მოსპობის გზით, (მაგალითად, თავდამსხმელის სიცოცხლე).

უკიდურესი აუცილებლობის დროს სახეზე გვაქვს სამართლებრივ სიკეთეთა და ინტერესთა ურთიერთშედარება.

უკიდურესი აუცილებლობის ნიშნებია: უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება, ინტერესთა ურთიერთშეჯერება და სუბიექტური ნება.

უკიდურესი აუცილებლობა ორი სახისაა:

(1) დეფენზიური, ანუ თავდაცვითი;

(2) აბრეშული, ანუ თავდასხმითი.

გამომდინარეობს თუ არა უკიდურესი აუცილებლობის ეს ორივე სახე სსკ-ის 30-ე მუხლიდან?

ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტაციას გავუკეთებთ ამ მუხლში მოცემულ სიტყვებს: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებ-

ულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც სხვას დააზიანებს...”

თუ სიტყვა: „სხვას” გავიგებთ მომგერიებლის პოზიციიდან და მასში მოვიაზრებთ, როგორც საფრთხის წყაროს, ასევე სხვა, მესამე პირს, რომელსაც არავითარი წვლილი არ შეუტანია საფრთხის წარმოქმნაში, მაშინ ამ ნორმის ქვეშ შესაძლებელია, მოვიაზროთ უკიდურესი აუცილებლობის ორივე სახე.

ამ საკითხზე არსებობს სხვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სსკ-ის 30-ე მუხლი მოიცავს მხოლოდ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებს, ხოლო დეფენზიური უკიდურესი აუცილებლობა ამ მუხლში არ მოიაზრება (იხ. *ე. ფუტკარაძე*, უკიდურესი აუცილებლობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში, დისერტაციის ავტორეფერატი, 2003, გვ. 9). ამიტომ იგი გეთავაზობს ნორმის საკანონმდებლო ცვლილებას, კერძოდ, სსკ-ის 30-ე მუხლის შემდეგ რედაქციას: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც საფრთხის წყაროს ან სხვას დააზიანებს...” (იქვე, გვ. 17).

ნორმის საკანონმდებლო ცვლილების გარეშე, შესაძლებელია, სსკ-ის 30-ე მუხლში მოვიაზროთ უკიდურესი აუცილებლობის ორივე სახე (ნორმის ე.წ. ექსტენსიური ინტერპრეტაცია). თუ ამ მუხლში მოვიაზრებთ მხოლოდ აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობას (ნორმის ე.წ. რესტრიქციული ინტერპრეტაცია), მაშინ, ჩემი აზრით, დეფენზიური უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევები უნდა განვიხილოთ სსკ-ის 32-ე მუხლის ფარგლებში. არსებობს პრობლემის გადაწყვეტის სხვა, გერმანული გზა, რომლის მიხედვითაც, დეფენზიური უკიდურესი აუცილებლობა განიხილება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სამოქალაქო-სამართლებრივი გარემოება სისხლის სამართალში (იხ. *C. Roxin, Strafrecht, AT I*, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 777-778).

პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის მიუხედავად, უდავოა, რომ არსებობს უკიდურესი აუცილებლობის ორი სახე – დეფენზიური და აგრესიული. რა მნიშვნელობა აქვს ამ დაყოფას?

დეფენზიური (ანუ თავდაცვითი) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში პირი ზიანს აყენებს არა მესამე ძალას, არამედ თვით საფრთხის წყაროს (ხელმეოფს) და ამ დროს პირს სამოქალაქო-სამართლებრივი წესით ზიანის ანაზღაურება არ ეკისრება.

მაგალითები:

მეზობელი წავიდა აგარაკზე და წყალი მოშვებული დარჩა. ქვედა სართულზე მცხოვრებს უფლება აქვს, კარი შეუმტვრიოს, თუ მას უფრო ნაკლები ზიანის მიყენებით არ შეუძლია საფრთხის თავიდან

აცილება. ამასთან, მის მიერ მიყენებული ზიანი ნაკლები უნდა იყოს გადარჩენილზე.

დეფენზიური (ანუ თავდაცვითი) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანისათვის პირი სამოქალაქო წესით პასუხს არ აგებს.

მაგალითად:

ა.-ს თავს დაესხა მეზობლის ხარი და უპირებს რქებზე წამოიგოს. ა.-მ ხარი მოკლა. ამისათვის მომგერიებელი სამოქალაქო წესით პასუხს არ აგებს, თუ მან თვითონ არ შეუწყო ხელი ამ მდგომარეობის წარმოქმნას მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაუღევარი დამოკიდებულებით.

აბრმისული, ანუ თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი პასუხს აგებს სამოქალაქო წესით. ამ მდგომარეობაში პირი აზიანებს არა ხელმყოფს, არამედ მესამე ძალას, რომელსაც არავითარი წვლილი არ შეუტანია შექმნილი საფრთხის წარმოშობაში.

მაგალითები:

ტურისტულ ჯგუფს ტყეში გზა აებნა. შიმშილისაგან ძალაგამოღებულიებმა ნახეს სახლი, რომელშიც საჭმელ-სასმელი იყო, შეამტვრიეს კარი, დანაყრდნენ და თავი გადაირჩინეს.

სახეზეა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა. ჯგუფის წევრები ვაღდებულნი არიან, სამოქალაქო წესით აანაზღაურონ მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი.

ა.-ს სახლს ცეცხლი წაეკიდა. მის გადასარჩენად ა. იძულებული გახდა მეზობლის ნაკლებმნიშვნელოვანი სიკეთე (ვენახი, ბოსტანი ან სხვ.) დაეზიანებინა. ა. ვაღდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი სამოქალაქო წესით.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი პასუხს აგებს მხოლოდ სამოქალაქო წესით, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

ამრიგად, როგორც დეფენზიური (თავდაცვითი) უკიდურესი აუცილებლობა, ასევე აგრესიული (თავდასხმითი) უკიდურესი აუცილებლობა გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მხოლოდ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი პასუხს აგებს სამოქალაქო წესით ქონებრივი ზიანისათვის.

უკიდურესი აუცილებლობის დროს სამართლებრივი სიკეთე იმყოფება იმწუთიერ საფრთხეში.

უკიდურესი აუცილებლობის დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, პატივი, ღირსება, საკუთრება და სხვა ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე.

უკიდურესი აუცილებლობის აუცილებელი პირობაა ის, რომ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. პირის მოქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს, როცა დაცულია სამართლებრივ სიკეთეთა რანგირების პრინციპი: ყველაზე უფრო დიდ სიკეთედ ითვლება ადამიანის სიცოცხლე. ამიტომ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით. სამართლებრივად აკრძალულია მისი რელატივაცია, ამიტომ არ შეიძლება პირის გამართლება მძიმე ავადმყოფის ან ღრმა მოხუცის სიცოცხლის მოსპობისათვის, როცა ამ მოქმედებით სხვა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ხდება. ასევე სამართლებრივად აკრძალულია სიცოცხლის ყოველგვარი კვანტიფიკაცია, ამიტომ უკიდურესი აუცილებლობით გამართლების საფუძველი არ შეიძლება იყოს ერთი ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა ბევრი ადამიანის გადარჩენის მიზნით. ამ საკითხზე *თინათინ წერეთელი* გამოხატავს, ჩემი აზრით, არასწორ პოზიციას, როცა იგი წერს: „სხვა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება ჩაითვალოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი იყო მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად“ (იხ. *თინათინ წერეთლის* შეხედულება წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, რედ.: თ. წერეთელი და გ. ტყეშელიაძე, 1976, გვ. 112).

გარკვეული პირობების არსებობისას, ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების არსებობაზე (სსკ-ის 38-ე მუხლი).

უკიდურესი აუცილებლობის დროს ჯანმრთელობა და თავისუფლება უფრო მაღალი რანგის სამართლებრივი სიკეთეებია, ვიდრე ქონება, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვა მაგალითიც დაეასახელოთ. თუ შენობაში ხანძრის ჩაქრობის დროს მეხანძრე ადამიანებს წყლით დაასველებს, თუნდაც იგი ფიქრობდეს იმის შესახებ, რომ ისინი ამ მოქმედებით შეიძლება გაცივდნენ და ავად გახდნენ, გარკვეული პირობების არსებობისას, მისი მოქმედება იქნება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით გამართლებული, თუმცა დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე ფორმალურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილი ქონება.

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას აქვს ჩარჩოები. ამა თუ იმ მოქმედების შედეგად შეიძლება გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დაზიანებული, მაგრამ თუ მოქმედებით მოხდა პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებელი სფეროების ხელყოფა, ეს მოქმედება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით.

მაგალითად, არ შეიძლება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობად ჩაითვალოს სისხლის იძულებითი აღება ავტოაკარის

შედგებად მიიმედ დაზიანებული უცნობი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. იგივე მოქმედება, თუ ის ჩადენილია იმ პირის მიმართ, ვისაც აქვს დაზიანებულის მიმართ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, შეიძლება ჩაითვალოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობად, თუ დაცულია ქმედების მართლზომიერების სხვა პირობები, მაგალითად, მამისაგან შვილის გადასარჩენად სისხლის იპულებითი აღება მისი ნების საწინააღმდეგოდ.

უკიდურესი აუცილებლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, როცა ობიექტური მოქმედება სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის სუბიექტური ნებით არის დეტერმინირებული.

6.7 დამნაშავის შიშობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს, ამისათვის აუცილებელი ზომის გადაუცილებლად. აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.

დამნაშავის შეპყრობა სხვა არაფერია, თუ არა საპროცესო-სამართლებრივი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება - დაკავება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 თავი), რის გამოც მისი ადგილი არ არის მატერიალურ სისხლის სამართლის კანონში, არამედ საკმარისია საპროცესო კოდექსში დარეგულირება.

დამნაშავის შეპყრობის, ისევე როგორც დაკავების, უფლება აქვს არა მარტო პოლიციის თანამშრომელს ან საჯარო სამსახურში მყოფ სხვა უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, არამედ - ნებისმიერ ფიზიკურ პირს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლი). არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავე შეიპყროს მაინც და მაინც იმ ფიზიკურმა პირმა, რომლის სამართლებრივ სიკეთესაც მიაღება ზიანი ან შეექმნა საფრთხე. დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერება დაკავშირებულია დანაშაულის მიმართ ცხელ კვალზე მოქმედებასთან და არა დანაშაულის სიმძიმესთან.

სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ როდის არის დამნაშავის შეპყრობა მართლზომიერი, როცა მის მიერ ნამდვილად ჩადენილია დანაშაული, თუ საკმარისია დასაბუთებული ვარაუდი, რომელიც ეჭვის ნიადაზე გადაუდებელი მოქმედების შესრულებას მოითხოვს.

მაგალითად, ა.-მ ნახა, რომ მისი ავტომანქანის საქარე მინა ჩამტვრეული იყო. მან ავტომანქანასთან მდგომი ახალგაზრდა დაინახა, რომელიც მძღოლის დანახვაზე გაიქცა. ა. გამოეკიდა ამ ახალგაზრდას, შეიპყრო იგი და ძალით მიიყვანა პოლიციაში. გაირკვა,

რომ სინამდვილეში მას ავტომანქანის მინა არ ჩაუმტვრევია, არამედ შემთხვევით აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე და მძღოლის დანახვაზე იმიტომ გაიქცა, რომ შეეშინდა, რადგან იფიქრა, რომ მას არ დაბრალებოდა მომხდარი.

დამნაშავის შეპყრობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამოძიების ხელშეწყობის გარემოება, მოითხოვს, რომ პირის დაკავების მართლზომიერებისათვის აუცილებელია, მას რეალურად ჩადენილი ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაშასადამე, მძღოლის მოქმედება არ არის მართლზომიერი, რადგან ადგილი აქვს მოჩვენებით მდგომარეობას. ამ დროს, დამნაშავის შეპყრობის შემთხვევაში, შეიმპყრობი შეიძლება გაათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბრალის არარსებობისა გამო (შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამოძიების ხელშეწყობის გარემოების ფაქტობრივ მხარეზე).

დამნაშავის მართლზომიერი შეპყრობის დროს ნებადართულია მისი თავისუფლების აღკვეთა, იძულება, სხეულებრივი დაზიანებები, რომლებიც ადამიანში არ ტოვებს წარუშლელ დაზიანებებს.

პრობლემატურია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია პირს, ზუსტად განსაზღვროს, რომ შეიპყრო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი.

არსებობს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, სსკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე პირის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირი უკვე დამნაშავედ არის ცნობილი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, რაც ასევე სუბიექტურად იცის პირმა, რომელმაც დამნაშავე შეიპყრო. სხვა შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივად საშიში ქმედების აღკვეთა ხდება, პირი შეიძლება გამართლდეს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე.

ეს პოზიცია - „დამნაშავის“ მისი ნამდვილი პროცესუალურ-სამართლებრივი მნიშვნელობით გაგების შესახებ, არ არის სწორი. ვინაიდან საკითხი წყდება შემპყრობი ბრალდებულის სასარგებლოდ, სიტყვა „დამნაშავე“ აქ უნდა გაეიგოს ფართო გაგებით (ექსტენსიურად). პირის შეპყრობა მართლზომიერია იმ შემთხვევაში, როცა ეს მოქმედება ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტზე.

დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების ფარგლები უნდა განისაზღვროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებით დაკავების შესახებ. მისი მართლზომიერების პირობები ასეთია:

(1) იგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი დასჯადი ქმედების მიმართ, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით (საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლი), მათ შორის დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ეტაპზე. ამ შემთხვევაში საკმარისია, თუ არსებობს საკმარის საფუძველი ეჭვისათვის, რომ პირმა ჩაიდინა ასეთი დანაშაული;

(2) პოლიციელის ან სხვა უფლებამოსილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ ფიზიკურ პირს უფლება აქვს, პირი დააკავოს მხოლოდ ერთი საფუძვლით, კერძოდ, ცხელ კვალზე, თუ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს წაასწრებს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე (საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლი). დაკავებისათვის უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ კი, დამნაშავის შეპყრობა საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაშიც არის მართლზომიერი, კერძოდ, თუ:

- თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;
- პირს, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოაჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდეგ ამოიცნო დაზარალებულმა;
- პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ;
- პირი შეიძლება, მიიმალოს.

(3) იგი უნდა განხორციელდეს პირის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილების მიზნით. იდენტიფიკაციის მიზნით პირის დაკავება, კერძოდ, თუ მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან არ არის დადგენილი მისი ვინაობა, ანტიკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით;

(4) დამნაშავის შესაპყრობად გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი საშუალება, რომელიც არ წარმოადგენს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაცილებას;

(5) უნდა არსებობდეს გამართლების სუბიექტური ელემენტი, რაც მდგომარეობს შეპყრობის გარემოებების ცოდნასა და დაკავების სურვილში.

მაშასადამე, თუ პირი მოქმედებს მისი წარმოდგენით დამნაშავის შეპყრობის მიზნით, მაგრამ სინამდვილეში იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვითარების არსებობის თაობაზე ცდება, მის მიერ განხორციელებული დაკავება იქნება მართლსაწინააღმდეგო. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა განიხილება ბრალის ეტაპზე. თუ დაშვებული შეცდომა არ არის მისატყვეველი, მიყენებული ზიანის მიხედვით, იგი დაისჯება გაუფრთხილებლობისათვის, თუ წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოწვეული ასეთი გაუფრთხილებელი ზიანის მიყენება წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას.

6.8 მართლზომიერი რისკი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. რისკი გამართლებულია მაშინ, თუ ეს მიზანი არ მიიღწეოდა რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

მაგალითად, აფეთქება გარდაუვალია. არის ორი ღილაკი: ერთზე დაჭერისას იგი გადარჩება, მეორეზე დაჭერისას - აფეთქდება. ა-მ გასწია რისკი და ერთ ღილაკს დააჭირა. შენობა აფეთქდა. მიუხედავად ამისა, რისკი იქნება გამართლებული, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ამ შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობა გამორიცხულია.

ო. გამყრელიძეს თავის კომენტარებში (იხ. *ო. გამყრელიძე*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 236) მოჰყავს მართლზომიერი რისკის შესანიშნავი მაგალითი მხატვრული ნაწარმოებიდან, კერძოდ, *ლევ ტოლსტოის* მოთხრობიდან „ზვიგენი“: გემიდან მეზღვაური ხედავს, რომ ზღვაში მცურავ მის შვილს ელვის სისწრაფით უახლოვდება ზვიგენი. მეზღვაური გარისკავს, სასწრაფოდ ტყვიამფრქვევს მიუჯდება და ზვიგენს უმიზნებს. სროლის შემდეგ ბიჭი და ზვიგენი ტყვიამფრქვევიდან გამონაბოლქვმა ბოლმა დაფარა. მეზღვაურმა ამის გამო ვერ შენიშნა, ვის მოხვდა ტყვია, ბიჭს თუ ზვიგენს და შიშისგან, ვაი თუ შვილი მოვკალიო, გული შეუწუხდა. როცა მხედველობა აღდგა, გემიდან გულადმა ამოტრიალებული ზვიგენი გამოჩნდა, ბიჭი კი ცურვით უახლოვდებოდა გემს. ამ შემთხვევაში რისკმა გაამართლა, ბიჭი გადარჩა, მაგრამ რისკი გამართლებული იქნებოდა და მამა პასუხს არ აკებდა მაშინაც, ბიჭი რომ დაღუპულიყო, ესე იგი, ტყვია რომ ზვიგენის ნაცვლად, ბიჭს მოხვედროდა, რადგან გამოსავალი არ იყო, ბიჭი მაინც იღუპებოდა.

ასეთ შემთხვევაში, რისკი მართლაც გამართლებულია.

კანონმდებელი იყენებს ტერმინს - გამართლებული რისკი. არსებობს აგრეთვე საპატიებელი რისკი, რომელიც სსკ-ის 38-ე მუხლის საფუძველზე ბრალს გამორიცხავს.

მაგალითად, ბაბუამ შვილიშვილი ავტომანქანიდან გადააგდო ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად ისეთ ვითარებაში, როცა მანქანა ხრამში იჩეხებოდა. სინამდვილეში მანქანა არ გადაიჩეხა, ბავშვმა კი გადაგდების შედეგად ქვას დაარტყა თავი და მოკვდა. მიუხედავად მძიმე შედეგისა, ბაბუა შეიძლება, არ დაისჯოს, ვინაიდან იგი იმყოფებოდა საპატიებელი (მისატყვევებელი) რისკის მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება არა მართლზომიერი რისკი, არამედ ბრალის გამომრიცხველი რისკი, რაც სსკ-ის 38-ე მუხლის ფარგლებში მოიაზრება.

6.9 მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი

სისხლის სამართლის თეორიაში არის „თელეოლოგიური იურისპრუდენციის“ ცნება - კანონს ვკითხულობთ და განუმარტავთ არა მხოლოდ მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან, არამედ ნორმის მიზნიდან, კანონის ობიექტური არსიდან გამომდინარე. მოსამართლე არ არის მოლაპარაკე კოდექსი. სსკ-ის კოდექსის 32-ე მუხლმა, ისევე როგორც 38-ე მუხლმა, გზა გაუხსნა სამოსამართლო სამართალშემოქმედებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართალში, განსაკუთრებით, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებით, პიროვნების სასარგებლოდ გამოიყენება ანალოგია.

სსკ-ის 32-ე მუხლიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ქმედებას ჩაიდენს ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც ამ კოდექსში სახედვებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ქმედების მართლზომიერების პირობებს.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებებია: **დაზარალებულის თანხმობა, დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა, მოვალეობათა კოლიზია** და ა.შ. ეს სია ამ გარემოებებით არ ამოიწურება.

მაგალითები:

ა.-მ გადაწყვიტა ცხვირის ოპერაციის გაკეთება. ოპერაციის შემდეგ მას თავისი გარეგნობა არ მოეწონა და ექიმ ბ.-ს უჩივლა. უნდა გაირკვეს, არის თუ არა ბ.-ს მოქმედებაში ჯანმრთელობის განზრახი დაზიანების შემადგენლობა (ა.-ს სახის განზრახი დამახინჯება). თუ სასამართლომ გამოარკვია, რომ ბ.-მ ოპერაცია სწორად გააკეთა (სამედიცინო წესების დაცვით) და მას არავითარი განზრახვა არ ჰქონია, დაემახინჯებინა ა.-ს სახე, ასევე, არც წინდახედულობის ნორმა დაურღვევია, იგი პასუხს არ აგებს მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, იმის მიუხედავად, რომ ა.-ს არ მოეწონა თავისი გარეგნობა ოპერაციის შემდეგ (ე.წ. **დაზარალებულის თანხმობა**).

საავადმყოფოში მიიყვანეს მძიმედ დაჭრილი, გონდაკარგული ა. ექიმმა ბ.-მ ა.-ს ნებისაგან დამოუკიდებლად, (არ იყო მისი ნების გამოვლენა შესაძლებელი), გააკეთა სასწრაფო ოპერაცია და ა.-ს ფეხი მოკვეთა (წინააღმდეგ შემთხვევაში ა. დაიღუპებოდა). გამოჯანმრთელების შემდეგ ა.-მ უჩივლა ბ.-ს ფეხის მოკვეთისათვის (განაცხადა, რომ უფერობას სიკვდილი ერჩია). თუ სასამართლო დაადგენს, რომ ბ.-მ სწორი სამედიცინო მკურნალობა ჩაატარა და მას არ ჰქონდა საშუალება, ა.-საგან ნებართვა აეღო, ბ.-ს ქმედება არ იქნება მართლსაწინააღმდეგო (ე.წ. **დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა**).

ექიმი ერთდროულად გამოიძახეს ორ მძიმე ავადმყოფთან სხვადასხვა სოფელში. მას შესაძლებლობა ჰქონდა, მხოლოდ ერთს დახ-

მარებოდა. მან თავისი მოქმედებით ერთი გადაარჩინა, მეორე კი დაიღუპა. ექიმის მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან იგი იმყოფებოდა მოვალეობათა კოლიზიის მდგომარეობაში. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ პაციენტზე შეაჩერა ყურადღება ექიმმა - ბაეშვსა თუ მოხუცზე, პროფესორსა თუ მუშაზე (ე.წ. მოვალეობათა კოლიზია). ექიმის ქმედება მხოლოდ მაშინ იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო, თუ იგი შეგნებულად დახმარებას აღმოუჩენდა პაციენტს, რომლის ავადმყოფობის სიმპტომებიც არ იყო საგანგაშო იმ პაციენტთან შედარებით, რომელიც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებდა (ე.წ. მოვალეობათა კოლიზია).

დაზარალებულის თანხმობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი დაუწერელი გარემოებაა. იგი ეფუძნება თვალსაზრისს „*volenti non fit iniuria*“. მისი აუცილებელი პირობაა, რომ თანხმობის მიმცემი თვით უნდა იყოს დასაზიანებელი სამართლებრივი სიკეთის მატარებელი. მაგალითად, სსკ-ის 370-ე მუხლი ითვალისწინებს ცრუ ჩვენების მიცემის დასჯადობას. განსასჯელთან, რომლის საზიანოდაც იქნა ცრუ ჩვენება მიცემული, თანხმობა ცრუ ჩვენების მიცემაზე არ შეიძლება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება იყოს, ვინაიდან ამ დანაშაულის დაცვის ობიექტია არა ინდივიდუალური, არამედ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე - მართლმსაჯულების ინტერესები.

ნებისმიერი ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე არ არის საკმარისი ამ სამართლებრივი სიკეთის მატარებლის თანხმობა, რომ დამზიანებლის მოქმედება ჩაითვალოს მართლზომიერად. სხვა პირის მიერ საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად მიცემული თანხმობა პირს არ აძლევს უფლებას, სიცოცხლე მოუხპოს მას. ასეთი თანხმობა არ ამართლებს დამზიანებელს, არამედ დასჯადია განზრახი მკვლელობის მუხლით. ეს დებულება, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს თვით კანონიდან. სსკ-ის 110-ე მუხლი მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის ზოგიერთ შემთხვევას აცხადებს არა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ, არამედ მის შემამსუბუქებელ გარემოებად (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით).

დაზარალებულის თანხმობის აუცილებელი პირობაა, რომ თანხმობა მიღებული იყოს ქმედების ჩადენამდე. ამასთან, თანხმობა უნდა იყოს ნამდვილად მიღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს უნდა ჰქონდეს:

- ა) ნების გამოვლენის უნარი;
- ბ) ნების გამოვლენის თავისუფლება.

დაზარალებულის თანხმობა უნდა გვექონდეს სხვადასხვა სამედიცინო მოქმედების დროს. დაზარალებულის თანხმობით სხეულის დაზიანება მართლსაწინააღმდეგოა იმ შემთხვევაში, როცა ეს ქმედება ეწინააღმდეგება სოციალური თანაცხოვრების ჯანსაღ ზნე-ჩვეულებებს. მართლზომიერია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობი-

სათვის სასარგებლო ნებისმიერი ოპერაცია პაციენტის თანხმობით, რომელიც ხდება ქცევის აღიარებული ნორმების საფუძველზე. მართლსაწინააღმდეგოა ისეთი სამედიცინო ექსპერიმენტი, თუნდაც პაციენტის თანხმობით, რომელიც ეწინააღმდეგება ქცევის აღიარებულ ნორმებს და გამოხატავს პიროვნებისადმი არაადამიანურ მოპყრობას: აკრძალული სამედიცინო ექსპერიმენტები, სადისტური მოქმედებები.

დაზარალებულის თანხმობით შეიძლება მისი სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაზიანება-განადგურებაც. მესაკუთრის თანხმობით შეიძლება მისი სახლის დანგრევა ახლის ასაშენებლად.

დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა მაშინ შეიძლება გვექნდეს, როცა, მართალია, დაზარალებულს არ გამოუხატავს თავისი ნება, რადგან ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი თანხმობას გამოთქვამდა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონოდა. მაგალითად, საავადმყოფოში მიიყვანეს ავტოვარიის შედეგად დაზიანებული პაციენტი, რომელსაც სჭირდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. მას გონება დაკარგული აქვს, რის გამოც არა აქვს ნების გამოვლენის შესაძლებლობა. პაციენტის მიმართ ჩატარებული ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი ნება არ გამოუხატავს, იქნება მართლზომიერი, თუ დაცული იქნება ოპერაციის ჩატარების მართლზომიერების პირობები.

ზოგჯერ სადავოა, ესა თუ ის გარემოება წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობის თუ ბრალის გამომრიცხველ გარემოებას. მაგალითად, ე.წ. სამედიცინო ინდიკაციის შემთხვევაში ექიმის მიერ კანონით დადგენილი ვადების (ორსულობის 12 კვირა) გასვლის შემდეგ პაციენტისათვის აბორტის გაკეთება.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსით, ვინაიდან ქმედების უკანონობა ამ დანაშაულის (სსკ-ის 133-ე მუხლი „უკანონო აბორტი“) შემადგენლობის ნიშანია, იგი ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს. ვინც თვლის, რომ ქმედების უკანონობა არ არის შემადგენლობის ნიშანი, მიუხედავად იმისა, რომ კერძო ნაწილის მუხლში უკანონობაზე პირდაპირ არის მითითებული, მიაჩნია, რომ სამედიცინო ინდიკაციის შემთხვევა გამომრიცხავს მართლწინააღმდეგობას (გაბატონებული შეხედულება), ხოლო უმცირესობის აზრით, ჩანასახისათვის სიცოცხლის მოსპობა კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ, დედის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის გადარჩენის მიზნით, ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებაა.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებათა ჩამონათვალი არ არის ამოწურული, უფრო მეტიც, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად ყოველთვის არის შესაძლებელი ამა თუ იმ გარემოებამ დაკარგოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სტატუსი. ასევე შესაძლებელია, ეს ნუსხა შეივსოს ახალი, მანამაღე უცნობი გარემოებებით.

7. ინდივიდუალური ბრალი

7.1 ბრალის ცნება და თეორიები

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, არ შეიძლება სასჯელის დაკისრება ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე (*nulla poena sine culpa*). დღეს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში სისხლის სამართალში უარყოფილია ე.წ. კოლექტიური ბრალის პრინციპი.

ბრალის შესახებ მოძღვრებამ გაიარა თავისი განვითარების ეტაპები ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორიიდან თანამედროვე, ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფ ფუნქციონალურ თეორიამდე. (ბრალის პრობლემაზე ქართულად იხ. ლ.-გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, 2000, რომელიც შედგება 800-ზე მეტი გვერდისაგან. იხ. ასევე: გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, 2001).

ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიის მიხედვით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს გაბატონებულ მოძღვრებას, ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი ბაპიციხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, ანუ ბრალი არის ინდივიდის ბაპატიცხაობა (და არა პირის ფსიქიური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი). ე.ი. ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას. (ბრალის წმინდა ნორმატიული თეორიის შესახებ იხ. H. Welzel, Das Deutsche Strafrecht, მე-9 გამოცემა, 1965, გვ. 124-127).

წინასწარ გამოძიებაში ბრალდების წაყენება არის მხოლოდ ვარაუდი, რომ ბრალდებულს მოსამართლე სამართლებრივად გააკიცხავს.

ბრალის პრინციპს, კანონიერების პრინციპთან ერთად, აქვს კონსტიტუციური რანგი. იგი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. სამართლიანობა და ადამიანის ღირსების დაცვა მოითხოვს, რომ პირი მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა არსებობს მისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ინდივიდუალურად შერაცხვის სამართლებრივი საფუძველი. (ბრალის კონსტიტუციურ რანგს საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით აღიარებს ასევე ლაშა-გიორგი კუტალია. იხ. ლ.-გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, 2000, გვ. 752. მან ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში წარმოადგინა ვრცელი სამეცნიერო გამოკვლევა ბრალის ნორმატივისტული მოძღვრების შესახებ. იხ. ლ.-გ. კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, 1999).

დღეს მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია (უარყო-

ფილია ბრალის ფსიქოლოგიური თეორია). ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ კოდექსის მე-9 თავი ეძღვნება ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიისათვის ასეთი გარემოებები არ არსებობს. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ერთ-ერთი სისუსტე გახლავთ სწორედ ის, რომ ამ თეორიით ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ არის პირი არაბრალეული საპატიებელი გარემოებების (სსკ-ის 38-ე მუხლი) დროს, მაშინ როდესაც მან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ მოახდინა.

სისხლის სამართალში არსებობს ბრალის სამი ძირითადი ტრადიციული თეორია, რომელსაც ემატება მეოთხე, ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფი ბრალის ფუნქციონალური თეორია.

(1) **წმინდა ფსიქოლოგიური თეორიის** მიხედვით, ბრალი განმარტებულია, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და შედეგიან დელიქტებში ასევე დამდგარი შედეგისადმი. დღეს ეს თეორია უარყოფილია, რადგან გაუფრთხილებლობის, განსაკუთრებით დაუდევრობის, დროს ასეთი ფსიქიკური კავშირი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ბრალის ასეთი დეფინიცია იყო აბსოლუტურად გაბატონებული რაინჰარდ ფრანკის ნაშრომის (იხ. R. Frank, Über den Aufbau des Schuldbegriffs, წიგნში: Gießener Festschrift, 1907, გვ. 11) გამოქვეყნებამდე. ამ დრომდე განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენდნენ ბრალის ორ სახეს, ფორმას. უკვე ჯერ კიდევ გასული მე-20 საუკუნის დასაწყისში სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ განზრახვა შეიძლებოდა ყოფილიყო ბრალის სახე, თუ მას ფსიქოლოგიური თეორიის პოზიციიდან შევხედავდით, რადგან მხოლოდ განზრახვის დროს არსებობს პირის ნამდვილი ფსიქიკური კავშირი მის მიერ ჩადენილი ქმედებით გამოწვეულ შედეგთან.

(2) **ნორმატიულ-ფსიქოლოგიურმა** თეორიამ ბრალის ცნებაში შემოიტანა შეფასების მომენტი და ბრალი განსაზღვრა, როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. განსაკუთრებით *ფრანკმა* შეძლო პირველად კარგად დაესაბუთებინა, რომ ფსიქოლოგიურ თეორიას არ შეეძლო დოგმატურად დაესაბუთებინა ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა.

მაგალითად, თუ პირი რეალური მუქარით აიძულეს, ზიანი მიაყენოს სამართლით დაცულ სიკეთეს, ასეთ შემთხვევაში სახეზეა მისი ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. პირს სურდა, შეესრულებინა ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება, რათა გამოსულიყო საფრთხის მდგომარეობიდან, მაგრამ ასეთი შემთხვევა გამორიცხავს ბრალს.

ამ მაგალითით ნაჩვენებია, რომ ბრალი არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ასევე შეფასებით, ნორმატიულ ელემენტს უნდა შეიცავდეს.

როზენფელდს უთქვამს სიტყვები: ბრალი არის არა დამნაშავეის თავში, არამედ შემფასებლების, კერძოდ, მოსამართლეების თავებში (შეად. *J. Baumann/U. Weber, Strafrecht, Allgemeiner Teil*, მე-9 გამოცემა, 1985, გვ. 369).

ამ თეორიის მიხედვით, ფსიქიკური დამოკიდებულება ნორმატიული ელემენტების (მაგალითად, შერაცხადობა) გვერდით წარმოადგენს ბრალის ცნების მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს და არა მის მთლიან შინაარსს. ეს ნორმატიული ელემენტები შეიძლება ერთობლიობაში ერთი საერთო ნიშნის ქვეშ შემდეგი სახელწოდებით გაერთიანდნენ: სხვაგვარად მოქმედების მოთხოვნის შესაძლებლობა (*ფროიდენტალი*). შესაბამისად, ბრალი არსებობს მაშინ, როცა პირს ჰქონდა ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა.

ბრალის ამ კომპლექსური თეორიის ერთ-ერთ კრიტიკულ პუნქტს წარმოადგენს ის, რომ იგი შეფასების *ობიექტსა* და *შეფასებას* ორივეს ერთობლივად ბრალის ცნების ქვეშ აერთიანებს. (ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას ავითარებდა *თინათინ წერეთელი*. იხ. *T. B. Цепетели, Причинная связь в уголовном праве*, 1963, გვ. 304)

ბრალის ამ თეორიამ პირველად დიდი კრიტიკა განიცადა *გრაფ ცუ დონას* მიერ (იხ. *Graf zu Dohna, Aufbau der Verbrechenlehre*, 1936; ამ წიგნის მე-3 გამოცემა, 1947).

(3) წმინდა ნორმატიული თეორია ბრალს განმარტავს როგორც *გასაკიცხაობას*. ამ თეორიის მიხედვით, ბრალი არის წმინდა შეფასებითი, წმინდა ნორმატიული კატეგორია. ფსიქოლოგიური ელემენტი, რომელიც ბრალის ფსიქოლოგიური ცნების შინაარსს ამოწურავს, ფინალისტების მიერ გადატანილ იქნა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, რის შედეგადაც ბრალი, რომელიც არის არა დამნაშავეის, არამედ სხვის, შემფასებლის, კერძოდ, მოსამართლის თავში (იხ. *J. Baumann, U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, AT*, მე-11 გამოცემა, 2003, გვ. 434), გახდა წმინდა შეფასება, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც შეფასების ობიექტები, იქცნენ ქმედების შემადგენლობის ნიშნებად. (ბრალის ნორმატიული მოძღვრების შესახებ დისკუსიის თაობაზე იხ.: *H. Welzel, Um die finale Handlungslehre*, 1949, გვ. 26; *H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems*, მე-4 გამოცემა, 1961).

ამ თეორიის მიხედვით, განზრახვა, ისევე როგორც გაუფრთხილებლობა, არის მოსამართლის მიერ პირის გაკიცხვის ერთ-ერთი კრიტერიუმი და არა ბრალის შინაარსის ამომწურავი კატეგორია (ფსიქოლოგიური თეორიით ბრალი არის განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარეობითი ცნება). ამა თუ იმ ქმედების განზრახ ჩამდენი უფრო მკაცრად იკიცხება, ვიდრე იმავე ქმედების გაუფრთხილებლობით ჩამდენი. ე.ი. განზრახვის დროს ბრალის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე გაუფრთხილებლობის დროს. ბრალის ხარისხზე კი დამოკიდებულია სასჯელის სიმკაცრე.

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების წარმომადგენლები (*თ. წერეთელი, ვ. მაყაშიელი* და სხვ.) აკრიტიკებდნენ როგორც

ფინალიზმსა და ბრალის წმინდა ნორმატიულ თეორიას, ასევე წმინდა ფსიქოლოგიურ თეორიას. მათ, მართალია, უარყვეს ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორია და ბრალის ცნებაში შეიტანეს ნეგატიური სოციალ-ეთიკური (მორალურ-პოლიტიკური) შეფასების მომენტი, მაგრამ ეს არ არის მოსამართლის მიერ გაკეთებული შეფასება. მათი გაგებით, ბრალი არის რეალური სინამდვილის გამოვლენის ფორმა, რომელიც მოსამართლის შეფასებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. *თ. წერეთელი* ბრალს განმარტავდა, როგორც პირის ფსიქიკურ კავშირს მის მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან, რომელიც ზნეობისა და მართლწესრიგის პოზიციიდან გაკიცხვასა და განსჯას იმსახურებს (იხ. *თ. წერეთელი*, „მაცნე“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეურნალი, 1960, №1, გვ. 129).

ქართულ სისხლის სამართალში ბრალის ნორმატიული თეორიის განვითარების შესახებ იდეა წამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ ჩემს სადოქტორო დისერტაციაში (იხ. *M. Turawa*, Straftatsysteme in rechtsvergleichender Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbegriffs. Ein Beitrag zur Entwicklung eines rechtsstaatlichen Strafrechts in Georgien, დისერტაცია, 1998, გვ. 251).

(4) **ფუნქციონალური ცნება**, რომელიც მეცნიერული კრიტიკის საგანს წარმოადგენს (კრიტიკა იხ. მაგალითად, წიგნში: *J. Wessels, W. Beulke*, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 200, გვ. 141) ბრალს განმარტავს სასჯელის ფუნქციიდან გამომდინარე. მაგალითად, არის მცდელობა, რომ ბრალის ცნება შეიცვალოს „ინდივიდუალური შერაცხვის“ კატეგორიით.

ამავე თეორიის წარმომადგენელია *გიუნთერ იაკობსი*, რომელსაც ეკუთვნის მოძღვრება ე.წ. სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის შესახებ. იგი ბრალს სასჯელის პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრავს: ბრალეული ქცევა არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა სასჯელი აუცილებელია საყოველთაო მართლშეგნების განმტკიცებისათვის (ბრალის ფუნქციონალური ცნების დასაბუთების შესახებ იხ. *G. Jakobs*, Strafrecht, AT, მე-2 სასწავლო გამოცემა, 1993, გვ. 476-491).

კლაუს როქსინმა უფრო გასაგებად ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრება, როცა მან ბრალის ცნება განაწარმოა „სანქციის პრევენციული აუცილებლობის“ ელემენტით და უწოდა მას: ბრალი და პასუხისმგებლობა. მისი აზრით, ჩადენილი უმართლობისათვის პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან, ჯერ ერთი, ბრალეულად იმოქმედა და, მეორე, თუ არსებობს ბრალეული ქცევის დასჯადობის პრევენციული აუცილებლობა (იხ. *C. Roxin*, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 852).

როგორც აღინიშნა, ბრალი არის ინდივიდუალური და არა კოლექტიური გასაკიცხაობა. კოლექტიური ბრალის პრინციპისაგან უნდა განვასხვაოთ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო

პრაქტიკაში განვითარებული ე.წ. კოლექტიური შერაცხვის მოქმედი კრიმინალური ორგანიზებული ბაერთიანების („joint criminal enterprise“) წევრობისათვის, რომელსაც იცნობს ზოგიერთი ეროვნული (მაგალითად, იტალიური) და საერთაშორისო სისხლის სამართალი (შეად. *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 142). იგი წარმოადგენს ინსტიტუციონალურ-პარტიციპატორული ანუ სისტემური შერაცხვის მოდელს (ლათინური: *participatio* ნიშნავს თანამონაწილეობას). ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არარსებობა არ უშლის ხელს ამ მოდელით პირის დასჯადობას, თუ დანაშაულის რომელიმე მონაწილე ქმედების შემადგენლობის განხორციელების განზრახვით მოქმედებდა. ეს მოდელი ნაწილობრივ ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც გამოიყენება, მაგალითად, ბანდიტიზმის შემადგენლობისათვის (სსკ-ის 224-ე მუხლი).

7.2 ბრალის სტრუქტურა

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ინდივიდუალური ბრალი შეიცავს რამდენიმე ნორმატიულ კომპონენტს და მისი არსებობა ხუთ ეტაპად მოწმდება.

ფიზიკური პირის ბრალი არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შემდეგი პირობების (კუმულაციურად) არსებობისას:

- ბრალშენარჩუნების (შერაცხვადობის) მდგომარეობაში;
- მართლწინააღმდეგობის შეხებათ (ვიწრო გაგებით, როცა იგი არ უშვებს შეცდომას აკრძლვაში);
- განზრახვი (ან ბაშუბრთხილუბელი) ბრალით, რომელიც ასახულებს მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობას ფართო გაგებით;
- ბრალის გამომრიცხველი რომელიმე (კანონისმიერი ან ზეკანონური) საპატიუბელი ბარემობის არარსებობის ვითარებაში.

- ამასთან, სადავოა საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ბრალის ე.წ. სპეციალური ნიშნები. გაბატონებული შეხედულებით, ასეთი არ არსებობს და ამიტომ ქმედებისა და ინდივიდისათვის დამახასიათებელი ყველა სუბიექტური ნიშანი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე მოწმდება. თუ გავეყვებით ამ შეხედულებას, ეს ნიშნები ბრალის ეტაპზე ცალკე არ უნდა გამოიყოს. ამ პოზიციისაგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშნების არსებობას (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი), რის გამოც საჭიროა ბრალის სტრუქტურაში ამ კომპონენტის ცალკე გამოყოფა. ასევე, არსებობს შეხედულება, რომელიც ამ ნიშნების არსებობას ორივე – ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ეტაპზე ამოწმებს.

7.3 ბრალუნარიანობა და მისი გამომრიცხველი (და შემამსუბუქებელი) ბარემოებები

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებამდე საქართველოში განვითარებული ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრება შერაცხადობას ფსიქიკური მდგომარეობის გამო ბრალის გარეთ, სუბიექტისათვის დამახასიათებელ ბრალის აუცილებელ წინაპირობად განიხილავდა, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწევას შერაცხადობისაგან დამოუკიდებელ ბრალის მეორე წინაპირობად წარმოადგენდა. დღევანდელი ქართული სისხლის სამართალი ბრალის ნორმატიული მოძღვრებით შერაცხადობა-შეურაცხადობის პრობლემას, როგორც ბრალუნარიანობის განმსაზღვრელ გარემოებას, თვით ბრალის ეტაპზე განიხილავს.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დამოკიდებული არ არის პირის ბრალუნარიანობაზე. მაშასადამე, მისი ჩადენა შეუძლია სულით ავადმყოფსაც. სისხლის სამართალში პირის ქმედუნარიანობა მყარად არის გამიჯნული მისი ბრალუნარიანობისაგან. ქმედუნარიანობის დროს დგინდება პირის უნარი, შეუძლია თუ არა განახორციელოს სხეულებრივი გადაადგილება გარესამყაროში. სულით ავადმყოფსა და ბავშვსაც შეუძლია, იყოს ქმედუნარიანი, თუ მას თავის ნებელობით შეუძლია წარმართოს საკუთარი სხეულებრივი მოძრაობა. ბრალუნარიანობის დროს კი, წყდება საკითხი, იყო თუ არა პირი ნორმის ვარგისი აღრესატი, რომელსაც აქვს ნების თავისუფლება და თავის ნებაზე ბატონობის უნარი, რომელსაც ემყარება პერსონალური გასაკიცხაობა.

ბრალუნარიანობას განსაზღვრავს პირის შერაცხადობა, ხოლო ბრალის გამომრიცხველი გარემოებებია: შეურაცხადობა, კერძოდ, ასაკის გამო (სსკ-ის მუხლი 33-ე), ფსიქიკური დაავადების გამო (სსკ-ის 34-ე მუხლი), სამართლებრივი შეცდომა (სსკ-ის 36-ე მუხლი), მოქმედება ბოროტი განზრახვისა და, როცა ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა დასჯადია, ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის გარეშე (სსკ-ის 36-ე მუხლის ანალოგიით), ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ-ის 37-ე მუხლი). სსკ-ის 38-ე მუხლში მოცემულია ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი ზეკანონური გარემოებები. შეზღუდული შერაცხადობა კი, წარმოადგენს არა ბრალის გამომრიცხველ, არამედ მის შემამსუბუქებელ გარემოებას (სსკ-ის 35-ე მუხლი).

7.3.1 შეურაცხადობა

მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის სიახლე, რომელიც მას განასხვავებს წინამორბედი კოდექსისაგან, გახლავთ ის, რომ მასში შეურაცხადობა მოცემულია გვარობითი ცნების სახით. კერძოდ, სსკ-ის 33-ე და 34-ე მუხლებიდან გამომდინარე, იგი თავის თავში

მოიცავს ორ შემთხვევას: შეურაცხაობას ასაკის გამო და შეურაცხაობას ფსიქიკური მდგომარეობის გამო. პირველი მათგანის მიხედვით, შეურაცხაობა დგინდება პოზიტიურ-სამართლებრივად, ხოლო მეორეთი - სამედიცინო-ფსიქოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

სსკ-ის 33-ე და 34-ე მუხლებში შეურაცხაობა განსაზღვრულია ნეგატიურად. მაგალითად, 33-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. შესაძლებელია იგივე შინაარსის პოზიტიურად ფორმულირება, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი.

შეურაცხაობის საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია პირის მდგომარეობა ქმედების ჩადენის დროს, ხოლო მის ფსიქიკურ მდგომარეობას შედეგის დადგომის დროს შეურაცხაობის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა არა აქვს. ამის შესახებ შეურაცხაობის განსაზღვრისას (სსკ-ის 33-ე და 34-ე მუხლები) მითითებულია თვით კოდექსში.

ქართული კოდექსის მიხედვით, თავის მხრივ, შეურაცხაობა დგინდება ორ: ინტელექტუალურ და ემოციონალურ მომენტზე დაყრდნობით. კანონმდებელი მნიშვნელობას ანიჭებს იმ მომენტს, რომ პირი შეურაცხადია არა მარტო მაშინ, როცა იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ინტელექტუალურად სწორად არ იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, არამედ მაშინაც, როცა არ შეეძლო ეხელმძღვანელა მისთვის. არსებობს ისეთი ფსიქიკური დაავადებები, რომლებიც ავადმყოფის ინტელექტს არ ხელყოფენ, მაგრამ პირის უნარს, იმოქმედოს ინტელექტის შესაბამისად, სრულად არღვევენ. ამის გამო, დღეს შეურაცხაობის საკითხის გადაწყვეტის დროს ყურადღებას აქცევენ ორივე მომენტს, როგორც ინტელექტუალურს, ასევე ემოციონალურს (ანუ ვოლუნტატიურს). თუ ამ ორიდან პირის ერთი უნარი მაინც იქნა დარღვეული, ასეთ შემთხვევაში მას ქმედება ინდივიდუალურად არ შეერაცხება.

7.3.1.1 შეურაცხაობა ასაკის გამო

სსკ-ის 33-ე მუხლის თანახმად, 14 წლის ასაკამდე პირს ბრალად არ შეერაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ე.ი. დღეს მოქმედი კოდექსით, პირი ბრალუნარიანი ხდება 14 წლის ასაკიდან და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებისმიერი დანაშაულისათვის, როგორც წესი, დგება ამ დროიდან.

ამ წესიდან გამონაკლისი კანონმდებელმა დაადგინა 2007 წლის 23 მაისის საქართველოს კანონით, რომლითაც ცვლილება შევიდა

სსკ-ის 33-ე მუხლში და ზოგიერთი დანაშაულისათვის შემცირდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 12 წლამდე. ასეთ ქმედებათა ჩამონათვალი გაკეთდა თვით 33-ე მუხლში. კერძოდ, ესენია: 108-ე (განზრახ მკვლელობა), 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებულ გარემოებაში), 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 137-ე (გაუპატიურება), 178-ე (ძარცვა, გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე (ყაჩაღობა) და 238¹-ე (21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება) მუხლები.

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 23 თებერვლის კანონით გააუქმა ეს ცვლილება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად კვლავ 14 წელი დაწესდა.

საქართველოში შერაცხადობის ასაკის 12 წლამდე შემცირება უარყოფითი მოვლენა იყო და ექსპერტთა კრიტიკა გამოიწვია. თუ გადავხედავთ უცხოეთის კანონმდებლობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (ე.წ. „იუვენალური იუსტიციის“) სფეროში, ვნახავთ, რომ საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი უფრო დაბალია და იგი 7-8 წლის ასაკიდანაც კი იწყება (შეად. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, გამოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ, 2004, გვ. 7-28 და 196). მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, საქართველოსგან განსხვავებით, ამ ქვეყნებში არსებობს „იუვენალური იუსტიციის“ კარგად განვითარებული სისტემა. მიუხედავად პასუხისმგებლობის დაბალი ასაკისა, უმეტეს შემთხვევაში ე.წ. „ბავშვთა საქმეების მოსმენის“ პროგრესული სისტემა 17 წლამდე ბავშვებს საშუალებას აძლევს, თავი აარიდონ მართლმსაჯულების ფორმალურ სისტემასთან კონტაქტს. „ბავშვთა საქმეების მოსმენის“ სისტემის მიზანია, არასრულწლოვანთა მიმართ უპირატესად ისეთი ზომების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ასევე, სხვა სრულწლოვანებთან შედარებით სპეციალური პრევენციული წესებია დადგენილი 21 წლამდე დანაშაულის ჩამდენი მოზარდების მიმართ.

მაგალითად, გერმანიაში, ისევე როგორც საქართველოში, ბავშვი ითვლება ბრალუვნაროდ 14 წლის ასაკამდე (იხ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 პარაგრაფი (გერმანულად: Strafgesetzbuch: StGB). 14-დან 17 წლის ჩათვლით არასრულწლოვანი კი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ სპეციალური კანონის (გერმანულად: Jugendgerichtsgesetz: JGG) მე-3 პარაგრაფის მიხედვით, შეიძლება იყოს არაბრალუვნარიანი ზნეობრივი ან სულიერი მოუმწიფე ბლობის გამო.

მოქმედი ქართული კანონმდებლობით (სსკ-ის მე-80 მუხლი) პირი არასრულწლოვანია, თუ მან დანაშაული ჩაიდინა 14-დან 18 წლამდე ასაკში. არასრულწლოვანი პირი, როგორც წესი, არის შერაცხადი. ცალკეულ შემთხვევებში უნდა შემოწმდეს მისი შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა, რომელიც სრულწლოვნისაგან განსხვავებით არასრულწლოვნისათვის შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი (სსკ-ის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი). არასრულწლოვნის შეზღუდული შერაცხადობა - ეს ის შემთხვევაა, როცა მას არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა უხელმძღვანელოს მას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ არასრულწლოვნის ე.წ. შეზღუდულ ბრალუნარიანობაზე, როგორც პასუხისმგებლობის შესაძლებელ გამომრიცხველ გარემოებაზე (სსკ-ის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასჯელის ნაკვლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება (სსკ-ის 90-97-ე მუხლები).

ქართული კანონმდებლობით, 14 წლამდე პირი არ შეიძლება დაისაჯოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი ფსიქიკური განვითარების დონე რეალურად 15 ან მეტი წლის ასაკისას შეესაბამება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ასაკობრივი მოუმიწიფებლობა, ისევე, როგორც ფსიქიკური დაავადება, შეურაცხაობის განმსაზღვრელი გარემოებაა, რომელიც ბრალს გამორიცხავს, ბავშვის, (ისევე, როგორც ქმედების ჩადენის დროს ფსიქიკურად დაავადებულის), მიმართ, განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოში არ მთავრდება გამამართლებელი განაჩენით, თუ ეს გარემოება სასამართლო განხილვის დროს გამოვლინდა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 504-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში გამართლება ბავშვის მიერ არასწორად იქნებოდა გაგებული, როგორც მის მიერ ჩადენილი ქმედების მოწონება. ამიტომ, ლიტერატურაში მიუთითებენ ბავშვის ასაკის „ორმაგ ბუნებაზე“, რომელსაც მატერიალურ და საპროცესო სამართალში განსხვავებული შედეგები მოჰყვება (იხ. *J. Baumann, U. Weber, Strafrecht, AT, მე-9 გამოცემა, 1985, გვ. 378*). რაც შეეხება წინასწარი გამოძიების ეტაპს, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს, თუ პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

7.3.1.2 შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების ბამო

სსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ ფსიქიკურად დაავადებულ პირს, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობის შინაარსი, ანდა შეეძლო გაეცნობიერებინა, მაგრამ არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების უნარი, არ შეერაცხება ბრალად მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

შეურაცხაობის მიზეზი შეიძლება იყოს: ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა, ჭკუასუსტობა ან სხვა ფსიქიკური დაავადება.

კანონი ფსიქიკურ შეურაცხაობას უკავშირებს ორ წინაპირობას: თავდაპირველად, ემპირიულად უნდა დადგინდეს, რომ სახეზეა ფსიქიკური ავადმყოფობის მომენტი (შეურაცხაობის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური კომპონენტი). ამის შემდეგ სამართლებრივ-შეფასებითი მეთოდით უნდა დადგინდეს, რომ პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების უნარი (შეურაცხაობის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული კომპონენტი).

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ არ გამოიყენება სასჯელი, რადგან მისი ქმედება არ არის ბრალეული. ბრალის გარეშე კი არ არსებობს სასჯელი. 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არსებობდა სასამართლოს მიერ გამოსაყენებელ *სანქციათა ორკვადიანი სისტემა*: სასჯელი დანაშაულისათვის, ხოლო სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის.

როგორც ცნობილია, სანქციათა ორკვადიანი სისტემა ისტორიულად დაკავშირებულია შევიცარიელი იურისტის *კარლ შტოხის* სახელთან, რომელმაც იგი ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1893 წელს. ამ სისტემამ მხარდაჭერა ჰპოვა ევროპის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მიმდინარეობს დისკუსია ორკვადიანი და ერთკვადიანი სისტემების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის, ორკვადიანი სისტემა კვლავაც ინარჩუნებს არსებობას არაერთ ქვეყანაში (ისტორია და კრიტიკა იხ. *J. Baumann, U. Weber, Strafrecht, AT, მე-9 გამოცემა, 1985, გვ. 710-711*).

ქართული სისხლის სამართლის კოდექსიც აგებული იყო სანქციათა ორკვადიან სისტემაზე, ვიდრე არ ამოქმედდა 2007 წლის 3 ივლისის კანონი. აღნიშნული ცვლილებით, გაუქმებულ იქნა ასეთი ორკვადიანი სისტემა, რის შედეგადაც სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა სოციალური დაცვის სისხლისსამართლებრივი სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები. ამ მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსიდან მთლიანად იქნა ამოღებული მე-18

თავი („სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება“), ისევე როგორც მისი გამოყენების წესი, რომელიც მოცემული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (64-ე თავი). მართალია, ფსიქიკურად დაავადებული პირების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში მათ მიმართ კვლავაც იქნება გამოყენებული სამედიცინო ხასიათის სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებები, მაგრამ არა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში.

სსკ-ის 34-ე მუხლი უთითებს ფსიქიკური მდგომარეობით განპირობებულ შეურაცხაობის გამომწვევ *ოთხ* ფაქტორს: ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, ფსიქიკის დროებითი აშლილობა, ჭკუასუსტობა ან სხვა ფსიქიკური დაავადება.

ამ ფაქტორებში მოიაზრებენ ასევე ფსიქიკის ისეთ გადაღლას, სიმთვრალეს, აფექტს ან სხვა ისეთ მდგომარეობას, რომელიც განაპირობებს ფსიქიკის ისეთ შერყევას, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, ფასდება შეურაცხად მდგომარეობად. ეს გარემოებები შეიძლება ერთ შემთხვევაში წარმოადგენდნენ ბრალის გამომრიცხველი შეურაცხაობის, ხოლო სხვა შემთხვევაში - ბრალის შემამსუბუქებელ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობას. მაგალითად, *პათოლოგიური* აფექტი იწვევს შეურაცხაობას და გამომრიცხავს ბრალს, ხოლო *ფიზიოლოგიური* აფექტი წარმოადგენს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობას და ამცირებს ბრალის ხარისხს.

7.3.2 შეზღუდული შერაცხადობა

სსკ-ის 35-ე მუხლის მიხედვით, შეზღუდული შერაცხადობა არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და არა მისი გამომრიცხველი გარემოება.

შეზღუდული შერაცხადობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა პირს ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო, სრულად გაეცნობიერებინა და ეკონტროლებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი მხარე ან მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

შეზღუდული შერაცხადობისას სრულწლოვანი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება, ხოლო მისი მდგომარეობა მხედველობაში მიიღება მხოლოდ დანაშაულის კვალიფიკაციისას ან სასჯელის დანიშვნისას, ხოლო არასრულწლოვანი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონი სასამართლოს ავალდებულებს შეზღუდული შერაცხადობა გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნის დროს, ე.ი. მოქმედებს ე.წ. სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპი და არა ე.წ. სასჯელის შესაძლო შემცირების პრინციპი, არასრულწლოვნის მიმართ კი, დადგენილია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა, ე.ი. მოქმედებს ე.წ. პასუხისმგებლობის შესაძლო გამორიცხვის პრინციპი.

7.3.3 Actio libera in causa

როგორც წესი, აუცილებელია, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მომენტში მისი ჩამდენი პირი იმყოფებოდეს შერაცხად მდგომარეობაში, რომ ქმედება ჩაითვალოს ბრალეულად, მაშასადამე დანაშაულად (სსკ-ის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულებისათვის ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა: „*actio libera in causa sed non libera in actu*” („ქმედება, რომელიც მხოლოდ თავის საწყისში, მაგრამ არა მისი განხორციელების დროს არის თავისუფალი“). იგი ასაბუთებს ბრალუნარიანობას იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა პირი სიმთვრალის გამო ქმედების ჩადენის დროს, მართალია, იმყოფება შეურაცხად მდგომარეობაში, მაგრამ მისი წინარე შერაცხადი მდგომარეობა, რა დროსაც მან თავი ჩაიყენა შეურაცხაობის ვითარებაში, განაპირობებს მის ბრალეულად მიჩნევას (იხ. C. Roxin, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 914-924).

მაგალითად, ვინც შეგნებულად თავს ჩაიყენებს სიმთვრალის მდგომარეობაში, რაც განაპირობებს მის შეურაცხაობას, რათა ამ მდგომარეობაში ჩაიღინოს მეზობლის მკვლელობა, ჩადის განზრახ ბრალეულ ქმედებას – მკვლელობას. ასევე, როცა ჯარისკაცები ომის დროს თავს ჩაიყენებენ შეურაცხად მდგომარეობაში, რათა გაანადგურონ სოფლის მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩადიან ომის დანაშაულს. (ამ თეორიის მნიშვნელობაზე საერთაშორისო სისხლის სამართალში იხ. K. Ambos, Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 174-176). დასჯადობისათვის არ არის ხელისშემშლელი ის გარემოება, რომ პირი ქმედების ჩადენის დროს შეურაცხადი, მაშასადამე, არაბრალუნარიანი იყო. პასუხისმგებლობის დასაბუთება ხდება იმით, რომ მან სიმთვრალის მდგომარეობამდე, რის გამოც იგი გახდა შეურაცხადი, ბრალეულად მისი მეზობლის სიკვდილისათვის შექმნა პირობა, რომელიც მიუზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან (განზრახი *actio libera in causa*).

ასევე ის, ვინც რესტორანში დათვრება და ჩხუბის შედეგად მოკლავს ან ჯანმრთელობას დაუზიანებს ადამიანს, დაღვევის შედეგად გაუფრთხილებლობით ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების პირობას, თუ მას წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეეძლო გაეთვალისწინებინა მისი სიმთვრალის შესაძლო შედეგები (გაუფრთხილებელი *actio libera in causa*).

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ბრალეულად მოქმედებს ის პირი, რომელმაც, მართალია, შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიღინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ მის წინარე შერაცხად მდგომარეობაში განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა პირობა, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია. (იხ.

T. Hillenkamp, 32 Probleme aus dem Strafrecht, AT, მე-10 გამოცემა, 2001, გვ. 77-88, ასევე: B. Heinrich, Strafrecht – AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 252-261).

სიმთვრალის პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს შერაცხადობის დასაბუთებისადმი *ორი* ძირითადი მიდგომა:

(1) ბრალუნარიანობის *საგამონაკლისო* თეორია (*Ausnahmetheorie*), რომლის მიხედვითაც, როგორც გამონაკლისი, ბრალი და ქმედება შეიძლება ერთდროულად არ იყოს წარმოდგენილი. ეს წესი უნდა ჩაითვალოს ჩვეულებითი სამართლის დაუწვრთვლ ნორმად, რომელიც, როგორც შერაცხადობის დასაბუთების საგამონაკლისო შემთხვევა, სამოსამართლო სამართალშიც უნდა იქნეს აღიარებული.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას და წარმოადგენს ნორმის *contra legem* (სსკ-ის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგო) ინტერპრეტაციას ბრალდებულის (განსახჯელის) საზიანოდ, რის გამოც არ იმსახურებს მხარდაჭერას. პირის საზიანოდ ნორმის საწინააღმდეგო ასეთი ინტერპრეტაცია ხელყოფს კანონიერების პრინციპს.

(2) ბრალუნარიანობის *წინარე ეტაპზე ვადატანის* თეორიის (*Vorverlegungstheorie*) მიხედვითაც, პირი, მიუხედავად მისი სიმთვრალისა, მოქმედებს როგორც შერაცხადი, თუ მან თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებას პირი შეურაცხაობის მდგომარეობის დადგომის შემდეგ ახორციელებს, მიზეზობრივი კავშირის მოქმედებაში მოყვანა ხდება ჯერ კიდევ შერაცხად მდგომარეობაში. სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დასაბუთება ეფუძნება იმ აქტს, რომლითაც პირმა თავი ჩაიყენა დეფექტის მდგომარეობაში, რათა შეურაცხაობის მდგომარეობაში დანაშაული ჩაედინა. პირის *actio praecedens* (დეფექტის მდგომარეობის შექმნა) წარმოადგენს მცდელობის სტადიას. ზოგიერთი ამ სიტუაციას მიიჩნევს ე.წ. შუალობით ამსრულებლობად იმ დასაბუთებით, რომ პირი საკუთარ თავს აქცევს ბრალუნარო მდგომარეობაში მყოფ იარაღად. გაუფრთხილებლობის დროს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების ჩადენა გამოიხატება სიმთვრალის მდგომარეობაში თავის ჩაყენებაში, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, რომელიც პირს ობიექტურად შეურაცხება.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, პირის ბრალუნარიანობა სიმთვრალით გამოწვეული შეურაცხაობის მდგომარეობაში შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელებისათვის, ვფიქრობ, უნდა დასაბუთდეს სწორედ ამ თეორიის მიხედვით.

7.4 ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებები

ბრალუნარიანობის გამომრიცხველი გარემოებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც შეურაცხაობის გამო პირის ბრალეული გაკიცხვა საერთოდ არ ხდება, ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებანი წარმოადგენენ ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც პირს, განსაკუთრებული ინდივიდუალური მდგომარეობის გამო, რა ვითარებაშიც მის მიერ ჩადენილი იქნა ესა თუ ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება მხოლოდ ეპატიება (მიეტყვება).

ამდენად, ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში უნდა განვასხვაოთ: ბრალუნარიანობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებანი. თუ რომელი გარემოება მიეკუთვნება თითოეულ მათგანს, ლიტერატურაში არაერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი.

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებანი შეიძლება იყოს დაწერილი (შეცდომა აკრძალვაში, ანუ მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ვიწრო გაგებით, სსკ-ის 36-ე მუხლი; ბრძანების ან განკარგულების შესრულება, სსკ-ის 37-ე მუხლი) ან დაუწერელი (შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებზე, ანუ მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ფართო გაგებით, სსკ-ის 36-ე მუხლის ანალოგიით; ტრაგიკული კოლიზია, სსკ-ის 38-ე მუხლის ზოგადი ფორმულირების გამოყენებით).

7.4.1 შეცდომა აკრძალვაში

აკრძალვაში შეცდომა წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას ვიწრო გაგებით. სსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, სამართლებრივი შეცდომა ნიშნავს იმას, რომ პირმა ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ მას არ ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება (ვიწრო გაგებით), ანუ დაუშვა აკრძალვაში შეცდომა. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა, გარკვეული პირობების არსებობისას, ბრალის გამომრიცხველი გარემოება შეიძლება იყოს.

სისხლის სამართლის ნორმები იყოფა ორ ნაწილად: კლასიკური და დამატებითი სისხლის სამართლის ნორმები. პირველი მათგანი წარმოადგენენ ისეთ კლასიკურ დელიქტებს, როგორიცაა: მკვლელობა, ქურდობა, ყაჩაღობა და ა.შ., რომელთა ჩადენა იმავდროულად კულტურის ნორმებს ეწინააღმდეგება. ნორმათა მეორე ჯგუფი კი, აერთიანებს ყველა იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ბლანკეტური შინაარსი აქვს. ამ შემადგენლობებთან მიმართებაში ხშირად

საჭიროა სპეციალური ცოდნა-განათლება, რომ ნორმის 'მინარსში' ჩაწვდეს. ასეთი ნორმების დარღვევით იმავდროულად არ ირღვევა კულტურის ნორმები. აკრძალვაში შეცდომა ნორმათა სწორედ ამ მეორე ჯგუფთან მიმართებაში არის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე, ხოლო კლასიკურ დელიქტებთან მიმართებაში ირღვევანტურია.

თუ პირმა არ იცის, რომ მისი ქმედება აკრძალულია, ე.ი. არა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნება, არ დაისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შეცდომა მისატყვებელია.

შეცდომა მისატყვებელია მაშინ, თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

თუ შეცდომა არ არის მისატყვებელი, პირი დაისჯება გაუფრთხილებლობისათვის, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედების გაუფრთხილებლად ჩადენა დასჯადია.

სსკ-ის 36-ე მუხლი ეხება მხოლოდ სამართლებრივ (იურიდიულ) შეცდომას და არა ფაქტობრივ შეცდომას. ფაქტობრივი შეცდომის საკითხები განიხილება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე სსკ-ის მე-9 („განზრახი დანაშაული“) და მე-10 („გაუფრთხილებლობით დანაშაული“) მუხლების ფარგლებში.

განმეორების მიზნით, დიდაქტიკური თვალსაზრისით, მოვიყვანო შეცდომის შესახებ რამდენიმე კაზუსს, რომელიც სცილდება სსკ-ის 36-ე მუხლის ფარგლებს:

(1) მონადირეს ჰგონია, რომ კლავს დათვის, სინამდვილეში სიბნელეში ტყვია ესროლა ადამიანს და მოკლა – ჩადენილი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ან, საერთოდ, გამოირიცხოს ქმედების შემადგენლობა (სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლიდან გამომდინარე, ფაქტობრივი შეცდომა).

(2) შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში – ა.-მ ჩხუბის დროს, შურისძიების ნიადაგზე ბ.-ს ესროლა ტყვია, რომელიც ბ.-ს ასცდა, მოხვდა ბენზინის ცისტერნას და აფეთქდა, რის შედეგადაც ბ. დაიწვა. მიუხედავად იმისა, რომ პირმა შეცდომა დაუშვა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, ჩადენილია განზრახი მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი), რადგან მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში გადახრა უმნიშვნელოა.

(3) შეცდომა, რომელიც გამოიხატა ობიექტის მიმართ მიზნის აცდენაში – ა.-მ ანგარების მოტივით, მოკვლის განზრახვით, ესროლა ბ.-ს. ტყვია მოხვდა ც.-ს. ბ.-ს მიმართ იქნება განზრახი მკვლელობის მცდელობა ანგარებით (სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), ხოლო ც.-ს მიმართ - სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

(4) ანალოგიურ სამართლებრივ შედეგთან გვაქვს საქმე შემდეგ კაზუსშიც: ა.-ს შეუკვეთეს ბიზნესმენ ბ.-ს მოკვლა. ა.-მ დაინახა ერ-

თად მდგომი ბ. და ც. მას ც. ეგონა ბ., ესროლა ც.-ს და შემთხვევით ტყვია მოახვედრა და მოკლა ბ. ამ შემთხვევაშიც გვექნება ც.-ს მიმართ მკვლელობის მცდელობა ანგარებით (სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), ხოლო ბ.-ს მიმართ სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მისი მოკვლა ჰქონდა შეკვეთილი და სასურველ შედეგს მიაღწია.

(5) პიროვნებაში (ობიექტში) შეცდომა სამართლებრივად ირელევანტურია. მაგალითად, ა.-ს პროკურორი შეეშალა მის ძმაში, ესროლა და მოკლა იგი პროკურორის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, იმ დროს, როცა ძმა მარტო იჯდა მანქანაში. ეს არის დამთავრებული განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

ყველა ეს მაგალითი ეხებოდა ქმედების შემადგენლობის შეცდომებს.

ბრალის ეტაპზე მნიშვნელოვანი, სსკ-ის 36-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი (იურიდიული) შეცდომის მაგალითია:

ა.-მ დაარღვია ბლანკეტურ ნორმაში მოცემული ქცევის წესი, რისთვისაც დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თავი კი იმით იმართდა, რომ არ იცოდა ბლანკეტური ნორმის შინაარსი. ეს შეცდომა შეიძლება მისატყვებელი იყოს, ვინაიდან პირს შეიძლება არ სცოდნოდა სავალუტო ოპერაციის წესები, შრომის დაცვის წესები, სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების წესები და ა.შ. სწორედ მისატყვებელი შეცდომაა ბრალის გამომრიცხველი გარემოება, თუ კონკრეტულ შემთხვევაში პირს არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა მართლწინააღმდეგობის შეგნება.

ბრალის პრინციპზე აგებული სისხლის სამართალი ბრმად არ აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პრინციპით: „კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან“, არამედ სასჯელის დაკისრების დროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაცხვის ერთ-ერთ ძირითად მომენტად მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის დადგენას მიიხსენებს.

ნარკოტიკულ საშუალებასა და ფსიქოტროპულ ნივთიერებასთან მიმართებაში ზოგჯერ მნიშვნელობა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის დადგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნარკოტიკული დანაშაულისათვის განზრახი ბრალის დადგენა შეუძლებელია, რაც გამომრიცხავს ამ დანაშაულის არსებობას.

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ა., რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა რამდენიმე წლის განმავლობაში, დააკავეს თბილისის აეროპორტში, ვინაიდან მას ჩანთაში აღმოაჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერება, რომელიც საზღვარგარეთ შეიძინა ლეგალურად და არ იცოდა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ამ ნივთიერების შექენა, შენახვა, გადაზიდვა დანაშაულს წარმოადგენდა. ასეთ შემთხ-

ვევაში, ვინაიდან პირს არა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნება, იგი არ უნდა დაისაჯოს ნარკოტიკული დანაშაულისათვის. მტკიცების ტვირთი გადაადის ბრალდების მხარეზე, ხოლო ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ მოქმედებს ყველა ეჭვის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის (*in dubio pro reo*) პრინციპი.

არსებობს აკრძალვაში შეცდომის ორი სახე:

(1) აკრძალვაში პირდაპირი შეცდომა და

(2) აკრძალვაში არაპირდაპირი შეცდომა.

ჩვენს მიერ მოყვანილი კაზუსი წარმოადგენს აკრძალვაში პირდაპირი შეცდომის მაგალითს. ეს ის შემთხვევებია, როცა პირი ფიქრობს, რომ არ არსებობს ისეთი ნორმა, რომელიც მის ქმედებას კრძალავს. მაშასადამე, არა აქვს იმის შეგნება, რომ ჩადის უმართლობას.

აკრძალვაში არაპირდაპირი შეცდომის დროს პირმა იცის, რომ თავისი ქმედებით ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ქმედების ამა თუ იმ შემადგენლობას, მაგრამ შეცდომით ფიქრობს, რომ მისი ეს ქმედება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ამა თუ იმ გარემოებით არის გამართლებული. მაგალითად, პირს ჰგონია, რომ მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას, სინამდვილეში კი, იგი წარმოადგენს მკვლელობის პრივილეგიური შემადგენლობით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას (სსკ-ის 110-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოხპობისათვის (სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აკრძალვაში როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეცდომის დროს გამოიყენება სსკ-ის 36-ე მუხლით დადგენილი წესი.

7.4.2 მოჩვენებითი მობერიება (ბოროტი განზრახვა)

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, განზრახვის ბრალი წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას ფართო გაგებით.

როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, განზრახვა არის სამკომპონენტანი. ე.ი. განზრახვა არის:

1. ცოდნა (ფაქტობრივი გარემოებების);

2. ნებელობა (გამოხატული სურვილში, შედეგის დადგომის გარდაუვალობის შეგნებასა ან შეგნებულად დაშვებაში);

3. განზრახვის ბრალი - მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ფაქტობრივი მხარის ცოდნა).

ბრალის ეტაპზე სწორედ განზრახვის ეს მესამე კომპონენტია მნიშვნელოვანი.

მიმოხილვაში წარმოდგენილი დანაშაულის სისტემის მიხედვით, განზრახვას, (ისევე როგორც გაუფრთხილებლობას), აქვს ორმაგი ფუნქცია: ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვა დგინდება მხოლოდ პოზიტიურად, (ანუ არაბოროტი განზრახვის სახით). ეს იმას ნიშნავს, რომ დგინდება მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებებისადმი პირის დამოკიდებულება. ასეთი განზრახვა არსებობს აუცილებელი მოგერიების დროსაც, ვინაიდან ამ დროს პირს აქვს ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და თავდაცვის ან სხვისი გადარჩენის მიზნით სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ან განადგურების ნებელობა. ბრალის ეტაპზე კი, ბოროტი განზრახვის სახით დგინდება განზრახვის მესამე კომპონენტი, ანუ მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის არაბოროტი განზრახვა ბრალის ეტაპზე მხოლოდ მაშინ იქცევა ე.წ. ბოროტ განზრახვად (*dolus malus*), როცა პიროვნებას სწორად აქვს შეგნებული, რომ ის არ მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების ვითარებაში. თუ პირი შეცდომას უშვებს, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ვითარებასთან დაკავშირებით და ჰგონია, რომ მასზე განხორციელებული თავდასხმა არის რეალური, სინამდვილეში კი, ასეთს ადგილი არა აქვს (ე.წ. მოჩვენებითი მოგერიება), ამ შემთხვევაში ბრალის ეტაპზე განზრახვის მესამე კომპონენტის გამომრიცხველად გამოირიცხება ე.წ. ბოროტი განზრახვა (*dolus malus*) და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება ბრალის გამომრიცხველი ე.წ. აკრძალვაში სამართლებრივი შეცდომის ანალოგიით, სსკ-ის 36-ე მუხლის საფუძველზე.

მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ფართო გაგებით, რომელიც გამომდინარეობს სსკ-ის მე-9 მუხლიდან და სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული წმინდა სამართლებრივი შეცდომა (ე.წ. აკრძალვაში შეცდომა) ბრალის ორი დამოუკიდებელი პრობლემაა, რომლებიც მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით არის ერთმანეთის მსგავსი.

თუ სსკ-ის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით არ არსებობს, (ე. ი. პირს ჰგონია, რომ მისი ქმედება მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა თავიდან აუცილებელი იყო. ან ეს ქმედება მხოლოდ განზრახ ჩადენილი ისჯება, მაშინ არც გაუფრთხილებლობა გვექნება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, პირი შეუძლებელია დაისაჯოს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია.

მოჩვენებითი მოგერიების (ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა მოჩვენებითი გარემოების) ვითარებისაგან წმინდა სამართლებრივი შეცდომის (ე.წ. შეცდომა აკრძალვაში) საკითხი

(სსკ-ის 36-ე მუხლი) განსხვავდება შინაარსობრივად (და არა სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით).

წმინდა სამართლებრივი შეცდომის დროს, თუ პირმა არ იცის ბლანკეტური ნორმის შინაარსი, მაშინ ბრალი გამოირიცხება, თუ შეცდომა თავიდან აუცილებელია, ანუ მისატყვეველია. ასეთი შეცდომის დროს განზრახვა ყველა ვარიანტში გამოირიცხულია, მაშინაც კი, როცა შეცდომა თავიდან აცილებადი, ანუ მიუტყვეველი იყო. არ შეიძლება ყველა ადამიანს მოსთხოვო ბლანკეტური ნორმის შინაარსის ცოდნა, ისევე როგორც არ შეიძლება, დასაჯო პრინციპით, რომ „კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან“.

ანალოგიური მდგომარეობაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების შესახებ შეცდომის დროსაც, თუ პირმა არ იცოდა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო და დაუშვა შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების ვითარების არსებობასთან დაკავშირებით. ანალოგიურად, ამ შემთხვევაშიც, იგი საერთოდ არ დაისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შეცდომა მისატყვეველი, ანუ თავიდან აუცილებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადიოდა. მისატყვეველი, ანუ თავიდან აუცილებელია შეცდომა იმ შემთხვევაში, როცა დადგინდება, რომ ინტელექტუალური თუ სხვა მონაცემებით დამნაშავის დონის სხვა საშუალო ადამიანიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდებოდა.

მაგალითად, მოჩვენებითი თავდასხმის დროს ა.-მ მოკლა ვითომ თავდამსხმელი ც., რომელსაც მხოლოდ მისი შეშინება უნდოდა. ეს შემთხვევა არ არის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა და არც განზრახ მკვლელობას წარმოადგენს. ასეთი მოჩვენებითი მდგომარეობა გაუფრთხილებელი დანაშაული არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვები არ შეცდებოდნენ ამ ვითარებაში, ხოლო ანალოგიურ სიტუაციაში, თუ სხვებიც შეცდებოდნენ მომგერიებლის ადგილას, მაშინ შეცდომა მისატყვეველია, ე.ი. დანაშაულის ჩადენას საერთოდ არა აქვს ადგილი.

ამრიგად, არა მარტო მოჩვენებითი მოგერიების, არამედ მოჩვენებითი აუცილებლობისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა ანალოგიურ მოჩვენებით შემთხვევებში შეცდომა მისატყვეველია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მოქმედებდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გარეშე. თუ შეცდომა მისატყვეველი არ არის, მაშინ შეცდენილ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა სისხლის სამართლის კანონით დასჯადია.

ე.წ. ბოროტი განზრახვის დადგენა ბრალის ეტაპზე, ძირითადად, არ მოითხოვს განსაკუთრებულ შემოწმებას. ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვის არსებობა, როგორც წესი, გულისხმობს ბოროტი

განზრახვის არსებობასაც. ბრალის ეტაპზე განზრახვის სპეციალურად დადგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევაა მოჩვენებითი მოგერიება (ე.წ. პუტატიური აუცილებელი მოგერიება).

მოჩვენებითი მოგერიებისა და სხვა ანალოგიური შემთხვევებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის შეიქმნა სხვადასხვა თეორიები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ე.წ. **ბანზრახვის თეორია** (*Vorsatztheorie*) და **ბრალის თეორია** (*Schuldtheorie*).

არსებობს ამ თეორიების სხვადასხვა ვარიანტები, რომელთაც დეტალურად არ განვიხილავ. (ამ თეორიების შესახებ ქართულ ენაზე იხ. ლ. მაღლაკელიძე, სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, 2009, №2, გვ. 89-109). ქართული სისხლის სამართლის პოზიციებიდან გამომდინარე, ვიტყვი მარტივად მხოლოდ იმას, რომ ე.წ. განზრახვის თეორია მნიშვნელოვანია კლასიკური და ნეოკლასიკური სისტემებისათვის, რომლებიც სამკომპონენტო განზრახვას მთლიანად ბრალის ფორმად მიიჩნევენ. მოჩვენებითი მოგერიება, რომელიც წარმოადგენს შეცდომას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ფაქტობრივ მხარეზე, გამომრიცხავს განზრახვას, როგორც ბრალის ფორმას (იხ. *J. Baumann, U. Weber, Strafrecht, AT, მე-9 გამოცემა 1985, გვ. 424*).

მიმოხილვაში წარმოდგენილი დანაშაულის სისტემისათვის ე.წ. განზრახვის თეორია არ არის მნიშვნელოვანი, რადგან წიგნში წარმოდგენილი თვალსაზრისი აღიარებს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე განზრახვის ორი კომპონენტის არსებობას, ხოლო მესამეს მიიჩნევს ბრალის კომპონენტად. ამიტომ მოჩვენებითი მოგერიება განიხილება ე.წ. ბრალის თეორიის მიხედვით.

ეს უკანასკნელი არის ორი სახის: ე.წ. **თანმიმდევრული ბრალის თეორია** (*strenge Schuldtheorie*) და ე.წ. **შეზღუდული ბრალის თეორია** (*eingeschränkte Schuldtheorie*) სხვადასხვა ვარიანტებით.

თანმიმდევრული ბრალის თეორია დამახასიათებელია ფინალური სისტემისათვის (*ველცელი*). იგი განზრახვას მიიჩნევს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ორკომპონენტო (ცოდნა და ნებელობა) ნიშნად, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნებას განიხილავს, როგორც ბრალის დამოუკიდებელ ელემენტს. ეს უკანასკნელი კი, თავის თავში აერთიანებს მართლწინააღმდეგობის შეგნებას, ამ მიმოხილვაში წარმოგიდგენთ ტერმინოლოგიის მიხედვით, როგორც ვიწრო, ასევე ფართო გაგებით. ამის გამო, როგორც აკრძალვაში სამართლებრივი შეცდომა, ისე შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობასთან დაკავშირებით, (მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიება), ერთნაირად გამომრიცხავს მართლწინააღმდეგობის შეგნებას, როგორც ბრალის ნიშანს.

ჩემს სადისერტაციო ნაშრომში (1997) აღნიშნულია „განზრახვის ორმაგი ფუნქციისა“ და „გაუფროთხილებლობის ორმაგი ხასიათის“ შესახებ მოძღვრების მნიშვნელობაზე ქართული სისხლის სამართლისათვის, რომლის ერთ-ერთი ავტორი არის საქართველოშიც კარგად ცნობილი გერმანელი პროფესორი *ჰანს-ჰაინრიხ იეშეკი* (იხ. *H.-H. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-4 გამოცემა, 1988, გვ. 218*). სწორედ ამ მოძღვრებასთან არის დაკავშირებული *შეზღუდული ბრალის* თეორია, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი შეცდომა (შეცდომა აკრძალვაში) გამორიცხავს მართლწინააღმდეგობის შეგნებას, როგორც ბრალის ნიშანს. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის შესახებ ფაქტობრივი შეცდომა (მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიება) კი, გამორიცხავს განზრახვის ბრალს (ბოროტ განზრახვას, როგორც ბრალის კომპონენტს). სწორედ შეზღუდული ბრალის თეორიის განვითარებას ქართულ სისხლის სამართალში უუჭერდი მხარს ჯერ კიდევ ბერლინის პუმბოლდტის უნივერსიტეტის სისხლისსამართლებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტში ჩემი სამეცნიერო საქმიანობის დასაწყისში (იხ. *M. Turava, Straftatssysteme in rechtsvergleichender Sicht unter besonderer Berücksichtigung des Schuldbegriffs, დისერტაცია, 1998, გვ. 257*). ამ პოზიციას წარმოდგენილი მოხილვა კიდევ უფრო აღრმავებს.

7.4.3 ბრძანების ან განკარგულების შესრულება

ბრძანების ან განკარგულების შესრულება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ისევე, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართალში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ დამოუკიდებელ გარემოებას, არამედ კავშირშია შეცდომის ინსტიტუტსა და ბრალის გამომრიცხველ იძულებით უკიდურეს აუცილებლობასთან (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 177-181*).

საქართველოს სსკ-ის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ სამოქალაქო თუ სამხედრო ხელქვეითსა თუ სხვა ქვეშევრდომს, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ასეთი ქმედება ჩადენილი უნდა იყოს წინასწარი შეცნობის გარეშე. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება ასეთი ბრძანების ან განკარგულების გამცემს. ესაა სწორედ მისატყვებელი შეცდომის სპეციალური შემთხვევა. ამ შემთხვევაში ხელქვეითს არა აქვს და არც შეიძლება დაჰქონოდა მართლწინააღმდეგობის შეგნება ვიწრო ან ფართო გაგებით.

მაგალითად, ოფიცერი უბრძანებს ჯარისკაცს, მოკლას ვითომ „დივერსანტი“, რომელიც სინამდვილეში მისი ცოლის საყვარელია,

რათა მასზე იძიოს შური. ჯარისკაცმა შეასრულა ბრძანება, რითაც შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში დაუშვა მისატყვევებელი შეცდომა. იგი არ აგებს პასუხს მკვლელობისათვის, ვინაიდან მას არ ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით. ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს ოფიცერი, რომელიც მოქმედებდა შუალობითი ამსრულებლის მდგომარეობაში. სამხედრო ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს მუხლი მიუტყვევებელი შეცდომის დროსაც არ ითვალისწინებს ჯარისკაცის პასუხისმგებლობას დაუდევრობისათვის, მიუხედავად იმისა, მის მიერ ჩადენილი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია თუ არა.

საერთაშორისო სისხლის სამართალში დასჯადი არ არის ჯარისკაცის დაუდევრობა და, შესაბამისად, არ არის შესაძლებელი მის მიერ საერთაშორისო დანაშაულის უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენა (იხ. რომის სტატუტის 30-ე მუხლი).

თუ დანაშაულებრივი ბრძანება შესრულდა წინასწარი შეცნობით, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, დაეკისრება, როგორც დანაშაულის ამსრულებელს. მაგალითად, ოფიცერმა უბრძანა ჯარისკაცს, რომ მოკლას მისი ცოლის საყვარელი. ჯარისკაცმა იცის ამის შესახებ და ასრულებს ბრძანებას. ჯარისკაცი დაისჯება, როგორც მკვლელობის ამსრულებელი, ხოლო ოფიცერი - როგორც წამქეზებელი. ხელქვეითის წაქეზების შემთხვევაში, საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით, მეთაურს ეძლევა შუალობითი ამსრულებლის სტატუსი.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება უშუალო ამსრულებლის პასუხისმგებლობას გამორიცხავს იმ შემთხვევაში, როცა იგი მოქმედებს ე.წ. ტრაგიკული კოლიზიის ვითარებაში. ასეთ შემთხვევაში ბრძანების გამცემი დაისჯება, როგორც შუალობითი ამსრულებელი, ხოლო უშუალო ამსრულებელი სსკ-ის 38-ე მუხლზე დაყრდნობით გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე.

ქართული სისხლის სამართლის მიერ უარყოფილია, როგორც ადრეული მოძღვრება მხოლოდ მეთაურის პასუხისმგებლობის („*respondeat superior*“), ასევე ქვეშევრდომის აბსოლუტური დასჯის შესახებ („*absolute liability*“).

მაშასადამე, იზიარებს რა საერთაშორისო სისხლის სამართლის თვალსაზრისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი არის სამართლებრივი შეცდომის გამოვლენის სპეციალური შემთხვევა, რომელიც რეგულირდება სსკ-ის 36-ე მუხლით, მაშინ, როდესაც 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი სსკ-ის 38-ე მუხლის („ტრაგიკული კოლიზია“) სპეციალურ შემთხვევად უნდა განვიხილოთ.

როგორია უკანონო ბრძანების ან განკარგულების შესრულების დასჯადობა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით?

უფროსის ბრძანებაზე მითითების დაუშვებლობას ეძღვნება რომის სტატუტის 33-ე მუხლი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ პირმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული ჩაიდინა მთავრობის ან ზემდგომი სამხედრო თუ სამოქალაქო უფროსის ბრძანების შესრულებისას, არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

(ა) პირს ვკისრებოდა მთავრობის ან უფროსის ბრძანების შესრულების იურიდიული ვალდებულება;

(ბ) პირმა არ იცოდა ბრძანების უკანონობის შესახებ და

(გ) ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო ხასიათის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს პირობები არ მოქმედებენ დანაშაულის ყველა შემადგენლობისათვის: ამ მუხლის მიზნებისათვის, ბრძანება, მიმართული *გენოციდის* დანაშაულის ან *ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული* დანაშაულის ჩადენისაკენ, ყოველთვის ჩაითვლება აშკარად უკანონოდ. ამიტომ ამ ორ დანაშაულთან მიმართებაში გამოიყენება ე.წ. აბსოლუტური თეორია, რის გამოც, პასუხისმგებლობა ბრძანების შესრულებაზე მითითებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოირიცხება.

სტატუტის 33-ე მუხლი განსასჯელის სასარგებლოდ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი დანაშაული შედის მის იურისდიქციაში და ჩადენილია სახელმწიფო ხელისუფლების ან უფროსის ბრძანებით. პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად კი, საჭიროა ერთობლივად სამი კუშულაციური პირობის არსებობა.

მოცემული მუხლი აერთიანებს *სუბიექტურ* (არცოდნა იმისა, რომ ბრძანება უკანონო იყო) და *ობიექტურ* (ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო) კრიტერიუმებს.

რაც შეეხება დებულებას რომის სტატუტის მიხედვით: ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო ხასიათის, იგი მოქმედებს მხოლოდ *ომის* დანაშაულისა და *აგრესიის* მიმართ (როცა ამ უკანასკნელს მიეცემა განსაზღვრება სპეციალურ შემადგენლობაში), რადგანაც ბრძანება გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესახებ ყოველთვის აშკარად უკანონოდ ითვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ მეთაურის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონცეფციას ეფუძნება: უფროსი, რომელიც დანაშაულებრივ ბრძანებას გასცემს, ისჯება სტატუტის 25-ე მუხლის შესაბამისად (პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა), ხოლო 28-ე მუხლი აწესრიგებს უფროსის პასუხისმგებლობას დაქვემდებარებულის მართლსაწინააღმ-

დეო ქმედებისათვის, რომელსაც არ გაუცია ბრძანება, მაგრამ ახორციელებდა რეალურ ძალაუფლებას და კონტროლს (ე.წ. ქმედებაზე ბატონობის თეორია), თუმცა, არ გამოიყენა თავისი ძალაუფლება და ამ გზით უგულებელყო თავისი ვალდებულება, უხელმძღვანელოს ხელქვეითისა თუ სხვა ქვემდგომის ქმედებებს.

დაცვის საშუალება ბრძანების შესრულებაზე მითითებით ყოველთვის არ იყო ერთმნიშვნელოვანი: ნიურნბერგისა და ტოკიოს წესდებებისა და ასევე ორივე - ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის დროებითი ტრიბუნალების წესდებებით, უფროსის ბრძანებაზე მითითება არც ერთ შემთხვევაში არ დაიშვება. ამასთან, მრავალი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში შემუშავებულია სხვა მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში, ანუ მათი მიხედვით, დაცვის საშუალებად დაიშვება უფროსის ბრძანებაზე მითითება იმ შემთხვევების გარდა, როცა ქვემდგომმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ბრძანება იყო უკანონო ან აშკარად უკანონო.

აქედან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში უფროსის ბრძანებაზე ან კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე, როგორც დაცვის საშუალებაზე, მითითება არ უნდა იყოს სტატუტის შესაბამის დებულებაზე ფართო. სამხედრო მოსამსახურეების მიერ უფროსის ბრძანების შესრულების მნიშვნელობისა და სავალდებულოობის გათვალისწინებით, ისეთი შემთხვევები, როცა უფროსის ბრძანება ხსნის ხელქვეითის ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, უნდა იყოს შეზღუდული. მაგალითად, უფროსის ბრძანებაზე მითითება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ბრძანებას, ჩაიდინო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ან გენოციდი (ე.წ. აბსოლუტური თეორია). იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ომის დანაშაულთან მიმართებაში (ე.წ. პირობათა თეორია).

რომის კონფერენციაზე დისკუსიის დროს (1998 წელი) საკამათო იყო, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო ბრძანების შესრულების შინაარსი. ამერიკის შეერთებული შტატები ავითარებდა პოზიციას, რომ იგი ყოფილიყო პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება („substantive defence“). ეს პოზიცია უარყოფილ იქნა სხვა (მაგალითად, გერმანიის) დელეგაციების მიერ, განსაკუთრებით ნიურნბერგის სამართალსა და ექს-იუგოსლავიისა და რუანდის დროებითი ტრიბუნალების პრაქტიკიდან გამომდინარე (იხ. K. Ambos, Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 179).

დღეს მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი, რომელიც ეძღვნება დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, მოთავსებულია ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა თავში. ეს ნორმა, მართალია, სპეციალურად საერთაშორისო დანაშაულებისათვის არ არის შექმნილი, მაგრამ აქ

მოცემული დებულებები, აგრეთვე, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ირღვევა საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ქართული სისხლის სამართლის ნორმა ბრძანების ან განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია ე.წ. პირობათა თეორიის მიხედვით და იგი გარკვეულწილად განსხვავდება ამ საკითხზე საერთაშორისო სისხლის სამართლის აბსოლუტური თეორიის დებულებებისაგან. ამასთან, კოდექსის ეს ნორმა შეესაბამება კონტინენტალური ევროპის არაერთი ქვეყნის კანონმდებლობასა და დოგმატიკას.

7.4.4 აუცილებელი მოგერიების ექსცესი

არის თუ არა აუცილებელი მოგერიების ექსცესი ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი ზეკანონური დაუწვრელი გარემოება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით?

გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც აუცილებელი მოგერიების ექსცესის შესახებ სპეციალურ ნორმას (გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე პარაგრაფი) შეიცავს, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა თავში ასეთი შეხელი არ იქნა შეტანილი.

სისხლის სამართლის კოდექსის ალტერნატიული პროექტი, რომლის ავტორია *ოთარ გამყრელიძე*, შეიცავს გერმანული კოდექსის ნორმის ანალოგიურ 38-ე მუხლს („აუცილებელი მოგერიების ექსცესი“), რომლის შინაარსი ასეთია: „არ დაისჯება ის, ვინც აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილებს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან გამოწვეული დაბნეულობით, შიშით ან სხვა საპატიო გარემოების გამო“.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიღების დროს კანონმდებელმა არ გაითვალისწინა ეს პოზიცია და სისხლის სამართლის კოდექსში არ შეიტანა ეს ნორმა.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის 113-ე მუხლი დასჯადად აცხადებს მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით და მისთვის მაქსიმალურ სასჯელად აწესებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამ წლამდე.

კანონი არ აკეთებს არავითარ დიფერენციაციას, ობიექტური შემადგენლობის თვალსაზრისით, აუცილებელი მოგერიების ექსცესის თუ რომელი სახეები იგულისხმება სსკ-ის 113-ე მუხლის შინაარსში. ამ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა კი, სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ განზრახვაში. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ევენტუალური განზრახვა, რაც გამოწვეულია დაბნეულობით, შიშით ან სხვა ანალოგიური ექსტრემალური სიტუ-

აგით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირი პირდაპირი განზრახვით აცილებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, იგი დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის (სსკ-ის 108-ე მუხლი).

მიუხედავად კერძო ნაწილის ამ ნორმის არსებობისა, შეიძლება თუ არა აუცილებელი მოგერიების ექსცესის რომელიმე შემთხვევა ვადიაროთ ბრალის გამომრიცხველ დაუწერელ საპატიებელ ზეკანონურ გარემოებად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მას შემდეგ, როცა განვიხილავთ აუცილებელი მოგერიების ექსცესის სახეებს.

არსებობს აუცილებელი მოგერიების ექსცესის ორი სახე: *ინტენსიური* და *ექსტენსიური*.

აუცილებელი მოგერიების *ინტენსიური* ექსცესი ის შემთხვევაა, როცა პირი, ნაცვლად ნებადართული მსუბუქი თავდაცვის მეთოდებისა და საშუალებებისა, რომლებიც მის ხელში არსებობს, აუცილებლობის გარეშე უფრო მიიმეხ, მეტი ზიანის გამომწვევს იყენებს.

მაგალითად, ა.-ს, თავისი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეუძლია, ბ.-ს მიერ მასზე განხორციელებული თავდასხმა უპრობლემოდ მუშტით მოიგერიოს. იგი, მოულოდნელი შეტევით შეშინებული, გამოიყენებს დანას და დაარტყამს ბ.-ს მუცლის არეში. ეს არის ინტენსიური ექსცესის შემთხვევა, რომელსაც აქვს თავისი პირობები:

(1) ობიექტურად უნდა არსებობდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა;

(2) მომგერიებელმა უნდა გადააჭარბოს მოგერიებისათვის აუცილებელ ზომებს, მაშასადამე, უნდა გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომელიც აუცილებელზე ზედმეტი ზიანის მომტანია, (მაგალითად, ფეხის ნაცვლად მუცელში სროლა), ან არ გამოიყენოს მის ხელთ არსებული იგივე ეფექტის გამომწვევი უფრო მსუბუქი საშუალება;

(3) მომგერიებელი უნდა მოქმედებდეს დაბნეულობით, შიშით ან სხვა ექსტრემალურ გარემოებაში. მხოლოდ ასეთი ადამიანური სისუსტის გამომწვევი აფექტი (ე.წ. *ახთენიური* აფექტი) მოქმედებს პირის სასარგებლოდ და არა გაბრაზებით, გაღიზიანებით, სიძულვილით ან სხვა მსგავსი გარემოებით გამოწვეული აფექტი (ე.წ. *სთენიური* აფექტი).

აუცილებელი მოგერიების დროითი საზღვრების გადაცილება კი, წარმოადგენს *ექსტენსიურ* ექსცესს.

თავის მხრივ, იგი ორი სახისაა: როცა პირი მოქმედებს ისეთი თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ არ დაწყებულა ან უკვე დამთავრებულია. ამ დროს დაცვა არ არის მიმართული იმწუთიერი ხელყოფის წინააღმდეგ, რადგან ჯერ კიდევ ადრე ან უკვე გვიანია.

მაგალითები:

ა.-მ გაიგო, რომ ბ. გეგმავს მასზე თავდასხმას. შიშისგან იგი მას ესერის იმ დროს, როცა იგი ჯერ კიდევ ქუჩაში იმყოფება და ფიქრობს, თუ როდის და რა ვითარებაში მოახდინოს თავდასხმა.

ა. თავს დაესხა ბ.-ს, რომ ცემოს და მიაყენოს ჯანმრთელობის დაზიანება, მაგრამ ბ.-ს მიერ დანის ამოღების შემთხვევაში გაქცევა გადაწყვიტა. პანიკური შიშის მდგომარეობაში ა.-მ სურგ'სე დაარტყა დანა და მიაყენა ჯანმრთელობის მიმე დაზიანება.

წარმოადგენს თუ არა ექსტენსიური ექსცესის ეს ორი სახე: ნაადრევი და დაგვიანებული მოგერიება, საპატიებელ გარემოებას, საკამათო. ამასთან დაკავშირებით არსებობს სამი განსხვავებული პოზიცია:

(1) გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ექსტენსიური ექსცესი არ წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას (იხ. *H.-H. Jescheck, T.Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 493*);

(2) საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით, ექსტენსიური ექსცესის ორივე შემთხვევა წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას (იხ. *G. Jakobs, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 584*).

(3) შუალედური პოზიციის მიხედვით, ასეთ საპატიებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ დაგვიანებული ექსტენსიური ექსცესი, რადგან ნაადრევი ექსტენსიური ექსცესისაგან განსხვავებით, ამ დროს არსებობდა აუცილებელი მოგერიების უფლება, რომელიც დროში იქნა გადაცილებული (იხ.: *B. Heinrich, Strafrecht - AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 246; U. Kindhäuser, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 2006, გვ. 190; J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 156*).

აუცილებელი მოგერიების ექსცესი შეიძლება განხორციელდეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

მაგალითად, ა. ფიქრობს, რომ ფეხების მიმართულებით სროლას შეუძლია ბ. ბრძოლისუუნარო გახადოს. მიუხედავად ამისა, იმყოფება რა შიშით გამოწვეული ე.წ. ასთენიური აფექტის მდგომარეობაში, ესვის მუცლის მიმართულებით.

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, მომგერიებლის ექსცესზე ზეგავლენას არ ახდენს და მისი მოქმედება საპატიებელია, მიუხედავად იმისა, იგი შეგნებულად თუ შეუგნებლად გადააცილებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. *პანს ველცელის* პოზიციის საწინააღმდეგოდ, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ამ კაზუსში, ადგილი ექნება აუცილებელი მოგერიების ექსცესის საპატიებელ მდგომარეობას (იხ. *U. Kindhäuser, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 2006, გვ. 190-191*).

როგორ უნდა გადაწყდეს აუცილებელი მოგერიების ექსცესის დროს პირის პასუხისმგებლობის საკითხი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით?

წარმოდგენილი შეხედულებების ანალიზის შედეგად მივდივარ დასკვნამდე, რომ ექსტენსიური ექსცესი არცერთ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას. რაც შეეხება ინტენსიური ექსცესის შემთხვევას, თუ იგი სუბიექტურად განხორციელდა განზრახ, უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 113-ე მუხლით, ხოლო გაუფრთხილებლობის შემთხვევაში შეიძლე-

ბა გახდეს ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური დაუწერელი საპატიებელი გარემოება, თუ შესრულებულია პატიების ობიექტური წინაპირობები.

7.4.5 ტრაგიკული კოლიზია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების არსებობას. შეიძლება ესა თუ ის გარემოება კოდექსში სახელდებით არ იყოს მოხსენიებული, მაგრამ თუ იგი აკმაყოფილებს ქმედების არაბრალეულობის პირობებს, პირი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სსკ-ის 38-ე მუხლი აერთიანებს ბრალის გამომრიცხველ სხვადასხვა საპატიებელ გარემოებებს, რომელთაც პირობითად შეიძლება ეწოდოთ: ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევები. ეს ის შემთხვევებია, როცა, როგორც წესი, ადგილი აქვს თანაბარმნიშვნელოვან ინტერესთა კოლიზიას, რომლის დროსაც წარმოიშობა კონფლიქტი, რომელშიც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ერთი მათგანის სასარგებლოდ მეორე სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ხარჯზე. ასეთ შემთხვევებში პირი, მართალია, ახორციელებს ქმედების შემადგენლობის შესაბამის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (სისხლისსამართლებრივ უმართლობას), მაგრამ შექმნილი სიტუაცია იმდენად ექსტრემალურია, რომ მას არ შეიძლება მოეთხოვოს ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულება, რის გამოც ბრალის გამომრიცხვის გზით უარი უნდა ითქვას მის დასჯაზე.

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, ქართული სისხლის სამართლის ბრალის გამომრიცხველი დაუწერელი ზეკანონური გარემოებები შეიძლება გამოვლინდეს საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სხვადასხვა შემთხვევებში.

7.4.5.1 საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულმა სისხლის სამართალმა გარემოებათა გამართლებისა და პატიების საფუძვლად ორკვალიანი დაყოფა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების სახით გერმანული სისხლის სამართლიდან გადმოიღო. მიუხედავად ამისა, გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში (35-ე პარაგრაფი) ითვალსწინებს საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობას, ქართული სისხლის სამართალი ასეთ სპეციალურ საკანონმდებლო ნორმას არ შეიცავს. გერმანულ სისხლის სამართალში ასევე ცალკე არსებობს ე.წ. დაუწერელი ზეკანონური უკიდურესი აუცილებლობა.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების დროს *ოთარ გამყრელიძე*მ თავისი ალტერნატიული პროექტით შემოგვთავაზა გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შემოღება (იხ. *ო. გამყრელიძე*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 283), რაც კანონმდებელმა სამწუხაროდ არ გაიზიარა. ასევე *ქ. ფუტკარაძე* თავის დისერტაციაში მიუთითებს ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა თავში საპატიო უკიდურესი აუცილებლობის ნორმის შემოღების მიზანშეწონილობაზე (იხ. *ქ. ფუტკარაძე*, უკიდურესი აუცილებლობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში”, დისერტაციის ავტორეფერატი, 2003, გვ. 18).

ოთარ გამყრელიძის ალტერნატიული პროექტის 36-ე მუხლის მიხედვით, რომელიც გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის ნორმის (35-ე პარაგრაფი) ანალოგიურად არის ჩამოყალიბებული, „საპატიო უკიდურესი აუცილებლობის” შინაარსი ასეთია:

„(1) ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს და სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით.

(2) ეს ნორმა არ გამოიყენება, თუკი დამზიანებელმა საფრთხე თვითონ შექმნა ან, თუკი, განსაკუთრებული პროფესიული თუ სამსახურებრივი ურთიერთობების გამო, დამზიანებელს მოეთხოვება, მიიღოს საფრთხე თავის თავზე.

(3) თუკი სხვისი სიკეთის დაზიანება არ გამორიცხავს მთლიანად დამზიანებლის ბრალს, ის შეიძლება გახდეს სასჯელის შემსუბუქების საფუძველი”.

საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შესახებ ქართული კანონმდებლის მიერ სპეციალური ნორმის შემოღებაზე უარის თქმა არ უშლის ხელს, რომ ამ ნორმაში მოცემული პირობების არსებობისას ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე პირის მოქმედება ჩაითვალოს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებად. უფრო მეტიც, ქართული საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის ქვეშ, რომელიც წარმოადგენს ზეკანონურ გარემოებას, შეიძლება მოვიაზროთ გერმანული სისხლის სამართლის ორივე ინსტიტუტი – საპატიო უკიდურესი აუცილებლობა და ზეკანონური უკიდურესი აუცილებლობა, ვინაიდან ქართული სსკ-ის 38-ე მუხლი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ორივე ეს ინსტიტუტი (ვალ-ვალკე ან თუნდაც ერთად აღებული).

ქვემოთ განვიხილავ საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობას ვიწრო და ფართო გაგებით. ორივე ეს კონკრეტულად დაუწერელი გარემოება გამომდინარეობს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის ნორმის შინაარსიდან.

(1) საპატივბედი უკიდურესი აუცილებლობა ვიწრო
გაბეჭობით

საპატივბედელ უკიდურეს აუცილებლობაში ვიწრო გაგებით უნდა მოვიანხოროთ ის შემთხვევები, რომლებიც ჩაღვნილია დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლის, სხეულებრივი მთლიანობის ან თავისუფლების გადასარჩენად. იგი განსხვავდება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის, ასევე ფართო გაგებით საპატივბედელი უკიდურესი აუცილებლობისაგან, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთე დაზიანებულს მნიშვნელოვნად აღემატება, საპატივბედელი უკიდურესი აუცილებლობის დროს, როგორც წესი, ერთმანეთს უპირისპირდება ორი თანაბარი ღირებულების სამართლებრივი სიკეთე. ამ სიკეთეებიდან ერთის გადარჩენითა და მეორის ხელყოფით პირი ყოველთვის ჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც სამართლებრივად არ არის გამართლებული, მაგრამ ნებადართულია. ამ გარემოების არსი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნილ ვითარებაში პირი იმყოფება ისეთი ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ და ისეთი ძლიერია ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის სურვილი, რომ იგი ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობაში ვარდება. ასეთ ვითარებაში მოქმედებისათვის პირს პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება, რადგან სამართლებრივად შეიქმნა ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების მოთხოვნის შეუძლებლობის მდგომარეობა.

მაშასადამე, მართლზომიერ უკიდურეს აუცილებლობას (სსკ-ის 28-ე მუხლი) და საპატივბედელ უკიდურეს აუცილებლობას (სსკ-ის 38-ე მუხლი) შორის განსხვავება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

(1) მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის დროს დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე, მაშინ როდესაც საპატივბედელი უკიდურესი აუცილებლობისას, როგორც წესი, თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეებთან გვაქვს საქმე.

(2) მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის დროს არ არსებობს არავითარი შეზღუდვა, არამედ შეიძლება დაცული იქნეს ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთე, რომელიც დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. საპატივბედელი უკიდურესი აუცილებლობის დროს კი, არსებობს შეზღუდვა განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთეებით, რომლებიც შეიძლება იქნეს დაცული. ეს სიკეთეებია: სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება. ამასთან, დაცული სამართლებრივი სიკეთე უნდა წარმოადგენდეს თვით დამზიანებლის ან მისი ახლობლის კუთვნილებას.

(3) თანამონაწილეობა მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის დროს არ არის შესაძლებელი, მაშინ როდესაც საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის დროს იგი შესაძლებელია (ე.წ. თანამონაწილეობის ლიმიტირებული აქცესორულობა).

(4) უკიდურესი აუცილებლობის დროს მართლზომიერად მოქმედი პირის მიმართ აუცილებელი მოგერიება არ არის ნებადართული, მაგრამ საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ აუცილებელი მოგერიება შესაძლებელია, რადგან პირი მოქმედებს არაბრალეულად, მაგრამ მართლსაწინააღმდეგოდ.

(5) შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით გამორიცხავს პასუხისმგებლობას განზრახი დანაშაულისათვის. იგი წარმოადგენს მოხვედრითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას და გადაწყდება სსკ-ის 36-ე მუხლის ანალოგიით. შეცდომა საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობასთან დაკავშირებით არ გამორიცხავს განზრახვას, თუ ეს შეცდომა თავიდან აცილებადი იყო, არამედ მხოლოდ სასჯელის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს.

საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის არაბრალეულობის აუცილებელი წინაპირობებია: (ა) უკიდურესი მდგომარეობა; (ბ) უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება; (გ) სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის ნება და (დ) საფრთხის თავის თავზე მიღების ვალდებულების არარსებობა:

(ა) უკიდურესი მდგომარეობა შექმნილია მაშინ, როცა არსებობს უშუალო საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფალი გადაადგილების უფლებას. სხვა სამართლებრივი სიკეთების დაცვა ასეთ მდგომარეობაში არ არის ნებადართული. ახლობლის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ახლო ნათესავის, რომლის საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნაში;

(ბ) უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება არის არაბრალეული, თუკი შექმნილი საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით. უკიდურესი მოქმედების დროს არსებული უნდა იქნეს ეფექტური და დამზიანებლის ხელში არსებული საშუალებებიდან ყველაზე უფრო მსუბუქი, რომელიც იგივე მიზნის საიმედოდ მიღწევის პირობებში შედარებით ნაკლები ზიანის მომტანია. შესაძლებლობის შემთხვევაში, ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს სხვათა მხარდაჭერა ან სახელმწიფოს მხრიდან დახმარება. უკიდურესი მოქმედების დროს ასევე დაცული უნდა იქნეს გარკვეული პროპორციულობა. არ არის ნებადართული სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, თუ პირს მხოლოდ უმნიშვნელო სხეულებრივი დაზიანება ემუქრება;

(ვ) სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის ნება გულისხმობს იმას, რომ პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს საფრთხის მდგომარეობა და უნდა მოქმედებდეს საფრთხის თავიდან აცილებისა და სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზნით;

(დ) საფრთხის თავის თავზე მიღების მოთხოვნა გულისხმობს, რომ ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას არ შეუძლია ეს გარემოება მისი მოქმედების არაბრალეულობის დასამტკიცებლად გამოიყენოს. ეს ის შემთხვევებია, როცა დამზინებელმა საფრთხე თვითონ შექმნა ან, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული პროფესიული თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, მოეთხოვება მიიღოს საფრთხე თავის თავზე. ვიწრო გაგებით საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობით ვერ იმოქმედებენ პოლიციელი, ჯარისკაცი, მეხდვაური, მეხანძრე, სხვადასხვა მაშველი სამსახურის წევრები.

მოვიყვანო საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის კლასიკურ მაგალითს (*გ.წ. კარნეადესის ფიცარი*), რომელიც სისხლის სამართლის არაერთ სახელმძღვანელოში არის მოცემული (იხ., მაგალითად, *U. Kindhäuser, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 2006, გვ. 184*). იგი დაკავშირებულია ბერძენი ფილოსოფოსის *კარნეადესის* სახელთან, რომელსაც ეს შემთხვევა აქვს მოყვანილი.

გემის კატასტროფის შემდეგ ფიცარზე აღმოჩნდება ორი ადამიანი. ორივეს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება, რადგან ფიცარს შეუძლია გაუძლოს მხოლოდ ერთს. ასეთ ვითარებაში, თუ ერთი გადაირჩენს თავს მეორის წყალში გადავლებით, გვეჩვენა ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება, რადგან ეს მოქმედება მიმართული იყო საკუთარი თავის გადასარჩენად. ამასთან, ორივე დასაღუპავად იყო განწირული.

სხვა მაგალითში, თუ ორ მთამსვლელს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება და ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი მათგანი თოქს გადაჭრის იმ მიზნით, რომ თავი გადაირჩინოს, მისი მოქმედება ვერ ჩაითვლება ბრალეულად.

აქვე მინდა მოვიყვანო ცნობილი მაგალითი ინგლისის სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც ასევე სისხლის სამართლის არაერთ სახელმძღვანელოში არის განხილული (იხ., მაგალითად, *H. Fuchs, Österreichisches Strafrecht, AT I, მე-6 გამოცემა, 2004, გვ. 60-61*).

ამ მაგალითის მიხედვით, 1884 წელს გემის კატასტროფის შედეგად ორმა უკიდურესად დამშეულმა ადამიანმა მოკლა უბედური შემთხვევისაგან დაუძღვრებული ბიჭი და შეჭამა, რათა სიკვდილისაგან თავი გადაერჩინათ. ამ მოქმედების გარკვეული იხინი ვერ გადარჩებოდნენ. ინგლისურმა სასამართლომ, რომელმაც ეს ადამიანები გაასამართლა, თავი შეიკავა მათი გამართლებისაგან, რადგან ჩათვალა, რომ სიცოცხლე წარმოადგენს აბსოლუტურ სიკეთეს და ამის გამო უდანაშაულო ადამიანის მოკვლა ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი, არ

შეიძლება ნებადართული ყოფილიყო. ამიტომ, სასამართლომ განსახლებებს შეუფარდა სიკვდილით დასჯა, რომელიც მალე შეწყდალების გზით ექვესთვიანი თავისუფლების აღკვეთით შეეცვალათ.

იმ დროს სისხლის სამართლის დოგმატიკა ჯერ კიდევ არ იცნობდა განსხვავებას მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს შორის, რომლის მიხედვითაც, პირის მოქმედება შეიძლება არ იყოს სამართლებრივად მოსაწონი და გამართლებული, მაგრამ იყოს მისატყვებელი. დღეს თითქმის ერთხმად არის აღიარებული, რომ ასეთი მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოზიციებიდან გამომდინარე, რომელიც აღიარებს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებებს, ამ თვალსაზრისს არ შეიძლება არ დაეთანხმო.

თინათინ წერეთლის თვალსაზრისი ამ საკითხზე, ვფიქრობ, სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარების დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიუღებელია. *თ. წერეთელს* დაუშვებლად მიაჩნია „ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა სხვა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. ამიტომ ასეთ მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება განიხილება როგორც დანაშაული“ (იხ. *თინათინ წერეთლის* შეხედულება წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, რედ.: *თ. წერეთელი* და *გ. ტყეშელაძე*, 1976, გვ. 112). იგი ასეთ შემთხვევას ბრალეულად მიიჩნევდა და შესაძლებლად მიაჩნდა მისი მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მხედველობაში მიღება.

(2) იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა, როგორც საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სპეციალური შემთხვევა

იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა წარმოადგენს საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სპეციალურ შემთხვევას. მას ცალკე განვიხილავ იმ თვალსაზრისითაც, რომ მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართალშიც.

იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა არ წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. ეს ის შემთხვევაა, როცა პირი სხვა ადამიანის მხრიდან ძალადობის ან ძალადობის მუქარის შედეგად იმყოფება სიცოცხლის, სხეულებრივი მთლიანობის ან თავისუფლების ხელყოფის იმწუთიერ საფრთხეში, რომელიც არ შეიძლება აცდენილი იქნეს სხვა საშუალებით. ასეთი ძალადობის ან ძალადობის მუქარის მიზანია, პირმა ჩაიღინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაშასადამე, პირი არის იძულების ან მუქარის ქვეშ.

მაგალითად, ოფიცერმა ჯარისკაცს უბრძანა, რომ მოეკლა თავისი ცოლის საყვარელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ორივე მათგანს

მოკლავდა. ჯარისკაცი იძულებული იყო ბრძანება შეესრულებინა (წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე დაიღუპებოდნენ). ჯარისკაცი იმყოფებოდა ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობაში, რომელიც იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის სახით მის ბრალეულობას გამორიცხავს.

შეიძლება თუ არა იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა გვექონდეს არათანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეთა შემთხვევაშიც, როცა დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილი, თუ ასეთი შემთხვევა ყოველთვის უნდა შევაფასოთ, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა?

მაგალითად, პირთა ჯგუფმა გაიტაცა ა.-ს მცირეწლოვანი შვილი. გამტაცებლები მამას აიძულებენ, რომ დაწვას ბ.-ს ავტომანქანა. ავტომანქანის მეპატრონე ბავშვის მამას ნებაყოფლობით არაფრით არ დათანხმდება ავტომანქანის განადგურებაზე. მამა ხედავს, რომ მის შვილს რეალური საფრთხე ემუქრება, ამასთან, არა აქვს სხვაგვარად შვილის გადარჩენის იმედი. იგი იძულებული გახდა, ჩაედინა ეს ქმედება, რითაც გადაარჩინა უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე – შვილის სიცოცხლე.

ამ კაზუსის მიხედვით, მამის მოქმედებას ვერ შევაფასებთ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობად, არამედ იგი წარმოადგენს საპატიებელ იძულებით უკიდურეს აუცილებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომანქანის მეპატრონეს არ ექნება საკუთარი ავტომანქანის დასაცავად აუცილებელი მოგერიების გამოყენების უფლება, რაც სამართლებრივად არასწორი იქნებოდა (ანალოგიურ კაზუსში იგივე პოზიციას ავითარებს *ბერნდ ჰაინრიხი*. იხ. *B. Heinrich, Strafrecht – AT I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 243*).

საერთაშორისო სისხლის სამართალში რომის სტატუტით მნიშვნელობა შეიძინა იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობამ, რომელიც მოცემულია სტატუტის 31-ე მუხლის I აბზაცის „დ“ ქვეპუნქტში.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი საერთაშორისო სისხლის სამართლიდან *კაი ამბოსის* (იხ. *K. Ambos, Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 135, 148*) მიხედვით:

სერბიის არმიის ჯარისკაცმა – *ერდემოვიჩმა* თავისი მეთაურის ბრძანებით მოკლა რამდენიმე უდანაშაულო სამოქალაქო პირი. იგი ამ ადამიანების მიმართ არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. მისი ჩვენებით, იგი იძულებული იყო ჩაედინა ეს ქმედებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ის და მისი ოჯახის წევრები იქნებოდნენ მოკლული, თუ უარს იტყოდა ბრძანების შესრულებაზე და სამოქალაქო პირების მოკვლაზე.

მოქმედებდა თუ არა *ერდემოვიჩი* იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში?

მართალია, ექს-იუგოსლავიის ტრიბუნალმა ამ შემთხვევას ასეთი შეფასება არ მისცა, რადგან ამ სასამართლოს წესდებაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ასეთი საფუძველი პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ დღეისათვის რომის სტატუტი ასეთ სამართლებრივ ნორმას შეიცავს (სტატუტის 31-ე მუხლის I აბზაცის „დ“ ქვეპუნქტი), რის გამოც, ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, ვფიქრობ, ასეთი შემთხვევა უნდა შეფასდეს, როგორც იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა.

იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის დროს ის პირი, ვინც ძალადობის ან ძალადობის მუქარის ქვეშ იმყოფება, უპირველეს ყოფილსა, უნდა შეეცადოს, რომ მოიგერიოს ის საფრთხის წყარო, რომელიც მას იყენებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად, თუ ეს შესაძლებელია. თუ ეს შეუძლებელია, მხოლოდ მაშინ შეუძლია ხელყოს სხვა უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოქმედება არ ჩაითვლება არაბრალეულად, ვინაიდან საფრთხე შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით, კერძოდ, საფრთხის უშუალო წყაროს - მართლსაწინააღმდეგო ბრძანების გამცემი პირის ხელყოფით.

(3) საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა ფართო გაგებით

ასევე ამ გარემოების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი. იგი გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც პირი სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა არა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სამართლებრივ სიკეთეს, არამედ სხვა, მესამე ისეთ პირს, რომელიც ხელმყოფისათვის ასეთ ადამიანთა წრეს არ ეკუთვნის. სწორედ ამით განსხვავდება იგი ზემოთ წარმოდგენილი საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობისაგან ვიწრო გაგებით.

მისთვის დამახასიათებელი ამ სპეციფიკური გარემოების გათვალისწინებით, იგი წარმოადგენს ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევას. კერძოდ: ბრალეულად არ მოქმედებს ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს სამართლებრივი სიკეთის ნაწილის გადასარჩენად, როცა ეს სიკეთე მთლიანობაში დახადეუპავად იყო განწირული.

მაგალითები:

თუ ორ მთამსვლელს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება და ასეთ ვითარებაში მესამე თოქს გადაჭრის იმ მიზნით, რომ ერთ-ერთი მაინც გადაარჩინოს, მისი მოქმედება ვერ ჩაითვლება ბრალეულად.

ტერორისტებმა გაიტაცეს თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდნენ რამდენიმე ათეული მგზავრი და ეკიპაჟის წევრები. კამიკაძე

ტერორისტების მტკიცე გადაწყვეტილებით, თვითმფრინავი რამდენიმე წუთში უნდა დაჯახებოდა მრავალსართულიან შენობას, რომელშიც ამ დროს რამდენიმე ასეული ადამიანი იმყოფებოდა. დაჯახების შედეგად დაიღუპებოდნენ როგორც თვითმფრინავის მგზავრები, ასევე ამ შენობაში მყოფი ადამიანები. ასეთ ვითარებაში მიღებული იქნა გადაწყვეტილება თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ სისრულეში იქნა მოყვანილი იმ ადამიანების მიერ, რომელთაც უშუალოდ საფრთხე არ ემუქრებოდათ.

ეს შემთხვევა უნდა ჩაითვალოს ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური საპატიებელი გარემოების კლასიკურ ნიმუშად. (მიმოხილვაში წარმოდგენილი ტერმინოლოგიით, იგი წარმოადგენს საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობას ფართო გაგებით).

ტრაგიკულ კოლიზიას ადგილი არა აქვს იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად ხელყოფენ პიროვნების სიცოცხლეს, როგორც სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც დაღუპვა არ ემუქრებოდა, მიუხედავად ხელყოფილ და გადარჩენილ სიკეთეებს შორის არსებული რაოდენობრივი სხვაობისა (ე.წ. კვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობა). აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მრავალი განწირული ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა თუნდაც ერთი ისეთი ადამიანის მოკვლით, რომელსაც არაფერი ემუქრებოდა. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ერთი ადამიანის სიცოცხლე და მრავალი ადამიანის სიცოცხლე ტოლფასია.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს უმცირესობის პოზიცია, რომელიც რაოდენობრივი (კვანტიტატიური) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას მიიჩნევს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებად, რაც, ვფიქრობ, არასწორია.

შეცდომას უშვებს *თინათინ წერეთელი*, როცა იგი კვანტიტატიურ უკიდურეს აუცილებლობას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად თვლის. მისი აზრით, „სხვა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება ჩაითვალოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი იყო მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად“ (იხ. *თინათინ წერეთლის შეხედულება წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები*, რედ.: თ. წერეთელი და გ. ტყეშელიაძე, 1976, გვ. 112). ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება „სიცოცხლე სიცოცხლის წინააღმდეგ“ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით იქნეს გამართლებული. (იგივე პოზიციას ავითარებს არაერთი ავტორი. იხ., მაგალითად, *H. Matt, Strafrecht, AT I*, 1996, გვ. 275).

მაგალითად, ხალხით დატვირთულ ავტობუსს დადმართში გაუფუჭდა მუხრუჭები. ხრამში ჩავარდნისაგან, ანუ უცილობელი დაღუპვისაგან გადარჩენის ერთადერთი ხსნაა ხრამის პირას მდგარი მსუბუქი ავტომანქანისათვის დაჯახება, რომელშიც ზის მძღოლი. ავტობუსის

მძღოლი, რათა გადაარჩინოს მრავალი ადამიანის სიცოცხლე, ეჯახება მსუბუქ ავტომანქანას, რომლის მძღოლი იღუპება (სამაგიეროდ, გადარჩა ავტობუსის მრავალი მგზავრი).

თუ კახუსს ე.წ. კვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობის პოზიციიდან მიუვდებით, ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება ისეთ ტრაგიკულ კოლიზიას, რომელიც ბრალეულობას გამორიცხავს. ავტობუსის მძღოლი პასუხს აგებს განზრახი მკვლელისათვის. უფრო სწორი იქნება ამ კახუსის გადაწყვეტა სხვაგვარად. კერძოდ, არა მრავალი ადამიანისათვის სიცოცხლის გადარჩენის არგუმენტით, არამედ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის არგუმენტით შეუძლია სასამართლომ ასეთ ვითარებაში პირის ქმედება ჩათვალოს არაბრალეულად (საკატიებელი უკიდურესი აუცილებლობა ვიწრო გაგებით).

აქვე უნდა ითქვას, რომ ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების დადგენა სამოსამართლო სამართალშემოქმედების სფეროა. აქედან გამომდინარე, ბევრია დამოკიდებული იმაზე, სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის ნორმის ინტერპრეტაციის გზით თუ როგორ განვითარდება მისი ფარგლები, გამომდინარე სწორედ სამოსამართლო სამართლიდან.

7.4.5.2 შეცდომა ბრალის გამომრიცხველ საკატიებელ ბარემოებებთან დაკავშირებით

იმ შემთხვევაში, როცა პირი შეცდომას უშეებს ბრალის გამომრიცხველი საკატიებელი გარემოების ფაქტობრივ მხარესთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, მოჩვენებითი საკატიებელი უკიდურესი აუცილებლობა, მოქმედებს ქმედების შემადგენლობის განზრახვით. ამ შემთხვევაში, ასევე, სახეზეა ბოროტი განზრახვა, რომელიც ბრალის ეტაპზე ღვინდება. ასეთი შეცდომის დროს პირი არ თავისუფლდება განზრახი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუ შეცდომა თავიდან აცილებადი იყო.

ამით შეცდომის ეს სახე განსხვავდება იმ შეცდომისაგან, რომელსაც პირი უშეებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, როგორცაა, მოჩვენებითი მოგერიება, მოჩვენებითი უკიდურესი აუცილებლობა და სხვ. როგორც აღინიშნა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ანალოგიით გამოიყენება სსკ-ის 36-ე მუხლით გათვალისწინებული წესი, მაშინ, როდესაც ბრალის გამომრიცხველი საკატიებელი გარემოების არსებობის შესახებ შეცდომა მხოლოდ მაშინ გამორიცხავს ბრალს, როცა შეცდომა თავიდან აუცილებადი იყო, მაშასადამე, გაუფრთხილებლობის დროს.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც გაუფრთხილებლობისათვის ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება, რომელიც შეიძლება შემ-

დები სახელწოდებით მოვიხსენიოთ: ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების მოთხოვნის შეუძლებლობა (Unzumutbarkeit normgemäßen Verhaltens). ასეთი დამოუკიდებელი სამართლებრივი ფიგურა გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც გაუფრთხილებლობის დროს სახეზე გვაქვს წინდახედულობის ნორმის დარღვევის ინდივიდუალური აუცილებლობა. (მოქმედების შესრულების მოთხოვნის შეუძლებლობა, როგორც ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური საპატიებელი გარემოება იხ. წიგნში: *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 503-505*).

8 დაუმთავრებელი დანაშაული

8.1 ზოგადი დებულებანი

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს ეძღვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეექვსე თავი.

დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებია: დანაშაულის მომზადება და მცდელობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, პირმა დანაშაულის ჩადენაზე შეიძლება ნებაყოფლობით ხელი აიღოს როგორც მომზადების, ასევე დაუმთავრებელი თუ დამთავრებული მცდელობის სტადიაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულების მომზადებისათვის, ასევე, დასჯადია ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება. ვინაიდან დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრინციპს, სხვა ქვეყნების უმრავლესობაში დანაშაულის მომზადება ისჯება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა იგი მომეტებულ საშიშროებას შეიცავს. მაგალითად, დანაშაულებრივი შეთქმულება ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის მიზნით. რატომ უნდა დაისაჯოს პირი მომზადების სტადიაზე, მაშინ, როდესაც სამართლებრივად მას ჯერ კიდევ აქვს უფლება, ხელი აიღოს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, რაც მის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას გამორიცხავს. ასევე, მომზადების სტადიაზე პირს ჯერ კიდევ არ დაუწყია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება. სისხლის სამართლის კოდექსით ზოგიერთი დანაშაულის მომზადება გამოცხადებულია დამთავრებულ დანაშაულად. მაგალითად, სსკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებულია აგრესიული ომის მომზადების შემადგენლობა. ასეთი შემადგენლობის არსებობა სამართლებრივად მისაღები და დასაბუთებულია, ვინაიდან ზოგიერთი ქმედება მომზადების სტადიაზე ისეთი მომეტებული საფრთხის შემცველია, რომ კანონმდებელი მას დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს.

დანაშაულის მომზადება არის დანაშაულის ჩადენისათვის მხოლოდ პირობების განზრახ შექმნა.

დანაშაულის მცდელობა არის განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების გზით, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სსკ-ის მე-18 ან მე-19 მუხლებზე მითითება. მაგალითად, ა-მ ჩაიდინა მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობის მცდელობა.

8.2 დანაშაულის ჩადენის სტადიები. დანაშაულის მომზადება და მცდელობა

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენის სტადიებია: დანაშაულის მომზადება (მე-18 მუხლი) და მცდელობა (მე-19 მუხლი).

აღრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, მოქმედი კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასჯადია განსაკუთრებით მძიმე და მძიმე განზრახი დანაშაულის, ასევე ზოგიერთი ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაულის მომზადება.

დღეს სისხლის სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დგება ე.წ. **სუბიექტურ-ობიექტური ანუ შერეული თეორიით** (იხ.: *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 514; J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 214*).

ქართული სისხლის სამართლისათვის სწორედ ეს თეორია არის ყველაზე უფრო მისაღები. ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც სწორედ ამ თეორიის მიხედვით წყდება დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხები და ხდება მისი გამიჯვნა დამთავრებული დანაშაულისა თუ არადასჯადი ქმედებისაგან.

ობიექტური თეორიის მიხედვით (*ანხელმ ფოიერბახი* და სხვები), რომელიც დღეისათვის მოძველებულია, დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს ქმედების შემადგენლობით დაცული ობიექტისათვის საფრთხის შექმნა.

ასევე **წმინდა სუბიექტური თეორია** არ არის გამოსადეგი, რადგან ძალზე შორს მიდის და მომზადებასა და აბსოლუტურად უვარგის მცდელობას ობიექტური თეორიით დასჯად მცდელობის შემთხვევებს უტოლებს, რადგან მათ შორის სუბიექტურად არ არის განსხვავება.

შესაბამისად, ქართული სისხლის სამართლისათვის თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით მისაღებია ე.წ. **სუბიექტურ-ობიექტური ე.წ. შემავრთველი თეორია**, რომელიც ახდენს სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების კომბინაციას. სწორედ ამ თეორიით არის შესაძლებელი მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნა, უვარგისი მცდელობის დასჯადობა და აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე უარის თქმა.

მაშასადამე, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება უნდა მოხდეს არა ცალკე აღებული ობიექტური თეორიით, არამედ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს სუბიექტურ-ობიექტური შერეული თეორიის გამოყენებით.

სუბიექტური მომენტის მნიშვნელობის უარყოფის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვერ დასაბუთდება ე.წ. უვარგისი მცდელობისათვის. მაგალითად, ა.-მ გადაწყვიტა მოკლას ც., შედის მის საძინებელ ოთახში და არტყამს დანას მოკვლის განზრახვით. ლოგინში მყოფი ც. უკვე მკვდარი ყოფილა. ეს არის მოქმედება, რომელიც სუბიექტურად ჩადენილი იყო სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის განზრახვით, მაგრამ ობიექტურად აღმოჩნდა უვარგისი მცდელობა. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს მკვლელობის მცდელობას.

სუბიექტური თეორიის გარეშე ასევე შეუძლებელია პასუხისმგებლობის დასაბუთება მცდელობისათვის უვარგისი საგნით. მაგალითად, ა.-ს უნდა მოკლას ც. ჩაუყარა ღვინოში, მისი აზრით, საწამლაფი. სინამდვილეში ყოფილა სხვა ფხვნილი. ან: ა.-მ დაუმიზნა ც.-ს პისტოლეთი და გამოკრა ჩახმახს. იარაღში ტყვია არ აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს მცდელობას უვარგისი საგნით. ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც მკვლელობის მცდელობა.

სსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იყო ისეთი საშუალება, რომლითაც არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი (მ.წ. აბსოლუტურად უპარბისი მცდელობა).

მაგალითად, პირმა თვითმფრინავს ჩამოსაგდებად შორი მანძილიდან თოფი ესროლა. თუ ჩადენილი ქმედებისათვის შედეგი აშკარად ატიპიურია, ასეთ შემთხვევაში პირი არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის, ხოლო თუ შედეგის დადგომა ასეთი მოქმედებით შესაძლებელია, მაშინ პირი დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის. მიუხედავად პირის განზრახვისა, აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის შემთხვევებში მოქმედება სოციალურად უმნიშვნელოა და აშკარად არატიპურია დასახული მიზნის მისაღწევად.

დანაშაულის მცდელობა შეიძლება იყოს ორი სახის: დამთავრებული და დაუმთავრებელი.

მომზადებისაგან განსხვავებით, დაუმთავრებელია მცდელობა, როცა პირმა დაიწყო უშუალოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება, რომელსაც შედეგი უნდა მოჰყვეს, ხოლო დამთავრებული მცდელობის დროს, პირმა ბოლომდე ამოწურა დანაშაულებრივი ქმედების შინაარსი და მხოლოდ შედეგის დადგომას ელოდება.

დამთავრებული დანაშაულისაგან განსხვავებით, მცდელობისათვის დამახასიათებელია უმართლობის ობიექტური შემადგენლობის ნაკლებობა, მაშინ როდესაც სუბიექტური შემადგენლობა სრული მოცულობით სახეზეა.

მცდელობის დასჯადობის წინაპირობებია:

(1) მცდელობის დასჯადობის სამართლებრივი შესაძლებლობა (მაგალითად, სამართლებრივად არ არის შესაძლებელი ყაჩაღობის მცდელობის ჩადენა - სსკ-ის 179-ე მუხლი, ვინაიდან დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობებს მცდელობის სტადია არა აქვთ, არამედ ამ ეტაპზე ქმედება უკვე დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს);

(2) ქმედების შემადგენლობის განხორციელების გადაწყვეტილება, გამოხატული განზრახვაში (ქმედების სუბიექტური შემადგენლობა);

(3) ქმედების შემადგენლობის შესრულების განხორციელების უშუალოდ დაწყება (ქმედების ობიექტური შემადგენლობა);

(4) მოსალოდნელი შედეგის არარსებობა (გარდა *in dubio pro reo*-ს შემთხვევისა).

მაგალითი მომზადების, დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობების ურთიერთგამიჯვნისათვის:

თუ ა.-მ ბ.-ს საწამლავი ჩაუყარა ღვინოში, მაგრამ ბ.-ს იგი ჯერ არ დაუღვია, გვექნება დაუმთავრებელი მცდელობა, რადგან მისი მოქმედება ღვინის მოწამვლით უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად და იგი სცილდება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების შექმნის ეტაპს, ხოლო თუ ბ.-მ მოწამლული ღვინო დალია, მაგრამ გადარჩა, ესე იგი შედეგი არ დადგა, გვექნება დამთავრებული მცდელობა.

შედეგის დადგომის მიუხედავად, ზოგჯერ შეიძლება ქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მცდელობად, თუ სახეზე გვაქვს ყველა ეჭვის ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ გადაწყვეტის (*in dubio pro reo*) შემთხვევა.

მახსოვს, ერთ სასამართლო პროცესზე პირთა ჯგუფის ქმედება გადაკვალიფიცირეთ დამთავრებული დანაშაულიდან დანაშაულის მცდელობაზე. ამ საქმეში დადგენილი იყო მიზეზობრივი კავშირი, ჯგუფის წევრთა განზრახვა, მაგრამ არ იყო დადგენილი, თუ რომელი მათგანის ტყვიით იყო შედეგი უშუალოდ დამდგარი (ე.წ. შედეგის ობიექტური შერაცხვის პრობლემა). გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ დანაშაულის მსხვერპლის დედამ სრულიად ლოგიკურად გაკვირვებით იკითხა: „როგორ, ჩემი შვილი ცოცხალია?“

ასეთი შემთხვევის მაგალითი შემდეგია: ა.-მ და ბ.-მ ც.-ს ესროლეს მოკვლის განზრახვით თითო ტყვია. ამ ორი ტყვიიდან ერთი მიზანს აცდა, ხოლო მეორემ უშუალოდ გამოიწვია შედეგი. მიუხედავად ორივეს მხრიდან სიცოცხლის მოსპობის განზრახვით მოქმედებისა, გამოძიებამ ვერ დაადგინა, თუ რომელი მათგანი იყო სასიკვდილო შედეგის უშუალო ავტორი. ასეთ შემთხვევაში ორივე პირის

მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა.

ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში დღემდე გაბატონებული შეხედულებით, დანაშაულის მცდელობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ქმედებებში, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს კვალიფიკაცია ხდება კონკრეტულად დამდგარი შედეგის მიხედვით. ქართულ სისხლის სამართალსა და სასამართლო პრაქტიკაში ბოლო ათი წლის განმავლობაში ფეხს იკიდებს პოზიცია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში (თითქმის) არავითარ დავას არ იწვევს. არაერთი მსოფლიოში ცნობილი სისხლის სამართლის პროფესორი, მათ შორის *ჰანს-ჰაინრიხ იეშეკი* და *თომას ვაიგენდი*, რომლებიც წარმოადგენენ ავტორიტეტებს თანამედროვე სისხლის სამართალში, ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიუთითებენ, რომ მცდელობის დასჯადობისათვის საკმარისია *ევენტუალური* განზრახვით მოქმედება, თუ ამ დანაშაულის განზრახვის ამ ფორმით ჩადენა შესაძლებელია (იხ. *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT*, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 515).

ამ პოზიციას არ შეიძლება არ დაეთანხმო. ჩემი ღრმა რწმენით, განზრახი დანაშაულის მცდელობისათვის ქმედების ევენტუალური განზრახვით ჩადენა საკმარისია და არ არის საჭირო პირდაპირი განზრახვის დადგენა. ევენტუალური განზრახვა ხომ ქმედებისა და შედეგის ნებელობაა. ვისაც დანაშაულის ჩადენის ნება აქვს და, ქმედების ობიექტურად განხორციელების მიუხედავად, შედეგს ვერ მიაღწია, უნდა დაისაჯოს ამ დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის. ასეთი ნებელობა, მართალია, თვითიმედოვნების დროსაც არსებობს, მაგრამ მხოლოდ ჩადენილ ქმედებასთან, და არა შედეგთან, მიმართებაში, რის გამოც, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მცდელობა არ არსებობს.

მაგალითად, ა.-ს ჰქონდა ბ.-ს მოკვლის პირდაპირი განზრახვა, მაგრამ შედეგი არ დადგა. გვექნება მკვლელობის მცდელობა.

იგივე მაგალითი, ოღონდ ა. მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით, სასიკვდილო შედეგი არ დადგა, მაგრამ ქმედებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად მკვლელობის განზრახვისა, ქმედების კვალიფიკაცია ხდებოდა როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, მიუხედავად ევენტუალური განზრახვით მოქმედებისა, შესაძლებელია ამ ქმედების განზრახი მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირება. კოდექსი არავითარ შეხედულებას არ აწესებს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებით.

მაგალითი: ა. ქალაქის ერთ-ერთ პარკში, საკუთარი ძაღის დემონსტრირების მიზნით, ისვრის უმისამართოდ. მას არ სურს გასროლილი ტყვია ვინმეს მოხედეს, არც შედეგის დადგომის გარდაუვალობაშია დარწმუნებული. ამასთან, იგი შეგნებულად უშვებს და გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას (მისთვის სულერთია შედეგი დადგება თუ არა). ასეთ ვითარებაში, ტყვია მოხვდა ბავშვს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. ჩაღენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ევენტუალური განზრახვით ჩაღენილი განზრახი მკვლელობის მცდელობა.

ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობის შესაძლებლობაზე ყურადღება გამახვილებული იყო ზემოთ, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე, რის გამოც, უფრო კონკრეტულად ამ ეტაპზე არ განვიხილავ.

8.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

თუ პირმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ამ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება (სსკ-ის 21-ე მუხლი).

დანაშაულის ჩაღენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი მცდელობის დროს. რაც შეეხება დამთავრებული მცდელობის სტადიას, დღეს მოქმედი კოდექსის 21-ე მუხლიდან გამომდინარე, ამ ეტაპზეც პირს შეუძლია ხელი აიღოს დანაშაულის ჩაღენაზე.

დღეს მოქმედი კოდექსის ამოქმედებამდე ეს უკანასკნელი შემთხვევა განიხილებოდა, როგორც ქმედითი მონაწილეობა.

სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, გარკვეული პირობების არსებობისას, რაც მოცემულია ამ მუხლში, ქმედითი მონაწილეობა დღეს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს დამთავრებული დანაშაულის სტადიაზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში.

ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩაღენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩაღენილისათვის. მაგალითად, თუ პირმა ხელი აიღო მკვლელობის განზრახვაზე მას შემდეგ, რაც მსხვერპლს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, იგი, მართალია, არ დაისჯება მკვლელობის მცდელობისათვის, მაგრამ დაისჯება ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანებისათვის.

ნებაყოფლობითი ხელის აღების დროს პირმა თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან უნდა აიცილოს შედეგი. მაგალითად, საწამლავის მიცემის შემდეგ დაზარალებული წაიყვანოს ექიმთან, გამოუძახოს ექიმს და ა.შ. თუ პირმა, მიუხედავად აქტიური მეცადინეობისა, თავიდან ვერ აიცილა შედეგი, ის დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის.

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება პირის უმოქმედობითაც. მაგალითად, თუ პირმა ერთი გასროლით მსხვერპლს ტყვია ვერ მოახვედრა, მაგრამ მეორე და მომდევნო გასროლები არ მოახდინა, თუმცა ჰქონდა ამის შესაძლებლობა, რითაც მიზანს მიაღწევდა. ამ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით. იგივე სა-მართლებრივი შედეგი გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა პირს ერთი წარუმატებელი გასროლის შემდეგ, მართალია, მეტი ტყვია არ ჰქონდა, მაგრამ თავისი სხვაგვარი მოქმედებით რეალურად შეეძლო მსხვერპლისთვის სიცოცხლე მოესპო, მაგალითად, დახრჩობით, დანის გამოყენებით და ა.შ. ამ შემთხვევაშიც სახეზე გვექნება ნებაყოფლობით ხელის აღება.

დანაშაულის ჩადენაზე უმოქმედობით ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა გამომდინარეობს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან, რომელიც მიუთითებს „ნებაყოფლობით ქმედებაზე“.

დამთავრებული მცდელობის შემთხვევებში პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაბუთებულია ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორიით, რომელიც უკავშირდება გამომჩენილი გერმანელი მეცნიერის *ანსელმ ფოიერბახის* სახელს.

მაგალითები:

ა.-მ გადაწყვიტა მოწამლოს ც., რისთვისაც ჭიქაში ჩაუყარა საწამლავი. ც.-ს დაღევაიმდე ჭიქა დაუვარდა და გაუტყდა. შედეგი არ დადგა. ამ შემთხვევაში გვექნება დაუმთავრებელი მცდელობა, ვინაიდან შედეგის დადგომას გარე ფაქტორმა შეუშალა ხელი. ა. დაისჯება განსრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

ა.-მ გადაწყვიტა მოწამლოს ც., რისთვისაც ჩაუყარა საწამლავი ღვინოში, ა.-მ გადაიფიქრა და გააფრთხილა, არ დაეღია. გვექნება ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე.

ა.-მ გადაწყვიტა მოწამლოს ც. ამ მიზნით, ჩაუყარა საწამლავი სასმელში, მაგრამ მესამე პირმა დ.-მ ხელი აუკრა ჭიქაზე, მოწამ-ლულიაო. არის დაუმთავრებული მცდელობა, ვინაიდან ქმედების ბოლომდე მიყვანას გარე ფაქტორმა შეუშალა ხელი.

ა.-მ გადაწყვიტა მოწამლოს ც., რისთვისაც ჩაუყარა საწამლავი. ც.-მ დაღია, მაგრამ ექიმებმა გადაარჩინეს. ეს არის დამთავრებული მცდელობა.

ა.-მ გადაწყვიტა მოწამლოს ც. ამ მიზნით ჩაუყარა საწამლავი. ც.-მ დაღია, მაგრამ საწამლავი უხარისხო იყო და გადარჩა. ესეც დამთავრებული მცდელობაა.

ა.-მ გადაწყვიტა მოწამლოს ც., რისთვისაც ჩაუყარა საწამლავი. ც.-მ დაღია ღვინო. შემდეგ ა.-ში სინანულის გრძნობამ გაიღვიძა და ყველა საშუალება გამოიყენა ც.-ს გადასარჩენად. ც. გადარჩა. ასეთ შემთხვევაში გვექნება დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხე-

ლის აღება, ვინაიდან ა.-მ აქტიური მოქმედებით თავიდან აიცილა შედეგი – სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. ესაა ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორია: კანონმდებელი პირს აძლევს შანსს, თუ მან ხელი აიღო დამთავრებული მცდელობის სტადიაზე კი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და თავიდან აიცილა სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. ამ შემთხვევაში მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

იგივე მაგალითი, მაგრამ მოწამლული ც. ვერ გადარჩა. ეს შემთხვევა დამთავრებული დანაშაულია (არა მცდელობა), ვინაიდან პირმა, მიუხედავად მისი აქტიური მოქმედებისა, თავიდან ვერ აიცილა დანაშაულებრივი შედეგი.

იგივე მაგალითი, მაგრამ ც. გადარჩა, თუმცა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება. ა. დაისჯება ჯანმრთელობის დაზიანებისათვის, ვინაიდან, მართალია, მან ნებაყოფლობით აიღო ხელი მკვლელობაზე, მაგრამ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს (სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მოვიყვანოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სხვა მაგალითები:

ა.-მ ესროლა ც.-ს, ტყვია აცდა, მაგრამ მეორე არ ესროლა. ეს შემთხვევა იქნება ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით (დამთავრებული მცდელობის სტადიაზე), ვინაიდან ა.-ს მიზნის მისაღწევად კიდევ ჰქონდა საშუალება, მაგრამ ნებაყოფლობით უარი თქვა შედეგის დადგომაზე. ამ დროს პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ა.-მ ესროლა ც.-ს. პირველი ტყვია აცდა, მეორე არ ჰქონდა და არც სხვა რეალური საშუალება გააჩნდა მიზნის მისაღწევად. ეს იქნება განზრახ მკვლელობის მცდელობა, ვინაიდან მიზნის მისაღწევად პირს სხვა საშუალება აღარ ჰქონდა.

უმოქმედობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით სისხლის სამართალში განვითარდა სხვადასხვა თეორიები:

(1) ე.წ. ცალკეული აქტის თეორიის (Einzelaktstheorie) მიხედვით, პირი უნდა დაისაჯოს დანაშაულის მცდელობისათვის, თუ მან თავისი წარმოდგენით შედეგის გამოსაწვევად ვარგისი ქმედება ჩაიდინა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყვოლია. ა.-ს ც.-ს მოკვლა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით შესაძლებლად მიჩნდა. თუ მის პირველ გასროლას შედეგი არ მოჰყვება, ამ თეორიის მიხედვით, იგი უნდა დაისაჯოს მკვლელობის მცდელობისათვის, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა შემდგომი მოქმედებებით შედეგის მიღწევის შესაძლებლობა. (შეად. G. Jakobs, Strafrecht, AT, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 748-749).

(2) ე.წ. ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების თეორიის (Gesamtbetrachtungstheorie) მიხედვით კი, დასჯად მცდელობას მხოლოდ

მაშინ აქვს ადგილი, როდესაც თავდაპირველ ქმედებას დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყოლია და, ასევე, პირს შედეგის მიღწევის სხვა შესაძლებლობა აღარ გააჩნია, შედეგის მიღწევის ყველა საშუალება ამოწურული აქვს და ამიტომ დანაშაულს ვეღარ მიიყვანს ბოლომდე. (შეად. *H.-H. Jescheck. T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 542*).

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარეობს ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების თეორიის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც პირს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას ზედმეტად არ უზღუდავს. ცალკეული აქტის თეორიის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თუ პირი მსხვერპლის დანდობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება, მაშინ მას ეძლევა სტიმული, რომ თავდაპირველი განზრახვა მოიყვანოს სისრულეში და დაწყებული დანაშაული მიიყვანოს ბოლომდე.

ერთ-ერთი მაგალითის მიხედვით, ა-მ ც-ს დააღვეინა საწამლავი, ხოლო შემდეგ შეეცადა გადაერჩინა და ჰქონდა კიდევ ამის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ თვით ც-მ არ მისცა საშუალება, ვინაიდან დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა თვითმკვლელობა. ასეთ შემთხვევაში, ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება განზრახ მკვლელობის მცდელობად, მიუხედავად შედეგის რეალურად დადგომისა. ამ შემთხვევაში, მიუხეობრიობის განვითარების ჯაჭვში ჩაერთო თვით დაზარალებული, რომელმაც გამოიყენა თვითმკვლელობის შესაძლებლობა.

ა-მ მოწამლა ც., ხოლო შემდეგ გადაწყვიტა, გადაერჩინა, მაგრამ ბ-მ არ მისცა ამის საშუალება და ც-ს მოკვლის განზრახვით, რათა არ დახმარებოდა მას, ჩაკეტა ოთახში. ამ შემთხვევაში, თუ ც. მოკვდა, ა.-ს მიერ ჩადენილია დამთავრებული დანაშაული, თუ იგი გადარჩა - დანაშაულის მცდელობა, თუმცა წინა მაგალითის შეიძლება ეს შემთხვევაც გაუთანაბროთ: შედეგის დადგომის შემთხვევაშიც ბ.-ს მოქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც არა დამთავრებული დანაშაული, არამედ - მცდელობად.

ა-მ ხიდის აფეთქების მიზნით დაამონტაჟა ბომბი და მოუკიდა ფითილს, რომელიც ორ საათში აფეთქდებოდა. ერთ საათში გადაიფიქრა და დაბრუნდა ფითილის ჩასაქრობად, მაგრამ წვიმას უკვე ჩაექრო. პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ამ შემთხვევაში, არ არის პირდაპირ გაცემული სსკ-ის 21-ე მუხლში. ამ მუხლის მე-5 ნაწილი გვეუბნება, რომ თუ არა აქტიური მოქმედებით, პირმა ნებაყოფლობითი ქმედება უმოქმედობის სახით მაინც უნდა განახორციელოს შედეგის თავიდან ასაცილებლად. ბოლო მაგალითში, პირს ასეთი ნებაყოფლობითი ქმედებით არ აუცილებია შედეგი თავიდან, მაგრამ, ვფიქრობ, რომ სამოსამართლო სამართალგამოყენებამ ეს შემთხვევა უნდა

გაუთანაბროს ნებაყოფლობით ქმედებას, რომელმაც თავიდან აიცი-
ლა შედეგი, ვინაიდან პირმა გამოავლინა აქტიური ნება, შეეცადა
აქტიურად ჩარეულიყო მოვლენათა მსვლელობაში, მაგრამ მისგან
დამოუკიდებელმა ძალებმა არ მისცეს მას მოქმედების შესაძლებლო-
ბა და, რაც მთავარია, სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, (თუნდაც
მისგან დამოუკიდებლად), თავიდან იქნა აცილებული.

ამრიგად, დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით
ხელის აღება გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შედეგის
დადგომა, ანუ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება თავიდან იქნება
აცილებული.

ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ ნორმა წამახალისებუ-
ლი ნორმაა სისხლის სამართალში. პირი არ ისჯება არა იმიტომ,
რომ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ იმიტომ, რომ სისხლის სა-
მართლის პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე, კანონმდებელი
ნებისმიერ პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს, მიუხედავად უკვე
გაკეთებულისა, თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება,
რის სანაცვლოდაც მას დაუსჯელობას კპირდება. სწორედ სამართ-
ლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილების მიზნის მიღწევაა
ნებაყოფლობით ხელის აღების მთავარი ამოცანა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირი ქმედ-
ების შემადგენლობას ახორციელებს მართლსაწინააღმდეგოდ და
ბრალეულად, ე.ი. ჩადის დანაშაულს. იგი არ წარმოადგენს ბრალის
გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას, როგორც ამას მიიჩნევს უმ-
ცირესობის პოზიცია, არამედ წარმოადგენს მხოლოდ პასუხისმგე-
ბლობისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა არაერთი თეო-
რია, რომელიც ასაბუთებს ნებაყოფლობით ხელის აღების დროს
პირის დაუსჯელობას. მათგან, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი
გახლავთ *ანხელმ ფოიერბახის* ე.წ. **კრიმინალპოლიტიკური თეო-
რია** (ე.წ. ოქროს ხიდის თეორია). დღეს ასევე განვითარებულია
ნებაყოფლობით ხელის აღების სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი:
წახალისების თეორია და **სასჯელის მიზნების თეორია** (ამ
თეორიების შესახებ იხ. *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts*, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 538-540).

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასა და დანაშაულზე
ნებაყოფლობით ხელის აღებას ქართულ სისხლის სამართლის დოგ-
მატიკაში *თინათინ წერეთელმა* მიუძღვნა მეცნიერული გამოკვლევა
(იხ. *თ. წერეთელი*, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 1961). მას
დღესაც არ ღაუჟარგავს თავისი აქტუალობა, რის გამოც, *თინათინ
წერეთლის* სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ ხე-
ლახლა გამოქვეყნდა წიგნში: *თ. წერეთელი*, სისხლის სამართლის
პრობლემები, I ტომი, 2007, გვ. 297-563).

8.4 მოქმედებით ჩადენილი განზრახვი დანაშაულის მცდელობის სქემა

წარმოვიდგინოთ მოქმედებით ჩადენილი განზრახვი დანაშაულის მცდელობის სქემას, რომელსაც შედეგიანი დამთავრებული დანაშაულის სქემისაგან განმასხვავებელი ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს:

0. წინასწარი შემოწმება

1. დანაშაული არ არის დამთავრებული (შედეგი არ არის დამდგარი)
2. ამ დანაშაულის მცდელობა დასჯადია

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - მოქმედების ჩადენის გადაწყვეტილება

ა) განზრახვა ქმედების შემადგენლობის ყველა ობიექტური ნიშნის მიმართ

ბ) ქმედების შემადგენლობის სპეციალური ნიშნების არსებობა

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა - ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალოდ დაწყება

II მართლწინააღმგებობა

III ბრალი

IV პასუხისმგებლობისაგან ბათავისუფლება: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს.

9 დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

9.1 დანაშაულის მონაწილეთა დაცოვის დუალისტური სისტემა

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე თავი ეძღვნება დანაშაულის ამსრულებლობის, თანამსრულებლობის, შუალდობითი ამსრულებლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს.

განზრახვი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობის შემთხვევაში მათი როლების გასამიჯნავად ქართული სისხლის სამართალი იყენებს ე.წ. დუალისტურ სისტემას. ეს სისტემა, დანაშაულის ჩადენის პროცესში შესრულებული როლის მიხედვით, თითოეულ მონაწილეს განიხილავს ამსრულებლად ან თანამონაწილედ. მისგან განსხვავდება ის სისტემა, რომელიც მართიანი ამსრულებლობის პრინციპს ეფუძნება. ამ პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, წარმოადგენს ამ დანაშაულის ამსრულებელს, მიუხედავად დანაშაულის ჩადენაში მის მიერ შეტანილი წვლილისა, რომელიც მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს. დღეს ქართულ, ისევე როგორც გერმანულ, სისხლის სამართალში გაბატონებული არის ე.წ. დუალისტური თეორია. მართიანი ამსრულებლობის თეორიას მხარს უჭერს ცნობილი ავსტრიელი სისხლის სამართლის პროფესორი *კინაპფელი* (იხ. *D. Kienapfel, F. Höpfel, Grundriß des österreichischen Strafrechts, AT, მე-8 გამოცემა, 2000, გვ.192-195*).

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ეს უკანასკნელი - მართიანი ამსრულებლობის პრინციპი გამოიყენება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემთხვევაში, ხოლო განზრახვის დროს ამსრულებელი მკვეთრად გამიჯნულია თანამონაწილისაგან. გაუფრთხილებლობის დროს არ არსებობს თანამონაწილე (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე), არამედ მხოლოდ ამსრულებელი. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ამსრულებელი კი, შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელმაც დაარღვია წინდახედულობის ნორმის აკრძალვა. ამის გამო, ის პირი, რომელიც ფორმალურად ჰგავს წამქეზებელს, სინამდვილეში შეიძლება აღმოჩნდეს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ამსრულებელი.

9.2 დანაშაულის ამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა

ქართული სისხლის სამართალი იცნობს დანაშაულის ამსრულე-
ბლობის სამ სხვადასხვა ფორმას: ერთპიროვნული (უშუალო) ამ-
სრულებლობა, (უშუალო) თანაამსრულებლობა და შუალობითი ამ-
სრულებლობა.

სსკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც უშუა-
ლოდ ჩაიდინა დანაშაული (ერთპიროვნული ამსრულებლობა),
აგრეთვე, ვინც თანაამსრულებელთან ერთად უშუალოდ მონაწილე-
ობდა დანაშაულის ჩადენაში (თანაამსრულებლობა), აგრეთვე ის,
ვინც დანაშაული ჩაიდინა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც არ
ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ასაკის, ფსი-
ქიკური დაავადების ან სხვა გარემოების გამო). ეს უკანასკნელი
შემთხვევა არის შუალობითი ამსრულებლობა. მაგალითად, ა.-მ
12 წლის ბავშვი შეუშვა ბინაში გასაქურდად. ა.-მ ფსიქიკურად დაა-
ვადებულ ც.-ს მისცა თოფი კაცის მოსაკლავად (შუალობითი ამ-
სრულებლობა).

მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებშიც დანაშაული ჩადენილია
სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხელში მითითებულ მდგომარ-
ეობაში, კერძოდ, როცა დანაშაულის ე.წ. ცოცხალ იარაღს არ ეკისრე-
ბა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „სხვა გარემოების
გამო“:

ა.-მ უთხრა ბ.-ს: ესროლე, დათვიაო. ბ. დაუფიქრებლად ისერის
და კლავს ც.-ს. ა.-ს შეგნებული ჰქონდა ჩადენილი ქმედების ხასიათი
და სურდა ც.-ს მოკვლა ბ.-ს ხელით. ა. იქნება განზრახ მკვლელობის
შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ბ. დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხ-
ილებლობით მოსპობისათვის, თუ მისი შეცდომა მიუტყვევებელია, ხოლო
როდესაც შეცდომა მისატყვევებელია, ანუ მისი თავიდან აცილება შეუ-
ძლებელია, მაშინ ბ. არ დაისჯება გაუფრთხილებლობის არარსებო-
ბის გამო.

ა.-მ ბ.-ს ჩაადენინა მკვლელობა მოჩვენებითი მოგერიებისას, როცა
ბ. იყო საპატიებელი (მისატყვევებელი) შეცდომის მდგომარეობაში. ა.
იქნება განზრახ მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ბ.-
ს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. თავის მხრივ, ა.-ს ინდივიდუ-
ალურად უნდა გააჩნდეს პატიების საფუძველი, რომ გათავისუფლდეს
პასუხისმგებლობისაგან.

ა.-მ ბ.-ს მოტყუებით თითი დაატყუინა ღილაკზე, შეუქი აინთებაო,
მაგრამ აფეთქდა ხიდი. ა. იქნება შუალობითი ამსრულებელი, ხოლო
ბ. პასუხს არ აგებს ან შეიძლება აგოს მხოლოდ გაუფრთხილებლო-
ბისათვის.

თანამდებობის პირს - მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს
- სურს ჩაიდინოს სამსახურებრივი სიყალბე. მან თავის მდივანს

შეავსებინა დოკუმენტი არასწორი მონაცემებით, რითაც გააყაღდა იგი. თანამდებობის პირი იქნება შუალობითი ამსრულებელი, ხოლო მდივანი პასუხს არ აგებს (როცა არ იცის, რომ დოკუმენტის შევსებით აყაღებს დოკუმენტაციას), ან აგებს პასუხს, როგორც დამხმარე, როცა შეგნებული აქვს ქმედების მართლწინააღმდეგობა.

სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქმედების კვალიფიკაციის საკითხის სწორად გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, როცა უშუალო ამსრულებელი შეცდომას უშვებს ე.წ. დანაშაულის ცოცხალი იარაღის ბუნებასთან დაკავშირებით. არსებობს ობიექტური და სუბიექტური თეორიები.

(1) ა.-მ მეზობლის ბიჭი წააქეზა მკვლელობისათვის. წამქეზებლის წარმოდგენით, ბიჭი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს - 14 წელს არ იყო მიღწეული. წამქეზებელი იმედოვნებდა, რომ ამ გზით მას შეეძლო, თავიდან აეცილებინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ფიქრობდა, რომ მცირეწლოვნობის გამო არც მკვლელობის ამსრულებელი დაისჯებოდა. წამქეზებელი შეცდა ბიჭის ასაკთან დაკავშირებით. იგი უკვე 15 წლის და ფსიქიკურად ჯანმრთელი იყო, რის გამოც სრულიად აცნობიერებდა მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას და ჰქონდა უნარი, ემოქმედა სხვაგვარად.

მიუხედავად წამქეზებლის მიერ დაშვებული შეცდომისა და სუბიექტური წარმოდგენისა დანაშაულის ამსრულებლის შესახებ, იგი დაისჯება არა როგორც შუალობითი ამსრულებელი, არამედ როგორც თანამონაწილე, კერძოდ, როგორც წამქეზებელი, ვინაიდან მან ობიექტურად წააქეზა შერაცხადი პირი განზრახი მკვლელობის ჩასადენად. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი წყდება ე.წ. ობიექტური თეორიის მიხედვით და არა წამქეზებლის სუბიექტური წარმოდგენიდან გამომდინარე.

(2) ამ შემთხვევისაგან თავისი შინაარსით განსხვავდება შემდეგი მაგალითი: ა.-მ მეზობლის 13 წლის ბიჭი გამოიყენა დანაშაულის იარაღად. კერძოდ, წააქეზა იგი მკვლელობის ჩასადენად. ამასთან, წამქეზებელს ეგონა, რომ ბიჭი 14 წლის ასაკს გადაცილებული იყო. სინამდვილეში წამქეზებელმა შეცდომა დაუშვა და დანაშაული ჩადენინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევად შეურაცხად პიროვნებას. აქაც წამქეზებელმა შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, იგი პასუხს აგებს არა მისი სუბიექტური წარმოდგენიდან გამომდინარე, როგორც დანაშაულის წამქეზებელი, არამედ ობიექტური თეორიის მიხედვით, როგორც შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ბიჭის მოქმედება არ წარმოადგენს ბრალეულ ქმედებას.

როგორც ვხედავთ, მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, შუალობითი ამსრულებლობის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა სუბიექტური, არამედ ობიექტური თეორიიდან გამომდინარე, რაც ნიშნავს

პასუხისმგებლობას უშუალო ამსრულებლის ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარე და არა წამქეზებლის სუბიექტური წარმოდგენის მიხედვით.

ორივე შემთხვევაში ამ შეხედულების საწინააღმდეგო პოზიციას ავითარებს *ოთარ გამყრელიძე*:

(1) როცა თანამონაწილე (ვღება სუბიექტთან მიმართებაში და ჰგონია, რომ ის, ვისაც იგი აქეზებს ან ეხმარება, სავსებით ვარგისი სუბიექტია მის მიერ განზრახული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ სინამდვილეში სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი აღმოჩნდება, იგი ამ შემთხვევას თანამონაწილეობად აკვალიფიცირებს. მისი პოზიციით, გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული არა ფაქტობრივი მდგომარეობის, არამედ თანამონაწილის წარმოდგენის მიხედვით;

(2) საპირისპირო შემთხვევაში, როცა თანამონაწილე თვლის, რომ აქეზებს ან ეხმარება სულით ავადმყოფს, სინამდვილეში კი, უშუალო ამსრულებელი შერაცხვაუნარიანია და შეუძლია პასუხი აგოს ჩადენილი ქმედებისათვის, იგი პასუხისმგებლობის საკითხს თანამონაწილის სუბიექტური წარმოდგენის მიხედვით წყვეტს. მისი თვალსაზრისით, იგი დაისჯება, როგორც შუალობითი ამსრულებელი.

(შუალობითი ამსრულებლის შეცდომის შესახებ იხ. *ო. გამყრელიძე*, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, 1974, გვ. 56-57. იგივე პოზიცია გამოთქმულია წიგნში: *ო. გამყრელიძე*, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 186. იხ. ასევე: *თ. წერეთელი*, თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965, გვ. 82).

მიმოხილვაში წარმოდგენილი თვალსაზრისი ამ საკითხზე განსხვავდება *ოთარ გამყრელიძის* პოზიციისაგან. ქართული სსრ-ის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლიდან გამომდინარე, დაუსაბუთებლად მიმანია პირის დასჯა შუალობითი ამსრულებლობისათვის თანამონაწილის სუბიექტური წარმოდგენის მიხედვით, როცა დანაშაულს ობიექტურად ჰყავს ჩვეულებრივი ამსრულებელი. „სხვა პირის მეშვეობით“ დანაშაულის ჩადენა ნიშნავს მის გამოყენებას „(კოცხალი იარაღის“ სახით და მოითხოვს პირის შეურაცხაობას ან მის ნებაზე ბატონობას (ე.წ. ქმედებაზე ბატონობის თეორია“).

9.3 დანაშაულში თანამონაწილეობა

სსკ-ის 23-ე მუხლიდან გამომდინარე, თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის ბანზრახ ერთობლივ მონაწილეობას ბანზრახი დანაშაულის ჩადენაში.

თანამონაწილეობის სუბიექტებია (ფორმებია): ორგანიზატორი, წამქეზებელი, დახმარე.

მართალია, ეს ნორმა იყენებს ტერმინს: „დანაშაულის თანამონაწილე“, მაგრამ იგი უნდა წავიკითხოთ თელეოლოგიურად და გავიგოთ, როგორც „სისხლისსამართლებრივი უმართლობის თანამონაწილე“.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, თანამონაწილეობა შესაძლებელია არა მარტო პირდაპირი, არამედ ევენტუალური განზრახვითაც (იხ. *თ. წერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 152, 164. იგი ორგანიზატორთან მიმართებაში მიუთითებს, რომ უშუალოდ იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც იგი აწყობს, რომლის გეგმასაც ადგენს, ორგანიზატორს ყოველთვის პირდაპირი განზრახვა ექნება. ამ საკითხზე იხ. ასევე: *თ. გამყრელიძე*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1998, გვ. 83).

ზოგჯერ ძნელია ამსრულებლის გამიჯვნა თანამონაწილისაგან. განსაკუთრებით ეს ეხება, ერთი მხრივ, თანამსრულებელსა და დამხმარეს, ხოლო, მეორე მხრივ, - შუალობით ამსრულებელსა და წამქეზებელს. ასეთი გამიჯვნა მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიული, არამედ ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან თანამონაწილეობა არის **აქცესორული ბუნების**. კონკრეტულად კი, სისხლის სამართალში მოქმედებს თანამონაწილეობის **ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპი**. თანამონაწილის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია (აქცესორულია) ამსრულებლის მიერ ჩადენილ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ძირითად ქმედებაზე, რომელიც სავალდებულო არ არის, რომ ბრალეულად იყოს ჩადენილი. მაშასადამე, თანამონაწილეობა არის აქცესორულობაში ლიმიტირებული (თანამონაწილეობის ლიმიტირებული აქცესორულობის შესახებ იხ. *C. Roxin, Strafrecht, AT II, 2003, გვ. 138-139*).

ქართულ სისხლის სამართალში, ერთი მხრივ, აღიარებულია ე.წ. შუალობითი ამსრულებლობა (მაგალითად, შეურაცხადი პირის გამოყენება „ცოცხალ იარაღად“ განზრახი მკვლელობის დროს). მეორე მხრივ, ეს არ გამორიცხავს თანამონაწილეობის ე.წ. **ლიმიტირებული აქცესორულობის თეორიის** გამოყენების შესაძლებლობას. ქართულ სისხლის სამართალში ეს თეორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა მკვლელობის უმართლობის ამსრულებელი იმყოფება ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. თუ ამსრულებელი მოქმედებს ასეთ საპატიებელ ვითარებაში, იგი არის უმართლობის ამსრულებელი და შეიძლება ჰყავდეს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანამონაწილე. ამსრულებლის ბრალის არარსებობა იმავდროულად ყოველთვის როდი ნიშნავს ამავე დანაშაულის თანამონაწილის არაბრალეულობასაც. მაგალითად, თუ პირი მოქმედებს საკუთარი თავის ან ახლობლის გადასარჩენად, ე.ი. ვიწრო გაგებით საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებე-

ლია, დაისაჯოს მისი წამქეზებელი ან სხვა თანამონაწილე, თუ მათ, თავის მხრივ, ინდივიდუალურად არ გააჩნიათ პატიების საფუძველი.

თუ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა რამდენიმე პირი, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, თუ ვინ ჩაიდინა ძირითადი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რათა იგივე უმართლობისათვის დადგეს თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

თინათინ წერეთლის თვალსაზრისით, რომელიც არაერთი სხვა უცხოელი და ქართველი მეცნიერის პოზიციას ემთხვევა, თანამონაწილეობისათვის საკმარისია, თუ თანამონაწილეებმა იციან ამსრულებლის მოქმედების შესახებ, ხოლო საწინააღმდეგო, რომ ამსრულებელმა იცოდეს თანამონაწილეთა მოქმედების შესახებ, აუცილებელი არ არის, ე.ი. თანამონაწილეობისათვის ყოველთვის დამახასიათებელი არ არის „ერთიერთცოდნა“ (იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 63-64).

ე.წ. სპეციალურ დელიქტებში ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი. უმოქმედობით ჩადენილი დელიქტები ყოველთვის წარმოადგენს სპეციალურ დელიქტებს, რადგან მისი ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლებრივი განგა.

ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ერთიერთგამიჯვნა ხდება სხვადასხვა თეორიებით (ამ თეორიების შესახებ იხ. J. Wessels, W. Beulke, Strafrecht, AT, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 181-185).

(1) **ფორმალურ-ობიექტური თეორიის** მიხედვით, რომელიც დღეისათვის ნაწილობრივ მოქველებულია, ამსრულებელია ის, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, თანამონაწილე კი, უშუალო მონაწილეობას არ ღებულობს ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ქმედებაში, არამედ მხოლოდ ორგანიზებას ან დახმარებას უწევს მას ან აღუძრავს დანაშაულის ჩადენის სურვილს. ამ თეორიას დღესაც ჰყავს მიმდევრები, მაგრამ იგი ძალზე ვიწროა და სოციურ პრობლემატურ შემთხვევაში გამოუსადეგარი. მაგალითად, შუალობითი ამსრულებლობის დროს. ასევე ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის წევრებს შეეცდებოდათ ისეთი ქმედებებიც, რომლებიც მათ უშუალოდ არ ჩაუდენიათ, (მაგალითად, ბანდიტიზმი, სსკ-ის 224-ე მუხლი).

(2) **სუბიექტური თეორია** ეფუძნება პირის ნებას და მის შინაგან განწყობას მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან მიმართებაში: ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს ამსრულებლის ნებით (*animus auctoris*) და ქმედებას, როგორც საკუთარს, ახორციელებს. თანამონაწილე კი, როგორც უცხო, თანამონაწილის ნებით (*animus socii*) სხვის ქმედების განხორციელებას მიუხეობრივად განაპირობებს.

სუბიექტური თეორიის მიხედვით, ამსრულებლის ნების კრიტიკურიუმბოა: (1) შედეგის მიმართ საკუთარი ინტერესის ხარისხი; (2)

ქმედებაში მონაწილეობის მოცულობა და (3) ქმედებაზე ბატონობა ან მინიმუმ ქმედებაზე ბატონობის სურვილი.

(3) **მატერიალურ-ობიექტური მოქმედების ფარგლებში** სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა ე.წ. **ქმედებაზე ბატონობის თეორია**, რომელმაც ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნისათვის სახელმძღვანელო პრინციპად ჩამოაყალიბა ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმებისაგან შემდგარი ცნება „ქმედებაზე ბატონობა“ (იხ. C. Roxin, Täterschaft und Tatherrschaft, მე-8 გამოცემა, 2006). მან აღიარება მოიპოვა საერთაშორისო სისხლის სამართალშიც (იხ. K. Ambos, Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 136).

ე.წ. ქმედებაზე ბატონობას გააჩნია *სამი* სხვადასხვა გამოვლენის ფორმა:

(1) **უშუალო ამსრულებლობა**: ქმედებაზე ბატონობს ის, ვინც ასრულებს ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანს. ეს არის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების თავის ბატონობის ქვეშ მოქცევა;

(2) **შუალობითი ამსრულებლობა**: ქმედებას ჩადის სხვა პირის მეშვეობით. ამ შემთხვევაში პირს აქვს ნების და/ან ცოდნის ბატონობა;

(3) **თანაამსრულებლობა**: ქმედებას ჩადის სხვა პირთან (პირებთან) ერთობლიობაში. ეს არის ე.წ. ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობა.

სისხლის სამართალში განვითარებული ე.წ. *ფუნქციონალური* თეორია გამოიყენება იმ თანაამსრულებლის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად, რომელსაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში. მაგალითად, პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ჩაედინა ყაჩაღობა. ერთ-ერთი მათგანი არ შესულა ბინაში და უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ყაჩაღურ თავდასხმაში, არამედ გარეთ დაელოდა სხვებს, რათა საფრთხის შემთხვევაში მათთვის მიეწოდებინა ინფორმაცია. ფორმალურ-ობიექტური თეორიით, ეს პირი არის დამხმარე, ხოლო ფუნქციონალური თეორიით - თანაამსრულებელი, რადგან ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან.

გვიქრობ, თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის დასაბუთება ე.წ. ფუნქციონალური თეორიით, რომელსაც ქართული სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს, არ ეწინააღმდეგება სსკ-ის 22-ე მუხლის პირველ ნაწილს: „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში...”

ამ ნორმის ინტერპრეტაცია შეიძლება ფორმალურ-ობიექტურად, რომლის მიხედვითაც, ამსრულებელი შეიძლება იყოს მხ-

ოლოდ ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო ის, ვინც ფუნქციონალურად არის დაკავშირებული შემადგენლობის განხორციელებასთან, შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე. ეს ინტერპრეტაცია, ფეიქრობ, მოძველებულია. ჩემი აზრით, დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს ასევე ის პირი, ვინც დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს და უადვილებს მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ასეთი პირი არ შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე, არამედ იგი ფუნქციონალური თანაამსრულებელია.

მიმოხილვაში განვითარებული ეს თვალსაზრისი ეწინააღმდეგება *თინათინ წერეთლის* პოზიციას, რომელიც მიიხსენებს, რომ თანაამსრულებლად არ ჩაითვლება ის პირი, ვინც თუმცა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს. იგი თანაამსრულებელთა წრიდან გამორიცხავს იმას, ვინც, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის მომენტში სადარაჯოზე დგას, ან ვინც დანაშაულის ჩადენის პროცესში დაბრკოლებას აცილებს უშუალო ამსრულებლებს და ამით აძლევს მათ შესაძლებლობას, ბოლომდე მიიყვანონ დანაშაული (იხ. *თ. წერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 135-137).

არა მარტო გერმანულ, არამედ საბჭოთა სისხლის სამართალშიც (იხ. Э. Я. Немировский, Советское уголовное право, Одесса, 1924, გვ. 127) იყო გამოთქმული *თინათინ წერეთლის* ამ პოზიციის საწინააღმდეგო თვალსაზრისი. *თინათინ წერეთლის* ამ პოზიციას წარმოდგენილი მიმოხილვაც არ უჭერს მხარს: თანაამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შესრულებაში, არამედ ნებისმიერი ის პირი, ვინც მოქმედებს დანაშაულის ჩადენის მომენტში. ჩემი თვალსაზრისით, რომელიც განსხვავდება *თ. წერეთლის* პოზიციისაგან, მაგალითად, „დარაჯად დგომა“, ისევე, როგორც დანაშაულის სხვაგვარი დაბრკოლების თავიდან აცილება, რომელიც განხორციელდება შემადგენლობის შესრულების პროცესში, წარმოადგენს დანაშაულის უშუალო ამსრულებლობას.

თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში შესაძლებელია არა მარტო მოქმედებით, არამედ უმოქმედობითაც. ამასთან, ამსრულებლისათვის აუცილებელი არაა თანამონაწილე, მაგრამ თანამონაწილისათვის აუცილებელია ამსრულებელი, ვინაიდან თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა.

მაგალითად, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, პირთა გარკვეულ კატეგორიას აქვს სამართლებრივი ურთიერთთანადგომის მოვალეობა. კერძოდ, ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ ეკისრებათ დახმარების მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია. აქედან გამომდინარე, მაგალითად, ა.-მ იცის, რომ ოპერაში მიმავალ მის ცოლს ბნელ ქუჩაში ყაჩაღურად უნდა დაესხნენ თავს ბ. და ც. თუ ა. არავ-

ითარ ზომებს არ მიიღებს, იგი დაისჯება უმოქმედობაში გამოხატული თანამონაწილეობისათვის. მისი უმოქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც ყაჩაღობაში დახმარება, ვინაიდან ცოლის მიმართ მას აქვს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, როგორც ახლო ნათესავს. თუ ასეთი მოსალოდნელი ყაჩაღობის შესახებ გაიგო მეზობელმა, რომელსაც მეუღლისაგან განსხვავებით ასეთი მოვალეობა არა აქვს, დაისჯება დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, თუ მან ნამდვილად იცოდა, რომ მზადდებოდა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (სსკ-ის 376-ე მუხლი).

90-იანი წლების ბოლოს ქართული სასამართლო პრაქტიკიდან მახსენდება ერთი შემთხვევა, როცა შვილმა იცოდა, რომ უნდა დაეყარა დებინათ მამამისი, რომელიც დიდი ფულის პატრონი იყო. მას თავისი მოქმედებით არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ გამოიჩინა უმოქმედობა: ამის შესახებ არ შეატყობინა სათანადო ორგანოებს, არც მამამისს უთხრა და არც არავითარი სხვა ზომები მიიღო მის აღსაკვეთად.

შვილის უმოქმედობა უნდა შეფასდეს, როგორც ყაჩაღობის ჩადენაში თანამონაწილეობა (დახმარება) და არა დანაშაულის შეუტყობინებლობა (სსკ-ის 376-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში, ქართული სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ არ განსაზღვრავს დამნაშავეის სტატუსს.

მიმაჩნია, რომ თუ დანაშაულს ჰყავს მოქმედებით უშუალო ამსრულებელი, მაშინ სამართლებრივი გარანტი, ვინც უმოქმედობა გამოიჩინა, უნდა ჩაითვალოს თანამონაწილედ (დამხმარედ), როგორც ეს ყაჩაღობის მოყვანილ მაგალითში მოხდა. სხვა შემთხვევაში კი, როცა დანაშაულს არ ჰყავს მოქმედებით უშუალო ამსრულებელი, სამართლებრივი გარანტი იქნება უმოქმედობით ამსრულებელი. მაგალითად: დედა ვალდებულია, ჩვილს ძუძუ აწოვოს. თუ ამას შეგნებულად არ გააკეთებს და ბავშვი დაიღუპება, იგი დაისჯება, როგორც უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის ამსრულებელი, განსხვავებით მეზობელი ქალისაგან, რომელსაც არა აქვს ასეთი მოვალეობა. ბავშვის ბებია, რომელიც დედას წააქეზებს ასეთი უმოქმედობისაკენ, არის ამ დანაშაულის თანამონაწილე.

ოთარ გამყრელიძე მიუთითებს, რომ „დახმარება შეუძლებელია უმოქმედობით“ და იქვე მოჰყავს ერთი მაგალითი: დედა კლავს შვილს, მამა ამას ხედავს, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებს. მისი აზრით, აქ მამის უმოქმედობა მიზეზობრივად არის დაკავშირებული შვილის მკვლელობასთან. აქ დედა მოქმედებით ამსრულებელია, ხოლო მამა უმოქმედობით და ორივე პასუხს აგებს განზრახი მკვლელობის თანამსრულებლობისათვის. (იხ. *ოთარ გამყრელიძე*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 200).

გვიჭრობ, გაუგებრობას აქვს ადგილი. ზოგადად უმოქმედობით დახმარება აღიარებულია ქართულ სისხლის სამართალშიც. (მაგალ-

ითად, მოსამსახურე ქალი შეგნებულად არ შეასრულებს თავის მოვალეობას და არ დაკეტავს ფანჯარას, რათა ღამით ბოროტმოქმედებმა ადვილად შეძლონ ბინაში შეღწევა და ნივთის დაუფლება). ავტორი, ალბათ, სოგადად კი არ მიიხსნევს უმოქმედობით დახმარებას შეუძლებლად, არამედ კონკრეტულ შემთხვევაში მიაჩნია, რომ მამის მხრიდან დანაშაული ჩადენილია ამსრულებლობის ფორმით. ამ შემთხვევაში მამა უნდა ჩაითვალოს ამსრულებლად თუ დამხმარედ, სამოსამართლო ინტერპრეტაციის საკითხია.

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების შესახებ მინდა მოვიყვანო კაზუსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღრიხდელი პრაქტიკიდან *დები კატუნების* შესახებ, რომელსაც ყოველთვის ვეუბნები ჩემს სტუდენტებს ამ საკითხის შესწავლის დროს. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მოვისმინე ჩემი პედაგოგის, პროფესორ *მინდია უგრეხელიძის*გან:

თბილისში ცხოვრობდა ორი შინაბერა და, გვარად კატუნია. ერთ-ერთი მათგანი მამაკაცმა შეაჯიფა, დაპირდა ცოლად შერთვას და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, მაგრამ მოაღჭყუა. დებმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ ამ მამაკაცზე, მათ ამისათვის დაიქირავეს ვინმე ა., რომელსაც მკვლელობის სანაცვლოდ მამის ნაქონი ავტომანქანა გაზ-24-ის გადაცემას დაპირდნენ. ა.-მ ანგარების მოტივით მოკლა ეს მამაკაცი, რის სანაცვლოდაც მიიღო დაპირებული ავტომანქანა.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით, ამსრულებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც განზრახ მკვლელობა ანგარებით (სსკ-ის 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), ხოლო დების ქმედება - როგორც შურისძიებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის წაქეზება (ამავე კოდექსის მე-19, 105-ე მუხლები). მაშინ სასამართლომ ასეთი კვალიფიკაცია არ გააკეთა, არამედ, როგორც ამსრულებელი, ასევე წამქეზებლები დასაჯა ერთნაირად - სსკ-ის 104-ე მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით. წამქეზებლებისათვის ანგარების ბრალად შერაცხვამ მეცნიერ-იურისტთა ნაწილში (მაგალითად, *ოთარ გამყრელიძე*) გამოიწვია სამართლიანი კრიტიკა.

ისმის კითხვა: თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, თუ თანამონაწილის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, მაშინ რატომ არის სწორი ამსრულებლისა და წამქეზებლების მოქმედებათა კვალიფიკაცია სხვადასხვა მუხლით?

პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამოკიდებულება ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე არ ნიშნავს იმას, რომ მათ მაინცდამაინც ერთი და იგივე დანაშაული უნდა ჩაიდინონ, არამედ - მათ მიერ ერთი და იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებას. მოცემულ კაზუსში მათი უმართ-

ლობა (მკვლევლობა) ერთი და იგივეა, რადგან განზრახ მკვლევლობის ყველა მუხლი, მიუხედავად სხვადასხვა ნუმერაციისა, ქმნის ერთსა და იმავე სისხლისსამართლებრივ უმართლობას – განზრახ მკვლევლობას, ხოლო ბრალი ყოველთვის ინდივიდუალური კატეგორიაა, ინდივიდუალური გასაკიცხაობაა. ანგარება სწორედ ბრალის ნიშანი, ამიტომ იგი შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ იმ პირს, ვისაც ეს ნიშანი ინდივიდუალურად ახასიათებს. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილში.

იგივე კაზუსის სხვაგვარი კვალიფიკაცია გამომდინარეობს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან: ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, როგორც განზრახი მკვლევლობა ანგარებით, ხოლო წამქეხებლები დაისჯებიან სსკ-ის 25-ე, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, როგორც განზრახი მკვლევლობის წაქეხება შეკვეთით. მათ ბრალად შეერაცხებათ არა ანგარება, არამედ - შეკვეთა.

რაც შეეხება უშედეგო დახმარებას, ესაა დახმარების მცდელობა და არ ისჯება. მაგალითად, ა.-ს უნდა მოკლას ც. ბ.-მ ა.-ს იარაღი მიაჩენა, მაგრამ მან ეს არ გამოიყენა. ეს არის დახმარების მცდელობა, რაც არ ისჯება.

უშედეგო წაქეხება კი, ისჯება, როგორც დანაშაულის მომზადება (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი). აქედან გამომდინარე, ვინაიდან განზრახი მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებაა დასჯადი, ისჯება მხოლოდ ამ დანაშაულის უშედეგო წაქეხება, ხოლო მთელი რიგი განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულის უშედეგო წაქეხება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

რა არის სისხლისსამართლებრივი უმართლობა?

სისხლისსამართლებრივი უმართლობა არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების მართლსაწინააღმდეგო ჩადენა. მას დანაშაულის ცნებისაგან მხოლოდ ერთი ნიშანი - ბრალი განასხვავებს. მაშინ, როდესაც დანაშაული ბრალის გარეშე არ არსებობს, სისხლისსამართლებრივი უმართლობა შეიძლება ჩაიდინოს შეურაცხადმაც.

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია თანამონაწილეთა მიერ ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელება (ამის შესახებ იხ. *ოთარ გამყრელიძე*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1989).

მაშასადამე, ამსრულებელი და თანამონაწილე ახორციელებენ ერთ და იმავე უმართლობას. ამასთან, თანამონაწილეობა აუცილებლად გულისხმობს ცოდნას ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. საკმარისია, თუ თანამონაწილეებმა იციან ამსრულებლის მოქმედების თაობაზე, მაგრამ თანამონაწილეთა პასუხისმგე-

ბლობისათვის არ არის აუცილებელი, რომ ამსრულებელმა იცოდეს მათი მოქმედების შესახებ.

9.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილის მიერ

ამ საკითხთან დაკავშირებით, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებიდან გამომდინარე, მოვიყვანო რამდენიმე კაზუსს.

მაგალითები:

ა.-მ ბ. წააქეზა, მოეკლა ც., მაგრამ შემდეგ უთხრა, ნუღარ მოკლავო. თუ გადაარწმუნა და შედეგი არ დადგა, მისი მხრიდან იქნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, თუ ვერ გადაარწმუნა და შედეგი დადგა, იქნება განზრახ მკვლელობის თანამონაწილეობა.

დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, ა. აქეზებს ბ.-ს, მოკლას ც., მაგრამ ვერ დაიყოლია – ეს არის დანაშაულის მომზადება და არა დანაშაულის მცდელობა.

თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილში.

თანამონაწილეს (ორგანიზატორს, წამქეზებელს, დამხმარეს) არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან განახორციელა ერთ-ერთი:

- (1) გადაარწმუნა ამსრულებელი, ან სხვაგვარად შეუშალა ხელი და არ მისცა დანაშაულის ჩადენის საშუალება;
- (2) არ შეასრულა ამსრულებლისათვის შეპირებული ქმედება;
- (3) დანაშაულის დამთავრებამდე დამხმარემ უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული საშუალება;
- (4) ამსრულებელმა არ გამოიყენა დამხმარის იარაღი ან სხვა საშუალება.

მაგალითები:

ა.-ს უნდა მოკლას ც. ბ.-მ ა.-ს იარაღი შესთავაზა, მაგრამ ა.-მ არ გამოართვა და სხვა საშუალებით ჩაიდინა მკვლელობა. ბ.-ს მოქმედებაში არ არის დანაშაული.

ა.-ს უნდა მოკლას ც. ბ.-მ ა.-ს იარაღი მისცა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და უკან დაიბრუნა. ბ.-ს მოქმედებაში არ არის დანაშაული, არამედ ეს არის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ვინაიდან დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა იარაღი.

ა.-მ ბ. წააქეზა, მოეკლა ც., მაგრამ შემდეგ გადაარწმუნა, რის გამოც შედეგი არ დადგა. სახეზეა არა დამთავრებული დანაშაული, არამედ მასზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

ა.-მ ბ. წააქეზა, მოკვლა ც.-ს შემდეგ შეეცადა გადაერწმუნებინა, მაგრამ ვერ შეძლო და შედეგი დადგა. ა. არის განზრახ მკვლელობის თანამონაწილე.

მოვიყვან ერთ საინტერესო კაზუსს, რომლის ამოხსნის დროსაც ლექციაზე ხშირად აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა:

ა.-მ ბ.-ს ქურდობის ჩადენამდე სთხოვა აგარაკის გასაღები ნაჭურ-დალის შესანახად. ბ.-მ, მართალია, ამ მიზნით, მისცა გასაღები, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და, ქურდობის ჩადენამდე რამდენიმე დღით ადრე, უკან დაიბრუნა. ა.-ს გასაღების დაბრუნებამდე ასლი გაუკეთებია და მალულად ნაჭურდალი მაინც შეინახა აგარაკზე. ბ.-ს ქმედებაში არის დანაშაული (ქურდობის ჩადენაში დახმარება) და მას პასუხისმგებლობა დაეკისრება, ვინაიდან გასაღების გადაცემის დროს მას გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების მართლწინააღმდეგობა და მის მიერ გასაღების გადაცემა უშუალო მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან: მას რომ არ ეთხოვებინა გასაღები, ასლს ვერ გააკეთებდა და შედეგი არ დადგებოდა. ასეთი კვალიფიკაცია არ ეწინააღმდეგება სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადებას, რომელიც ადგენს, რომ დამხმარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასაღებად გადაცემული იარაღი ან საშუალება. ბოლო მაგალითში შედეგი თავიდან ვერ იქნა აცილებული, რის გამოც, არ გვექნება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

სხვა მაგალითის მიხედვით, ა.-ს უნდა ც.-ს მოკვლა და მის მიერ დანაშაულის ჩადენა რეალურია. უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზნით, ბ. არწმუნებს ა.-ს, არ ჩაიდინოს მკვლელობა, არამედ მხოლოდ ჯანმრთელობა დაუზიანოს ც.-ს და დაარწმუნა, რომ მისი შურისძიების გრძნობის დასაკმაყოფილებლად ეს საკმარისი იქნებოდა. ა. თანხმდება და მოკვლის ნაცვლად მიაყენებს სხეულის დაზიანებას. ბ. არ დაისჯება წაქეზებისათვის, ვინაიდან მან ზიანის შემცირების გზით რეალურად უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთე გადაარჩინა (ე.წ. რისკის შემცირების თეორია).

საინტერესოა თანამონაწილეობის დასაბუთება, როცა დანაშაული ჩადენილია განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით, თუ ქმედების ჩადენა ხდება განზრახ, ხოლო შედეგი დგება გაუფრთხილებლობით. ასეთი შემთხვევა მთლიანობაში ითვლება განზრახ დანაშაულად (სსკ-ის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი). თუ, მაგალითად, ა.-მ ბ. წააქეზა გ.-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ჩადენისაკენ და ამ ქმედებას გაუფრთხილებლობით მოჰყვა გ.-ს სიკვდილი, ამსრულებლის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა). ამ შემთხვევაში წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაციას შეიძლება მოუძებნოთ *სამი* სხვადასხვაგვარი დასაბუთება:

(1) წამქეზებელი დაისჯება სსკ-ის 25-ე, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რადგან სახეზე გვაქვს ორი პირის განზრახ ერთობლივი

მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ეს განზრახი დანაშაულია სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია, რომელიც მთლიანობაში განზრახ დანაშაულს წარმოადგენს.

(2) წამქეხებელი დაისჯება სსკ-ის 25-ე, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. თუ მოქმედებასა და შედეგს არა ერთობლიობაში, არამედ ცალ-ცალკე განვიხილავთ, შედეგის წამქეხებლისათვის შერაცხვა არ მოხდება, რადგან იგი გაუფრთხილებლობით დადგა. გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა კი, არ არის დასჯადი.

(3) წამქეხებელი დაისჯება სსკ-ის 25-ე, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მას, როგორც თანამონაწილეს, არ შეეარაცხება გაუფრთხილებელი შედეგი, მაგრამ ვინაიდან ეს შედეგი გამოიწვია მის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევამ, იგი მას განზრახი ქმედების წამქეხებლობასთან ერთად შეიძლება შეეარაცხოს, როგორც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ამსრულებელი, თუ მის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოწვეული შედეგის გათვალისწინება შესაძლებელი იყო.

ამ პრობლემაზე მსჯელობის დროს სამივე პოზიციას აქვს საყურადღებო არგუმენტები და ლოგიკური დასაბუთებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სისხლის სამართალი არის შეფასებებზე დაფუძნებული, ნორმატიული მეცნიერება. სამართლებრივი შეფასებები კი, არაიშვიათად შეიძლება იყოს სხვადასხვა შედეგის მომცემი. ამ შედეგთაგან თუ რომელია „მართალი“, - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ზოგჯერ თითქმის შეუძლებელია და სამოსამართლო სამართლის გადასაწყვეტია.

9.5 ამსრულებლის ექსცუზი

სსკ-ის 26-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებლის ექსცუზი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა თანამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. ექსცუზებისათვის თანამსრულებელს ან თანამონაწილეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

მაგალითად: ა.-მ და ბ.-მ განიზრახეს, გაეჭურდათ ც.-ს ბინა. ბ.-მ ქურდობისას დააზიანა ც.-ს ქონება. ა. პასუხს აგებს ამ დაზიანებისათვის მხოლოდ მაშინ, როცა ეს ქმედება მოცული იყო მისი განზრახვით, ვთქვათ, მან იცოდა, რომ ბინაში შეღწევა უნდა მომხდარიყო კარების შემტვრევით. თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს ერთ-ერთმა ამსრულებელმა მკვლელობა ჩაიდინა, სხვა თანამსრულებელი ან თანამონაწილეები მხოლოდ მაშინ აგებენ პასუხს ამ ქმედებისათვის, თუ ისინი მიზეზობრივი კავშირითა და თუნდაც ეკენტიუალური განზრახვით დაკავშირებული არიან ამ ქმედებასთან.

9.6 ჯგუფური დანაშაული

სსკ-ის 27-ე მუხლის მიხედვით, ჯგუფური დანაშაული განსხვავდება თანამონაწილეობისიგან. იგი შემდეგი საში სახისაა:

1. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეუთანხმებლად და ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარი შეთანხმების გარეშე ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. ესაა ე.წ. წინასწარ შეუთანხმებელი განზრახვა.

მაგალითად, ა.-მ და ბ.-მ ჩაიდინეს ავტომანქანის ერთობლივად უჩაღური გატაცება, წინასწარი შეთანხმების გარეშე. ა.-მ ტაქსის მძღოლი იარაღის მუქარით გადაიყვანა მანქანიდან, ხოლო ბ.-მ უკანა სალონიდან წინ გადაინაცვლა და წაიყვანეს ავტომანქანა. ისინი წინასწარ არ ყოფილან შეთანხმებული, არამედ დანაშაული ჩაიდინეს უეცრად აღძრული განზრახვის შედეგად.

2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეთანხმდნენ (შეკავშირდნენ) დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

აქაც აუცილებელია ორი ან მეტი ამსრულებელი და არ არის საკმარისი მხოლოდ თანამონაწილეობა. მაგალითად, გაუპატიურება, რომელიც მოხდა ამსრულებლის, წამქეხებლის და დამხმარის მიერ, არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც გაუპატიურება ჯგუფურად, რადგან არა გვაქვს თანაამსრულებლობა.

3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განხორციელდა პირთა მყარი ჯგუფის მიერ, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ბევრი მუხლი ითვალისწინებს ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას, როგორც მაკვალფიცირებელ გარემოებას, ასევე იცნობს ორგანიზებული დანაშაულის სპეციალურ შემადგენლობას, მაგალითად, ბანდიტიზმს, თუმცა ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი) და ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა (სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი) არ არის იდენტური ცნებები. ბანდისაგან განსხვავებით, ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება არ იყოს შეიარაღებული. (მაგალითად 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნტში მოცემული: თადლითობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, არ მოითხოვს ამ ჯგუფის შეიარაღებას, საკმარისია ასეთი ჯგუფის სიმყარე). ორგანიზებული ჯგუფი, ისევე როგორც ბანდა, შეიძლება შეიქმნას ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

ჯგუფურ დანაშაულში ყველა თანაამსრულებელია (სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები), ხოლო თუ ორგანიზებული ჯგუფია (სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი), აქ აღვიღოთ აქვს გამონაკლისს, კერძოდ, მასში ამსრულებელთან ერთად იგულისხმება ორგანიზებული ჯგუფის ყველა წევრი, მათ შორის თანამონაწილე – ორგანიზატორი და ა.შ., რომელიც ორგანიზებული ჯგუფის წევრია. შეი-

ძლება ზოგიერთი ამსრულებელი და თანამონაწილე ორგანიზებული ჯგუფის წევრი იყოს, ზოგიერთი არა. ამ შემთხვევაში ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი მხოლოდ იმ პირს შეეარაჩხება ბრალად, ვინც ასეთი ორგანიზებული ჯგუფის წევრია.

მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დასჯადია ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. იგი ბრალად შეეარაჩხება მხოლოდ ორგანიზებული ჯგუფის წევრს. ქურდობის სხვა ამსრულებლები თუ თანამონაწილეები, რომლებიც არ არიან ასეთი ორგანიზებული ჯგუფის წევრები, დაისჯებიან ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის გარეშე.

9.7 ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და თანამონაწილეობის დასჯადობა საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით

რომის სტატუტის 25-ე მუხლი აკებულება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპზე, რაც გამორიცხავს კოლექტიურ პასუხისმგებლობას კოლექტიური ბრალის პრინციპით. სწორედ ამიტომ სტატუტის 23-ე მუხლი აწესებს მხოლოდ ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის საქართველოს სასამართლოს აქვს უფლება ამოსილება, თავისი იურისდიქცია განახორციელოს მხოლოდ ფიზიკური პირის მიმართ. ამასთან, სტატუტის 26-ე მუხლით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იწყება 18 წლიდან. ამ ასაკის პირი მიღწეული უნდა იყოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს.

სტატუტი არ შემოიფარგლება იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, რომლებმაც უშუალოდ ჩაიდინეს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულები. იგი ვრცელდება ასევე პირებზე რომლებმაც ირიბი ფორმით მიიღეს მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში.

სტატუტის 25-ე მუხლის თანახმად, პირი უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ ის:

- ჩაიდენს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

- უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, რომელიც, ფაქტობრივად, დამთავრდა რომლის მცდელობასაც კქონდა ადგილი;

- აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, მათ შორის - მისი ჩადენისთვის საშუალებათა მიწოდებით;

- სხვაგვარად ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედი პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ასეთი ხელის შეწყობა უნდა იყოს განზრახი ან მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი დანაშაულის ჩადენას ან უნდა ხორციელდებოდეს იმის წინასწარი შეცნობით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას;

- გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში, პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვებს გენოციდის დანაშაულის ჩასადენად;

- ეცდება აღნიშნული დანაშაულის ჩადენას.

ამასთან, პირი, რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად ხელს შეუშლის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის რომის სტატუტით, თუ იგი საბოლოოდ და ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულებრივ განზრახვაზე.

ამრიგად, სტატუტის 25-ე მუხლით, პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაული ჩაიდინა მართლ, სხვა პირთან (პირებთან) ერთად ან სხვა პირის (პირების) მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეს სხვა პირი ექვემდებარება თუ არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ასევე, ვინც უბრძანებს, წააქეზებს ან სხვანაირად აღუძრავს სხვას დანაშაულის ჩადენის განზრახვას, თუ ეს დანაშაული ან მისი მცდელობა იქნება ჩადენილი. დასჯადია, აგრეთვე, პირის ქმედება, ვინც სხვას დაეხმარება ან სხვაგვარად ხელს შეუწყობს, ჩაიდინოს დანაშაული, ხელს შეუწყობს პირთა ჯგუფს, ჩაიდინოს დანაშაული, აგრეთვე, ვინც პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვას გენოციდის ჩადენისაკენ. სისხლის სამართლის დოგმატიკის ენაზე, სტატუტი იცნობს როგორც ამსრულებლობას, თანამსრულებლობას, თანამონაწილეობას, ასევე ე.წ. შუალობით ამსრულებლობას. ამასთან, სტატუტი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას როგორც დამთავრებული დანაშაულისათვის, ასევე დანაშაულის მცდელობისათვის.

ექს-იუგოსლავიის ტრიბუნალის გასაჩივრების ინსტანციამ ტადიჩის საქმეზე განავითარა კონცეფცია: *Joint Criminal Enterprise (JCE)*, რომელიც წარმოადგენს კრიმინალურ მიზნობრივ გაერთიანებას. *JCE I* ძირითადი (*Basic*) და *JCE II* სისტემური (*Systemic*) ფორმები წარმოადგენს თანამსრულებლობის ფორმებს, ხოლო *JCE III* გაფართოებული (*Extended*) ფორმა - შერაცხვის ახალ კატეგორიას, კოლექტიური შერაცხვის მოდელს. ეს უკანასკნელი პრობლემურია დასჯადობის სუბიექტური საფუძვლის (*mental element*) დადგენის თვალსაზრისით. (ამ მოდელის შესახებ დაწვრილებით იხ.: *K. Ambos, Internationales Strafrecht*, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 142-148; *H. Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht*, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 270-271; *V. Haan, Joint Criminal Enterprise*, 2008).

10 ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე

10.1 ერთიანი დანაშაული

სსკ-ის მე-13 და მე-14 მუხლების მიხედვით, ერთიანი დანაშაულის სახეებია: დენადი და განგრძობადი დანაშაული.

დენადი დანაშაული - ესაა ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული, ქმედებით დაწვებული, უწყვეტად განხორციელებული და ქმედების შეწყვეტის მომენტიდან დამთავრებული დანაშაული. ასეთი დანაშაულებია: თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხ. 143-ე), ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება (მუხ. 236-ე), დეზერტირობა (მუხ. 389-ე) და ა.შ.

განგრძობადი დანაშაული - ესაა ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი ქმედების მომცველი დანაშაული. ამ ქმედებათა შორის უნდა იყოს დროის გარკვეული "შუალედი".

მაგალითად:

ა.-მ განზრახა ერთი ოფისიდან სამი კომპიუტერის მოპარვა, რაც განახორციელა ერთი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა დღეს. მოღარემ საღაროდან ერთიანი განზრახვით, ერთი კვირის განმავლობაში, მითთვისა 1000 ლარი.

ორივე ეს დანაშაული დაკვალიფიცირდება, როგორც ერთი განგრძობადი დანაშაული.

10.2 დანაშაულის სიმრავლე

სსკ-ის მე-15, მე-16 და მე-17 მუხლებიდან გამომდინარე, დანაშაულის სიმრავლეა: არაერთგზისი დანაშაული; დანაშაულთა ერთობლიობა; დანაშაულის რეციდივი.

(1) არაერთგზისი დანაშაული

სსკ-ის მე-15 მუხლის მიხედვით, რომელმაც ცვლილება განიცადა 2007 წლის 4 ივლისის კანონით, არაერთგზისი დანაშაული - ესაა წინათ ნასამართლევი პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს განზრახი მკვლელობის არაერთგზისობის დასჯადობას). არაერთგზისია აგრეთვე სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული, თუ ამის შესახებ მითითებულია კერძო ნაწილის მუხლში (მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 შენიშვნა).

არაერთგზისად კვალიფიცირდება დანაშაული, თუ ამის შესახებ თვით მუხლშია მითითებული.

თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი არ ითვალისწინებს არაერთგზისობას, როგორც ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებას, მაშინ ორი ან მეტი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულთა ერთობლიობა.

მაგალითი:

ა-მ 2008 წლის 1 თებერვალს ჩაიდინა ერთი ქურდობა, ხოლო 15 თებერვალს – მეორე, ერთიანი განზრახვის გარეშე. სახეზე არ გვექნება არაერთგზისი დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ქურდობა არაერთგზის, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება, რადგან ა-ს მეორე ქურდობა არ ჩაუდენია პირველი ქურდობისათვის გასამართლების შემდეგ.

თუ პირი წინა დანაშაულისათვის უკვე ნასამართლვეი იყო, არაერთგზისობა არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ან თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართალი არის არა პიროვნების, არამედ ქმედების სამართალი. იგი ეფუძნება კლასიკური სისხლის სამართლის დებულებებს, განსხვავებით პიროვნების სამართლისაგან, რომელიც აგებულია სოციოლოგიური სკოლის დებულებებზე და წარმოადგენს, როგორც ქმედების, ისე პიროვნების სამართალს. კლასიკური სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს არა დამნაშაეის პიროვნებას, არამედ მხოლოდ ქმედებას. პიროვნებას, მის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას.

სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ძირითად შემადგენლობებს ქმნის ქმედების სისხლის სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, მაგრამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება, როგორცაა არაერთგზისობა, არის ამ პრინციპიდან გადახვევა და თუ პირს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს წინათ ჩადენილი ქმედებისათვის, მის მიერ ხელმეორედ ახალი დანაშაულის ჩადენა ითვლება ქმედების შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად.

(2) დანაშაულთა ერთობლიობა

სსკ-ის მე-16 მუხლის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ან მუხლის ნაწილით) გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან

პირი არცერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული (რეალური ერთობლიობა). მაგალითად, ა.-მ ჩაიდინა ეჩინალობა ბინაში უკანონო შეღწევით (სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და გაუპატიურება (137-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამ ქმედებებისათვის მას ცალ-ცალკე განესაზღვრება სასჯელი, რომელიც შეიკრიბება (სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დანაშაულის ერთობლიობაა ასევე ერთი ქმედება, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მუხლით (ან მუხლის ნაწილით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს (იდეალური ერთობლიობა).

მაგალითად, „მძევლად ხელში ჩაგდება“ (სსკ-ის 144-ე მუხლი) იდეალურ ერთობლიობაშია „თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან“ (სსკ-ის 143-ე მუხლი).

სსკ-ის 59-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნას დანაშაულთა ერთობლიობის დროს. სსკ-ის 59-ე მუხლში მოცემული დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესი გამოიყენება მხოლოდ რეალური ერთობლიობისათვის. იდეალური ერთობლიობის დროს ყოველთვის გამოიყენება შთანთქმის პრინციპი, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა.

(3) დანაშაულის რეციდივი

სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

დღეს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს რეციდივის მხოლოდ ამ ერთ სახეს. 2007 წლის 22 ივნისის კანონის ამოქმედებამდე, ეს ნორმა ითვალისწინებდა დანაშაულის რეციდივის სამ სახეს:

(1) რეციდივი, რაც ნიშნავდა წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

(2) საშიში რეციდივი ნიშნავდა: (ა) წინათ განზრახი დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიერ ისეთი განზრახი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას უსჯიდნენ თავისუფლების აღკვეთას; (ბ) წინათ განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიერ განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენას.

(3) განსაკუთრებით საშიში რეციდივი ნიშნავდა: (ა) წინათ განზრახი ნაკლებად მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის სამჯერ ან მეტჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიერ ისეთი განზრახი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას უსჯიდნენ თავისუფლების აღკვეთას; (ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის

მსჯავრდებული პირის მიერ განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენას;
(გ) წინათ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენას.

რეციდივის ეს სახეები სსკ-ის მე-17 მუხლიდან ამოღებულ იქნა.

რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, ასევე თუ პირს წინა დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან ვაქარწყლებული აქვს.

სასჯელის დანიშვნის დროს დანაშაულის რეციდივი შეიძლება გახდეს უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის საფუძველი.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია მოქმედი კოდექსის ამოქმედებამდე.

11 სასჯელი

11.1 სასჯელის ცნება

სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის სამდენ პირს.

სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას სასჯელთან მიმართებაში აქვს კონსტიტუციური რანგი: „*nulla poena sine lege*” (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) და „*nulla poena sine culpa*” (არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე).

დანაშაულის ყველა კონკრეტულ შემადგენლობას აქვს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სანქციის ფარგლები. მაგალითად, განზრახ მკვლელობის შემადგენლობა (სსკ-ის 108-ე მუხლი) ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 15 წლამდე.

სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა წარმოადგენს.

მოსამართლე სასჯელის დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს სსკ-ის 53-ე მუხლით („სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები“). იგი ითვალისწინებს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, არამედ დამნაშავის პიროვნებას. საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე, 2007 წლის 25 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადადებები („*sentencing guidelines*“). იგი სასჯელის შეფარდების დროს ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, წარსულში ჩადენილ დანაშაულებს და გამოძიებასთან თანამშრომლობას.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი 2007 წლის 3 ივლისის კანონის ძალაში შესვლამდე ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ იძულებით ღონისძიებათა ორკვალიან სისტემას. დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ გამოიყენებოდა სასჯელი, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი ფსიქიკურად ავადმყოფი პირების მიმართ – სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი.

ე.წ. სანქციათა ორკვალიანი სისტემის შესახებ მოსაზრება უკავშირდება შვეიცარიელი სისხლის სამართლის პროფესორის *კარლ შტოსის (Carl Stoops)* სახელს, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს იყო ბერნის უნივერსიტეტის, ხოლო შემდგომ, მე-20 საუკუნის დასაწყისში - ვენის უნივერსიტეტის პროფესორი. დღეს ეს სისტემა წარმოადგენს აღიარებულ სისტემას ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების კანონმდებლობაში. ასეთ ვითარებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 2007 წლის 3 ივლისის კანონით მთლიანად იქნა ამოღებული მე-6 კარი („სამედიცინო ხასიათის იძულებითი

ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების საფუძველი და წესი”). ამ ცვლილებით, იმ პირის მიმართ, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა ფსიქიკური დაავადებით გამოწვეულ შეურაცხაობის მდგომარეობაში, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება უკვე აღარ გამოიყენება, როგორც სისხლისსამართლებრივი ღონისძიება.

11.2 სასჯელის მიზნები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში ჩამოყალიბებულია სასჯელის მიზნები. ესენია: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის მიზნებს განსაზღვრავს აბსოლუტურ და პრევენციულ თეორიათა სინთეზირების გზით. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, პრევენციული თეორიის მიხედვით კი - ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (გენერალური და სპეციალური პრევენცია) და დამნაშავის რესოციალიზაცია (სპეციალური პრევენცია).

სსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია სასჯელის პროზოტიური გენერალური პრემპენციის დებულება, კერძოდ, ნორმის ადრესატების მიერ კანონისა და სამართლისადმი პატივისცემის გრძნობის გამოქვეყნება, რაც ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას. განსხვავებით სასჯელის პროზოტიური გენერალური პრევენციისაგან (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი *გიუნთერ იაკობსი*), რომელსაც ეფუძნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის სასჯელის მიზნების კონცეფცია, სასჯელის ნებატიური გენერალური პრემპენცია დამნაშავის დაშინებაზეა ორიენტირებული (ცნობილი გერმანელი მეცნიერის *ანსელმ ფოიერბახის* ფსიქოლოგიური იძულების თეორია).

თანამედროვე სისხლის სამართალში ეს უკანასკნელი თეორია არ არის აღიარებული. პირიქით, სასჯელის გამოყენება დაშინების საშუალებად მიიჩნევა ადამიანის უფლებების ხელყოფად, ვინაიდან არსებობს ასეთი დებულება: რა უფლება გაქვთ, დამსაჯოთ მე, რათა დააშინოთ სხვები.

11.3 სასჯელის თეორიები

თანამედროვე სისხლის სამართალში არსებობს სასჯელის აბსოლუტური და რელატიური თეორიები. პირველი მათგანი დაკავშირებულია წარსულთან და სჯის წარსულში ჩადენილი ქმედებისათვის, რადგან ჩადენილი იქნა დანაშაული, ხოლო მეორე მომავალზეა ორიენტირებული, რომ მომავალში არ იქნეს ჩადენილი ახალი დანაშაულები.

სასჯელის აბსოლუტური თეორია უკავშირდება იმანუელ კანტისა (1724-1804) და გეორგ ვილჰელმ ჰეგელის (1770-1831) სახელებს. ამ თეორიისათვის არსებობს ასევე სხვა სახელწოდებაც: „სამართლიანობის აღდგენის თეორია“ ან „სამაგიეროს მიზდვის თეორია“. იგი არის სახელმწიფოს რეპრესიული ხასიათის რეაქცია პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. დანაშაული არის ყოველთვის საფუძველი იმისა, რომ სასჯელი იქნეს გამოყენებული (*nulla poena sine crimine*). სასჯელის აბსოლუტური თეორია ემსახურება სამართლიანობის აღდგენას, ამიტომ სისხლის სამართლის წესით ისჯება ისეთი დამნაშავეც, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, რომელიც სავარაუდოდ არ განმეორდება და, მაშასადამე, არ არსებობს დანაშაულის რეციდივის საშიშროება. ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში მოყვანილია კანტის ერთ-ერთი ცნობილი ე.წ. კუნძულის მაგალითი, რომელიც არაერთ წიგნში არის მითითებული. ამ ისტორიის მიხედვით, თუ კუნძულის მაცხოვრებელი ყველა ადამიანი ერთბაშად გადაწყვეტს, რომ ეს კუნძული დატოვოს და საცხოვრებლად მთელ მსოფლიოში მიმოიფანტოს, ასეთ შემთხვევაშიც, ბოლომდე უნდა დაისაჯოს ამ კუნძულზე ციხეში მყოფი უკანასკნელი მკვლეელი, რათა დამნაშავეს სამართლიანად მიეზღოს ჩადენილი ქმედებისათვის (შეად. *H.-H. Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, მე-5 გამოცემა, 1996, გვ. 70*).

სასჯელის სპეციალური პრევენციის თეორია უკავშირდება ფრანც ფონ ლისტის (1851-1919) სახელს. იგი სასჯელის გამოყენებას ასაბუთებს გამოსწორებისა და დამნაშავეს მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პოზიციიდან. ამ თეორიაში გამოიყოფა ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები.

ნეგატიური სპეციალური პრევენციის თეორიის მიხედვით, საზოგადოება დაცული უნდა იქნეს გამოუსწორებელი დამნაშავესაგან მისი ხანგრძლივი დროით საზოგადოებისაგან იზოლაციით, რათა მოხდეს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა. პოზიტიური სპეციალური პრევენცია კი, მიზნად ისახავს რესოციალიზაციის გზით დამნაშავეს ისევ საზოგადოებაში დაბრუნებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებები, ასევე პირობითი მსჯავრი, სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება. არასრულწლოვანთა სისხლის სამართალს აქვს სპეციალური სისტემა – აღმზრდელობითი ღონისძიებები.

სასჯელის ნებატიური ბენეფალური პრევენციის თეორია, რომელიც ასევე ცნობილია ფსიქოლოგიური იძულების თეორიის სახელწოდებით, უკავშირდება პაულ იოჰან ანსელმ ფოიერბახის სახელს (1775-1833). მას გააჩნია მნიშვნელოვანი ნორმატიული და ემპირიული პრობლემები. სასჯელის რელატიური თეორიები ახდენენ სასჯელის ფუნქციონალიზაციას, როგორც სახელმწიფოს მიზნების მიღწე-

ევის საშუალება, და დამნაშავე არის საყოველთაო კეთილდღეობის დაცვის ინსტრუმენტი. ეს თეორია სასჯელის მიზნად ისახავს მხოლოდ საზოგადოების დაშინებას. სასჯელის მუქარა, დანიშვნა და აღსრულება საზოგადოებაში უნდა ნერგავდეს შიშს, რომ ფსიქოლოგიური იძულების ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ დანაშაული არ ჩაიდინოს. *ანსელმ ფოიერბახი*, რომელმაც შექმნა ბაეარის 1813 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, ეყრდნობოდა თავის ფსიქოლოგიური იძულების თეორიას, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენა სასჯელის მუქარით ფსიქოლოგიურად შეუძლებელი უნდა გამხდარიყო. შერაცხვის კრიტერიუმი იყო არა დამნაშავეის პიროვნება, არამედ დაშინების მასშტაბი.

ამასთან დაკავშირებით, პრობლემას წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული პატივისა და ღირსების ხელყოფა.

სასჯელის პოზიტიური ბენეფალური პრევენციის თეორია სამართლის ერთგულების მიღწევასა და შენარჩუნებას პოზიტიურად ისახავს მიზნად. მიუხედავად დადებითი შინაარსისა, იგი უყურადღებოდ ტოვებს დამნაშავეის ინდივიდუალურ პიროვნებას.

სასჯელის მიზნების ანტიინომია გამოიხატება იმაში, რომ მათ აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანები. ამიტომ აუცილებელია მათი ურთიერთშერიგება, შერწყმა, სინთეზი. თავდაპირველად დასჯის საფუძველი შეიძლება იყოს სასჯელის აბსოლუტური თეორია, როგორც სახელმწიფოს მიერ დამნაშავეისათვის სასჯელის დანიშვნის პირველი აუცილებელი ლეგიტიმური საფუძველი, სამართლისა და სამართლიანობის ისევე აღდგენა. ამის შემდეგ გამოყენებულ უნდა იქნეს სხვადასხვა რელატიური თეორიები: მთავარია, რომ დამნაშავე არ უნდა გახდეს ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში, არამედ უნდა დაისაჯოს თავისი ქმედებისათვის, ბრალის ხარისხისა და დამნაშავეის პიროვნების გათვალისწინებით.

11.4 სასჯელთა სისტემა

11.4.1 სიკვდილით დასჯის გაუქმება

საქართველოს, 1999 წლის აპრილიდან ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას. მართალია, 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისიდან) მე-2 მუხლი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, არ შეიცავს ნორმებს, რომლებიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოითხოვს, მაგრამ კონვენციის მე-6 ოქმი კრძალავს მის გამოყენებას, გარდა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის, ხოლო მე-13 ოქმი აუქმებს სიკვდილით დასჯას

ყველა ვითარებაში (კონვენციის ორივე ეს ოქმი რატიფიცირებულია საქართველოს მიერ).

2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში ჩაიწერა: „სიკვდილით დასჯა აკრძალულია“. ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება ჰქონდა მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინსტანციის სასამართლო კოლეგიას.

ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებიდან გამომდინარე, ვინაიდან სიცოცხლე ადამიანის უზენაესი უფლებაა, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1997 წლის 11 ნოემბერს სიკვდილით დასჯა საქართველოში გაუქმდა საკანონმდებლო გზით და ამ დროიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა არც ერთი დანაშაულისათვის, რაც უთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 ოქმის მოთხოვნას. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-2 ფაკულტატური ოქმი (საქართველოსათვის ძალაში შესვლის თარიღია 1999 წლის 22 ივნისი) კრძალავს სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელის ღონისძიებას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1999 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიძღვნილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატურ ოქმთან შეერთების თაობაზე.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელთა სისტემა განსხვავებულია ადრე მოქმედი კოდექსის სისტემისაგან, კერძოდ, დაემატა სასჯელის ახალი სახეები.

ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებით, 2000 წლის 1 ივნისს შემოღებულ იქნა ჯარიმის გამოთვლის ახალი, ე.წ. დღიური ანაზღაურების სისტემა, რაც დღეისათვის შეცვლილია ჯარიმის თანხობრივი განსაზღვრით.

11.4.2 სასჯელთა ცალკეული სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელთა სისტემა მოცემულია მე-40 მუხლში. ამ ნორმაში მოცემულია სასჯელთა ცალკეული სახეები. იგი ცხრა პუნქტისაგან შედგება:

(1) ჯარიმა. ჯარიმა ფულადი გადასახდელია, რომელიც ინიშნება სასამართლოს მიერ სსკ-ის 42-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობით. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი, თუ პირს

ჩადენილი აქვს დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში მისი ოდენობა არ უნდა იყოს 2000 ლარზე ნაკლები. შესაძლებელია ჯარიმა დამატებით სასჯელად დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როცა იგი კერძო ნაწილის მუხლის სანქციაში დამატებით სასჯელად არც არის გათვალისწინებული. ეს წესი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება.

კანონმდებელმა (სსკ-ის 42-ე მუხლის 5-ე ნაწილი) დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანი და გადახდისუუნარო მსჯავრდებულისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდა დააკისროს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ამ საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია სარჩელი.

მოქმედი სსკ-ის 42-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ჯარიმა ინიშნებოდა დღიური ანაზღაურების სისტემით. ჯარიმის მინიმალური ოდენობა იყო 10, ხოლო მაქსიმალური - 360 დღიური ანაზღაურება. სასჯელთა შეკრებისას იგი არ უნდა ყოფილიყო 720 დღიურ ანაზღაურებაზე მეტი. ჯარიმის დღიურ მინიმალურ ანაზღაურებას შეესაბამებოდა 2 ლარი, ხოლო მაქსიმალურს - 10 000 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედი კოდექსის თავდაპირველი რედაქციით შემოღებული ჯარიმის გადახდის დღიური ანაზღაურების სისტემა ახალი იყო ქართული სისხლის სამართლისათვის. იგი გადმოღებულ იქნა კონტინენტალური ევროპის ქვეყნების (გერმანია, ესპანეთი და ა.შ.) სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან.

ჯარიმის დანიშვნა და გამოთვლა ხდებოდა შემდეგი წესით: განაჩენში სასამართლო უთითებდა როგორც დღეების რაოდენობას, ისე დღიური თანხის ოდენობას. დღეების რაოდენობას მოსამართლე პირს უნიშნავდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალის ხარისხის მიხედვით, მიუხედავად მისი მატერიალური შესაძლებლობებისა, ხოლო დღიური თანხის განსაზღვრისას მნიშვნელობა ჰქონდა მსჯავრდებულის ყოველთვიურ შემოსავალს, რომლის 30-ზე გაყოფით ვღებულობდით დღიურ თანხას. შემდეგ იგი უნდა გამრავლებულიყო სასამართლოს მიერ დანიშნულ დღიურის რაოდენობაზე. მაგალითად, ა-მ და ბ-მ ჩაიდინეს ერთგვარი დანაშაული და თითოეულს ბრალის ხარისხის მიხედვით მიესაჯა ჯარიმა 100 დღიური ანაზღაურების ოდენობით. ა-ს თვიური შემოსავალი იყო 600 ლარი, ე.ი. დღიური - $600 : 30 = 20$ ლარი. ბ-ს არ ჰქონდა შემოსავალი. მისი დღიური თანხა იყო კოდექსით განსაზღვრული მინიმუმი - 2 ლარი. აქედან გამომდინარე, ა-ს ჯარიმის სახით გადასახდელი ჰქონდა $20 \times 100 = 2000$ ლარი, ხოლო ბ-ს გადასახდელი შეადგენდა $2 \times 100 = 200$ ლარს.

ე.წ. ჯარიმის გადახდის დღიური ანაზღაურების სისტემა დღესათვის შეცვლილია და კოდექსის 42-ე მუხლით განსაზღვრულია ჯარიმის მინიმალური კონკრეტული ოდენობა, ხოლო მაქსიმალური არ არის განსაზღვრული.

(2) **თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.** სსკ-ის 43-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს შეიძლება აეკრძალოს დანიშენითი თანამდებობის დაკავება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ანდა პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობა. იგი ძირითად სასჯელად ინიშნება 1-დან 5 წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - 6 თვიდან 3 წლამდე ვადით.

(3) **საზოგადოებისათვის სასარბებლო შრომა.** სსკ-ის 44-ე მუხლის მიხედვით, იგი ინიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას. სასჯელის ეს ღონისძიება ინიშნება 40-დან 800 საათამდე ვადით. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. სასჯელის ეს სახე ახალია ქართული სისხლის სამართლისათვის.

(4) **გამასწორებელი სამუშაო.** სსკ-ის 45-ე მუხლის მიხედვით, იგი ინიშნება 1 თვიდან 2 წლამდე ვადით. მისი მოხდა ხდება მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე და მდგომარეობს მისთვის 5-დან 20%-მდე ხელფასის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაქვითვაში.

(5) **სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა.** სსკ-ის 46-ე მუხლის მიხედვით, იგი სამხედრო მოსამსახურისათვის დაწესებული გამასწორებელი სამუშაოს აღტერნატივაა და ინიშნება 3 თვიდან 2 წლამდე ვადით, ხელფასიდან 20%-მდე დაკავებით.

(6) **თავისუფლების შეზღუდვა.** სსკ-ის 47-ე მუხლის მიხედვით, იგი მდგომარეობს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე სპეციალურ დაწესებულებაში - გამასწორებელ ცენტრში, მასზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მოთავსებაში. 2000 წლის 30 ივნისის ცვლილებით, იგი ენიშნება ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულს - ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

(7) **ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.** სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, იგი ინიშნება 6 თვიდან 20 წლამდე ვადით. დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას - 40 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანს 14-დან 18 წლამდე ასაკში დანაშაულის ჩადენისათვის ენიშნება თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 10 წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის - არა უმეტეს 15 წლისა.

(8) **უვადო თავისუფლების აღკვეთა.** სასჯელის ეს ღონისძიება შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

(9) **ქონების ჩამორთმევა.** 2000 წლის 5 მაისს, 2000 წლის 5 დეკემბერსა და 2002 წლის 4 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, კერძოდ, 41-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით. იგი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ ორ შემთხვევაში - საბაუო წესის დარღვევის დროს (სსკ-ის 214-ე მუხლი) და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის (სსკ-ის 344-ე მუხლი). სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის მხოლოდ ისეთი საგნის ან საშუალების ჩამორთმევა შეიძლება, რომელიც იყო მსჯავრდებულის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში და გამოყენებული იქნებოდა განზრახი დანაშაულის ჩასადენად. ჩამორთმევა ხდებოდა უსასყიდლოდ. ჩამორთმევის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტდა სასამართლო. ამასთან ერთად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლი ითვალისწინებდა დანაშაულის იარაღის საპროცესო კონფისკაციას, აგრეთვე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულისა და ფასეულობის ჩამორთმევას.

2005 წლის 28 დეკემბრის კანონით შეიცვალა სსკ-ის 52-ე მუხლის („ქონების ჩამორთმევა“) შინაარსი და იგი გახდა უფრო ფართო. დღეისათვის იგი შეესაბამება არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ან მისი ღირებულების ექვივალენტური ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის კოდექსში დღეს არ არსებობს არავითარი მითითება დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობაზე, რომლის ჩადენის დროსაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის ეს სახე. საკანონმდებლო დეფინიციით, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამოიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მომენტზე, რომ სსკ-ის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილი შესაძლებლობას იძლევა, ჩამორთმეული იქნეს არა მარტო უშუალოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, არამედ მისი ღირებულების ექვივალენტური ქონება.

ქონების ჩამორთმევა და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლება იყო ქონების კონფისკაციის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების განსჯის საგანი. ამ გადაწყვეტილებამ დღეისათვის, ვფიქრობ, დაკარგა თავისი აქტუალობა. მიუხედავად ამისა, დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ მის გაცნობას.

(10) კოლექსიდან ამოღებული სასჯელის სახეები:

სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსება, როგორც სასჯელის ღონისძიება, ამოღებულ იქნა მოქმედი სისხლის სამართლის

კოდექსიდან მასში 2000 წლის 5 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით (სსკ-ის 49-ე მუხლი). სასჯელის ეს სახე გამოიყენებოდა გაწვეული სამხედრო მოსამსახურის მიმართ, თუ მას განაჩენის გამოტანის დროისათვის არ ჰქონდა მოხდილი კანონით დადგენილი გაწვევის ვადა. იგი ინიშნებოდა 3 თვიდან 2 წლამდე ვადით.

2006 წლის 28 აპრილის კანონით ტუსადობა ამოღებულ იქნა სასჯელთა სისტემიდან (სსკ-ის 48-ე მუხლი). იგი მდგომარეობდა მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციაში და ინიშნებოდა 1-დან 6 თვემდე ვადით. ტუსადობა არ ენიშნებოდა იმას, ვისაც განაჩენის გამოტანისას არ ჰქონდა შესრულებული 18 წელი, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდებს, ორსულებს, 7 წლამდე ასაკის ბავშვების დედებს.

11.5 სასჯელის დანიშვნა. პირობითი მსჯავრობა

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ჩამოყალიბების დროს კომისიამ თავის დროზე ისარგებლა გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური ნორმით.

კოდექსში არ არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალი. იგი მოსამართლემ თვითონ უნდა განსაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, ნასამართლობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის მოხსნილი ან გაქარწყლებული. თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებულია, მას არ შეიძლება სასჯელის დანიშვნის დროს მნიშვნელობა მიენიჭოს. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის შესახებ უნდა აღინიშნოს მხოლოდ განაჩენის შესავალ ნაწილში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 507-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). განაჩენის აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილში კი, მისი მითითება არ შეიძლება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 508-ე მუხლი).

აქედან გამომდინარე, სსკ-ის 68-ე, 69-ე მუხლების მიზნებისათვის, დანაშაული პირველად ჩადენილად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა პირს წინა ნასამართლობა (ნასამართლობები) მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს. ასეთია უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის პრაქტიკა ამ საკითხზე.

კოდექსმა განსაზღვრა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას სასჯელის დანიშვნის წესი და 55-ე მუხელში, მსგავსად ძველი კოდექსის 45-ე მუხლისა, მოსამართლეს უფლება მისცა გარკვეული პირობების არსებობისას დანიშნოს კანონით გათვალისწინებული კონკრეტული სანქციის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი. დღეს მოქმედი რედაქციით,

ასეთი შედეგათვის გამოყენების პირობები შეიზღუდა. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ასუსტებს მოსამართლის პროცესუალურ-სამართლებრივ მდგომარეობას სასჯელის დანიშვნის დროს და აძლიერებს პროკურორის პოზიციას სისხლის სამართლის პროცესში.

სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სასჯელის დანიშვნის წესს დაუთავრებელი დანაშაულისათვის (სსკ-ის 56-ე მუხლი). ეს ნორმა, 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებამდე, ითვალისწინებდა სასჯელის სავალდებულო შემცირებას დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის. დღეისათვის ეს წესი ამოღებულია კოდექსიდან.

თავისებურებით ხასიათდება დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნა. სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით, კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებდა: რეციდივს, საშიშ რეციდივს და განსაკუთრებით საშიშ რეციდივს. ეს განსხვავება დღეისათვის ამოღებულია.

საკანონმდებლო სიახლეებით ხასიათდება დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესი. თუ ძველი, 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი, კოდექსი და სასამართლო პრაქტიკა დანაშაულთა ერთობლიობისას ე.წ. სასჯელთა შთანთქმის პრინციპს აძლევდა უპირატესობას და სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეკრება შესაძლებელი იყო იმ მუხლით ან მუხლის ნაწილით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა უფრო მკაცრ სასჯელს, დღეს მოქმედი კოდექსის შესაბამისად, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, 2006 წლის 29 დეკემბრის კანონის ამოქმედებამდე, გამოიყენებოდა როგორც სასჯელთა შთანთქმის, ისე სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპი. დღეისათვის მოქმედებს 2010 წლის 23 თებერვლის ცვლილებებით შემოღებული წესი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოები სასჯელს ნიშნავენ მხოლოდ სასჯელთა შეკრების წესის გამოყენებით, რაც წარმოადგენს რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკის გაძლიერებას სპეციალური პრევენციის შემცირების ხარჯზე.

საკანონმდებლო სიახლეებით ხასიათდება ასევე პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი (სსკ-ის მე-12 თავი). თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, გამოსაცდელი ვადა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანიშნულ სასჯელზე ერთი წლით მეტი ვადით, ხოლო თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისას – ერთიდან სამ წლამდე ვადით. ეს წესი შემოღებულ იქნა 2010 წლის 23 თებერვლის კანონით.

მოქმედი კოდექსის 56-ე მუხლიდან გამომდინარე, 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებამდე, დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის ვადა არ უნდა ყოფილიყო სანქციის მაქსიმუმის 1/2-ის, ხოლო მცდელობისათვის - 3/4-ის მეტი. ეს წესი არ ეხებოდა იმ შემთხვევას, როცა სასჯელად გათვალისწინებული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა.

მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მომზადებისა და მცდელობისათვის არ შეიძლება დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ კოდექსი არ კრძალავდა ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმუმის დანიშვნას, ე.ი. უვადო თავისუფლების აღკვეთიან მუხლებზე არ ვრცელდებოდა მომზადებისა და მცდელობისათვის 1/2-ისა და 3/4-ის პრინციპი. დღეისათვის კოდექსიდან მომზადებისა და მცდელობისათვის სასჯელის საკვალდებულო შემცირების წესი ამოღებულია.

რეციდივის დროს ინიშნებოდა ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმუმის არანაკლებ ნახევარი, საშიში რეციდივის დროს - არანაკლებ 2/3, განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს - არანაკლებ 3/4. დღეისათვის ეს წესი აღარ მოქმედებს. სსკ-ის 56-ე (სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის) და 58-ე მუხლები (სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს) შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ერთდროულად. ამისათვის საჭირო იყო, სანქციის ფარგლები ჯერ შემცირებულიყო სსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მოცემულ ზღვრამდე: მომზადებისათვის - მაქსიმუმის ნახევრამდე, ხოლო მცდელობისათვის - 3/4-მდე, ხოლო შემდეგ ამ ვადიდან უნდა ყოფილიყო გამოთვლილი სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული მაქსიმუმის არანაკლებ ნახევარი (რეციდივის დროს), არანაკლებ 2/3 (საშიში რეციდივის დროს) და არანაკლებ 3/4 (განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს). ეს წესიც დღეისათვის უკვე აღარ მოქმედებს.

სსკ-ის 55-ე მუხლის ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის კონკურენციის დროს უპირატესობა ენიჭება 55-ე მუხლსა და 63-ე მუხლის პირველ ნაწილს.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, პირობითი მსჯავრი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ დანაშაულზე, ამასთან, მისი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირი გამოსაცდელ ვადაში ჩაიღენს ახალ განზრახ დანაშაულს. ეს საგამონაკლისო წესი მოქმედებს მხოლოდ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან (სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი). თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში გაურთხილებლობითი დანაშაული ჩაიღინა, პირობითი მსჯავრის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო (სსკ-ის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

სხვა შემთხვევებში, თუ მსჯავრდებელი აკმაყოფილებს სსკ-ის 63-ე მუხლში მოცემულ პირობებს, სასამართლოს სრულწლოვანი პირის მიმართ შეუძლია პირობითი მსჯავრის გამოყენება მხოლოდ განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ზოგიერთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დღეისათვის ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო წინადადებები (*sentencing guidelines*).

11.6 სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს

სსკ-ის 59-ე მუხლი გათვალისწინებულია მხოლოდ დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის, სადაც 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებამდე გამოიყენებოდა სასჯელთა შთანთქმისა და შეკრების პრინციპი, ხოლო იდეალური ერთობლიობის დროს ყოველთვის, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, შთანთქმის პრინციპი გამოიყენება, რადგან მოქმედებს წესი: ერთი დანაშაულისათვის მხოლოდ ერთი სასჯელი.

შთანთქმის პრინციპი გამოიყენებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობისას, ან როცა ნაკლებად მძიმე დანაშაული კომბინაციაში იყო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან.

ნაწილობრივი ან მთლიანი შეკრების პრინციპი გამოიყენებოდა შემდეგ შემთხვევებში:

ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრებით შეიძლებოდა დანიშნულიყო მაქსიმუმ ხუთი წელი;

მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ერთობლიობის დროს ინიშნებოდა მაქსიმუმ ოცდახუთი წელი;

ნაკლებად მძიმე და მძიმე ან ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კომბინაციის დროს ინიშნებოდა მაქსიმუმ ოცი წელი.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მიმართ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო შთანთქმის პრინციპი.

დღეისათვის ეს წესი შეცვლილია და დანაშაულთა ერთობლიობის დროს გამოიყენება მხოლოდ სასჯელთა შეკრების წესი, რომლის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს (სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

2010 წლის 23 თებერვლის კანონით, დანაშაულთა ერთობლიობის დროს ყველა დანაშაულზე ცალ-ცალკე ინიშნება სასჯელი. ამასთან, ყველაზე მძიმე ერთ ძირითად სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ (დანიშნული ვადის ნახევრიდან სრულ მოცულობამდე) ემატება სხვა დანაშაულისათვის (დანაშაულებისათვის) დანიშნული სასჯელი (სასჯელები).

გასათვალისწინებელია აზრი იმის შესახებ, რომ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისას დაინიშნოს ერთი სასჯელი, ხოლო მხოლოდ რეალური ერთობლიობისას - შეკრების პრინციპით. ეს კოდექსში სიტყვა-სიტყვით არ წერია, მაგრამ იგულისხმება. მაგალითად, ა. მ. პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით, ჩაიდინა ქურდობა ბინა-

ში შედწევით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ვინაიდან ჩადენილია ერთი ქმედება, მიუხედავად რამდენიმე მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობისა, უნდა დაინიშნოს ერთი სასჯელი (მაგალითად, ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა).

განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას, 59-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიემატება წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი. საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმი არ უნდა აღემატებოდეს 40 წელს (სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი უნდა იყოს უფრო მეტი, როგორც ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელზე, ისე წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილზე. ეს წესი ვერ იქნება დაცული, როცა გამოყენებულია სასჯელის უმაღლესი ღონისძიება - უვადო თავისუფლების აღკვეთა.

თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ პირს ამ განაჩენის გამოტანამდე ჩადენილი ჰქონდა სხვა დანაშაული, რომლისთვისაც იგი გასამართლებული არ ყოფილა, ახალი განაჩენის გამოტანის დროს სასჯელი ინიშნება არა განაჩენთა ერთობლიობის, არამედ დანაშაულთა ერთობლიობის წესით. საბოლოო სასჯელში კი ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ.

11.7 სასჯელები საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით

როგორც აღინიშნა, რომის სტატუტის 23-ე მუხელში მოცემულია პრინციპი, რომ „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე.“ რომლის მიხედვითაც, სტატუტის მე-7 თავში მოცემულია სასჯელები, რაც სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კომისიის 1994 წლის პროექტისაგან განსხვავებით, სტატუტმა უბრალოდ მითითება კი არ გააკეთა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებულ სასჯელთა სისტემაზე, მაგალითად, იმ სახელმწიფოს სანქციათა სისტემაზე, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დანაშაული, არამედ თვითონ შექმნა მუხლები სანქციების შესახებ. სტატუტის მე-5 მუხელში მოცემულ დანაშაულთათვის ეროვნული კანონმდებლობით ალბათ სხვაგვარად აღწერილ დანაშაულის შემადგენლობებსა და მათ სანქციებზე მითითებას შეეძლო გამოეწვია სიძნელეები. შესაძლებელია, რომ იქ მოცემული სანქციები სრულიად არაადეკვატური ყოფილიყო ან ისეთი სასჯელები გათვალისწინებულიყო, რომლის გამოყენებაც საერთაშორისო სასამართლოს

არ შეუძლია (სიკვდილით დასჯა ან სხეულებრივი სასჯელები). ამან გამოიწვია ის, რომ თვით სტატუტში ჩამოყალიბებულიყო ის სასჯელები, რასაც სასამართლო გამოიყენებს.

რომის სტატუტის 77-ე მუხლი ითვალისწინებს, როგორც ძირითად სასჯელს, თავისუფლების აღკვეთას 30 წლამდე ვადით. ეს უმაღლესი სასჯელის ღონისძიება შეიძლება გადაცილებული იქნეს გამონაკლის შემთხვევაში და გამოყენებულ იქნეს უვადო თავისუფლების აღკვეთა, თუ ეს გამართლებულია დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმითა და დამნაშავეს პიროვნული თვისებებით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფლებამოსილია, თავდაპირველად შეფარდებული სასჯელის ღონისძიება, სასჯელის მოხდის 23-ის გავლის შემდეგ, უვადო თავისუფლების აღკვეთის დროს 25 წლის გავლის შემდეგ და ამ დროიდან რეგულარული მონაკვეთებით, გადასინჯოს (რომის სტატუტის 110-ე მუხლი). როგორც დამატებითი სასჯელის ღონისძიება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა. ეს ქონება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცეს ქონების მართვის სპეციალურ ფონდს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მსხვერპლის და მისი ახლობლების სასარგებლოდ.

ფონდი ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიქმნა და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით იმართება.

საერთაშორისო სასამართლო სასჯელს ადგენს რომის სტატუტის 78-ე მუხლში მოცემული საფუძვლებით. სტატუტის მე-80 მუხლი განსაზღვრავს, რომ სტატუტის მე-7 თავს არა აქვს ზეგავლენა ეროვნული სამართლის მიხედვით გათვალისწინებული სასჯელების და სასჯელის სახეების გამოყენებაზე. ამიტომ არც არავითარი ვალდებულება არ არსებობს მისი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ასახვისა.

საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის მიხედვით, კოდექსში მოცემული რომის სტატუტის შესაბამისი დანაშაულები ეკუთვნის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ განზრახ ქმედებებს, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით.

11.8 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან ბათავისუფლება

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ წამახალისებელი ნორმები, რომლებშიც მოცემულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (მე-13 თავი) და სასჯელისაგან (მე-14 თავი) გათავისუფლების სახეები, საფუძვლები და წესი.

არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემდეგი საფუძვლები: ქმედითი მონაწილეობა (სსკ-ის 68-ე მუხლი), დაზარალებულთან შერიგება (სსკ-ის 69-ე მუხლი), ვითარების შეცვლა (სსკ-ის 70-ე მუხლი), საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობა (სსკ-ის 70¹-ე მუხლი), ხანდაზმულობის ვადის გახვლა (სსკ-ის 71-ე მუხლი).

სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები კი შემდეგია: სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება (სსკ-ის 72-ე მუხლი), სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (სსკ-ის 73-ე მუხლი), სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო (სსკ-ის 74-ე მუხლი), ორსული ქალის და მცირეწლოვანი შვილის დედის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება (სსკ-ის 75-ე მუხლი), სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო (სსკ-ის 76-ე მუხლი).

ამნისტიის, შეწყალებისა და ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების შესახებ მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 თავში (სსკ-ის 77-79-ე მუხლები).

მაგალითად, სსკ-ის 69-ე მუხლი ითვალისწინებს გარკვეული პირობების არსებობისას დაზარალებულთან შერიგებას. ასეთი ქმედებისათვის მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთას. გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი ძველი კოდექსი (მუხლი 108-ე) ითვალისწინებდა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მაშინ, როდესაც დღეს მოქმედი კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის ითვალისწინებს ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მაშასადამე, ახალი კოდექსის 69-ე მუხლი (დაზარალებულთან შერიგება) ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, რადგან ახალი კოდექსით ამ ქმედებისათვის დაწესებული მაქსიმალური სასჯელი სამ წელზე მეტია.

დანაშაულის პირველად ჩადენა, სსკ-ის 68-ე და 69-ე მუხლებისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, ნიშნავს არა მარტო პირველ ნასამართლობას, არამედ იმ შემთხვევასაც, როცა პირს ახალი დანაშაულის ჩადენის დროს წარსული ნასამართლობა უკვე მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს.

დღეს მოქმედი კოდექსის 79-ე მუხლი (“ნასამართლობა”) თავისი შინაარსით განსხვავდება ძველი კოდექსის 57-ე მუხლისაგან. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებულ წესს დანაშაულის რეციდივის დროს. კერძოდ, თუ პირი ნასამართლობის გაქარწყლებამდე ჩაიდენდა ახალ დანაშაულს, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის დინება წყდებოდა. პირველი დანაშაულისათვის ნასამართლობის ვადა ხელახლა გამოითვლებოდა

უკანასკნელი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ. ძველი კოდექსის 57-ე მუხლში მოცემული ეს წესი არ არის გათვალისწინებული ახალი კოდექსით, ე.ი. ყველა დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა დამოუკიდებლად გამოითვლება.

სსკ-ის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ 3/4, მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ 2/3, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებული უვადო თავისუფლების მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 25 წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

11.9 ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა

2004 წლის 13 თებერვლის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა სპეციალური 64¹-ე თავი: „საპროცესო შეთანხმება“. შემდგომში ამ თავმა გარკვეული ცვლილებები განიცადა.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სიახლეა ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. მისი სამშობლოა ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემა. იგი შეზღუდული ფორმით ასევე გამოიყენება კონტინენტალური ევროპის სამართლებრივი სივრცეში.

საპროცესო შეთანხმების დროს განაჩენის გამოტანა ხდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

საპროცესო შეთანხმების დროს ხდება: ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმება.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი მატერიალურ სისხლის სამართლის კოდექსშიც. კერძოდ, მე-13 თავს დაემატა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების კიდევ ერთი საფუძველი: ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა (სსკ-ის 70¹-ე მუხლი).

ამ ნორმის თანახმად, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირების) ვინაობა და მისი (მათი)

უშუალო ხელშეწყობით ხდება ამ დანაშაულის გახსნისათვის არებითი პირობების შექმნა, სასამართლო უფლებამოსილია, სრულად გაათავისუფლოს ბრალდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

კანონის ეს მუხლი გამოიყენება საპროცესო კოდექსის 64¹-ე თავთან ერთობლიობაში. იმისათვის, რომ მოსამართლემ პირი გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო, საჭიროა, საპროცესო შეთანხმების იმ პროცედურის შესრულება, რომელიც მოცემულია საპროცესო კოდექსში. კერძოდ, პროკურატურამ სასამართლოს უნდა მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულთან და მის ადვოკატთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე.

საპროცესო კოდექსის 679⁹-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ მთავარი პროკურორი არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან სრულად გაათავისუფლების მოთხოვნით. დანარჩენ შემთხვევებში კი, თუ პროკურატურა არ ითხოვს ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულ გაათავისუფლებას, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს პროკურორს იმ პირობის დაცვით, რომ იგი დადებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან წინასწარი შეთანხმებით.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოების შესახებ: სისხლის სამართლის კოდექსის 70¹-ე მუხლის საფუძველზე ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრული გაათავისუფლება არ ნიშნავს მისი დაზარალებულის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგანაც გაათავისუფლებას. საპროცესო შეთანხმების დადების დროს, გამომდინარე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679¹-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილებიდან, ცალკე უნდა გადაწყდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, გენერალური პროკურორი ან მისი მოადგილე უფლებამოსილია, ბრალდებულს შეუთანხმდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლების თაობაზე. ამ შემთხვევაში სამოქალაქო ზიანის ანაზღაურება ეკისრება სახელმწიფოს.

სასამართლო არ არის ვალდებული, დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება მხარეებს შორის, მათ შორის, მას შეუძლია, მიუხედავად მთავარი პროკურორის შუამდგომლობისა, ბრალდებული არ გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის მოტივით. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი მოცემულია საპროცესო კოდექსის 64¹-ე თავში.

გარდა ამისა, შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით განსაზღვრული წესი საპროცესო შეთანხმების დროს სასჯე-

ლის განსაზღვრის თაობაზე. თუ პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, სასამართლოს მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია, დანიშნოს ჩადენილი ქმედებისათვის სანქციით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი. ასევე, მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირობითი მსჯავრი, თანაც ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისათვის (სს.კ-ის 63-ე მუხლი).

11.10 ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობა

უენვის კონვენციები და პირველი დამატებითი ოქმი არ შეიცავენ ნორმას, რომელიც შეეხება ომის დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობას.

კონვენცია ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობის შესახებ თარიღდება 1968 წლის 26 ნოემბრით (საქართველომ რატიფიკაცია მოახდინა 1995 წლის 31 მარტს). ამ კონვენციის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს უნდა დაეწესებინა ომის დანაშაულისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევებზე ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობა.

რომის სტატუტის 29-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა, ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, სტატუტის საფუძველზე უსიტყვოდ იღებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. ამ გზით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია მოქმედებას გააგრძელებს ეროვნული კანონმდებლობით ხანდაზმულობის ვადების გასვლის შემდეგაც. ამიტომ, სახელმწიფომ, რომელსაც სურს თვითონ განიხილოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი საქმეები, უნდა შეცვალოს თავისი კანონმდებლობა იმ შემთხვევაში, თუ ის ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადებს ამ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ორი სახის ხანდაზმულობას:

1. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა (სს.კ-ის მუხლი 71-ე) და

2. გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობა (სსკ-ის მუხლი 76-ე).

ორივე შემთხვევაში კანონმა გამოიყენა ასეთი ფორმულირება: „ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

11.11 არასრულწლოვან დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებაანი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 და მე-17 თავებში მოცემულია 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებანი, არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის ცალკეული სახეები და მათი დანიშვნის წესი, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ცალკეული საფუძვლები, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები და დანიშვნის წესი.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე წარმოების პროცესუალური თავისებურებანი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე თავში.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსი დღეისათვის აღარ ითვალისწინებს ფსიქიკურად დაავადებულთათვის სამედიცინო ხასიათის სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, რადგან იგი ამოღებულ იქნა 2007 წლის 3 ივლისის კანონით, მაგრამ ითვალისწინებს არასრულწლოვნებისათვის იძულებითი ღონისძიებების შეფარდებას, რაც სისხლის სამართალში სანქციათა ორკვალიანი სისტემის გამოხატულებაა.

არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. არასრულწლოვან დამნაშავეს სასჯელის სახით შეიძლება დაენიშნოს:

1. ჯარიმა. მისი მინიმალური ოდენობა იყო 5 დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმალური - 200 დღიური ანაზღაურება. სასჯელთა შეკრებისას ჯარიმის ოდენობა არ უნდა ყოფილიყო 400 დღიურ ანაზღაურებაზე მეტი. არასრულწლოვანს ჯარიმა ენიშნებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მას ჰქონდა დამოუკიდებელი ხელფასი ან ქონება.

2007 წლის 4 ივლისის კანონით, დღეისათვის სრულწლოვანსა და არასრულწლოვანს შორის ჯარიმის დანიშვნის დროს არ არის განსხვავება.

2. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1-დან 3 წლამდე ვადით.

3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 40-დან 320 საათამდე ვადით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფრო მეტი ვადითაც. 14-დან 15 წლამდე არასრულწლოვნისათვის იგი დღეში არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს, ხოლო 15-დან 18 წლამდე ასაკში - ექვს საათს.

4. გამასწორებელი სამუშაო ორი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

5. თავისუფლების შეზღუდვა ოთხ წლამდე ვადით.

6. ტუსადობა. 2003 წლის 20 ივნისის კანონით სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, ის გამოიყენებოდა ასევე მამრობითი სქესის იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებსაც განაჩენის გამოტანისათვის შეუსრულდათ 16 წელი.

7. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. არასრულწლოვანს 14-დან 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის ენიშნება თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 10 წლის ვადით, ხოლო არასრულწლოვანს 16-დან 18 წლამდე ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე ვადით, რაც მოქმედი კოდექსის სიახლეს წარმოადგენს.

უვადო თავისუფლების აღკვეთა არ ენიშნება პირს, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი.

არასრულწლოვანს, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება დაუნიშნოს შემდეგი სახის აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები:

1. გაფრთხილება;

2. სახედამხედველოდ გადაცემა;

3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება;

4. ქცევის შეზღუდვა;

5. სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე თავში მოცემულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეების წარმოების პროცესუალური თავისებურებანი. ასე მაგალითად, საპროცესო კოდექსის 647-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანი ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა ტარდება დამცველის სავალდებულო მონაწილეობით. ასევე დაკითხვას უნდა ესწრებოდეს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი ან პედაგოგი.

12 კაზუსის ამოხსნისა და დამუშავების მეთოდი სისხლის სამართალში

12.1 დასკვნის სტილი

12.1.1 საქმის ფაბულა

სისხლის სამართლის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომ სტუდენტმა შეძლოს ამოხსნას და დაასაბუთოს კონკრეტული კაზუსები (შემთხვევები) სამართლებრივი დასკვნის ფორმით. დასკვნის სტილი განსხვავდება განაჩენის სტილისაგან იმით, რომ დასკვნაში თავდაპირველად უნდა დააყენო ჰიპოთეზა, ვარაუდი, იმის შესახებ, რომ პირმა შესაძლებელია, ჩაიდინა, მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით. შემდეგ უნდა მოხდეს ამ ჰიპოთეზის დასაბუთება, ხოლო ბოლოს დანასკვის ფორმით უნდა დადგინდეს, რომ პირმა ან ჩაიდინა დასაწყისში ჰიპოთეზის სახით დასახელებული დანაშაული ან არ ჩაუდენია იგი. დასკვნაში გადასვლა სხვა კვალიფიკაციაზე არ შეიძლება, არამედ, დაყენებული ჰიპოთეზის უარყოფის შემთხვევაში, ხელახლა უნდა მოხდეს ახალი ჰიპოთეზის წამოყენება და დასაბუთება. მაგალითად, თუ დადგინდა, რომ პირს არ ჩაუდენია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ამის შემდეგ შეიძლება ახალი ვერსია იქნეს წამოყენებული იმის შესახებ, რომ პირს ხომ არ ჩაუდენია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით.

კაზუსის ამოხსნის დროს თავდაპირველად უნდა მოხდეს ტექსტის რამდენჯერმე ყურადღებით წაკითხვა. ფაქტობრივი გარემოებები მიღებული უნდა იქნეს როგორც დადგენილი, პროცესუალურ-სამართლებრივი პრობლემების დაყენების გარეშე. მაგალითად, არ არის მნიშვნელოვანი, თუ რა მტკიცებულებებით დასტურდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ასევე კაზუსის ამოხსნისა და დამუშავების დროს არ შეიძლება მისი შინაარსის შეცვლა. თუ კაზუსში არ არის დაკონკრეტებული ესა თუ ის გარემოება, იგულისხმება, რომ სახეზეა ნორმალური შემთხვევა. მაგალითად, თუ მითითებული არ არის პირის ასაკი ან ყურადღება არ არის გამახვილებული მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, იგულისხმება, რომ ქმედების ჩადენის დროს ის იყო სრულწლოვანი და ფსიქიკურად ჯანმრთელი. ფაბულის ბუნდოვნების დროს უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზეა ნორმალური შემთხვევა, რადგან ატიპიური მომენტები ფაბულაში ნათლად უნდა იყოს მითითებული.

ხშირად კაზუსში მითითებულია ისეთ გარემოებებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებათ კაზუსის ამოხსნისა

და დასაბუთების დროს, მაგრამ კაზუსის ავტორი ფიქრობს, რომ ამ გარემოებაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით დააბნოს არამყარი ცოდნის მქონე სტუდენტი. მაგალითად, ხშირად შეიძლება ასაკზე, მოქალაქეობაზე, დანაშაულის ჩადენის ადგილზე მითითებას არ ჰქონდეს არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა კონკრეტულ შემთხვევაში კაზუსის ამოხსნის დროს, მაგრამ მაინც მითითებული იყოს ფაბულაში. პირიქით, ზოგჯერ შეიძლება ამათუიმ კონკრეტულ სიტყვას ან წინადადებას ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა კაზუსის ამოხსნისა და სწორი დასკვნის ჩამოყალიბებისათვის. მაგალითად, 17 წლის ჩიბურდანიძემ დაამყარა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწევად გოგონასთან. ამ შემთხვევაში სსკ-ის 140-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია დამნაშავის ასაკი (მისი სრულწლოვანება). ამიტომ კაზუსის ამოხსნისა და დასაბუთების დროს ერთ-ერთი ფუძემდებლური მოთხოვნაა არა მარტო ფაბულის გულდასმით და დეტალურად შესწავლა, არამედ ასევე კანონის ტექსტის გულდასმით გადაკითხვა, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველმა შეიძლება ზედმიწევნით კარგად იცოდეს კანონის ტექსტი.

სწორედ ამიტომ, კოლოქვიუმის დროს, როცა სტუდენტი ამზადებს წერილობით დასკვნას კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს კოდექსი. უფრო მეტიც, მას ევალება ჰქონდეს კანონის აქტუალური ვერსია ცვლილებებითა და დამატებებით. თუ სტუდენტი შეცდომას დაუშვებს იმის გამო, რომ მან არ გამოიყენა კანონის ტექსტის აქტუალური ვერსია, ეს შეცდომა მას არ ეთვლება საპატიოდ.

12.1.2 დასკვნის შედგენა

კოლოქვიუმისა თუ საშინაო დავალების შესრულება უნდა მოხდეს დასკვნის შედგენის ფორმით. დასკვნაში განხილული უნდა იყოს კაზუსში მოცემული ფაბულისათვის მნიშვნელოვანი ყველა სამართლებრივი პრობლემა. დასკვნამ მის გამსწორებელსა და მკითხველს უნდა მისცეს შესაძლებლობა, სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას მოცემული საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე და ამოხსნის ვარიანტებზე, ისე რომ მას არ დასჭირდეს დამატებითი საშუალებების გამოყენება. დასკვნა მეთოდურად ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ის იძლეოდეს სრულყოფილ სურათს ამოხსნის სხვადასხვა ვარიანტებზე და უნდა დასაბუთებდეს ამოხსნის იმ ვარიანტის უპირატესობას და კანონთან შესაბამისობას, რომელსაც დასკვნის ავტორი დაეყრდნო. ასე, მაგალითად, როდესაც კაზუსი ეხება შეცდომას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებაზე (ე.წ. მოჩვენებითი მოგერიება) კაზუსის ამოხსნის დროს ავტორს შეუძლია ყურადღება გაამახვი-

ლოს სხვადასხვა თეორიებზე: ჯერ იგი ეხება ე.წ. განზრახვის თეორიას, შემდეგ ე.წ. ბრალის თანმიმდევრულ თეორიას, ხოლო ბოლოს ეხება ე.წ. ბრალის შეზღუდულ თეორიას. ამ წიგნში ჩამოყალიბებული კონცეფციის მიხედვით, ის თავის პოზიციას აყალიბებს ამ უკანასკნელის მიხედვით, მიიჩნევს რა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან სწორედ ბრალის შეზღუდული თეორია გამოდინარეობს. ის ავტორები კი, რომლებიც ჩათვლიან, რომ ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში განზრახვის თეორიას ან ბრალის თანმიმდევრულ თეორიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, შეეცდებიან, თავიანთი პოზიცია სწორედ ამ თეორიებით დაასაბუთონ.

დასკვნის ავტორი შეიძლება სწორ დანასაკვამდე მივიდეს არასწორი დასაბუთების გზით. ასეთ შემთხვევაში მის მიერ შედგენილი დასკვნა ჩაითვლება არასწორად. ასევეა განაჩენის დროსაც, რომელიც განსხვავებულია დასკვნის სტილისაგან. განაჩენი უნდა იყოს არა მარტო კანონიერი, არამედ სწორად დასაბუთებულიც.

ასე, მაგალითად, თუ დასკვნის ავტორი მოჩვენებითი მოგერიების დროს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას დაასაბუთებს იმით, რომ მისი მოქმედება უნდა ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად (სსკ-ის 28-ე მუხლი), მის მიერ კაზუსის ამოხსნა ჩაითვლება არასწორად დასაბუთებულად, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში მის მიერ გაკეთებული დანასაკვი იმის შესახებ, რომ პირს არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეიძლება სწორი იყოს. ამ შემთხვევაში, დასკვნის ავტორს მოეთხოვება არა მარტო ის, რომ სწორი პასუხი გასცეს კაზუსში დასმულ შეკითხვას, არამედ სწორად უნდა დაასაბუთოს იგი. არგუმენტი იმის შესახებ, რომ პირს მოჩვენებითი მოგერიების დროს, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მასზე განხორციელებული თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტურად საშიში, არამედ მიზნად ისახავდა მის მხოლოდ შეშინებას, არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად ქმედების აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად შესაფასებლად. სწორი დასაბუთება იქნება ის, რომ ასეთი ქმედება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, ხოლო ბრალის ეტაპზე მოხდეს განზრახვის მესამე კომპონენტის (მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით) გამორიცხვა, ხოლო გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის საკითხის იმის მიხედვით გადაწყვეტა, თუ რამდენად იყო დაშვებული შეცდომის თავიდან აცილება შესაძლებელი. ამდენად, დასკვნის ავტორმა: დასაბუთებათა მთელ არგუმენტაციას უნდა მოუხმოს ბრალის ეტაპზე, ხოლო მართლწინააღმდეგობის გამომრიცხვის თაობაზე გაკეთებული მთელი არგუმენტაცია იქნება ფუჭი და არასწორი.

დასკვნაში არ უნდა იქნეს გამოყენებული პირველი პირის ფორმა, არამედ გრამატიკულად ნეიტრალურ ფორმაში უნდა იყოს გადმოცემული.

დასკვნაში დანასკვი ყოველთვის მხოლოდ ბოლოში უნდა იყოს მოცემული. მაშინ, როცა არსებობს შუალედური დანასკვებიც, დასკვნა ნაშრომის ბოლოში კიდევ ერთხელ უნდა შეიცავდეს ყველა დანასკვის თვალსაჩინო წარმოდგენას. არასწორია დასკვნის ის სტილი, როცა კაზუსის ამოხსნის დასაწყისშივე იქნება მოცემული დანასკვი, თუ რა დანაშაული ჩაიდინა პირმა და ამის შემდეგ იქნება გაკეთებული დასაბუთება. პირიქით, დასკვნის დასაწყისში უნდა ეწეროს ის, რომ „შესაძლებელია“, რომელიც შემდეგში უნდა იქნეს დასაბუთებული, ხოლო საბოლოოდ კაზუსის ამოხსნის დასაწყისში გამოთქმულ ვარაუდზე უნდა გაეცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. მაგალითად, ავტორის მიერ კაზუსის დასაწყისში დაყენებული პიპოთეზა იმის შესახებ, რომ *გიორგაძემ* შესაძლებელია, ჩაიდინა განზრახი მკვლელობა ჩხუბის ნიადაგზე (სსკ-ის 108-ე მუხლი), კაზუსის ამოხსნის დანასკვში შეიძლება დადასტურდეს სიტყვებით: ამრიგად, *გიორგაძემ* ჩაიდინა განზრახი მკვლელობა ჩხუბის ნიადაგზე (სსკ-ის 108-ე მუხლი) ან მოხდეს მისი უარყოფა, რადგან დასაბუთების დროს გამოვლინდა, რომ იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში (მართლწინააღმდეგობის ეტაპი) ან ქმედება ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში (ბრალის ეტაპი).

დაუშვებელია კაზუსის ამოხსნის დროს უმართლობის ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლა. მაგალითად, თუ კაზუსის ამოხსნის დროს გამოვლინდა, რომ არ არის ჩადენილი განზრახი მკვლელობა, არ შეიძლება დასკვნის ბოლოს ეწეროს, რომ ჩადენილია სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, არამედ კაზუსის ამოხსნა განზრახი დანაშაულის სქემით უნდა დამთავრდეს უარყოფითი დანასკვით, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს გაუფრთხილებლობის ახალი სქემით იგივე კაზუსის ამოხსნა, რომელიც ბოლოში შეიძლება ასევე დამთავრდეს დადებითი ან უარყოფითი შედეგით.

დასკვნის სტილისაგან განსხვავდება ე.წ. განაჩენის სტილი. განაჩენში თავდაპირველად იწერება მოსამართლის მიერ საქმის ზეპირი მოსმენითა და არსებითი განხილვით, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის გზით (ასეთია საქმის სასამართლო განხილვის ზოგადი წესი, რომელსაც აქვს გამონაკლისები) უკვე მოპოვებული შედეგი. იგი ავტომატურად წინ უძღვის დასაბუთებას და სწორედ ამის შემდეგ უნდა მოხდეს აღწერილობითი ნაწილისა და დასაბუთების ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 512-ე მუხლი ადგენს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბრუნდება სასამართლო სხდომის დარბაზში და აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს, ხოლო მთლიანი განაჩენის საბოლოო ტექსტის შედგენამდე მას ეძლევა დამატებით რამდენიმე დღე (იხ. იქვე 514-ე მუხლი).

განაჩენისაგან განსხვავებით, დასკვნაში ავტორი კორექტორსა და მკითხველს არწმუნებს პოზიციის სისწორეში, რომ ამოხსნა სწო-

რია. ამ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა განსხვავებული ალტერნატიული შეხედულებების მითითება.

12.1.3 ჰიპოთეზა (მთავარი წინადადება)

კაზუსის ამოხსნა ყოველთვის იწყება ჰიპოთეზით, რომელშიც დასმული იქნება კონკრეტული პრობლემა. ეს წინადადება ყოველთვის უნდა იყოს კონდიციური ანუ კავშირებით ფორმაში ჩამოყალიბებული, მაგალითად, შემდეგი სახით: შესაძლებელია, პეტრიაშვილისთვის თავში ნაჯახის ჩარტყმით ჩიბურღანიძემ ჩაიღინა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობა. არასწორია ამ პირველი მთავარი წინადადების ფაბულასთან დაკავშირების გარეშე ფორმულირება, მაგალითად, კერძო ნაწილის მხოლოდ აბსტრაქტულ ნორმაზე მითითებით. მთავარ წინადადებას აქვს ის აზრი, რომ მკითხველი ზუსტად გებულობს, ფაბულის თუ რომელი ნაწილი იქნება აქ კონკრეტულად გამოკვლეული. მას აქვს მიმართულების მიცემის დანიშნულება, განსაკუთრებით იმ კაზუსში, რომელიც არის რამდენიმე ეპიზოდური ან რამდენიმე სუბიექტური. მთავარი წინადადება უნდა იყოს ლაკონური და ადვილად გასაგები. არასწორია ამ ჰიპოთეტური მთავარი წინადადებების ნაცვლად კითხვითი წინადადებების გამოყენება, თუმცა ამ გზითაც შეიძლება იგივე მიზნის მიღწევა.

დანაშაულის ცალკეული ელემენტების ანალიზის დროს ზოგიერთ მომენტს ნაკლები ყურადღება ექცევა, თუ ის არ არის პრობლემური, ხოლო იქ, სადაც განსაკუთრებული პრობლემა წარმოიშობა, საკითხის ანალიზს უფრო დიდი დრო ეთმობა. მაგალითად, ერთ კაზუსში შეიძლება პრობლემური იყოს მიზეზობრიობისა და ობიექტური შერაცხვის პრობლემა, ხოლო მეორეში განზრახვისა და მასთან დაკავშირებული შეცდომის სხვადასხვა სახის ერთმანეთისაგან გამიჯვნა იყოს აქტუალური. ასევე, ზოგჯერ შეიძლება, პრობლემა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის ეტაპზე წარმოიშვას. განსაკუთრებული ყურადღება სწორედ იმ მომენტს ექცევა, სადაც ამა თუ იმ პრობლემის აქტუალობა იჩენს თავს. შედარებით არაპრობლემატურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება მარტივი სტანდარტული წინადადებებით ხდება, მაგალითად, ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო, რადგან ფაბულიდან გამომდინარე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება არ არის სახეზე.

დასაბუთების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებებში ან სამეცნიერო და პრაქტიკულ ლიტერატურაში მოცემული პოზიციები. ასევე შეიძლება, გამოყენებული იქნეს დეფინიციები, მაგალითად, თუ რას ნიშნავს მიზეზობრიობის პირობათა თეორია: *conditio-sine-qua-non*.

12.1.4 სუბსუმცია

სუბსუმცია ნიშნავს კაზუსის ფაბულაში მოცემული დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების ნიშნების კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის სამართლებრივი ნიშნებისადმი შესაბამისობის დადგენას (სუბსუმირება).

სისხლისსამართლებრივ დასკვნაში კაზუსის ამოხსნა უნდა მოხდეს ე.წ. დასკვნის სტილში. ცალკეული ნიშნების შემოწმება ხდება სუბსუმციის გზით. ეს ეხება როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშნებს, ასევე დანაშაულის სისტემაში შემაჯავალ ყველა დანარჩენ ნიშანს, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ან სამართლებრივი შეცდომის ნიშნებს.

დანაშაულის ფაბულაში მოცემული თითოეული ნიშნის (მაგალითად, „ნივთი“ ან „სხვისი“ ქურდობის დროს) სუბსუმცია უნდა მოხდეს *ოთხ* ეტაპად:

(1) სუბსუმციის მთავარი წინადადება აყენებს ჰიპოთეზას, სადაც უნდა იქნეს დაყენებული პრობლემა (მაგალითად, ძროხა არის თუ არა ნივთი);

(2) აბსტრაქტული სამართლებრივი ნიშანი უნდა იქნეს დეფინირებული;

(3) კონკრეტული ფაქტობრივი ნიშანი მოთავსებულ უნდა იქნება დეფინიციის ქვეშ;

(4) კონკრეტული ფაქტობრივი ნიშანი სუბსუმირებულ უნდა იქნეს შემადგენლობის ნიშნის ქვეშ (შედგვი).

მაგალითად, ჩიბურდანიძემ სოფელ გამარჯვებაში თავის მეზობელს მოუწამლა შინაური ცხოველები, რამდენიმე სული ძროხა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მას (ფაბულა). უნდა გადაწყდეს ჩიბურდანიძის დასჯადობის საკითხი (გადასაწყვეტი ამოცანა). ჩიბურდანიძემ შესაძლებელია, ჩაიღინა სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან მან დახოცა მეზობლის შინაური ცხოველები (შემთხვევის შემოწმების პირველი მთავარი ჰიპოთეტური წინადადება). ამ შემთხვევის გამო, შედეგად უნდა მოხდეს სსკ-ის 187-ე მუხლის ქმედების შემადგენლობის ნიშნების ზემოთ მოცემული წესით სუბსუმირება.

12.1.5 ქმედების შემადგენლობის ცალკეული ნიშნების სუბსუმცია

1. ქმედების შემადგენლობის ნიშანი „ნივთი“

(1) დასადგენია, არის თუ არა მეზობლის შინაური ცხოველი (ძროხა) ნივთი (პრობლემის მთავარი წინადადება);

(2) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის მიხედვით, ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. კოდექსი მხოლოდ უძრავი ნივთების ცნებას იძლევა (149-ე მუხლი) და აღგენს, რომ მოძრავად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი, რომელიც არ ითვლება უძრავად. აღიარებულია, რომ ნივთის შესახებ დებულებები ცხოველებზე შესაბამისად გამოიყენება (ნიშნის დეფინიცია);

(3) მეზობლის ძროხა არის ნივთი (ნიშნის მოქცევა დეფინიციის ქვეშ);

(4) აქედან გამომდინარე, ძროხა სუბსუმირებულ უნდა იქნეს როგორც ნივთი სსკ-ის 187-ე მუხლის მიზნებისათვის (შედეგი).

2. ქმედების უმმაღბენლობის ნიშანი „სხვისი“

(1) დასადგენია, არის თუ არა მეზობლის შინაური ცხოველი (ძროხა) სხვისი ნივთი (პრობლემის მთავარი წინადადება);

(2) სხვისი - არის ნივთი, თუ ის ეკუთვნის არა ქმედების ჩამდენს, არამედ სხვას, მათ შორის ოჯახის წევრს (ნიშნის დეფინიცია);

(3) ძროხა არის მეზობლის (ნიშნის მოქცევა დეფინიციის ქვეშ);

(4) აქედან გამომდინარე, ძროხა სუბსუმირებულ უნდა იქნეს, როგორც სხვისი სსკ-ის 187-ე მუხლის მიზნებისათვის, რადგან იგი მეზობლის საკუთრების ქვეშ არის და ამიტომ არ არის ჩიბურდანიძის (შედეგი).

3. ქმედების უმმაღბენლობის ნიშანი „განადგურება“

(1) დასადგენია, იქნა თუ არა მეზობლის ძროხა ჩიბურდანიძის მიერ განადგურებული (პრობლემის მთავარი წინადადება);

(2) განადგურებული არის ნივთი სსკ-ის 187-ე მუხლის მნიშვნელობით, თუ შეუძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება (ნიშნის დეფინიცია);

(3) ძროხა მოწამლულ იქნა ჩიბურდანიძის მიერ. მკვდარი ძროხის სხეულს არა აქვს მეპატრონისათვის სათანადო ღირებულება და სარგებლობა (ნიშნის მოქცევა დეფინიციის ქვეშ);

(4) აქედან გამომდინარე, ძროხის მდგომარეობა სუბსუმირებულ უნდა იქნეს, როგორც „განადგურებული“ სსკ-ის 187-ე მუხლის მიზნებისათვის, რადგან იგი მოკლულ იქნა ჩიბურდანიძის მიერ (შედეგი).

მეთოდურად არ არის მიზანშეწონილი, რომ მოხდეს უმმაღბენლობის ყველა ნიშნის ერთდროულად სუბსუმცია, არამედ ეს უნდა მოხდეს ცალ-ცალკე.

მაშასადამე, დანაშაულის თითოეული ნიშნის სისხლისსამართლებრივი შემოწმება ხდება სუბსუმციის გზით. სუბსუმცია კი ხდება შემდეგ ოთხ საფეხურად:

(1) პრობლემის მთავარი წინადადების დაყენება;

(2) აბსტრაქტული სამართლებრივი ნიშნის დეფინიცია;

(3) კონკრეტული გარემოების დეფინიციის ქვეშ მოქცევა;

(4) კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივი ნიშნის ქვეშ სუბსუმცია.

12.1.6 სუბსუმცია და სამართლებრივი პრობლემა

შემთხვევის ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება წარმოდგენილი სუბსუმციის მეთოდით. ასევე სამართლებრივი პრობლემებისა და აზრთა სხვადასხვაობების განხილვაც ხდება ამ მოდელის ფარგლებში. ტიპური სიძნელეები წარმოდგენილ ოთხნაბიჯიან სუბსუმციის ტექნიკაში მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად აბსტრაქტული სამართლებრივი ნიშნის დეფინიცია სადავოა. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს ეს სამართლებრივი პრობლემა, სანამ მესამე და მეოთხე განხორციელდება.

შინაარსობრივად სწორი სამართლებრივი დეფინიციის ჩამოყალიბება არის არგუმენტაციული პრობლემა, რომელიც კაზუსის თითოეულმა დამმუშავებელმა დასკვნის სტილში არგუმენტაციის ზოგადი წესებით უნდა გადაწყვიტოს.

დასკვნის სტილი არის ობიექტური და დიდაქტიკური. კაზუსის ამოხსნის დროს კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე შეძლებისდაგვარად კარგად უნდა იქნეს წარმოდგენილი სამართლებრივ-დოგმატიკური პრობლემები და დისკუსიები და არგუმენტირებულად გადაწყვეტილი.

კაზუსში დასმული ნებისმიერი სამართლებრივი პრობლემა და აზრთა დისკუსია წარმოდგენილ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ამ კონკრეტულ შემთხვევასთან კავშირში. არ არის რეკომენდებული, მაგალითად, განზრახვის დასაბუთების დროს ასევე გაუფრთხილებლობაზე დისკუსიის გამართვა, თუ სახეზეა განზრახვის ისეთი შემთხვევა, რომელიც დავას არ იწვევს. მაგალითად, ჩიბურდანიძემ შურისძიების ნიადაგზე დანაშაულის მსხვერპლს გულმკერდისა და მუცლის არეში მიაყენა თორმეტი ჭრილობა. იმ შემთხვევაში კი, როცა კაზუსში მოცემული ფაბულა გვიჩვენებს, რომ ქმედება ჩადენილ იქნა ისეთ ვითარებაში, რომელიც ევენტუალური განზრახვისა და თვითმედონების მიჯნაზე დგას, ასეთ შემთხვევაში განზრახვა-გაუფრთხილებლობის ურთიერთგამიჯვნაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია. ასევე, როცა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, როცა საქმე ეხება აუცილებელ მოგერიებას, არ არის მიზანშეწონილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა გარემოებებზე მსჯელობა. იმ შემთხვევაში კი, როცა კაზუსი ეძღვნება მოჩვენებით მოგერიებას, საჭიროა აუცილებელი მოგერიებისაგან მისი გამიჯვნა და იმის დასაბუთება, თუ რატომ არ არის პირის ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი.

პრობლემის გარშემო აზრთა სხვადასხვაობის არსებობის დროს, ავტორმა ჯერ უნდა წარმოადგინოს ის პოზიციები, რომლებსაც ის

არ ეთანხმება. ბოლოს წარმოდგენილ უნდა იქნეს ავტორის მიერ მოწონებული პოზიცია, რომელსაც ის დაეყრდნობა თავისი პოზიციის დასაბუთების დროს.

თუ ავტორი არ ეთანხმება გაბატონებულ თუ უმცირესობის პოზიციას ან სასამართლო პრაქტიკაში მიღებულ შეხედულებას, ასეთ შემთხვევაში მან თავისი პოზიცია არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთოს. ავტორის დასაბუთებული პოზიცია ყოველთვის მისასალმებელია, თუმცა არ არის მისაღები, როცა ავტორი კაზუსს ხსნის ან ასაბუთებს არასწორად, ხოლო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ამტკიცებს, რომ ეს მისი პოზიციაა, მისი აზრია. არ შეიძლება შეცდომის იმით გამართლება, რომ ავტორი ასე ფიქრობს. განსხვავებული განსაკუთრებული პოზიცია მხოლოდ მაშინ ფასდება დადებითად, როცა კაზუსის ამოხსნისა და დასაბუთების დროს გამოვლინდება ავტორის მიერ იმ მასალის ცოდნაც, რომელსაც ის არ ეთანხმება და უარყოფს.

კაზუსის ამოხსნის დროს დასკვნაში ზოგიერთი უფრო მძიმე უმართლობა გადაფარავს მსუბუქ უმართლობას და მასზე სპეციალურად არ ხდება მსჯელობა. ეს შეესაბამება სამართლებრივ პრაქტიკაში არსებულ მდგომარეობასაც. ეს საკითხი ასე წყდება საბრალდებო დასკვნასა და განაჩენშიც. მაგალითად, მკვლელობის ან ყაჩაღობის შემადგენლობა გადაფარავს სსკ-ის 160-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას („ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა“). სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი, როცა საქმე ეხება ქურდობისა და სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება-განადგურების შემადგენლობას, როცა ბინაში შესვლა ხდება კარის დამტვრევით ან სიგნალიზაციის სისტემის დაზიანებით. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ორმაგი კვალიფიკაცია (სსკ-ის 177-ე და 187-ე მუხლებით). იმ შემთხვევაში კი, თუ ყაჩაღობას მსხვერპლის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა მოჰყვა, არ გამოიყენება გადაფარვის წესი: საქმე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობასთან, რომელიც დაკვალიფიცირდება ყაჩაღობისა და სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის მუხლებით.

12.1.7 კაზუსის ამოხსნის ბასათვალისწინებელი საკითხები

კაზუსის ამოხსნის დროს ავტორი მეთოდოლოგიურად უნდა გამოვიდეს იმ მოსაზრებიდან, რომ მხოლოდ კანონის ტექსტის ცოდნა არ არის საკმარისი კაზუსის ამოსახსნელად. ავტორი შორს უნდა იყოს იმ აზრისგან, რომ სამართალი შედგება (ან უნდა შედგებოდეს!) მხოლოდ კანონის მუხლებისაგან და ყველა სამართლებრივ კითხვაზე პასუხი შეიძლება ამოიკითხო (ან უნდა იკითხებოდეს!) მხოლოდ კანონში. ამით, კაზუსის ამოხსნას უნდა მივუღვეთ იმ პოზიციიდან,

რომ სისხლის სამართალში შემთხვევის ამოხსნა და დასაბუთება, მართალია, უნდა ეფუძნებოდეს პოზიტიურ სამართალს, მაგრამ კანონის ახსნა-განმარტება უნდა მოხდეს „მეთოდური პლურალიზმის“ საფუძველზე.

სისხლის სამართალში კაზუსის ამოხსნის დროს ავტორმა, კანონის ტექსტის გამოყენებასთან ერთად, უნდა გამოიყენოს ნორმის ინტერპრეტაცია. იქ, სადაც კანონი საკითხს ზუსტად არ არეგულირებს, უნდა შეეძლოს კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპის გამოყენება. როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო სამართალში გამოიყენება ანალოგია ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის დაკისრებისა და მისგან გათავისუფლების საკითხების განხილვის დროს, ავტორმა უნდა გამოიყენოს სამოსამართლო სამართლის საფუძველები. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ამომწურავად არ იძლევა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა კატალოგს. კაზუსის ამოხსნის დროს ავტორმა უნდა შეეძლოს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებათა გამოყენება.

კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა იძლევა შესაძლებლობას, რომ სტუდენტმა აითვისოს სისხლისსამართლებრივი სისტემური აზროვნება, განსაკუთრებით დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა, რომელსაც ჯერ კიდევ პროფესორი თინათინ წერეთელი უჭერდა მხარს თავის სამეცნიერო ნაშრომებში. სისტემის („დანაშაულის აგების სქემის“) ცოდნა სტუდენტს ეხმარება კონკრეტული შემთხვევის ამოხსნა-დამუშავებაში. მას ეძლევა შესაძლებლობა, კონკრეტულ შემთხვევას პასუხი გასცეს არა ინტუიციით, არამედ იქიდან გამომდინარე, რომ იცის, თუ რომელ პრობლემას რა ადგილი მიუჩინოს სისტემაში. ამით მას აქვს ფორმულა, რომლითაც შეუძლია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევას ადვილად მოუძებნოს გასაღები და სწორად და დასაბუთებულად გასცეს პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებს.

მაშასადამე, სწავლების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული უნდა იქნეს ინდუქციური მეთოდი. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დამუშავდეს შემთხვევები (კაზუსები) და შესწავლილი იქნეს მათი სწორი ახსნა, ე.ი. მოხდეს სისხლის სამართლის ე.წ. ინდუქციური ანალიზი. ამ მეთოდს აქვს ის უპირატესობა, რომ შეუძლია განსაკუთრებული თვალსაჩინოებით წარმოაჩინოს პრობლემატიკა და შეიმუშავოს შემთხვევის ამოხსნის გონივრული ტექნიკა. იგი წარმოადგენს კარგ დიდაქტიკურ ინსტრუმენტს საკითხის მარტივად ასათვისებლად, რაც განსაკუთრებით სჭირდება სისხლის სამართლის შემსწავლელ სტუდენტს. ამდენად, შემთხვევის დამუშავების მეთოდი სრულიად აუცილებელია და აუცილებელია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის შესასწავლად, ამიტომ იგი საფუძველად უნდა დაე-

დოს საუნივერსიტეტო სწავლებას სისხლისსამართლებრივ პრობლემატიკაში. თუმცა, უფრო გვიანი იურიდიული პრაქტიკაც „შემთხვევების“ ამოხსნას წარმოადგენს. ამიტომ ძნელია, სწორად გადაწყვიტოს კონკრეტული პრაქტიკული შემთხვევები, თუ სტუდენტი სალექციო თუ სასემინარო მუშაობის დროს კარგად არ შეისწავლის სისხლისსამართლებრივი შემთხვევის სუბსუმციის ტექნიკას და წერითი გამოცდის თუ საშინაო დავალების სახით არ ამოხსნის და დაასაბუთებს კონკრეტულ შემთხვევებს.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სასწავლო კურსის გავლის დროს სტუდენტებმა უნდა ისწავლონ სისხლისსამართლებრივი სისტემური აზროვნება, რომელიც შემთხვევის ამოხსნას შეძლებს და დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენას მოახდენს შემდეგი ლოგიკური თანმიმდევრობით:

- ქმედების შემადგენლობა;
- მართლწინააღმდეგობა;
- ბრალი.

გარდა კონკრეტული შემთხვევის ამოხსნის ტექნიკის დაუფლებისა, სტუდენტმა უნდა მიიღოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ცნებებისა და ინსტიტუტების კარგი თეორიული ცოდნა. მაშასადამე, საქმე ეხება სისხლის სამართლის დოგმატიკის შესწავლას. აუცილებელია არა მარტო სწორი (კანონიერი) გადაწყვეტილების მიღება, არამედ აზროვნებისა და განაჩენის ისეთი კატეგორიების შინაარსში სრულყოფილი წვდომა, როგორიცაა ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი, თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და ა.შ. მათი ცალკეულ შემთხვევებში სწორად დასაბუთებულ გამოყენებას მიყვაროთ იქითკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ყველა იურისტის მიერ ანალოგიური შემთხვევის შეძლებისდაგვარად ერთნაირად ამოხსნა, რათა ამით მიღწეულ იქნეს სამართლის გამოყენების რაციონალურობა.

კახუის ამოხსნისა და დასაბუთების დროს ავტორმა არ უნდა დაუშვას შეცდომა და ბრალის არსებობის შემოწმებისა და დადგენის საკითხი ქმედების მართლწინააღმდეგობის შემოწმებისა და დადგენის წინ არ უნდა დააყენოს. ის, რომ დანაშაულის სისტემაში მართლწინააღმდეგობა ბრალის წინ დგას, არის უმნიშვნელოვანესი წესი. მართლწინააღმდეგობა არის ქმედების ობიექტური წინააღმდეგობა მართლწესრიგისადმი, ბრალი კი კონკრეტული პირის ინდივიდუალური გასაკიცხაობაა, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როცა დადგინდება, რომ ქმედება ობიექტურად ეწინააღმდეგება სამართლისა და კულტურის ნორმებს.

დანაშაულის სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების საფუძვლიანი ცოდნა შესაძლებლობას იძლევა, თითოეული ცალკეული პრობლემა პრაქტიკაში, რაზედაც ორიენტირებულია მთელი საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება, ლოგიკურად თანმიმდევრულად და შინაარსობრივად სწორად იქნეს ამოხსნილი და დამუშავებული.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მასალის ინდუქციური მეთოდის გამოყენებით შესწავლა სტუდენტს და შემდგომ პრაქტიკოს იურისტს დაეხმარება სისტემური ცოდნიდან დედუქციური დასკვნების გაკეთებაში.

კაზუსის ამოხსნის პროცესში შეძლებისდაგვარად გამოყენებული უნდა იქნეს სასამართლო პრაქტიკა სისხლის სამართლის პრობლემატიკაზე. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი სტუდენტს დაეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში და შესაძლებლობას მისცემს აქ მიღებული ცოდნა უფრო მაღალ კურსებზე გამოიყენოს.

სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა-განათლებისა და უნარ-ჩვევების შემოწმება წერიითი ნაშრომის (კოლოქიუმისა) და საშინაო დავალების ფორმით, კაზუსის (შემთხვევის) ამოხსნისა და დასაბუთების მეთოდის გამოყენებით, იურიდიული განათლების პროცესში აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში. იგი არც ქართული იურიდიული განათლებისათვის არის უცხო და მიუღებელი, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის სასწავლო კურსის შესწავლისა და მიღებული ცოდნის შემოწმებისას.

12.1.8 დასკვნის ჩამოყალიბების (აბეგის) ტიპები

ნებისმიერი დასკვნის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს წინასწარ მოცემული დანაშაულის სამსაფეხურიანი (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი) სისტემის მიხედვით. მაშასადამე, კაზუსის ამოხსნის ზოგადი სტრუქტურა თავიდანვე არის განსაზღვრული.

ამ სტრუქტურის შიგნით მთლიანობაში არსებობს კაზუსის (შემთხვევის) ამოხსნის ოთხი ძირითადი ტიპი:

(1) ძრონოლოგიური თანმიმდევრობით

იგი ორიენტირებულია ფაბულაში მოცემულ დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის დროზე. ფაბულაში მოცემული ორი ან მეტი ქმედების დალაგება ხდება დროის თანმიმდევრობით. ის შემთხვევა, რომელიც უფრო ადრე მოხდა, იქნება უფრო ადრე შემოწმებული, ვიდრე ის, რომელიც დროში უფრო გვიან იქნა ჩადენილი. ამ ტიპს აქვს თავისი უპირატესობები, მაგრამ ასევე პრობლემები. მისი გამოყენება ხელსაყრელია, როცა სახეზეა ერთნაირი სიმძიმის შემთხვევები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა სიმძიმის უმართლობასთან გვაქვს საქმე, მაშინ უფრო მცირე მნიშვნელობის უმართლობის შემოწმება მოხდება უფრო მძიმე უმართლობის წინ, მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ჩადენა დროში წინ უსწრებდა უფრო მძიმე უმართლობის ჩადენას. არ არის სასურველი, რომ ქურდობის შემოწმება უფრო ადრე მოხდეს, ვიდრე მკვლელობის, თუ ისინი არ წარმოადგენენ ქმედებათა

კომპლექსს, როცა უფრო მცირე უმართლობის დადგენა ხელს უწყობს უფრო დიდი უმართლობის ამოხსნას.

(2) კონსონანტიანი თანმიმდევრობით

ეს ტიპი მისაღებია იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩადენილია თანაბმსრულებლობითა და თანამონაწილეობის ფორმით. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებისა გამო, ამსრულებლის მოქმედების შემოწმება უნდა მოხდეს თანამონაწილის მოქმედების შემოწმებამდე, რადგან ეს უკანასკნელი მასზეა დამოკიდებული.

(3) უმართლობის სიმძიმის მიხედვით

ამ ტიპს აქვს ის უპირატესობა, რომ უმართლობათა კლასიფიკაცია ხდება სიმძიმის მიხედვით და სამართლებრივად უფრო მნიშვნელოვანი მძიმე უმართლობები უფრო ადრე იქნება გაანალიზებული, ვიდრე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი.

(4) ძველებათა კომპლექსის მიხედვით

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფაბულასთან, რომელიც მოიცავს ორ ან მეტ დამოუკიდებელ კომპლექსს. ისინი ცალ-ცალკე განიხილება და, შესაბამისად, ამ დამოუკიდებელი კომპლექსების შიგნით გამოიყენება კაზუსის ამოხსნის სხვა ზემოდასახელებული ტიპებიც. იგი დიდაქტიურად თვალსაჩინოდ წარმოაჩენს რთული კაზუსის მთლიან შინაარსს, ამიტომ ხშირად გამოიყენება მრავალეპიზოდური კაზუსებში.

12.2 კაზუსის ამოხსნის ნიმუშები

წარმოვიდგინოთ წერითი გამოცდის ფორმით შესრულებული კაზუსის ამოხსნის ნიმუშები. იმ შემთხვევაში, თუ კაზუსის ამოხსნა ხდება აუდიტორიაში, არ არის შესაძლებელი და საჭირო სქოლიოების გაკეთება.

**(1) კაზუსი მიზნობრიობაზე, ობიექტურ
შეზღუდვაზე და ბანზორახვაზე**

ჩხუბის დროს ა.-მ ო.-ს დანით მიაყენა რამდენიმე დაზიანება გულ-მკერდისა და მუცლის არეში, რის შედეგადაც იგი, დარწმუნებული იმაში, რომ ო. გარდაიცვალა, გაიქცა შემთხვევის ადგილიდან და მივიდა სახლში, სადაც მეგობარი ბ. დახვდა. მან მეგობარს უთხრა, რომ ო.-ს სიცოცხლე მოუსპო, რადგან მან ეს დაიმსახურა. ამის შემდეგ ორივენი მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, რათა დანაშაულის კვალი მოესპოთ. ა. დარჩა გარეთ, ხოლო მეგობარი შევიდა ბინაში, სადაც ნახა, რომ იქაურობა მთლიანად სისხლით იყო დასველები, ხოლო ო. უგონო მდგომარეობაში ეგდო იატაკზე. მეგობარმა იფიქრა, რომ მსხვერპლი შესაძლებელია, ცოცხალი ყოფილიყო, რაშიც იგი არ შემცდარა. მეგობარმა უგონო მდგომარეობაში მყოფ ო.-ს თავში ბოთ-

ლი ჩაარტყა, რათა საბოლოოდ გაეხსნა ანგარიში მომაკედავი-
სათვის. ამის შემდეგ გადაწყვიტა გეამის გადაგდება, მაგრამ შეეშინდა,
არ შეემჩნიათ, რის გამოც შემთხვევის ადგილი დატოვა.

ექსპერტის დასკვნით, სასიკვდილო შედეგი დადგა ან თავში
ბოთლის ჩარტყმით, რომელმაც ა.-ს მოქმედებით მიყენებული მსხვერ-
პლის სიკვდილი დაახქარა, ან ამ დარტყმის შემდეგ თავდაპირველი
დანით მიყენებული ჭრილობებისაგან.

ჩაიძინეს თუ არა ა.-მ და ბ.-მ განზრახი მკვლელობა, რაც
გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით?

ამოხსნა:

I ბ.-ს დასჯადობა ო.-ს დამთავრებული მკვლელობი-
სათვის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით

ბ.-მ ო.-ს თავში ბოთლის ჩარტყმით შესაძლებელია, ჩაიძინა დამთავრე-
ბული განზრახი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე
მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) ქმედება

ბ.-ს მიერ ჩადენილ იქნა ქმედება, გამოხატული მოქმედებაში. მო-
ქმედება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არის ადამიანის
ნებისაგან მომდინარე და მისი ნების ბატონობის ქვეშ მოქცეული ან
მოქცევადი სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა - აქტიური მოქმედება
ან უმოქმედება (მოქმედების სოციალური თეორია).

თავში ბოთლის ჩარტყმა წარმოადგენდა აქტიურ მოქმედებას,
რომელიც ბ.-ს ნების ბატონობის ქვეშ იყო. მაშასადამე, სისხლისსა-
მართლებრივი მნიშვნელობით მოქმედება სახეზეა.

ბ) შედეგი

აუცილებელია სსკ-ის 108-ე მუხლის ქმედების შემადგენლობით
გათვალისწინებული შედეგის დადგომა. მკვლელობის ქმედების შე-
მადგენლობის შესაბამისი შედეგი არის სხვა ადამიანის სიკვდილი.
ო. მართლაც მოკვდა. ამით 108-ე მუხლის ქმედების შემადგენლობის
შედეგი სახეზეა.

გ) მიზეზობრიობა

სადავოა, თავში ბოთლის ჩარტყმა იყო თუ არა ო.-ს სიკვდილის
გამომწვევი შედეგი, მაშასადამე, იყო თუ არა ამ შედეგთან მიზეზო-
ბრივ კავშირში. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დადგინდეს
მიზეზობრივი კავშირი, ლიტერატურაში იწვევს აზრთა სხვადასხ-
ვაობას.

(ა) მიზეზობრიობის პირობათა თეორია

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს *conditio-sine-qua-non*-ფორმულით.

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენდა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

ამ ფორმულის მიხედვით, საეჭვოა, ბ.-მ გამოიწვია თუ არა ო.-ს სიკვდილი. თუ ბ.-ს მიერ ბოთლის თავში ჩარტყმას ყურადღება არ მიექცევა, მაშინ არ არის უეჭველად დადგენილი, რომ ო. მეტხანს იცოცხლებდა.

ექსპერტიზამ ზუსტად ვერ დაადგინა, რომ სასიკვდილო შედეგის კონკრეტულ დროს დადგომა განაპირობა მხოლოდ დანით მიყენებულმა ჭრილობებმა თუ დარტყმით მიყენებულმა დაზიანებებმა.

მოკვლა ნიშნავს ბუნებრივი სიცოცხლის შემოკლებას. ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპიდან (*in dubio pro reo*) გამომდინარე, ბრალდებულის დასჯა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ სასამართლო მის ამსრულებლობაში დარწმუნებულია. თუ ამ შემთხვევაში წარმოიშვა ეჭვი, მაშინ მოსამართლემ უნდა მიიღოს განსასჯელის სასარგებლო გადაწყვეტილება.

შესაბამისად, ამ პრინციპის გამოყენებით, ბ.-ს სასარგებლოდ უნდა იქნეს გადაწყვეტილი, რომ წყლის ბოთლის ჩარტყმას ო.-ს სიკვდილის დადგომა არ დაუჩქარებია.

ბ.-ს საზიანოდ ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან თავში ბოთლის ჩარტყმით, რამაც შუბლი გაუხეთქა ო.-ს, სიკვდილის პროცესი თავისი კონკრეტული ფორმით შეცვალა: მარტო იმის ვარაუდი, რომ ო., თუ ბ.-ს მიერ ბოთლის თავში ჩარტყმას ყურადღება არ მიექცევა, შუბლის გახეთქვის გარეშე შეიძლებოდა არ მომკვდარიყო, არ იძლევა შესაძლებლობას, მისი მოქმედება ჩაითვალოს შედეგთან მიზეზობრივი კავშირში და დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობა. ამდენად, *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით, არ არსებობს ბ.-ს მოქმედების მიზეზობრივი კავშირი ო.-ს სასიკვდილო შედეგთან.

(ბ) მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ

ამ თეორიის მიხედვით, პირობა სისხლის სამართლის თვალსაზრისით არის მიზეზობრივი, თუ ის წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც კონკრეტულ შედეგში ფაქტიურად იქნა რეალიზებული. ამ პროცესში დგინდება, მოქმედება და შედეგი არის თუ არა ბუნებრივი კანონზომიერებით ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს თეორია იმით საბუთდება, რომ მიზეზობრიობის შეფასების დროს იმაზე უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული, მოქმედება და შედეგი ჩვეულებებისამებრ ერთმანეთთან კანონზომიერ ურთიერთობაში არის თუ არა, რადგან მიზეზობრივი კავშირი კონკრეტულ შემთხვევაში ხშირად ძნელი დასამტკიცებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, ბ.-ს სასარგებლოდ უნდა ითქვას, მისი დარტყმა არ იყო ეფექტის გამომწვევი. ამიტომ არ შეიძლება ასევე კანონზომიერი კავშირი ბ.-ს დარტყმასა და ო.-ს სიკვდილს შორის უტყუარად იქნეს მიჩნეული. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვითაც, ბ.-ს მოქმედება არ იყო კაუზალური შედეგისათვის.

(გ) შუალედური პოზიცია

ვინაიდან ორივე თეორია ერთი და იგივე შედეგამდე მივიდა, შემდგომი თეორიული დისკუსია არ არის საჭირო, ამიტომ აქვე შეიძლება პიპოთეზაში დასმულ საკითხე დანახკვი იქნეს გაკეთებული.

2. დასკვნა

ბ.-ს მოქმედება არ არის დასჯადი ო.-ს დამთავრებული მკვლელობისათვის სსკ-ის 108-ე მუხლით

II ა.-ს დასჯადობა ო.-ს დამთავრებული მკვლელობისათვის საძარტველოს სსკ-ის 108-ე მუხლით

ა.-მ დანით გულმკერდისა და მუცლის არეში რამდენიმე დაზიანების მიყენებით შესაძლებელია, ჩაიდინა ო.-ს დამთავრებული განზრახვი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

(1) ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) ქმედება

ასევე ა.-ს მიერ ჩადენილ იქნა ქმედება, გამოხატული მოქმედებაში. გულმკერდისა და მუცლის არეში დანის დარტყმა წარმოადგენს აქტიურ მოქმედებას, რომელიც ა.-ს ნების ბატონობის ქვეშ იყო. მაშასადამე, მოქმედება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით მისი მხრიდანაც სახეზეა.

ბ) შედეგი

სსკ-ის 108-ე მუხლის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი - სხვა ადამიანის სიკვდილი სახეზეა: ო. მოკვდა.

გ) მიზეზობრიობა

დასადგენია, კონკრეტული შედეგი - ო.-ს სიკვდილი იყო თუ არა გამოწვეული ა.-ს მოქმედებით, მაშასადამე, იყო თუ არა დანით მიყენებული ჭრილობები დამდგარ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში.

(ა) მიზეზობრიობის პირობათა თეორია

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს *conditio-sine-qua-non*-ფორმულის გამოყენებით. უნდა გაირკვეს, ა.-ს მიერ მიყენებული ჭრილობა წარმოადგენდა თუ არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებ-

ული შედეგის აუცილებელ პირობას, რომლის გარეშეც ო.-ს სიკვდილი არ განხორციელდებოდა.

არ იქნება სწორი იმის მტკიცება, რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენის დროს ა.-ს მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი და ამით მიზეზობრივი კავშირი გამორიცხული. მართლაც, საეჭვოა და უდავოდ არ დგინდება, ბ.-ს მოქმედებით დაჩქარდა თუ არა ო.-ს სიკვდილი. მიუხედავად ამისა, პოზიციას ა.-ს მოქმედების შედეგთან მიზეზობრივი კავშირის უარყოფის შესახებ არ შეიძლება დაეთანხმო. მიზეზობრიობის პირობათა თეორიის მიხედვით, ყველა პირობა არის თანაბარმნიშვნელოვანი, რომელმაც წვლილი შეიტანა შედეგის დადგომაში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ა.-ს სასარგებლოდ მიჩნეული იქნება, რომ ბ.-ს მიერ ბოთლის ჩარტყმამ ო.-ს სიცოცხლე შეამოკლა. ამ ვითარებაშიც შედეგის დადგომა წარმოუდგენელია ა.-ს წინარე მოქმედებების გარეშე; რომ არა ა.-ს მიერ ო.-ს დანით დაზიანება და დატოვება და ბ.-სთან მისვლა, ისე ბ. არ მივიდოდა ო.-სთან, რათა მისთვის ბოთლით სასიკვდილო დაზიანებები მიეყენებინა. მიზეზობრივი არის პირის ქმედება იმ შემთხვევაშიც, როცა მოგვიანებით მოქმედი მესამე პირი იგივე შედეგზე ორიენტირებული მოქმედებით განზრახ მის დადგომაში წვლილს შეიტანს, თუ მისი ქმედება დაკავშირებულია ჩადენილ წინარე მოქმედებასთან, მაშასადამე, თუ წინარე მოქმედება მისი ჩადენის წინაპირობაა. მაშასადამე, *conditio-sine-qua-non*-ფორმულის გამოყენებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ა.-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

(ბ) მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ

ასევე მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ შედეგის გამომწვევ ყველა პირობას მიიჩნევს თანაბარმნიშვნელობის მქონეს. ა.-ს ქმედება წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც კონკრეტულ შედეგში – ო.-ს სიკვდილში ფაქტიურად იქნა რეალიზებული. მაშასადამე, კანონზომიერი კავშირი ა.-ს მიერ დანის დარტყმასა და ო.-ს სიკვდილს შორის შესაძლებელია, უტყუარად იქნეს მიჩნეული. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვითაც, ა.-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან.

(გ) შუალედური პოზიცია

ვინაიდან ორივე თეორია ერთი და იგივე შედეგამდე მივიდა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ა.-ს მოქმედება დამდგარი შედეგისათვის კაუზალურია.

დ) ობიექტური შერაცხვა

დასადგენია, შეერაცხება თუ არა ა.-ს დამდგარი შედეგი – ო.-ს სიკვდილი ობიექტურადაც. ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი შედეგი პირს ობიექტურად შეერაცხება მაშინ, თუ მან ამ მოქმედებით შექმნა ან აამაღლა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე, რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზ-

ირებული. შედეგის შერაცხვა, რაც გამოიხატა საფრთხის რეალიზაციაში, შეიძლება აქ ორი თვალსაზრისით იქნეს საკამათო.

(ა) მიზეზობრიობის ატიპიური განვითარება
მიზეზობრივი კავშირის ატიპიური განვითარების შედეგად დამდგარი შედეგი პირს ობიექტურად არ შეერაცხება.

ო.-ს სასიკვდილო შედეგისაკენ მიმართული მიზეზობრივი კავშირი არ განვითარებულა ისე უჩვეულოდ, რომ შეუძლებელი იყოს მისი ა.-სთვის შერაცხვა. ობიექტური შერაცხვა ამ შემთხვევაში არ შეიძლება გამოირიცხოს ატიპიური კაუზალობის შედეგად.

(ბ) მესამე პირის მხრიდან მოვლენათა განვითარებაში საკუთარი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ჩარევა

ა.-სათვის შედეგის ობიექტურად შერაცხვა შესაძლებელია იმის გამო გამოირიცხოს, რომ ბ. განზრახ ჩაერთო მოვლენათა განვითარებაში. პირველი დამზიანებლის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, მთავრდება იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი თავისი პასუხისმგებლობით ახალ, დამოუკიდებელი შედეგის დადგომისაკენ მიმართულ საფრთხეს დააფუძნებს, რომელიც შემდეგ მარტო მისი მოქმედებით გამოწვეულ შედეგში იქნება რეალიზირებული. მოვლენათა განვითარებაში მესამე პირის ჩართვის მიუხედავად, წინარე მოქმედების ჩამდენი პირისათვის ობიექტური შერაცხვა გამონაკლისის სახით იმ შემთხვევაშია დასაბუთებული, თუ მის მიერ შედეგის დადგომისაკენ მიმართული თავდაპირველად წარმოშობილი მიზეზი არსებითად კვლავაც მოქმედებს. მესამე პირის ქმედება ამ შემთხვევაში სპეციფიკურად თავდაპირველ საფრთხესთან უნდა იყოს კავშირში, რომ თავდაპირველი საფრთხის მნიშვნელობა ნორმატიულად ტიპურად იქნეს დასაბუთებული. მაშასადამე, საქმე ეხება იმას, მოვლენათა განვითარებაში ჩართული მესამე პირის ქმედება პირველი ქმედების ჩამდენის მიერ მიზეზობრიობის წარმოქმნასთან ქმედების შემადგენლობის ადეკვატურად არის თუ არა კავშირში. ერთი შეხედვით, თითქოს დაუშვებელი ჩანს, ბ.-ს მიერ ო.-ს მკვლელობაში დაინახო აგრეთვე ა.-ს მიერ შექმნილი საფრთხის რეალიზაცია. მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის კვალის მოსასპობად ჩართული, პირველი მოქმედების ჩამდენ პირთან დაახლოებული ნდობით აღჭურვილი პირი თავს ა.-ს სამსახურში აყენებს და თავდაპირველ მოქმედ პირს სასურველ შედეგს საიმედოდ უქცევს და ამით იმავდროულად ადკვეთავს, რომ მსხვერპლმა მამხილებელი ჩვენებები არ მისცეს. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადგილი არ ჰქონია ბ.-ს მიერ შერაცხვის კავშირის გაწყვეტას ა.-სთან, ვინაიდან ო.-ს სიკვდილში ასევე რეალიზებულ იქნა ა.-ს მიერ დაფუძნებული საფრთხეც.

(გ) შუალედური პოზიცია
მაშასადამე, არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც ა.-ს ო.-ს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება.

(2) ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

შესაძლოა, ა.-მ იმოქმედა განზრახ.

განზრახვა არის ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობა საქმის ობიექტური შემადგენლობის ყველა გარემოების ცოდნით. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს პირი მაშინ, როცა იგი ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომას აღიქვამს, როგორც მისი ქმედების მიზანს. ა.-მ იმიტომ დაარტყა დანა ო.-ს, რათა იგი მოეკლა. ამდენად იგი მოქმედებდა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით.

იმავედროულად შესაძლებელია, ა.ს განზრახვა გამოირიცხოს იმ არგუმენტზე მითითებით, რომ განზრახვას ეკუთვნის ყველა ობიექტური გარემოების ცოდნა, მათ შორის, მიზეზობრივი კავშირის განვითარების ცოდნა მის მნიშვნელოვან მომენტებში. მიზეზობრივი კავშირის განვითარების თაობაზე პირის წარმოდგენის შესახებ არსებობს სხვადასხვა პოზიციები.

(ა) უმცირესობის შეხედულება

უმცირესობის შეხედულების მიხედვით, პირის განზრახვა ეჭვგარეშეა, როცა მოვლენათა ფაქტური განვითარების გადახრა პირის წარმოდგენაში არსებულთან შედარებით არ არის მნიშვნელოვანი და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებშია. ეს პოზიცია და სასამართლო პრაქტიკა ამ პრობლემატიკას ადგენს განზრახვის ეტაპზე, მაგრამ სუბიექტური შერაცხვის მასშტაბად იყენებს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც აყენებენ ობიექტური შერაცხვის თეორიის მხადამჭერები, კერძოდ, შემთხვევათა იმ ჯგუფში, რომელსაც ჰქვია „მოვლენათა ატიპიური მიზეზობრიობა“. შეიძლება დავასკვნათ, რომ კაზუსში მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, მოვლენათა განვითარებაში გადახრები ჯერ კიდევ ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებშია და ქმედების არავითარი სხვა სამართლებრივი შეფასება, ვიდრე განზრახი მოქმედება, არ იქნებოდა გამართლებული.

(ბ) გაბატონებული შეხედულება

გაბატონებული შეხედულება მხარს უჭერს იმ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც, ერთმანეთისაგან არის გამოიჯნული მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში მნიშვნელოვანი და უნიშვნელო გადახრები. იგი წინა შეხედულებისაგან განსხვავდება იმით, რომ არაადეკვატური გადახრები უკვე ობიექტური შერაცხვის ფარგლებში განზრახვად მათავრებულ დანაშაულს გამოირიცხავენ, რადგან შედეგის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება. არგუმენტაცია შეიძლება იყოს ის, რომ ა.-ს პირველი მოქმედების გარეშე არ შეიძლებოდა დამდაგარიყო ბ.-ს მიერ ო.-ს სიკვდილი. ასე, რომ ა.-მ თავისი თავი აქცია შედეგის დადგომის იარაღად. მაშასადამე, ა.-ს შედეგი შეერაცხება ობიექტურად, შესაბამისად, მან განახორციელა ქმედების დამთავრებული განზრახი შემადგენლობა.

(გ) ე.წ. მცდელობის მოდელი

ავტორთა მცირე ჯგუფი ასეთი შემთხვევებისათვის უარყოფს ა.-ს განზრახვას („*dolus generalis*”) და ამით მისი მხრიდან დამთავრებული დანაშაულის ჩადენას. პირმა პირველი მოქმედებით თავისი გეგმა მკვლელობის თაობაზე ვერ აღასრულა, არამედ მიაღწია მცდელობის სტადიას. მეორე მოქმედების დროს (ამ შემთხვევაში ბ.-ს მიერ ო.-სათვის ბოთლის თავში ჩარტყმა) მას არა აქვს ქმედების შემაღგენლობის ნიშანი („სხვა ადამიანის სიცოცხლე”) შეცნობილი, რადგან იგი ფიქრობდა, რომ იგი მკვდარი იყო და ბ.-ს მიერ მისი გვამი იქნებოდა გადაგდებული.

ამ შეხედულების მიხედვით, ა.-ს არ ჩაუდენია განზრახი მკვლელობა, რადგან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გადახრას მიზეზობრიობის განვითარებაში. იგივე შედეგამდე მიდის ის თეორია, რომელიც ფიქრობს, რომ საკმარისია მოვლენათა განვითარების აბსტრაქტული წინასწარგანჭვრეტა, რომ პირს შეცნობილი ჰქონდა შედეგის დადგომის რისკი, რომელიც შემდეგში რეალობად იქცა.

(დ) შუალედური პოზიცია

როგორც უმცირესობის პოზიცია, რომელიც სასამართლო პრაქტიკაშიც ნაწილობრივ გამოიყენება, ასევე გაბატონებულ შეხედულებას, აქვს თავისი არგუმენტები. ამასთან, ეს არგუმენტები განზრახვის სფეროში არ არის დამაჯერებელი.

ვინაიდან ა. დარწმუნებული იყო, რომ ბ. მივიდა უკვე მკვდარ ო.-ს სახლში, მას შეგნებული არ ჰქონდა რისკი, რომელიც საბოლოოდ იქნა რეალიზებული. მას ბ.-ს მიერ შესრულებული მეორე მოქმედების დროს არ ჰქონდა განზრახვა, არამედ იგი უშვებდა ქმედების შემაღგენლობის შეცდომას. მაშასადამე, იგი მოქმედებდა განზრახვის გარეშე.

2. დასკვნა

ასევე ა.-ს მოქმედება არ არის დასჯადი ო.-ს დამთავრებული მკვლელობისათვის სსკ-ის 108-ე მუხლით.

III საბოლოო დასკვნა

მაშასადამე, როგორც ა.-ს, ასევე ბ.-ს არ ჩაუდენია ო.-ს დამთავრებული განზრახი მკვლელობა, რაც დასჯადია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.

(შენიშვნა: კახუის ამოხსნა ამ ეტაპზე მთავრდება იმის გამო, რომ ამოცანის შეკითხვა იყო: ჩაიდინეს თუ არა ა.-მ და ბ.-მ დამთავრებული განზრახი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.

კახუის უნდა დამთავრდეს ჰიპოთეზაში დაყენებული წინადადების დადასტურებით ან უარყოფით. არ შეიძლება კახუის შეკითხვა იყოს ერთი და დასკვნაში პასუხი სხვა, თუნდაც საბოლოოდ სწორი.

გამომცდელს აინტერესებს სწორედ იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც მან დასვა, რის გამოც მეთოდურად არ არის გამართლებული კაზუსის ამოხსნის გაგრძელება. ამიტომ, კაზუსის ამოხსნის დროს ყოველთვის კარგად უნდა გავიგოთ, თუ რას გვეკითხება იგი. რომ არა თვით ამ კაზუსის შეკითხვაში ასეთი შეზღუდვა, მისი ამოხსნა გაგრძელდებოდა ახალი ჰიპოთეზის (ჰიპოთეზების) დაყენებითა და დასაბუთებით, სანამ საბოლოო შედეგი არ დადგინდებოდა.

მაგალითად, ახალი ჰიპოთეზა:

„ბ.-მ ო.-ს თავში ბოთლის ჩარტყმით შესაძლებელია, ჩაიღინა განზრახი მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით“; ან

„ა.-მ დანით გულმკერდისა და მუცლის არეში რამდენიმე დაზიანების მიყენებით შესაძლებელია, ჩაიღინა ო.-ს განზრახი მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით“.

ასეთი ჰიპოთეზების დასაბუთება უნდა მოხდეს დანაშაულის მცდელობის სქემის გამოყენებით).

(2) კაზუსი მოჩვენებით მობეზრებულზე

გვიან ღამით მუხიანის დასახლებაში ახობაძეს მიუახლოვდა ნიღაბფარებული ბიჭი იარაღით ხელში და მოსთხოვა მას ფული. იგი სინამდვილეში მისი მეგობარი იყო და ახობაძის მხოლოდ შეშინება უნდოდა. ახობაძეს ეგონა, რომ იგი რეალური თავდამსხმელი იყო და მოგერიების მიზნით, გულმკერდის არეში დანის დარტყმით სიცოცხლე მოუსპო მისი წარმოდგენით თავდამსხმელს. მან არ იცოდა, რომ ეს პიროვნება მასზე რეალურ თავდასხმას არ ახორციელებდა და მხოლოდ მის შეშინებას ისახავდა მიზნად.

დასჯადია თუ არა ახობაძის მოქმედება?

ამოხსნა

პირველი ჰიპოთეზა:

შესაძლებელია, ახობაძემ მეგობრისათვის გულმკერდის არეში დანის დარტყმით განახორციელა განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.

I ქმედების შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობა მოიცავს ქმედების ობიექტურ და ქმედების სუბიექტურ ნიშნებს, ვინაიდან ახობაძის მოქმედებით დადგა სასიკვდილო შედეგი კაზუსის ამოხსნას ვიწყებთ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხილვით.

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების ობიექტური შემადგენლობა მოიცავს: ქმედების სუბიექტს, ქმედებას, ქმედების ობიექტს, ქმედების შედეგს, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ობიექტურ შერაცხვასა და ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტურ ნიშნებს. განვიხილოთ ეს ნიშნები:

(ა) ქმედების სუბიექტი ამ შემთხვევაში არის ახობაძე.

(ბ) ქმედება – ზოგადი ცნებაა და, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას. ახობაძემ დანის დარტყმით განახორციელა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში, *თინათინ წერეთლის* მიერ, განმარტებულია, როგორც ადამიანის შეგნებული და მიზანსწრაფული შემოქმედება მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე. (ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მოქმედების სოციალური ცნების გამოყენებაც).

(გ) ქმედების ობიექტია ადამიანი, რომლის *სიცოცხლე* სისხლის სამართლის კანონით დაცულ ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს.

(დ) შედეგი – ამ კაზუსში შედეგი გამოიხატა ახობაძის მეგობრის სიკვდილში. გამომდინარე აქედან, განხორციელდა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ადამიანის მოქმედებით გამოწვეულ ცვლილებას გარესამყაროში.

(ე) მიზეზობრივი კავშირი – *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არის მაშინ, როდესაც პირობის აზრობრივ გამორიცხვას შედეგის გამორიცხვაც მოსდევს. აქედან გამომდინარე, ახობაძის ქმედების აზრობრივი გამორიცხვით გამოირიცხება მისი მეგობრის სიკვდილიც, ამიტომ ახობაძის ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

(ვ) გარდა ამისა, ახობაძეს ქმედება ობიექტურად უნდა შეერაცხოს, ვინაიდან, მან შექმნა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე, რომელიც კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზებული, კერძოდ, მეგობრის სიკვდილში. ამიტომ, მას მეგობრის სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს მკელელობის განზრახ ჩადენას. განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნასა და ნებელობას. ახობაძემ იცოდა, რომ იგი ადამიანს კლავდა და სურდა ამ ქმედების განხორციელება. რაც შეეხება, განზრახვის მესამე კომპონენტს - მარ-

თელწინააღმდეგობის შეგნებას, მას ბრალის ეტაპზე ვადგენთ, რადგან „მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით” ბრალის ნიშანია.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, განზრახვა აღარ წარმოადგენს ბრალის ფორმას. იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და ნებელობის სახით (ბუნებრივი განზრახვა), ხოლო, რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომელიც ასევე განზრახვის კომპონენტია, ბრალის ეტაპზე დგინდება და აქ განზრახვა უკვე ბოროტ განზრახვად (*dolus malus*) გადაიქცევა (ამ თვალსაზრისს ქართულ სისხლის სამართალში ავითარებს *მერაბ ტურავა*).

II მართლწინააღმდეგობა

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ ქმედების შემადგენლობის ნიშნები, გადავდივართ დანაშაულის მეორე ელემენტის მართლწინააღმდეგობის არსებობის განახილვაზე.

შესაძლებელია, რომ ახობაძე მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება. აუცილებელი მოგერიების დროს პირი აზიანებს ხელმყოფს, რომელმაც თავდასხმა განახორციელა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების რამდენიმე პირობა, კერძოდ, (1) ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და რეალური; (2) ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი; (3) ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი. იმისათვის, რომ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერება დადგინდეს, საჭიროა, ყველა ეს პირობა კუმულაციურად არსებობდეს.

ხელყოფის მართლწინააღმდეგობა და რეალურობა არსებობს მაშინ, როდესაც იგი კულტურის ნორმებს ობიექტურად ეწინააღმდეგება. ხელყოფის მართლწინააღმდეგობა შესაძლებელია გამოირიცხოს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტულად მითითებული, არამედ მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი ზეკანონური დაუწერელი გარემოებით (სსკ-ის 32-ე მუხლი). მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა ყოველთვის საფრთხეს უნდა უქმნიდეს სისხლის სამართლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. კაზუსის მიხედვით, ახობაძეს თავს დაესხა მისი მეგობარი, ამიტომ, ერთი შეხედვით, მის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა განხორციელდა, თუმცა, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფაზე ვსაუბრობთ, საჭიროა, ხელყოფა ობიექტურად არსებობდეს და არა მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში. ახობაძეს ეგონა, რომ მასზე რეალური თავდასხმა

ხორციელდებოდა, სინამდვილეში კი, თავდამსხმელი მისი მეგობარი იყო და მხოლოდ ახობადის შეშინება უნდოდა. ასეთი შემთხვევა აუცილებელ მოგერიებას არ წარმოადგენს და მას ე.წ. მოწვევებით (პეტატიურ) მოგერიებას უწოდებენ, ვინაიდან თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური და მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა.

გამომდინარე აქედან, ახობაძე არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

III ბრალი

ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის დადგენის შემდეგ გადავიდეთ დანაშაულის მესამე ელემენტის - ბრალის დადგენაზე და ვამოწმებთ, იყო თუ არა ახობაძეს ქმედება ბრალეული.

ახობადის ბრალუწარსაბუთო არ იწვევს ეჭვს, ხოლო ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებების შემოწმების არავითარი საფუძველი კაზუსის მიხედვით არ არსებობს, რის გამოც, გასარკვევია მხოლოდ ერთი საკითხი: არსებობს თუ არა განზრახვის მესამე ელემენტი: მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით:

მართლწინააღმდეგობის შეგნება, ანუ განზრახვის *dolus malus* ელემენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალის ეტაპზე მოწმდება. იმისათვის, რომ ქმედება იყოს განზრახ ჩადენილი, პირს უნდა ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება. ამ შემთხვევაში კი, ახობაძე ფიქრობდა, რომ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ანუ მართლწინააღმდეგობად, ე.ი. მას საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა შეგნებული არ ჰქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან დაუშვა შეცდომა. იმ შემთხვევაში, როცა პირი შეცდომას უშვებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, როგორ უნდა გადაწყდეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი ეხება შეცდომის შემთხვევას, როგორც ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებას, მაგრამ კანონმდებელი აქ საუბრობს მხოლოდ აკრძალვაში შეცდომაზე და არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებით დაშვებულ შეცდომაზე. შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მუხლი ანალოგიით იქნეს გამოყენებული.

სისხლის სამართლის ერთ-ერთი უპირველესი პრინციპიდან, კერძოდ, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, მაგრამ უშვებს მის სასარგებლოდ. თუ ანალოგიის პრინციპს ახობადის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად გამოვიყენებთ, მა-

შინ მსჯელობა უნდა წარიმართოს სსკ-ის 36-ე მუხლის ფარგლებში. კერძოდ, შესამოწმებელია ახობადის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევის თავიდან აცილებადობა გაუფრთხილებლობის ფარგლებში.

გამომდინარე აქედან, მისატყვებელია თუ არა ახობადის მიერ დაშვებული შეცდომა, ეს განზრახი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ფარგლებში მსჯელობის საგანი არ არის, ვინაიდან შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების - აუცილებელი მოგერიების არსებობის შესახებ გამორიცხავს განზრახვის ბრალს.

(საკითხის მცოდნე სტუდენტს შეუძლია, მოახდინოს განზრახვისა და ბრალის თეორიების ურთიერთგამიჯვნა, რაშიც დახმარებას გაუწევს *დოკტრინა მალაკელიძის* სამეცნიერო სტატია: „სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის”. იხ. თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი”, 2009, №2, გვ. 89-109). შეზღუდული ბრალის თეორიიდან გამომდინარე, ახობაძე არ მოქმედებდა ბოროტი განზრახვით.

IV. შუალედური დასკვნა

მეგობრისათვის სიცოცხლის მოსპობით ახობაძეს არ ჩაუდენია სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, კერძოდ, განზრახ მკვლელობა.

მეორე ჰიპოთეზა:

შესაძლებელია, ახობაძემ მეგობრისათვის გულმკერდის არეში დანის დარტყმით განახორციელა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობა, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

I. ძმადების შემადგენლობა

ქმედების ობიექტური შემადგენლობა

(ა) წინდახედულობის ნორმის დარღვევა ობიექტურად ქმედება ობიექტურად გაუფრთხილებელია, თუ არსებობს წინდახედულობის სპეციალური ნორმა, რომელიც პირმა დაარღვია და ეს ქმედება კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. აქედან გამომდინარე, ახობადის მხრიდან ობიექტურად წინდახედულობის ნორმის დარღვევა სახეზეა და ამასთან ეს დარღვევა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატა.

(ბ) შედეგის დადგომა
ქმედების შედეგი სახეზეა, ვინაიდან ახობადის მეგობარი გარდაიცვალა.

(გ) მიზეზობრივი კავშირი *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და შედეგს შორის არსებობს. ვინაიდან ახობადის მიერ წინდახედულობის ნორმის დაცვის შემთხვევაში შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

(დ) ობიექტური გაუფრთხილებლობა
იგი შედგება ორი მომენტისაგან: შედეგის დადგომის გათვალისწინების და შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.

ობიექტურად ახობაძეს წინდახედულობის ნორმის დაცვა არ შეეძლო, ვინაიდან კაზუსიდან გამომდინარე, ნებისმიერი საშუალო ადამიანი იმ ვითარებაში, რომლებშიც ახობაძე იმყოფებოდა, წინდახედულობის ნორმის დარღვევას თავიდან ვერ აიცილებდა.

(ე) (ობიექტური შერაცხვის საკითხი არ დადგება დღის წესრიგში, თუ წინარე ეტაპზე ობიექტური გაუფრთხილებლობა გამოირიცხება).

II. მართლწინააღმდეგობა

(მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის საკითხი არ დადგება დღის წესრიგში, თუ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ობიექტური გაუფრთხილებლობა გამოირიცხება).

III. ბრალი

(მეორე ვარიანტი: გაუფრთხილებლობის ორმაგი ფუნქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ბრალის ეტაპზე, თუ დადგინდება, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ობიექტური გაუფრთხილებლობის არსებობის მიუხედავად, ბრალის დადგენის დროს ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის არარსებობა).

IV. შუალედური დასკვნა

ახობაძეს მეგობრის მოკვლით არც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ჩაუდენია, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ბ) საბოლოო დასკვნა

ამრიგად, ახობაძეს არ ჩაუდენია დანაშაული, რის გამოც, იგი სისხლის სამართლის წესით არ დაისჯება.

(ზოგადი ხასიათის შენიშვნა: თუ კაზუსი აუდიტორიაში იწერება, შეიძლება მხოლოდ ნორმატიული მასალის გამოყენება, რის

გამოც სქოლიოების მითითება არ არის საჭირო და შესაძლებელია საშინაო დავალების შესრულების დროს კი, საჭიროა როგორც სქოლიოების მითითება, ასევე თავფურცლის, სარჩევისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის გაკეთება. ამის შესახებ სტუდენტს მიეთითება მეცადინეობებზე და ინდივიდუალური კონსულტაციების დროს.

ქართველი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კაზუსის ამოხსნის მეთოდულში გამოსაყენებელი შემდეგი დამხმარე ლიტერატურა:

- *P. Bringewat*, *Methodik der juristischen Fallbearbeitung*, 2007
- *C. Scholz, W. Wohlers*, *Klausuren und Hausarbeiten im Strafrecht*, მე-3 გამოცემა, 2003
- *W. Beulke*, *Klausurenkurs im Strafrecht I. Ein Fall- und Repetitionsbuch für Anfänger*, მე-4 გამოცემა, 2008;
- *W. Beulke*, *Klausurenkurs im Strafrecht II. Ein Fall- und Repetitionsbuch für Fortgeschrittene*, 2007;
- *W. Beulke*, *Klausurenkurs im Strafrecht III. Ein Fall- und Repetitionsbuch für Examenskandidaten*, მე-2 გამოცემა, 2006.

კაზუსის ამოხსნის მეთოდის შესწავლაში პედაგოგ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს დახმარებას გაუწევს წიგნი:

- ქეთევან მჭედლი-შვილი-ჰედრიხი, კაზუსების ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, მე-2 გამოცემა, 2010.

მიმოხილვაში მოცემული დოკუმენტის შესახებ ინგლისურ ენაზე იხ. *V. Krey*, *German Criminal Law, General Part, Volume I and II*, 2002 and 2003).

13 ტუსტების ნიმუშები სისხლის სამართალში

1. სისხლის სამართლის კანონი

ტუსტი 1.

ბოროტმოქმედებმა განზრახი დანაშაულის მსხვერპლს -ნიუარაძეს, მოკვლის მიზნით, 2000 წლის 1 სექტემბერს დააღვივნეს მოწამლული ღვინო. მეორე დღეს იგი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მოთავსებულ იქნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედთა ქმედების შედეგად ნიუარაძე გარდაიცვალა იმავე წლის 10 სექტემბერს.

განსაზღვრეთ დანაშაულის ჩადენის დრო.

1. დანაშაულის ჩადენის დროა 2000 წლის 1 სექტემბერი, როცა ბოროტმოქმედებმა თავიანთი დანაშაულებრივი ნება ქმედებაში გამოავლინეს.

2. დანაშაულის ჩადენის დროა 2000 წლის 10 სექტემბერი, როცა დანაშაულის შედეგი დადგა.

3. დანაშაულის ჩადენის დროა 2000 წლის 2 სექტემბერი, როცა მოწამლული პირი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

4. დანაშაულის ჩადენის დროა როგორც 2000 წლის 1 სექტემბერი, როცა ბოროტმოქმედებმა თავიანთი დანაშაულებრივი ნება გამოავლინეს, ასევე 2000 წლის 10 სექტემბერი, როცა დანაშაულის შედეგი დადგა.

ტუსტი 2.

2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას შემდეგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის: „ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით“. ახალი კოდექსი ასეთ სპეციალურ შემადგენლობას არ შეიცავს.

დასჯადია თუ არა ქორწინების მიზნით ქალის მოტაცება ახალი სისხლის სამართლის კოდექსით?

1. არა, ვინაიდან ახალი სისხლის სამართლის კოდექსით მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია.

2. დიახ, ასეთი ქმედება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება როგორც „თავისუფლების უკანონო აღკვეთა“.

3. დიახ, ასეთი ქმედება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება როგორც „მძევლად ხელში ჩაგდება“.

4. არა, ვინაიდან ახალი სისხლის სამართლის კოდექსით მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია.

ტესტი 3.

ბერლინის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სომხეთის მოქალაქე პეტროსიანი ყაჩაღურად თავს დაესხა საქართველოს მოქალაქეს – ტყემალაძეს, რომელიც გერმანიაში სტუმრად იყო ჩასული. ამ თავდასხმას ტყემალაძის გაუფრთხილებელი სიკვდილი მოჰყვა.

ექვემდებარება თუ არა პეტროსიანის ქმედების დასჯადობა საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციას?

1. დიახ, იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ყაჩაღობისათვის.

2. დიახ, იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შეიძლება დაისაჯოს ყაჩაღობისა და სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის.

3. არა, იგი საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციას არ ექვემდებარება, ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. არა, იგი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან საზღვარგარეთ ჩადენილი არცერთი დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციას არ ექვემდებარება.

ტესტი 4.

1996 წლის 1 თებერვალს მადრაძეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის შეეფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი არ გასაჩივრებულა და იგი კანონიერ ძალაში შევიდა დადგენილ ვადაში. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის საჩქცია ამ დანაშაულისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით 8-დან 12 წლამდე. ახალი კოდექსით აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადად გათვალისწინებულია 8 წელი.

აქვს თუ არა ახალ სისხლის სამართლის კანონს უკუძაღა მადრაძის მიმართ დადგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენისათვის?

1. არა, განაჩენი არ შეიძლება გადაისინჯოს სასამართლოს მიერ, ვინაიდან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან გავიდა ერთ წელზე მეტი.

2. დიახ, იგი შეიძლება გადაისინჯოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ.

3. დიახ, იგი შეიძლება გადაისინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ.

4. დიას, იგი შეიძლება გადაისინჯოს განაჩენის გამოტანი სასამართლოს მიერ და სასამართლოს ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

ტესტი 5.

თურქეთის სახელმწიფო საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვს თავისი მოქალაქის ღურსუნ მეთინის გადაცემას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთ თურქულ ფირმაში მუშაობს და რომელსაც თურქეთში ჩადენილი აქვს განზრახი მკვლელობა, რისთვისაც შესაძლოა მას გადაცემის შემთხვევაში თურქეთის სასამართლოს მიერ შეეფარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთა ან სიკედილით დასჯა.

შეიძლება თუ არა მეთინის გადაცემა თურქეთის რესპუბლიკისათვის?

1. დიას, ვინაიდან იგი თურქეთის მოქალაქეა.
2. დიას, ვინაიდან მან ჩაიდინა განზრახი მკვლელობა.
3. არა, ვინაიდან არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს პირი, სადაც კანონით უვადო თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.
4. არა, ვინაიდან არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს პირი, სადაც კანონით სიკედილით დასჯაა დაწესებული ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ტესტი 6.

გერმანიის მოქალაქემ ჰანს მიულერმა საზღვარგარეთ – ავსტრიაში ჩაიდინა მძიმე დანაშაული – ავტოავარია, რასაც შედეგად საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

დაეკისრება თუ არა მიულერს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით?

1. დიას, ვინაიდან საზღვარგარეთ ჩადენილი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დანაშაული დასჯადია.
2. დიას, ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქემ საზღვარგარეთ ჩაიდინა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაული.
3. არა, ვინაიდან მიულერის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ ეკუთვნის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.
4. არა, ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქემ საზღვარგარეთ ჩაიდინა დანაშაული, რომელზეც არ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია.

ტესტი 7.

საქართველოს მოქალაქე გოგებაშვილმა პოლონეთში ჩაიდინა პოლონეთის მოქალაქის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნული ქმედების ჩადენის შემდეგ, სანამ მისი ჩამდენი პირის შესახებ გახდებოდა ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის, იგი თბილისში ჩამოვიდა.

დაეკისრება თუ არა გოგებაშვილს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით?

1. არა, იგი უნდა გადაეცეს იმ სახელმწიფოს, სადაც დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა.

2. არა, ვინაიდან საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაული ეკუთვნის ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

3. დიახ, ვინაიდან საქართველოს მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილია ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

4. დიახ, ვინაიდან იგი საქართველოს მოქალაქეა, რომელმაც საზღვარგარეთ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული და იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.

ტესტი 8.

პაიჭაძემ და ჭელიძემ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, ბიზნესმენ სმირნოვს სომხეთის ტერიტორიაზე უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ამის შემდეგ იგი გადმოიყვანეს საქართველოში, საიდანაც გაყვანილ იქნა რუსეთში, სადაც ეს ქმედება აღკვეთილ იქნა.

ჩაითვლება თუ არა საქართველო დანაშაულის ჩადენის ადგილად?

1. არა, ვინაიდან ქმედება დაიწყო სომხეთის ტერიტორიაზე.

2. არა, ვინაიდან ქმედება შეწყდა რუსეთის ტერიტორიაზე.

3. დიახ, ვინაიდან ქმედება გრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე.

4. დიახ, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირები საქართველოს მოქალაქეები არიან.

ტესტი 9.

საქართველოს მოქალაქე ახობაძემ სომხეთის ტერიტორიაზე საწამლავი დაალეგინა ასევე საქართველოს მოქალაქე ტყემალაძეს, რომელიც ათი საათის შემდეგ გერმანიის ტერიტორიაზე გარდაიცვალა. ახობაძე თბილისში დაბრუნდა და ბრალის აღიარებით გამოცხადდა პროკურატურაში.

რომელი სახელმწიფოს ტერიტორია უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის ადგილად?

1. სომხეთი, ვინაიდან ახობაძემ თავისი დანაშაულებრივი ნება გამოავლინა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. გერმანია, ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგი დადგა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

3. როგორც სომხეთი, ისევე გერმანია, ვინაიდან ორივე ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდა ქმედების ობიექტური შემადგენლობა.

4. საქართველო, ვინაიდან როგორც დამნაშავე, ასევე დაზარალებული საქართველოს მოქალაქეები არიან.

ტექსტი 10.

სამსახურებრივი მივლინების დროს საქართველოს მოქალაქე გაბოძემ თურქეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდზე, რომელიც უკრაინის ტერიტორიულ წყლებში იმყოფებოდა, შურისძიების მოტივით მოკლა პოლონეთის მოქალაქე.

გავრცელდება თუ არა ჩადენილი ქმედების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია?

1. დიახ, ვინაიდან გაბოძე საქართველოს მოქალაქეა.

2. არა, ვინაიდან თურქეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდი საქართველოს ტერიტორიად არ ითვლება.

3. დიახ, ვინაიდან უნივერსალურობის პრინციპიდან გამომდინარე, თურქეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდზე ჩადენილ განზრახ მკვლელობაზე საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია ვრცელდება.

4. არა, ვინაიდან დანაშაულის მსხვერპლი საქართველოს მოქალაქე არ არის.

ტექსტი 11.

ფოთის ნავსადგურში მყოფ სამხედრო გემზე, რომელიც მართლ-ზომიერად ატარებს თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო აღმას, სომხეთის მოქალაქემ შურისძიების მოტივით მოკლა უნგრელი. იგი დაკავებულ იქნა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

გავრცელდება თუ არა უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდზე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია?

1. არა, ვინაიდან უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდზე ჩადენილი დანაშაული არ ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად.

2. არა, ვინაიდან დანაშაული ჩადენილ იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ უცხოელის მიმართ.

3. დიახ, ვინაიდან უნივერსალობის პრინციპიდან გამომდინარე, სამხედრო საზღვაო ხომალდზე ჩადენილი ნებისმიერი დასჯადი ქმედების მიმართ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია.

4. დიახ, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე.

ტესტი 12.

ტურისტული ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, იტალიაში გაუფრთხილებლობით სიცოცხლე მოუსპო სხვა ტურისტული ჯგუფის წევრს, რომელიც უკრაინის მოქალაქე იყო.

ექვემდებარება თუ არა ჩადენილი ქმედების დასჯადობა საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციას?

1. არა, ვინაიდან ჩადენილი დანაშაული ეკუთვნის ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

2. დიახ, ვინაიდან საქართველოს მოქალაქემ საზღვარგარეთ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება დანაშაულის ჩადენის ადგილის სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც.

3. არა, ვინაიდან ჩადენილი ქმედება არ ეკუთვნის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

4. დიახ, ვინაიდან ჩადენილია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაული.

2. დანაშაული

ტესტი 13.

თეთრაძემ და ბუაძემ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ისე, რომ მათ არ იცოდნენ ერთმანეთის განზრახვის შესახებ, გადაწყვიტეს მათი ახლო ნათესავის, ოპერის მსახიობის მოწამვლა, რათა დაუფლუბოდნენ მის მემკვიდრეობას. ორივე მათგანმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მსხვერპლს სასმელში ჩაუყარეს საწამლავი, რის შედეგადაც მსახიობი გარდაიცვალა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ორივე მათგანის მოქმედება, ცალკე აღებული, სავსებით საკმარისი იყო შედეგის დასადგომად.

შეფასდება თუ არა თეთრაძის და ბუაძის მოქმედება როგორც დამთავრებული განზრახვი მკვლელობა?

1. დიახ, ვინაიდან ორივე მათგანის მოქმედება, ცალკე აღებული, სავსებით საკმარისი იყო მსახიობის სიკვდილის დასადგომად.

2. არა, ვინაიდან ისინი არ მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით.

3. დიახ, ვინაიდან ისინი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით.

4. არა, ვინაიდან მათ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

ტექსტი 14.

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში კერესელიძე იყო ქარქაშაძის მკვლელობის წამქეზებელი, ხოლო ნადიბაიძე კი იყო ამ დანაშაულის დამხმარე. დანაშაულის უშუალო ამსრულებელმა ვერ შეძლო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, რის გამოც მისი მოქმედება დაკვალიფიცირდა როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა.

როგორ უნდა შეფასდეს თანამონაწილეების ქმედება?

1. კერესელიძე უნდა დაისაჯოს როგორც დამთავრებული განზრახი მკვლელობის წამქეზებელი, ხოლო ნადიბაიძე – როგორც დამთავრებული განზრახი მკვლელობის დამხმარე, მცდელობის მუხლზე მითითების გარეშე, ვინაიდან მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც თანამონაწილეებზე იყო დამოკიდებული.

2. მათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მკვლელობის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის – კერესელიძეს როგორც წამქეზებელს, ხოლო ნადიბაიძეს როგორც დამხმარეს, მცდელობის მუხლზე მითითებით.

3. კერესელიძეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც მკვლელობის წამქეზებელს, მომზადების მუხლზე მითითებით, ხოლო ნადიბაიძეს როგორც მკვლელობის დამხმარეს, მცდელობის მუხლზე მითითებით.

4. მათ საერთოდ არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგი არ დადგა.

ტექსტი 15.

მოლოდინმა კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე საღამოს საათებში სეირნობისას ნახა, რომ ორი ახალგაზრდა მისთვის უცნობ გოგონასთან იძულებით სქესობრივ კავშირს ამყარებდა. გოგონა შეეცადა ითხოვდა. მოლოდინი ჩავარდა რა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია გოგონას მიმართ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფმა, სატაბელო იარაღით მოკლა ორივე თავდამსხმელი. გამოძიებით დადგინდა, რომ მოლოდინს შეეძლო სიცოცხლის მოსპობის გარეშე დახმარებოდა გოგონას, მაგრამ აფექტში მყოფმა წარმოიდგინა თავისი გოგონა ამ მდგომარეობაში და მოკლა ისინი.

როგორ შეფასდება მოლოდინის ქმედება?

1. ორი ან მეტი პირის განზრახი მკვლელობა.
2. განზრახი მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ.
3. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული არაბრალეული ქმედება.
4. განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე.

ტესტი 16.

17 წლის ტიკვაძემ დისკოთეკაზე გაიცნო არასრულწლოვანი გოგონა სვანაძე და იმავე ღამეს მასთან დაამყარა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი. გოგონა ამ დროს იყო 15 წლის, თუმცა ტიკვაძის წარმოდგენით იგი 16 წლის ასაკს მიღწეული იყო, რითაც დაუშვა შეცდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გოგონასთან სქესობრივ კავშირს არ დაამყარებდა.

დასჯადია თუ არა ტიკვაძის მიერ ჩადენილი ქმედება?

1. დიახ, ვინაიდან სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწევებლად დასჯადია.

2. არა, იგი არ დაისჯება მხოლოდ იმიტომ, რომ მას წინასწარ შეცნობილი არ ჰქონდა, რომ სქესობრივ კავშირს ამყარებდა 16 წელს მიუღწევებლად.

3. არა, ვინაიდან იგი არ იყო სრულწლოვანი და ამასთან, მას წინასწარ შეცნობილი არ ჰქონდა, რომ სქესობრივ კავშირს ამყარებდა 16 წელს მიუღწევებლად.

4. არა, იგი არ დაისჯება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ იყო სრულწლოვანი.

ტესტი 17.

შეიარაღებულმა პირთა ჯგუფმა განიზრახა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ღამით, თავს დასხმოდნენ საკონსერვო ქარხნის დირექტორის ოჯახს, რათა დაუფლებოდნენ მის ქონებას. ოჯახის წევრები ამ დროს სახლში არ იმყოფებოდნენ, რის გამოც შემთხვევის ადგილზე მისულ შეიარაღებულ ბოროტმოქმედებს თავდასხმის განხორციელება აღარ დასჭირდათ, მაგრამ მათ მოახერხეს სახლიდან ფარულად წავლეთ დიდძალი სიმდიდრე.

როგორ შეფასდება შეიარაღებულ პირთა ჯგუფის მოქმედება?

1. როგორც ქურდობა.

2. როგორც ძარცვა.

3. როგორც ყაჩაღობის მცდელობა და ქურდობა.

4. როგორც ყაჩაღობის მომზადება და ქურდობა.

ტესტი 18.

კაკაურიძემ განიზრახა რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოკვლა, რისთვისაც იგი მოემზადა იარაღით და საშუალებებით. მისი განზრახვის შესახებ ცნობილი გახდა კაკაურიძის ოჯახის წევრებისათვის, კერძოდ, მისი მშობლებისა და მეუღლისათვის, მაგრამ მათ ამის შესახებ არ შეატყობინეს სათანადო ორგანოებს და არც სხვა გზით შეეცადნენ შედეგის თავიდან აცილებას.

დასჯადია თუ არა კაკაურიძის ოჯახის წევრების ქმედება?

1. დიახ, ვინაიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს მომზადების შეუტყობინებლობა დასჯადია.

2. არა, ვინაიდან ახლო ნათესავის დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

3. არა, ვინაიდან ახლო ნათესავის დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობა არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

4. დიახ, ვინაიდან დასჯადია ნებისმიერი დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობა.

ტესტი 19.

თავაძემ ისარგებლა რა თავისი მეზობლის ლომიძის მდგომარეობით, რომელიც მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა, რჩევა-დარიგებებით აღუძრა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და მისი გასაღების სურვილი. თავაძეს თავიდანვე განზრახული ჰქონდა, რომ ამის შესახებ შეეტყობინებინა პოლიციისათვის მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით, რათა ამით შური ეძია ლომიძის მიმართ, რაც სისრულეში მოიყვანა კიდევ.

როგორ შეფასდება თავაძის ქმედება, იგი დაისჯება თუ არა ჩადენილი ქმედებისათვის?

1. არა, იგი არ დაისჯება, ვინაიდან სახეზეა დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობა.

2. დიახ, იგი დაისჯება დანაშაულის პროვოკაციისათვის.

3. დიახ, იგი დაისჯება დანაშაულის წაქეზებისათვის.

4. არა, იგი არ დაისჯება, რადგან იგი არის აგენტ-ინფორმატორი.

ტესტი 20.

ერთ-ერთი რესტორნის მზარეულმა მიიღო დავალება გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მოეკლა ამავე რესტორნის მეპატრონე. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მან საჭმელში საწამლაი ჩაუყარა მეპატრონეს, მაგრამ სანამ დანაშაულებრივი შედეგი დადგებოდა. მოვლენათა მსვლელობაში ნებაყოფლობით აქტიურად ჩარევით სასიკვდილო შედეგი თავიდან აიცილა, რაც გამოსხატა იმაში, რომ მას აღმოუჩინა დროული სამედიცინო დახმარება, რის გარეშეც სიკვდილი აუცილებლად დადგებოდა, თუმცა საწამლაის მოქმედების შედეგად რესტორნის მეპატრონემ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო.

როგორ შეფასდება მზარეულის ქმედება?

1. როგორც განზრახი მკვლელობის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

2. როგორც ქმედითი მონაწილეა, რაც პასუხისმგებლობას კი არ გამორიცხავს, არამედ მხოლოდ სასჯელს ამსუბუქებს.

3. როგორც განზრახი მკვლელობის დამთავრებული მცდელობა.

4. როგორც განზრახი მკვლელობის დაუმთავრებელი მცდელობა.

ტესტი 21.

სამსახურიდან დაბრუნებულმა კალაძემ თავისი ბინის კარებთან შენიშნა ქურდი, რომელიც შეეცადა მოპარული ნივთებით გაქცეულიყო. ქურდის ხელში თავისი ძვირფასი ნივთების გადავლისთანავე, ისე რომ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა, სიცოცხლის მოსპობის განზრახვის გარეშე ესროლა მას. მართალია, არ უნდოდა ქურდის მოკვლა, მაგრამ იმის გამო, რომ მას დროული სამედიცინო დახმარება ვერ აღმოუჩინეს, სისხლისაგან დაიცავა და გარდაიცვალა.

ჩათვლება თუ არა კალაძის მოქმედება მართლზომიერ მოქმედებად?

1. არა, ვინაიდან ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი კრძალავს ადამიანისათვის სიცოცხლის ყოველგვარ მოსპობას ქონების გადარჩენის მიზნით.

2. დიახ, ვინაიდან მისი მოქმედება იყო აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებში ჩადენილი: ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენცია კრძალავს ქონების გადარჩენისათვის მხოლოდ გამიზნულ განზრახ მკვლელობას.

3. დიახ, ვინაიდან ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციიდან გამომდინარე, იგი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

4. არა, ვინაიდან ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენცია საერთოდ კრძალავს აუცილებელი მოგერიების უფლებას.

ტესტი 22.

შვილიშვილებმა გადაწყვიტეს შეეშინებინათ თავისი ბაბუა, პროფესორი ნამორაძე, რომელიც სამეცნიერო ნაშრომზე გვიან ღამემდე მუშაობდა. ერთ საღამოს ნიღბიანი, პისტოლეტით შეიარაღებული უფროსი შვილიშვილი ფანჯრიდან შეიპარა პროფესორის სამუშაო ოთახში და მუქარით მოსთხოვა ფულის და სხვა ძვირფასეულობის გადაცემა. პროფესორმა ჩათვალა, რომ მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა რეალური საფრთხის წინაშეა, რის გამოც აუცილებელი მოგერიების მიზნით ჯიბიდან ამოღებული დანა დაარტყა შვილიშვილს, რის შედეგადაც იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

როგორ შეფასდება პროფესორის მოქმედება?

1. მისი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

2. მისი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც განზრახი მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით.

3. იგი უნდა დაისჯოს განზრახი მკვლევლობის მცდელობისათვის, ვინაიდან მასზე განხორციელებული თავდასხმა არ იყო რეალური.

4. მისი მოქმედება არ არის აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილი, არამედ წარმოადგენს მოჩვენებით მოგერიებას.

ტესტი 23.

ზარნაძეს თავის ცოლის ძმასთან, ვალის დაბრუნების თაობაზე, ჰქონდა გაუთავებელი ჩხუბი. იმ მიზნით, რომ ნათესავებს შორის უბედური შემთხვევა არ დატრიალებულიყო, ცოლმა ქმრის პისტოლეტიდან ამოიღო ტყვიები, რის შესახებაც ქმარმა არაფერი იცოდა, მაგრამ იცოდა ცოლის ძმამ. ჩხუბის დროს გაბრაზებულმა ზარნაძემ რეკლემური შუბლზე დაადო ცოლისძმას და მოკვლის განზრახვით გამოსწია პისტოლეტის სახლეტი. ასეთ ვითარებაში ცოლისძმამ თავის მხრივ მოკვლის განზრახვით ლითონის ჯოხი ძლიერად ჩაარტყა მას თავში და მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება.

როგორ გადაწყდება ზარნაძისა და მისი ცოლისძმის პასუხისმგებლობის საკითხი?

1. ზარნაძე დაისჯება განზრახ მკვლევლობის მცდელობისათვის, ხოლო ცოლისძმა არ დაისჯება, ვინაიდან იგი თავდამსხმელის წარმოდგენით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა.

2. ზარნაძე არ დაისჯება, ვინაიდან მისი თავდასხმა იყო მოჩვენებითი და არა რეალური, ხოლო ცოლისძმა დაისჯება განზრახ მკვლევლობის მცდელობისათვის.

3. ორივე დაისჯება განზრახ მკვლევლობის მცდელობისათვის.

4. ზარნაძე არ დაისჯება, ვინაიდან იგი იმყოფებოდა მოჩვენებითი და არა რეალური თავდასხმის მდგომარეობაში, ასევე არ დაისჯება ცოლისძმაც, ვინაიდან მისი მოქმედება თავდამსხმელის წარმოდგენით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ტესტი 24.

ჩიკოგიძე თავს დაესხა ადვოკატს და მოსთხოვა ფული და ავტომანქანის გადაცემა. იმისათვის, რომ თავისი ქონება გადაერჩინა, ადვოკატმა მას მიაყენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ვინაიდან მას სხვა გზა არ ჰქონდა მისი ქონების გადარჩენისათვის.

შეფასდება თუ არა ადვოკატის მოქმედება მართლზომიერად?

1. არა, მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა, რადგან თავდამსხმელისათვის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენება მატერიალური სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზნით, არ დაიშვება.

2. არა, იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ფარგლებს გადაცილებით.

3. დიახ, იგი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

4. დიახ, იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებში.

ტესტი 25.

ჩაჩანიძემ ჩაიდინა სააქციო საზოგადოება „ვექსისის“ ქონების აშკარა გატაცება. იმისათვის, რომ გატაცებული ქონება გადაერჩინა და სააქციო საზოგადოების ქონება დაეცვა, ებანოიძემ გამტაცებელს თავში ჩაარტყა ჯოხი და მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება, ვინაიდან სხვაგვარად ქონებას ვერ დაიცავდა.

მოქმედებდა თუ არა ებანოიძე აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ფარგლებში?

1. არა, ვინაიდან იურიდიული პირის ქონება არ შეიძლება იყოს აუცილებელი მოგერიების დაცვის ობიექტი.

2. დიახ, ვინაიდან მან სააქციო საზოგადოების ქონება დაიცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

3. არა, ვინაიდან მისი მოქმედება შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით.

4. დიახ, ვინაიდან ქონების გატაცება წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

ტესტი 26.

ერთ-ერთ ქორწილში სარიშვილმა თავში რკინის ნაჭრის ჩარტყმით მოკლა ზანდუკელი, რითაც მან ობიექტურად თავი გადაიჩინა ზანდუკელის მხრიდან მოკვლისაგან. ამ უკანასკნელს სარიშვილის მოსაკლავად უნდა გამოეწია პისტოლეტის სასხლეტი. სარიშვილმა, მოქმედებდა რა შურისძიების გრძნობით, სუბიექტურად არ იცოდა, რომ თავის მხრივ ზანდუკელის მხრიდან მოკვლის საფრთხე ობიექტურად ემუქრებოდა.

შეფასდება თუ არა სარიშვილის მოქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად?

1. არა, ვინაიდან იგი იმყოფებოდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

2. არა, ვინაიდან იგი არ მოქმედებდა თავდაცვის მიზნით.

3. დიახ, ვინაიდან თავდასხმა იყო იმწუთიერი და რეალური.

4. დიახ, ვინაიდან მან ობიექტურად თავი დაიცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

ტესტი 27.

ერთ-ერთი სანატორიუმის სასადილოში ჩიკვაიძე, წინა დამესდისკოთეკაზე ჩხუბით განაწყენებული, მართლსაწინააღმდეგოდ თავს დაესხა ჩოგოვაძეს და მოკვლას უპირებდა. თავდასხმისაგან თავ-

დაცვის მიზნით ჩოგოვადემ მოკლა ჩიკვაიძე. ჩიკვაიძის მამა, რომელიც შეესწრო ამ მოვლენას, ჩავარდა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც არ გამორიცხავს მის შერაცხადობას და მოკლა ჩოგოვადე.

როგორ უნდა შეფასდეს მამის ქმედება?

1. როგორც განზრახი მკვლელობა ჩაღენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

2. მამის მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, რადგან იგი ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში იმყოფებოდა.

3. მამის მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, ვინაიდან იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში იმყოფებოდა.

4. როგორც განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე.

ტესტი 28.

რესპუბლიკური სააგადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმმა სამნიაშვილმა პაციენტ სიხარულიძისათვის სიცოცხლის მოსპობის განზრახვით მისცა თავის ასისტენტ გურგენიძეს შპრიცი საწამლავით. შეცდომით ასისტენტმა ნემსი გაუკეთა პაციენტ გალოგრეს, რომელიც ამის შედეგად გარდაიცვალა.

როგორ უნდა გადაწყდეს ექიმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

1. ექიმი დაისჯება პაციენტ სიხარულიძის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და გალოგრეს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის.

2. ექიმი დაისჯება პაციენტ გალოგრეს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის.

3. ექიმი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან მას უშუალოდ არ ჩაუდენია დანაშაულებრივი ქმედება.

4. ექიმი დაისჯება როგორც პაციენტ გალოგრეს განზრახი მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი.

ტესტი 29.

ზამთრის ბნელ დამეში, ვარკეთილის დასახლების ერთ-ერთ უბანში სანიკიძეს მიუახლოვდა ნიღბაფარებული ბიჭი, იარაღით ხელში, რომელიც სინამდვილეში მისი თანაკურსელი იყო და სანიკიძის მხოლოდ შეშინება უნდოდა. სანიკიძეს ეგონა, რომ იგი თავდამსხმელი იყო და მოგერიების მიზნით, გულმკერდის არეში დანის დარტყმით სიცოცხლე მოუსპო მისი წარმოდგენით თავდამსხმელს. იგი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ეს პიროვნება მასზე რეალურ თავდასხმას არ ახორციელებდა და მხოლოდ მისი შეშინების მიზნით მოქმედებდა.

შეფასდება თუ არა სანიკიძის მოქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილ ქმედებად?

1. დიას, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მასზე რეალური თავდასხმა არ განხორციელებულა.

2. არა, ვინაიდან მასზე არ განხორციელებულა რეალური თავდასხმა.

3. არა, ვინაიდან მან გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლები.

4. დიას, ვინაიდან დაცულია აუცილებელი მოგერიების მართლ-სომიერების ყველა პირობა.

ტესტი 30.

ქალაქის ცენტრში, ხალხმრავალ მიტინგზე ავტომატიდან გასროლით ლოლაშვილმა სიცოცხლე მოუსპო ორ პიროვნებას, ხოლო რამდენიმეს ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიაყენა. სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, იგი ამ ქმედებათა ჩადენის დროს იმყოფებოდა ქრონიკული სულიერი ავადმყოფობის მდგომარეობაში, რაც ფსიქიკური დაავადების გამო მის შერაცხადობას გამოორიცხავს.

შეიძლება თუ არა სასამართლომ ლოლაშვილს მის მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის შეუფარდოს სასჯელის ღონისძიება?

1. დიას, ვინაიდან მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

2. არა, ვინაიდან შეურაცხადი პირის მოქმედება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

3. არა, ვინაიდან მან სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა ბრალის გარეშე.

4. დიას, ვინაიდან მის საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას შედეგად მოჰყვა მძიმე შედეგი.

ტესტი 31.

სოფელ ვარციხეში მცხოვრებმა აფციაურმა ნახა, რომ მისი თანასოფლელის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. მან ცეცხლმოკიდებული სახლიდან არ გამოიყვანა ლოგინად ჩავარდნილი ინვალიდი ქალი, რომელიც განსაცდელში იმყოფებოდა და შეველას ითხოვდა. მას ჰქონდა ამ ქალის გადარჩენის რეალური შესაძლებლობა. ასევე იცოდა, რომ საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, თავისი მოქმედებით შეეძლო გადაერჩინა იგი. უბედური შემთხვევის შედეგად ქალი დაიღუპა.

როგორ შეფასდება აფციაურის ქმედება?

1. როგორც უმოქმედობით ჩადენილი განხრახი მკვლევლობა.
2. როგორც დაუხმარებლობა.
3. როგორც განსაცდელში მიტოვება.
4. როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება.

ტესტი 32.

ადრე მკვლევლობისათვის მსჯავრდებულმა საყვარელიძემ კვლავ განიხრახა ახალი დანაშაულის ჩადენა, კერძოდ, სოფელ მეჯურისხევში მცხოვრებ ვანიშვილზე ჯგუფურ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა. ამ ყაჩაღური თავდასხმის შესახებ გაიგო ვანიშვილის შვილმა, რომელიც არის სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, მაგრამ ხელი არ შეუშალა ყაჩაღებს მის განხორციელებაში. ამით მან არ შეასრულა მისთვის შესაძლებელი მოქმედება, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. საყვარელიძის ყაჩაღური თავდასხმა ვანიშვილზე განხორციელდა.

დასჯადია თუ არა ვანიშვილის შვილის უმოქმედობა, რომელსაც უშუალოდ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ყაჩაღურ თავდასხმაში?

1. არა, მისი უმოქმედობა არ არის დასჯადი სისხლის სამართლის წესით, ვინაიდან უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

2. დიახ, იგი დაისჯება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.

3. დიახ, იგი დაისჯება როგორც ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის თანამონაწილე (დამხმარე), ვინაიდან უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

4. არა, ვინაიდან მას უშუალოდ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ჯგუფურად ყაჩაღურ თავდასხმაში.

ტესტი 33.

ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული პირთა ჯგუფი რესტორნის უკანა გასასვლელ კარებთან ჩაუსაფრდა მოლარეს, რომელსაც სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ღამით, რესტორნიდან გამოჰქონდა ნავაჭრი ფული. ჯგუფის წევრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ თავს დასხმოდნენ მოლარეს და თუ საჭირო იქნებოდა, მზად იყვნენ, რომ მოეკლათ იგი ქონების დაუფლების მიზნით. ოპერატიული ინფორმაციით, პოლიციის მუშაკებმა შეიტყვეს პირთა ჯგუფის დანაშაულებრივი განხრახვის შესახებ, რის გამოც ისინი დაკავებულ იქნენ შემთხვევის ადგილზე, თავდასხმის განხორციელებამდე ნახევარი საათით ადრე.

დანაშაულის ჩადენის რომელ სტადიაზე იმყოფებოდა მათი ქმედება?

1. ისინი დაისჯებიან დანაშაულის მომზადებისათვის.

2. ისინი დაისჯებიან დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობისათვის.

3. ისინი დაისჯებიან დანაშაულის დამთავრებული მცდელობისათვის.

4. ისინი საერთოდ არ დაისჯებიან, ვინაიდან მათი განზრახვა თავდასხმის განხორციელებამდე იქნა აღკვეთილი.

ტექსტი 34.

მეზობლის მიმართ შურისძიების გრძნობით გამსჭვალულმა ხარაძემ თავისი თანასოფელელი ბიჭი წააქეზა მკვლელობისათვის. წამქეზებულს ეგონა, რომ ბიჭი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს - 14 წელს ჯერ არ იყო მიღწეული და არ დაისჯებოდა ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. სინამდვილეში ბიჭი ქმედების ჩადენის დროისათვის უკვე 15 წლის იყო. საქმის მასალებიდან გამომდინარე, ამ ბიჭის შერაცხადობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამ ვითარებაში მან ჩაიდინა განზრახი მკვლელობა.

არის თუ არა ხარაძე განზრახი მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი?

1. დიახ, იგი დაისჯება როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი, ვინაიდან მას ეგონა, რომ დანაშაულის ჩასადენად იყენებდა შერაცხად პირს.

2. არა, იგი დაისჯება როგორც დანაშაულის წამქეზებელი, ვინაიდან მან ობიექტურად წააქეზა შერაცხადი პირი განზრახი მკვლელობის ჩასადენად.

3. დიახ, იგი დაისჯება როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი, ვინაიდან მკვლელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 16 წლის ასაკიდან.

4. არა, იგი დაისჯება როგორც თანამსრულებელი, ვინაიდან მან დანაშაული შერაცხად პირთან ერთად ჩაიდინა.

ტექსტი 35.

საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ცოლ-ქმარს შორის ჩხუბის დროს ხითარიშვილმა გულ-მკერდის არეში ერთი ჭრილობით, მოკვლის განზრახვით სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა ცოლს. ამ ქმედების ჩადენის შემდეგ მას შეუძლო მეორე და მომდევნო ჭრილობების განმეორება და მისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა, მაგრამ მან ეს ჭრილობები არ მიაყენა ცოლს, არამედ შემთხვევის ადგილზე დატოვა და გაიქცა. მას იმედი ჰქონდა, რომ ოჯახის წევრები და ახლობლები დაჭრილს სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენდნენ და გადაარჩენდნენ. ექიმებმა, რომლებიც გულგრილად მოეკიდნენ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას, უწყურადღებოდ მიატოვეს დასარალეული, რომელიც სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა, თუმცა დროული და კვალიფიციური

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში მისი გადარჩენა შესაძლებელი იყო.

ჩაითვლება თუ არა ხითარიშვილის ქმედება მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად?

1. დიახ, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება და დაისჯება მხოლოდ ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანებისათვის, რადგან რომ არა ექიმების დანაშაულებრივი უმოქმედობა, შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

2. არა, მისი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, მაგრამ მან პასუხი შეიძლება აგოს მხოლოდ განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

3. არა, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამთავრებული განზრახი მკვლელობა, რადგან შედეგი თავიდან ვერ იქნა აცილებული.

4. არა, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამთავრებული განზრახი მკვლელობა, ვინაიდან მკვლელობის მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ შეიძლება.

ტესტი 36.

საბურთალოს ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტ „წიქარას“ მეპატრონემ ამ მაღაზიის საწყობში, რომელიც საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარეობს, ასაფეთქებელი მოწყობილობა დამონტაჟა. მას არ სურდა, რომ აფეთქებას შედეგად მოჰყოლოდა ამ სახლში მყოფ ბინადართა სიკვდილი, მაგრამ იცოდა, რომ მის მოქმედებას გარდაუვლად მოჰყვებოდა ადამიანთა მსხვერპლი. ამ აფეთქების შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო სხვებმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები.

როგორ შეფასდება მაღაზიის მეპატრონის ქმედება?

1. როგორც პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი პირის მკვლელობა.

2. როგორც პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი პირის მკვლელობა და აფეთქება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მიძიმე შედეგი.

3. როგორც არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი პირის მკვლელობა და აფეთქება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მიძიმე შედეგი.

4. როგორც არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი პირის განზრახი მკვლელობა და განზრახი მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სისოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ტესტი 37.

ნიორაძემ ჩაიდინა დანაშაული, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან მოკვლის განზრახვით ესროლა საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხოეთის სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენელს. დანაშაულის მოტივი იყო პოლიტიკური და მიზნად ისახავდა საქართველოსათვის საერთაშორისო გართულების შექმნას. დაზარალებული, რომელმაც მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, გადა-რჩა.

როგორც უნდა შეფასდეს ეს ქმედება?

1. როგორც საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე თავ-დასხმა.

2. როგორც ტერორისტული აქტი.

3. როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა დაზარალებუ-ლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალე-ობის შესრულებასთან დაკავშირებით.

4. როგორც დანაშაულთა ერთობლიობა: განზრახი მკვლელობის მცდელობა დაზარალებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილე-ბლობით.

ტესტი 38.

საქართველოს მოქალაქე ბუაძემ 15 წლის ასაკში ჩაიდინა გან-ზრახი ქმედება, რაც გამოიხატა საქართველოს სახელმწიფოს უშიშ-როებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ უცხო ქვეყნის წარ-მომადგენლისათვის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუ-მენტის გადაცემაში, რითაც მან განახორციელა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

როგორც უნდა შეფასდეს საქართველოს მოქალაქის ბუა-ძის ქმედება?

1. როგორც ჯაშუშობა.

2. როგორც სახელმწიფოს დაღატი გამოხატული ჯაშუშობაში.

3. იგი არ დაისჯება სისხლის სამართლის წესით, რადგან არ მიუღწევია 16 წლის ასაკისათვის, საიდანაც იწყება პასუხისმგებლო-ბა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.

4. როგორც საბოტაჟი.

ტესტი 39.

ვლთვის საზღვაო-მაშველი რაზმის წევრმა ანთაძემ თავისი სამ-სახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაინახა, რომ თავისი ყოფილი დირექტორი ზღვაში იხრჩობოდა. მან გადაწყვიტა დაზ-არალებულთან ანგარიშსწორება. ამ მოტივით მან შეგნებულად დახ-მარება არ აღმოუჩინა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ

პირს, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის გადასარჩენად, თუმცა მას ევალებოდა ამ პირზე ზრუნვა და შესაძლებლობა ჰქონდა კიდევ დახმარება აღმოეჩინა მისთვის. დახმარების აღმოუჩენლობის შედეგად იგი დაიხრჩო.

როგორ შეფასდება ანთაძის ქმედება ?

1. განსაცდელში მიტოვება.
2. დახმარების აღმოუჩენლობა.
3. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უმოქმედობით.
4. განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი უმოქმედობით.

ტესტი 40.

თავისი ცხოვრებით და ქმრის საქციელით უკმაყოფილო ბიჭიაშვილი მეუღლეს ხშირად ეშუქრებოდა თვითმკვლელობით. ქმარს ერთხელ დაუდევრობით თავისი სატაბელო იარაღი დარჩა მაგიდაზე. ცოლმა ისარგებლა სიტუაციით და ამ იარაღით თავი მოიკლა.

როგორ შეფასდება ქმრის ქმედება ?

1. მას არ ჩაუდენია დანაშაული.
2. მან წინდახედულობის ნორმის დარღვევით ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.
3. მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობის შუალობითი ამსრულებლობა.
4. მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ტესტი 41.

სამხედრო ნაწილის ზემდეგმა პარუნიანმა იარაღით, სიცოცხლის მოსპობის რეალური მუქარით აიძულა რიგითი სალაძე, რომ ერაძისათვის მიეყენებინა სხეულის მძიმე დაზიანება.

როგორ შეფასდება პარუნიანისა და სალაძის ქმედება?

1. სალაძე არ დაისჯება უკიდურესი აუცილებლობის, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების, არსებობის გამო, ხოლო პარუნიანი დაისჯება როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი.
2. სალაძე და პარუნიანი დაისჯებიან როგორც დანაშაულის თანაამსრულებლები
3. სალაძე არ დაისჯება ბრალის არარსებობის გამო, ხოლო პარუნიანი დაისჯება როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი.
4. სალაძე დაისჯება როგორც მკვლელობის ამსრულებელი, ხოლო პარუნიანი როგორც მკვლელობის წამქეზებელი.

ტესტი 42.

დიდი ხნის მანძილზე თავის თანასოფელზე განაწყენებული კობაძე მართლსაწინააღმდეგოდ თავს დაესხა ბაქანიძეს, რომელსაც მისმა მეზობელმა ერგემლიძემ ურჩია, რომ მოიგერიოს ეს თავდასხმა თავდამსხმელისათვის სიცოცხლის მოსპობით, მაშინ როდესაც ბაქანიძეს გადაწყვეტილი ჰქონდა გაქცევით ეშველა თავისთვის და ჰქონდა კიდევ ამის შესაძლებლობა. ყურად იღო რა ეს რჩევა, ბაქანიძემ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ფარგლებში სიცოცხლე მოუსპო თავდამსხმელს.

შეფასდება თუ არა ერგემლიძის ქმედება როგორც განზრახი მკვლელობის წაქეზება?

1. არა, ვინაიდან თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. ვინაიდან ბაქანიძის ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით არის გამართლებული, ამიტომ წაქეზება არა გვაქვს სახეზე.

2. დიახ, ვინაიდან მან პავლიაშვილს აღუძრა სხვისი სიცოცხლის მოსპობის განზრახვა.

3. არა, ვინაიდან ერგემლიძე არის მკვლელობის ფსიქიკური დამხმარე.

4. დიახ, ვინაიდან ბაქანიძემ გადააცილა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ფარგლები.

ტესტი 43.

გონგლაძე და ახრახაძე, კვირა საღამოს, შევიდნენ სავაჭრო ცენტრის ეზოში და იქიდან ჩუმად ფანჯრიდან შეიპარნენ სავაჭრო ცენტრის შენობაში. ორივე თანაამსრულებელი დანაშაულის ჩადენის პროცესში შეამჩნიეს, რის გამოც შეუცადნენ გაქცევით ეშველათ თავისათვის. გონგლაძემ ახრახაძის წაქეზებით, მოკვლის განზრახვით ესროლა დაცვის თანამშრომელს, მაგრამ სიბნელეში შეცდომა დაუშვა, ტყვია დაუმიზნა და მოახვედრა თვით წამქეზებელს, რომელიც სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა, მაგრამ მძილო სხეულის მძიმე დაზიანება.

როგორ შეფასდება გონგლაძისა და ახრახაძის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ქმედება?

1. ისინი საერთოდ არ დაისჯებიან, ვინაიდან სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობის მცდელობა არ არის დასჯადი.

2. ისინი დაისჯებიან როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობის თანამონაწილეები: გონგლაძე როგორც ამსრულებელი, ხოლო ახრახაძე როგორც წამქეზებელი.

3. გონგლაძე დაისჯება განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ხოლო ახრახაძე არ დაისჯება, ვინაიდან თვითმკვლელობის მცდელობა არ არის დასჯადი.

4. გონგლაძე დაისჯება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, ხოლო ახრახაძე დაისჯება განზრახი მკვლელობის მომზადებისათვის.

ტესტი 44.

უნივერსიტეტის ბაღში ერადემ თავის თანაკურსელ სახვაძეს შურისძიების მოტივით, მისი მოკვლის განზრახვით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. ამ დროს მასში გაიღვიძა სინანულის გრძნობამ, სახვაძე წაიყვანა უახლოეს საავადმყოფოში და თავისი აქტიური მოქმედებით შეძლო მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

დასჯადია თუ არა ერადემის ქმედება ?

1. დიახ, იგი დაისჯება განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის.
2. არა, ვინაიდან სახეზე გვაქვს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება.
3. არა, ვინაიდან სახეზე გვაქვს ქმედითი მონაწილეობა.
4. დიახ, იგი დაისჯება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის.

ტესტი 45.

კადაძე, რომელიც ავტომანქანას მართავდა მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით, იანვრის სუსხიან დამეს, ვაკე-საბურთალოს გადასახვევზე, დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს. იგი მანქანიდან გადმოვიდა, დაათვალიერა დაზიანებული და მიხვდა, რომ დროული სამედიცინო დახმარებით შეეძლო, სიცოცხლე შეენარჩუნებინა მისთვის. მიუხედავად ამისა, მან შეგნებულად დატოვა მსხვერპლი სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობაში, არ გამოუძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და არც თვითონ წაიყვანა საავადმყოფოში. შესაძლებელი სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო, მძიმედ დაშავებული ქვეითად მოსიარულე შემთხვევის აღვილზევე გაიყინა და მოკვდა.

როგორ დაკვალიფიცირდება მძღოლის ქმედება?

1. როგორც განსაცდელში მიტოვება.
2. როგორც უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობა, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ.
3. როგორც დაუხმარებლობა.
4. როგორც საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება.

ტესტი 46.

ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოკვლის განზრახვით, ფეხით მოსიარულე არჩვაძეს თავს დაესხა ნიკოლსკი. თავდაცვის

მიზნით, რათა შეეშინებინა თავდამსხმელი, არჩევადკმ გაისროლა სამჯერ. ერთ-ერთი ტყვია შემთხვევით მოხვდა თავდამსხმელს და გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე.

შეიძლება თუ არა სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით იქნეს გამართლებული?

1. არა, ვინაიდან არ შეიძლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა არსებობდეს გაუფრთხილებლობით.

2. არა, სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობა არ შეიძლება გამართლდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით.

3. დიახ, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს გაუფრთხილებელი აუცილებელი მოგერიება.

4. დიახ, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით შეიძლება სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობის გამართლება.

ტესტი 47.

დამის კლუბში ყოფნისას ჩალაძეს და მის მეუღლეს თავს დაესხა მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა. მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიების დროს ჩალაძემ ზიანი მიაყენა რესტორის ქონებას, თავდაცვის მიზნით გაანადგურა და დააზიანა ჭურჭელი, ავეჯი და სხვა მოწყობილობა.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელი გარემოებით შეიძლება გამართლდეს ჩხუბის დროს სხვი-სი ქონების განადგურება და დაზიანება?

1. აუცილებელი მოგერიებით.

2. მართლზომიერი რისკით.

3. უკიდურესი აუცილებლობით.

4. ბრალის არარსებობით, მიუხედავად ქმედების მართლ-წინააღმდეგობისა.

ტესტი 48.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბის ინსტრუქტორმა კალაძემ განიზრახა ამავე კლუბის წევრი ხარაძე წაექეზებინა კლუბის დირექტორის მკვლელობისაკენ და ამით შური ეძია ამ უკანასკნელის მიმართ. მიუხედავად დიდი მეცადინეობისა, მან ხარაძეს ვერ აღუძრა დანაშაულის ჩადენის სურვილი, რითაც მან ვერ განახორციელა მიზანი.

დასჯადია თუ არა კალაძის ქმედება?

1. დიახ, იგი დაისჯება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მოზადებისათვის.

2. დიახ, იგი დაისჯება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წაქეზებისათვის.

3. არა, დანაშაულის უშედეგო წაქეზება არ არის დასჯადი.

4. არა, დანაშაულის წაქეზება არ არის დასჯადი.

ტესტი 49.

ინჟინერი ანდლულაძე ისვენებდა თავის საზაფხულო აგარაკზე. ერთ საღამოს მის სამუშაო ოთახში შევიდა უცხო პიროვნება, რომელსაც მისთვის მეგობრის მიერ გამოგზავნილი წერილი უნდა გადაეცა. მას არავითარი დანაშაულებრივი განზრახვა ანდლულაძის მიმართ არ ამოძრავებდა. ინჟინერს ეგონა, რომ მასზე განხორციელდა სიცოცხლისათვის სახიფათო თავდასხმა, რის გამოც დაუყონებლივ სამუშაო მაგიდის უჯრიდან ამოიღო რეკოლმერი და ესროლა ოთახში შემოსულ პიროვნებას, რითაც დაუშვა შეცდომა, რაც არ არის მისატყვებელი. ამ გასროლას შედეგად მოჰყვა სიკვდილი.

შეიძლება თუ არა შეფასდეს ინჟინრის მოქმედება განზრახ მკვლელობად?

1. დიახ, ვინაიდან მასზე არ განხორციელებულა რეალური თავდასხმა.
2. არა, მისი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.
3. არა, ვინაიდან მისი მოქმედება წარმოადგენს განზრახ მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.
4. დიახ, ვინაიდან მან დაუშვა შეცდომა, რაც არ არის მისატყვებელი.

ტესტი 50.

სამსახურიდან მომავალმა პაპავამ დაინახა, რომ მისი თანასოფლელი ბავშვი მდინარეში იხრჩობოდა და შეველას ითხოვდა. მას ჰქონდა განსაცდელში მყოფი ბავშვის გადარჩენის შესაძლებლობა, მაგრამ შეგნებულად არ დაეხმარა მას, რადგან არ ჩათვალა საჭიროდ მისი დახმარება. ამ შემთხვევას შედეგად არ მოჰყოლია ბავშვის დახრჩობა, მიიღო მხოლოდ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ვინაიდან სხვა შემთხვევით გამკვლელმა გაუწია დახმარება.

როგორ შეფასდება სისხლისსამართლებრივად პაპავას უმოქმედობა?

1. როგორც განსაცდელში მიტოვება.
2. როგორც დაუხმარებლობა.
3. როგორც უმოქმედობით ჩადენილი ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.
4. როგორც მართლზომიერი ქმედება.

ტესტი 51.

მეზობლის, ნათაძის წაქეზებით ჩიგოგიძე გადავიდა სავაჭრო ცენტრის ფანჯარაში და იქიდან გამოიტანა ძვირფასი ნივთები. სამედ-იცილო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, ჩიგოგიძემ ეს ქმედებები ჩაიდინა შეურაცხად, კერძოდ, ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის მდგომარეობაში.

როგორ უნდა გადაწყდეს ნათამის და ჩიგოგიძის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

1. ჩიგოგიძემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არაბრალეული ქმედება, ხოლო ნათამე პასუხს აგებს ქურდობის შეუღობითი ამსრულებლობისათვის.

2. ჩიგოგიძემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ხოლო ნათამე პასუხს აგებს ქურდობის წაქეზებისათვის.

3. ჩიგოგიძემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული არამართლსაწინააღმდეგო და არაბრალეული ქმედება, ხოლო ნათამე პასუხს აგებს როგორც ქურდობის თანამსრულებელი.

4. ჩიგოგიძეს სასჯელის სახით უნდა შეეფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ხოლო ნათამე პასუხს აგებს შეუღობითი ამსრულებლობისათვის.

ტესტი 52.

რაიონულმა სასამართლომ სირბილაშვილს თადლითობისათვის, რომელიც ითვალისწინებს ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, სასჯელის სახით შეუფარდა სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო ინსტანციაში, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლომ იგი გაათავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაზარალებულთან შერიგების გამო.

აკმაყოფილებს თუ არა მოცემული სიტუაცია დაზარალებულთან შერიგების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობებს?

1. დიახ, ვინაიდან სირბილაშვილმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სასამართლომ დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა, ვადით არა უმეტეს სამი წლისა.

2. არა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას.

3. დიახ, ვინაიდან სირბილაშვილმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სანქციით გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას.

4. არა, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას დაზარალებულთან შერიგების გამო.

ტესტი 53.

წიგწივაძემ ნათესავი ბიჭი, რომელიც მისი ბიჭის თანაკლასელი იყო და მისი წარმოდგენით შერაცხადი, ე.ი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ეგონა, დაიყოლია ქურდობის ჩასადენად და გამოიყენა მეზობლის ბინიდან ფარულად ძვირფასი ნივთის გამოტანაში. სინამდვილეში იგი შეურაცხადი იყო, რის შესახებაც არ იცოდა წიგწივაძემ.

როგორ უნდა გადაწყდეს წიგწივაძის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

1. იგი დაისჯება, როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულე-ბელი, ვინაიდან ობიექტურად შეურაცხადი პირი გამოიყენა დანაშაულის ჩასადენად.

2. იგი დაისჯება როგორც დანაშაულის წამქეზებელი, ვინაიდან შეგნებული ჰქონდა, რომ სხვა დაიყოლია განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

3. იგი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან მისი წარმოდგენით შერაცხად პირს აქეზებდა დანაშაულის ჩასადენად, რაშიც იგი შეც-და.

4. იგი დაისჯება დანაშაულის მომზადებისათვის, ვინაიდან სახ-ეზეა უშედეგო წაქეზება.

ტესტი 54.

ლელაშვილმა მეზობლის ქალი ცემა და მიაყენა ჯანმრთელო-ბის განზრახ მიძიმე დაზიანება მოკვლის განზრახვით, მაგრამ სანამ სასიკვდილო შედეგი დადგებოდა, მასში გაიღვიძა სინანულის გრძობამ და ყველა საშუალება გამოიყენა დაზარალებულის გადასარჩენად. ლელაშვილის დახმარებით დაზარალებული გადარჩა.

დაისჯება თუ არა ლელაშვილი მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის?

1. არა, იგი არ დაისჯება, ვინაიდან მან თავისი მოქმედებით ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულზე.

2. არა, იგი არ დაისჯება, ვინაიდან ადგილი აქვს ქმედით მო-ნანიებას.

3. დიახ, იგი დაისჯება, ვინაიდან მან, მართალია, ნებაყოფლობით აიღო ხელი მკვლელობაზე, მაგრამ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენი-ლი ქმედება წარმოადგენს სხვა დანაშაულს – ჯანმრთელობის გან-ზრახ მიძიმე დაზიანებას.

4. დიახ, იგი დაისჯება მკვლელობის მცდელობისათვის, ვინაიდ-ან იგი მოქმედებდა დაზარალებულის მოკვლის განზრახვით.

ტესტი 55.

ჩუბინიძემ, მოქმედებდა რა ერთ-ერთი ბიზნესმენის ანგარების მოტივით მოკვლის განზრახვით, ააფეთქა საზაფხულო აგარაკი, რომელ-

შიც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. ჩუბინიძეს, მართალია, არ სურდა სხვა ადამიანების სიკვდილი, მაგრამ დარწმუნებული იყო ორი ან მეტი პირის სიკვდილის დადგომის გარდაუვალობაში.

როგორი არის ორი ან მეტი პირის მკვლელობისადმი დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება?

1. იგი მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით.
2. იგი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.
3. იგი მოქმედებდა თვითიმედოვნებით.
4. იგი მოქმედებდა დაუდევრობით.

ტესტი 56.

მოძრაობდა რა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესების დაცვით, მანქანის მართვის დროს გაგნიძე შემთხვევით დაეჯახა ქვეითად მოსიარულე მჭედლიძეს. იგი გადმოვიდა ავტომანქანიდან და ნახა, რომ დაზარალებული იყო ის პიროვნება, რომელთანაც მას მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. მძღოლს ეგონა, რომ დროული სამედიცინო დახმარებით დაზარალებულს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, მაგრამ შეგნებულად დატოვა იგი სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობაში. მჭედლიძე ერთ საათში გარდაიცვალა. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, დაზიანების სიმძიმის გამო, მძღოლის სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან ვერ იქნებოდა აცილებული.

როგორი იქნება მძღოლის ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ.
2. იგი დაისჯება განსაცდელში მიტოვებისათვის.
3. იგი დაისჯება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის.
4. იგი დაისჯება დაუხმარებლობისათვის.

ტესტი 57.

მშობლებისადმი შურისძიების გრძნობით აღსავსე ნაკაშიძემ მეზობლის ბავშვი გადააგდო მაღალი ხიდიდან დრმა მდინარეში. იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ბავშვი წყალში დაიხრჩობა. სინამდვილეში მან სწორად ვერ განსაზღვრა მიზეზობრივი კავშირის შესაძლო განვითარება, ვინაიდან ბავშვი მოკვდა არა წყალში დახრჩობით, არამედ რკინის ბოძზე თავის დარტყმით.

დაისჯება თუ არა ნაკაშიძე დამთავრებული მკვლელობისათვის?

1. არა, იგი დაისჯება განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის

მიმართ, ვინაიდან შეცდომა დაუშვა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში.

2. არა, იგი დაისჯება სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანებისათვის, ვინაიდან შეცდომა დაუშვა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში.

3. დიას, იგი დაისჯება დამთავრებული მკვლევარობისათვის, ჩადენილი შურისძიების ნიადაგზე, ვინაიდან მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორი არ არის საჭირო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის.

4. დიას, იგი დაისჯება დამთავრებული მკვლევარობისათვის, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის მიმართ, ვინაიდან ამგვარი შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ზეგავლენას ვერ მოახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე.

ტესტი 58.

პირთა ჯგუფმა შეიტყო, რომ მერსედესის მარკის ავტომანქანას აეროპორტიდან ერთ-ერთ ბანკში უნდა გადაეტანა 200 000 ამერიკული დოლარი. ისინი შეიარაღდნენ, ჩასხდნენ საკუთარ მანქანაში და დაიწყეს იმ სავარაუდო მარშრუტით მოძრაობა, სადაც ფულიან მანქანას უნდა გამოეკვლო. მიუხედავად მთელი დღის ძებნისა, ამ მანქანას ვერ მიაგნეს. თვერატული ინფორმაციის საფუძველზე, საღამოს ისინი დააკავა პოლიციამ.

როგორი იქნება ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ისინი დაისჯებიან ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

2. ისინი დაისჯებიან ყაჩაღობის მცდელობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

3. ისინი დაისჯებიან ყაჩაღობის მომზადებისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

4. ისინი არ დაისჯებიან, ვინაიდან განზრახვის გამომჟღავნება არ ისჯება, თუ იგი კონკრეტულ ქმედებაში არ გამოიხატა.

ტესტი 59.

პოლიციელმა ჩაჩანიძემ შურისძიების მოტივით ერთ-ერთ ქორწილში ტყვია გაისროლა იმ მაგიდისკენ, სადაც ისხდნენ კორძაძე და საბანაძე. მას განზრახული ჰქონდა, ტყვიის გასროლით მოეკლა ამ ორი პიროვნებიდან ერთ-ერთი, ამასთან მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა თუ რომელ მათგანს მოხვდებოდა ტყვია და მოკვდებოდა. მისგან მოულოდნელად ამ ერთი გასროლით ტყვია მოხვდა კორძაძესაც და საბანაძესაც, რითაც ორივეს სიკვდილი დადგა.

როგორ შეფასდება პოლიციელის ქმედება?

1. როგორც ორი პირის განზრახი მკვლევლობა.

2. როგორც შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი განზრახი მკვლელობა და სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობა.

3. როგორც ორი პირის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

4. როგორც შურისძიებით ჩადენილი განზრახი მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

ტმსტი 60.

ბორჯომის პარკში, გვიან საღამოს ჩალაძემ ისარგებლა იმით, რომ პარკში მათ გარდა არავინ იმყოფებოდა და გადაწყვიტა იქ მოსეირნე ქალთან - ებრალიძესთან იძულებითი სქესობრივი კავშირის დამყარება. ამ მიზნით იგი ძალადობის მუქარით თავს დაესხა ებრალიძეს. როდესაც განზრახვის სისრულეში მოყვანა დააპირა, ქალმა უთხრა, რომ ორსულად იყო და თხოვა სქესობრივი კავშირი არ დამეყარებინა მასთან, თანაც შეჰპირდა ხუთასი ლარის გადახდას, რაც გადაუხადა კიდევ. მიიღო რა ეს თანხა, ჩალაძემ იძულებითი სქესობრივი კავშირი არ დაამყარა ებრალიძესთან.

როგორ შეფასდება ჩალაძის ქმედება ?

1. იგი დაისჯება გაუპატიურების მომზადებისათვის.

2. იგი დაისჯება გაუპატიურების მცდელობისათვის.

3. იგი დაისჯება წინასწარი შეცნობით ორსული ქალის გაუპატიურებისათვის.

4. იგი არ დაისჯება, ვინაიდან დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი.

ტმსტი 61.

ჩიბიროვი შევიდა თავისი მეზობლის პაპავას ბინაში, შურისძიების გრძნობით აღსავსემ დაზარალებულის ოჯახის წევრების, მათ შორის მისი ბავშვების თანდასწრებით მოკვლის მიზნით ესროლა პაპავას, რომელსაც ტყვია შემთხვევით აცდა და ჩიბიროვის ნების საწინააღმდეგოდ მოულოდნელად მის შეუღლებს მოხვდა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

როგორია ამ ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. დანაშაულთა ერთობლიობა: შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი განზრახი მკვლელობის მცდელობა და სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

2. მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

3. ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

4. დანაშაულთა ერთობლიობა: განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის მცდელობა და სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ტესტი 62.

ღამით, გლდანის დასახლებაში, ჩუბინიძე შევიდა ნადაძის სავაჭრო ჯიხურში და დაუპირა გაუპატიურება. გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე ნადაძემ უთხრა, რომ მისთვის ამ საღამოს თავი დაენებებინა, ხოლო მეორე დღეს 12 საათზე თანახმა იყო მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა. ჩუბინიძე დათანხმდა მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, მაგრამ მეორე დღეს 12 საათზე ნადაძის ბინაში მისულს იქ პოლიცია დახვდა, რომელმაც იგი წინა ღამის გაუპატიურების მცდელობისათვის დააკავა.

როგორი იქნება ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ჩუბინიძე დაისჯება გაუპატიურების მომზადებისათვის.
2. ჩუბინიძე დაისჯება გაუპატიურების მცდელობისათვის.
3. ჩუბინიძე დაისჯება გარყვნილი ქმედებისათვის.
4. ჩუბინიძე არ დაისჯება, ვინაიდან დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი.

ტესტი 63.

სოფელში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლს შემთხვევით ცეცხლი გაუჩნდა. ამ სოფლის მკვიდრმა თაყაძემ მოინდომა ცეცხლის ჩაქრობა. ამ უკანასკნელს თანასოფელმა ხარაძემ, რომელიც დაინტერესებული იყო სახლის დაწვით, არ მისცა შესაძლებლობა ჩაექრო ცეცხელი. პირიქით, დაემუქრა მას, თუ იგი მოქმედებას არ შეწყვეტდა. თაყაძეს არ მიეცა შესაძლებლობა გადაერჩინა სხვისი ქონება, რისი შესაძლებლობაც მას ჰქონდა, მისთვის რომ ხარაძეს ხელი არ შეეშალა. სასამართლომ ხარაძის ქმედება შეაფასა, როგორც სხვისი ნივთის განზრახ განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით.

სწორია თუ არა ხარაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. არა, ვინაიდან სახლისთვის ცეცხლი ხარაძეს არ წაუკიდებია.
2. დიახ, ვინაიდან ხარაძის მოქმედებასა და სახლის დაწვას შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.
3. დიახ, ვინაიდან ხარაძე არის სხვისი ნივთის განზრახ განადგურების წამქეზებელი.
4. არა, ვინაიდან ხარაძეს არ ეკისრებოდა სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია.

ტესტი 64.

ქარხნის მექანიკოსმა ალასანიამ განიზრახა დროებით განერებული ქარხნის აფეთქება. მან ღლისით დაუბრკოლებლად შეაღწია საწარმოს ტერიტორიაზე და იქ დაამონტაჟა მძლავრი ასაფეთქებელი მოწყობილობა. შემდეგ უკანვე გამობრუნდა, რათა ეყიდა საათის

მექანიზმი, რომელიც ნაღმს მოქმედებაში მოიყვანდა. გზაში იგი დაკაჟებული იქნა.

როგორი იქნება ალასანიას მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. როგორც აფეთქებით სხვისი ნივთის განზრახი განადგურების მცდელობა, რასაც მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოეწვია.
2. როგორც დამთავრებული დანაშაული - სხვისი ნივთის განზრახი განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.
3. როგორც აფეთქებით სხვისი ნივთის განზრახი განადგურების მომზადება, რასაც მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოეწვია.
4. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

ტმსტი 65.

სამხედრო ოფიცერმა სახვაძემ განიზრახა ხიდის აფეთქება. ამ მიზნით მან ხიდზე მოათავსა პატრუქიანი ნაღმი და ცეცხლი მოუკიდა. როცა იგი უკან გამობრუნდა, უცებ სინანულმა შეიპყრო და კვლავ დაბრუნდა პატრუქის ჩასაქრობად. სანამ ის ნაღმთან მივიდოდა, მძლავრი წვიმა წამოვიდა და პატრუქი თავისთავად ჩააქო. სახვაძე პასუხისგებაში იქნა მიცემული ხიდის აფეთქების მცდელობისათვის.

სწორია თუ არა სახვაძის ქმედების ასეთი სამართლებრივი შეფასება?

1. არა, ვინაიდან სახვაძემ ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე.
2. არა, ვინაიდან სახვაძემ გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მოყვანა და ეცადა კიდევ ცეცხლის ჩაქრობას, რაც უნდა შეფასდეს ქმედით მონანიებად.
3. დიახ, ვინაიდან სახვაძის ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არაბრალეული.
4. დიახ, ვინაიდან სახვაძემ ჩაიდინა განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მოყვანილი.

ტმსტი 66.

სოფლის მოსახლეობა ეწეოდა ამ სოფლის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის საწყობიდან სურსათ-სანოვანის სისტემატურ ფარულ გატაცებას. მომავალში მოსალოდნელი ქურდობების თავიდან აცილების მიზნით, სამხედრო ნაწილის სასურსათო საწყობს, დაცვის მიზნით, შემოავლეს სიცოცხლისათვის საშიფათო ელექტრომაგთულხლართი. ერთ დღეს ქურდი, რომელმაც არ იცოდა ამ ღონისძიების შესახებ, მართლაც დაზიანდა სასიკვდილოდ. ელექტრომაგთულხლართის შემოვლება მიზნად ისახავდა ქურდობის შემთხვევაში სწორედ ასეთი შედეგის დადგომას.

შეფასდება თუ არა საწყობისათვის ელექტრომაგთულხ-
ლართის შემოვლებით ქურდის სიცოცხლის ხელყოფა აუცი-
ლებელი მოგერიების მდგომარეობად?

1. დიას, ვინაიდან ქონებაზე განხორციელდა მართლსაწინააღმ-
დეგო თავდასხმა.
2. არა, ვინაიდან ეს მოქმედება შეიძლება შეფასდეს უკიდურესი
აუცილებლობის მდგომარეობად.
3. დიას, ვინაიდან დაცულია აუცილებელი მოგერიების მართლ-
ზომიერების პირობები.
4. არა, ვინაიდან ამ შემთხვევის აუცილებელი მოგერიების მდგო-
მარეობით გამართლება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა 1950
წლის ევროპულ კონვენციას.

ტესტი 67.

შაფათავამ სიკინტილაშვილს გადასცა ოთხი ცალი ყალბი ას-
დოლარიანი და სთხოვა გაესაღებინა. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ
ყალბი ფული გადასცა გურგენიძეს და დაავალა გასაღება. გურ-
გენიძემ ყალბი ასდოლარიანები ნებაყოფლობით ჩააბარა პოლიციას
და დაასახელა თანამონაწილენი. სასამართლომ სიკინტილაშვილის
ქმედება შეაფასა ყალბი ფულის გასაღებად.

სწორია თუ არა სასამართლოს მიერ გაკეთებული შე-
ფასება?

1. დიას, ვინაიდან შაფათავამ და სიკინტილაშვილმა ყალბი ფული
გაასაღეს გურგენიძეზე.
2. დიას, ვინაიდან ყალბი ფულის გასაღება გულისხმობს მის
სხვა პირზე გადაცემას. გასაღება ჩადენილია ფულის სიკინტილაშ-
ვილისათვის გადაცემის მომენტიდან.
3. არ არის სწორი, ვინაიდან ყალბი ფული დამნაშავეთა ჯგუფის
ფარგლებს არ გაცილებია და იგი ბრუნვაში არ იყო გაშვებული,
ამიტომ იგი უნდა შეფასდეს გასაღების მცდელობად.
4. არ არის სწორი, ვინაიდან შაფათავამ სიკინტილაშვილმა და
გურგენიძემ ნებაყოფლობით ხელი აიღეს დანაშაულის ჩადენაზე.

ტესტი 68.

ხერხეულიძე, ჩაჩანიძის გაუპატიურების მიზნით ღამით შეიპარა
მის საცხოვრებელ ბინაში. ხერხეულიძემ იცოდა, რომ ჩაჩანიძე 6
თვის ორსული იყო. როდესაც განზრახვის სისრულეში მოყვანა და-
პირა, მაგიდაზე შენიშნა ვაზაში ჩაწყობილი ოქრო და ძვირფასი
ქვები. ხერხეულიძემ იფიქრა, რომ ძვირფასი ნივთების წაღება უფრო
სარგებლიანი იქნებოდა, ამიტომ გაუპატიურება გადაიფიქრა. იქვე
დადებული ჩანთა აიღო, ძვირფასი ნივთები შიგ ჩააწყო და ბინიდან
შეუმჩნეველად გაიპარა. სასამართლომ მისი ქმედება დააკვალიფიცირა
გაუპატიურების მცდელობად და ქურდობად.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ?

1. დიახ, ვინაიდან ხერხეულიძის განზრახვა გაეუკატიურებინა ჩანაძიე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

2. დიახ, ვინაიდან ძვირფასეულობის დანახვამ ის აიძულა ხელი აეღო დანაშაულზე.

3. არა, ვინაიდან ხერხეულიძემ, ორი დანაშაულიდან აირჩია ერთი და ამით ნებაყოფლობით ხელი აიღო მეორის ჩადენაზე.

4. არა, ვინაიდან ხერხეულიძე ბინაში შევიდა მხოლოდ გაუპატიურების განზრახვით.

ტესტი 69.

არჩვადემ გადაწყვიტა ასათიანისათვის გამოეძალა დიდი ოდენობით ფული. ამ მიზნით მან შაბათ საღამოს დაწერა დაზარალებულისა და მისი მეუღლის მიმართ მუქარის წერილი, რომელიც უნდა გაეგზავნა ორშაბათს.

სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ეჭვმიტანილი არჩვადის ბინის ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ეს წერილი.

დაისჯება თუ არა არჩვადე გამოძალგის მიზნით ჩადენილი ქმედებისათვის?

1. დიახ, ვინაიდან გამოძალგა დამთავრებულად ითვლება ქონებაზე უფლების მოთხოვნის მომენტიდან.

2. არა, ვინაიდან არჩვადემ მხოლოდ გამოამჟღავნა თავისი დანაშაულებრივი ნება.

3. არა, ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულებრივი ქმედება აღკვეთილ იქნა მომზადების სტადიაზე.

4. დიახ, ვინაიდან გამოძალგის მომზადება დასჯადია.

ტესტი 70.

კალაძე შეეარდა თავისი დირექტორის გასვიანის ბინაში, რომელმაც იგი კანონიერ საფუძველზე გაათავისუფლა სამსახურიდან. შურისძიების გრძნობით აღსაყვამ დაზარალებულის ოჯახის წევრების, მათ შორის მისი ბავშვების თანდასწრებით რევოლვერიდან მოკვლის მიზნით ესროლა გასვიანის მეუღლეს, რომელიც ამ სროლის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

როგორია ამ ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

2. მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით.

3. მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე.

4. დანაშაულთა ერთობლიობა: განზრახი მკვლელობა, მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან

სახოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით.

ტიპი 71.

წინასწარი მოლაპარაკების შედეგად ჩოხელმა ერაძისაგან მიიღო ჯაფარიძის მოკვლის დავალება. ამ უკანასკნელს გააჩნდა ერაძის მეგობრის მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტის და ყაჩაღობის მამხილებელი მტკიცებულებები. ამ მოქმედებისათვის ერაძე ჩოხელს შეჰპირდა სამსახურებრივ დაწინაურებას. ამ დავალების შესახებ თვით ერაძის მეგობარმა არაფერი არ იცოდა. ჩოხელმა, ეგონა რა ჰკლავდა ჯაფარიძეს, შეეშალა და საცხოვრებელი ბინის სადარბაზოში შეცდომით მოკლა დოლიძე, რომელიც ჯაფარიძე ეგონა.

როგორია ჩოხელის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობა, ჩადენილი შეკვეთით და სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.
2. განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, რადგან მკვლელს სურს დაფაროს არა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, არამედ სხვა პირის მიერ ჩადენილი.
3. დანაშაულთა ერთობლიობა: ჯაფარიძის განზრახ მკვლელობის მცდელობა შეკვეთით და დოლიძის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.
4. დანაშაულთა ერთობლიობა: სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჯაფარიძის განზრახი მკვლელობის მცდელობა და დოლიძის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ტიპი 72.

ზაფხულის ცხელ სადამოს, პარკში სეირნობის დროს ჭიღლაძის ძაღლმა უკბინა გოგონას, რომელიც ბაბუასთან ერთად სეირნობდა პარკში. ძაღლის თავდასხმის მოგერიების მიზნით, რათა ბავშვი გადაერჩინა, ბაბუამ დაახრჩო იგი.

შეფასდება თუ არა ჩადენილი მოქმედება როგორც სხვისი ნივთის განზრახ განადგურება ან დაზიანება ?

1. არა, რადგან იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.
2. დიახ, იგი დაისჯება სხვისი ნივთის განზრახ განადგურებისათვის.
3. არა, რადგან იგი იმყოფებოდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.
4. დიახ, იგი დაისჯება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებისათვის.

ტმსტი 73.

ანთაძეს არ ჩაუდენია არავითარი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის წესით დასჯადია. დაზარალებულისა და მოწმეთა ცრუ ჩვენებების საფუძველზე, სასამართლომ მას მსჯავრი დასდო ყაჩაღობის ჩადენისათვის, რისთვისაც შეუფარდა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგი მოთავსებულ იქნა შკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ღამის საათებში პატიმარმა დაცვის სამსახურის თანამშრომლებს გაუწია წინააღმდეგობა და ძალადობის გამოყენებით მოახერხა გაქცევა.

შეფასდება თუ არა ანთაძის ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად?

1. არა, ვინაიდან მას შეეფარდა სასჯელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

2. დიახ, ვინაიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არაბრალეულად მოთავსება პირს აძლევს აუცილებელი მოგერიების უფლებას, რაც შეიძლება გამოიხატოს ამ დაწესებულების დაცვის სამსახურზე წინააღმდეგობის გაწევაში და გაქცევაში.

3. არა, ვინაიდან სასჯელის აღსრულება, მიუხედავად პირის არაბრალეულობისა, არ წარმოადგენს მსჯავრდებულის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას.

4. დიახ, ვინაიდან ნებისმიერი პატიმრის უფლებაა თავი დააღწიოს თავისუფლების აღკვეთის მდგომარეობას, რის გამოც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის.

ტმსტი 74.

წიგნივადემ მემკვიდრეობის მიღების მიზნით განიხრახა სიცოცხლე მოესპო ორი სხვა მემკვიდრისათვის. ერთი მათგანი მასთან სტუმრად იმყოფებოდა, რომელიც საჭმელში საწამლავის ჩაერთო მოკლა, ხოლო მეორე აბასთუბანში ცხოვრობდა, სადაც მკვლეელი ერთი კვირის შემდეგ ჩავიდა. ეს უკანასკნელი წიგნივადემ ღამით თავზე ბალიშის დაფარებით დაახრჩო.

როგორია წიგნივადის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. მკვლელობა ორი ან მეტი პირისა და ჩადენილი ანგარებით.

2. მკვლელობა ანგარებით და ჩადენილი არაერთგზის, ვინაიდან ორი მკვლელობა ერთდროულად არ მომხდარა.

3. მკვლელობა, ჩადენილი არაერთგზის, ვინაიდან ორ მკვლელობას შორი გარკვეულმა დრომ გაიარა.

4. ანგარებითი მკვლელობა, ვინაიდან იგი ჩადენილია ქონებრივი გამორჩენის მიზნით.

ტექსტი 75.

პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ცნობილი ბანკირის ჯანაშვილის ბინის დაყაჩაღება. ამისათვის ისინი შეიარაღდნენ დანებითა და ცეცხლსასროლი იარაღებით და ღამით შევიდნენ ჯანაშვილის სახლში. ოჯახის წევრებს ეძინათ. ბოროტმოქმედებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და ფარულად წაიღეს ამ ოჯახის კუთვნილი ძვირფასეულობა.

როგორ უნდა შეფასდეს მათ მიერ ჩადენილი ქმედება?

1. ისინი დაისჯებიან ბინაში შეღწევით ყაჩაღობის მომზადებისა და ბინაში შეღწევით ქურდობისათვის.
2. ისინი დაისჯებიან ბინაში შეღწევით ყაჩაღობის მცდელობისათვის.
3. ისინი დაისჯებიან ბინაში შეღწევით ძარცვისათვის.
4. ისინი დაისჯებიან მხოლოდ ბინაში შეღწევით ქურდობისათვის.

ტექსტი 76.

ერთ-ერთი ბაზრის ტერიტორიაზე, საღამოს საათებში, უცხოური საქონლით დატვირთულ ნოზაძის ავტომანქანას თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული პირი. თავდაცვის მიზნით ნოზაძემ უმისამართოდ გაისროლა რამდენჯერმე, რათა შეეშინებინა თავდამსხმელები. ტყვია შემთხვევით მოხვდა ერთ-ერთ თავდამსხმელს, რამაც მისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა გამოიწვია.

შეიძლება თუ არა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით იქნეს გამართლებული?

1. არა, აუცილებელი მოგერიება შეიძლება მხოლოდ განზრახი მოქმედებით იქნეს განხორციელებული
2. დიახ, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით შეიძლება გამართლდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით.
3. დიახ, აუცილებელი მოგერიება შეიძლება გაუფრთხილებლობითაც.
4. არა, ვინაიდან მომგერიებელს ზუსტად არა აქვს გაცნობიერებული თავისი მოქმედებით გამოწვეული შედეგის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

ტექსტი 77.

პარკში ელენე სეირნობდა ძვირად ღირებული ბეწვის ქურქით. ამ დროს მოულოდნელად დაიწყო ძლიერი წვიმა და ჭექა-ქუხილი. ამ ვითარებაში ელენეს ქმარმა დევიდემ ღარიბულად ჩაცმულ ახალგაზრდა ქალს იარაღის მუქარით წაართვა ქოლგა, რათა მისი მეუღლე და ძვირფასი ქურქი არ დასველებულიყო. წვიმის შემდეგ კი ისევ უკან დაუბრუნა თავისი ნივთი.

შეფასდება თუ არა ჩადენილი ქმედება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობად იმ პრინციპით, რომ დაზიანებული სიკეთე ნაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე გადარჩენილი სიკეთე?

1. დიას, ვინაიდან ქურქი უფრო ძვირად ღირებულია, ვიდრე ქოლგა.

2. დიას, ვინაიდან დაცულია უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობები.

3. არა, მისი მოქმედება შეფასდება ყანალობად.

4. არა, ვინაიდან აშკარად დარღვეულია უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობები.

ტესტი 78.

მოსამართლემ განსასჯელ ახობაძეს თადლითობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში მიუსაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. თავისუფლების აღკვეთის აღვილიდან დაბრუნებულმა ახობაძემ, შეეცადა რა მოსამართლის მოკვლას, მიიღო მისგან აუცილებელი მოგერიებით გამართლებული წინააღმდეგობა. ამ ვითარებაში ახობაძემ, რომელიც იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, დაასწრო მოსამართლეს და მოიგურია მისი წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლებოდა ახობაძის მოკვლით ან ჯანმრთელობის დაზიანებით დამთავრებულიყო და მოკლა იგი.

როგორია ახობაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, ჩადენილი დაზარალებულისადმი შურისძიების ნიადაგზე.

2. ახობაძეს არ ჩაუდენია დანაშაული, ვინაიდან იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

3. ახობაძეს არ ჩაუდენია დანაშაული, ვინაიდან იგი იმყოფებოდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

4. განზრახ მკვლელობა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ტესტი 79.

რესტორანში გამართულ ახალი წლის საღესტისა და წაულო წვეულებაზე პეპენაძემ მიიღო ალკოჰოლი და შეგნებულად დათვრა. იგი ფიქრობდა, რომ მთვრალ მდგომარეობაში არ დაჯდებოდა ავტომანქანის საჭესთან. მოგვიანებით იგი, ისევე როგორც სხვა დროს, სიმთვრალით გამოწვეული შეურაცხაობის მდგომარეობაში მაინც დაჯდა მანქანის საჭესთან. გზაში მან დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები და ავტოავარიის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა გურულს.

დაისჯება თუ არა პეპენაძე სიმთვრალეში ჩადენილი ამ ქმედებისათვის?

1. დიას, ვინაიდან სახეზე გვაქვს გაუფრთხილებელი *actio libera in causa*.

2. არა, ვინაიდან ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით მიიმე დაზიანება არ არის დასჯადი ქმედება.

3. არა, ვინაიდან შეურაცხაობის მდგომარეობა გამორიცხავს დასჯადობას.

4. არა, ვინაიდან იგი არ მოქმედებდა ბრალეულად.

ტესტი 80.

ღაცვის სამსახურის ერთ-ერთ თანამშრომელს ერაძეს გადაწვეტილი ჰქონდა ეჭვიანობის ნიადაგზე, სამსახურიდან დაბრუნებულს მოეკლა მისი მეუღლე. საღამოს ერაძის მიერ დაუდევრად შენახული ცეცხლსასროლი იარაღი გაუვარდა მის ვაჟიშვილს, რომელმაც ერაძის მეუღლის სიკვდილი გამოიწვია. ერაძემ ხმამაღლა დიდი კმაყოფილება გამოხატა თავისი განზრახვის ამ გზით სისრულეში მოყვანისა გამო.

დაისჯება თუ არა ერაძე განზრახი მკვლელობისათვის?

1. დიას, იგი დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის, ვინაიდან მისი მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

2. არა, ვინაიდან დანაშაულში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა არ ისჯება.

3. დიას, ვინაიდან მას ცოლის მოკვლის განზრახვა ჰქონდა, რომელიც აღსრულდა კიდევ.

4. არა, იგი დაისჯება ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვისათვის, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ტესტი 81.

ნოზაძე, რომელსაც უნდოდა შური ეძია მოსამართლეზე, რომელმაც მისი შვილის მიმართ დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი, შევიდა მოსამართლის ეზოში. მან სიბნელეში ფანჯრის მიღმა მდგომი ადამიანის ფიგურა დაინახა. ვინაიდან მოსამართლე მარტო ცხოვრობდა, ეგონა, რომ სახლში მარტო იქნებოდა. ნოზაძემ ესროლა ადამიანის სილუეტს და მოკლა იგი. სინამდვილეში იგი მოსამართლის მეგობარი ქალი აღმოჩნდა.

დაისჯება თუ არა ნოზაძე განზრახ ჩადენილი დამთავრებული მკვლელობისათვის?

1. არა, იგი დაისჯება განზრახ მკვლელობის მცდელობისა და სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

2. არა, იგი დაისჯება მკვლელობის მომზადებისათვის.

3. არა, იგი დაისჯება მხოლოდ სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

4. დიას, იგი დაისჯება დამთავრებული განზრახი მკვლელობისათვის მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ტესტი 82.

ნინიძემ მოკლა თავისი მეგობარი გოგონა, რომელიც ნინიძეს ატყუებდა და არწმუნებდა, რომ მისგან ორსულად იყო. ნინიძე ქალაქ გარეთ სასეირნოდ წავიდა ამ გოგონასთან ერთად. მოტყუებულმა ნინიძემ იგი კლდიდან გადააგდო, რათა ორსულობით გამოწვეული მომავალი მოსალოდნელი უსიამოვნებები თავიდან აეცილებინა. სინამდვილეში იგი შეცდა: დაზარალებული არ იყო ფეხმძიმედ, რის შესახებაც კარგად იცოდა ამ უკანასკნელმა.

როგორია ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე, რადგან გადამწყვეტია ის ობიექტური მომენტი, რომ დაზარალებული ორსულად არ იყო.

2. დანაშაულთა ერთობლიობა: განზრახ მკვლელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

3. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რადგან ფაქტური შეცდომა ყოველთვის გამორიცხავს განზრახვისათვის პასუხისმგებლობას.

4. განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ობიექტურ მომენტს, არამედ დამნაშავის სუბიექტურ ნებას.

ტესტი 83.

სოფელში ყოფნის დროს, მეზობლის სახლიდან მომავალ სახვაძეს გამოედევნა ამავე სოფლის მაცხოვრებლის ძაგნიძის ავი ძაღლი. სახვაძეს უნდოდა ძაგნიძის სახლში შესულიყო, მაგრამ კარები დაკეტილი დახვდა. დაზარალებული თხოვდა მას დახმარებას და კარების გაღებას, მაგრამ ამ უკანასკნელს უნდოდა რა შური ეძია მასზე, არხეინად უყურებდა, თუ როგორ კბენდა ძაღლი სახვაძეს. ძაღლმა დაზარალებულს მიაყენა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო ექიმის უხეში დაუდევრობის შედეგად მოიწამლა და გარდაიცვალა.

როგორია ძაგნიძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. როგორც მოქმედებით ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

2. როგორც უმოქმედობით ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

3. როგორც საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება.

4. როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ტესტი 84.

იანვრის სუხსიან ღღუს სკოლიდან მომავალი გაბაიძე, რომელსაც ფეხი დაუცურდა, გადავარდა ხიდიდან, ჩავარდა მდინარეში და იხრჩობოდა. შემთხვევით გამვლელმა, ამავე სოფლის კლუბის დარა-

ჯმა ნაკაიძემ დაინახა განსაცდელში მყოფი პიროვნება, რომელიც წყალში იხრჩობოდა და შეველას ითხოვდა, გადაუგდო თოკი და დაიწყო მისი წყლიდან ამოყვანა. მოულოდნელად მშველელმა განსაცდელში მყოფ ბავშვში მისი ყოფილი დირექტორის შვილი ამოიცნო. მამაზე განაწყენებულმა, ბავშვს წაართვა თოკი, რის შედეგადაც იგი ისევ წყალში ჩავარდა. გაბაიძე დაიხრჩო.

დაისჯება თუ არა ნაკაიძე განზრახი მკვლევლობისათვის?

1. დიას, იგი დაისჯება განზრახ ჩადენილი მკვლევლობისათვის.
2. არა, იგი საერთოდ არ დაისჯება.
3. არა, იგი დაისჯება დაუხმარებლობისათვის.
4. არა, იგი დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

სპობისათვის.

ტესტი 85.

კინოთეატრში ახალი უცხოური მხატვრული ფილმის სანახავად წასულმა ძიძამ სამი საათის განმავლობაში მძინარე ბავშვი დატოვა უმეთვალყურეოდ. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამით ბავშვს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ძიძის არყოფნაში ბავშვმა გაიღვიძა, წყლით სავსე დიდ ჭურჭელში ჩავარდა და დაიხრჩო.

როგორია ძიძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.
2. იგი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან არ ითვალისწინებდა მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას.
3. იგი დაისჯება განსაცდელში მიტოვებისათვის.
4. იგი დაისჯება საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის.

ტესტი 86.

სოფლიდან ავტომანქანით მომავალმა ბერაძემ დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები და დაეჯახა ქვეითად მოსიარულე ქალს. მძღოლმა დახმარება არ აღმოუჩინა განსაცდელში მყოფს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ამასთან მას დაზარალებულის სიკვდილი შესაძლებლად მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ მისი დახმარებით შეუძლო მსხვერპლისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მაგრამ პასუხისმგებლობისაგან რომ თავი დაეღწია, იგი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. ამასთან, ფიქრობდა, რომ ქალს აუცილებლად დაეხმარებოდნენ სხვა მძღოლები, რომლებიც მას თავიანთი მანქანებით უკან მიჰყვებოდნენ, მაგრამ შეცდა, ვინაიდან ქალს არავინ არ გაუწია დახმარება. ამ შემთხვევას შედეგად მოჰყვა ქალის სიკვდილი.

როგორია მძღოლის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება განზრახ ჩადენილი მკვლევლობისათვის.
2. იგი დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

3. იგი დაისჯება განსაცდელში მიტოვებისათვის.

4. იგი დაისჯება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და განსაცდელში მიტოვებისათვის.

ტესტი 87.

ღაცაბიძემ თავის მეუღლესთან ოჯახური უთანხმოებისა გამო გადაწყვიტა, რომ დაეტოვებინა ცოლ-შვილი და საზღვარგარეთ წასულიყო საცხოვრებლად. ცოლი მას მუდმივად ემუქრებოდა, რომ თავსაც მოიკლავდა და ბავშვსაც მოკლავდა, თუ მეუღლე ოჯახს დატოვებდა. ღაცაბიძემ ყურადღება არ მიაქცია მეუღლის მუქარას, დატოვა ცოლ-შვილი და სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. ქალმა თავისი მუქარა აღასრულა.

დაისჯება თუ არა ღაცაბიძე სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის?

1. დიახ, იგი დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

2. არა, რადგან უმოქმედობით სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობის ჩადენა შეუძლებელია.

3. არა, იგი დაისჯება თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის.

4. არა, იგი დაისჯება განსაცდელში მიტოვებისათვის.

ტესტი 88.

ონკოლოგიური საავადმყოფოს პაციენტი ჩაჩანიძე შიძმედ ავად იყო. კვალიფიციური სამედიცინო კომისიის დასკვნით, იგი რამდენიმე დღეში გარდაუვლად მოკვდებოდა. ექიმმა მას მისცა ჯერ კიდევ გამოუცდელი მედიკამენტი, რომელსაც შეიძლებოდა განეკურნებინა იგი, თუმცა ასევე არსებობდა რისკი მისი სიკვდილის დაჩქარებისა. ამ მედიკამენტის მიცემამ ჩაჩანიძის სიკვდილი მართლაც დააჩქარა.

როგორია ექიმის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ექიმი დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

2. ექიმი არ დაისჯება, ვინაიდან არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

3. ექიმი არ დაისჯება, ვინაიდან იგი მოქმედებდა არაბრალეულად.

4. ექიმი დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის.

ტესტი 89.

ერთ-ერთ კლინიკაში გაჩნდა ხანძარი. ხავსებით გამოჯანმრთელებულმა პაციენტმა ზარნაძემ მონაწილეობა არ მიიღო სხვა პაციენტების გადარჩენაში. ასეთი მოქმედების შესრულება მას შეეძლო. ის ფიქრობდა, რომ მას, როგორც კლინიკის პაციენტს, აქეთ უნდა დახ-

მარებოდნენ და მიუხედავად შესაძლებლობისა, მას სხვისი დახმარება არ ევალებოდა.

როგორია პაციენტ ზარნაძის უმოქმედობის სამართლებრივი შეფასება?

1. იგი არ დაისჯება, რადგან არ იყო სამართლებრივი გარანტი სხვა პაციენტებისათვის.

2. იგი დაისჯება დაუხმარებლობისათვის.

3. იგი დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის, რადგან სხვისთვის დახმარების გაწევა მისთვის შესაძლებელი იყო.

4. იგი არ დაისჯება, რადგან მას არ ჰქონდა შეგნებული თავისი სოლიდარული ვალდებულება.

ტესტი 90.

რესტორნის მეპატრონემ გაიგო, თუ როგორ დაგეგმა რესტორანში საქეიფოდ მყოფმა სამმა სტუმარმა ჩაედინათ სხვა სტუმრების გაძარცვა ისეთი ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რომელიც იმავე საღამოს უნდა მომხდარიყო. ნაცვლად სატელეფონო ზარისა და დაუყოვნებლივ შეტყობინებისა, რესტორნის მეპატრონემ პოლიციის სახელზე გააგზავნა წერილობითი შეტყობინება, რომელიც ერთ-ერთ მის თანამშრომელს მეორე დღით უნდა მიეტანა პოლიციის განყოფილებაში. პოლიციაში წერილის მიღების დროს დანაშაული უკვე მომხდარი იყო, რომელიც დაკვალიფიცირდა, როგორც გაძარცვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე.

შეფასდება თუ არა რესტორნის მეპატრონის ქმედება როგორც დანაშაულის შეუტყობინებლობა?

1. დიახ, იგი დაისჯება, ვინაიდან დასჯადია როგორც განსაკუთრებით მძიმე, ისე მძიმე დანაშაულის მზადების შესახებ შეუტყობინებლობა.

2. არა, ვინაიდან მან პოლიციას შეატყობინა დანაშაულის შესახებ.

3. დიახ, ვინაიდან მან ვერ შეძლო დანაშაულებრივი შედეგის აღკვეთა.

4. არა, ვინაიდან ისჯება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების შესახებ შეუტყობინებლობა.

ტესტი 91.

გორი-ხაშურის საავტომობილო გზის მონაკვეთზე სატვირთო ავტომანქანის მძღოლი დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს. მასთან ერთად მანქანაში იჯდა მისი მეგობარი. მძღოლმა და მისმა მეგობარმა არავითარი დახმარება არ გაუწიეს განსაცდელში მყოფს, რის გამოც

დახმარების გარეშე დარჩენილი გარდაიცვალა. მეგობარი დახმარების აღმოუჩენლობისათვის დაისაჯა. იგი ამბობს, რომ მას არ შეეძლება მოეთხოვოს დახმარების აღმოჩენის ვალდებულება, ვინაიდან იგი თავისი მოქმედებით გამოამქლავებდა მისი მეგობრის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას.

როგორია მეგობრის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან მას არ ჰქონდა სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია.

2. იგი დაისჯება დაუხმარებლობისათვის, ვინაიდან არ შეასრულა სოლიდარული ვალდებულება.

3. იგი დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

4. იგი დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის.

ტესტი 92.

ცენტურადემ, როგორც ცურვის მასწავლებელმა, სამი ბავშვი ნაგით შეიყვანა წყლის სიღრმეში. მოულოდნელად ძლიერი ქარიშხლის ამოვარდნის შედეგად, ისინი განსაცდელში აღმოჩნდნენ. ცენტურადემს სამიდან მხოლოდ ორი ბავშვის გადარჩენა შეეძლო, რის გამოც მან ორის სიცოცხლე გადაარჩინა იმ გზით, რომ ერთ-ერთი დატოვა ზღვის სიღრმეში, ხოლო დანარჩენი ორი ნაპირზე გამოიყვანა. დადგენილია, რომ მას არავითარი წინდახედულების ნორმა არ დაურღვევია.

როგორია ცურვის მასწავლებლის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი არ დაისჯება, ვინაიდან არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

2. იგი არ დაისჯება ბრალის არარსებობის გამო.

3. იგი დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის.

4. იგი არ დაისჯება მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.

ტესტი 93.

პირთა ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით განიზრახა ერგემლის ცოლის დაყენება, რის შესახებაც გაიგო ამ უკანასკნელმა. მას შესაძლებლობა ჰქონდა აღეკვეთა ბოროტმოქმედთა ეს განზრახვა, მაგრამ შეგნებულად მიატოვა ცოლი დახმარების აღმოჩენის გარეშე. იგი წინასწარ შეუთანხმდა ყანალებს, რომ ამის შესახებ არ შეატყობინებდა სათანადო ორგანოებს, თუ ისინი გადაიხდიდნენ ათას დოლარს. პირთა ჯგუფმა დათქმულ დროს ჩაიდინა წინასწარ განზრახული ქმედება.

დაისჯება თუ არა ერგემლიძე ცოლის განსაცდელში მიტოვებისათვის?

1. არა, იგი დაისჯება ყანალობის თანაამსრულებლობისათვის.

2. დიას, იგი დაისჯება განსაცდელში მიტოვებისათვის.
3. არა, იგი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან გამოიჩინა უმოქმედობა.
4. არა, იგი დაისჯება ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში დახმარებისათვის, რაც გამოიხატა დანაშაულებრივ უმოქმედობაში.

ტესტი 94.

კოხრეიძემ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში დაიცვა თავისი სიცოცხლე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან, რა დროსაც მან მართლზომიერად სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა თავდამსხმელს. ამის შემდეგ მან შეგნებულად არ აღმოუჩინა მისთვის შესაძლებელი სამედიცინო დახმარება თავდამსხმელს, რომლის სიცოცხლის გადარჩენა დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. თავდამსხმელი გადარჩა შემთხვევით სხვა პირის მხრიდან გაწეული დახმარების შედეგად.

როგორია კოხრეიძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის.
2. იგი დაისჯება დაუხმარებლობისათვის.
3. იგი საერთოდ არ დაისჯება ბრალის არარსებობის გამო.
4. იგი დაისჯება განსაცდელში მიტოვებისათვის.

ტესტი 95.

სამხედრო მეთაურმა ჯარისკაცს უბრძანა მისთვის არასასურველი პიროვნებისათვის სიცოცხლის მოსპობა. ჯარისკაცი იძულებული იყო შეესრულებინა ეს ბრძანება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გარდაუვალი ფიზიკური განადგურება ემუქრებოდა. ამასთან, ჯარისკაცს არ შეეძლო თვით მეთაურის ხელყოფა ან ბრძანების სხვაგვარად შეუსრულებლობა. ჯარისკაცმა შეასრულა მეთაურის ეს ბრძანება.

როგორია ჯარისკაცის მიერ ჩადენილი მკვლელობის სამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება როგორც მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალით.
2. იგი არ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.
3. იგი დაისჯება როგორც მკვლელობის უშუალო ამსრულებელი.
4. იგი არ მოქმედებდა ბრალეულად იძულებითი უკიდურესი მდგომარეობის გამო.

ტესტი 96.

ერთ-ერთ სოფელში აბულაშვილი ძალადობით სქესობრივი კავშირის დამყარებას შეეცადა ამავე სოფლის მასწავლებელთან. ამ

დროს მან მოკლა მეზობლის ქალი, რომელიც შემთხვევით ამ დანაშაულის თვითმხილველი გახდა, რათა მას ამ ქმედების შესახებ არ გაეცხადებინა სათანადო ორგანოებში.

როგორია ამ ქმედებათა სამართლებრივი შეფასება?

1. გაუპატიურების მცდელობა.
2. გაუპატიურების მცდელობა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა.
3. გაუპატიურების მცდელობა და მკვლელობა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.
4. გაუპატიურების მცდელობა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა და მკვლელობა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.

ტესტი 97.

თბილისიდან სოფელში ჩასულ მარტაშვილის ბავშვს გამოუდევნა აბულაშვილის ხარი. ბავშვს უნდოდა მეზობლის – ტეფნაძის ეზოში შესულიყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა კარები ჩაუკეტა. ხარი დაეჯახა ბავშვს და, როგორც ტეფნაძე ფიქრობდა, მიაყენა მას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

როგორ შეფასდება ტეფნაძის ქმედება?

1. როგორც მოქმედებით ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.
2. როგორც უმოქმედობით ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.
3. როგორც განსაცდელში მიტოვება.
4. მეზობელი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან მას არ აკისრია სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია.

ტესტი 98.

ზღვის სანაპიროზე სეირნობის დროს სახვაძემ ნახა, რომ მისთვის უცნობ ერთ-ერთ დამსვენებელ ქალთან მამაკაცი, მიუხედავად ქალის მხრიდან წინააღმდეგობისა, იძულებით სქესობრივ კავშირს ამყარებდა. სახვაძე ამ სურათის ნახვით ჩავარდა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების, ე.ი. ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში და ვინაიდან ქალის დაცვის სხვა არავითარი საშუალება არ გააჩნდა, აფექტის მდგომარეობაში მყოფმა სიცოცხლე მოუსპო მოძალადეს. ამ განზრახი მოქმედებით მან დამნაშავეს ხელი შეუშალა, რითაც დაიდოვა მისთვის სრულიად უცნობი ქალის სქესობრივი თავისუფლება.

როგორია სახვაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.
2. განზრახი მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.
3. აუცილებელი მოგერიება.
4. განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე.

ტესტი 99.

სოფელში მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით სამეზობლო დავის ნიადაგზე, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა, სვანაძემ ერთ-ერთი ჩხუბის დროს სანადირო თოფიდან ცოლ-ქმარ კერესელიძეებს ესროლა ერთმანეთის მიყოლებით, რის შედეგადაც გარდაიცვალა ქმარი, ხოლო ცოლი, რომელმაც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად გადაარჩა.

როგორია სვანაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობა ორი ან მეტი პირისა, რადგან თუნდაც ერთი პირის მიმართ სასიკვდილო შედეგი დადგა.
2. დანაშაულთა ერთობლიობა: ქმრის მკვლელობა და ცოლის მკვლელობის მცდელობა.
3. დანაშაულთა ერთობლიობა: ქმრის მკვლელობა და ცოლისათვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენება.
4. ორი ან მეტი პირის განზრახი მკვლელობის მცდელობა, ეინაიდან დამნაშავემ დანაშაულის მაკვალიფიცირებიელი ნიშანი სრულად ვერ განახორციელა.

ტესტი 100.

კვირიკაძე უნივერსიტეტში არდადეგების პერიოდში ისვენებდა ბაკურიანის დასასვენებელ კომპლექსში. მას დამის კლუბში ჩხუბი მოუვიდა სამ მისთვის უცხო ახალგაზრდასთან, რის გამოც იგი ძლიერ აღელდა. კვირიკაძე ავიდა თავის ოთახში, საიდანაც ჩამოიტანა პისტოლეტი და გაბრაზებულმა ტყვიები გულ-მკერდის არეში დაუშინა ახალგაზრდებს. პირველ ორ გასროლას შედეგად მოჰყვა ორი ახალგაზრდის სიკვდილი, ხოლო მესამე გასროლას, მიუხედავად მკვლელობის განზრახვისა, შედეგად მოჰყვა მესამე ახალგაზრდის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

როგორია კვირიკაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, რადგან ერთ-ერთი დაზარალებულის მიმართ დანაშაულებრივი შედეგი არ დადგა.
2. განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირისა.
3. დანაშაულთა ერთობლიობა: პირველი ორი ახალგაზრდის მიმართ როგორც განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირისა, ხოლო მესამე ახალგაზრდის მიმართ როგორც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.
4. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

ტესტი 101.

თუშურმა ინსტიტუტის დამთავრების საღამოსე დაღია, რის შემდეგაც მან სახლში წაიყვანა მისი თანაკურსელი ხოტოველი. გზაში მან გააუპატიურა ხოტოველი, რასაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სულით დაავადება.

როგორია თუშურის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. დანაშაულთა ერთობლიობა: გაუპატიურება, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა და ჯანმრთელობის განზახ მძიმე დაზიანება.

2. დანაშაულთა ერთობლიობა: გაუპატიურება და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

3. გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

4. დანაშაულთა ერთობლიობა: გაუპატიურება და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ტესტი 102.

სოფლის ბნელ უბანში სანდრაძე შეხვდა მის თანასოფელს ჩიტოშვილს, რომელთანაც დაამყარა იძულებითი სქესობრივი კავშირი. ამ ქმედებას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის ორსულობის შეწყვეტა. სანდრაძემ იცოდა, რომ ჩიტოშვილი ორსული იყო, მაგრამ ფიქრობდა, რომ სქესობრივი კავშირი არ წარმოადგენდა საფრთხეს ორსულობისათვის.

როგორია სანდრაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. დანაშაულთა ერთობლიობა: გაუპატიურება, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება.

2. დანაშაულთა ერთობლიობა: გაუპატიურება და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება.

3. დანაშაულთა ერთობლიობა: გაუპატიურება და სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

4. გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

ტესტი 103.

ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელმა მადლაკელიძემ ერთ-ერთი პოლიტიკური დისკუსიის დროს საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირს ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით განზრახ მიაყენა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

როგორია მადლაკელიძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ტერორისტული აქტი.

2. საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა.
3. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.
4. დანაშაულთა ერთობლიობა: ტერორისტული აქტი და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ტესტი 104.

ზარნაძეს განზრახული ჰქონდა ანტისახელმწიფოებრივი მიზნით ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის - პოლიტიკური თანამდებობის პირის სიცოცხლის მოსპობა, მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ზარნაძემ ამ პირზე განახორციელა რეალური თავდასხმა სიცოცხლის მოსპობის მიზნით, მაგრამ მან მხოლოდ დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება შეძლო. ზარნაძემ ბოლომდე ვერ მიიყვანა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა.

როგორია ზარნაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ტერორისტული აქტის მცდელობა.
2. ტერორისტული აქტი.
3. განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.
4. საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა.

ტესტი 105.

კობერიძემ ორსულობის მეცხრე თვეს კუტალიას მიაყენა სხეულის დაზიანება, რითაც მან განზრახ სიცოცხლე მოუსპო ჩანასახს.

რა მომენტი ითვლება ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად სისხლის სამართალში, ე.ი. რა დროიდან არის ადამიანის სიცოცხლე სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი?

1. ბავშვის ჩასახვის მომენტიდან დედის საშოში.
2. ბავშვის ჩასახვიდან 3 თვის გასვლის მომენტიდან.
3. ბავშვის დაბადების პროცესის დამთავრების მომენტიდან.
4. დაბადების პროცესის დაწყების მომენტიდან.

ტესტი 106.

პაპიძეს მისი ახლობელი კვერნაძე სისტემატურად აყენებდა მძიმე შეურაცხყოფას და მის მიმართ იყენებდა მართლსაწინააღმდეგო ძალადობას. ერთ-ერთი ასეთი შეურაცხყოფისა და ძალადობის დროს პაპიძე ჩავარდა უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის ქცევით, ჩაიღინა კვერნაძის მკვლელობა იმ ვითარებაში, რომ მან იცოდა, რომ კვერნაძე ორსული იყო.

როგორია პაპიძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

2. განზრახ მკვლელობა დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა.
3. სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობა.
4. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე.

ტესტი 107.

რაიონული სასამართლოს მოსამართლის დადგენილებით ნოზაძე ძარცვის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით მისჯილი სასჯელის მოხდისაგან ვადაძლე პირობით გათავისუფლდა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ გასანიერებულა ზემდგომ ინსტანციაში. მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, იგი სასჯელ-აღსრულების დაწესებულების დირექტორის თვითნებობით, რაც მიზნად ისახავდა ქრთამის გამოძაღვას, არ იქნა გათავისუფლებული. ამ მდგომარეობით უკმაყოფილო ნოზაძე, რომელიც უკვე ნახევარი წელია, უკანონოდ იმყოფებოდა პატიმრობაში და ვერავითარი კანონიერი გზით ვერ მიაღწია უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას, თავს დაესხა დაცვის სამსახურს, ერთ-ერთ თანამშრომელს მიაყენა დაზიანება და მოახერხა გაქცევა.

შეფასდება თუ არა ნოზაძის ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად?

1. არა, იგი იმყოფებოდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.
2. დიახ, ვინაიდან აღგილი ჰქონდა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას, რაც გამოიხატა დანაშაულებრივ უმოქმედობაში.
3. არა, ვინაიდან აუცილებელი მოგერიების დროს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა არ შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობაში.
4. არა, ვინაიდან თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დროს საერთოდ არ არსებობს აუცილებელი მოგერიების უფლება.

ტესტი 108.

ვაკის პარკის სიდრემში ორ თანაკურსელ ახალგაზრდას შორის ხულიგნური ქვენა გრძნობით მოხდა ჩხუბი და სცემეს ერთმანეთს. ამ ჩხუბში ორივე მხარე ერთნაირად არამართლზომიერად მოქმედებდა, მიმართავდა რა მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის გადაწყვეტის მართლსაწინააღმდეგო ხერხს, რის გამოც ორივე ახალგაზრდა იმყოფებოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მდგომარეობაში. ორმხრივ ჩხუბში ერთმა ახალგაზრდამ მეორეს განზრახ მოუსპო სიცოცხლე.

როგორია ამ ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. მკვლელობა, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით.
2. მკვლელი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, იცავდა რა თავის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან.

3. მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე.
4. მკვლელის მოქმედება არაბრალეულია.

ტესტი 109.

ადრე მკვლევლობისათვის ნასამართლევა კალაძემ კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული. მან იცოდა, რომ მისმა მეზობელმა კიკაბიძემ იცოდა მის მიერ ჩადენილი ყაჩაღობის შესახებ, რის გამოც მან გადაწყვიტა მოეკლა იგი. კალაძეს ეგონა, რომ მეზობელი მარტო იყო, ღამით შევიდა მის სახლში და მოკლა იგი. როცა იგი კიბეებიდან ჩამოდიოდა, მოულოდნელად მას მოკლულის სტუმარი შეხვდა, რომელიც იმ საღამოს ჩამოვიდა მეორე სოფლიდან. კალაძემ იმ მიზნით, რომ მკვლევლობის მოწმე თავიდან მოეცილებინა, მოკლა სტუმარიც.

როგორია კალაძის მიერ ჩადენილ ქმედებათა სამართლებრივი შეფასება?

1. დანაშაულთა ერთობლიობა: მკვლევლობა ორი ან მეტი პირისა და მკვლევლობა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.
2. მკვლევლობა ორი ან მეტი პირისა.
3. მკვლევლობა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.
4. დანაშაულთა ერთობლიობა: მკვლევლობა, ჩადენილი არაერთგზის და მკვლევლობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.

ტესტი 110.

უკლებამ გაიგო, რომ მის მეზობელს პაპიძეს შვილმა ავტომანქანის შესაძენად მოსკოვიდან ფული გამოუგზავნა. ამ ქონების დაუფლების მიზნით, უკლება ყაჩაღურად თავს დაესხა პაპიძეს მის საცხროვრებელ ბინაში, მოთხოვა მას ფული და სხვა ქონება. წინააღმდეგობის გაწევის გამო, მან მოკლა პაპიძე იმ განზრახვით, რომ ადვილად დაუფლებოდა ფულს და ძვირფასეულობას, რომელიც დაზარალებულს, მისი აზრით, ბინაში ჰქონდა შენახული. მკვლევლობის შემდეგ უკლებამ ეს ქონება ბინაში ვერ იპოვა, რადგან იგი პაპიძეს ახლო ნათესავისათვის შესანახად ჰქონდა მიბარებული. უკლება ვერ დაეუფლა პაპიძის ფულს და ძვირფასეულობას, რის გამოც იგი ცარიელი დაბრუნდა სახლში.

როგორია უკლებას ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ანგარებითი მკვლევლობის მცდელობა, რადგან იგი ვერ დაეუფლა ქონებას.
2. ანგარებითი მკვლევლობა.
3. დანაშაულთა ერთობლიობა: ყაჩაღობა ბინაში შეღწევით და ანგარებითი მკვლევლობა.
4. დანაშაულთა ერთობლიობა: ყაჩაღობა ბინაში შეღწევით და ანგარებითი მკვლევლობის მცდელობა, ვინაიდან დამნაშავემ თავისი განზრახვა ვერ აღასრულა.

ტესტი 111.

სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა როყვამ, რესტორანში ქეიფის შემდეგ, რესტორნის ეზოდან ფარულად გაიტაცა “მერსედესის” მარკის მსუბუქი ავტომანქანა. ავტომანქანით იგი წავიდა მესტიის მიმართულებით. გზაზე იგი წააწყდა ავტოკატას-ტროფას, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანს მიღებული ჰქონდა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები. ექიმმა როყვამ გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა განსაცდელში მყოფ ადამიანებს, რითაც მან სიცოცხლე შეუნარჩუნა ავტოკატას-ტროფის შედეგად დაზიანებულებს.

დაისჯება თუ არა როყვა ავტომანქანის გატაცებისათვის?

1. არა, ვინაიდან გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაზიანებული.

2. არა, ვინაიდან დაცულია უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობები.

3. დიახ, ვინაიდან ავტომანქანის გატაცების დროს არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სუბიექტური ელემენტი.

4. დიახ, ვინაიდან მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა.

ტესტი 112.

გაგნიძემ გადაწყვიტა სამეწარმეო საქმიანობაში თავისი კონკურენტის გვეტაძის თავიდან მოცილება. იმ მიზნით, რომ მოეკლა იგი, მან მანქანიდან ავტომატის ჯერით შვიდი ტყვია ესროლა გვეტაძეს. ამ გასროლებს შედეგად მოჰყვა გვეტაძის სიკვდილი და ამ უკანასკნელის ავტომანქანის დაცხრილვა. ამ გასროლების შედეგად სხვა არავინ არ დაზიანებულა, თუმცა შესაძლებელი იყო ტყვია შემთხვევით სხვა პირებსაც მოხვედროდა.

როგორია გაგნიძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. დანაშაულთა ერთობლიობა: მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვისი ნივთის განზრახ განადგურება ან დაზიანება.

2. დანაშაულთა ერთობლიობა: განზრახი მკვლელობა, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, რადგან მკვლელობას შედეგად არ მოჰყოლია სხვა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა და სხვისი ნივთის განზრახ განადგურება ან დაზიანება.

3. მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის.

4. მკვლელობის მცდელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის.

ტესტი 113.

ჩანტლაძეს შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა თავისი ყოფილი თანაკურსელის ლელაძის მიმართ, რომელმაც იგი სტუდენტო-

ბის წლებში მოაქცეა, შეჰპირდა ცოლად წაყვანას და დაამყარა მასთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი. ჩანტლაძემ წააქეზა ნორაძე ლელაძის მკვლელობისათვის, რისთვისაც მას შეჰპირდა ფულად ანაზღაურებას. ნორაძე თავს დაესხა ლელაძეს და ანგარების მოტივით მოუსპო სიცოცხლე.

როგორია ჩანტლაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება მკვლელობის წაქეზებისათვის ანგარებით.
2. იგი დაისჯება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე მკვლელობის წაქეზებისათვის.
3. იგი დაისჯება ანგარებითი მკვლელობის წაქეზებისათვის და ყმაღობის წაქეზებისათვის.
4. იგი დაისჯება განზრახი მკვლელობის წაქეზებისათვის შეკვეთით.

ტესტი 114.

ცისკარიშვილმა შურისძიების მოტივით დანის დარტყმით სამუშაო ოთახში სასიკვდილოდ დაჭრა ქარხნის მთავარი ინჟინერი კობაძე. შემდეგ მან გააღო სეიფი, სადაც ეძებდა ერთ-ერთ პროექტს, რა დროსაც მისგან მოულოდნელად სეიფში აღმოჩნდა უცხოური ვალუტა - 10 000 ამერიკული დოლარი, რომელსაც იგი დაეუფლა. ამ ვითარებაში მას გაუარა შურისძიების გრძნობამ, რის გამოც დაურეკა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, რომელმაც დაზარალებული, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო, სიკვდილს გადაარჩინა. დაზარალებულის სეიფში ნაპოვნ ვალუტას ცისკარიშვილი ფარულად დაეუფლა.

როგორია ცისკარიშვილის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობის მცდელობა ანგარებით.
2. დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე განზრახი მკვლელობის მცდელობა და ქურდობა დიდი ოდენობით.
3. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ქურდობა დიდი ოდენობით.
4. ვინაიდან დაზარალებული გადარჩა დამნაშავეს აქტიური მოქმედებით, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება და ქურდობა დიდი ოდენობით.

ტესტი 115.

ზაფხულის არდადეგებზე, ერთ-ერთი სოფლის ბავშვთა დასასვენებელი სახლის აღმზრდელი ხედავს, თუ როგორ ადიან ბავშვები დასასვენებელი სახლის ეზოში მშენებლობის შემდეგ დარჩენილ ხარაჩოებზე, საიდანაც ბავშვები ადვილი მოსალოდნელია რომ ჩამოვარდნენ და მიიღონ მძიმე დაზიანება ან დაღუპვს სხვა უფრო მძიმე

შედგები. იგი ფიქრობს, რომ მისი ჯგუფის ბავშვები, რომლებზეც მას, როგორც აღმზრდელს, ზრუნვა ევალება, მათ შორის არ არიან, რის გამოც არ მიაქცია მათ ყურადღება. იგი შეცდმა, ერთი ბავშვი, მისი ჯგუფიდან ჩამოვარდა ხარაჩოდან და მიღებული დაზიანების შედეგად თავის არეში, დაიღუპა.

დაისჯება თუ არა აღმზრდელი სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის?

1. დიახ, იგი დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

2. არა, ვინაიდან უმოქმედობით სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობის ჩადენა შეუძლებელია.

3. არა, იგი დაისჯება დაუხმარებლობისათვის.

4. არა, იგი დაისჯება განსაცდელში მიტოვებისათვის.

ტესტი 116.

თბილისი-რუსთავის გზაზე ავტომანქანით მოძრაობისას მძღოლმა პეტროსიანმა დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები. მის მიერ წინდახედულობის ნორმის დაცვის შემთხვევაშიც, ავტომანქანა, რომელსაც ის მართავდა, დაეჯახებოდა ქვეითად მოსიარულეს და შედეგს თავიდან ვერ აცილებდა.

შეერაცხება თუ არა პეტროსიანს დამდგარი მძიმე შედეგი ობიექტურად?

1. არა, ვინაიდან მძღოლის მიერ წინდახედულობის ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების შემთხვევაშიც შედეგი ვერ იქნებოდა აცილებული.

2. დიახ, ვინაიდან მძღოლი მოქმედებდა წინდახედულობის ნორმის დარღვევით.

3. დიახ, ვინაიდან მძღოლი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

4. დიახ, ვინაიდან ეს მოქმედება იყო შედეგის აუცილებელი პირობა.

ტესტი 117.

ხულიგნური ქვენაგრძნობით ორმა ახალგაზრდამ მოკვლის განზრახვით პისტოლეტიდან თითო ტყვია ესროლეს სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტში ეჩქარებოდა და ყურადღება არ მიაქცია მათ გამომწვევ მიმართვას. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მათ მიერ გასროლილი ტყვიებიდან მხოლოდ ერთ-ერთი ტყვია იყო სასიკვდილო. გამოძიებით ვერ დადგინდა, თუ რომელი მათგანის გასროლილმა ტყვიამ გამოიწვია უშუალოდ შედეგი.

როგორ გადაწყდება ამ ორი ახალგაზრდის პასუხისმგებლობის საკითხი?

1. ისინი დაისჯებიან განზრახ ჩადენილი მკვლელობისათვის ხულიგნური ქვენა გრძნობით.

2. ისინი დაისჯებიან განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის ხუელიგნური ქვენა გრძნობით.

3. ისინი დაისჯებიან სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.

4. ისინი საერთოდ არ დაისჯებიან ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპიდან გამომდინარე.

ტესტი 118.

სანდოქმ მიიღო შეკვეთა, ერთ-ერთი საქმიანი შეხვედრის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, სიცოცხლე მოესპო მელაძისათვის, რისთვისაც იგი ფულად ანაზღაურებას მიიღებდა. სანდოქმ შეიარაღებული მივიდა შემოხვევის ადგილზე, მაგრამ ვინაიდან მელაძე მივლინებაში იყო წასული, მის კაბინეტში დახვდა ხახუნაშვილი, რომელიც მას მელაძე ეგონა. სანდოქმ მოკლა ეს უკანასკნელი, მაგრამ ვინაიდან შეკვეთა ვერ შეასრულა, ფულადი ანაზღაურება ვერ მიიღო.

როგორია სანდოქმის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. ანგარებითი განზრახი მკვლელობის მცდელობა, ვინაიდან ვერ მიიღო ფულადი ანაზღაურება.

2. განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ვინაიდან ვერ მიიღო ფულადი ანაზღაურება.

3. განზრახი მკვლელობა ანგარებით.

4. განზრახი მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ვინაიდან ვერ მიიღო ფულადი ანაზღაურება.

ტესტი 119.

ჩახუნაშვილმა ზღვაში შეიტყუა 12 წლის ჩალაძე, რომელმაც ცურვა არ იცოდა. დაჰპირდა, რომ ცურვას ასწავლიდა და განსაცდელის დროს დაეხმარებოდა. როცა ჩალაძის სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა, შეგნებულად დახმარება არ აღმოუჩინა. ჩახუნაშვილს შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა ჩალაძის მშობლების მიმართ, რის გამოც ბავშვი განსაცდელში დატოვა. ჩალაძე დაიხრჩო, რითაც ჩახუნაშვილმა სურვილი დაიკმაყოფილა.

როგორია ჩახუნაშვილის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით.

2. განსაცდელში მიტოვება.

3. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის განზრახი მკვლელობა.

4. საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება.

ტესტი 120.

დედამ, რომელსაც ქორწინების გარეშე შეეძინა ბავშვი, არ მისცა საზრდო ჩვილ ბავშვს სამი თვის ასაკში, რათა იგი შიმშილისაგან

მომკვდარიყო. ბავშვი მართლაც გარდაიცვალა, მაგრამ არა შიმშილისაგან, არამედ ბავშვობიდან თანდაყოლილი დაავადებისაგან. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დედის მიერ ბავშვისთვის საზრდოს არმიცემას დამდგარი შედეგი არ გამოუწვევია.

რა დანაშაულის ჩადენისათვის დაისჯება დედა?

1. დედის მიერ ახალშობილის განზრახი მკვლელობა.
2. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის.
3. საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის.
4. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის განზრახი მკვლელობისათვის.

ტესტი 121.

სამხედრო ოფიცერმა სურგულაძემ, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსად, ტერორისტული აქტის ჩასადენად წააქეზა ფარქოსაძე, რომელსაც 16 წელი ჯერ არ შესრულებია. ფარქოსაძემ, მოსახლეობის დაშინების და ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების მიზნით, განახორციელა ტერორისტული აქტი, რაც გამოიხატა აფეთქებაში.

დაისჯება თუ არა სურგულაძე?

1. დიას, სურგულაძე დაისჯება როგორც შუალობითი ამსრულებელი, ვინაიდან ტერორისტული აქტის ამსრულებელი 16 წლის ასაკიდან ისჯება.
2. არა, სურგულაძე საერთოდ არ დაისჯება, რადგან არ არსებობს ტერორისტული აქტის ამსრულებელი.
3. დიას, სურგულაძე დაისჯება როგორც ტერორისტული აქტის წამქეზებელი.
4. დიას, სურგულაძე დაისჯება როგორც დამხმარე.

ტესტი 122.

განუკურნებელი სენით შეპყრობილ უიმედო ავადმყოფს, მისმა ახლობელმა, ავადმყოფის დაუინებელი თხოვნით და მისადმი სიბრალულის გრძნობით მისცა საწამლავი, რითაც შეუმოკლა ტანჯვა-წამება. ახლობელი ფიქრობდა, რომ ასეთი გზით ავადმყოფისათვის სიცოცხლის მოსპობა ნებადართულია და წარმოადგენს მართლწმიდის იერ ქმედებას.

დაისჯება თუ არა ნათესავი განზრახი მკვლელობისათვის?

1. არა, იგი დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობისათვის.
2. დიას, ვინაიდან დაზარალებულის თანხმობა არ გამორიცხავს განზრახი მკვლელობის დასჯადობას.
3. არა, ვინაიდან მან დაუშვა ფაქტობრივი შეცდომა.
4. დიას, ვინაიდან იურიდიული შეცდომა არასოდეს არ გამორიცხავს განზრახი მკვლელობის დასჯადობას.

ტესტი 123.

გვიან საღამოს, ბერძენაძეს, რომელიც მეგობრის ქორწილიდან ბრუნდებოდა, სოფლის ბნელ გზაზე, შეშინების მიზნით დახვდნენ ნიღბიანი მეგობრები. ბერძენაძემ შექმნილ ვითარებაში ჩათვალა, რომ მასზე განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო რეალური თავდასხმა. აუცილებელი მოგერიების მიზნით, მან დანა მოკვლის განზრახვით დაარტყა ჭელიძეს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. შექმნილ ვითარებაში ბერძენაძეს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მასზე არ განხორციელებულა რეალური თავდასხმა. დროული სამედიცინო დახმარებით ჭელიძე გადარჩა.

შეიძლება თუ არა ბერძენაძის მოქმედების გამართლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით?

1. არა, მისი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც სხეულის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით.
2. არა, მისი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით.
3. არა, მისი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც მოჩვენებითი მოგერიება.
4. არა, იგი უნდა დაისაჯოს განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის, ვინაიდან მასზე განხორციელებული თავდასხმა არ იყო რეალური.

ტესტი 124.

ტორაძეს შეჰპირდნენ ფულად ანაზღაურებას, რის სანაცვლოდაც მას უნდა განეხორციელებინა ცარციძის სიცოცხლის მოსპობა. ტორაძეს შეეშალა, შეცდომით დაუმიზნა და სიცოცხლე მოუსპო ზაზაძეს. ტორაძეს ეგონა, რომ მიზანს მიაღწია, მაგრამ როცა გაიგო, რომ მის მიერ მოკლული სხვა პიროვნება იყო, რათა მკვლელობისათვის შეპირებული ანაზღაურება მიეღო, მეორე დღეს მოკლა ცარციძეც.

როგორია ტორაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობა ანგარებით და განზრახი მკვლელობა ორი ან მეტი პირისა.
2. სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობა და განზრახი მკვლელობის მცდელობა ანგარებით.
3. განზრახი მკვლელობა ანგარებით და განზრახი მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.
4. განზრახი მკვლელობა ანგარებით, როგორც ორი დამოუკიდებელი დანაშაული.

ტესტი 125.

გოგელიამ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებში სიცოცხლე მოუსპო თავდამსხმელ შევლიძეს. შევლიძის ძმა, რომელიც შეესწრო ძმის მკვლელობას, ჩავარდა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და მოკლა მომგერიებული.

როგორია შვედიის ძმის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განზრახი მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

2. განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. (სსკ-ის 108-ე მუხლი).

3. ძმის მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, ვინაიდან ფიზიოლოგიური აფექტი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა.

4. ძმის მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, ვინაიდან ფიზიოლოგიური აფექტი ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა.

ტესტი 126.

მშობლებთან და ძეუფლესთან კონფლიქტის გამო, ორსულობის მერვე თვეს ქალმა მიიღო მედიკამენტი ჩანასახის მოსპობის მიზნით. ბავშვი ვადაზე ადრე ცოცხალი დაიბადა. ექიმების დასკვნით, მისი სიკვდილი რამდენიმე დღეში გარდაუვალი იყო. დედამ მშობიარობის შემდეგ ბავშვი უმალვე მოკლა.

შეფასდება თუ არა დედის მოქმედება განზრახ მკვლელობად შემამსუბუქებელ გარემოებაში?

1. არა, იგი დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე.

2. არა, იგი არ დაისჯება, ვინაიდან ბავშვი ვადაზე ადრე დაიბადა.

3. დიახ, იგი დაისჯება დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის.

4. არა, იგი არ დაისჯება, ვინაიდან ბავშვის სიკვდილი დაბადების მომენტშივე დროის მცირე მონაკვეთში გარდაუვალი იყო.

ტესტი 127.

რაიონული საავადმყოფოს ექიმმა ნიკურაძემ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს არ აღმოუჩინა სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რომელიც მას შეეძლო გაეწია. სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩენილი ავადმყოფი მოკვდა. ექიმმა იცოდა, რომ მისთვის სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული, მაგრამ ფიქრობდა, რომ პაციენტს სხვა ექიმები აღმოუჩენდნენ სათანადო დახმარებას.

როგორია ექიმის ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის.

2. იგი დაისჯება ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებისათვის, რამაც გამოიწვია ავადმყოფის სიცოცხლის მოსპობა.

3. ექიმი არ დაისჯება, ვინაიდან მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

4. იგი დაისჯება დაუხმარებლობისათვის.

ტესტი 128.

სალამოს საათებში კოტრიკაძე ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავს დაესხა ლაბაძეს. თავდასხმისას იგი შეიარაღებული იყო სათამაშო პისტოლეტით, რომლითაც შეაშინა ლაბაძე. ლაბაძემ პისტოლეტი აღიქვა როგორც ნამდვილი და ჩათვალა, რომ მასზე განხორციელებული თავდასხმა იყო მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში. სინამდვილეში მის მიმართ ასეთი საშიში ძალადობა არ განხორციელებულა. კოტრიკაძე ვერ დაეუფლა ავტომანქანას, რადგან პოლიციის მუშაკებმა დააკავეს იგი.

დაისჯება თუ არა კოტრიკაძე დამთავრებული ყაჩაღობისათვის?

1. დიახ, ვინაიდან მან განახორციელა თავდასხმა, რომელიც დაზარალებულის წარმოდგენით მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში იყო.

2. არა, იგი დაისჯება ყაჩაღობის მცდელობისათვის, ვინაიდან ვერ დაეუფლა დაზარალებულის ქონებას.

3. არა, ვინაიდან თავდასხმა განხორციელდა სათამაშო პისტოლეტით, რაც რეალურ საფრთხეს არ უქმნიდა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

4. დიახ, იგი დაისჯება დამთავრებული ყაჩაღობისათვის და ავტომანქანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ისეთი ძალადობი მუქარით გატაცების მცდელობისათვის.

ტესტი 129.

მეხანძრემ ცეცხლმოკიდებულ სახლში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ერთ-ერთ ოთახში დაინახა ლოგინად ჩავარდნილი თავისი ყოფილი კომპანიონი, რომელსაც შეგნებულად მან დახმარება არ აღმოუჩინა. დაზარალებული იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასახსნელად. მეხანძრეს, რომელსაც ევალებოდა ამ პირზე ზრუნვა, შესაძლებლობა ჰქონდა დახმარება აღმოუჩინა მისთვის, მაგრამ მან ეს განზრახ არ გააკეთა. შემთხვევით მოვლენათა გამო დაზარალებული უვნებელი გადარჩა.

როგორი იქნება მეხანძრის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. განსაცდელში მიტოვება.

2. დახმარების აღმოუჩენლობა.
3. საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება.
4. უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლევლობის მცდელობა.

ტესტი 130.

საქართველოს მოქალაქე, 18 წლის მადრადე, ერთ-ერთმა უცხოური სპეცსამსახურის წარმომადგენელმა წააქეზა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, რის შედეგადაც მან დახმარება გაუწია უცხოეთის სახელმწიფოს დაზვერვას საქართველოს წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში.

შეიძლება თუ არა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაულის წამქეზებელი?

1. არა, რადგან სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტი - როგორც ამსრულებელი, ისევე თანამონაწილე შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.
2. დიახ, რადგან სახელმწიფო დანაშაულის წამქეზებლად მიხნევისათვის პირის მოქალაქეობას მნიშვნელობა არა აქვს.
3. არა, რადგან სახელმწიფო დანაშაულის წაქეზებას სისხლის სამართლის კანონი სპეციალური სუბიექტის არარსებობის გამო საერთოდ არ იცნობს.
4. დიახ, მაგრამ იგი დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, დანაშაულის ორგანიზატორად იწოდება.

ტესტი 131.

სურგულაძემ შურისძიების მოტივით, სიცოცხლის მოსპობის განზრახვით რკინის ჯოხი ჩაარტყა თავში ნასარიძეს. მას ეგონა, რომ თავისი დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. შემთხვევის ადგილზე მოვიდა სურგულაძის შვილი, რომელიც არის პოლიციელი. ამ უკანასკნელმა გვამი დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, გადააგდო მდინარეში. ნასარიძე თავში ჯოხის ჩარტყმის შედეგად არ მომკვდარა, არამედ წყალში გადაგდების შედეგად დაიხრჩო.

როგორი იქნება მამის და შვილის ქმედებათა სამართლებრივი შეფასება?

1. მამა დაისჯება განზრახი მკვლევლობის მცდელობისათვის, ხოლო შვილი - გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.
2. მამა დაისჯება განზრახი მკვლევლობისათვის, შვილი დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.
3. მამა დაისჯება განზრახი მკვლევლობისათვის, ხოლო შვილი არ დაისჯება სისხლის სამართლის წესით, ვინაიდან მან დაფარა ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაული.
4. მამა დაისჯება დამთავრებული განზრახი მკვლევლობისათვის, ვინაიდან შეცდომას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში სისხ-

ღისსამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო შვილი დაისჯება დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვისათვის.

ტესტი 132.

პოლიციის რაიონული განყოფილების ერთ-ერთმა პოლი-ციელმა მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კონკრეტული მოქმედების შესრულებისათვის აიღო ქრთამი ფულის სახით. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს მან არ იცოდა, რომ თანამდებობის პირი იყო.

დაისჯება თუ არა პოლიციელი ქრთამის აღებისათვის?

1. დიახ, იგი დაისჯება ქრთამის აღებისათვის.

2. არა, იგი დაისჯება მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

3. არა, იგი დაისჯება მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

4. არა, იგი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან სამართლებრივი შეცდომა ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა.

ტესტი 133.

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, პოლიციელებმა პაპიძემ და ნიორაძემ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მოკვლის განზრახვით მოწამლეს პოლიციის უფროსი სასმელში საწამლაგის ჩაყრით. ამასთან, მათ არ იცოდნენ ერთმანეთის განზრახვის შესახებ. თითოეულს ეგონა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება სახსებით საკმარისი იყო დანაშაულებრივი შედეგის გამოსაწვევად, მაგრამ, ცდებოდნენ, თუმცა ერთობლიობაში მათ მიერ ცალ-ცალკე ჩაყრილი საწამლაკი საკმარისი აღმოჩნდა სასიკვდილო შედეგის დასადგომად.

დაისჯებიან თუ არა პოლიციელები დამთავრებული განზრახვი დანაშაულისათვის?

1. დიახ, ისინი დაისჯებიან დამთავრებული დანაშაულისათვის, ვინაიდან მათი დანაშაულებრივი განზრახვა განხორციელდა.

2. არა, ისინი დაისჯებიან განზრახვი მკვლელობის მცდელობისათვის, ვინაიდან მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს.

3. არა, ისინი დაისჯებიან განზრახვი მკვლელობის მცდელობისათვის, ვინაიდან მათ მოქმედებას ცალ-ცალკე არ შეეძლო შედეგის გამოწვევა.

4. დიახ, ისინი დაისჯებიან როგორც დამთავრებული დანაშაულის თანაამსრულებლები.

ტესტი 134.

მთერალ მდგომარეობაში მყოფმა სიორიძემ, იმის გამო, რომ ცოლმა სამსახურიდან შინ მოსვლა დააგვიანა, ცემა იგი, რითაც მას

მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. ქმრის საქციელთ აღმწოთებული ცოლი, მისთვის რომ ცხოვრება გაემწარებინა, უანჯრიდან გადახტა და თავი მოიკლა.

შეერაცხება თუ არა სიორიძეს ბრალად დამდგარი მძიმე შედეგი?

1. დიახ, იგი დაისჯება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.
2. არა, იგი დაისჯება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის.
3. არა, იგი დაისჯება მხოლოდ ცემისათვის, ვინაიდან მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა დამდგარი მძიმე შედეგი.
4. არა, იგი დაისჯება ცოლის თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის.

ტესტი 135.

ადრე ქურდობისათვის ნასამართლევა წუწუნავამ კვლავ გაქურდა ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების ოფისი. იმ დროს, როცა იგი ცდილობდა ნაქურდალი ქონების გადამაღვას, მას გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ჩალაძე. თავდასხმის მოგერიების მიზნით, წუწუნავს მეგობარმა კალაძემ მას მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება.

შეიძლება თუ არა კალაძის მიერ ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმის მოგერიება ჩაითვალოს მართლზომიერ მოქმედებად?

1. დიახ, ვინაიდან ნაქურდალი ნივთი, რომელსაც იცავს ქურდი, არის სისხლისსამართლებივი დაცვის ობიექტი.
2. არა, ვინაიდან იგი იცავდა არამართლზომიერ მფლობელობაში ქურდის ხელთ არსებულ ქონებას.
3. არა, ვინაიდან აუცილებელი მოგერიების დროს სხეულის დაზიანების მიყენება ქონების გადასარჩენად არ არის მართლზომიერი ქმედება.
4. დიახ, ვინაიდან სახეზე გვაქვს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარება.

ტესტი 136.

ერთ-ერთ პარკში, საღამოს საათებში სეირნობის დროს, ახობაძეს თავს დაესხა ფსიქიკურად დაავადებული პირი, რომელმაც ახობაძის გაუპატიურება მოინდომა. სულით ავაღმყოფის თავდასხმის მოგერიების ერთადერთი საშუალება იყო მისთვის სიცოცხლის მოსპობა. ახობაძემ ასეთ ვითარებაში მოკლა თავდამსხმელი, რითაც თავისი სქესობრივი ხელშეუხებლობა დაიცვა.

ჩაითვლება თუ არა ახობაძის მოქმედება მართლზომიერად?

1. ღიახ, იგი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ვინაიდან ფსიქიკურად ავადმყოფს შეგნებული არ ჰქონდა მისი თავდასხმის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

2. არა, ვინაიდან ფსიქიკურად ავადმყოფი პირის თავდასხმის მოგერიების უფლებას სისხლის სამართალი არ ითვალისწინებს.

3. ღიახ, იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ფარგლებში, ვინაიდან მასზე განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა.

4. არა, ვინაიდან ფსიქიკურად ავადმყოფის თავდასხმის მოგერიება შეიძლება მხოლოდ ბრალის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენდეს.

ტესტი 137.

რაიონული საავადმყოფოს ექიმმა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს არასაპატიო მიზეზით არ აღმოუჩინა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რაც აუცილებელი იყო მისი სიცოცხლის გადასარჩენად. ამით მას სურდა შური ეძია ავადმყოფის მშობლებისადმი, რომლებთანაც ექიმს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა. ექიმის უმოქმედობამ გამოიწვია სასიკვდილო შედეგი, თუმცა ექიმს შესაძლებლობა ჰქონდა აღმოეჩინა ავადმყოფისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. სავალდებულო და მისთვის შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებელი.

დაისჯება თუ არა ექიმი სისხლის სამართლის წესით?

1. ღიახ, იგი დაისჯება ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებისათვის, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.

2. არა, ექიმს არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ავადმყოფის სიკვდილისათვის, თუ იგი გამოწვეულია უმოქმედობით.

3. ღიახ, იგი დაისჯება იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დაუხმარებლობისათვის.

4. ღიახ, იგი დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის.

ტესტი 138.

ზაფხულის არდადეგებზე ნიორაძემ თავის თანაკურსელს, ამ უკანასკნელის თხოვნით, გადასცა ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელში დასასვენებელი სახლის გასაღები იმ მიზნით, რომ ერთ-ერთი ბიზნესმენის ბინის გაჭურდვის შემდეგ, რომელიც თანაკურსელს ერთი კვირის შემდეგ უნდა ჩაედინა, ნაჭურდელი ნივთები ნიორაძის დასასვენებელ სახლში შეენახა. მეორე დღეს ნიორაძემ იმის შიშით, რომ პოლიციისათვის ამ დანაშაულის ჩადენის შესახებ გახდებოდა ცნობილი და დაისჯებოდა, გადაიფიქრა და თანაკურსელს გასაღები ძალით უკან გამოართო. ამ უკანასკნელს, სანამ გასაღებს უკან დააბრუნებდა,

მისი ახლი უკვე გაკეთებული ჰქონია, რის შესახებაც ნიორადემ არ იცოდა. ერთი კვირის შემდეგ თანაკურსელმა ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება ისე, როგორც დაგეგმილი ჰქონდა. ნაქურდალი ნივთები კი შეინახა ნიორადის დასასვენებელ სახლში, რის შესახებაც არ იცოდა ამ უკანასკნელმა.

შეფასდება თუ არა ნიორადის ქმედება როგორც ქურდობის ჩადენაში დახმარება?

1. არა, ვინაიდან მან დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი.

2. არა, იგი დაისჯება დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.

3. დიახ, ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგი თავიდან ვერ იქნა აცილებული.

4. არა, იგი დაისჯება დანაშაულის დაფარვისათვის.

ტესტი 139.

გიორგაძემ სტუმარს, მისი მოკვლის განზრახვით, საჭმელში ჩაუყარა საწამლაი. სტუმარმა შეჭამა მოწამლული საჭმელი. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ, გიორგაძის პიროვნებაში გაიღვიძა სინანულის გრძნობამ, თავისი აქტიური მოქმედებით შეეცადა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას. გიორგაძეს სურდა და ჰქონდა კიდევ დაზარალებულის გადარჩენის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ სტუმარმა ისარგებლა შემთხვევით და ჩაფიქრებული თვითმკვლელობა განახორციელა.

როგორი იქნება გიორგაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი დაისჯება დამთავრებული განზრახვი მკვლელობისათვის, ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგი თავიდან ვერ იქნა აცილებული.

2. იგი საერთოდ არ დაისჯება, ვინაიდან ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.

3. იგი დაისჯება განზრახვი მკვლელობის მცდელობისათვის.

4. იგი საერთოდ არ დაისჯება ქმედითი მონაწილების გამო.

ტესტი 140.

ტიგინაშვილმა, მემკვიდრეობის დაუფლების მიზნით, განზრახა მისი ახლო ნათესავისათვის, რომელიც ღრმად მიხუცი იყო, სიცოცხლის მოსპობა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მან ლოგინად ჩავარდნილ ახლო ნათესავს გულმკერდის არეში რამდენჯერმე ესროლა ტყვია. სინამდვილეში ახლო ნათესავი ამ ქმედების განხორციელებამდე რამდენიმე საათის მკვდარი იყო, რაც ტიგინაშვილმა არ იცოდა. მას ეგონა, რომ მკვლელობა განახორციელა, სინამდვილეში კი შეცდა.

როგორი იქნება ტიგინაშვილის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. იგი არ დაისჯება, ვინაიდან მან განახორციელა მცდელობა უვარგის ობიექტზე.

2. იგი დაისჯება ანგარებით ჩადენილი დამთავრებული განზრახი მკვლელობისათვის.

3. იგი დაისჯება ანგარებით ჩადენილი განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის.

4. იგი არ დაისჯება, ვინაიდან უშედეგო მცდელობა არ არის დასჯადი.

ტესტი 141.

მეგობრის ქორწილში ჩხუბის დროს, ნიორაძემ მყარად გადაწყვიტა, რომ შურისძიების ნიადაგზე სანდოძეს მიაყენოს ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. ნიორაძის ბიძაშვილმა ახალაძემ შეძლო ნიორაძე დაერწმუნებინა, ნაცვლად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისა, სანდოძის მერსედესის მარკის ავტომანქანა დაემტვრია ან სანდოძისათვის სხვა უფრო მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიეყენებინა. ახალაძემ შეძლო ბიძაშვილის დარწმუნება, რის შედეგადაც ნიორაძემ ავტომანქანა დაუმტვრია სანდოძეს.

შეერაცხება თუ არა ახალაძეს ჩადენილი ქმედება ობიექტურად?

1. დიახ, იგი დაისჯება სხვისი ნივთის განზრახი დაზიანების წაქეზებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ვინაიდან ამსრულებელი დაიყოლია განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

2. დიახ, იგი დაისჯება სხვისი ნივთის განზრახი განადგურების წაქეზებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ვინაიდან ამსრულებელი დაიყოლია განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

3. არა, ვინაიდან მან თავისი მოქმედებით შეამცირა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი.

4. არა, ვინაიდან სხვისი ნივთის განზრახი განადგურების ან დაზიანების წაქეზება არ ისჯება, ვინაიდან არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

ტესტი 142.

უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტმა საბიაშვილმა ჩაიდინა ქმედება, რითაც მან უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა. მისმა თანაკურსელმა წეროძემ მას ურჩია, რომ სტუდენტთა შესაშინებლად გამოეყენებინა პისტოლეტი, რომელიც საბიაშვილს ჯიბეში ჰქონდა და რომლის გამოყენებასაც იგი არ აპირებდა. საბიაშვილს მოეწონა ეს იდეა, ჯიბიდან ამოიღო პისტოლეტი და რამდენიმეჯერ გაისროლა ჰაერში.

შეფასდება თუ არა წეროძის ქმედება როგორც დანაშაულის წაქეზება?

1. არა, ვინაიდან მას ამსრულებელი არ დაუყოლიებია ხელი-
გნობის ჩასადენად.

2. დიახ, ვინაიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩად-
ენილი ხულიგნობა ეკუთვნის მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

3. არა, იგი დაისჯება როგორც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყ-
ენებით ჩადენილი ხულიგნობის დამხმარე.

4. დიახ, იგი დაისჯება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით
ჩადენილი ხულიგნობის წაქეზებისათვის.

ტესტი 143.

სალუქვაძემ განიზრახა ახობადის ბინის გაქურდვა იმ დროს,
როცა ოჯახის წევრები დასასვენებლად იყვნენ წასული საზაფხულო
აგარაკზე. თავისი განზრახვა მან გაუმჟღავნა მის მეგობარს კერე-
სელიძეს, რომელმაც მას კიდევ უფრო განუმტკიცა დანაშაულის
ჩადენის სურვილი იმით, რომ უთხრა სალუქვაძეს, თუ სად ჰქონდა
ახობადის ბინას საიდუმლო შესანახი, სადაც ინახავდნენ ფულს და
ძვირფასეულობას. ამის შესახებ კერესელიძემ იცოდა იმ ხელოსნის-
აგან, რომელმაც ახობადის ბინაში რემონტი გააკეთა. ამით კერე-
სელიძემ სალუქვაძეს შეგნებულად ახობადის ბინის გაქურდვის დროს
დასაუფლებელი ქონების ადგილმდებარეობაზე მნიშვნელოვანი დამ-
ატებითი ინფორმაცია მისცა. სალუქვაძემ განახორციელა განზრახვა,
ხოლო კერესელიძეს ბინის გაქურდვაში უშუალოდ მონაწილეობა
არ მიუღია.

შეფასდება თუ არა კერესელიძის ქმედება როგორც ქურ-
დობის წაქეზება?

1. დიახ, იგი დაისჯება როგორც წამქეზებელი.

2. არა, იგი დაისჯება როგორც ფიზიკური დამხმარე.

3. არა, იგი დაისჯება როგორც ფსიქიკური დამხმარე.

4. არა, იგი დაისჯება როგორც შუალობითი ამსრულებელი.

ტესტი 144.

სამეწარმეო საქმიანობის სფეროში წარმოშობილი დავის საფუძ-
ველზე, ახრახაძემ გადაწყვიტა ორგანიზაცია გაეკეთებინა სულაძის
მკვლელობისათვის. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ერგემლიძეს და
მასთან ერთად შეიმუშავა მოქმედების კონკრეტული გეგმა. უპირვე-
ლეს ყოვლისა, ერგემლიძე დაიყოლია მკვლელობის ჩასადენად,
რისთვისაც მას ფულადი ანაზღაურების გადახდას შეჰპირდა. შეიარ-
ადებული ერგემლიძე მრავალსართულიანი სახლის გარაჟში თავს
დაესხა სულაძის ავტომანქანას, მაგრამ შეეშალა, ვინაიდან ამ უკა-
ნასკნელის ავტომანქანაში მისი ცოლისძმა იჯდა. ერგემლიძემ ნაცვ-
ლად სულაძისა მოკლა მისი ცოლისძმა მუჩაძე. თავისი შეცდომის
გამოსწორების მიზნით, რათა ანაზღაურება მიეღო, ერთი საათის შემ-
დეგ მოკვლის განრახვით ესროლა სულაძესაც, მაგრამ ეს უკანასკნე-
ლი სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა.

როგორი იქნება ერგემლიძის და ახრახადის ქმედებათა სამართლებრივი შეფასება?

1. ერგემლიძის ქმედება მუჩაიძის მიმართ შეფასდება როგორც განზრახი მკვლელობა ანგარებით, ხოლო სულაძის მიმართ - განზრახი მკვლელობის მცდელობა ანგარებით, ხოლო ახრახადის ქმედება შეფასდება როგორც შეკვეთით განზრახი მკვლელობის ორგანიზება და წაქეზება.

2. ერგემლიძის ქმედება შეფასდება როგორც განზრახი მკვლელობა ანგარებით და ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახი მკვლელობის მცდელობა, ხოლო ახრახადის ქმედება - როგორც ანგარებით ჩადენილი განზრახი მკვლელობის ორგანიზება და წაქეზება.

3. ერგემლიძის ქმედება შეფასდება როგორც განზრახი მკვლელობა ანგარებით და განზრახი მკვლელობა ორი ან მეტი პირისა, ხოლო ახრახადის ქმედება - როგორც დამამძიმებელი გარემოებების გარეშე განზრახი მკვლელობის ორგანიზება.

4. ერგემლიძის ქმედება ორივე მსხვერპლის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით ცალ-ცალკე შეფასდება, როგორც ანგარებითი განზრახი მკვლელობა, ხოლო ახრახადის ქმედება - როგორც ანგარებითი განზრახი მკვლელობის მცდელობის წაქეზება.

ტექსტი 145.

საზაფხულო აგარაკზე კორძაძე შეხვდა თავის მეგობარ პაპიძეს და დაიყოლია, რათა ამ უკანასკნელს მოეკლა ნიორაძე. კორძაძე მოჰქმედებდა პირად საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი შურისძიების მოტივით. პაპიძე დაეთანხმა ამ წინადადებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ნიორაძის მოკვლით ფიქრობდა, არ გადაეხადა ვალი, რომელიც მან ნიორაძისაგან აიღო, რის გამოც ნიორაძე სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებდა. ამ ვალის შესახებ იცოდა კორძაძემაც, რომელიც შეჰპირდა პაპიძეს, რომ არსად არ განაცხადებდა ამის შესახებ. პაპიძემ თავისი დანაშაულებრივი განზრახვა შეასრულა, ღამით შევიდა ნიორაძის ბინაში, მოკლა იგი და გაანადგურა სესხის ხელშეკრულება, რომელიც ნიორაძეს საწერი მაგიდის უჯრაში ჰქონდა შენახული.

როგორი იქნება კორძაძის ქმედების სამართლებრივი შეფასება?

1. როგორც ანგარებითი განზრახი მკვლელობის წაქეზება.

2. როგორც ანგარებითი განზრახი მკვლელობის დახმარება.

3. როგორც დამამძიმებელი გარემოებების გარეშე განზრახი მკვლელობის წაქეზება.

4. როგორც დამამძიმებელი გარემოებების გარეშე განზრახი მკვლელობის დახმარება.

ტესტი 146.

მოვრალ მდგომარეობაში მყოფმა ახალგაზრდების ოთხკაციანმა ჯგუფმა მსუბუქი ავტომანქანის მიძლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, გადმოიყვანეს ავტომანქანის მითვისება, რაც სისრულეში მოიყვანეს კიდევ. ქმედების ჩადენის შემდეგ მათში გაიღვიძა რა სინანულის გრძნობამ, იმავე საღამოს ნებაყოფლობით დააბრუნეს ავტომანქანა დაუზიანებლად. მანქანის დაბრუნების მეორე დღეს ჯგუფის ყველა წევრი დააკავეს.

როგორ შეფასდება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ეს ქმედება?

1. როგორც ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად.
2. როგორც ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, ჩადენილი ჯგუფურად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით.
3. როგორც დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება.
4. როგორც გამოძალვა, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ერთვის ძალადობის გამოყენების მუქარა.

ტესტი 147.

აღკოშპოლის მიღების შედეგად მოვრალ მდგომარეობაში მყოფმა გაგნიძემ დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რასაც შედეგად მოჰყვა ხუთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ამ დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ოთხიდან თორმეტ წლამდე.

დანაშაულთა რომელ კატეგორიას ეკუთვნის გაგნიძის მიერ ჩადენილი დანაშაული?

1. ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ვინაიდან ჩადენილია თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული.
2. მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ვინაიდან ჩადენილია გაუფრთხილებელი დანაშაული.
3. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ვინაიდან ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით.
4. მსუბუქ დანაშაულთა კატეგორიას, ვინაიდან ჩადენილია ავტოსატრანსპორტო დანაშაული.

ტესტი 148.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დასახლების ტერიტორიაზე პროფესორ ახვლედიანს ყაჩაღურად თავს დაესხა ადრე ყაჩაღობისათვის ნასამართლელი ჭანკვეტაძე. ახვლედიანმა მას აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებში მიაყენა სხეულის მძიმე

დაზიანება. სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობაში მყოფი თავდამსხმელი, რომელსაც ჭრილობიდან სისხლი სდიოდა, მან დატოვა შემთხვევის ადგილზე, თუმცა ფიქრობდა, რომ ექიმის გამოძახებით მისი სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელი იყო, რაც არ გააკეთა. ახვლედიანმა შურისძიების გრძნობით დატოვა იგი მისთვის შესაძლებელი დახმარების გარეშე, რის შედეგადაც ჭანკვეტაძე რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

როგორ შეფასდება ახვლედიანის ქმედება?

1. დაუხმარებლობა.
2. უმოქმედობით ჩადენილი განზრახი მკვლელობა.
3. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება.
4. განსაცდელში მიტოვება.

ტესტი 149.

აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, ჩანტლაძემ შექმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „განთიადი“, ხოლო წესდებაში კი მიუთითა კანონით ნებადართული სამეწარმეო საქმიანობის შესახებ. მისმა მოქმედებამ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

როგორ შეფასდება ჩანტლაძის ქმედება?

1. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა.
2. ცრუ მეწარმეობა.
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.
4. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა.

ტესტი 150.

მეზობელ კოხრეიძესთან ჩხუბის დროს ჯაფარიძემ ამოიღო პისტოლეტი და ამ იარაღიდან გასროლით განიზრახა კოხრეიძის სიცოცხლის მოსპობა. პირველი ტყვია მიზანს აცდა. ამის შემდეგ მასში აღიძრა სინანულის გრძნობა, რის გამოც არ მოახდინა მეორე გასროლა, თუმცა შეეძლო განმეორებითი გასროლით მეზობლისათვის სიცოცხლის მოსპობა.

შეფასდება თუ არა ჯაფარიძის ქმედება განზრახ მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის ადებად?

1. დიახ, ვინაიდან ჯაფარიძემ დანაშაულებრივი ქმედება შეწყვიტა დაუშთავრებელი მცდელობის სტადიაზე.
2. არა, ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალება შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით.
3. არა, ვინაიდან დანაშაულზე ხელის ალება შეუძლებელია დამთავრებული მცდელობის სტადიაზე.
4. დიახ, ვინაიდან მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის ალება შეიძლება პირის უმოქმედობითაც.

3. სასჯელი

ტმსტი 151.

რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განსასჯელს მის მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეუფარდა ჯარიმა, რაც შეუკვალა პირობითი მსჯავრის გამოყენებით, გამოსაცდელ ვადად დაუწესა 4 წელი. პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლი კი დააკისრა იუსტიციის სამინისტროს პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შეეძლო თუ არა სასამართლოს მიეღო ასეთი გადაწყვეტილება?

1. დიახ, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

2. არა, ვინაიდან პირობითი მსჯავრის აღსრულებაზე კონტროლს არ ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს პრობაციის ბიურო.

3. არა, ვინაიდან სასამართლოს გამოსაცდელ ვადად შეეძლო დაენიშნა არაუმეტეს სამი წლისა.

4. დიახ, ვინაიდან მსჯავრდებულს დაენიშნა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

ტმსტი 152.

განსასჯელ ფარქოსაძეს რაიონულმა სასამართლომ მის მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილი ორი მძიმე დანაშაულისათვის შეუფარდა ცალ-ცალკე ჯარიმა 2500 და 3500 ლარის ოდენობით. საბოლოოდ კი, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გამოყენებით, ჯარიმის ოდენობად განუსაზღვრა 5000 ლარი. განსასჯელის თვითური შემოსავალი შეადგენდა 1200 ლარს.

სწორია თუ არა რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება?

1. არა, ვინაიდან მძიმე დანაშაულთა ჩადენის დროს სასამართლოს შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ სასჯელთა შთანთქმის პრინციპი.

2. დიახ, ვინაიდან სასჯელთა შეკრებით დანიშნული ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 3000 ლარზე ნაკლები.

3. დიახ, ვინაიდან ჯარიმის ოდენობა სასჯელთა შეკრებისას არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

4. არა, ვინაიდან სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სასჯელთა შეკრების პრინციპი.

ტმსტი 153.

ვის არ შეიძლება მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით?

1. ქალებს, აგრეთვე იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი ანდა განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი.

2. ორსულ ქალებს, ასევე ქალებსა და მამაკაცებს, თუ დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებიათ 18 წელი ან დანაშაულის ჩადენის დღისათვის შეუსრულდათ 60 წელი.

3. ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი.

4. ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი ან დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი.

ტესტი 154.

კვატაშიძეს, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მის მიერ ფაქტობრივად თავისუფლების აღკვეთის 25 წლის მოხდის შემდეგ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა და გაათავისუფლა იგი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

შეეძლო თუ არა სასამართლოს მიეღო ასეთი გადაწყვეტილება?

1. დიახ, ვინაიდან მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გაათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 20 წელი და სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

2. არა, ვინაიდან მსჯავრდებულის უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან გაათავისუფლება შეიძლება მხოლოდ შეწყვეტებით.

3. არა, ვინაიდან უვადო თავისუფლების აღკვეთის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვლას კანონი არ ითვალისწინებს.

4. დიახ, ვინაიდან მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გაათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 25 წელი და სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

ტესტი 155.

რაიონულმა სასამართლომ დალაქიშვილს გაუფრთხილებელი მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის ზომად განუსაზღვრა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, ხოლო გამოსაცდელი ვადა განუსაზღვრა ექვსი წლით.

სწორად გამოიყენა თუ არა სასამართლომ პირობითი მსჯავრის დანიშვნის წესი?

1. არა, ვინაიდან პირობითი მსჯავრის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 წელს.

2. დიახ, ვინაიდან 5 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს ექვსი წელი.

3. არა, ვინაიდან 3 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას პირობითი მსჯავრი არ გამოიყენება.

4. დიახ, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის დანიშვნისას არავითარ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს.

ტესტი 156.

სხვისი ნივთის განზრახი განადგურებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რაიონული სასამართლოს მოსამართლემ არასრულწლოვან აგლაძეს, რომელსაც აქვს დამოუკიდებლად ხელფასი, განუსაზღვრა ჯარიმა 800 ლარის ოდენობით.

სწორად განუსაზღვრა თუ არა სასამართლომ მსჯავრდებულს ჯარიმის ოდენობა?

1. დიახ, აგლაძეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 800 ლარის ოდენობით.

2. არა, აგლაძეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა არანაკლებ 2000 ლარისა.

3. არა, ვინაიდან არასრულწლოვნისათვის დანიშნული ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.

4. დიახ, ვინაიდან არასრულწლოვნისათვის დანიშნული ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

ტესტი 157.

60 წლის ასაკში ანთაქემ, რომელსაც შინ ლოგინად ჩავარდნილი პირველი ჯგუფის ინვალიდი ქმარი ჰყავდა, პირველად ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლიდან ათ წლამდე ვადით. განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ გაითვალისწინა რა დამნაშავეს პიროვნება და მიიმეოჯახური მდგომარეობა, მას ჩაღვნილი ქმედებისათვის დაუნიშნა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი – ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

იყო თუ არა სასამართლო უფლებამოსილი მიეღო ასეთი გადაწყვეტილება?

1. დიახ, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა ამის შესაძლებლობას.

2. არა, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანის მიმართ.

3. არა, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დროს.

4. დიახ, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა ამის შესაძლებლობას მხოლოდ არასრულწლოვნების და ქალების მიმართ.

ტესტი 158.

სისაურმა ჩაიდინა განზრახი მკვლელობა და ქურდობა არაერთ-გზის. პირველი დანაშაული ეკუთვნის განსაკუთრებით მძიმე, ხოლო მეორე მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. სასამართლომ განსასჯელს ჩადენილი ქმედებებისათვის ცალ-ცალკე განუსაზღვრა სასჯელი. ამასთან, საბოლოოდ სასჯელის დანიშვნისას გამოიყენა შთანთქმის პრინციპი და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. დიახ, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა მხოლოდ სასჯელთა შთანთქმის პრინციპი.

2. არა, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა მხოლოდ სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპი.

3. არა, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა მხოლოდ სასჯელთა მთლიანი შეკრების პრინციპი.

4. არა, ვინაიდან სასამართლოს თავისი შეხედულებით შეეძლო გამოეყენებინა სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპი.

ტესტი 159.

რაიონულმა სასამართლომ ხარაძეს მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულისათვის შეუფარდა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით. მისი თვიური შემოსავალი შეადგენს 600 ლარს.

სწორია თუ არა სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა?

1. დიახ, ხარაძეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით.

2. არა, ხარაძეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა არანაკლებ 2000 ლარისა.

3. არა, ხარაძეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა არანაკლებ 1600 ლარისა.

4. დიახ, ხარაძეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა არანაკლებ 1000 ლარისა.

ტესტი 160.

არასრულწლოვანმა კალაძემ პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა ახალი განზრახი მძიმე დანაშაული, რისთვისაც სასამართლომ მას დაუნიშნა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ, გაითვალისწინა რა საქმის გარემოებები და 17 წლის კლადის პიროვნება, ჩათვალა, რომ მიზანშეუწონელია, მოიხადოს დანიშნული სასჯელი და დაადგინა, რომ სასჯელი პირობით კვლავაც არ იქნეს გამოყენებული განსასჯელის მიმართ, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუწესა ხუთი წელი.

კანონიერია თუ არა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება?

1. არა, ვინაიდან სასამართლოს შეუძლია პირობითი მსჯავრის კვლავ შეფარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანიშნული სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას.

2. დიახ, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ.

3. არა, ვინაიდან ამ შემთხვევაში პირობითი მსჯავრი კვლავ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს გენერალურ პროკურორთან ან მის მოადგილესთან.

4. დიახ, ვინაიდან ჩადენილი არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

ტექსტების სწორი პასუხები

ტექსტი 1 - 1	ტექსტი 41 - 3	ტექსტი 81 - 4	ტექსტი 121 - 3
ტექსტი 2 - 2	ტექსტი 42 - 1	ტექსტი 82 - 4	ტექსტი 122 - 1
ტექსტი 3 - 1	ტექსტი 43 - 2	ტექსტი 83 - 2	ტექსტი 123 - 3
ტექსტი 4 - 2	ტექსტი 44 - 4	ტექსტი 84 - 1	ტექსტი 124 - 4
ტექსტი 5 - 4	ტექსტი 45 - 2	ტექსტი 85 - 1	ტექსტი 125 - 2
ტექსტი 6 - 2	ტექსტი 46 - 4	ტექსტი 86 - 4	ტექსტი 126 - 3
ტექსტი 7 - 4	ტექსტი 47 - 3	ტექსტი 87 - 1	ტექსტი 127 - 2
ტექსტი 8 - 3	ტექსტი 48 - 1	ტექსტი 88 - 3	ტექსტი 128 - 1
ტექსტი 9 - 3	ტექსტი 49 - 2	ტექსტი 89 - 2	ტექსტი 129 - 4
ტექსტი 10 - 1	ტექსტი 50 - 2	ტექსტი 90 - 1	ტექსტი 130 - 2
ტექსტი 11 - 4	ტექსტი 51 - 1	ტექსტი 91 - 2	ტექსტი 131 - 1
ტექსტი 12 - 2	ტექსტი 52 - 2	ტექსტი 92 - 4	ტექსტი 132 - 1
ტექსტი 13 - 1	ტექსტი 53 - 1	ტექსტი 93 - 4	ტექსტი 133 - 3
ტექსტი 14 - 2	ტექსტი 54 - 3	ტექსტი 94 - 2	ტექსტი 134 - 2
ტექსტი 15 - 1	ტექსტი 55 - 2	ტექსტი 95 - 4	ტექსტი 135 - 1
ტექსტი 16 - 3	ტექსტი 56 - 1	ტექსტი 96 - 3	ტექსტი 136 - 3
ტექსტი 17 - 4	ტექსტი 57 - 4	ტექსტი 97 - 1	ტექსტი 137 - 4
ტექსტი 18 - 1	ტექსტი 58 - 3	ტექსტი 98 - 3	ტექსტი 138 - 3
ტექსტი 19 - 2	ტექსტი 59 - 2	ტექსტი 99 - 4	ტექსტი 139 - 3
ტექსტი 20 - 1	ტექსტი 60 - 4	ტექსტი 100 - 2	ტექსტი 140 - 3
ტექსტი 21 - 2	ტექსტი 61 - 4	ტექსტი 101 - 3	ტექსტი 141 - 3
ტექსტი 22 - 4	ტექსტი 62 - 4	ტექსტი 102 - 4	ტექსტი 142 - 4
ტექსტი 23 - 3	ტექსტი 63 - 2	ტექსტი 103 - 2	ტექსტი 143 - 3
ტექსტი 24 - 4	ტექსტი 64 - 3	ტექსტი 104 - 4	ტექსტი 144 - 1
ტექსტი 25 - 2	ტექსტი 65 - 4	ტექსტი 105 - 4	ტექსტი 145 - 3
ტექსტი 26 - 2	ტექსტი 66 - 4	ტექსტი 106 - 1	ტექსტი 146 - 1
ტექსტი 27 - 4	ტექსტი 67 - 3	ტექსტი 107 - 2	ტექსტი 147 - 2
ტექსტი 28 - 4	ტექსტი 68 - 3	ტექსტი 108 - 3	ტექსტი 148 - 1
ტექსტი 29 - 2	ტექსტი 69 - 3	ტექსტი 109 - 4	ტექსტი 149 - 2
ტექსტი 30 - 3	ტექსტი 70 - 4	ტექსტი 110 - 3	ტექსტი 150 - 4
ტექსტი 31 - 2	ტექსტი 71 - 1	ტექსტი 111 - 3	ტექსტი 151 - 3
ტექსტი 32 - 3	ტექსტი 72 - 3	ტექსტი 112 - 1	ტექსტი 152 - 4
ტექსტი 33 - 1	ტექსტი 73 - 3	ტექსტი 113 - 4	ტექსტი 153 - 3
ტექსტი 34 - 2	ტექსტი 74 - 1	ტექსტი 114 - 3	ტექსტი 154 - 4
ტექსტი 35 - 3	ტექსტი 75 - 4	ტექსტი 115 - 1	ტექსტი 155 - 2
ტექსტი 36 - 1	ტექსტი 76 - 2	ტექსტი 116 - 1	ტექსტი 156 - 1
ტექსტი 37 - 1	ტექსტი 77 - 4	ტექსტი 117 - 2	ტექსტი 157 - 3
ტექსტი 38 - 1	ტექსტი 78 - 4	ტექსტი 118 - 3	ტექსტი 158 - 4
ტექსტი 39 - 3	ტექსტი 79 - 1	ტექსტი 119 - 3	ტექსტი 159 - 2
ტექსტი 40 - 4	ტექსტი 80 - 4	ტექსტი 120 - 2	ტექსტი 160 - 3

აკრძალვა

- აკრძალვაში შეცდომა 229-232.
- აკრძალვაში არაპირდაპირი შეცდომა 232.
- აკრძალვაში პირდაპირი შეცდომა 232.
- ანალოგიის აკრძალვა 25; 35-38..
- დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის გამოყენების აკრძალვა 25.
- კანონის უკუძალის აკრძალვა 25-35.
- ნორმის განუსაზღვრელობის აკრძალვა 25; 38-39.
- სიკვდილით დასჯის აკრძალვა 289-290.

ამსრულებლობა

- დანაშაულის ამსრულებლობა 265-275.
- დანაშაულის ალტერნატიული ამსრულებლობა 162.
- დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებლობა 266.
- დანაშაულის კუმულაციური ამსრულებლობა 162.
- დანაშაულის პარალელური ამსრულებლობა 162.
- დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა 266-268; 271.
- ერთიანი ამსრულებლობის თეორია 265.
- შუალობითი ამსრულებლობის ობიექტური თეორია 267.
- შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტური თეორია 267.

ანალოგია

- ანალოგიის აკრძალვა 25; 35-38.
- ანალოგიის აკრძალვა რომის სტატუტის მიხედვით 39-41.
- ანალოგიის გამოყენების საკითხი 35-38.

აუცილებელი მოგერიება – 187.

- აუცილებელი მოგერიების აბსოლუტური თეორია 198.
- აუცილებელი მოგერიების დუალისტური პრინციპი 187.
- აუცილებელი მოგერიების დაცვის უფლების თეორია 198.
- აუცილებელი მოგერიების ექსცესი 192; 196; 240-242.
- აუცილებელი მოგერიების ექსტენსიური ექსცესი 192; 241-242.
- აუცილებელი მოგერიების თანხვედრის თეორია 199.

¹ ციფრებით მითითებულია წიგნის ის გვერდები, სადაც განხილულია აღნიშნული საკითხი.

- აუცილებელი მოგერიების ინტენსიური ექსცესი 191; 241-242.
- აუცილებელი მოგერიების მონისტური თეორია 187.
- აუცილებელი მოგერიების სტრუქტურა და შინაარსი 188-197.
- აუცილებელი მოგერიების უფლების სამართლებრივი საფუძველი 187-188.
- აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვები 201-202.
- მონვენებითი მოგერება 192; 235.
- საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების შეზღუდვა 199-201.
- ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლება აუცილებელი მოგერიების დროს 197-199.

აფექტი - 226; 241.

- ასთენიური აფექტი 241.
- პათოლოგიური აფექტი 226.
- სთენიური აფექტი 241.
- ფიზიოლოგიური აფექტი 226.

აღკვეთა

- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 292.
- უვადო თავისუფლების აღკვეთა 292.

ახსნა-განმარტება

- გრამატიკული ახსნა-განმარტება 36.
- ევროგაერთიანების სამართლის შესაბამისი ახსნა-განმარტება 36.
- ისტორიული ახსნა-განმარტება 36.
- კონსტიტუციის შესაბამისი ახსნა-განმარტება 36.
- ობიექტურ-თელეოლოგიური ახსნა-განმარტება 36.
- სისტემური ახსნა-განმარტება 36.

ბრალდებული

- ბრალდებულის საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობა 301-303.

ბრალი - 56; 216-253.

- ბრალის გამომრიცხველი დაწერილი საპატიებელი გარემოებანი 229.

- ბრალის გამომრიცხველი დაუწერელი საპატიებელი გარემოებანი 229.
- ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებები 229-254.
- ბრალის თეორია 235.
- ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია 217-218.
- ბრალის სტრუქტურა 220.
- ბრალის ფუნქციონალური ცნება 219-220.
- ბრალის ცნება და თეორიები 216-220.
- ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია 218-219.
- ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორია 217.
- ბრალუნარიანობა და მისი გამომრიცხავი (და შემამსუბუქებელი) გარემოებები 221.
- ბრალუნარიანობის საგამონაკლისო თეორია 228.
- ბრალუნარიანობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორია 228.
- განზრახვის ბრალი 232.
- თანმიმდევრული ბრალის თეორია 235.
- ინდივიდუალური ბრალი 216-253.
- შეზღუდული ბრალის თეორია 235.

ბრძანება

- ბრძანების ან განკარგულების შესრულება 236-240.

გამასწორებელი სამუშაო - 292.

განზრახვა - 124-133.

- ალტერნატიული განზრახვა 142-144.
- არაპირდაპირი ანუ ევენტუალური განზრახვა 127-130.
- ბოროტი განზრახვა 232.
- განზრახვის თეორია 235.
- გენერალური განზრახვა 144-145; 150.
- ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა 132-138.
- ერთიანი განზრახვის თეორია 150.
- თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებული განზრახვი დანაშაული 167-168.
- კუმულაციური განზრახვა 144.
- მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა 128-129.
- პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა 128.
- შემდგომი განზრახვა 130.
- წინმსწრები განზრახვა 130.

გაუფრთხილებლობა – 124-126; 157.

- გაუფრთხილებლობის სახეები 157-162.
- გაუცნობიერებელი გაუფრთხილებლობა 160.
- გაცნობიერებული (შეგნებული) გაუფრთხილებლობა 158-160.
- ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა 164.
- ობიექტური გაუფრთხილებლობა 163.
- სუბიექტური გაუფრთხილებლობა 164.

დამნაშავის შეპყრობა – 209-211.

დანაშაული

- არაერთგზისი დანაშაული 79-80; 282-283.
- განგრძობადი დანაშაული 79.
- დამთავრებული დანაშაული 78.
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება 259-263.
- დანაშაულთა ერთობლიობა 283-284.
- დანაშაულის ამსრულებლობა 266-268.
- დანაშაულის ალტერნატიული ამსრულებლობა 162.
- დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებლობა 265.
- დანაშაულის კუმულაციური ამსრულებლობა 162.
- დანაშაულის პარალელური ამსრულებლობა 162.
- დანაშაულის შეუაღობითი ამსრულებლობა 266-268; 271.
- დანაშაულის კატეგორიები (დანაშაულის სიმძიმის მიხედვით) 75-76.
- დანაშაულის კატეგორიები ჩადენის ფორმის მიხედვით 76-81.
- დანაშაულის მომზადება 255-259.
- დანაშაულის მცდელობა 255-259.
- დანაშაულის ჩადენის ადგილი 41-43.
- დანაშაულის ჩადენის დრო 24.
- დანაშაულის რეციდივი 284-285.
- დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის განვითარების ისტორია 58-70.
- დანაშაულის სიმრავლე 280-283.
- დანაშაულის სისტემის ცალკეული ელემენტები 72-75.
- დანაშაულის სუბიექტი 84.
- დანაშაულის ცნება და დანაშაულის სისტემა 55-58.
- დანაშაულში თანამონაწილეობა 268-276.
- დაუმთავრებელი დანაშაული 254-264.
- დენადი დანაშაული 79.
- ერთიანი დანაშაული 282.
- თანამდევო შედეგით კვალიფიცირებული განზრახვი დანაშაული 167-168.

- ქმედების მცირე მნიშვნელობა და დანაშაულის სისტემა 70-72.
- ჯგუფური დანაშაული 279-280.

დასკვნა

- დასკვნის შედგენა 307-310.
- დასკვნის ჩამოყალიბების (აგების) ტიპები 317-318.

დაუდევრობა - 158-160.

დეკრიმინალიზაცია - 26-27.

დელიქტი

- აბსტრაქტულ-კონკრეტული საფართის დელიქტი 76-77.
- აბსტრაქტული საფართის დელიქტი 76-77.
- ზოგადი და სპეციალური დელიქტები 80-81.
- კონკრეტული საფართის დელიქტი 76-77.
- შედეგგარეშე დელიქტი 76.
- შედეგიანი დელიქტი 76.
- შეკვეცილი დელიქტი 79.
- შერეული უმოქმედობის დელიქტი 77.
- წმინდა უმოქმედობის დელიქტი 77.

დეპენალიზაცია - 26-27.

ექსცესი

- ამსრულებლის ექსცესი 278.
- აუცილებელი მოგერიების ექსტენსიური ექსცესი 241-242.
- აუცილებელი მოგერიების ინტენსიური ექსცესი 191; 241-242.

თავისუფლება

- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 292.
- თავისუფლების შეზღუდვა 292.
- უვადო თავისუფლების აღკვეთა 292.

თანამსრულებლობა

- დანაშაულის თანამსრულებლობა 266.
- დანაშაულის გაუფრთხილებლობითი თანამსრულებლობა 161-162.

თანამდებობა

- თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 292.

თანამონაწილეობა

- დანაშაულში თანამონაწილეობა 268-276.
- თანამონაწილეობის აქცესორული თეორია 269.
- თანამონაწილეობის მატერიალურ-ობიექტური თეორია 271.
- თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია 270.
- თანამონაწილეობის ფორმალურ-ობიექტური თეორია 270.
- თვითმკვლელობაში აქტიური თანამონაწილეობა 117-118.
- თვითმკვლელობაში პასიური თანამონაწილეობა 118.
- ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და თანამონაწილეობის დასჯადობა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით 280-281.

თანხმობა

- დაზარალებულის თანხმობა 213-215.
- დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა 213-215.

თელეოლოგიური

- ობიექტურ თელეოლოგიური ინტერპრეტაცია 36.
- თელეოლოგიური რედუქცია 37.

თეორია (თეორიები)

- აღეკვატურობის თეორია 94-95.
- ალბათობის თეორია 140-141.
- აუცილებელი მოგერიების მონისტური თეორია 187.
- „აცდენილი ისრის“ თეორია 153-157.
- ბრალის თეორია 235.
- ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია 217-218.
- ბრალის ფუნქციონალური ცნება 219-220.
- ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია 218-219.
- ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორია 217.
- ბრალუნარიანობის საგამონაკლისო თეორია 228.
- ბრალუნარიანობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორია 228.
- განზრახვის თეორია 235.
- გენერალური განზრახვის თეორია 150.
- გენერალური მიზეზობრიობის თეორია 96-99.

- დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტურ-ობიექტური შერეული თეორია 255.
- დიფერენცირებული თეორია 200.
- ეკონტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის თეორიები 138-142.
- ეკვივალენტურობის თეორია 92-93.
- ერთიანი ამსრულებლობის თეორია 265.
- ერთიანი განზრახვის თეორია 150.
- ეუკლიდის გვიან გამოწვევის თეორია 151.
- თავდაცვის ორმაგი ნების თეორია 193.
- თანაბარმნიშვნელობის თეორია 141.
- თანამონაწილეობის აქცესორული თეორია 269.
- თანამონაწილეობის მატერიალურ-ობიექტური თეორია 271.
- თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია 270.
- თანამონაწილეობის ფორმალურ-ობიექტური თეორია 270.
- თანმიმდევრული ბრალის თეორია 235.
- თვითდაცვის თეორია 200-201.
- კანონზომიერი პირობის თეორია 114.
- კრიმინალ-პოლიტიკური თეორია 263.
- ლიმიტირებული აქცესორული თეორია 181; 269.
- მიზეზთა სამართლებრივი ურთიერთკავშირის თეორია 113-114.
- მიზეზობრივი კავშირის თეორიები 92-99.
- მოქმედების თეორია 43.
- მოქმედების კაუზალური თეორია 84-85.
- მოქმედების სოციალური თეორია 86-87.
- მოქმედების ფინალური თეორია 86.
- ნებელობის თეორიები 141-142.
- ნორმის დაცვის მიზნის თეორია 114-115.
- ოქროს ხიდის თეორია 260-261.
- ობიექტური თეორია (ანსელმ ფოიერბახი) 255.
- პასუხისმგებლობის აბსოლუტური თეორია 238-239.
- პირობათა თეორია 239-240.
- რეგრესის აკრძალვის თეორია 102; 121-123.
- რელევანტურობის თეორია 95.
- რისკის ამადლების თეორია 111-113
- რისკის თეორია (ეკონტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების გამიჯვნის) 141.
- რისკის თეორია (ობიექტური შერაცხვის) 107-109.
- რისკის შემცირების თეორია 109-111.
- სამართლებრივ სიკეთეთა თანაბარღირებულების თეორია 155.
- სამართლებრივ სიკეთეთა კონკრეტიზაციის თეორია 155.
- სამართლის ბოროტად გამოყენების თეორია 203.
- სასჯელის თეორიები 287-289.

- სასჯელის აბსოლუტური თეორია 287.
- სასჯელის მიზნების თეორია 263.
- სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელის რელატიური თეორიები 287.
- სუფევლგანობის თეორია 42.
- ქმედებაზე ბატონობის თეორია 268; 271.
- ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების თეორია 261-262.
- შედეგის დადგომის რეალურობის აღქმის თეორია 142.
- შედეგის თავიდან აცილების თეორია 142.
- შედეგის თეორია 43.
- შედეგის მოწონების თეორია 141.
- შეზღუდული ბრალის თეორია 235.
- შემეცნების (წარმოსახვის) თეორიები 140.
- შესაძლებლობის თეორია 140.
- შუალობითი ამსრულებლობის ობიექტური თეორია 267.
- შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტური თეორია 267.
- ცალკეული აქტის თეორია 261
- წახალისების თეორია 263.
- წმინდა საჯაროსამართლებრივი თეორია 200.
- წმინდა სისხლისსამართლებრივი თეორია 199-200.
- წმინდა სუბიექტური თეორია 255.

თვითიმედოვნება – 158-160.

კაზუსი

- კაზუსის ამოხსნისა და დამუშავების მეთოდი სისხლის სამართალში 306-332.
- კაზუსის ამოხსნის გასათვალისწინებელი საკითხები 314-317.
- კაზუსის ამოხსნის ნიმუში 318-332.
- კაზუსი მოჩვენებით მოგერიებაზე 326-332.
- მოქმედებით ჩადენილი შედეგიანი განზრახი დამთავრებული დანაშაულის კაზუსის ამოხსნის სქემა 146-147.

კანონი

- დამატებითი სისხლის სამართლის კანონი 11-12.
- კანონის ანალოგია 35-38.
- კანონის ახსნა-განმარტების ხერხები 35-38.
- კანონის ინტერპრეტაცია 35-38.

- კანონის უკუძალა 25-35.
- კანონის უკუძალის აკრძალვა 25-35.
- კანონის მოქმედების ფარგლები 24-55.
- სისხლის სამართლის კანონი და სისხლის სამართლის ამოცანა 11-17.

კოლიზია

- მოვალეობათა კოლიზია 213-214.
- ტრაგიკული კოლიზია 237; 243.

მართლწინააღმდეგობა - 56; 177-216.

- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები 177-216.
- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების კლასიფიკაცია 184-186.
- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სტრუქტურა 182-184.
- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი 213-215.
- მართლწინააღმდეგობის შეგნება ვიწრო გაგებით 229.
- მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით 127; 232.

მიზეზობრივი კავშირი - 88-89.

- ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად განვითარებული მიზეზობრიობა 119-120.
- ალტერნატიული ანუ ორმაგი მიზეზობრიობა 99-101.
- გამსწრები მიზეზობრიობა 103; 123.
- გაწყვეტილი მიზეზობრიობა 102; 123.
- გენერალური მიზეზობრიობის თეორია 96-99.
- კუმულაციური მიზეზობრიობა 101-102.
- მიზეზობრივი კავშირის ატიპიური განვითარება 114.
- მიზეზობრივი კავშირის თეორიები 92-99.
- მიზეზობრივი კავშირის სავარაუდო განვითარების შესახებ დაშვებული შეცდომა 120-121.
- მიზეზობრიობის სახეები 99-103.
- პიპოთეტური მიზეზობრიობა 102-103.

მოქმედება

- მოქმედების თეორიები 84.
- მოქმედების კაუზალური თეორია 84-85.

- მოქმედების სოციალური თეორია 86-87.

- მოქმედების ფინალური თეორია 86.

მოჩვენებითი მოგერიება

- კაზუსი მოჩვენებით მოგერიებაზე 326-331.

- მოჩვენებითი მოგერიება 232-236.

მოდერება

- მატერიალურ-ობიექტური მოდერება 271.

- მოდერება კანონზომიერი პირობის შესახებ 93-94.

- მხოლოდ მეთაურის პასუხისმგებლობის მოდერება 237.

- ობიექტური შერაცხვის მოდერება 89-92.

- ქვეშევრდომის აბსოლუტური დასჯის მოდერება 237.

მცდელობა

- აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა 256.

- დამთავრებული მცდელობა 256.

- დაუმთავრებელი მცდელობა 256.

- ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა 132-138.

- უვარგისი მცდელობა 255.

ნებაყოფლობით ხელის აღება

- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება 259-263.

- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილის მიერ 276-278.

ნორმა

- ნორმის განუსაზღვრელობის აკრძალვა 25; 38-39.

- ნორმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები 15.

- ნორმის ნებადართული ინტერპრეტაცია თუ სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის იგნორირება 39.

- ნორმის საგარანტიო ფუნქცია 39.

- წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა 164-165.

ობიექტური შერაცხვა

- ობიექტური შერაცხვა 89-92; 150.

- ობიექტური შერაცხვის პრობლემატური შემთხვევები 106-107.
- ობიექტური შერაცხვის ცალკეული პრობლემები 107-123.
- შედეგის ობიექტური შერაცხვა 104-124.
- შედეგის ობიექტური შერაცხვის მნიშვნელობა 104-106.

პასუხისმგებლობა

- არასრულწლოვან დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი 304-305.
- ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი 40-41.
- ინდივიდუალური ბრალეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით 280-281.
- მეთაურის პასუხისმგებლობა 174-175; 237-239.
- მეთაურის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობის კონცეფცია 238-239.
- მხოლოდ მეთაურის პასუხისმგებლობის მოძღვრება 237.
- პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით 186-187.
- პასუხისმგებლობა ქმედებაზე ბატონობისთვის თუ მსხვერპლის პირადი პასუხისმგებლობა 118-119.
- პასუხისმგებლობის შესაძლო გამორიცხვის პრინციპი 226.
- პროდუქციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 96-99.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი 70-72.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება 299-301.

პირობითი მსჯავრი -294-297.

პრინციპი

- ალმის პრინციპი 44.
- აუცილებელი მოგერიების დუალისტური პრინციპი 187.
- ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი 39-40.
- დამატებითი იურისდიქციის პრინციპი 20.
- დაცვის პრინციპი 48-49.
- ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ დასჯის აკრძალვის პრინციპი 46-47.
- თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპი 199.
- კანონიერების პრინციპი საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით 39-41.
- კომპლემენტარულობის პრინციპი 19.
- ლოიალურობის პრინციპი 37.

- მონაცველობითი მართლმსაჯულების პრინციპი 52-54.
- მოქალაქეობის პრინციპი 45-47.
- პასიური პერსონალურობის პრინციპი 48.
- პასუხისმგებლობის შესაძლო გამორიცხვის პრინციპი 226.
- პრიორიტეტული იურისდიქციის პრინციპი 20.
- რეალურობის პრინციპი 48.
- საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები 18-23.
- სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპი 226.
- საქართველოს საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები 42-54.
- სუფევლგანობის პრინციპი 42-43.
- ტერიტორიულობის პრინციპი 44-45.
- უნივერსალურობის პრინციპი 49-53.
- ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი 40; 100; 112; 162; 232; 257; 320.

რისკი

- მართლზომიერი რისკი 212.
- რისკის ამაღლების თეორია 111-113.
- რისკის თეორია (ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების გამიჯვნის) 141.
- რისკის თეორია (ობიექტური შერაცხვის) 107-109.
- რისკის შემცირების თეორია 109-111.

სამართალ შემოქმედება

- სამოსამართლო სამართალშემოქმედება 35; 213.

სამართლებრივი სიკეთე

- ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე 16-17; 83.
- უნივერსალური (საყოველთაო) სამართლებრივი სიკეთე 16-17; 83.

სასჯელი - 286-305.

- სასჯელის აბსოლუტური თეორია 288.
- სასჯელის დანიშვნა 294-297.
- სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს 297-298.
- სასჯელის თეორიები 287-289.
- სასჯელის მიზნები 287.
- სასჯელის მიზნების თეორია 263.

- სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორია 289.
- სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელის რელატიური თეორიები 287.
- სასჯელები საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით 298-299.
- სასჯელთა სისტემა 289-294.
- სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპი 226.
- სასჯელის სპეციალური პრევენციის თეორია 288.
- სასჯელთა ცალკეული სახეები 290-294.
- სასჯელის ცნება 286-287.
- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება 299-301.

სისტემა

- დანაშაულის სისტემა ზოგადად 55-58.
- დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის განვითარების ისტორია 58-70.
- თელეოლოგიურ-სოციალური სისტემა 68-69.
- კლასიკური სისტემა 60-62.
- მოქმედებით ჩადენილი შედეგიანი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სისტემა 162-164.
- ნეოკლასიკური სისტემა 62-64.
- სანქციათა ორკვალიანი სისტემა 225.
- უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაულის სისტემა 175-176.
- ფინალური სისტემა 64-68.
- ფუნქციონალური (მიზანრაციონალური) სისტემები 69-70.
- ქმედების მცირე მნიშვნელობა და დანაშაულის სისტემა 70-72.

სუბსუმცია - 311.

- სუბსუმცია და სამართლებრივი პრობლემები 313-314.
- ქმედების შემადგენლობის ცალკეული ნიშნების სუბსუმცია 311-313.

უკიდურესი აუცილებლობა

- აგრესიული (თავდასხმითი) უკიდურესი აუცილებლობა 205-207.
- დეფენზიური (თავდაცვითი) უკიდურესი აუცილებლობა 205-207.
- იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა, როგორც საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სპეციალური შემთხვევა 248-250.
- პრევენციული უკიდურესი აუცილებლობა 189.

- საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა 243.
- საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა ვიწრო გაგებით 245-248.
- საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა ფართო გაგებით 250-252..

უმართლობა

- სისხლისსამართლებრივი უმართლობა 178-179; 275; 282.

უმოქმედობა

- უმოქმედობის დასჯადობა და მისი წინაპირობები 168-175.
- უმოქმედობის დასჯადობის თავისებურებანი 168-175.
- უმოქმედობა მოქმედებით 119.
- უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაულის სისტემა 175-176.

ფაბულა

- საქმის ფაბულა 306-307.

ქვეშევრდომი

- ქვეშევრდომის აბსოლუტური დასჯის მოძღვრება 237.

ქმედება

- ქმედების კვალიფიციური შემადგენლობა 77.
- ქმედების მცირე მნიშვნელობა და დანაშაულის სისტემა 70-72.
- ქმედების ობიექტური შემადგენლობა 82-124.
- ქმედების პრივილეგიური შემადგენლობა 77.
- ქმედების სუბიექტური შემადგენლობა 124-147.
- ქმედების შემადგენლობა 56; 81-177.
- ქმედების შემადგენლობის აღწერილობითი ნიშნები 82.
- ქმედების შემადგენლობის შეფასებითი ნიშნები 82.
- ქმედების შემადგენლობის შეცდომა 147-157.
- ქმედების ძირითადი შემადგენლობა 77.

ქონების ჩამორთმევა – 293.

შედგები – 87-88.

- შედეგის დადგომის რეალურობის აღქმის თეორია 142.
- შედეგის თავიდან აცილების თეორია 142.

- შედეგის თეორია 43.
- შედეგის მოწონების თეორია 141.
- შედეგის ობიექტური შერაცხვა 104-124.
- შედეგის ობიექტური შერაცხვის მნიშვნელობა 104-106.

შეზღუდვა

- თავისუფლების შეზღუდვა 292.
- სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა 292.

შერაცხადობა

- შეზღუდული შერაცხადობა 226.

შეურაცხაობა – 221-226.

- შეურაცხაობა ასაკის გამო 222-224.
- შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო 225-226.
- შეურაცხაობის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური კომპონენტი 225.
- შეურაცხაობის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული კომპონენტი 225.

შეცდომა

- აკრძალვაში არაპირდაპირი შეცდომა 232.
- აკრძალვაში პირდაპირი შეცდომა 232.
- მიზეზობრივი კავშირის სავარაუდო განვითარების შესახებ დაშვებული შეცდომა 120-121.
- მისატყუებელი შეცდომა 234; 230.
- მიუტყუებელი შეცდომა 234; 230.
- ფაქტობრივი შეცდომა 148-149.
- ქმედების შემადგენლობის შეცდომა 147-157.
- შეცდომა აკრძალვაში 229-232.
- შეცდომა ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებებთან დაკავშირებით 252-253.
- შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში 149-151.
- შეცდომა ობიექტში 151-152.
- შეცდომა პიროვნებაში 151-152.
- შეცდომა ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე 152-153.

შრომა

- სასოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 292.

ხანდაზმულობა

- ხანდაზმულობის ახალი ვადის დაწესება და კანონის უკუბაღა 28-32.
- ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობა 303-304.

ჯარიმა - 290-291.

ჯგუფური

- ჯგუფური დანაშაული 279-280.

ჰიპოთეზა

- ჰიპოთეზა (მთავარი წინადადება) 310.

A

aberratio ictus 153; 154; 155; 156;
157
absolute liability 237.
absolute Theorie 198.
actio illicita in causa 204.
actio libera in causa 227.
actio libera in causa sed non libera in
actu 227.
actio praecedens 228.
actus reus 57.
ad hoc 46; 58.
Amnesty International 52.
animus auctoris 270.
animus socii 270.
argumentum a fortiori 36; 37; 168.
argumentum a maiore ad minus 37;
168.
argumentum a minore ad minus 37.
Ausnahmetheorie 228.
aut judicare aut dedere 50.

B

basic 281.
Begehungsverbrechen 76.
Billigungstheorie 141.
blind 86.

C

causation in law 89.
common law 57.
condition sine qua non 89; 91 - 93;
100; 164; 310; 320;
321; 322; 327; 331.
Contergan-Verfahren 96.
contra legem 228.
Colzaoil 98.
cross-frontier offences 43.

D

defences 57.
dolus 126.
dolus alternativus 142.
dolus antecedens 130.
dolus cumulativus 144.
dolus eventualis 131.
dolus generalis 144; 325
dolus malus 73; 74; 147; 233; 328;
329.
dolus subsequens 130; 131.
Domizilprinzip 46.

E

eingeschränkte Schuldtheorie 235.
Einzelaktstheorie 261.
Erfolgsunwert 59.
Erfolgsverbrechen 76.
Ernstnahmetheorie 142.
error in obiecto 151.
error in persona 132; 151.
error in persona vel obiecto 153.
ex post facto 31.
extended 281.

F

fragmentarischer Charakter des
Strafrechts 17.

G

German doctrine 58.
Gesamtbetrachtungstheorie 261.
Gleichgültigkeitstheorie 141.

H

Handlungsunwert 59.

Holzschutzmittel-Fall 97.
Human Rights Act 13.

I

ICC 18; 58.
ICJ 52.
in dubio pro reo 40; 100; 112; 162;
232; 257; 320.
in malam partem 39.

J

JCE 22.
Joint Criminal Enterprise (JCE) 220;
281.
Jugendgerichtsgesetz (JGG) 223.
jus cogens 50; 53.

L

Lederspray-Fall 97.
Lex certa 25; 40.
Lex mitior 40.
Lex praevia 25; 40.
Lex scripta 25; 39.
Lex stricta 25; 40.
luxuria 157.

M

Magna Charta 25.
Magna Charta Libertatum 25.
mens rea 57.
mental element 281.
Mitursächlichkeit 98.
Möglichkeitstheorien 140.

N

Nebentäterschaft 162.
ne bis in idem 46; 47.
negligencia 157.

nullum crimen sine lege 22; 25; 39;
40.
nullum crimen sine lege scripta 38.
nulla poena, nullum crimen sine lege
24.
nulla poena sine culpa 216; 286.
nulla poena sine crimen 288.
nulla poena sine lege 25; 40; 41; 286..

O

offences 57.

P

participation 220.
Praeter verba legis 80.
primus inter pares 37.

R

Rapsöl-Entscheidung 98.
ratio legis 36.
rein öffentlich-rechtliche Theorie
200.
rein strafrechtliche Theorie 199.
respondeat superior 237.
Risikoerhöhungstheorie 108.
Risikotheorien 141.

S

Schuldtheorie 235.
Schutzrechtstheorie 198.
sehend 86.
Selbstverteidigungstheorie 200.
sentencing guidelines 2; 286; 297.
Strafgesetzbuch (StGB) 223.
Strafprozeßordnung (StOP) 72.
strafrechtliche Produkthaftung 96.
strenge Schuldtheorie 235.
subsidiärer Rechtsgüterschutz 17.
substantive defence 239.
systemic 281.

T

tolerantia 71.
Trennungstheorie 200.

U

Übereinstimmungstheorie 199.
Ubiquitätstheorie 42.
ultima ratio 17.
UNICEF 223.
Unzumutbarkeit normgemäßen
Verhaltens 253.

V

Verhältnismäßigkeit 17.
Vermeidungstheorie 142.

vis absoluta 83.
volenti non fit iniuria 214.
Vorstellungstheorien 140.
Vorsatztheorie 235.
Vorverlegungstheorie 228.

W

Wahrscheinlichkeitstheorie 140.
Willenstheorien 141.
Wissenstheorien 140.

„ბონა კაუზა“-ს მიერ გამოცემული ჟიზნაპი
მათი შექმნა შევიძლიათ ქ. თბილისის წიგნების მალაზიების ქსელში და
„ბონა კაუზა“-ს საფირმო მალაზიაში
(მის: - ქ.თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N 12, ტელ.: 99-00-71; 899786177)

კონსტიტუციები

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები
- ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია
- რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია

კოდექსები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ახალი)
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (ერთ ნიგნად)
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კოდიფიცირებული;
მიღების დღიდან შესული ყველა ცვლილებებით)
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი
- საქართველოს ტყის კოდექსი
- საქართველოს შრომის კოდექსი
- საქართველოს საბაჟო კოდექსი

ნორმატიული აქტების კრებულები

- მუნიციპალური სამართალი (ყველაფერი ადგილობრივი
თვითმმართველობის შესახებ)
- საბანკო სამართალი
- საავტორო სამართალი
- საპატენტო სამართალი და სამრეწველო საკუთრების სამართალი
- საბინაო სამართალი
- საარბიტრაჟო სამართალი
- დაზღვევის სამართალი
- საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ
- სამენარმეო სამართალი („მენარმეთა შესახებ“ და სხვა კანონები)
- ავტოსატრანსპორტო სამართალი
- საქართველოს სახელმწიფო სამართალი
- სამხედრო სამართალი
- სამშენებლო სამართალი (როგორ ვაშენოთ კანონიერად)
- საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები
- საერთაშორისო სავაჭრო სამართალი
- საფინანსო სამართალი
- ეკოლოგიური სამართალი

- საზღვაო სამართალი
- საზოგადოებრივი მართლწესრიგის სამართალი
- დიპლომატიური სამართალი. საკონსულო სამართალი
- საჰაერო სამართალი
- ბავშვის უფლებათა სამართალი
- საერთაშორისო კერძო სამართალი
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. ლტოლვილთა სამართალი
- სასჯელადსრულებითი სამართალი
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი
- სოციალური დაცვის სამართალი
- ევროპის სამართალი
- ყველაფერი საალსრულებო წარმოებათა შესახებ
- ფასიანი ქაღალდების სამართალი
- მას-მედიის სამართალი
- საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი
- საერთაშორისო სისხლის სამართალი
- საქართველოს კანონმდებლობა მიწის შესახებ
- ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები
- სასამართლო ხელისუფლება საქართველოში
- ბიზნესმენის მეგზური სამართლებრივ საკითხებში
- რა უნდა ვიცოდეთ პრივატიზაციის შესახებ
- საქართველოს კანონმდებლობა განათლების სფეროში
- საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები
- რა უნდა ვიცოდეთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- ყველაფერი მოსაკრებლების შესახებ (გადახდის წესი; სტრუქტურა და სახეები; ოდენობა)
- ყველაფერი ყადაღის შესახებ (ყადაღის დადება, მოხსნა, განაკვეთები)
- ნოტარიუსის სამაგიდო წიგნი
- სამაგიდო წიგნი ექიმებისათვის
- სამაგიდო წიგნი იურისტებისათვის, ეკონომისტებისათვის, საქმიანი ადამიანებისათვის
- პოლიციელის სამაგიდო წიგნი
- ბუღალტრის სამაგიდო წიგნი
- აუდიტორის სამაგიდო წიგნი
- ადვოკატის სამაგიდო წიგნი
- სახელმწიფო მოხელის სამაგიდო წიგნი
- რა უნდა იცოდეს გადასახადის გადამხდელმა
- ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლა და საფინანსო წესრიგის დამყარება
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
- საქართველოს მოქალაქეობა მოქმედ კანონმდებლობაში
- როგორ გავხდეთ მესაკუთრე (რა უნდა ვიცოდეთ ქონების შექენისას და გასხვიებისას)
- საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე გამოცემული ინსტრუქციების კრებული
- როგორ შევავსოთ საშემოსავლო, დამატებული ღირებულების, მოგების, აქციზის ქონების გადასახადის დეკლარაციები (გზამკვლევი გადასახადის გადამხდელთა დასახმარებლად)

- სარჩელის, შესაგებლისა და საჩივრის ფორმათა ნიმუშები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და მათი შევსების ინსტრუქციები
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) (რედაქტორ-შემდგენელი ზ. ამილახვარი)
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- შრომის სამართალი

სამეცნიერო წიგნები

- სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (გიორგი ნადარეიშვილი)
- რომის სამოქალაქო სამართალი (გიორგი ნადარეიშვილი)
- მსოფლიოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია (გიორგი ნადარეიშვილი)
- ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (გიორგი ნადარეიშვილი)
- საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოკლე მიმოხილვა (გიორგი ნადარეიშვილი)
- სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია (გივი ლობუანიძე)
- სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მერაბ ტურავა)
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (მერაბ ტურავა)
- მემკვიდრეობის სამართალი (ზ. ახვლედიანი)
- გავრცელებული ნარკოლოგიური საშუალებები და პრეკურსორები (ნ. ნადარეიშვილი, დ. ჩაგუნავა)
- სისხლის სამართალი. /დანაშაული/ (ლამარა სურგულაძე)
- კომპიუტერული დანაშაული (ლამარა სურგულაძე)
- ადმინისტრაციული სამართალი (იროდიონ სურგულაძე)
- შესავალი გაცოტრების სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო) (როინ მიგრიაული)
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (კითხვები. პასუხები. რეკომენდაციები) (შორენა ჯანხოთელი)
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ლალი ლაზარაშვილი)
- საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები (დავით ჩიკვაძე)
- კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ბადრი კოჭლამაზაშვილი)
- საეკლესიო სამართლის საკითხები (დავით ჩიკვაძე)
- შესავალი ქართულ სამართალშემოქმედებაში (როგორ იქნება სამართალი) (რევაზ რიყაშაძე)
- სანივთო სამართალი (ზურაბ ჭეჭელაშვილი)
- სახელშეკრულებო სამართალი (ზურაბ ჭეჭელაშვილი)
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი კომენტარებით (ალექსანდრე კვაშილავა)
- ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ალექსანდრე კვაშილავა)
- ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა (რამაზ კვარაცხელია)
- ტიპიური ხელშეკრულებების ნიმუშები (თ. ზარანდია, ლ. ლაზარაშვილი, შ. ჯანხოთელი)
- ტესტების ნიმუშები (კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი)
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები (ავტორთა კრებული)
- საერთაშორისო არბიტრაჟი (გიორგი ცერცვაძე)

- როგორ შეექმნათ და ვმართოთ კომერციული, არაკომერციული და საჯარო სამართლის იურიდიული პირები
- განზრახ მკვლევლობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია (რამაზ კვარაცხელია)
- ხელშეკრულების განმარტება (ნ. იოსელიანი)
- საბაჟო გადასახდევლებით დაბეგვრა საქართველოში (გიორგი ლორია)
- ფრენშიაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება (თინათინ ჩაჩანიძე)

უსწოლ ავტორთა ნიბნები და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

- ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან (გეორგ ელინეკი. რუსულიდან თარგმანი ზაზა ნანობაშვილისა)
- ბრძოლა უფლებისათვის (რუდოლფ იერიინგი. რუსულიდან თარგმანი ზაზა ნანობაშვილისა)
- საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები
- მონმის ჩვენების ფსიქოლოგია (ერნ. თრენკელი)
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ლექსიკონები და ცნობარები

- საქართველოს კანონთა ნუსხა. კლასიფიცირებული თემატური და ქრონოლოგიური ნიშნით
- განმარტებითი ლექსიკონი საჯარო მოსამსახურეთათვის
- კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის ლექსიკონი (ინგლისური, რუსული, ფრანგული და გერმანული შესატყვისებით) დავით ჩიკვაიძე

ბროშურები

- საქართველოს კანონი „პროკურატორის შესახებ“
- საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“
- საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ, საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“
- საქმის წარმოების ერთიანი წესები
- ინსტრუქცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების გამოყენების შესახებ

პატივცემულო მკითხველო!

იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ დაარსების დღიდან სისტემატურად გამოსცემს ახალ წიგნებს სამართლის სხვადასხვა დარგში. ჩვენი ძალისხმევით არაერთმა საინტერესო გამოკვლევამ იხილა მზის სინათლე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბონა კაუზა“ იქცა იურისტის ბიბლიოთეკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად.

ქართული სამართლებრივი აზროვნების შემდგომი განვითარებისა და ნიჭიერ მეცნიერთა წახალისების მიზნით „ბონა კაუზა“ სამართლის მკვლევარებს გთავაზობთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

• „ბონა კაუზა“ უზრუნველყოფს იურისპრუდენციაში თქვენი სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას.

• წიგნები დაიბეჭდება ფირმის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორებს გადაეცემათ ჰონორარი.

მზად ვართ, განვიხილოთ აგრეთვე თქვენი წინადადებები თანამშრომლობის სხვა ფორმატთან დაკავშირებით.

• „ბონა კაუზა“ გთავაზობთ წიგნების ოპერატიულ გამოცემას მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შეღავათიანი, ხელმისაწვდომი პირობებით.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე:
ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. N12.



990 071 მობილური 8(99) 78 61 77

ელ. ფოსტა: bonacausa@yahoo.com

ვებ-გვერდი: www.bonacausa.ge

ქალაქი ოფსეტური, ბეჭდვა რიზოგრაფზე

ქალაქის ზომა 70X84 1\32

ფასი სახელშეკრულებო